

780 / 2
1988


ISSN 0134-9848


1988/4

ივლიანი-სპიტი

სეზენი

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი





ლემნაოდო და ვინჩი. ქალის პორტრეტი, დეტალი

საუნჯე

1988/4

ივლისი

ახვისთ

(85)



შინაარსი:

პროზა და პოეზია


ჩაბილ სიიარჩი. ხმალი. მოთხრობა. თარგმნა ლილი ხუციშვილმა	3
ალექსანდრ გლოგი. ბულბულების ბალი. თარგმნა ლევონო წიკლაურმა	39
გაბლო ნერუდა. ლექსები. თარგმნა სილოვან ნარიშანიძემ	43
მორის როსტანი. დიმიტრი ამილახვარი. ლექსი. თარგმნა სილოვან ნარიშანიძემ	47
ჩინგიზ აითმათოვი. საქონდაქრა. რომანი. დახასრული. თარგმნა აკაკი ბრეგაძემ	48
ნეკოლუზ რუბცოვი. ლექსები. თარგმნა დილარ ივარდავამ	161
გიიომ აკოლინფერი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ	166
ინგლისური ხალხური საბავშვო პოეზიიდან. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ	170
პატრიკ უაიტი. სანაბვეზი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა მანანა ამისულაშვილმა	173
ივან ფრანკო. ლექსები ფიგნიდან „მშენარი ფოთლები“. უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ	190
დემიდ კერპერტ ლორენსი. ცხენებით მოვაჭრის ქალიშვილი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ქეთინო ტოროტაძემ	207
კალმან მიტსატი. მშვენი ბუჭი და უვითელი ციხვი. მოთხრობა. თარგმნა ასლან კორძაიამ	221
პაბო რიტხელი, რობერტ ვალუარი, ფრანც კოლერი. მოთხრობები. გერმანულიდან თარგმნა ნოდარ გუგუციაძემ	232
ემელი გერმანული საგვირო ეპოსი. გუდრუნი. გერმანულიდან თარგმნა აკაკი გოლოვანმა	242
ანტონ ჩეხოვი. ძია ვანია. პიესა. თარგმნა ლია ლლონტმა	253

წერილები

მუხრან მაზაპარიანი. რამდენიმე სიტყვა. გაგრძელება	276
თამარ კილურაძე. თანამედროვე გერმანულენოვანი გიოგრაფიული რომანის თავისებურებანი	306
ეუჯინიო ბარენი. ლეონარდო და ვინჩის უნივერსალობა. თარგმნა ნანა აბოხაძემ	310

საქართველოს მშობლივ კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის მრთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია



ქართული
წიგლიერთა

მთავარი რედაქტორი:
გუხრან მათავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი
ჯავახი აჯიაშვილი
გიორგი ბაქანიძე
ფრია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
ბურაბ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი).

მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიქნაძე
ვასუშტი კობახიშვილი
რომან შიშინოვილი
გიორგი ნიშენიანი
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკია
რუსუდან ქეკელიძე
იორაბ ქვერთალიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შავნაზარი

გივი ქნელიძე (მთ. რედ. მოადგილე)

დავით წარადიანი
ნუგზარ წარეთელი
თამაზ წიწწივაძე
რაზო ჭიჭიანი

ბარბანე: ლონარდო და ვინი. ქალის თავის დეტალი ნახატიდან: „წმინდა ანა მადონა, ყრმა და იოანე ნათლისმცემელი“.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომშვებო ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გოდ. წარმ. 16.06.88 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 15.08.88 წ., ქაღალდის ზომა 70x108^{1/4}
სააღრ. თ. 26,66 სასტ. თ. 28. საღებავის გიტ. 28,7 ტირ. 10 000, შეკვ. № 1579.
ფასი 1 მან. 40 კაპ.

ხაქ. კა ტკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი ხტამბა, თბილისი, ლენინის 14.



მთხრობა

თარგმნა ლილი ხუციშვილმა

18867

ქოვოელი ყადისა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ დიდად განსწავლული კაცი იყო და რომ იმ დროს სამ ყადილუყშიც კი არ მოიძებნებოდა კაცი, მასავით რომ შესძლებოდა ქვეყნის სასწაულებზე უსასრულოდ თხრობა, ან ზეპირად იმდენი ბრძნული გამონათქვამი სცოდნოდა, ლამაზი ლექსი და გონიერი ქადაგება, რამდენიც მან, აქოვოელმა ყადიმ იცოდა.

აქოვოში ისიც ჰქონდათ გაგონილი, რომ სინჯაქში ბოსნიიდან მოსულა, როცა იქ არეულობა დაწყებულა. ყადი ამ შფოთს გამოქცევია ცოლიანად, თან წიგნები, ბალიშები, ქვეშაგები წამოუღია და აქოვოში დაბინავებულა.

აქოვოში ლტოლვილად — დაუბატიყებლად მოვიდა, არავინ მიჰგებებია. შესაბრალია კაცი, გაქცევით რომ გადაირჩენს თავს. მისი მნახველნი ამასლა ამბობდნენ: შემწედ ექმენ, უფალო, თავის სახსნელად ლტოლვილს და ნაბიჯი შეუშოკლე მდევნელს, ამინ, მძლავრთაგან დაიფარე სუსტნი, ამინ, თან თვალს შეავლებდნენ წიგნებით სავსე ყუთებით თავიდან კუდის ძირამდე დატვირთულ ცხენებს, სულ ჩორთით რომ მოაქროლებდნენ მარეკი ბიჭები შეუჩერებლივ და არკი უწყობდნენ, ბოლოს და ბოლოს აქ, აქოვოში თუ შეასვენებდნენ თავიანთ დაქანცულ ფეხებს.

ვისაც ეს წიგნები თავიანთ პატარა ქალაქში შემოზიდვისას ენახა, ჰკვირობდნენ და იკითხავდნენ: ნეტა თუ შესაძლებელია, რომ ბოსნიიდან სინჯაქში გამოქცეულ კაცს მართლა დასჭირდეს ამდენი წიგნი ან იქნებ ამ წიგნებმა, თავიანთი პატრონის თავში დაბინავებისას, იქიდან მას ჰკუთა გამოუღევნეს თანდათან და იმანაც რაკი თავში სიმჩატე, ფეხქვეშ ფართო შარავზა და ზურგში ბილიკიც იგრძნო, თავი პირდაპირ აქოვოში ამოყო.

ბინა ყადიმ ფუნდუკში დაიდო. ერთი ოთახი თავისა და ცოლისათვის იჭირავა, მეორე წიგნებისათვის, ფუნდუკის საჯინბოს ნახევარი მის ცხენებს დასჭირდათ. მარეკი ბიჭები, გზაში რომ ახლდნენ, ერთის გარდა, ყველა დაითხოვა. ის ერთი თავის მსახურად და მეჯინბედ უნდოდა.

ბევრმა იქაურმა შესთავაზა ყადის მასპინძლობა, შენი ცოლი ჩვენთან უფრო თავისუფლად იქნება, ვიდრე ფუნდუკშიო, სადაც მილეთვის ხალხი მიდი-მოდისო, ეუბნებოდნენ, ეგეც არ იყოს, როგორ იქნება, რომ ყადი, ეფენდი ოჯახში კი არა, ფუნდუკში ცხოვრობდესო, როცა ქალაქში სახლიც ბევრია და საპატიო სტუმრისათვის სახლის კარის ფართოდ გამღებიცო.

მიპატიყებაზე ყველას უარი უთხრა ყადიმ, ფუნდუკში მეც კარგად ვარ და ჩემი ცოლიცო და არც მეტი თავისუფლება და უკეთესი პირობები სჭირდება ჩემს ცოლს, ვიდრე ფუნდუკშიაო. კაცმა რომ თქვას, ეს სახანო არც იყო ისეთი, ბოსნიაში ან სხვა რომელიმე ქვეყანაში რომ ჰქონოდა ნანახი ყადის. ზედა სარ-

თულზე აქ ოთახები იყო, ოთახებქვეშ კი საჯინიბო და ბაგა. სწორედ რომ ასეთი სადგომი სჭირდებოდა ყადის ცხენებისათვის. ცხენებს კი ნამდვილად ვერ შეეღუოდა, რადგან ცხენებმა გამოაღწევეინეს იმ გეენიიდან რაც ხელსუფლების დამხობის დროს იბილა ბოსნიაში, როცა ხალხმა ლაგამი აიწყვეტა და ისეთი ამბავი დატრიალდა. მეორედ მოსვლა გეგონებოდნენ იცის, ეგებ აქაც დაიწყოს ერთ დროს რაღაც ამგვარი, ამიტომ ცხენებმა უნდა აყავდეს, რომ აქედანაც შეძლოს გაქცევა.

აქოვოში კი არაფერიც არ დაწყებულა და თანდათან თვითონ ყადიმაც ირწმუნა, რომ აღარაფერიც არ მოხდებოდა. შფოთი ბოსნიაშიც ჩაწყნარდა, ისე რომ, შეეძლო ცხენების გაყიდვა და იმ ფულით ცხოვრება. ყადი ასეც მოიქცა. სათითაოდ ატანდა ჩირაქებს ყველა ცხენსა და მოსართავს ბაზარზე გასაყიდად, ვიდრე ცხენ-უნაგირიცა და იმათში აღებული ფულიც სულ მთლად არ გამოეღო.

ყადის ცოლი აღარ გამოერეოდა ხოლმე ქალებში, აღარც ლამბა ანათებდა ღამღამობით მის ოთახს. ყადის ოთახი კი არადა, მთელი ფუნდუკი მოეცვა წყვდიადს, რადგან ეს ძველი შენობა მთლად მიტოვებული და გაუკაცრიელებული იყო. თუ ვინმე მგზავრთაგანი ღამის გასათევად გადმოუხვევდა გზიდან, სტუმარმა არც კი იცოდა, ვისთვის გადაეხადა სადგომის ქირა. კარგა ხანი იყო, რაც ფუნდუკს პატრონი აღარა ჰყავდა და ამიტომ კანტიკუნტი ღამისმთვეელი მგზავრები რამდენიმე ფარას იატაკზე დადებდნენ ხოლმე, ისე, წესისათვის, ან იქნებ იმისათვის, რომ თავშესაფარის გამო მადლობა შეეთვალათ მისთვის, ვინც აღარ იყო.

ასე თანდათან ლბებოდა და ინგრეოდა საძირკვლიდან სახურავის კოჭებამდე ჭიისაგან შექმული და გაშავებული სახანოს შენობა ბაზრის მოედანზე. მხოლოდ ის კუთხე იყო თეთრად შეფეთქილი და ვარდისფერ-ნარინჯისფრად მოჩითული, რომელიც ყადის ეჭირა. ეს ქალური ფერები იყო და ამიტომ ფიქრობდნენ აქოვოელები, რომ კედლებს ყადის ცოლი აფერადებდა ისე, როგორც ბოსნიაში იციან, ხოლო აქ, აქოვოში არა აქვთ ეს წესად. ფუნდუკის კარ-ფანჯრებმოხატული ეს ნაწილი სხვა სახლებისაგან გამოირჩეოდა და მნახველს რომელიღაც სხვა ქვეყანასა და სხვა ქალაქს მოაგონებდა, საიდანაც ამ ყადის ცოლი იყო, რადგან ამ ნაყშებს მისი ხელი აჩუქურთმებდა. ყადის ცოლი მალეიმალ ჩამორეცხავდა ხოლმე ამ ნახატებს და ხელახლა, უფრო ლამაზად აფერადებდა, და ხალხს ეჩვენებოდა, რომ ფუნდუკის ეს კედელი ყვაოდა და მანამ იყვავილებდა, ვიდრე ყადის ცოლი იქ იქნებოდა. უკვე ყველას ჰქონდა შეტყობილი და დუქნებშიც დაუფარავად ყვებოდნენ, რომ ყადი გაღატაკებულიყო და მისი ცოლი ამაოდ ცდილობდა ამ ფერადებით და ნაყშებით ვინმესთვის მოეჩვენებინა, თითქოს სახლშიც ყვაოდა ყველაფერი — თუმცა აქ მხოლოდ სიღატაკე აყვავებულიყო. აბა სხვანაირად როგორ იქნებაო, ფიქრობდა ხალხი, თუკი ყადი მხოლოდ თავის წიგნებს ჩასცქერის და სხვას არაფერს აკეთებსო, წიგნები კი იმდენი აქვს, სამი წუთისოფელიც რომ ჰქონდეს, მათ წაკითხვას მაინც ვერ მოასწრებს, საბრალო ყადის კი მხოლოდ ერთი წუთისოფელი აქვს და იმასაც ამ წიგნების კითხვაში ფლანგავსო.

ზოგჯერ ვილაცები მწნილითა და ტკბილეულით სავსე ჭურჭელს შემოუდგამდნენ ხოლმე ყადის სახანოს ზღურბლზე ისე, არც შეატყობინებდნენ, არც გააგებინებდნენ, ვისი მიძღვნილი იყო, გულში კი ირწმუნებოდნენ, ეს ქალისა-

თვის, თორემ ყადის თავისი წიგნებიც ეყოფათ. ყადის კი არასოდეს არ გაუგია და არც უკითხავს, ვისგან მოსდიოდა ეს ძღვენი, არავის ახსოვს, ოდესმე მაინც რომ ეთქვას ვინმეს, ყადის მე ვუგზავნი ჯერსათ — ბოლოს და ბოლოს ესე ჩანდა, თითქოს რომელიღაც უჩინარ ხელს მოჰქონდა საჭმელი და ფუნდუკის კიბეზე დგამდა, აილოს ყადიმ და მიირთვასო.

ეს ძღვენი კი მაინც არ იყო საკმარისი და ყადი სულ ^{გაყვირებული} გაყვირებული ვიღაცა-ვით, მთლად დაკარგა ფერი. თავის წიგნებში ამოკითხულ ამბებსა და შეგონებებსაც სულ უფრო იშვიათადლა და უფრო ხმადაბლა ჰყვებოდა, ეტყობოდა, რომ აღარც ის ნათელი გონება ჰქონდა, როგორც ბოსნიიდან აქ ჩამოსვლისას და აღარც მის სიტყვებს ახლდა ის მათრობელა სიტყბო, ნაირფრად მოხატული სასმისიდან გადმოღვრილი შარბათივით რომ ეწვეებოდა ყურში მსმენელებს და ლამის თავიანთ სახელსაც ავიწყებდათ. მის ცოლზე კი, გარდა იმისა, რომ მძიმე სენითაა ავადო, თვეობით ველარაფერს იგებდნენ. მის ავადმყოფობაზე უმეტესად ქალები ჰყვებოდნენ ხოლმე. ხალხში კიდევ იმასაც ამბობდნენ, მართლა სასწაული თუ არაა, როგორ არის, თავის ამდენ წიგნებში ცოლისთვის ვერ უპოვია ყადის წამალიო. მას ხომ ამდენ ადამიანთა სულებისთვის უაქიმია ბრძენთა სიბრძნისა და ბრიყვთა სიბრიყვის ამბების თხრობით ან რჩევა-დარიგებებით, თუ როგორ განრიდებოდნენ ბოროტს და როგორ მიჰყოლოდნენ კეთილს, როგორ დასდგომოდნენ ადამიანურ ჭეშმარიტებათაკენ მიმავალ გზას. ახლა კი ყადის მსმენელნი მხოლოდ ფუნდუკის პატარა ოთახში მწოლიარე მის ცოლზე ფიქრობდნენ, თუმც ახალგაზრდა, მაგრამ ავადმყოფ ცოლზე, რომელსაც არავისგან არ ჰქონდა შველა და ყველაზე უფრო კი ყადისა და მისი წიგნებისაგან. ამიტომ ეს წიგნები და მათი ბრძნული ამბები მათთვის სულ უქმი და სულ ცრუ იყო, ჭეშმარიტი კი — ავადმყოფობა, რომელსაც ყადის ცოლი დაეუძლურებინა, მათ არ შეეძლოთ ყადის შველა, არ შეეძლოთ არც მისი ცოლისა და არც ნგრევის პირზე მისული ძველი ფუნდუკის გადარჩენა, რომელიც უკვე ირყეოდა და აგერ-აგერ უნდა ჩამოქცეულიყო. შესახედავდაც ხომ საშინელი იყო, მაგრამ გამჭრიახი თვალის პატრონნი მაშინვე ხვდებოდნენ, რომ ეს ძველისძველი მორყეული შენობა დიდხანს ვეღარ გაძლებდა, ჰა და ჰა, შემოუქროლებდნენ პირველი ქარები, აქოვოში შემოდგომიდან რომ იწყება ხოლმე და ეშინოდათ ამ შემოდგომის ქარების დაქროლებისა.

ძველთაძველი შენობის იმ ნაწილში კი, სადაც ყადი ცხოვრობდა, კარ-ფანჯარას ადრინდელივით ისევ აფერადებდა ავადმყოფის ხელი, მაგრამ ახლა როგორღაც უფრო რბილი ტონებით, გვიან შემოდგომით მოსული ჯადვარის ყვავილის ნაზი ფერებით ხატავდა და მათი შემხედვარნი ამ ნაღვლიანი ფერებითაც იგრძნობდნენ, თუ სულ უფრო და უფრო როგორ უუარესდებოდა ავადმყოფის მდგომარეობა. ერთ საღამოს კი, ყველას გასაოცრად, და ეს სასწაული ვერავის ამოეცნო, აქოვოდან ყადის წასვლის წინ, სწორედ მზის ჩასვლისას ავადმყოფმარადაც ხასხასა, მხიარული და გამამხნევებელი ფერებით მოხატა კარ-ფანჯარა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა წასასვლელად მზადებას.

დაიწყო თუ არა შემოდგომის ძლიერი ქარები, მორყეულ ფუნდუკს რომ აზანზარებდა, ყადი და მისი ცოლი განთიადისას გაუდგნენ გზას ისევ ბოსნიისაკენ, სადაც არეულობა ჩაწყნარებული იყო. ისინი ურმით წავიდნენ. მთელი მათი ავლადიდება — ლეიბები, საბნები, ბალიშები და კიდევ რამდენიმე წიგნი, რომელთაც ყადი გვერდიდან არ იშორებდა, ერთ ურემზე დაეტია. დანარჩენი წიგნები კი, ყუთებში ჩაწყობილი და შეკრული, ყადიმ სახანოს ოთახში დატოვა.

ოთახის კარი დაკეტა და მეგობრებს სთხოვა, მიმიხედეთ, ვიდრე წასაღებად მოვ-
ბრუნდებიო. დაბრუნებით კი მაშინ დაებრუნდები, როცა ცოლს სხვაგან უფრო
ძყუდრო და უქარო ადგილას დავაბინავებო, ალბათ დრინის იქითა ნაპირზე
დავსახლდებით და წამალსაც იქ მოვიძევ ცოლისთვისაო. მეგობრებმა თხოვნის
შესრულება აღუთქვეს, გასაღებს ბეჯითად უფრთხილდებოდნენ. მთავარი
ღანჯრების შეხედვაზე შიში იპყრობდათ, საცაა ძველ ფუნდუკს ქარში წაშობს ქვე-
სო. როგორც კი დაუბერავდა ღონივრად, შენობა შეტორტმანდებოდა ხოლმე,
მაგრამ ყველას გასაკვირველად არ ინგრეოდა. სამი შემოდგომა გავიდა ასე და
ფუნდუკი ისევ იდგა თითქმის მთლად გამომშალ კოჭებზე, ერთი საღად გადარ-
ჩენილი კედლით შეკავებული, რომლის კარ-ფანჯარას ყადის ცოლისეული
ნაყშები შემოენახა, ერთ საღამოს ავადმყოფმა რომ მოხატა მზის ჩასვლის წინ,
როცა შემოდგომის ქარებს უნდა დაეწყო ქროლვა და როცა ის ბოსნიაში აბი-
რებდა წასვლას. იქ, სახლის იმ გადარჩენილ ნაწილში იყო ყადის წიგნებიც. ისი-
ნი თითქმის კიდევ გადავიწყებოდა ყველას, მაშინლა გაახსენდებოდათ ხოლმე,
ძლიერი ქარები რომ დაუბერავდა და ლამის წამოექცია სახანო. იმასაც გაიხ-
სენებდნენ ხოლმე, ყადი რომ აღარ დაბრუნებულა წიგნების წასაღებად და რომ
არ იცოდნენ, ახლა სად არის და როგორ არის, რომ მათ არც უცდიათ ამბის გა-
გება, რადგან ფიქრობდნენ, ბოსნიაში, ამხელა ქალაქში წასულ კაცს სულ ტყუ-
ილად შევუთვლით მოკითხვასო. დიდი ქარების ქროლვის დაწყებისას სახანოს
ძველ შენობას რომ შეხედავდნენ და გაიფიქრებდნენ, აგერ-აგერ ჩამოიქცევასო,
დაიწყებდნენ ხოლმე ამბების მოყოლას იმ კაცზე, რომელიც მათთან ერთად
ცხოვრობდა ლანდივით და ისე უჩინრად, თითქოს მხოლოდ ხმა ესმოდათ მისი,
არადა, არავის ისე ბრძნულად არ უსაუბრია მათთან არასდროს, როგორც ამ
ლანდმა იცოდა. და ეს წიგნები ან სახანოს ფანჯრის ნაყშები რომ არა, იმ ორის,
ყადისა და მისი ცოლისაგან რომ შემორჩენოდათ, იფიქრებდნენ, ყველაფერი ეს
ზმანება იყო, სიზმარში ვისმინეთ ბრძნული ამბები იმ კაცისაგან, რომელიც
იყო და არც იყო, ან იქნებ ეს ყველაფერი სულაც არ ყოფილაო, მოგველანდა
და აი, ახლაც ისევე გველანდებაო, როცა შემოდგომის ძლიერი ქარები დაუქ-
როლებენ და სახანო აქეთ-იქით იწყებს რწევასო. და ირწეოდა სახანო ერთ პა-
ტარა ოთახში გამოკეტილ ყადის წიგნებისა და იმ ნაყშებიანად, ყადის ცოლმა
ავადმყოფობისას რომ მოჩითა კედელ-ფანჯრები, რათა ფუნდუკის ეს მოხატუ-
ლი მხარე გამორჩეულიყო იმ ნაწილისაგან, სადაც არავინ ცხოვრობდა.

ხალხი ფიქრობდა, რომ ახლა ველარავინ ჩამოიტანდა იმ წიგნებს ზემოდან,
რადგან ვერავინ გაბედავდა მორყეულ კიბეზე ასვლას და ოთახის გაღებას. და
ასე, ქარსა და ბურუსში, ცასა და დედამიწას შუა დარჩენილიყვნენ ყადის წიგნე-
ბი, როგორც თვით ყადი და ყველა ისინიც, ვისზედაც მისი წიგნები ჰყვებოდ-
ნენ — ბრძენნი და ხელნი, ხელმწიფენი, მეფენი და მათი მსახურნი — ქარივით
სწრაფი აზრის პატრონნი და ქარივით შლეგნი. ახლა ეს წიგნები ეკუთვნოდა
ყველას და არავის, რადგან იყვნენ მიუწვდომელნი, ვიდრე არ დაჰქროლებდა
საოცრად მძლავრი ქარი და ძირს, მიწაზე არ ჩამოაქცევდა სახანოს.

არავის დაუნახავს, როდის წამოიქცა სახანო, ვერც მისი ნგრევის ხმა გაი-
გონა ვინმემ, რადგან ეს მოხდა გვიან ღამით, როცა უბერავდა ქარი და ასხამდა
წვიმა, იმ დროს, როცა ამ პატარა ქალაქივით მიყრუებულ ადგილებში ყველა-
ფერი ჩაყუჩდება ხოლმე და ჩქამიც აღარ ისმის, როცა არავინ მოდის, და არა-
ვინ მიდის, გარდა ქარებისა, და ქართან ერთად მიდის ყოველივე ხანგადასუ-
ლი — ხანგადასული ადამიანები, ხანგადასული სახანოები...

გათენებულზე ფუნდუკის სანახავად მოვიდა ხალხი. ძველისძველი შენობა მიწაზე გართხმულიყო. ცეცხლთან გასათბობად მისულელებით, ზურგზე ხელებდაწყობილნი საათობით იდგნენ ადამიანები ნანგრევებისაკენ პირშეკვეთლნი და შეპყრებდნენ ამქვეყნის წარმავლობით შეშინებულნი, ყველაფრის — რაც სუნთქავს, დადის და ლაპარაკობს, ან ამ ფუნდუკების, ფრინველების და სხვათა წარმავლობითა და მხოლოდ შემოდგომის ქარების, ტაროსის ცვალებადობის, მზისა და მთვარის, და კიდევ რაღაცის, რაღაც შეუცნობელის მარადიულობით, რაც არსებობს და რაც გრძელდება მარადიულად... ისინი იდგნენ ზურგზე ხელებდაწყობილნი და ცდილობდნენ რაიმე ბრძნული აზრები წარმოეთქვათ ფუნდუკზე, რომელიც მათ ქალაქში ორ თუ სამ წელიწადს იდგა და მასპინძლობდა ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსულ მდგმურებს, კეთილ ადამიანებსაც და ბოროტებსაც, მკვლევებსაც და ავისმქნელებსაც, ბრძნულად გამსჯელთაც და ბრიყვებსაც, მსახურებსაც და ბატონებსაც, და ვერაფერი იმაზე მეტივერ მოეაზრებინათ, რომ დროს ადამიანებიც თან მიჰყვებიან, რომ რჩებიან მხოლოდ ქარები და მათთან ერთად რჩება დედამიწაზე კაცის სიბრძნე, ადამიანთა ხსოვნაში, წიგნებსა და ასეთ სახანოებში გაბნეული სიბრძნე... დარჩება როგორც რაღაც ნაზი და სათუთი, რაც არსებობს და არც არსებობს, რაც შესაძლოა იოწყდეს და განიქრას, თითქოს არც არასოდეს ყოფილიყოს. და ახლა ვიდრე ისინი ფუნდუკის ნანგრევებს დაპყრებდნენ და რაიმე ბრძნულის მოაზრებას ცდილობდნენ, ეჩვენებოდათ, რომ ყადი და მისი ცოლი სულაც არ არსებობდნენ, არც წიგნები ყოფილა და არც ის სიბრძნე, რაზედაც ყადი უამბობდათ ხოლმე. მხოლოდ ის არსებობს, რასაც თვალითა ხედავ, ხედვით კი იმ დიდი სახლის ნანგრევებს ხედავენ, ოდესღაც რომ სახანო ერქვა — ახლა ეს მხოლოდ ალიზისა და ქვიშის გროვაა, ნამსხვრევებია იმ ნაყშებისა, ყადის ცოლი რომ ხატავდა ხოლმე. ეს ნამსხვრევები მათ ყადის ცოლს ახსენებდათ, გამოწყობილს ფერად სამოსში, იწით სახე და ხელებშეღებულს, როგორც იმ დროს ჰყავდათ იგი წარმოდგენილი, რადგან მაშინ მისი დანახვა მათ არ შეეძლოთ, არ იცოდნენ, რა ხნისა ან რა ზნისა იყო, არც ის იცოდნენ, ლამაზი იყო თუ არა, ახლა მას პირბადეახდილსა და გულგახსნილს ხედავდნენ, რადგან აღარც ფუნდუკის კედლები ფარავდნენ და არც კარ-ფანჯარა, რომელთაც მისი ხელი აფერადებდა, მათ იგი მკვდარი წარმოედგინათ, რადგან მას, მუდამ ავადმყოფს, ვერა წამალი და ფერანაირი, თუნდაც ბოსნიის სამკურნალო წყალი ვერ განკურნავდა, და გარდაიცვალა.

ყადის კი სხვაგვარად, თავის წიგნებთან ერთად იგონებდნენ, ახლა ფუნდუკის ნანგრევებს ქვეშ, თითქოს საფლავში ისე ღრმად ჩამარხულთ, და აზრადაც არავის მოსდიოდა იქიდან მათი ამოთხრა, არავის უფიქრია, დიდი ჯაფისა და დროის დაუხარჯავად მოხერხდება წიგნების ამოღებაო, და რაკი ასეა, მაშინ ასევე იყოსო, ასე უფრო საიმედოდ იქნებიანო, რადგან არც წყალი შეუდგებათ და ვერც ვერაგინ წაიღებსო, ხოლო თუ ბოსნიიდან მოვა ვინმე ოდესმე ცოცხალი ყადის თხოვნის უსტარით, წიგნები ბოსნიაში გამომიგზავნეთო, მოციქულს მიწის ამ დიდ გროვას ვუჩვენებთ და ვეტყვით, წიგნები აი, აქ არისო, ხელი არავის უხლია და ბარე ათას წელსაც არავინ ახლებდაო.

მაგრამ ყადისაგან არავინ მოდიოდა, არავის მოჰქონდა მისი ამბავი, მხოლოდ წლები მოდიოდნენ და მიდიოდნენ. იქ, სადაც უწინ სახანო იდგა, მიწას ზამთრობით თოვლი ფარავდა, ზაფხულობით მწვანე ბალახი, სხვა დროს კი ნაყარ-

ნუყარის გროვად და სანაგვედ ქცეულიყო, რადგან ეს ადგილი ყველაზე უფრო მოსახერხებელი იყო კალათების გადმოსაფერთხად და ტაშტების საღვრელად.

როგორც ნივთებს ივიწყებენ ხოლმე, თუკი მათთან აღარაფერი არ აკავშირებთ, ისე დაივიწყა ხალხმა სახანო, სახანოს ნანგრევებიც და ამ ნანგრევების ქვეშ მოქცეული ყადის წიგნებიც. მაგრამ თვითონ განგებამ ისტორია ისე, რომ მრავალი წლის შემდეგ ისევ აღაპარაკებელიყვნენ ოდესღაც მათთან მცხოვრებ ყადისა და მის წიგნებზე. ფუნდუკის ნანგრევი მიწა ჩაიშალა და ხის ყუთები გამოაჩინა. გამვლელები ჩერდებოდნენ და ყუთების ამოშვებულ კიდევებს აკვირდებოდნენ. ზოგიერთები მაშინვე ხვდებოდნენ, ეს რა ყუთებიც იყო, ამოთხარეს მიწიდან და გახსნეს. შიგ ყადის წიგნები ეწყო. ჩანს არ ეწერათ დალობა, რაკი თავისით ამოვიდნენ მიწიდან. ყუთები რომელიღაც ძველი სახლის ერთ პატარა ოთახში გადაიტანეს, ერთიმეორეზე შეაწყვეს და დატოვეს — თუ ვინმეს დასჭირდა, გახსნას და ნახოსო.

მოდოდნენ წერა-კითხვის მცოდნენი და ათვალთვლებდნენ. არასდროს ენახათ ერთად თავმოყრილი ამდენი წიგნი. სქელსა და ძვირფასად მოხატულ ყდებში ჩასმული წიგნები ჰყვებოდნენ რჯულზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ალთქმებსა და აღკვეთებზე, ანგელოსებსა და ეშმაკებზე, უფლებებსა და მოვალეობებზე, დიდსა და მცირე ხალხებზე, ქალაქებზე, ქვეყნებზე, ზღვებსა და მდინარეებზე, დიდი ხნის წინათ გადაშენებულ ხალხებზე.

ერთი წიგნი გამოირჩეოდა სხვებისგან. ის არ იყო ყდაში ჩასმული. ეს ფურცლებად ჩაწყობილი გაუგზავნელი წერილები იყო. ფურცლები ყადის ხელით იყო ნაწერი და ვინც კითხვა იცოდა, უფრო ამ წიგნს ეტანებოდა. ის წიგნი არც ღმერთებზე იყო, არც წინასწარმეტყველებზე და არც ცოდვებზე, იგი ქალზე, ყადის ცოლზე იყო, ავადმყოფობაზე, რასაც ეს ქალი დაესწეულვინა, წამალზე, ყადი რომ ეძებდა. ზოგი იმათგანი, ვინც ამ წიგნს კითხულობდა, ხვდებოდა მაშინვე, რომ ეს გაუგზავნელი წერილები იყო და მათში წამლის ამბავი ეწერა, რომელსაც ყადი ცოლისთვის დაეძებდა და ვერსად ეპოვა. ვინც მოცლილები იყვნენ, დაითვალეს, რამდენჯერ იხსენიებოდა ამ წერილებში ავადმყოფობა, წამალი, ქალი და ამასთან ერთად კი მამაკაცის სახელი ქაფლანი¹. აღმოჩნდა, რომ ეს სიტყვები რამდენიმე ასეულჯერ იყო ნახსენები, ყველაზე მეტად კი სახელი ქაფლანი. ახლა ახსენდებოდათ ეს ქაფლანი, მასზე მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ხმლების ოსტატი იყო, ხმლებისა და დახების სახელოსნო ჰქონდა აქოვოს ერთ-ერთ შესახვევში და უსტა-ქაფლანს² ეძახდნენ. ეს სახელი ისევე იშვიათი იყო ამ მხარეში, როგორც მისი ხელობა. წერილებიდან ახლა ბევრი ისეთი ამბავი შეიტყვეს, რაც იმ დროს იცოდნენ აქოველებმა, როცა ეს წერილები იწერებოდა, ან იქნებ მხოლოდ ყადიმ იცოდა, ან არადა ოსტატმა ქაფლანმა ან ყადის ცოლმა, ვისზედაც მხოლოდ ის იცოდნენ, რომ კარსა და ფანჯრებს ხატავდა და რაც მეტად ეძალეობდა ავადმყოფობა, მით უფრო უკეთ და უფრო ხშირად აფერადებდა.

ასე ჩაუდგა ხელახლა სული წიგნმა იმ დღეებში იმას, რაც იყო ადრე და რამაც უკვე გარდაიარა, რაც მომკვდარიყო და მისცემოდა დაივიწყებას კარგა ხანია, გადასულიყო ლეგენდებსა და თქმულებებში. ახლა ამაზე ისე ჰყვებოდნენ ყავახანებსა და ფუნდუკებში, როგორც დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბავზე

1. ქაფლანი — ვეფხვი.

2. უსტა-ქაფლანი — ოსტატი ქაფლანი.

იციან ხოლმე, ზოგს რომ იჭერებენ და ზოგს უარპყოფენ, ზოგს რომ ტყუილად ნათლავენ და ზოგს მონაგონად, რადგან თავისი თვალით არაეის ენახს.

უფროსთა წაკითხვისა და მონაყოლის მოსმენით ბავშვებს სწორად ესწავლათ ზებირად ამ წერილების მთელი თავები ან ნაწყვეტები და ხმამაღლა გაპყვიროდნენ ქუჩებში ისე, რომ არც აზრი გაეგებოდათ თავრანთი წაუწყებისა და არც მიზანი. უფრო ხშირად ამ წიგნის დასაწყისს გაიძახოდნენ, რადგან ყველაზე უცნაურად ეჩვენებოდათ და ყველაზე უკეთაც იცოდნენ. ბავშვებს ზოგჯერ სიტყვა შეეშლებოდათ ან სულაც დაავიწყდებოდათ ხოლმე სათქმელი და ისევ თავიდან იწყებდნენ: „ოო, სახელგანთქმულო, ოო, სწავლულო, ოო, ღირსო თავყვანებისა, ოო, კაცთა შორის გამორჩეულო, გონებანათელო, გულმოწყალევე, ენამზიანო, სიბრძნით განსწავლულო სწავლულთა შორის, სიქველით ქველო სათნოთა შორის, ბედით ბედკეთილო ყველა ბედსვიანზე, მისმინე, ყადი ფონიციელო, ჩემი ცოლის ბიძავ, ფონიციში, ბოსნიაში გაიგონე, რას გეტყვი ამ წერილით ჩემი ცოლის ავადმყოფობისას. ადრე მოგწერე, ავად არის-მეთქი, ახლაც კი ვიამბობ, როგორ მივაგენი ერთი წამლის კვალს, რაც, იმედია, განკურნავს ჩემს ცოლს, და აი, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, რა უნდა ვითხრა...“ შემდეგ წერილი ჩვეულებრივად გრძელდებოდა და პყვებოდა დიდი ხნის წინათ გარდასულ ამბებს, როცა აქოვოს ბაზრის მოედანზე ძველისძველი ფუნდუკი იდგა, ახლა რომ ბალახგადავლილ მიწის გროვად იყო ნაქცევი.

ყადი შემდეგ სწერდა ყადის, ეს, აქოვოელი, იმას, ფონიციელს:

„ეს ერთი ხანია, ბრძენო ყადი ხაიმ-ეფენდი, დაე, იმრავლოს შენმა სათნოებამ და ამაღლდეს გონება შენი, რაც ერთი კაცი ფიქრში ჩამებეჭდა და გონებიდან არ მცილდება. გავიგე, ჩემი ცოლის წამალი ხელთა პქონია იმ კაცს, მაგრამ არ ვიცი, ხელთ როგორ ვიგდო. ხელთა პქონია-მეთქი, ვითხარი, სინამდვილეში წამალი ხელთ კი არა, თურმე ხმალში აქვს. ის კაცი ხმლის ოსტატია, ხმლებს კვერავს და ამბობენ, ქაფლანი პქვიაო. მისი ნაქედი ხმალი სულ სხვაგვარია, ისეთს არა პგავს, სხვაგანაც რომ ენახოს კაცს ან გაეგონოს, სადმე კიდევ არის ამის მსგავსიო. იმ ხმლების პირზე, მწვანედ მოლივლივე იმათ ფოლადში, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, თურმე მაიმუნები და ლომები ცეკვავენ. ამიტომ ამ ხმლებს მაიმუნ-ხმალიო, ლომ-ხმალი ან ვეფხვ-ხმალიო, აქ ასე ეძახიან. ერთი აქაური, აქოვოელი მცოდნე კაცი მოვიდა ჩემთან და მითხრა, იმ ხმლის წყალი ასვი შენს ცოლს და მორჩებაო, მითხრა და მეც ვირწმუნე. ასე მითხრა იმ კაცმა, ასევე მითხრეს სხვებმაც, და იმის შემდეგ გამუდმებით ვფიქრობ იმ კაცზე, ამ ქალაქში ხმლებს რომელიც ჭედავს და აი, სწორედ იმაზე ვწერ ახლა.“

იმ კაცს უნდა ვთხოვო წამალი მე — ყადიმ, რომელიც არა ვარ ჩვეული ჩემი წოდების დამდაბლებას და სხვათაგან იმის მიღებას, ჩემთან რასაც უნდა პპოვებდნენ სხვანი, ანუ წამალს სულისა და სხეულისათვის, აბა რას მეტყვის ხალხი, რაკი ვაიგებს, რომ მე, ყადი მქედლებს მივმართავ წამლისათვის და არ ვეძიებ მას ჩემს წიგნებში, მაშ, რას მარგია ეს წიგნები, ან რაში ვაქნევ ყადის სახელს და რის მაქნისი ვარ მე, ღვთის მონა ამ ყრუსა და მივარდნილ აქოვოში, სადაც მაიმუნები ცეკვავენ ხმლებზე და სადაც მაიმუნისგან მოველი წამალს, მითხარი, რა ვქნა, მე, ღვთის მონამ, შენ გეკითხები, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, დაე, ამაღლდეს გონება შენი.

არც მაიმუნების წამალს ვეძიებ და არც ხმლებისას, ზედ რომ მაიმუნები ცეკვავენ-მეთქი, ამ ხალხს ვუთხარი, წამალს ღმერთს შევთხოვ აი, ამ წიგნებში, თავად რომლებიც გამოგვიგზავნა. ვისი ნებითაც შეხვდა ჩემს ცოლს

ეს სნეულება, დაე მანვე განდევნოს იგი მისი სხეულიდან, მე იმისი იმედი მაქვს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ისე ფებთაქვეშ მტერი მოგქცევოდეს, როგორც ლურსმანი ცხენის ფლოქვთა ქვეშ. ასე ვუთხარი იმ ხალხს და მათი დამიჯერეს, მაგრამ უკეთ რომ შემოეხედათ ჩემთვის სახეზე, ისინი ნობით მოხტუნავე და მოცეკვავე მაიმუნს დაინახავდნენ, რადგან იმ წამში, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, მე მხოლოდ მაიმუნებზე ვფიქრობდი. ისეთი საოცრება როგორც ხმალზე, ხმლის ფოლადში ცოცხალივით მოთამაშე მაიმუნის ახარეკლია, ალბათ ჯადოსნური ძალისაც იქნება-მეთქი, ვიფიქრე, ბრძენო ყადი, და მომიხდა ეს ძალაც მესინჯა, ესეც მელონა, როგორც ჩემი ხელით დაწერილი ყველა ავგაროზი და ლოცვანი ვცადე, ჩემს ცოლს მეც და ხოჯებმაც რომ წავუკითხეთ, მაგრამ ალბათ ღვთის ნება იყო, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, რომ ყველაფერი ამას გამოდგა. ახლა ეს ხმლები და მათი წყალიც უნდა ვცადო. ქაფლანის ხმლის წყალი უნდა ვასვა ავადმყოფს, იმ ხმლის ნაჟური, ზედ რომ მაიმუნები დათამაშობენ. აი, რა დღეში ჩავვარდი და რაზე ვწერ, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, დაე, ხალხთან პირნათელი და ღმერთთან სულნათელი, ყოფილიყავ, ხაიმ-ეფენდი.

ფიქრში თავს დიდხანს ვებრძოდი, ვქნა ეს საქმეც თუ არა ვქნა-მეთქი, იქნებ არ ვეძიო მაიმუნების წამალი და არ შევირცხვინო თავი სხვებისა და ჩემსავე თავის წინაშე-მეთქი, თუმცა ამ ამბავს ვერც ვერავინ შეიტყობდა ოსტატის გარდა, რადგან ქაფლანი ავადმყოფებს წყალს თვითონ ასმევს, სხვას არავის ანებებს ამ საქმეს, ვინ იცის, იქნებ მეტი გასამრჯელოს მიღების იმედით, ან რომ მეტი ძალა მიეცეს წამალს, ან ეგებ — აბა ვინ მისწვდეს ადამიანთა და მაიმუნთა საიდუმლოებას! წიგნებში ამომიკითხავს, რომ საიდუმლოებას და ყოვლისშემძლეობას ყველა შეიძლება იყოსო ნაზიარები: მეფეც და ხელმწიფეც, მდიდარიცა და ღარიბიც, სასწაულია და, ამ ქაფლანს ხმლებზე მაიმუნების გამოსახვისა და ამ ხმლების ნაჟურით სენისგან განკურნების საოცარი ნიჭი აქვს ბოძებული, და ვინც კი მოვიდა ჩემთან, ყველა იფიცებდა, რომ იგი სნეულებებს განარიდებსო. განარიდებს-მეთქი! — მეც წამოვიძახე, და მათ უნდა შეემჩნიათ, რომ ჩემს ხმაში სიხარული კი არა, შური ხშიანობდა, შური იმის გამო, რომ ის, ქაფლანი კურნავდა სნეულთ, მე კი ჩემი წიგნების მეოხებითაც ვერ ვიყავ ამისი შემძლე, და მე შემძაგდა ქაფლანის ხელები, მისი გამურული, ჩამოძონძილი შარვალი, მისი გაზინტული კისერი, შევიძულე იმავ წუთიდან, ოღონდ იმ ზომამდე, ჩემი წოდების და ჩემი ღირსების კაცს რომ შეჰფეროს ვასიმე სიძულვილი.

მაგრამ იმ კაცთან მაინც მომიწია მისვლა, და აი, როგორ მოხდა ეს, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ... სალამოვდებოდა, იქით რომ გავეშურე, ჩიტები იბუდებდნენ ხეებზე. ქალაქის ბოლოდან მდინარის გუგუნის ისმოდა, მდინარის გასწვრივ, ოქრომჭედელთა შუკაში კი ბაგაბუგი იდგა: — ოქრომჭედლები თითბერს უკაკუნებდნენ ჩაქუჩებს, მჭედლები კი რკინას სცემდნენ უროს და მთელ დაბას დოლივით გაუდიოდა ბრაზუნის. ამ უბანს მიხვეულ-მოხვეული და მრუდე ქუჩები აქვს — და მე დავეკითხე თავს, განა საკვირველია, რომ აქ ყველაფერი მრუდე და ჩახლართულია, თუკი აქ ხმლებზე მაიმუნები ცეკვავენ და თუკი მაიმუნებს იმის უნარი აქვთ, რაც ადამიანებს არ ძალუძთ-მეთქი, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, დაე, ნათელი გქონდეს გონება, ჯანი მრთელი, გზები კი ფებთაქვეშ სწორი და ფართო ხაიმ-ეფენდი. აქ მდინარე ჩამოდის, სწორედ ის მდინარე, ჟანგი რომ მიაქვს

სამკედლოებიდან. სახელოსნოები წყლის პირას დგანან, ქუჩისაკენ პირშექცეულნი, და ისე მჭიდროდ არიან ერთიმეორეს აკრულნი, ისე მჭიდროდ, რომ მათ უკან მდინარე აღარ მოჩანს და ისე გეჩვენება, ისინი წყალზე დგანან, და ამიტომ წყალი წაიღებს ყველაფერს, რაც აქ ითქმებაო. პოდა, აი, მეც/გამი-ადვილდება იმის თქმა-მეთქი, ვიფიქრე, რაც სათქმელი მაქვს, რადგან ჩემს სიტყვებსაც წყალი წაიღებს, რომ მისი ყურის — ხმლის ოსტატის¹ ყურის გარდა, სხვა ვერავის ყურმა ვერ გაიგონოს-მეთქი.

საყოველღეო ტანსაცმელი ჩავიცვი, ბაზარში საქმეებზე გასვლისას რომ მაცვია ხოლმე, რადგან არ მინდოდა, ლამაზი სამოსელით გამვლელთა ყურადღება მიმეპყრო და ის პატივი გამომეწვია, აქ რომ მეპყრობიან ყოველთვის, და განსაკუთრებით კი მაშინ, კარგად როცა მაცვია. ჯუმადინზე¹ ჯუბის² სარტყელი მერტყა, ფეხზე კი წულები მეცვა, ქუჩაში მოსიარულე ხალხს რომ შევერჩე, მეგობრები ხელის აწევით მესალმებოდნენ, არ ვიცი, მეც ვაძლევდი პასუხს სალამზე თუ არა, არ ვიცი, მატყობდნენ თუ არა, როგორი დაბნეული და შეცბუნებული ვიყავი, როგორი გაუბედავი მქონდა ნაბიჯი იმ მაიმუნებისაკენ მიმავალ გზაზე, ხმლებზე რომ ცეკვავენ და ცოლის ხსნას რომ მოველი მათგან, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ... ცხოვრებაში კაცს თურმე ისეთი წუთიც დაუდგება ზოგჯერ, როცა ჩალის ერთ ღერზე გადაბიჯება უფრო უძნელდება, ვიდრე მთელი ყანის გადავლა. მე ბევრ ასეთ ჩალის ღერს გადავაბიჯე და მრავალ სამკედლოს კარს ჩავუარე გვერდით ისე, რომ შიგ არც შემიხედავს, რას აკეთებდნენ, მაგრამ ყურადღებით ვიყავი, ხმლის ოსტატ ქაფლანის კარს არ გავცდე-მეთქი. მკედლები გავარვარებულ რკინაზე უროს ცემას შეწყვეტდნენ ხოლმე და მესალმებოდნენ. მათ დასველებული ნახშირის, გახურებული რკინის, დაქანგული მიწისა და ძველი ჩვრების სუნი სდიოდათ. ოფლისაგან კანი უბრაილებდათ, ჭუჭყიან წყალში დააშლაპუნებდნენ, ცეცხლის ფონზე თავები შავად უჩანდათ — და გავიფიქრე: ჩემი ოსტატიც რომ ასეთი გამოდგეს, მაშინ არ მესმის, რაში უნდა იყოს მისი სასწაულებრივი ძალა და საიდუმლოება, რის მეოხებითაც განარიდებს სენს სნეულთაგან. ასე ვიფიქრე, მაგრამ თავს მაინც ვუთხარი, რომ საიდუმლოებანი და ყოვლიშემძლეობა წესს არ ემორჩილება-მეთქი და რომ შესაძლოა, მათ ერთნაირი ძალით ფლობდნენ როგორც ღარიბნი, ისე მდიდარნი, როგორც ძალოვანნი და ღონიერნი, ისე უძალონი, როგორც ჭუჭყიანნი, ისე დაბანილნი, რადგან ყველა ისინი ადამიანები არიან, და ვინ იცის, ეგებ ეს კაცია სასწაულების იდუმალი ნიშნით გამორჩეული, რომელიც ხმლებს კვერავს და ზედ მაიმუნები გამოჰყავს-მეთქი, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ.

ოქრომკედლებსა და მკედლებს რომ ჩავუარე, ისინი ჭედვას შეწყვეტდნენ ხოლმე და მესალმებოდნენ-მეთქი, გითხარი, მერე, როგორც იქნა, ქუჩის ბოლოს გავედი. იქ ერთ პატარა მოცარიელებულ ადგილზე, მთლად განაპირას ის სამკედლო იყო, მე რომ ვეძებდი — ქაფლანის სამკედლო. ო, ჩემი ცოლის განმკურნებელი — ვთქვი გუნებაში და შიშმა შემიპყრო, ნატავ სახლში რომ შევალ, რას ვნახავ, როგორ წარმომიდგება ის კაცი, რომელსაც მაიმუნები გამოჰყავს ხმალზე და რომლისგანაც მე წამალს

¹ პერანგს ზემოდან სახმარი, შალის ან ხავერდის ქსოვილის უსახელოებო გულდახურული სამოსი მამაკაცისა, რომელიც სიჩრით ან თასით არის ხოლმე მორთული.

² მუსულმან სამღვდლო პირთა სამოსი, რომელიც ჩვეულებრივ შავი მაუდისაგან არის შეკერილი.

ველი-მეთქი, ვიფიქრე და, კართან მისული, თავს ვერ მოვერიე, რომ ტანსაცმელი — კისერზე საყულო, მკერდზე ღილები და თავზე ქუდი არ შემესწორებინა, როგორც ამას ჩემთან შემოსვლისას შერებიან ხოლმე ადამიანები.

მივესალმე — მაგრამ, სიბართლე რომ ვთქვა, არ ვიცი, ვის ვუთხარი სალამი, რადგან ვიწრო ოთახის ბინდში თავდაპირველად ვერაზუნ ვუფარჩიე, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ქურის უკანა მხრიდან ადამიანის მსგავსი რაღაც უცნაური არსება წამოიშარათა, ისე უცნაური, რომ მის ირგვლივ ახლა მისივე მაიმუნების მთელი ზროვა მოგროვდება-მეთქი, ვიფიქრე, მაიმუნებისა, რომელთაგანაც მოველი წამალს. ვიდრე ის არსება ზეზე დგებოდა, სწრაფად ლოცვის კითხვა დავიწყე და ისე მოხდა, რომ ისიც წამოდგა და მეც ჩავამთავრე ლოცვა. ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით, რაღაც რკინის ნატეხი ეჭირა ხელში და წინ რომ დამიდგა, ხელიდან გაუვარდა. რკინამ, ჩემო ყადი, ძირს დაცემისას უცნაური ეღარუნი მოიღო, მაგრამ, რომც არ დაეღარუნა უცნაურად, მე მაინც ასე მომეჩვენებოდა, და არ ვიცი, რალა არ მომეჩვენებოდა, კიდევ რომ არ მეთქვა ლოცვა. ახლა მე იმისათვის ვთქვი ლოცვა, რომ რაიმე გრძნეულებისა ან ჭადოქრობისაგან დამეცვა თავი, ამ კაცმა რითაც სცადა ჩემი შეშინება და შეცბუნება, და ახლა, ლოცვის შემდეგ, მე ორთაბრძოლაში გასულივით ველოდი მას.

სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, დაე, იდიდოს შენმა გონებამ, ყური დამიგდე. მე ისე ველოდი, თითქოს ორთაბრძოლაში ვყავდი გაწვეული, ის კი დგას და ვხედავ, რომ არაფერიც არ არის მის ირგვლივ, არც თავადაა ვინმე ისეთი და ვერც ვერავითარ ნიჭს სასწაულებისა და გრძნეულებისას ვერ მივაწერდი, იმასაც კი ვერ ვიტყოდი, დახელოვნებული ოსტატია-მეთქი, და ეს იმიტომ, რომ მის ოთახში ვერც ერთი ხმალი ან სხვა რამე ვერ დავინახე, კედლებზე არაფერი არ ეკიდა ლურსმნებზე, როგორც სხვა ოსტატებს აქვთ ხოლმე თავიანთი ნახელავი სავაჭროდ გამოფენილი, იქ მხოლოდ ხელსაწყოები იყო, ბევრი რამ იყო, საბერველები იყო, ქურა, სალესი ქვა, დიდი და მცირე ჩაქუჩები, დიდი, პატარა და საშუალო ზომის ქანჩები, სალესი დოლაბები, სოლები, და ეს ყველაფერი ოთახში იყო მიმოფანტული, რასაც ოთახსა ხედავ — ისაა ოსტატიც, შეეფერებიან ერთიმეორეს. შევხედეთ ერთმანეთს. მიყურებს თვალებში, მეც თვალებში ვუყურებ. ქაფლანი ხარ-მეთქი, ვკითხე, და ქაფლანი ვარო, რომ მითხრა, უფრო გაკვირვებით ჩავაცქერდი თვალებში, და მისი თვალების მიღმა მისივე მაიმუნები დავინახე და სულ მეჩვენებოდა, რომ ვხედავდი, როგორ ცეკვავდნენ ისინი მის თვალებში, მეჩვენებოდა, რომ მის ლომებსა და ვეფხვებს ვხედავდი, გველეშაპების კუდებს და კიდევ ათასგვარ ურჩხულს, რომელთაც მბრძანებლობს იგი და ისე ცოცხლად გამოსახავს თავისი ხმლების ფოლადის ელვარებაში, რომ ცეკვავენ მხეცები, და ვის თავზეც ეს ხმალი აღიმართება, უმაღლ ამ მხეცების შიში წააქცევს, ვიდრე ხმლის მოქნევით დაგორდებოდეს იმისი თავი, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, შენ ღმერთმა დაგიხსნას ამ მხეცებისაგან.

სიკეთის ჭეშმარიტ გზაზე შემდგარო, დიდად განსწავლულო ყადი, რომელიც სხვებსაც მოძღვრავ ამ გზაზე სასიარულოდ, შენ, რომელმაც ჭეშმარიტებათა ცოდნით გააკეთილშობილე შენი გონება, ადამიანთა სამართლის ამათ და მაცდუნებელ ჭეშმარიტებათა ცოდნით, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, აი, ახლა, როდესაც ამ ფერგამკრთალი კაცის წინაშე მის ჩაბინძურებულ ოთახში ვდგავარ, მინდა გითხრა, რომ ფერმკრთალ ხალხს მე მუდამ გამოვარ-

ჩვედი ხოლმე ჩემს ცხოვრებაში, განვასხვავებდი ნაცნობთა შორის ლოყებ-
ლაქლავა და სიმსუქნით ლოყებდაბერილ ადამიანთაგან. მიყვარდა მათთან ჯდო-
მა და საუბარი, თავადაც არ ვიცი, რატომ მიყვარდა ასეთებთან და სთავა-
გვარებთან ბაასი, და აი, ჩემ წინაშე ერთი ფერმკრთალთაგანია. აწვლულ
ყადი, ჩემი ცოლის ბიძავ, დვას ჩემ წინაშე და მის უკან კი მთელს მსხმს მსხმს
ლებია, რომელთაც ვერ კი ვხედავ, მაგრამ მესახება, და თანაც ისე, თითქოს
ვხედავდე, და შემძლია დავიფიცო კიდევ, რომ ამასაც ზუსტად ისევე კვერავენ
ავი სულები, როგორც თვითონ აწრთობს ცეცხლში ფოლადს, იმავე უროებს
ურტყამენ მასაც, რომლითაც ეს საბრალო ჭედავს ფოლადს და მის შეხედვაზე
სულ მეჩვენება, რომ აი, ამწუთასაა გრდემლიდან გადმოღებული და რომ
კარგადაა გამოკვერილი, ისე, ავმა სულებმა როგორც იცვიან, ეს კაცი თვითო-
ნაც ხმალივითაა გაწვრილებული და ლაპლაპი გაუდის, მასში ეშმაკები ისახე-
ბიან და მე, ბრძენო ყადი, იმავე წამს ეშმაკის ლოცვა ვთქვი.

აი, სადა ვარ და რა მჭირს — მე კი ჯერ იმის ნახევარიც არ მიაშინია,
რასაც ვხედავ და რაც მემართება, თუმცა ვცდილობ ყველაფერი ჩემს სასი-
კეთოდ შემოვაბრუნო და იმედი მაქვს შემოვაბრუნებ.

ამ კაცს ღრმა თვალეები აქვს და როცა მიყურებს, ასე მეჩვენება, ბუდე-
ბიდან უნდა ამოიცივინოს-მეთქი, რომ უკეთ დამინახოს, მაგრამ მის თვალეებში
იოტისოდენა გაკვირვებასაც ვერ ვხედავ ჩემი აქ მოსვლის გამო და ჩემი აქ
ყოფნა უფრო ბუნებრივი რომ გაეხადა, მითხრა, შენ არ მიცნობ, მაგრამ მე
გიცნობო: „ქუჩაში დაგინახე, ყადი, და მესიამოვნა, რომ გნახე, აქ მოსულს
რომ ვხედავ, ისიც მსიამოვნებს“. — აი, ასე მითხრა, ხმა კი ისეთი აქვს, სულ
გინდა უსმინო, კიდევ ასე მითხრა: „რა სიკეთემ მოგიყვანა ჩემს დუქანში,
ყადი, ვაევიგო, მინდა, რომ გავიხარო“, — მაგრამ არ კი ხარობს, არ აფენია სა-
ხეზე სიხარული, თუმცა არც ნაღველი აქვს, მაგრამ რაღაც შორეული, ჩაშ-
თობილი ცეცხლის ალი ლამობს მისგან ამოვარდნას — მისი ქურის ალივით
ჩაშთობილი, სასწაულია, რა მსგავსებაა თავად მასში რომ ალია, იმასა და ამ
ქურის ალს შორის, როგორ ჰგავს ეს ალი ყველაფერს, რაც მის ირგვლივაა და
რითაც მისი კანია გაქლენთილი, მისი კანი კი ნახშირით, ფოლადით, რკინით,
ნესტიანი მიწით, გამურული ქერით და მჭვარტლითაა გაქლენთილი. ზოგჯერ
ხმლის საყიდლად მოდის ჩემთან ხალხიო, მითხრა, სხვა არაფრისათვის არ
მოდინანო, ამით თითქოს იმას მეკითხება, შენ რაღა გინდა ჩემგანო. მე ერთხანს
ვდუმდი, ფეხს ვინაცვლებდი, მერე, როგორც იქნა, გადავდგი ნაბიჯი იმის
სათქმელად, რისთვისაც ვიყავი მისული. მეგონა, ნაბიჯი რომ წინ წავდგა-
ვაითუ მაიმუნებს შორის აღმოვჩნდე-მეთქი, ამიტომ ვყოყმანობდი, ყოყმანი
კი, რა ხანია ვიცი, რომ მიზანთან ვერ მიგიყვანს, პირიქით, დაგაშორებს მიზანს,
და ასეთ დროს უმჯობესია, არსაით არ წახვიდე.

ახლა მე სიმხნევე მჭირდება, ამ კაცს თუ ვეტყვი, ხმალი მინდა-მეთქი, ის
მკითხავს, ხმალი შენ რაში გჭირდებაო.

ხმალი მე სამკურნალოდ მინდა-მეთქი, თუ ვეტყვი, შენ რად გინდა წამა-
ლიო, მეტყვის, შენს წიგნებში ყველაფერი წერია წამლებზეო. ხედავდა, რომ
რაღაც მაწვალებდა, მაგრამ არ წამშველებია. ხელი რაღაცა ჩვრით გაიწმინდა და
მერე ცეცხლში ჩააგდო. ორთავემ იმ ძონძს გავაყოლე თვალი, თითქოს რაღაც
მნიშვნელოვანი რამ ყოფილიყოს, არადა, ჩვარს იმითომ შევხედეთ, რომ
საჭირო სიტყვებს ვერ ვპოულობდით და წვრილმანებს ვეჭიდებოდით. ძონძს
რომ გავაყოლე თვალი, ნახშირის გროვის უკან ლურსმნებზე ჩამოკიდებულ

იყო თუ რაღაც სხვა რამის გამო, თვითონაც ჩემსავით დანალვლიანდა, და იმ წუთს ჩვენ ორთავე ვიყავით დანალვლიანებულნი, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ. იქნებ როგორმე ერთადერთი ცალი მაისც გამო-მიტედო-მეთქი, ვუთხარი, რაკი არც ერთი არა გაქვს მზად, ძალიან მჭირდება. ერთი ხმალი მჭირდება ძალიან, ხელობისას კარგად გადაგიხდით. ჩემი მეგობრებიც-მეთქი, და ღმერთი, ღმერთი მყავს მოწმედ, ასე ვუთხარი, მასც. სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ფარანი აანთო და მითხრა, სხვა ოთახებში გამომყევით რაღაცის სანახავად. იქით პატარა კარი გადიოდა, რომელიც ადრე ვერ შევამჩნიე, კარს იქით დიდი ოთახი გამოჩნდა, პირველზე ბევრად დიდი და ბევრად ნათელი, მის კუთხეში კი საღლაც იქით გამავალი კარი იყო ისევ. ამ ნათელ ოთახში კედლებზე ჩამოკიდებული უამრავი ხმალი დამანახვა, დაწყებული და შუა გზაზე თავმინებებული, კაცს რომ საქმე არ გამოუვა ხელიდან და მიაგდებს, სხვა, უფრო ბედნიერი წუთის იმედით რომ მიატოვებს, ისე.

— აი, ხედავ... — მითხრა და ხელი იმ უამრავ, დაწყებულ, მაგრამ დაუმთავრებელ ხმლებისაკენ გაიშვირა. ისე მითხრა, თითქოს თავის ყველაზე ძვირფას ადამიანთა საფლავებს მიჩვენებდა. ხმლებისაკენ გაწვდილ მის ხელს გავხედე, იმის ჩაბინდულ სახეს დავაკვირდი. შენთვის არაფერი მითქვამს მის სახეზე, სახე ისეთი აქვს, თითქოს მასაც იგივე სენი ჰქონდეს შეყრილი, როგორც ჩემს ცოლს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, უნდა გითხრა, რომ ასეთი სენით მხოლოდ ახალგაზრდები შეიძლება იყვნენ ავად, როცა მათ რაღაცა დაუწყებს ღრღნას, როცა მათ სული ერთმევათ, როცა სული დაუწყებთ ჭკნობას და რომ სული არ უჭკნებოდეთ, ჯანმრთელები იქნებოდნენ, რადგან სხეული მთლად ჯანსაღი აქვთ, ჯანსაღი, მაგრამ ნალველმორეული, როგორც ხეხილს დაუზრავს ნაყოფს ყინვა და მხოლოდ ტოტები გადაურჩება მწვანედ. ესენი ამწვანებულნი, მაგრამ სულგართმეულნი არიან.

მომიტევე, ხელი რომ განზე მიმდის და ხეხილსა და ტოტებს ვახსენებ, რაც სულაც არ არის ჩემი წერილის საგანი, მისი საგანი ის ფერმკრთალი ახალგაზრდაა, რომელიც ავად არის სწორედ ისევე, როგორც ჩემი ცოლია ფერმკრთალი, და რომელსაც ჩემი ცოლივით ვერ მიუგნია თავის წამლისთვის. თავისი ხმლების წყალი რომ ეცადა! ავადა ვარო, თუ შემომჩივლებს, სწორედ ასე ვეტყვი: თავს შენივ ხმლების წყლით რად არ იკურნავ, ზედ რომ მაიმუნები ცეკვავენ-მეთქი, რაკი ასეთი ხმლების ოსტატი ხარ. ჯერაც არ მქონდა ეს სიტყვა ნათქვამი, რომ შემომჩივლა:

„ეს ერთი ხანია, ყადი-ეფენდი, ხმლებს ველარ ვკვდავ, აი, რამდენი მაქვს დაწყებული, მაგრამ ბოლომდე ველარც ერთი ვერ მიმიყვანია.“

ხელი გაიწვდინა ოსტატმა, ერთი ხმალი აიღო, მოიქნია და ხის კუნძში ჩაასო, მერე ღონივრად განზე გადაზნიქა. ყინვის ლოლუასავით გადაიმსხვრა ხმალი. ის ნამსხვრევი, ვადას რაც შერჩა, მაღლა ასწია და ფოლადის წკრიალს ყური მიუგდო. წკრიალს-მეთქი, ვთქვი, არადა, დაიხრიალა ფოლადმაო, რომ მეთქვა, ის უფრო იქნებოდა სწორი. თითქოს ყელში სწვდომია ოსტატი ხმალზე მოცეკვავე რომელიღაც ნადირსო და ახრჩობსო, ისე ხრიალებდა ფოლადი. ფოლადის გამოცემული ნადირთა ხროტინი მესმოდა, მაგრამ მაინც მქონდა იმედი, რომ ეს კაცი ხმალს გამოტყდავდა და აქ მოსვლა უქმად არ ჩამივლიდა. აი, მეც სწორედ ამ იმედით გითვლი სალამს, სწავლულო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, და აი, რასა გწერ კიდევ: მთელ თავის ხმლებს, დაწყებულთ და

დაუმთავრებელთ, ეს ოსტატი სულ დაღეწავდა, თუკი ხელში არა ვწვდენოდი და არ ვეტყოდი, ხმლებს ნუ ამსხვრევ-მეთქი, ან მანამ მაინც ნუ იზამ ამას, ვიდრე აქ ვიქნები. რადგან ჩემი ყური ხმლების ამ ხრიალს ვერ უძლებს-მეთქი, თან ვკითხე, ეს რა ხმა იყო, ადრე რომ არასოდეს არა მსმენოდა. ოსტატმა კი, ეს ხრიალი სულაც არ არისო, ეს ფოლადის მსხვრევის ხმაა, ფოლადი უფრო ტყდება და ამიტომ ტირისო, მითხრა. მე გამელიძა და არ დავუჭერე, მაინც ვიძინებოდა: ამ ხმლებს იმიტომ ვამსხვრევ, რომ ველარას ვაცოცხლებ მათშიო, არადა, შემეძლოო, ფოცხვერის, ვეფხვის, მაიმუნისა და ლომის ნახატის გაცოცხლება შემეძლოო — და კიდევ გველეშაპის, არწივის და სხვა ფრინველისაო. და ან ხმლების წყლით კურნავ სნეულთ-მეთქი, ვუთხარი მერე.

ჩემმა სიტყვებმა შეაკრთო, დაბნეული შემომაცქერდა თვალებში, ასე თავის გულქვა მევალეს თუ შეხედავს კაცი, როცა ის ვადაზე ადრე მოაკითხავს ხოლმე სესხს.. მაინც როგორ გამოვიყენო ეს წამი, როგორი სარფა ამოვიგო აქედან ჩემ წილად? ანდა არის რამე ამაში ჩემ წილად, ჩემი ცოლის წილად-მეთქი, მინდოდა მეთქვა — აი, ამასა ვკითხავ ახლა ჩემს თავს, სწავლულო ყადი, ჩემი ცოლის ბიძავ. და აი, რას ვამჩნევ ამ წუთს, ხაიმ-ეფენდი, სწავლულო ყადი, ისე იქცევა ეს კაცი, თითქოს თავად ელისო ჩემგან შველას, და არა ისე, რომ მე დამეხმაროს, დავეხმარებოდე კიდევ, როგორც მუდამ დავხმარებდვარ ადამიანებს, ოღონდ ვერ გამეგო, რით უნდა შემძლებოდა მისი დახმარება. იმას ვერ დავუშვებ, რომ საქმე ჩემ საზიანოდ შემოტრიალდეს, ის მოითხოვდეს, მე კი გავცემდე, ვერ დავუშვებ, რადგან მისთვის მისაცემი არაფერი მაქვს.

აქ ხომ იმისთვის მოვედი, რომ მას მოეცა ჩემთვის.

ოსტატმა დამასწრო სათქმელი: „უნდა მიშველო, ყადი, რაღაც ვერა მაქვს რიგზე შიგნით, და შენ უნდა მიშველო“.

მე ვუბასუხე, აქ იმისათვის კი არ მოვსულვარ, შენ გიშველო-მეთქი, თუმცა ასეც ვიზამდი, რომ შემძლებოდა, მაგრამ მე აქ იმისათვისა ვარ მოსული, რომ შენ მიშველო. ამაზე შეეჩერდი, ერთბაშად ვერ მითქვამს, რაში მჭირდება შველა, ჩემი ცოლის სახელი ვერ მიხსენებია, სწავლულო ყადი. ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ. მან კი, თითქოს იცისო ჩემი ცოლის ამბავი, თითქოს იმაზე მეტიც იცისო, რაც ჩემს ცოლსა სჭირს, სიტყვა შემაწყვეტინა: და მითხრა: — ხალხი ხმლის საყიდლად მოდიოდა ჩემთან. შენი მსგავსები იმისათვის მოდიოდნენ, რომ სამკურნალოდ ეყიდათ ხმალი. ისინი კი, შენ რონ არა გგვანან, მოდიოდნენ და საბრძოლველად მიჰქონდათ ხმალი. მათთვის კარგი სამსახური გაუწევიათ ჩემს ხმლებს ბრძოლებში. მე, პატივცემულო ყადი, არ მსმენია, რომ ერთი მაინც დაღუპულიყოს. ვისაც ჩემი ხმლით უბრძოლია. ხმები კი მოდიოდა, რომ ჩემი ხმლებით ხვითი კომბოსტოსავით უსხეპიათ მტერთა თავები, თავიანთი კი საღსალამათად გადაურჩენიათ. ჩემს ხმლებს მათთვის, პატივცემულო ყადი, სიკეთე მოჰქონდათ, მეც სწორედ ამას ვუსურვებდი ხოლმე: — სიკეთე მოგიტანოთ ჩემმა ხმლებმა-მეთქი.

ოსტატი განაგრძობდა, მე კი ვუსმენდი. ძალიან მსიამოვნებდა იმ კაცის სმენა, რომელიც ისე ყვებოდა თავის ნახელავზე, როგორც ღვიძლ შვილებზე, როგორც იმ შვილებზე, რომლებიც კი გაუშვია ამ წუთისოფლად, მაგრამ იმათზე ზრუნვა არ მოუშლია, და თუ გსურს მართალი მოგახსენო, შენ, რომელიც სიბრძნით ყველა ბრძენს აღემატე და პირუთვნელობით ყველა პირუთვნელს, შენ, რომელიც ყოველგვარი პატივის ღირსი ხარ, ფოინიცილო ყადი. ხაიმ-

1987

ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, გეტყვი, რომ ეს ახალგაზრდა მარჯვე ოსტატი ჩანს, რომ მას ჯერაც არ შეუქმნია, რისი შექმნაც შეუძლია და, რა თქმა უნდა, სენიც იმიტომ მოსძალებია და გაყვითლებულა, რომ მის ხელებს ვერ შეუქმნიათ, რაც მას ფიქრში აქვს, ჰოდა, აი, ავად გამხდარა. ასე ხომ იმათ უმართებათ ხოლმე, ვისაც უნარი აქვს და არ კი ძალუძს, ბრძენო ყადი, ჩანს ეფენდი, ნუ მოშლოდეს პატივი შენს სახელს. ეს კაცი რომ ვნახე პირველად, ვინფიქრე, იმისგანაა ფერმკრთალი, რომ რაღაც აწვალებს-მეთქი, ხმლებზე მისივე გამოხატული მხეცები ღრღნიან და ჯიჯგნიან-მეთქი, მეგონა, მაგრამ ახლა ვხედავ, ასე არაა საქმე, ხაიმ-ეფენდი, ბრძენო ყადი, რომ მას მხეცები კი არ ჯიჯგნიან, სხვა ვასაჭირი აწუხებს რაღაც. ვთხოვე, რა უბედურება გჭირს-მეთქი, მითხარი, მაგრამ მან ტუჩიც არ შეატოკა პასუხად, ენა მხოლოდ მაშინდა დასძრა, როცა ხმლებზე ვკითხე, და მის ნაამბობს იმ თავის ხმლებზე ბოლო არა აქვს და არა აქვს დასასრული მის სინანულსაც, რომ ველარ გაუკეთებია, რისი გაკეთებაც სურდა. და ახლა შენ გეკითხებით, მეუბნება ოსტატი, რატომ არის, რომ ლომებს აღარა სურთ ჩემს ხმლებზე გამოჩენაო. არადა, როგორი ლომები გამომყავდა ხოლმე, ვეფხვებიცა და ურჩხულებიცო. მაიმუნებს ხომ, რასაც მინდა, იმას ვუშვრებოდით. ახლა აღარაფერი არ მომდევს ხმალზე. არც მაიმუნები, აღარც ფრინველი, და ხელთ ცარიელი ფოლადი მრჩება, აღარაფერი ზედ აღარ არისო, ვუყურებ ამ ფოლადს, მერე ჩემს ხელებს დავცქერი და — აღარაფერია, აღარაფერი! ცარიელია! და შევიძულე სუყველაფერიო.

დამეხმარე, რომ დამიბრუნდეს ყველაფერი, რის კეთებაც ადრე ვიცოდი და რაც შემეძლოო. — მითხრა ოსტატმა, — შენი შელოცვებით დაუბრუნე ჩემს ხელებს ოსტატობა. — ამას მეუბნება და შემომყურებს ჩაცვენილი, მაგრამ ლამაზი, განაწამები თვალებით, განაწამები ყველა იმიტი, რაც სულს უტანჯავს, სულს კი ის უტანჯავს, რომ ველარ გაუკეთებია, რის გაკეთებაც სურდა. და კიდევ ასე მითხრა, თავადაც ვერ წარმოიდგენ, როგორ მარგებს შენი შელოცვაო, რადგან შელოცვები გამომთელებს, რაც შიგნით დამერღვაო, შიგნით კი ყველაფერი დამეშალა და ამიტომ მეჩვენება, რომ ჩემი ხელი ჩემი არ არისო, ხმლები, რომელთაც მე ვჭედავ, ჩემები არ არიანო. და ყველა ეს ახლა დამემართა, როცა ისეთი ხმალი უნდა გამომეყვება, აქამდე რომ არ გამიკეთებიაო, ზედ ისეთი ნადირი უნდა გამომეყვანა, რაც მანამდე არ მინახავს, და იმ ხმლის ნაუჭრიც ისეთი განმკურნავი უნდა ყოფილიყო, ადრე რომ არა ყოფილაო, და ეს ყველაფერი ერთი ქალის გამო მომიხდაო.

ერთი ქალის გამო, რომელიც ავად არისო.

აი, თურმე როგორაა საქმე, — ვეუბნები ჩემს თავს: მე შენა გთხოვ დახმარებას ჩემი ცოლისთვის, შენ კი შევლას ჩემთან ეძიებ სხვა ქალის გამო. შემდეგ მე ვუთხარი, მეც ავად მყავს ცოლი და ხმალი იმისთვის მინდა-მეთქი.

ვიციო, — მითხრა, — ზღურბლზე როგორც კი დაგინახე, მაშინვე მივხვდი, რამაც მოგიყვანაო, რადგან შენნაირი ხალხი აქ მხოლოდ ავადმყოფობას მოჰყავსო.

მართალია, აქ მე ავადმყოფობამ მომიყვანა-მეთქი, ვუთხარი, და ის იყო, ხელახლა უნდა მეთხოვა, კიდევ სცადე, იქნებ როგორმე გამოჭედო-მეთქი ხმალი, რომ დამასწრო, ნურაფრის იმედი ნუ გექნებაო, რაც ვიცოდი და როგორც შემეძლო, ყველაფერი ვცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდიო, და ახლა ერთადერთ იმედად შენი შელოცვები და შენი ავგაროზები მაქვს, რომ მათი შემწეობით გამომთელდეს, რაც დამერღვაო. ჰოდა, რომ გამოვკეთდები, ხმალს გამოვჭედა-

ვო, ხმალს გამოჭედავს ერთი ქალისთვის, რომელიც, მე როგორც ვხედავ, ამის ცოლი არ არის, და მაშინო, მითხრა, ყველა სხეულს ექნება წყალს და ექნება სიკეთე ყოველთ. ოღონდ კი ჩამიბრუნდებოდეს გული საფულეს, ოღონდ კი გამოთბებოდეს სული, და სული რომ გამოთბებაო, ხმალს გამოჭედავს და ექნება სიკეთე ყოველთ.

ღონე წაერთვა ოსტატს, თავზე წაივლო ხელები, სახე დაიხრია და აღარ უჩანდა, მხოლოდ იმასღა ვხედავდი, როგორ უთრთოდა მხრები, ვხედავდი, როგორ ტიროდა სასოწარკვეთით, იმაზე სასოწარკვეთით და უფრო სიმწრით, ვიდრე მხრების თრთოლვაზე ჩანდა. ასე, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, დედის გულისთვის ან ძმის გამო არ ატირდება კაცი. მიხატავს, როგორ დაუტირებიათ ხოლმე ისინი, და ვხედავ, რომ ამას დიდი მწუხარება აქვს იმის გამო, რომ ვერ უშველია ქალისთვის, ვისთვისაც უნდოდა ეშველა.

ასე უბედური ჭაბუკი იტირებს, როცა სიყვარულითა აქვს გონი დაბინდული.

მე ყველას ვუჭედავდი ხმლებსო, — მეუბნებოდა, — იმ ქალისთვის კი აღარ შემიძლია, არ შემიძლია, რადგან მინდოდა ყველაფერი მელონა, რისი უნარიც მქონდა, და იმაზე მეტიც მექნა, ვიდრე შემეძლო. ჩემი სულით მეწადა გამეფარვარებიანა ფოლადი, ჩემსავე გულზე გამომეკვერა და ისე გამომეჭედა ხმალი ამ ქალისთვის, მაგრამ არ შემიძლია. მრცხვენია, ამას რომ გეუბნები, მაგრამ ვერც ქურის ცეცხლით ვალწევ საწადელს და ველარც გულის სიმბურვალით ვახერხებ რამეს და სულ ტყუილად ვკვერავო. და გთხოვო, მითხრა, შენ იმით დამეხმარე, რითაც შეგიძლია და რაც იციო — შენ შენი ავგაროზებით მიშველეო, მერე კი მე დავეხმარები ხალხს, რითაც მე შემიძლია და რის კეთებაც მე ვიციო, ჩემი ხმლებით ვუშველი მათო, და კარგად იქნება ის ქალიო, კარგად იქნება ყველა, ვინც სნეულიაო. პოდა, თუ არ დამეხმარები, ვერ იქნება ის ქალი კარგადო, — მითხრა, — აი ასეაო, ჯერ შენ განმკურნე, მერე კი მე ვუმკურნალებ სხვებს და განვკურნავ იმ ქალსო.

და როცა ამ ჭაბუკმა, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ის ქალი ახსენა, ვის გამოც ავგაროზების დაწერას და ლოცვასა მთხოვდა, თავი ჩაქინდრა, თვალი ძირს დახარა და მე ველარც მის სახეს ვხედავდი და ველარც თვალეხს. და მე რომ იმ წოდების კაცი არ ვყოფილიყავი, რომელიცა ვარ, ვკითხავდი, რა სენითაა ავად ის შენი ქალი, რომლითაც ასე ხარ შეპყრობილი-მეთქი, მაგრამ ქალების ამბების კითხვა არ არის ჩემი ხელობა, და ვფიქრობ, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, რომ საერთოდ არავისა აქვს უფლება სხვათა ქალების ამბავი გამოიკითხოს. და აი, როგორი საქმე გამოდის: თუ მსურს მივიღო, მე უნდა გავცე, თანაც ისე, რომ ჯერ უნდა გავცე და შემდეგ მივიღო. ეს ხომ ვაჭრობასავითაა, ვაჭრობაა ახალგაზრდა კაცთან. ამ ახალგაზრდასთან, რომელიც ერთი ქალის გამო სავსეა კაეშნით, მეც ქალის გამო ვარ შეჭირვებული — და ამით ჩვენ ორთავე თანასწორნი ვართ.

განვაგრძო ნეტავ ისევ ეს საქმე, თუ არაფერიც აღარ განვიგრძო, არაფერი არ მივცე ამ კაცს — არ ვუკითხო ლოცვები და არ ვუწერო ავგაროზები, აღარც თვითონ მას ვთხოვო რამე და არ ვევაჭრო. არა, არც ეს იქნება ჩემთვის სასიკეთო, დღეს ჩემთვის არაფერიც არ არის სასიკეთო და ვერა გადამიწყვეტია რა — ვდგავარ მხოლოდ და შევყურებ ამ ხმლებს, დაწყებულთ, მაგრამ დაუმთავრებელთ, რომლებზედაც არ ცეკვავს ნადირი. და ვხედავ, სწავლულო ყადი, ჩემი ცოლის ბიძავ, რომ ჩემსა და ამ ჭაბუკს შორის რაღაცა-

ვშირი გაიბა და რომ მას მაშინაც კი ვერ დავივიწყებ, როცა აქედან წავალ. თითქოს ორთავე ერთ ბადეში ვიყოთ მოქცეულნი, შიგ გავხლართულვართ, და არც მას შეუძლია უჩემობა და აღარც მე უიმისობა, და რა საქმე გამოვეყველაფერი ამიდან, არ ვიცი, და სწორედ ამიტომ გწერ ამ ამბავს, შენ, სწავლულთა შორის ყველაზე სწავლულს, კრძალულთა შორის ყველაზე უფროდებულს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ.

ყველაფრის იმედი გადამეწურა. მოვცილდები ახლა ამ ჭაბუკს, მაგრამ ფიქრიდან, ასე მგონია, ველარასოდეს ვერ მოვიშორებ.

გამოვეთხოვე და ახლა მას ძლივსღა ვარჩევდი იმ თავის დალეწილ ხმლებს შორის. ის ნელ-ნელა დგებოდა ფეხზე და ისე ჩანდა ხმლის ნამსხვრევებში, თითქოს მაღალი ბალახებიდან ამოიზარდაო, ფერგამკრთალი და გალეული, მოგრძო პირისახისა, ხელში ხმლის ნატეხი ეჭირა და ამის გამო შემზარავი იყო. ორთავე ერთად მივედით კართან და ზღურბლზე ისევ გამიმეორა:

„შენ მე დამეხმარე, მე კი შენ დაგეხმარები“.

„შენ შენი მომეცი, მე კი ჩემსას მოგცემ...“

იმათგან, ვინც შეველასა მთხოვს, ასეთ ლაპარაკს არა ვარ ჩვეული, მათ არასოდეს წამოუყენებიათ ჩემთვის პირობა.

მერე ისევ ჩავუარე ოქრომჭედელთა დუქნებს, რომლებსაც უკან მდინარე ჩამოუდით. საღამო იდგა, უფრო და უფრო უძირო ხდებოდა ცა, ტოტებზე ფრინველი იბუდებდა. ბაზრის მოედანზე რომ გამოვედი, აუჩქარებლად გამოვემართე სახანოსაკენ, სადაც ჩემი სწავლი ცოლი მელოდა, ვისთვისაც საიმედო ვერაფერი მიმქონდა, სამწუხაროდ მივდივარ, ფიქრიდან კი არა მცილდება ის ხმლის ოსტატი, რომელსაც აღარ უხერხდება იმის კეთება, რასაც აკეთებდა, და ამიტომ აღარ ექნებათ წამალი სწავლულთ. აღარ ექნება წამალი ჩემს ცოლსაც, და სულ ვეკითხები თავს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ვუკითხო თუ არა ამალამ ლოცვები ამ კაცს, ვუწერო ავგაროზები, რომ ნიჭი ისევ დაუბრუნდეს და სარგებლობა მოუტანოს ხალხსაც და ჩემს ცოლსაც, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ. მივდივარ და ლოცვა შემომესმა, ქუჩის იქითა მხრიდან რომ აღწევს ჩემამდე, ვილაცის სულის მოსახსენებელი ლოცვა, ვილაცის, ვინც მიიცვალა, და გავიფიქრე: კიდევ ვინ მიიცვლება, ნეტავ, ან ვინ დაიბადება, რომელი ფრინველი მოძებნის ხის ტოტს თავისთვის და რომელი დარჩება უტოტოდ, რომელი კალაპოტი დაშრება უწყლოდ და რომელი ბალახი უცვაროდ, და ასე რიგ-რიგად და ასე ყველა... და ყველაზე უფრო კი ამ ხმლის ოსტატზე ფიქრისას მტანჯავს სატანჯველი, რა ვქნა და რა არა ვქნა-მეთქი, წავუკითხო ლოცვა და დავუწერო, თუ არ ვუკითხო ლოცვა და არ დავუწერო, მაგრამ თუ არაფერს არ ვიზამ, მაშინ ხომ ის გამოდის, რომ არაფერს ვაკეთებ ჩემი ცოლისთვის, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ.

და აი, ფარნის მკრთალ შუქზე უკვე დავინახე ჩემი ცოლის ოთახის ფანჯრები, სახანოს დასავლეთი მხრიდან რომ გადაჰყურებენ ბალსა და ბოსტანს. ვუყურებ ფანჯრებს და თავს ისე ვგრძნობ, როგორც იმ დროს, ჭაბუკობისას, ბაღზე გადავლით, მოთარებული მხრიდან რომ მივიდოდი ხოლმე იმის ფანჯრებთან მაღლა ასასვლელ და მისთვის საალერსო სიტყვების საჩურჩულოდ. და არ ვიცი, როგორ არის და რატომ არის, მაგრამ ის ოსტატი მუდამ ფიქრში მყავს, და რამდენსაც ჩემს ცოლზე ვფიქრობ, იმდენსავე ვფიქრობ იმაზეც, და ეს ორი ვერ დამიცილებია ერთმანეთისთვის, და მაწვალებს ეს კავშირი, ხაიმ-

ეფენდი, ბრძენო ყადი, ჩემი ცოლის ბიძავ. მაინც როგორ არის, რომ ჯერ ის კაცი უნდა განიკურნოს, მერე კი იგი განკურნავს ჩემს ცოლს, ვეკითხები თავს და არ ვიცი, რა არის ეს.

ჩემი ცოლის კიბეს ავუყუევი. მის ოთახს სხვა ასასვლელი აქვს, რომლის საფეხურებიც ამ ბაღში იწყება, ჩემთან კი ფუნდუკის საფეხურებიც გამოკყავხარ, იგივე კიბე იმ ჩემს ოთახშიც ამოგიყვანს, სადაც ჩემი წიქნისაა აწყვეია. შენ კი გაგიმხელ, მაგრამ სხვასთან ამას არ ვიტყვი, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, რომ მის ოთახში ფეხაკრეფით შევიდოდი ხოლმე, თითქოს ჩიტი შეფრთხილდაო ფრთაგაშლით, ისე შევდიოდი, რომ მისი სიმყუდროვე არ დამერღვია, რომ მივახლებოდი საამო სიტყვების სათქმელად, და არ აბოვება ქვეყნად ისეთი ლამაზი სიტყვა, მისთვის რომ არ ჩამეჩურჩულა, როცა აი ასე შევდიოდი მასთან.

ახლა რაღა ვუთხრა? როგორი სიტყვით გავუხარო გული? რომელი ჩიტის ფრთა გადავაფარო, როგორი ხმლების წყლით განვკურნო ან როგორი ბაღაში?

ზღურბლსა და მის ოთახთან ამავე საფეხურებს შორის ერთი პატარა ადგილი არის. დავდექი იმ ადგილას და ზევით ავხედე კიბეს, რომლითაც მასთან უნდა ავსულიყავი. ზემოთ მიიღტვოდა ჩემში ყველაფერი — ჩემი სული, ჩემი ფიქრები, ჩემი გრძნობები, ასე ჭურჭლიდან მოიღტვის ორთქლი, და მომეჩვენა, რომ აღარ ვიყავი ადამიანი, ორთქლას მსგავს რაღაც მსუბუქ ნისლად ვიყავი ნაქცევი, ცვარიან ბალახს შემობურული, და ეს ყოველივე იმის გამო იყო, რომ ჩემმა სულმა მისი სულის სიახლოვე იგრძნო, და ახლა ჩვენს სულებს ეს რამდენიმე საფეხურიდა მიჯნავდა მხოლოდ. და აი, ავდივარ ზემოთ, როგორც მუეძინი ავა მინარეთზე ღმრთისათვის ვედრების სათქმელად, დაე, ნუ გაგვყაროს ერთმანეთს ნურასდროს მე და იგი, სამარეშიც კი, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, სამარეშიც კი, დაე, ერთ სულად შეერწყნენ ერთმანეთს ჩვენი სულები, და ასე დარჩნენ სამარადისოდ, როგორც დარჩნენ ერთად მიწა და ქვა, ალი და ნაკვერჩხალი, ფოთოლი და ნაყოფი, თესლი და მოსავალი...

კარი შევალე, მანამდე კი ოდნავ ჩავახველე, თითოთ კარის მოხატულ წირთხლზე დავაკაკუნე და შევედი, თან ღმერთს მოვუხმე, ჩვენი ორთავეს ხსნა შევავედრე, შემდეგ კი ყოველი არსი მისგანვე შექმნილი: რაკი შეუქმნია ღმერთს ისინი, მანვე დაიფაროს. მერე მზერა მისი სახისა და ხელების თეთრკანს მოვავლე, მისი ატლასის ჭრელ-ჭრელ სამოსელს, მის ბეჭდებს და ყელსაბამს შევხედე და სული მისი მორთულობითა და მშვენებით ავივსე, და შიშმა შემიპყრო იმის გამო, რომ ამ სიხარულით ჩემს სულს დიდხანს აღარ ეწერა ზეიმი, ხაიმ-ეფენდი, ბრძენო ყადი, დაე, ამაღლდეს გონება შენი.

იგი წამოდგა და მსუბუქად დამიკრა თავი, თან ჯერ ნიკაბთან მიიტანა ხელი სალაშის ნიშნად, შემდეგ შუბლთან და მერე სარტყელთან. ასე იდგა ერთხანს ფეხშიშველი რბილ ხალიჩაზე, რომლის ნაყშებში ინით შეღებილი მისი ფეხის თითები მოჩანდა და მის ფეხებზე ზოგი რამ დავლანდე, მე რომ უნაზეს და უძვირფასეს ცოცხალ ყვავილებად მიჩნდნენ. შევხედე და გული დავირწყულე, მერე მზერით მთელ მის სხეულს მივეალერსე ტერფით თხემამდე,

ვერცხლის ფულებით მორთულ ტებელუკამდე¹. ღუკატებს შორის, ნაზ აბრე-
შუმის სამაგრს ქვემოდან შავი თმა უჩანდა, ყურებს ირგვლივ მის თეთრ კანს
ვხედავდი, მთელ მის ხატებას, ფიქრით მუდამ თან რომ დამქონდა, საითაც
უნდა წავსულიყავი, სადაც უნდა ვმჯდარიყავ ან რაზედაც უნდა მელაპარაკა,
რადგან სხვაგვარად, მასზე უფიქრელად აღარ შემეძლო არც ~~არც~~ არც
ჯდომა და არც ლაპარაკი, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ~~ცოლის ბიძავ~~

იგი მომემსახურა და ჩემ მარჯვნივ ლაზურის² საპირეგადაკრულ ბალიშზე
ჩამოჯდა. ბალიშის საპირეც მისი საწმერთულივით იყო ნაირფრად მოჩითული
და ისე ჩანდა, თითქოს ქალი ბალახსა და ყვავილებში იჯდა, საიდანაც მისი
მკერდი, მკლავები და თავი ამოზრდილიყო, ღმერთო დიდებულო, რა სიამოვნებაა
იჯდე. მის გვერდით, გრძნობდე მას, შეჰყურებდე, ისმენდე მის ხმას და
კიდევ უფრო დიდი ბედნიერება მაინც ისაა, რომ ესაუბრები და იცი, რომ არ-
ავის დედამიწის ზურგზე, არც ერთ მამაკაცს, შენ გარდა, არა აქვს უფლება მას-
თან საუბრისა, მასთან ჯდომისა და მისი მოსმენისა, მე, მხოლოდ მე ერთადერთს,
მის ქმარსა მაქვს ამის უფლება, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბი-
ძავ, მხოლოდ მე მაქვს ამის უფლება.

და არ ვიცი, თუმც ადამიანს არც მინიჭებია ყველაფრის ცოდნა, რატომ
მომეჩვენა, რომ ჩემს ცოლსაც იგივე სენი სჭირს, რაც იმ ხმლის ოსტატს, მათ
სახის ფერიც ერთნაირი აქვთ, გამოხედვაც, სუნთქვაც და მოქცევაც, ზუსტად
ერთნაირივე ნაღვლიანი ღუმილი და გარინდება იციან ხანგრძლივად, ასე მო-
მეჩვენა, თუმც არამც და არამც არ მსურდა, რომ ასე ყოფილიყო, და არაფე-
რში არ მინდოდა მათ ორს შორის მსგავსება მენახა, არ მინდოდა იმ ხმლის
ოსტატის სენი შემხებოდა, არ მსურდა ის ხმალი და იმ ხმლის ნაეური წყალი
დამჭირვებოდა. ვინც მიანიჭა სიცოცხლე ჩემს ცოლს, იგივე მისცემს მას ჯა-
ნის მრთელობას, შენ, უფლის ერთგულო, შენ, ხალხთა შორის გამორჩეულო,
სწავლულო ყადი, — ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ის მისცემს მას ჯანის
მრთელობას.

მაგრამ მე თავი ვერ შევიმაგრე და ვუთხარი, დღეს სადაც ვიყავი. ხმლის
ოსტატისა და მისი ხმლების ამბავი მოეუყევი, სნეულებათა განმკურნავ წყა-
ლზეც ვუამბე. ის თავდახრილი მისმენდა და მოთმინებით ელოდა ამბის გაგრ-
ძელებას. ზოგჯერ ასეთი მოლოდინი აქვთ ხოლმე იმათ, ვისაც მე ურუფიის
ლეგენდებს ვუყვები. ვიცი, იქ, ფუნდუკში როგორ მისმენენ ადამიანები,
ბრძნულ არაკებსა და თავგადასავლებს რომ ვუამბობ ხოლმე, და ვიცი, რატომ
მისმენს ყოველი მათგანი. გასაოცარია, ო, დიდებულო ყადი, ხაიმ-ეფენდი,
თითოეული როგორ უკავშირებს ჩემს ნაამბობს ყველაფერ იმას, რაც თავად
მასშია, რაც მათ უქნიათ ან რასაც იზამდნენ, რომ გაებედათ ან რომ შესძლე-
ბოდათ ექნათ.

აკი ასეც არის, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჭეშმარიტებანი ხომ ჰაერივით
ეფინება ყოველივეს და ყველას ეხება. და აი, საკვირველია, რომ ჩემი ცოლ-
იც ისე მისმენდა, როგორც ფუნდუკში მისმენენ ხოლმე ადამიანები, რათა ნა-
ამბობში სათავესო დაინახონ რამე, ან თავიანთივე თავი იცნონ, რადგან ჩვენ
ყველანი სხვათა მონათხრობში ჩვენსავე თავს ვხედავთ, ჩვენისავე საქმეების

1. ქალის მომცრო, ბრტყელი ქუდი, წვრილი ფულით ან მარგალიტით მორთული, სიბრძით
ან ოქრომკედლით ნაქარგი.
2. შალის წმინდა ქსოვილი.

რადაცა ნაწილს, ჩვენისავე ბედ-იბლის რომელიღაც ნაწილს, და ამიტომ არის, რომ ჩვენვე გვარგებს სხვათა ამბების სმენა.

მერე ჩემს ცოლს ვუთხარი, რომ შენთვის არ იპოვება-მეთქი წამალი იმ ოსტატის ხმლებში, ვისთანაც ვიყავი, მაგრამ წამალს ღმერთი გიბოძებს, იგი მოწყალეა და ხელავს შენს ავადმყოფობას, და კიდევ ვუთხარი, იმ ოსტატმა რომ მოხოვა, ლოცვები წამიკითხე და ავგაროზები დამიწერეს, რომ გამოვკეთდე და ისეთი ხმალი გამოვკვეთო, მე რომ მიინდა და არ ვაძალმძისო, არადა, მიინდოდა ამ ხმლების წყლით სნეულნი განკურნებულიყვნენო. ჩემმა ცოლმა კი მითხრა: — მაშინ წაუკითხე ლოცვა და დაუწერე ავგაროზიო, დაე, გამოვკეთდეს, მერე კი სხვები განიკურნონო, დაუწერე ავგაროზებიო, — მითხრა ჩემმა ცოლმა. მერე კი დადუმდა და მეც დავდუმდი იმასთან ერთად, და არ მსიამოვნებდა, რომ ჩუმად ვიყავით და ჩვენ-ჩვენს ფიქრს ვფიქრობდით, მე კი იმაზე ვფიქრობდი, იმ ორთავეზე, იმ ხელოსანსა და ჩემს ცოლზე ვფიქრობდი და ვერ დამეცილებინა ფიქრში ერთმანეთს, და არ ვიცი, რატომაა ასე, და რაკი არ ვიცი, ამიტომ ყველაფერს ჩემი სულის სისუსტეს ვაწერ, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, სულის სისუსტეს, და ასე ვამბობ: — დაიფარე, უფალო, სული ჩვენი, რომ ჩვენისავე საქციელის უფალნი ვიქმნეთ.

შემდეგ მან ვახშამი მოიტანა, ჩვენ წინ, მუხლებთან ფართო, აბრეშუმის ბალდადი გაშალა, მერე ზედ პური დადო, ყველისა და ყაიმაყის ჭურჭელი დააწყო, შარბათიანი ფიალები შემოდგა. საქმელი უგემური გვეჩვენა, ისე, წესისთვის ვჭამდით, და სულ იმ ოსტატზე ფიქრით ვიყავით მოცულნი, და არასოდეს ისეთი რამ არ შემხვედრია, ასე რომ მიეჩაჭვოს ჩვენი ფიქრები, როგორც ამ ხმლების ოსტატზე მოხდა. კაცზე, რომელსაც ყველაფერი შეეძლო, მაგრამ აი, ისეა საქმე, რომ ახლა აღარაფერიც არ შეუძლია. და გული გვწყდება, რომ არ შეუძლია, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, გული გვწყდება, რომ აღარ შეუძლია.

აი, ასე იქცა ეს ხმლის ოსტატი მესამე კაცად ჩვენ ორთა შუა. გარდა იმისა, რომ მას ფიქრში ვხედავ და ვცდილობ ცოლს ისე დავუხატო, როგორც არის, მაღალი, ფერმკრთალი, მოგრძო, თხელი პირისახისა, ღრმა, აზრიანი თვალების პატრონი, წყნარი სიტყვა-პასუხისა და ღონიერი ხელების მქონე, ისეთი ღონიერის, რომ ხმლებსაც კი ამსხვრევს, ეს კაცი სულ აქ არის უჩინრად, ამ ოთახშია. ვერიდებოდით, არაფერი გადამეჭარბებინა ამ კაცის აღწერისას. ადრე არასოდეს არ მიაბზნია სხვა კაცებზე ჩემი ცოლისთვის, და ვფიქრობ, არ არის კარგი, სხვა კაცებზე უამბო ქალს რამე, რადგან შეიძლება მან ფიქრში გაივლოს, რომ სხვა, შენზე უკეთესი არსებობს ვინმე, და რა საჭიროა აზრი ასეთი მხრით შეუბრუნო, როცა ამ ამბიდან არაფერ სიკეთეს არ უნდა ელოდე, ავს კი იმდენს უნდა ელოდე, რამდენსაც ძნელად თუ წარმოიდგენ, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, რამდენსაც ძნელად თუ წარმოიდგენ.

ვახშმის შემდეგ კარს უკან მდგარ ლანგარზე დავიბანე ხელი და ასე მეგონა, რომ ისიც, ის მესამე კაციც, ის ხმლის ოსტატიც ჩემთან ერთად იბანდა ხელს იმავე ტაშტზე, ხელი გაიწმინდა პირსახოცით და დაჯდა ფანჯარასთან, სადაც ჩვეულებრივ მე ვზივარ ხოლმე, და მომეჩვენა, რომ ის იქვე დარჩა, როცა მე, როგორც ყოველ ღამით ვიცი ხოლმე, ფუნდუკის მეორე ბოლოში გავედი ხალხთან ჩაის დასალევად და სასაუბროდ ისეთ ამბებზე, რაც ოდესღაც იყო, ან ეგება შემდგომში მოხდეს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ. აღელვებული ვიყავი და უფალს შევთხოვე, რომ ამ ღამით ჩემი საუბარი გონი-

ერი და ხალხის სარგო ყოფილიყო, რომ ამ დამით არ შეეშინებინა ხალხი ჩემს ნაუბარს, იმას, რაც მე ვიცოდი და უფრო კი იმას, რაც არ ვიცოდი, შეგთხოვე უფალს.

უამრავ დიდსა და მცირე ოთახზე გავიარე, სადაც საერთოდ არავინ შედის ხოლმე, იქ წყვეტილი იდგა, ცივი სიცარიელე სუფევდა, მხეჩმბე მხეჩლოდ ძველი ფუნდუკებისა და დერეფნების, მიტოვებული გოდოლები და მსახურთვალთვალთ კოშკების მგავს შენობებში რომ იცის ხოლმე, სადაც ღამღამობით მთვარის შუქი დაბოროტობს და უკუნი მოცოცავს... და მელანდებოდა, რომ ამ სიბნელეში ხმლის ოსტატი თავის ხმლებს ამსხვრევდა, და ყურში ჩამესმოდა, როგორ ეცემოდნო ფოლადი იატაკზე, აი, დაეცემა და დაიყლარუნებს. ამის გამო შიში მომერია, და ვისწრაფოდი, ჩქარა გამეღწია ამ ოთახებიდან, გავშორებოდი ამ ხმლებს, რომ როგორმე მალე მოვხვედრილიყავ ხალხში, ფარნების შუქზე, ჩაის სურნელში და თავი დამეხსნა.

ხალხი ფეხზე წამოდგა, მომესალმა. მერე დასხდნენ და მღუმარედ დამელოდნენ, რომ თხრობა დამეწყო. მე ჯერ ჩაი დავლიე, ჩაი სურნელს გამოსცემდა და შიგნიდან მათბობდა, სწორედ რომ სადღაც შიგნით ვგრძნობდი რაღაც სიცივეს, რომელიც, მგონია, მაშინ შემოვიდა ჩემს სულში, არსებაში, იმ ხმლის ოსტატის ოთახში რომ ვიდექი, და ახლა, როცა ჩაით ვთბებოდი, ისევ ხმლის ოსტატზე ვფიქრობდი, და თავს ისევ ვეკითხებოდი, შევავედრო ღმერთს მისი თავი, რომ ისევ შეძლოს ხმლების გამოჭედვა, თუ არ ვილოცო ოსტატისათვის და უფლის ნებას მივანდო ჩემი ცოლის სნეულება-მეთქი, მანამდე კი ვითმინო სიმწარე, როგორც მთელი ქვეყანა ითმენს უბედობას.

როგორც მჭკნარ ყვავილებს სჭირდება ცვარნამი, რომ გამოცოცხლდნენ და თავი ზეასწიონ, ისე ამ ადამიანების აზრი უნდა გამოეცოცხლებინა ჩემს სიტყვებს და ცისნამად მოხბკურებოდა იმათ გონებას, და მე, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, როგორც ჩემი წოდებისა და საქმის კაცს შეჰფერის, უნარიც მქონდა ადამიანთა თავებში ფიქრები აღმეძრა, გულებში ცეცხლი დამენთო და მათ თვალებში ალი ამეგზნო. ახლა მე ამისთვის ვემზადებოდი. ჯერ ლოცვით დავიწყე, მერე მათ იმაზე ვესაუბრე, თუ კაცი კაცს როგორ უნდა ეხმარებოდეს, და ამაზე მითხრეს, მართალიაო, დამეთანხმნენ და ამით ფიქრი ისევ ხმლის ოსტატზე დამაწყებინეს, და გულში მტკიცედ დავიფიცე, მისი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ-მეთქი, რაც შემიძლია — ლოცვებს წავუკითხავ, ავგაროზებს დავუწერ, რომ იქნებ ხმლებზე მაიმუნების გამოსახვასა და ხალხის განკურნების ნიჭი ისევ დაუბრუნდეს და მერე ხომ ჩემს ცოლსაც განკურნავს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ.

შემდეგ კი, შუალამემ რომ მოაწია, ავდექი და ჩემს ოთახში წავედი, იქ, სადაც წიგნები მაქვს. საუბრის შემდეგ ცოტა ხანს დასვენება მინდოდა, მერე კი წიგნებს უნდა ჩავღრმავებოდი და ხმლის ოსტატისათვის ლოცვა წამეკითხა. თუ იმას ჩემი ლოცვა უშველის-მეთქი, ვიფიქრე, მე კი მქონდა ამის იმედი, მისი ხმალი ჩემს ცოლს განკურნავს და ორთავესათვის კარგი იქნება. ვფიქრობ ასე, და ხელებით ფანჯრის ჩარჩოს დავეყრდნე. იქით გავიხედე, ღამის სიბნელეში, მერე ქვემოთ ჩავიხედე და უცებ ჩემი ცოლის ფანჯრებქვეშ კაცი დავინახე ბაღში. ის ჩემი ცოლის კარიდან გამოვიდა — შუალამისას, ჩემთვის უცნობი კაცი. და ისე გავხდი, თითქოს იმ ოსტატის ერთ-ერთი ხმალი ფეხებში შემოვკრათ ჩემთვის და ძირს დავცემულიყავი, თითქოს მართლა მოვესხიპე ხმალს, დევნილი ნადირივით გადაველო ის კაცი ღობეს, და იმავე წამს იმ ოს-

ტატის ხმლებზე რომ მხეცები ისახებიან, ისინი გამახსენდნენ, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ოსტატის ხმლებზე რომ ისახებიან.

ჯერ მუხლი არ ჩამკეცოდა და შემედლო დავდევენბოდი, არასოდეს ისე არ მიჭრიდა თვალი, როგორც მაშინ ვხედავდი ცხადად, ისე არასდროს დამჭირვებია ჩემი თვალები, როგორც იმ წუთს, როცა ვუყურებდი, რას აკეთებდა ის კაცი ბნელში, რას აკეთებდა ის კაცი ბნელში ამ ჩემს ფანჯრებთან, ჩემს ხმლებზე ჩემმა ცოლმა მოაფერადა, რომ მოჩითული ფანჯრები ჰქონოდა, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, რომ მოჩითული ფანჯრები ჰქონოდა.

ბალის ბილიკებზე იმ კაცს ფეხი არ ერეოდა, და ამით ვხედავდი, რომ ჩემი ბალი მან კარგად იცოდა, უფრო უკეთ, ვიდრე მე ვიცოდი, და თანაც ღამით, ბნელსა და უკუნში, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ბნელსა და უკუნში.

ნეტამც ბალს მეხი დასცემოდა, ხაიმ-ეფენდი!

მარტოდმარტო მიგიტოვებდნენ, ჰოი, უფალო!

ვისი ცოლია ახლა ის ქალი, ჩემი ცოლი რომ ერქვა აქამდე, ვეკითხები თავს, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ვისი ცოლია?

სიტყვებს უაზროდ ვამბობ, რადგან თავი საშინელი ფიქრით მაქვს სავსე, ო, ჩემო ყადი, უსაშინელესი ფიქრით მაქვს სავსე, და სულ ვშიშობ, არ გადავიდე ქუდიდან, არ გამოვვარდე ქუჩაში ქუდმოხდილი და ფეხშიშველი, მე ხომ ყადი ვარ!

აი, ის მიდის, ღვთის სნეული შემონაქმედი მიდის ღვთის სნეული ქმნილებისაგან, სნეული აქვთ სული ორთავეს და სხეულებიც სენს შეუპყრია, მე ხელთ მიპყრია მათი წამალი და, ღმერთსა ვფიცავ, მქონდა კიდევ ხელი გაწვდილი წიგნის ასაღებად, რომლითაც ლოცვა უნდა მეთქვა ხმლის ოსტატისათვის და მომენახა ჩანაწერი ავგაროზად გადასაწერად, ის კაცი ჩემს თვალს ჩემსავე ბალში რომ არ ენახა, უნდა დამეწყო ლოცვის კითხვა, რომ გამოკეთებულიყო და მჭერა კიდევ გამოკეთდებოდა, ახლა კი... რა ვუყო ახლა მასა და ჩემს ცოლს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, რა ვუყო?

ღიღია ღამე... ვერ მიაწევ მის სასრულამდე, როგორც ვერ მიხვდები კაცთა ხვაშიადს... ნეტავ მე რაღას უნდა ვეწიო, ანდა რომელი გზით უნდა ვიარო, რომელი ბალი გადავიარო. ამ ჩემს ბალზე ველარ გადავივლი, ჩემი უკვე შემწიკვლულია. აი, იმისი ფართო ნაბიჯი, აი, მისი კვალი, ურჩხულის ნატერფალივით რომ დარჩა მის შემდეგ. ვფიცავ, და ღმერთმა შემინდოს, თუ ასე არ არის, რომ მისსავე ხმლებზე მოცეკვავე ყველა მის ნადირსა ვხედავ, ეშმაკის მაჭანკლებივით რომ დაბტიან ჩემს ბალში, მისთვის, ეშმაკისათვის, იმ ხმლის ოსტატისათვის პატარძალი მიპყავთ ჩემი კარიდან და სიბნელეში სულ ხმლებს აელვებენ.

და ვამბობ, ამ ღამით ჩემი ბალი ოი, როგორ გადაიქელა, სულიც როგორ გამეთელა და სარეცელიც, სარეცელში კი ბამბა და მატყლი გადამითელეს, როგორ შემოამსხვრიეს ჩემს ცოლს მკლავებზე სამაჯურები, თითებზე ბეჭდები არ შეარჩინეს. ყურზე საყურე, გულიდან კი ფონიციელი ბიძის ნაჩუქარი ყელსაბამი ჩამოაწყვიტეს. შემინდე, ჩემი ცოლის ბიძავ, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ამან!

ფეხზე ძლივს ვდგავარ, ჩემი ფანჯრის ცხაურთან ვარ მუხლზე დაცემული, პაერს ღრმად ვისუნთქავ ხანგამოშვებით, ასე მგონია სულს ვეთხოვები, ირგვლივ ჩემი წიგნების სუნი ტრიალებს, ეს სუნი შხამა ბალახივით მიწამლავს სუნთქვას და ვიშხამები, რომ ჩემივე ფანჯრის წინ მოვკვდე ამ ღამით რკინის ცხაურთან.

იქნება გგონია, ჰკუაზე გადავედი და ამ წერილს გონდაკარგული გწერ, ასე არ არის, ყადი, არა, ჯერ ისევ თან მახლავს აზრი, თვალწინ კი იმ კაცის ფერ-მკრთალი შუბლი მაქვს, ჩემს ბაღში თეთრად რომ ჩანდა მისი ხმლების იმ/დაწყველილი და ეშმაკეული შუქის კრთომაზე, ამას და კვლავ ვეძებ, რომ ჰკუიდან შეშლილი არა გწერ ამ ამბავს, რომ გონზე მყოფი ვარ, უფაღწინა-სარეცელზე მწოლიარე ჩემი ცოლი მიდგას, თეთრი იასამნისდარი მისი სხეული, იმ კაცისათვის მკვენსარე სხეული, იმისათვის, ვინც ჩხრიმალივით ამსხვრევს ხმლებს ხელში, ვინც მეჩეთში ლოცვად დამდგარივით შემომლაღადებდა დღეს თავის ოთახში, მიშველე რამეო, სულში დამერღვა რაღაც, ხელები ვეღარ დამიმორჩილებია, შიგნით ჩამიქრა რაღაც და ხმლებს ვეღარ ვჭედავო.

ვისთვის უნდოდა ხმლის გამოჭედევა?

ერთი ქალისთვისო, — მან ასე მითხრა.

და ახლა, როცა ჩემი ცოლის სხეულს სარეცელზე ვხედავ, თავს ვეკითხები: — ვის ეკუთვნის ნეტავ ყვავილისებრი ეს სიქათქათე, ვისი მზერის საამებლად შექმნილა იგი, და ვხედავ, თურმე ჩემი მზერა უფრო წიგნებისკენ მქონია მიპყრობილი, ბრძენო, ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, უფრო წიგნებისკენ.

შენ კი როდი იცი, ვეუბნები ყვავილისებრ ფაფუკ სიქათქათეს, რომ მაშინაც კი, როცა წიგნს ჩავცქერი, რუვეიდის ლექსს როცა ვკითხულობ მარჯნებსა და მარგალიტებზე, ჩემთვის ვჩურჩულებ, შენა ხარ იგი! ბალახში როცა ცვარნაპკურებ ყვავილსა ვხედავ, ისიც შენა ხარ! როცა რაჟრაჟზე ტოტზე შემომჯდარი ჩიტის გალობა მესმის, შენა ხარ ისიც!

შენა ხარ იგი!

ღმერთმა ქმნას და ჩემმა სიტყვებმა ახლა მაინც მოაღწიონ ნეტავ შენამდე, კედელმა გადასცეს კედელს, დირემ დირეზე გადაატაროს, შენი ოთახის კარი გაიღოს მათთვის და მისწვდეს შენს სმენას, როცა წევხარ და ჩამოწყვეტილი გაქვს ყელზე გულსაკიდი, როცა წევხარ და აღარ შეგრჩენია თითებზე ბეჭდები.

ო, რა მშვენიერია რუვეიდის სიტყვები სამყაროს უდიადეს სილამაზეზე, პოდა, იცოდე, ამ ლექსს რომ ვკითხულობ, მე შენზე ვფიქრობ, შენა ხარ იგი!

გწერ ამ ამბავს და იმასაც გწერ, რასაც სხვა დროს სულ არ გეტყვოდი, რადგან მაშინ მშვიდი ვიქნებოდი და გონზე მყოფი, ახლა კი ვხედავ, ბევრი უნდა ვწერო და ბევრი მელანი უნდა დავხარჯო, ბრძენო ყადი, ჩემი ცოლის ბიძავ, ხაიმ-ეფენდი, ბევრი მელანი უნდა დავხარჯო.

მთელი ღამე ჩემს ოთახში გავატარე წიგნებზე თავდახრილმა, ქუდი მუხლებზე მედო, და უნდა გითხრა, რომ ასე მხოლოდ მაშინ ვიქცევი, როცა ფიქრები მაფორიაქებს, როცა უძლური ვარ, როცა არ ვიცი, საით წავიდე და როგორ მოვიქცე, ასეთ დროს ქუდი ხელით მიჭირავს მუხლზე დადებული, იქნებ თავში კარგი აზრი მეწვიოს-მეთქი, არადა, მუდამ ცუდი აზრი მომდის, ნეტავ უარესიც არ იქნებოდეს, ნეტავ ფიქრად არ მომივიდოდეს ტანთ ყველაფერი შემოვიძარცვო, ნეტავ თავში არ გავივლებდე, რომ მთლად შიშველმა ვიარო ოთახში, მთლად შიშველმა, ფეხშიშველმა და მთლად შეშლილმა, და ასეთ დროს ქუდს ისევ თავზე ვიხურავ ხოლმე, დაე, ქუდი მაინც მქონდეს თავის ადგილზე, რაკი ცოლი თავის ადგილს არა მყავ-მეთქი, ბრძენო ყადი, ხაიმ ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, დაე, ქუდი მაინც მქონდეს თავის ადგილზე.

იმ წიგნებს ვიღებდი ხელში, რომლებიც მეგონა, დამეხმარებოდნენ, და

ვუთხარი იბნ სამარს: — მომეცი სიბრძნე, რომ ვძლიო სიშმაგე, მომეცი სიბრძნე უფრო ძლიერი ქალსა და ხმალზე და დავხურე სამარის წიგნი, რადგან შიგ ვერ ვპოვე ჩემი სარგო სიბრძნე, მასში ვერაფერი ვერ ვნახე ქალზე, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ვერაფერი ვერ ვნახე ქალზე.

იბნ მირათის წიგნი გადმოვიღე. აქ მოდი იბნ მირათ, შენ მთელი ცხოვრება იმაზე ფიქრობდი, თუ რა არის რისხვა, რა არის რისხვევა და რისხვევა და რისხვევა, მე გადმომეცი ეგ შენი აზრები, რომ იქნებ ამ გულის რისხვა დავიცხოვრო, მე მომეც, მირათ, შენი აზრები! — და ხელი გავიწვდინე, ავიღე წიგნი და გადავშალე, ლამა მინათებს, შრიალეებენ წიგნის ფურცლები, ჩემი გონება გზას შიშით იკვლევს წიგნის ფურცლებზე, მაგრამ მათში ჩემი რისხვის დარი ვერა ვპოვე რა და წიგნი ისევ თაროზე დავდე სხვა წიგნთა შორის, ხელებს მუხლებზე ვიწყო, აზრს ვიკრებ და ამლამინდელ ღამეზე ვფიქრობ, მარადიულ ღამეზე უფრო გრძელსა და უფრო მძიმეზე, და ეს ყველაფერი ქალის გამოა, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, და ყველაფერი ეს ქალის გამოა.

თავი ძირს დავხარე, იქნებ თავისი ფრთა გამკრას-მეთქი ძილის ანგელოსმა, მაგრამ ძილი არ მეკარება და ვზივარ ასე თვალმილულული, თვალმილულული ვზივარ და ვფხიზლობ და ჩემს ცოლს ვხედავ, ხმლის ოსტატის ვეფხვებითა და ლომებით გარემოცულს, ვხედავ როგორ განკურნებულა, მაგრამ მერე, თავი ზომ ავწიე და თვალი ავახილე, ჩემ წინ გადაშლილი წიგნი დავინახე, წიგნი ადამიანურ ძალასა და უძალობაზე, და წავიკითხე: — ვერ გადაუხვალ ბედისწერას, ვერ გადაუხვალ, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ბედისწერას ვერ გადაუხვალ.

მეორე დღით ჩემი ცოლის ოთახში შევედი.

სულგრძელობის ლოცვა წავიკითხე, რომ თმენა შემძლებოდა, რომ ჩემს არსებაში რისხვა დამეთრგუნა.

ტანზე ფარჩა აუშარიშურდა, როცა ჩემს სალამზე ფეხზე დგებოდა ბალიშებიდან. სალამზე მან თავის დაკვრით მომცა პასუხი, სწეული თავის დაკვრით, ჩუმი სატკივრით რომ აქვს სწეული, და ფეხზე იდგა კარგა დიდხანს, ვიდრე არ ვეტყოდი, დაჯექი-მეთქი. მე კი არ ვჩქარობდი, თუნცა დროუამიც არა ჩქარობდა, რომ სწრაფად ევლო, დროც შემდგარიყო, და მეჩვენებოდა, რომ ახლა ყველაფერი შეჩერებულიყო. და აი, კედლის საათიც გაჩერდებოდა, აღარაფერი ხმას არ გაიღებდა, აღარც საათი, არც მისი ბაგენი და აღარც ჩემი, ო, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ხმას არ გაიღებდა აღარაფერი, რადგან არ შეეძლოთ.

ჩემს ყურთასმენას მისი კრიალოსნის წკრიალი მისწვდა, ახლა რომ სამკაულივით ეჭირა ხელში და აქამდე კი არ ეხლო ხელი, აქამდე, ო, ღმერთო მოწყალეო, აქამდე, და კრიალოსნის ყოველი მძივის ჩამოშარცვლაზე მე თითო ლომი აფუშვი ჩემს სულში, ო, როგორ ვტკბებოდი, როცა ვხედავდი, როგორ აფლეთდნენ მას ტანზე აბრეშუმს, ო, რარივ გამიშვლდა მისი სხეული, ო... ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ო...

მე მას მოელვარეს ვხედავდი, ხმალითა კრთომისგან წელვარებულს. მე მას შემკრთალს ვხედავდი, და ვუთხარი, დაჯექი-მეთქი, ის წელა ჯდებოდა, თითქოს ტკბებოდა ფარჩის შარიშურით, ან მუხლის მოხრა სიამოვნებდა, თითქოს ბევრჯერ აღარ უწერია დაჯდომა და კვლავ ადგომაო. და, როცა დაჯდა, თავი მისცა ხანგრძლივსა და ღრმა მდუმარებას, თვალნი ძირს დახარა, სახე წამწამთ დააფარვინა, სული ხვაშიადს, გული მწუხარებას, თავისსა და ჩემს მწუხარებას.

ვხედავ ყველა ამას, ვდუმვარ, და ჩემი სულის სიღრმიდან ლომებს ისევ ვუშვებ, ლომებს, იმ ოსტატის ხმლებზე რომ ცეკვავენ, და ახლა მე ვარ თვითონ ხმლის ოსტატი, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ.

იგი მთლად ფერმკრთალი იყო.

სასტიკ სიტყვას ვერ გაუძლებდა.

როგორ სიტყვას-მეთქი?

არც არასოდეს მითქვამს სასტიკი სიტყვა, მხოლოდ საალერსო სიტყვებს ვასმენდი, ო, რამდენი ლამაზი სიტყვა ამოუთქვამთ ამ ჩემს ბაგეებს მისი გულისთვის.

მაგრამ ახლა..

თუკი ჩემს სულში ის ხმები იმსხვრევიან, თუკი ჩემს სულში ის ნადირი დახტის!

„მოთმინებაშია შენი ხსნა და შენი გამარჯვება, ღმერთს გეფიცები, ითმინე ამიტომ, ო, ჰუდ, და ჰუდმა ითმინა“. ეს მე წუხელ ლამით ამოვიკითხე წიგნში.

შევძლებ კი თმენას?

და მაშინ მე ჩემი თმენის სიღრმეებიდან ვკითხე ჩემს ცოლს, თავს როგორ გრძნობ-მეთქი.

მან ჩემს ხმაში თრთოლვა იგრძნო, და მე ეს ჩემი სულმოკლეობით ავხსენი, და შევეცადე თავი შემეკავებინა — ვცადე გულდინჯად და თბილად განმეგრძო საუბარი და დავუწყე გამოკითხვა ჯანმრთელობაზე, ძილსა და ავადმყოფობაზე, საუზმესა და ვახშამზე, ღმერთზე — დილით თუ ილოცე, ან გუშინ საღამოს თუ ევედრე ღმერთს-მეთქი, ვკითხე და სულ ასე და ასე, ღმერთო შემეწიე, ვითომ გულმშვიდმა, ნამდვილად კი — სულმოშხამულმა, ვითომ გულაჩვილებულმა, ნამდვილად კი — გულგაქვავებულმა, არა ჩემის, სხვისი სიტყვებით ვეკითხებოდი, სულ ასე, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, სულ ასე.

ის მშვიდად მაძლევდა პასუხს, წყნარად, მაგრამ ტკივილიანი მესიტყვებოდა, და მეჩვენებოდა, რომ ახლა უფრო ღრმად ჩაჰბუდებოდა სხეულში სენი, ვიდრე ოდესმე, და ვთქვი გუნებაში, მოგიკვდება ეს ქალი, ოსტატო, და დაე, მოგიკვდეს, დაე, მისმავე ცოდვამ გამოხრას, დაე, ვერ უშველონ შენმა ხმლებმა-მეთქი და ხსნა არ ჰქონდეს აღარსაიდან.

მან ტაშტ-იბრიკი მომიტანა ხელის დასაბანად. შევეყურებდი მას, ჩემკენ გადმოხრილს, სურას, წყალს რითაც მისხამდა, წყლის ნაკადს, სურიდან გადმოღვრილს და შევამჩნიე, ფარჩის სამოსს შიგნით რა ნორჩი ჰქონდა სხეული, რა ნორჩი ჰქონდა სული ამ სხეულში, და რარეგ დასწეულებოდა ეს სული, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩავწვდი ყველაფერს, რადგან შევნიშნე, რომ ქალი ძირს ეცემოდა, როგორღაც ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ, თითქოს თავს იმაგრებდა და ისე შეძლო, რომ ჩემკენ კი არა, ნოხზე დაეცა, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ნოხზე დაეცა. ძირს დაცემისას ამოიკვნესა და მკლავები განზე გაშალა, ახლა იგი ფრინველსა ჰგავდა, ფრენის დროს ჩამოვარდნილს და ასე ფრთაგაშლით დარჩენილს მიწაზე, სნეულ ფრთებგაშლილს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ.

ხომ ვიცი, ვის გამოც დაეცა იგი, ვთქვი გუნებაში და ვინატრე, შემინდე ღმერთო, რომ საიდანღაც გახლებულ ქარს დაექროლა, ჩამოექცია ეს სახანო და ჩვენ ორთავე ქვეშ ჩავეტანეთ, მაგრამ ეს აზრი სწრაფად მოვიშორე, უფრო

სწრაფად კი სურას დავტაცე ხელი და წყალი დავასხი ჩემს ცოლს ისე, რომ მას თვითონ არ შეეხებოდა ხელით, რადგან არ მინდოდა ისეთს შეეხებოდა, როგორც იყო იმ ნატერფალის შემდეგ, გუშინ ჩემს ბაღს ხმლის ოსტატმა რომ დაამჩნია და იქ ისე დააბიჯებდა, თითქოს სეირნობსო. და ვინ უწყის, ყადი, როდიდან დააბიჯებდა იგი ჩემს ბაღში, ხეები ვერ მამცნობენ ამას, ბაღში ვერ მეტყვის, ყვავილებს არ ძალუძთ, და ვინ უწყის, როდის მტრულდა იგი ჩემს ბაღში, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ.

მკერდზე წყალს ვასხამდი, თითქოს ბაღში ვარდის ბუჩქს ვრწყავდი. იქ, ბაღში დავიხრებოდი ხოლმე, რომ ყვავილის სურნელი მეყნოსა, აქ ასე არ ვქენი, ეს ყვავილი სხვაგვარ სუნს აფრქვევდა. სველი სამოსი ტანზე მიჰკრობოდა და შევნიშნე, გამჭვირვალე ქსოვილის ქვეშ როგორ უთრთოდა კუნთები სხეულზე, და ღმერთმა დამსაჯოს, თუ იმ წუთას არ დამენახოს, როგორ დახტოდნენ მის სხეულზე სწორედ ის მხეცები, რომლებიც იმ ოსტატის ხმლებზე ცეკვავენ, და ჩემს გულში ვთქვი, რომ ის კაცი ხმლებზე ნადირის გამოსახვას იქ ვენდარ შეძლებს, თავის სამჭედლოში, რადგან ამას აქ, ამ ჩემს ფუნდუკში სჩადის-მეთქი ჩემი ცოლის სხეულზე, რომ განკურნოს ეს ქალი, მაგრამ უნდა განკურნოს ჩემთვის კი არა, თავისთვის, ყადი, და, ჩანს, ამ საქმეს კარგად უძღვება, თორემ ჩემს ბაღში რად მოვიდოდა, ჩემს ბაღში კი, თითქოს სეირნობსო, ისე დააბიჯებდა, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, თითქოს სეირნობსო.

ჩემთვის უცხო იყო ის სხეულიც და ის ლომებიც, კანქვეშ რომ უხტოდნენ, და კიდევ უნდა წავსულიყავი, მას რომ მზერით არ დავეჭვარე, ლომების გმინვით არ შევეჩერებინე. ასობით ნადირი შემომცქეროდა მისი თვალებით, ასობით ლომი შემომგმინავდა.

მზერით მაკავებდა, სიტყვა კი არ დამძრა.

გამოვერიდე, დავდგი სურა და გარეთ გავედი, ზურგს უკან სველი ხალიჩა დამრჩა და ზედ დასვენებული ცოლი დავტოვე.

ფუნდუკიდან გამოვედი, რომ ხმლის ოსტატთან მივსულიყავი. დავუწერო ნეტავ ავგაროზი, რომ იმის ხელებს ხმლებზე ნადირის გამოსახვის უნარი დაუბრუნდეს, თუ არ დავუწერო, ან წავუკითხო ლოცვები თუ არა, რა ვქნა, არ ვიცი, ო, ჰუდ, დამეხმარე, რომ კეთილად განვსაჯო: რას მივიღებ ამ საქმიდან, ან რას დავკარგავ.

არადა, ეხედავ, მოკვდება.

მაშ, როგორ მოვიქცე?

ცალი ფეხი რომ წინა მწევს, მეორე უკან მებრუნებს. რომლის ნებას დავყვე?

თუ გადარჩება, მისთვის იცოცხლებს, ჩემთვის კი იგი მკვდარი იქნება. რომელი ფეხის ნებას უნდა დავყვე?

ო, ჰუდ, შენ მოგიხმობ, მირჩიე რამე. უფრო მცირე დანაკლისი როგორ მება, რომელი დავკარგო — მკვდარი თუ ცოცხალი, თუ სულ ერთია ჩემთვის.

ცალი ფეხი რომ წინა მწევს, მეორე უკან მებრუნებს, გონება კი იქით მიილტვის, საითაც თვითონ სურს — მოედნისკენ მიდის, მოედანს გადაივლის, ხმლის ოსტატთან მივა, ხმლის ოსტატისაგან ბრუნდება.

წინ დაღმართიანი ქვაფენილი მაქვს. იმის ნაპირას წყალი მორაკრავებს, ის წყალი, სამჭედლოების მხრიდან რომელიც მოედინება. გუშინდლიდან მახ-

სოვს, როგორ არიან ჩამწკრივებულნი მღინარისკენ გადახრილი სახელოსნოები, ის მაღალი ალვებიც მახსოვს, რომლებზეც ჩიტები იბუდებდნენ, ეს გუშინ, საღამო ხანზე მოხდა, დღეს კი — დილით. ნელა მივდივარ, ფეხები ძლიერს მიმაქვს და თვალწინ წნელივით გაწვრილებული ოსტატი მესახება. რა გერმერთალია, რა გალუული. და მზერიით სწრაფად გადავამსხვრიე, დაეჩქვინე დავეცე: და ვხედავ, როგორ მოჩქევს სისხლი, როგორ იღებება მისი სისხლი წნელივით, ზევით კი, მინარეთის თავზე — ღრუბელი და ალვის ხეც წითლდება.

მოკვდეს მინდა, წიგნი კი მიმაქვს, რომ ლოცვა წავუკითხო, ლერწმის კალაში მიმაქვს, ავგაროზი რომ დავუწერო, ო, ამან! ბრძენო ყადი, ჩემი ცოლის ბიძავ, ავგაროზი რომ დავუწერო.

ცუდად ვირჩები იქ რომ მივდივარ.

დაე, იავადონ, დაე, ნუ განიკურნონ, დაე, მის ხმლებზე აღარასოდეს აცეკვდნენ ლომები, დაე, ნუ შესვამს ჩემი ცოლი იმ ხმლების ნაყურს, ო, ამან! ცუდად ვირჩები.

დაე, ასე იყოს, დაე, ხმლის ოსტატმა ხმალს ჩამაკვეროს, მეც ნადირივით ვიცეკვებ მის ხმალზე, ზევით-ქვევით ვიხტუნებ, განზეც გადავხტები, ჩემი ცოლისთვის. დაე, წამლად ექცეს მას ჩემი ნაყური, დაე, განაკურნოს. მისთვის!

მინდა კი ასე? ო, ჰუდ, რას მირჩევ? შენ გეკითხები, რამეთუ არ ხარ.

აქაა იგი. აქაა ეს ოსტატი, აქაა ეს ნახშირი და უროები, და თავსა ვკითხავ, ო, ღმერთო ჩემო, რა საერთო აქვს ჩემს ცოლს ამ უროსთან, ამ უროებთან!

ნელა შევედი მთლად გათანგული, მკლავდაშვებული, თითქმის თვალდახუჭული, ფიქრიანი იმის გამო, რომ არვინ კაცთაგან, ვისაც კი ვიცნობ, უფრო ახლობელი არა მყავს ამწუთს, ვიდრე ეს ოსტატი, ვიდრე ხმლის ოსტატი, ვისთანაც მივდივარ ნაბიჯ-ნაბიჯ, და ვისთანაც არა მაქვს ანგარიში განაღდებული, და იმაზე მეტიც, ვიდრე ანგარიში, და უფრო მეტიც ვიდრე სიციცხლე. არის რაღაც, ოღონდ რა, არ ვიცი, ვიცი კი, რომ გუშინდელს შემდეგ, წუხანდლიდან, როგორც სხეული და პერანგი განუშორებელნი ვართ ერთმანეთისგან, და დღეს რანი ვართ, შენ გეკითხები, ო, ჰუდ, რანი ვართ მე და ეს ოსტატი, შენ მითხარი, თუ იცი, რადგან მე არა გამეგება რა, გარდა იმისა, რომ ჩვენ ორთავე შემდგარნი ვართ იმ ვიწრო ხიდზე, ჩემს სახლს ზეცასთან რაც აკავშირებს, და რასაც ქალი ჰქვია სახელად.

დგას იგი, მეც ვდგავარ, ჩვენ შორის კი ღრმა უფსკრული დევს, მე ამ უფსკრულში ჩავიხედე, როცა ამ დილით მახრისაგან ფესვებგამორღნილ ყვავილივით მთრთოლვარე მკერდზე წყალს ვასხამდი სურიდან ჩემს ცოლს.

ვდგავარ მის წინ და ვესალმები ხელის აწევით. ღმერთი გწყალობდეს-მეთქი, ასე ვუთხარი, და იმ წუთში სულაც არ მძულდა, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, სულაც არ მძულდა.

ორთავეს ერთი გვაქვს სატკივარი.

ამიტომ დავიწყებ ამ სატკივარით.

გვაქვს კი წყალობა?

ეს კაცი ისე მტყურობს, თითქოს მეუბნება, არც ღმერთისგანა მაქვს წყალობა, არც კაცისა და აღარც ხმლისგანო, და თითქოს ისიც უნდა მითხრას, რომ საბაბიცა მაქვს, აღარ ველოდე ღვთის წყალობასო.

ჩემმა უილაჯობამ მომიყვანა აქ. მოვედი, რომ იქნებ დანაკარგს გადავურჩე-მეთქი. მაღალი მწვერვალებიდან დავეში აქ, ამ შენს რკინასა და შენს ნახ-

შირზე რომ შეთქვა შენთვის: ო, მეუფეო, ო, ხელმწიფეო.. და ამის შემდეგ მე-
თხოვა სათხოვარი.

ნუ შეგეშინდება ჩემი, ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და იმ-
ას ერიდე მხოლოდ, რომ სიტყვით არ გავთქვათ თავი ერთმანეთთან ასე შევი-
ყუთოთ ჩვენ ჩვენს ფიქრებში. ვითომ ბავშვები ვართ. ვითომ ბავშვურ თამაშს
ვთამაშობთ: შენ ხმალი გაქვს და ლომები გყავს, მე კი წიგნები და ქაღალდები
მაქვს. შენ შენსას მაძლევ, მე კი ჩემსას მოგცემ.

ეს კია ოღონდ, შენ ჩემი უკვე წაღებული გაქვს და მე მხოლოდ მოხატუ-
ლი ფანჯარა შემრჩა, მხოლოდ მოჩითული კარი და ცარიელი ოთახი დამრჩა.
შენ არც კი იცი, რომ ის ახლა ოთახში წევს სრულიად სველი, რადგან წყალი
ვასხი გონზე მოსაყვანად, ჰოდა, იცოდე, რომ მოგიკვდება, ვთქვი გუნებაში,
ვიდრე ხმამალა ვეტყოდი რასმე.

წინ ჩამომიჯდა და ასე მითხრა მოულოდნელად: — არა, ყადი, ვერას გავ-
ხდები, აღარ ისახება ამ ჩემს ხმლებზე არც ერთი ნადირი, აბა, შეხედე, რამ-
დენი მაქვს, ყადი, დალეწილი.

თავი ისე შეჭირა, ვითომ სულაც არ ვიყავი ხმლისთვის მისული, და
ღმერთს ვევედრები, შეენდო ჩემთვის, რომ ვთვალთმაქცობდი, და ბეჯითად
ვკითხავდი ჩემს თავს: — აქ რისთვის მოვედი, თუკი ვიცი, რომ ვერას მივი-
ღებ და მხოლოდ დავკარგავ, მაშ როგორ მოვიქცე, თავს დავეკითხე, ო, ჰუდ,
ნეტავ როგორ მოვიქცე, ვეკითხები თავს.

ოსტატი რკინებზე იჯდა. ფერმკრთალი ჩანდა გუშინდელივით. და გუშინ-
დელივით იყო ყველაფერი: ქურაც, საბერველიც, მჭვარტლიც და ნახშირიც,
ურაც და ფოლადიც, და ის ოთახიც, რომლის კედლებზეც უამრავი დაუმთავ-
რებელი ხმალი ეკიდა, სარკმელიც, საიდანაც მზის სხივი შემოდისოდა და კუ-
თხეში მიფენილ ცხვრის ტყავს ეცემოდა, რაზედაც მისი ბალიში, საბანი და
ზეწარი ჩანდა. ეს მისი ლოგინი იყო. ოსტატმა მასზე დაჯდომა შემომთავაზა,
რომ დავიღლები, აქ ვჯდები ხოლმეო, მითხრა, და ვწვები კიდევ, ძილი რომ
მომერევაო, ზოგჯერ სამ-სამი დღეობით ვწევარ და არა ვდგებიო. დაჯდომაზე
უარი ვუთხარი, სამაგიეროდ მასთან გასაუბრებაზე არ მითქვამს უარი და ვკი-
თხე, მიკვირს, ასე დიდხანს როგორ გძინავს-მეთქი, არადა, სულაც არ მაფი-
ქრებდა იმისი ძილი, მე მხოლოდ მისი ხმლები მედგა თვალწინ, და ვკითხე,
სამ-სამი დღე გძინავს-მეთქი?

სამიც, ოთხიც და ზოგჯერ კი, ხმალს რომ გამოვჭედავ, ხუთ დღესაც ასე
ვწევარო. ხმალს გამოვკვერავე, ზედ ნადირი დათამაშებს, გავყიდი და მერე
აღარ ვმუშაობ, შემდეგ თვეობით აღარ ვმუშაობ, ვზივარ, ვწევარ ან მძინავსო,
მითხრა.

— და არა მუშაობ?

— ხალხი კი მთხოვს ხოლმე, მაგრამ მე არა ვჭედავ, აღარაფრის კეთება
აღარ მინდა ხოლმე, ვიდრე არ მოვიმშევ, ჰოდა, რომ მომშივდება, ისევ ხმალს
ვკვერავე, ლომისსახიანს და ისევ ვყიდი. ოღონდ მაშინ კი, როცა არ მომდევნ
ლომები ხმალზე, არც ერთის გაჭედვა აღარ მინდა ხოლმე. ახლა კი მინდა, რომ
რაც ცისქვეშეთში ნადირი არსებობს, ყველა ჩემს ხმლებზე აცეკვებულიყო,
მაგრამ არ მოდიან! ო, ყველაფერი დავკარგე, ყადი!

— შენ ზომ ასეთი ახალგაზრდა ხარ, ნუთუ შენც კარგავ?

— ვკარგავ.

— მაინც რას კარგავ?

— თვალის ჩინზე შეტს.

— ბევრი დაგიკარგავს, — ვუთხარი მას და გულში დავუმატე ვიცი, ვისზეც ფიქრობ, იგი სველი წევს ხალიჩაზე და მოკვდება, თუ არაფერ არ მიეშველა. ჰოდა, ვინ იცის, ო, ჰუდ, იქნებ მოკვდა კიდეც. ჰოდა, ვინ უწყის, ო, ჰუდ, შევწუხდები თუ შესიამოვნება, რომ მიიცვალოს, ო, ჰუდ, შევწუხდები, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, აღარაფერი შენ აღარ შეტს.

შევატყვე, რომ ისიც იმას ფიქრობდა, ვკარგავო, და თავს დავეკითხე, ო, ჰუდ, ვინ შეტს დაკარგავს ჩვენ ორთა შორის, ვინ შეტს მიიღებს, ო, ჰუდ, არ ვიცი. და თუკი იგი მკვდარია უკვე, ო, ჰუდ, რომელმა მეტი დაგკარგეთ, თავს ვეკითხები, იმან თუ მე, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, იმან თუ მე.

იმან-მეთქი, მაინც რად ვამბობ, რა კავშირით ვარ მე ამ კაცთან შეერთებული, ან ჩვენ სამივე რამ შეგვაერთა, ო, ჰუდ, მითხარი, ვინ არის ეს კაცი და რანაირად ჩამეტრა სულში? ანაზღეულად ჩამეტრა სულში, თითქოს ფუნდუკს ლოდი მოსწყდაო, და სხვაგან კი არა, ჩემს სარეცელს დაეცა პირდაპირ!

ხელთ წიგნი მიპყრია. სამელნე. კალამი. ქალაღდი. თითქოს ყანაზე ვაპირებდე ტაპირის შედგენას, და მსურს დავადასტურო, რომ ჩვენ ყანას ერთობლივად ვფლობთ, ნაწილს მე და ნაწილს ეს კაცი. თლონდ ის ნაწილი სადაც გულია, მთლად მას უპყრია, რადგან იგია შეუზღუდველი, მძლავრი მფლობელი მისი გულისა, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ესე იგი, ჩემი ცოლის გულის მპყრობელი.

აკი ვთქვი. ხელში წიგნი მიჭირავს-მეთქი. სამელნე. კალამი. სხვა დროს დავჯდებოდი და ავგაროხს დავწერდი. ახლა კი არ შემიძლია, თუმცა აქ მოსული ამისთვისა ვარ. ან იქნებ აქ თავად ეშმაკი მომიძღვა, კარგ ყანასავით დაადგა თვალი ამ კაცმა ჩემს ცოლს, მიისაკუთრა, და ამ საქმეში გულის გზით უვლია. ჰოდა, გულის გზას ვინც გამოჰყვება, კიდეც გააღწევს გზის დასასრულამდე, რადგან საიმედო ის გზაა მხოლოდ, გულიდან გულისკენ რომელსაც მიჰყავხარ.

ო, ჰუდ, ეს ასეა!

ავაზაკო-მეთქი, ვუთხარი ჩუმად, ისე ჩუმად, რომ არ გაეგონა. არც ერთი საყვედური არ უნდა ვასმინო, არც ერთი სიტყვა, რომელიც გამცემს, არანაირი ეჭვი არ უნდა იგრძნოს ამ ჰაიდუკმა, ვისთანაც მიწაც და ცაც ზიარი შაქვს, და ის მზის სხივიც, კაშკაშით რომ მათბობს, არ უნდა მიხვდეს, რომ მისი ხვაშიადი ვიცი, რომ ვიცრ, ვის გამო და რითაა სნეული, სულ არაფერი არ უნდა იგრძნოს, არაფერი, ამან, სულ არაფერი, გულო, ქვა დაიდუ, და ლოდდადებულმა იცადე მდუმარედ. ო, ჰუდ, თმენა და დუმილი მასწავლე, აკი შენც იცოდი დუმილი, ამან, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ამან!

არ უნდა წამომცდეს სიტყვა, ზეცა ვერ დაიტევს ჩემს სიტყვებს, ზეცა ჩემს ერთადერთ სიტყვა ცოლსაც კი ვერ დაიტევდა! თლონდ არ მკითხო, ამ სიტყვის თქმისას რას ჩავიდენდი, ო, ჰუდ, ამას თლონდაც რომ იგრძნობდა ეს კაცი, თლონდაც რომ გაიგებდნენ ამისი ხმლები... რა მანძილია აქედან ზღვამდე... სწორედ იმდენ სისხლს ვანთხევიანებდი, რომ მის სისხლს მდინარედ ედინა ზღვამდე, ო, ჰუდ.

1. უძრავი ქონების მფლობელობის დამადასტურებელი საბუთი.

მე შეშინია ამ ჩემი ფიქრების, თავზე ჩაღმა სულ ზევ-ზევით ამდის, ყურში კი ჩამესმის: გზიდან ნუ გადაგყავს შენი გონება... სიცოცხლის გზით უნდა იარო და არა სიკვდილის, აქაც ხომ იმან მოგიყვანა, რომ მისი სიცოცხლისათვის, ო, ყადი, შენი თავი სძლიო.

და ახლა აქა ხარ.

ახლა თავი მოხადე სამელნეს და დაუწერე ავგაროზზე ხმლებზე ნადირის გამოსახვა ისევ შეიძლოს, შენმა ცოლმა კი იმ ხმლის წყალი სვას და განიკურნოს. ამისთვისა ხარ შენ აქ მოსული. ჩამესმის ყურში და პასუხს ვერ ვაძლევ, არ შემიძლია, იმიტომ რომ თავს ვეკითხები, ვისია ის ქალი. რა ნაწილია მასში ჩემი, ანდა ჩემი არის კი რამე მის არსებაში, გარდა წინდის და ფეხსამოსისა.

გულია ადამიანი, მისი გული კი არ არის ჩემი.

ჩემი ცოლის გული ამ მჭედელმა თავისთვის გამოჭედა.

თავში ასეთი აზრები მიტრიალებს, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ. ახლა ჩემს სიტყვებს არ ახლავს აზრი, არა აქვთ ძირი:

აღარც სიყვარული მაქვს, აღარც სიძულვილი, ხოლო ვისაც ესენი აღარა აქვს, მას ფეხქვეშ საყრდენიც გამოცლილი აქვს, არც გასაქანი აქვს ზევით ან ქვევით, აღარც გეზი აქვს, მარცხნივ ან მარჯვნივ, და საითაც არ უნდა გადადგას ჩაბიჯი, ყველგან ხმალი ელის.

ველი, ჩვენს საუბარს გააგრძელებს-მეთქი, მან კი ცხვრის ტყავი აიღო, რკინის გროვას გადააფინა და ზედ ჩამოჯდა. ის ახლა ჩემზე მაღლა იყო, და მე მას მხოლოდ ქვემოდან შევყურებდი, ვიწრო სარკმლიდან შემოსული რაღაც მკვდრის შუქით განათებულ მის მკერდსა და ფერმკრთალ სახე-პირს ვხედავდი. იგი ახლა თვით ეშმას ჰგავდა, თავის ტახტზე მჯდომს. მის სიტყვას მე ისე ველოდი, როგორც მსახური მოელის მბრძანებლის სიტყვას. და უნდა გითხრა, ო, ჰუდ, რომ ჩემი სული ახლა მთლიანად ზევით მიიწევდა, ამ ეშმასაკენ, რომ შევედრებოდი, და არასოდეს მიგრძენია თავი უფრო მეტად დამცირებულად, როგორც ამ ეშმას წინაშე ვგრძნობდი, რომელსაც, ო, ჰუდ, ვერ მოვცილებივარ, მაგრამ დარჩენაც აღარ შემიძლია, რადგან ერთიც და მეორეც, ო, ჰუდ, ჩემთვის დანაკარგია.

— შენ, ყადი, ხმალი გინდოდა შენი ცოლისთვის? — მითხრა მან ზემოდან, რკინის გროვიდან.

— რომ ჩემი ცოლი ხმლით ამეკუწა! — გულში გავიფიქრე, ხმამაღლა კი ასე ვუთხარი. — ლომისსახიანი ხმალი მინდა-მეთქი, რადგან ცოლი ავად გამიხდა, — გავუბნორე, რაც გუშინ ვუთხარი. — მინდოდა შენი ხმლის ნაყური მესმია მისთვის, იქნებ ღმერთმა ქნას და განიკურნოს. — ვუთხარი მას, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, და ველი, აბა რას მეტყვის-მეთქი, და აი, შენც ისმინე, რაც მე გავიგონე.

— მე ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, შენს ავგაროზს რომ ეშველა ჩემთვის. გუშინ, მგონი, ასე გითხარი. შენ შენი ავგაროზებით ხალხის შველის ძალა არ დაგიკარგავს, მე კი უნარი აღარა მაქვს ჩემი ხმლებით განვიკურნო სნეული. შენ ბედნიერი ხარ, მე კი უბედური, მოდი, დამიწერე ავგაროზი და ლოცვაც წამიკითხე.

იქნებ ისე სჯობდეს, შენ თვითონ ილოცო და ევედრო ღმერთს-მეთქი, ვუთხარი. მან კი, ღმერთს მერე შევევედრებო, ახლა კი, ვიდრე შენ ავგაროზის წერაში იქნები, მე იმ ქალზე მინდა ვიფიქრო, ანუ ჩემს ცოლზე, ბრძენო ყა-

დი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, ანუ ჩემს ცოლზე. ახლა იმ ქალზე ბევრსა ვფიქრობო, მითხრა, და ამიტომ აღარ მომდევს ნადირი ხმლებზეო, ახლა სული ძალიანა მაქვს აღმოდებული და ცეცხლში ფოლადს რომ ვკვერთავ, გულიც ძალიან მეწურება იმ ქალის გამოო.

ჩემზეც მინდა მოგახსენო ორიოდ სიტყვა, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, როცა არ უნდა მეწერა ავგაროზი ავადმყოფისთვის, მუდამ მხოლოდ ღმერთზე ვფიქრობდი, და ისე ვიყავი ამ ფიქრით მოცული, რომ ჩემი სახელიც მავიწყდებოდა, და აი, ახლაც ასე მსურდა, როცა ამ კაცისთვის ავგაროზის დაწერას ვაპირებდი, რომ მის ხმლებზე ნადირი ისევ გამოსახულიყო, მაგრამ ვერ შევძელი. ფიქრი იმასავით მეც ქალისკენ მქონდა, მასავით იმ ერთი ქალისკენ, ჩემი ცოლისკენ. და არასოდეს ჩემი ცოლი ისე ცხადად არ წარმომსახვია, როგორც ახლა, როცა მას ლოცვისა და ავგაროზის წერისას ვხედავდი, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, როგორც ლოცვისა და ავგაროზის წერისას ვხედავდი. მე ამ კაცს მის გამო ვუწერ ავგაროზს, მაგრამ ასოებს კი ველარ ვარჩევ, მხოლოდ შუბლს, ყვრიმალეებს, სახეს, ბაგეებს და სულს ვხედავ ქალისას, ო, ჰუდ, სულს ვხედავ მისას, ასოები კი ვერ გამიჩვენია. და ვჩერდები, და ზეზე ვდგები, და წერას თავს ვანებებ, და მერე ისევ ვიწყებ თავიდან, კვლავ არ მიდის საქმე, ასოები არ მოსდევს კალმის წვერს, ენას სიტყვები, გონებაში არ ლაგდება წერილი, ველარას ვხედავ, მხოლოდ ჩემს ცოლს ვხედავ, მთლიანად მას ვხედავ, და ვხედავ, რომ ლოცვის ძალასა და ავგაროზის წერის უნარსა ვკარგავ.

— იტანჯები, არა, — ზემოდან, რკინის გროვიდან ჩამომძახა ცხვრის ტყავზე მჯდომმა. — მეც სწორედ ეგრე ვიტანჯები ხოლმე, მაგრამ რაც არ გამოდის, აღარ გამოდის, აღარც ერთი ნადირი არ იხატება ხმალზე. მერე გაებრაზდები და ხმლებს ვამსხვრევ ხოლმე. ეწამე, ეწამე, ვიცი, როგორია ეგ სატანჯველი. აღარაფერი გამოვა მაგ წვალებიდან, რაკილა გულის სიღრმიდან არ მოდის ლოცვა. შენ სადღა გაქვს ამწუთს გულისყური? ვხედავ შენც დაგრღვევია სულში რაღაცა, — მეუბნება ეს კაცი.

ვალარე, დამერღვა-მეთქი, და ამის გამო შემკრთალი და ნალვლიანი ვარ, და ვგრძნობ, რომ დავკარგე ყველაფერი, ვგრძნობ, რომ აღარა აქვს ძალა ჩემს ლოცვას. უნარი აღარ შემწევს, მთელი არსებით მივეცე ლოცვას.

ო, ჰუდ!

გული ცარიელი მაქვს. შემომხედე, ჩამხედე გულში — ცარიელია! მე რომ ახლა ხმალი მქონოდა, სულ დავლეწავდი.

ამას ხმამალლა ვერ ვეუბნები ოსტატს, რადგან შემკრთალი ვარ, მაგრამ გულში კი ვეკითხები: — შენშიც ჩაკვდა, ხომ, ყველაფერი, ასეა, არა? შენი მხეცებიც უსიცოცხლონი არიან, ხომ? როგორც ჩემი ლოცვაა უსულო, ხომ მართალია?

ახლა რაღა უნდა ვქნათ ორთავემ? ო, ჰუდ, ო, შენც, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, რაღა ვქნათ ორთავემ?

იგი წამოდგა რკინის გროვიდან. ისეთი მაღალია, ისეთი ფერმკრთალი. შემომყურებს და მზერით მეუბნება, მესმის შენო, თითქოს მეუბნება, ვიცი, კვდებიო, მეც სწორედ ასევე მოვკვდი, და მებრალები, რომ კვდებიო. ასე იფიქრებდი, სანთლებს მინთებდა, რომ სული უწვალებლად განმტევებოდა. შემომცქეროდა და შორს, ჩემ მიღმა ჩემს ფუნდუკს ხედავდა. და ამწუთს მე თვითონაც ჩემს ფუნდუკს ვხედავდი. ჩემი ცოლის ფანჯარა იმ ფუნდუკში მოჩითუ-

ლი იყო. ჩვენ ორთავე იმ ფანჯარას შევყურებდით და გუნებაში ჩვენსავე თავს ვეკითხებოდით: შენც ამ ფანჯარას შეჰყურებ? ქვეყნად ეს ერთადერთი წერტილი იყო, ჩვენ ორთავე რომ შევყურებდით.

იგი უკვე აღარ იყო თითქოს ჩემი ცოლი. ახლა ის ფანჯარას შერჩენილი რალაც ნაყშივით იყო, ხელი იყო რომელიც ფანჯარას აფერადებდა, კვადმ-ყოფი იყო, რომელიც უნდა მომკვდარიყო.

იგი ისეთი რამ იყო, რაც უკვე არ არსებობდა, აღარც ჩემთვის და აღარც იმისათვის, და მხოლოდ მისგან დარჩენილი კვალი არსებობდა — ეს ფანჯარაზე მისი მოხატული ნაყშები იყო...

მინდოდა ამ წუთებში ბრძენი ვყოფილიყავი. სხვათათვის მე მრავალჯერ ვყოფილვარ ასეთი. ახლა კი მსურდა ჩემთვის ვყოფილიყავი ბრძენი.

ო, ჰუდ, შემეწიე, ახლა, როცა ძველი ქალაქივით უნდა დავიქცე, რადგან ყველაფერი, რაც მაბადია, ჩემს მიტოვებას ლამობს: ასობიც, წერის უნარიც, კალამიც, ქალაღიც, ცოდნაც, გონებაც — ო, ჰუდ, შემეწიე!

ვუხმობ, ვევედრები, მაგრამ ხსნა არ არის.

ოსტატი კი მეუბნება:

— შენ ახლა მკვდარი ხარ!

— არა ვარ მკვდარი, — ვეუბნები მე.

— მკვდარი ხარ, რაკი ლოცვას ვეღარ ახერხებ.

— სიტყვები მავიწყდება, სიტყვები გამომრჩება ხოლმე.

— მეც ვგრე შემართება, — მეუბნება იგი.

ვწუხვარ-მეთქი, ვუთხარი, მან კი:

შენ ბევრი მიზეზი გაქვს წუხილისათ, ცოლი ავად გყავს და ახლა მას ჩემი ხმლების ნაყური სჭირდება, მე კი აღარ შემიძლია ხმლის გამოჭედვა და აი, ერთი მიზეზი შენი წუხილისა.

შენი საწუხარიც იგივეა-მეთქი, — ვუპასუხე გუნებაში დანალვლიანებულ-მა, მერე კი ვკითხე:

— რა უნდა მითხრა კიდევ?

ოსტატი ღუმდა და ოთახს თვალს ავლებდა, როგორც მხედართმთავარი გადახედავს ბრძოლის ველს, რომელზედაც ბრძოლა წააგო.

— ო, რა დიდებული ეშმაკების მოხმობა შემეძლო ოდესღაც ჩემს ხმლებზე!

— ახლა კი მისთვის, ჩემი ცოლისთვის, აღარ შეგიძლია! — ამოვთქვი ჩემთვის სინანულით და თან შიშით, რომ ხმამალა არ წამომცდენოდა ეს სიტყვა. მე ახლა მეშინოდა ამ კაცის, ის ახლა არ ჰგავდა აღრინდელს, სხვაგვარი იყო — იგი ახლა აშკარად მიბრაზდებოდა, რომ მისთვის ავგაროზის წერა და ლოცვის კითხვა არ შემეძლო. ხმლის გამოჭედვა ლოცვა როდია, სალოცავი სიტყვების ენის წვერზე მოხმობა უფრო ადვილია, ვიდრე ხმალზე სატანის მოხმობაო, — მითხრა, როგორც ღმერთმა განაწესა, ისეა-მეთქი, — ვუპასუხე მე, და ჩემი ნათქვამის კმაყოფილი დავრჩი, რადგან ჩემი და ჩემი ღირსების საკადრისი ეს ერთადერთი სიტყვები იყო, რომლის თქმაც შევძელი მისთვის, და ახლა მინდოდა მეთქვა, რომ მე ყალი ვარ, რომ მასა და მის საქმეებამდე დაშვება მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე შემიძლია, მეტად კი არა, და რომ ჩვენ სწორედ ამ ზღვრამდე მივდით. მან ეს სწორედ ისე გაიგო, როგორც მე მსურდა, ხელი ასწია და თავი დამიკრა, — და ახლა მისთვის მე სულ სხვა შევიქენი, მე ყალი ვიყავი.

— შენ — შენთვის... მე — ჩემთვის, ყადი... — მეუბნება იგი, — შენ — შენი წიგნები, მე — ჩემი ეშმაკები.

ეს კი ნიშნავდა: აქედან დაიკარგე, რაკი სავაჭრო აღარაფერი გვაქვს. თავს დავეკითხე, რა მიმაქვს აქედან და აქ რა დავტოვე. არაფერი მიმაქვს, ყველაფერს კი ვტოვებ, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ყველაფერს კი ვტოვებ.

— საბოლოოდ არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის, — ვეუბნები გასასვლელისკენ შებრუნებული, ეს კია, არ ვიცი, მაინც რა უნდა გვეთქვა საბოლოოდ ერთმანეთისთვის.

იგი მეუბნება:

— მეტისმეტად სასტიკი იქნებოდა ჩვენი სიტყვები, და ამიტომ უმჯობესია, თუ სულაც არ ვიტყვით არაფერს!

და სიტყვა არ დავძარი, გუნებაში კი გავიფიქრე, დაე, ნუ მეტყვის ნურაფერს-მეთქი, დაე, ეგონოს, რომ არაფერი ვიცი, რომ თითქოს ისიც კი არ ვიცი, რა მქვია სახელად, რომ ვილაც ძალიან ბრიყვი კაცი ვარ. ო, ჰუდ, რომ ერთი ბრიყვი კაცი ვარ, რომ უბირო ვარ და კითხვაც კი არ ვიცი, კალამი კი დამაქვს თან, მაგრამ წერა არ ვიცი. აკი მე სწორედ ასე მემართება — ველარაფერს ვწერ, როგორც ამ კაცს აღარ შეუძლია ხმლის გამოჭედვა.

და ამ მხრივ ჩვენ ორთავე თანასწორნი ვართ. და ეს ყველაფერი ქალის გამოა, ჩემი ცოლის გამო, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ.

ისე მივდიოდი, როგორც ბატონისაგან წავა მსახური, როცა გასამრჯელოს არ გადაუხდიან.

ირგვლივ ამყავებული სუნი ტრიალებდა, ეს სუნი სულს მიხუთავდა.

ზღურბლთან ოსტატი წამომეწია, და მოდი ხოლმეო, — მითხრა.

რისთვისღა უნდა მოვიდე, თუკი მეც შენსავით აღარაფრის კეთება არ შემიძლია-მეთქი, — ვკითხე, გულში კი დავუმატე: მოვალ, რადგან ამ სახლს ველარ მოვცილებივარ, როგორც შენ ვერ მოსცილებიხარ ჩემს ფუნდუკს, რაკიღა ჩვენ ორთავე ერთ მარყუჟში ვართ თავწყაოფილნი და ვერ გამოვხსნილვართ. შენ ღამით მოხვალ ჩემს ფუნდუკში მის განსაკურნავად, მე კი ხვალ მოვალ შენთან, რომ შენ განგკურნო.

ასე იქნება.

შინ რაღაც მთლად მიხვეულ-მოხვეული შუკებით ვბრუნდებოდი, რადგან სწორ გზებზე ვერა და ვერ გავედი. გზად მეგობრები მხვდებოდნენ და შესალმებოდნენ, მაგრამ მე სალამზე პასუხს არ ვაძლევდი. შადრევანთან წყალი არ დავლიე, თუმც წყურვილისგან ტუჩები მიხმებოდა. აღარაფერ იმას არ ვაკეთებდი, რასაც ხალხი აკეთებს ხოლმე, რადგან არ შემეძლო.

ფუნდუკში ჩემი ცოლის კიბეს ძლივს მივაგენი და ძლივს ავედი, თან იმას ვფიქრობდი, ნეტავ რა დღეში დამხვდება-მეთქი, და, ღვთის წყალობით, იგი კარგად დამხვდა. იჯდა ბალიშებში და ნაღვლიანი სულაც არ იყო, ფიქრიანსაც კი არა ჰგავდა და შეიძლება ითქვას, რაღაც შორეული და სევდიანი შუქი უციმციმებდა სახეზე, ნამტირალევზე რომ იცის ხოლმე გამონათება, და ცხადად ვამჩნევ, რომ უტირია.

როგორც მუდამ იცოდა ხოლმე, იგი ახლაც ფეხზე წამოდგა და, მე ვიტყვოდი, რაღაც უცნაური საყვედურით შემომცქეროდა, თითქოს რაღაცით მამუნათებდა, და თვითონ ის კი მართალი იყო, რაღაცით, რაღაცით, რასაც ახლა

გულში იმაღავდა და რაც ჩვენ ორთავეს შეგვეხებოდა, და მე მივიღე ეს საყვედური. არ ვაგრძნობინე, რომ უარსავყოფ, კრინტიც არ დაეძარი. არც ისა ვკითხე, თავს როგორ გრძნობ-მეთქი, არც ის ვუთხარი, დღეს სადაც ვიყავი, და ჩვენ ორთაშუა დუმილი ჩამოვარდა, ისეთი დუმილი, ზოგჯერ რომ ჩამოდგება ხოლმე ცოლსა და ქმარს შორის, მთელ საღამოს რომ იქნებიან ასე მდუმარედ და მაშინაც კი არ ეტყვიან ერთმანეთს რასმე, როცა ერთიმგორის გვერდით დაწვებიან ან ზოგჯერ დილითაც კი სდუმან, რომ გაიღვიძებენ. და ამ დუმილში არის რაღაც ღვთიური მადლი, რადგან ფიქრში შენს აზრებს გადამარცვლავ, ცოლი კი თავისას, და ასე გადასინჯავთ ორთავე თქვენს აზრებს და ერთმანეთს ველარც კი ამჩნევთ. და უნდა გითხრა, ბრძენო ყადო, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, რომ ეს როდია ყველაზე საშინელი, რაც შეიძლება ცოლ-ქმარს შუა მოხდეს, რომ ზოგჯერ უფრო საშინელი ამბავიც ხდება.

ვახშმის შემდეგ ვუთხარი ჩემს ცოლს, თან კი მეშინოდა ჩემი სიტყვებისა, რომ ამ აქოვოში ჩვენი წილი წყალი ჩვენ უკვე შევსვით და ახლა სხვა მხარეს ვეძიოთ-მეთქი. წყალი, აქაურს გარდა, სხვაგანაც ბევრია ქვეყნად და ვკითხე, შენ რას იტყვი ამაზე-მეთქი, მან კი მიპასუხა, არ მესმის, ამით რისი თქმა გინდაო, და აღარ შემომყურებს წელანდელივით, ახლა უფრო დაძაბული და შემკრთალია, შიშით მოელის, აბა რას ვიტყვი კიდევ, ბრძენო ყადო, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, შიშით მოელის, მე კი ვუთხარი: საიდანაც მოვედით, ისევ იქ წავიდეთ. საიდანაც მოვედით, — გავუმეორე, — იქნებ ამ ამბავმა გული გაგიხაროს.

ველოდი, აბა ერთი რას მიპასუხებდა.

მან, მიხარიაო, — წარმოთქვა, თვალებით კი სულ სხვას ამბობდა. წამწამებს მარდათ ახამხამებდა, ფიქრში შესაფერ აზრებს არჩევდა, და ვხედავდი, ვერაფერი მოეაზრებინა.

— ბოსნიაში გიშოვნი წამალს, ბოსნიაში ბევრია სამკურნალო წყალი, ბოსნიაში კარგად იქნები, — ასე ვუთხარი, რაკილა მეტი არაფერი მქონდა სათქმელი.

მან მიპასუხა, ახლა უკვე მტკიცედ და გადაჭრით, თითქოს აქ საყოყმანო აღარც რა იყო.

— სადაც გასურდეს, იქ წამიყვანე.

— ყველა გზა ღვთის ნაკურთხია, — ვუთხარი, და შევატყვე, თვითონ არა ფიქრობდა ასე.


ჩვენი წასვლის დღე თავად მასვე შევარჩევინე, გინდ შაბათს იყოს, გინდა კვირას, ან თუ გინდა ორშაბათს-მეთქი, ვუთხარი, და გავიფიქრე, აბა, შორს თუ გადასწევს ჩვენი მგზავრობის დღეს, მე ხომ ვიცი, ვის გამოც მოინდომებს აქ მეტხანს დარჩენას, მან კი უახლოესი დღე აირჩია, და ხუთშაბათსო, თქვა.

ხუთშაბათს, ბედნიერ დღეს-მეთქი, გავიმეორე მისი ნათქვამი და ისევ შევამჩნიე თვალეში საყვედური.

ვდუმდით და ხუთშაბათი ხე ვფიქრობდით ორივე, ხუთშაბათი კი ხვალ იყო, როცა უნდა გზას დავდგომოდით.

მთელ ღამეს ოთახს აფერადებდა, და შიგნიდან რომ მორჩა კედლების მონატვას, ლამპა და საღებავები გარეთ გაიტანა და ახლა იქიდანაც დაიწყო ფანჯრების მოჩითვა. მთელი ბალი გაანათა ლამპის შუქმა და მე სულ იქით ვიყურებოდი, იქით ვიყურებოდი და წიგნებს ვაწყობდი. ვიყურებოდი და მეჩვენებოდა, რომ იქ, ბაღში წვრილი ხმლები იყო გადაჯვარედინებული, ახლა ნამდ-

ვილი ხმლები, და ზედ ნადირი დათამაშებდა, აი, ამწუთას რომ გამოეყვანა ოსტატს თავის ხმლებზე, მაგრამ დაეგვიანა.

და შემებრაღა ჩემი ცოლი, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, და ასე მეგონა, ამ ფერებით ის ვიღაცას წერილსა სწერდა, ბრძენო ყადი,  მე გწერ ამ წერილს.

ნეტავ რასა სწერს, ან რას ეუბნება?

მის შემდეგ მოხატული ფუნდუკი დარჩება, დარჩება წასაკითხად, ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, წერილივით დარჩება, ამ წერილივით, მე რომ შენა გწერ წასაკითხად.

ხვალაა ხუთშაბათი. მე უკვე ჩაწყობილი მაქვს ჩემი წიგნები. მხოლოდ ეს წერილია მაქვს დასამთავრებელი და ხვალ მზის პირველ სხივებზევე გზას უნდა დავადგე. დაე, საითაც უნდა, იქით წამიყვანოს ამ გზამ. სადღაც კიდევ სხვა ფუნდუკი მელის და ამგვარივე სხვა წერილები, და ჩემი ცოლის სხვა ამგვარი ნახატ-ნაყუმები, ვიდრე მელანი და ფერები გვეყოფა, და ჩვენ მოვაფერადებთ ამ წუთისოფელს... დაე, ჩვენ შემდეგ ნაყუმები დარჩეს...

და უნდა გითხრა, რომ ყველაფერი მოხატულია.

წიგნები ჩავაწყვე. მათშიც ჭრელია სუყველაფერი, ადამიანებშიც, ფუნდუკების კედლებიც აჭრელებულია, ხმლებიც.

ო, სწავლულო, ო, ღირსო პატივისცემის, ო, რჩეულო რჩეულთა შორის, გონებანათელო, გულმოწყალევე, სიტყვაკეთილო, სიქველით ქველო, ბედით ბედკეთილო, ო, ბედსვიანო, ჭრულია ყველაფერი!

ჩემი ცოლის ბიძავ, ხაიმ-ეფენდი“.

როცა ნასწავლმა ხალხმა იმ წიგნების კითხვა დაიწყო, ერთხელ, წვიმიან დღეს რომ ამოეყარა მიწას თავისი გულიდან იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ფუნდუკი იდგა, და ამ წიგნებს შორის კი ყადის გაუგზავნელი წერილიც იყო, ხალხი ალაპარაკდა ყადისა და უფრო კი მის ცოლზე, რომლებიც ოდესღაც ბაზრის მოედანზე ცხოვრობდნენ ძველ ფუნდუკში, ახლა ბალახგადავლილ მიწისა და ალიზის გროვად რომ ქცეულიყო. ნასწავლი ხალხი რასაც წიგნში კითხულობდა, ბავშვები იმას ქუჩებში გაიძახოდნენ ხმამაღლა: „ბრძენო ყადი, ხაიმ-ეფენდი, ჩემი ცოლის ბიძავ, მისმინე...“



ალექსანდრ ბლოკი

ბუღბუღების ბაღი



თარგმან ლეთისო ჟიკლაურმა

პუშკინის ქუჩაზე შემხვდა... ჟურნალ-გაზეთების ჟიხურის წინ, — ალექსანდრ-განერვიულე-ბული...

— რაღა ხარ, ლეთისო...

— აღარც სიტყვის აქვს ფასი და აღარც არაფერს, — მკლავებს ჩამოტეხილი ტოტებივით იქნევს, — დამპირდნენ, ამ ნომერში იქნებათ, ვიყიდე და არაფერი არაა!... ეს რა კაცობაა!.. კინალამ ტირის...

— რომელ ნომერზე ამბობ... წელან წავიკითხე — კაი ლექსებია... ხელში „ციცკარი“ უჭირავს.

— აი, სწორედ ამ ნომერშია, — ვეუბნება.

— შენგან არ მოველი მე მაგას... აგერ, სარჩევი, — არაა!..

ვნახე სარჩევი — არაა! გადავშალე არის!.. ვაჩვენე, თვალებს არ დაუჭერა: ხან ნომერს დი-ხედავს, ხან — ლექსებს... ხან — ლექსებს, ხან — ნომერს...

სარჩევში გამორჩენოდათ სახელი და გვარი!..

ერთი კვირის მერე ეს თარგმანი დამიტოვა, — ეგებ, დამიბეჭდოთო!..

სიკვდილი ჩქარა მივიდა: დაიღუპაო, გავიგე!..

...პირობას ვუსრულებთ!..

ბიჭვი ძნელად

1

ფსკერზე კლდეს ვანგრევ,

ზე აქოჩრილი

ზღვა მიიქცევა ხმაურით ოდეს...

მარად მონური შრომის მორჩილი,

დაღლილი ვირი მიათრევს ლოდებს.

ტვირთს რკინიგზასთან მივიტანთ,

იქვე

ზღვა გამოგვიწვდის ხელახლა ბილიკს.

მივაბაკუნებთ საცოდავ ჩლიქებს

და სახედარი დაიწყებს ყვირილს.

რომ ცარიელი ბრუნდება ახლა,

ის იმ სიხარულს გაჰყვირის, ლაღი,

ხოლო აღზიან ბილიკის ახლო

ჩრდილით ბურვილი გაშლილა ბაღი.

ფოთოლთა ჩურჩულს,

წყაროთა კისკისს

რადაც მაღალი ზღუდავს კედელი...

გადმოკიდულან ვარდები...
 ისმის
 ბულბულთ ჰანგები განუწყვეტელი.
 ვირის ყროყინი სიჩუმეს ბზარავს —
 რომ ბაღის ბჭესთან გაივლის, შტერი.
 ბაღში კი ვილაც იცინის წყნარად, —
 დაგვცინის...



მერე მიდის და მღერის.
 იმ უცხო ნამღერს ყურმიგდებული
 შევუბნობ პირუტყვს:
 „გაინძერ!“
 „მიდი!...“
 ზღვის კლდოვან ნაპირს ბინდი ებურვის
 და ზღვაზეც ლურჯი ეშვება ბინდი.

☛

დღე ქრება.
 ტყე და ბურჭთა კრებული
 შეერწყმებიან ღამეს გატრუნულს...
 „რამ ჩაგაფიქრა ჩემო პატრონო?!“ —
 მე მკითხავს ვირი გაცვირვებული...
 იქნებ მიმატა სიღებემ ფიქრები
 და გამაბრუა ყალბი ხილვებით...
 დღისით და ღამით
 მე მესიზმრება
 სულ სხვა ცხოვრება,
 რამ საკვირველი.
 ამ საწყალ ჭერქვეშ რა მობოდებდეს,
 ამ ქოხში ყოფნა ბინდის ფერია...
 გავიმეორო, იქნებ ოდესმე,
 მეც, —

ბულბულები რასაც მღერიან...
 იქნებ უკუნში გაქრეს წარსული, —
 ბაღის მაღალი ზღუდე დამიცავს
 და უთეთრესი კაბა ქალწულის, —
 ნათლით რომ თრგუნავს
 წყვდიადს ღამისას...
 ბაღთან ვარ,
 როცა დღის დასასრული
 ჩრდილებს იმ უცხო კარიბჭეს აწერს.
 ჰაეროვანი იგი ასული
 მაწვევს როკვით და
 სიმღერით მაწვევს...
 მომწოდებელი სიმღერა ლალი,
 სულს შემისფოთებს მწველი ნაღველით...
 მიზიდავს შორი სილურჯე რაღაც,
 მეძახის ზღუდე გადულახველი!



ვირს ეთვლიმება, ყურებგატრუნულს,
წერაქვს და ბერკეტს
ვინ სცეს ნუგეში...
დაეხეტება მათი პატრონი
სხვა ფიქრებში
და სხვა სილურჯეში...
გზა ღორღიანი და ცარიელი
ერთხანს იმ ბალის ბჭესთან ჩერდება,
მერე კვლავ უცნობ შორეთს მიელტვის, —
იისფრად მღვრიე ბინდს უერთდება...
თვლემს გარდუვალი მოთენთილობა,
ხილვა ცვლის
მრავალ საათს საათით...
მარად ცვრიანი ვარდის გრილონი
მიირწვევიან ზანტი ტაატით...
იქნებ სხვა ჯილდო ბედმა მარგუნოს. —
ძველ გზას, — შეკრული მტკიცე ფიცითა —
განვუდგე: —
ვცადო,
დავაკაკუნო
ჭიშკარზე, —
ასე მძლედ რომ მიზიდავს...
წარსული უკვე მეუცხოვება,
აღარ მიზიდავს შრომა დამღლელი,
გული გრძნობს:
მელის სულ სხვა ცხოვრება, —
იმ ბალში ველარ მიმტრობს ნაღველი.

მეუბნებოდა გული სიმართლეს:
„რიდი და კრძალვა ამოდ გახლავს“...
მე კარებს
თითქმის არცკი მივმართე, —
თვითონ გამიღო ასულმა ლაღმა.
შევდევქ თუ არა მტრედისფერ გზაზე
სმენას მოაწყდა ჰანგი ულევი...
ნაკადულებმა წარმტყვევნეს წამსვე
და დაეუფლნენ სულს ბუღბუღები.
უცხო გზამ, —
უცხო ბედნიერების
მზერას და სმენას გაუხსნა სივრცე,
დასტანამების ატყდა ჟღერება,
ცისფერი ფიქრი
შეერწყა ცისფერს...

დავითვერ ღვინით მე ოქროსფერით
და ოქროსფერმა ცეცხლმა დამდალა...
გადამავიწყდა გზა და სოფელი,
რაც დარჩა იმა ზღუდის გადაღმა.



5

ფიქრი და დარდი დაუცხრომელი,
იქნებ ბუღბუღთა ჰანგმა წარხოცა...
არა!

მე ისევ მესმის ყოველი,
რასაც ოდესღაც ზღვა მეძახოდა!
ახლაც მწუხარე და შფოთიანი
ძილში ჩამესმა გუგუნის ტალღის,
უცებ გამოჩნდნენ გზანი ქვიანნი,
ცხადად დავლანდე ვირი და სახლი...
და ველარ ვუსმენ მიჯნურს, დაკოდილს,
სხვა ბურუსიან ფიქრში შეთენილი,
როდესაც მეტყვის:

„ჰყვავის წალკოტი,
ამ ბაღში რატომ ხარ მოწყენილი?!“...
ელერენ ნაპირის ქვიშა და შლამი, —
(ალბათ, მოქცევის ჟამი თუ არის)...
სული თავისით გაფრენას ლამობს, —
რომ სხეულს კიდევ დასცდეს უარი?...

6

გამომეღვიძა ბუღბუღთა ბაღში...
დროს დღენი ბლომად დაუნავლია...
პირზე ღიმილი ეხატა ბავშვის, —
ხედავდა გაყრის სიზმარს ნაღვლიანს.
როს იფერფლებს ბინდი ძლეული, —
ის სახე გავდა ამოსვლას მზისას...
ექოდ დაძრული ხმა შორეული,
სმენას ამცნობდა მოქცევის ზღვისას.
მე მტრედისფერი გავხსენ ფანჯარა
და მომეჩვენა:

გუგუნით მიწას
თქერავდნენ ზვირთნი,
ყრუ და მტანჯველი
მომწოდებელი ყვირილი ვიცან.
ჩემი სახედრის ზრიბი ხანგრძლივი,
სულის გამჭოლი ნაღველით ძველით
ჩამესმა...

ფარდა ფრთხილად გავწიე
რომ გამეგრძელა ზმანება მწველი.
მერმე ქვის კიბეს თავქვე დავუყვიე,

ყვავილებს რული დავუფრთხე ტკბილი,
ვარდის ეკლები ჩამებლაუჭნენ,
როგორც მიჯნურის თითები თლილი.

7



ქართული
ლიბრერი

გზა, — ჩემთვის უწინ არცთუ დამღლელი,
მეჩვენა გულში ჩამღვრელი ნაღვლის...
და მე მივადექ ნაპირს დაღვრემილს —
სადაც დავტოვე ვირი და სახლი!
იქნებ გზას ავცდი,
ანდა უღმობლად
დამცინის ვიღაც —
მოხეტეს მოცლილს...
არა! —
ნაპირის მოხაზულობა
ვიცან —
აგრეა, ის კლდე და ბორცვი.

სადღაა ქოხი?!..
და დაბნეულმა
ძალაყინს ფეხი წამოვკარ ხვნეშით,
იქვე მიგდებულს
კლდესთან ეულად,
უკვე დაფარულს ჟანგით და ხრეშით...
და ძველებური სიმბნით ჩვეულით,
დავტაცე ხელი ქვიშაში შთენილს,
ზე ავიტაცე
და მოქნეული
კლდეს დავკარ,
ზანტად შეირყნენ კლდენი.
იქ, სად ასთაკვას იყო ნაპრალი,
ცისფერი წყალი მწვანედ შეზავდა:
შეშფოთებულმა —
თავშესაფარი
დასტოვა კიბომ და მოემზადა.
მე წავიწიე,
ის აღიმართა
და მომიღერა მარწუხი ავი,
წამსვე მეორემ დამხდურს მომართა,
წაიჩხუბნენ
და წყალს მისცეს თავი.
იქ, ნაქოხართან, —
მე სადაც გუშინ
ვიწრო ბილიკი გავწაფე ზღვისა,
წერაქვიანი დავლანდე მუშა, —
წინ მოუძლოდა სახედარს სხვისას.



თარგმან სილოვან ნარიშკინი

დამპყრობელი

გაანადგურეს კუნძულები დამპყრობელებმა,
პირველი იყო გუანაპირი,
და ამ წამების ორომტრიალში,
მისმა შვილებმა დაინახეს შტრების სახეზე
ღიმილი მკაცრი და შურიანი,
იმათ სხეულს კი, — ირმის ნაზ სხეულს,
სეტყვა ურტყამდათ, ეცემოდნენ დასისხლულები,
ხანძარში სწვავდნენ, აწამებდნენ ბაწრით გათოკილს,
ცოცხლად მარხავდნენ ბნელ ხაროებში,
და ისე მოკვდნენ, რომ ვერ გაიგეს,
თუ რატომ კლავდნენ დამპყრობელები.
და როცა მორჩნენ ამ ბილწ საქმეს,
მიეცნენ ტყობას,
ვალსებს ცეკვავდნენ საზეიმოს პალმების ტევრში,
და მკვიდრი ხალხით, მწვანე ველი დაცალიერდა.
მხოლოდ ძვლები-და დარჩა მათი,
და როგორც ჭვრები,
თავის საქმეთა უმაღლესი დიდების ნიშნად,
კაცობრიობის დასანახად, აღმართეს მიწნად...
ფისის გრეხილთა მწვერვალებიდან,
იქ სოტავენტუს მღვრიე ტოტამდე,
მარჯნის კუნძულთა პალმების ჩრდილში,
დანით გადაჭრა ნარვაესმა ნერგი კეთილი,
ჯვარი აღმართა ვით ნიშანი, აქეთა მხარეს,
ხოლო იქით კი კრილოსანი, —
იქვე მადონა დაძარღვული ყელზე მარყუქით,
ნაბავდა თვალებს.
ასე ამგვარად, კოლუმბის ხელმა,
ფოსფორულ კუბას აღმასივით ნათება მისცა,
დაამხო მისი ალამი და მუხლი დაადგა,
იმის ნოტიო ოკეანის სანაპიროზე.

ქიზნი და დაბრუნება

ჩემი სისხლით და ჩემივე ხორციით კვლავ შენთან ვარ,
 სამშობლოვ ჩემო!
 ისევ მიმიღე შვილი შენი, ვარ ავსებულნი
 სიმღერებით და მწარე გოდებით, უჩინებელი
 კვლავ შენთან არის თვალდაბინდული ჩემი გიტარა,
 და ფიქრი ჩემი მსოფლიოში მოხეტიალე!

მე მოვდიოდი, რომ შენს შვილებს გზად შევხვედროდი,
 რომ კვლავ მენახა დაღუბულნი და განწირულნი,
 უწმინდესები თეთრი თოვლივით,
 შენი სახელით რომ დამელოცნა,

წავედი, რათა სახლი ამეგო,
 შენი ტყეების ნორჩი ტევრიდან,
 გულში დაჭრილი შენი გმირების
 ძეგლი ამეგო უკვდავებისა,
 რომ გაებრწყინათ ვარსკვლავებივით.

ახლა კვლავ შენში თავდავიწყებას
 ვეძებ, მაფრქვიე შენი ნათელი,
 და ბნელი ღამის გულში ჩამწვდომი
 შენი სიმები დაუვიწყარი.
 მიბოძე შენი ღამის ხომალდი,
 და შენი ზეცა ვარსკვლავიანი.

მე მინდა ბნელი გაგინათო, სამშობლოვ ჩემო,
 და შენი ვარდის სურნელებას კვლავ დავეუფლო.
 შენს გამოძერწილ კეთილ სხეულს ხელი შევავხო,

რომ დავტყბე შენი მზისგან დამწვარ
 კლდეების მზერით,
 შევირგო ისევ ღელვა შენი ხორბლის ყანების.

რომ სიყვარულით ძნებს ჩავხედო
 თავთავეებისას,
 გვარჯილით შემხმარ შენს მჭლვე ტყეებს
 რომ მოვეფერო,
 რათა მოვქარგო ბროლის ფერად შენი ზარები,
 შენი დიდების შესაფერი გვირგვინი დავწნა.

სამშობლოვ ჩემო, რომ შემორტყმულხარ ველურ
 ქაფიან ტალღათა გუნდით,
 დაგფრენს არწივი, სად საფირონის
 სამხრეთ პოლარულ ვარსკვლავთ ციალში,

შენი წილხვედრიც უწმინდესი ელავს ნათელი,
 მან გადაბინდოს მტერთა შენთა თვალების მზერა,
 შენ ამ სინათლეს მოეფერე, სამშობლოვ ჩემო,
 რომ თავთავები სიცოცხლისა სულ ირზეოდნენ.




ბნელ და მშფოთვარე გარემოცვაში,
 ბედმა გარგუნა ეს მძიმე ხვედრი,
 ყველა ყვავილი ზარდე შენს ბალში,
 და იყავ სავესე სიკეთით და იღუმალებით,
 აჰ, ამ მძინარე, უსასრულო ამერიკაში!

ამერიკა

სამარადისო ტვირთივით მაწევს, გზააბნეული მივემართები,
 ჭაობებით და უღრანებით, შენ რომ გარტყია,
 შენი ნახირით და ქარიშხლებით,
 შენი შროშნების სურნელებით დამათრობელით.
 ტყეებითა და ნაკადულებით,
 მუდამ რომ მესმის მათი სიმღერა,
 შენი ბრჭყალებით, შენი თევზებით,
 დღეებით, მე რომ მმორჩილებენ,
 ვარ დაბანგული.

ზღვებიდან ტალღის უნაზეს რხევით,
 სანაპიროს რომ ელტვის თათებით,
 მარად სავსე ვარ მოგუგუნე ზარების ზმებით,
 ვულკანებით და ინდიელთა წითელი ფერით,
 მე რომ მივლია ტევრნარებში შიშველ ფეხებით.
 იმ ბილიყებით, ეკალ-ბარდით და შამბნარებით,
 ღრმად ჩახლართული მიწის გულში ხეთა
 ფესვებით, —
 მუდამ მეძახი!...

შემოდგომურმა წვიმის თქეშმაც ვერ გადარეცხა
 შენს მიწაზე დაღვრილი სისხლი.
 დროშებით შავი სიკვდილისა, დამპყრობთა უინით,
 შენს უღრანებში ჩამარხული შეძახილებით,
 ზმებით უკვდავით, მართლაც გმირულით...
 ხმლის და მუხბების ელვარებით, მზის სხივებით და
 კაიმაანების ნავების ცურვით,
 შორს განფენილი მდინარეებით,
 ქალაქებით და შენი სოფლებით,
 ურიცხვ ფრინველთა წარმტაც გალობით,
 ფრენით და სტვენით,
 ნესტიანი ტყის ბნელ ღრანტეებში ციციანთლების გაელვარებით,

მე დავიბადე ამერიკავ, შენი საშოდან
 შენს ნუშისფერ შებინდებაში,
 შენთა ზელუქმნელ შედევრებში, შენს მიწისძვრებში,
 შენს ლეგენდებში დავიბადე, შენს ხანძრის ფერფლში,
 მალალი მთების მყინვარებში, მიწის ზვინებში.  **ქართული
 ენციკლოპედია**
 შენს უნათლეს და დაუცხრომელ სიდიადეში,
 შენს საიდუმლო მღვიმეებში, შენს უფსკრულებში,
 შენი კონდორის ვიშვი ბრჭყალებში,
 „დაუოკებელ“ შენს შებღალულ გვატემალაში,
 ტრინიდადში და გუაირეში.
 შენ წყვდიადი ხარ, ჩემი დილა ხარ,
 შენ ჰაერი ხარ ჩემი არსობისა,
 მე შენით ვცოცხლობ, ვიტანჯები, ვკვდები და ისევ
 შენით აღვმსდგარვარ ხშირად მკვდრეთით, —
 კვლავაც აღვსდგები.

ჩემი ლექსები და სიმღერები
 შენს ნათებაში ჩამოსხმულია,
 ო, ამერიკავ, ჩემი ვარსკვლავი,
 შენს შავ მიწებზე ელავს, კიაფობს,
 ჩემი სიცოცხლის ყოველი ძარღვი, ჩემი ოცნებაც
 შენით ანთია,
 ვიძინებ შენი ქვიშნარების გარემოცვაში,
 შენი წყაროს წყლით ვიბან ხოლმე პირს გარიჟრაჟზე,
 თვითონ ღვინოც კი, მე რომ ვიგემე,
 ღვინო კი არა, შენი მიწაა,
 თვითონ მთვრალია და მიკლავს წყურვილს, —
 ცვარნამიანი გლეხური მიწა!
 წმინდა მარადეამს, მოციმციმე ნაყოფდასხმული,
 ბედელი ხორბლის ოქროთი სავსე.

მორის როსტანი

ღიმიტრი ამილახვარი

ეს სინამდვილე ლეგენდას ჰგავს, —
 ისედაც ხდება,
 კაცს უკვდავებას მიანიჭებს დღე აღსასრულის,
 ქართველო გმირო,
 შენზე დელვა აღარ დაცხრება,
 იყავ რაინდი, მეომარი,
 ღირსებით სრული.
 სიჭაბუკე და სახელი შენი,
 შეუპოვრობა და თავგანწირვა, —

ლეგენდასავეით მოივლის მთა-ბარს,
 მზე შენი აღარ დაიბინდება,
 ისტორიკოსიც გაიკვირვებს,
 რომ შენ, ყმაწვილმა,
 გმირობით დიდით მოიპოვე ნაღდი დიდება.
 და ბრძოლის ველზე,
 განგმირული როცა დაეცი,
 ორი ჭრილობა გქონდა გულში, —
 ზურგში არც ერთი.
 ზოგი ვაუკაცი სიკვდილშიაც
 ორჯერა კვდება,
 შენც ორჯერ მოკვდი,
 რომ დაგეცვა პატიოსნება...
 დგას თვალუწვდენელ უდაბნოში
 ჯვარი მოწყენით,
 აქ გძინავს გმირო,
 შეწირული უკვდავებისთვის,
 ორჯერ მოკვდაო, — მეომრები ამბობენ შენი,
 საქართველოს და,
 საფრანგეთისთვის...



□

რედაქცია

თარგმანი აკაკი ბრეზაძემ



ქართული
ბიბლიოთეკა

ცრამალში ნაშუალამევესლა დაიწყო ზაფხულის ის წვიმა, ასე დიდხანს რომ აპირებდა წამოსვლას, ჯერ კიდევ სალამოს პირიდან პორიზონტზე იჭუშებოდა და ჩამოსაქცევად ემზადებოდა ელვის მღუშარე სხმარტალსა და ღრუბლების ფორიაქში. მძიმე წვეთები დაუზოგავად უშხაპუნებდნენ გამომხმარ მიწას, შემდეგ ნაკადებად ითქრიალეს, წვეთები, სიცოცხლის პირველი საბოძვარნი, სახით იგრძნო აბღია კალისტრატოვმა, რომელიც უკვე გონს მოდიოდა.

აბღია რკინიგზისპირა ნარვალში იწვა, სადაც მატარებლიდან გადმოვდების შემდეგ ჩავორდა. ცნობაზე მოსულმა პირველად ეს გაიფიქრა: „სადა ვარ? მგონი, წვიმს“. დაიკვნესა, დაძვრა უნდოდა, მაგრამ გვერდში საშინელი ტკივილი იგრძნო, თავი ტყვიასავეით დაუმძიმდა და ისევ დაკარგა გრძნობა. რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც მოეგო გონს. მხსნელმა წვიმამ სიცოცხლე შთაბერა. წვიმა გულუზვად და ძალუმად ასხამდა. ფერდობიდან ჩამომდინარე წყალი ნარვალში გროვდებოდა, ადამიანისკენ მიილტვოდა, ბუშტებს იყენებდა, სულ უფრო მალლა, ყელისკენ იწევდა და აბღია იძულებული გახდა თავს მორეოდა, მოძრაობა ეცადა, ამ საშიში ადგილიდან ამოფორთხებულყო. პირველ წუთებში, ვიდრე სხეული ძალას იკრებდა და მოძრაობას ეჩვეოდა, ეს ყოველივე განსაკუთრებულ ტანჯვას ჰგვრიდა აბღიას. მას არც კი სჯეროდა, რომ ცოცხალი გადარჩა. ზომ ასე სასტიკად სცემდნენ ვაგონში, საშინელი სისწრაფით მიმავალი მატარებლიდან გადმოვადეს, მაგრამ ეს რა მოსატანია იმასთან, რომ ცოცხალია, ცოცხალია ყოველივეს მიუხედავად! ცოცხალია და შეუძლია იმოდროს, თუნდაც იფორთხოს. ესმის, ხედავს, ახარებს მხსნელი წვიმა, რომელიც ციდან კოკისპირულად მოთქრიალეს, ჰბანს დამსხვრეულ სხეულს, უცივებს ხელ-ფეხს, აგუგუნებულ გახურებულ თავს, და მანამ იფორთხებს, ვიდრე ძალა ეყოფა. საცაა ირიყრაფებს, გათენდება, ისევ დაიწყება სიცოცხლე... და მაშინ მოიფიქრებს, რა ჰქნას, ოღონდ საჭიროა, როგორმე ფეხზე დადგეს...

ამასობაში ერთი მეორის მიყოლებით ხრიგინით ჩაიქროლა რამდენიმე ღამის მატარებელმა... მატარებლები მიაპობდნენ წვიმასა და სიბნელეს... და ისინიც ახარებდა აბღიას. ახარებდა ყველაფერი, რაც სიცოცხლეზე მეტყველებდა, ახარებდა, როგორც არასდროს...

აბღიას არ სურდა წვიმას სადმე შეფარებოდა, თუნდაც ამის საშუალება ჰქონოდა. იცოდა, რომ გამაცოცხლებელი წვიმა აუცილებლად სჭირდებოდა. ოღონდაც ხელ-ფეხი ჰქონოდა მთელი და დაბეჭილობაზე, დაშავებულ ადგილებზე, თუნდაც მარჯვენა ფერდში შეჩენილ მწვავე ტკივილზე ერთს არ დაი-

ჩივლებდა... ბოლოს მაინც მოახერხა ნარვალიდან ამოძრომა, უსაფრთხო ადგილას, პატარა ბექზე ამოფორთხება და ახლა წვიმაში იჯდა, გულს იმაგრებდა, რომ სიცოცხლე განეგრძო...

ასე აღსდგა აბდია არარსობიდან, აღსდგა და აღიდგენდა ყოველივეს, რაც მისი სიცოცხლის არსს შეადგენდა, თან უკვირდა, რა საოცრად ნათელს ხდებოდა მის მომცველი აზრები მიჩნდებაო...

და უთხრა იმას, ვინც პილატე პონტოელისგან თხემის ადგილისკენ მიჰყავდათ: „მოდვარო, მე აქა ვარ! რა გავაკეთო, რომ დაგიხსნა, რა გავაკეთო, უფალო? როგორ გადაგარჩინო? ო, როგორ მაშინებს შენი ამბავი, ახლა, როცა ხელახლა გავცოცხლდი!“

ისტორიული სინკრონიზმი — როცა ადამიანს შეუძლია წარმოსახვით ერთბაშად დროით დაშორებული რამდენიმე ამბის, ზოგჯერ ასი და ათასი წლებით ერთმანეთისგან დაშორიშორებული ამბის მონაწილე იყოს — მეტნაკლებად ნიშანდობლივია ყველასთვის, ვისაც კი ეს წარმოსახვის უნარი აქვს. მაგრამ ვისთვისაც წარსულის მოვლენები ისევე მახლობელია, როგორც ამწუთიერი სინამდვილე, ვინც გარდასულ ამბებს ისე განიცდის, როგორც თავის სისბლზორცეულ წარსულს, როგორც თავის ბედ-ილბალს, იგი ტანჯულია, ტრაგიკული პიროვნებაა, ვინაიდან რაკი წინასწარ იცის, რით დასრულდა ესა თუ ის ისტორია, რა მოჰყვა ამ ისტორიას, რაკი ყველაფერ ამას ითვალისწინებს, და არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მოვლენათა მსვლელობაზე, მხოლოდ და მხოლოდ იტანჯება, თავს მსხვერპლად სწირავს სამართლიანობის გამარჯვებას, გამარჯვებას, რომელიც არასდროს არ განხორციელდება. და ეს წყურვილი წარსულის სიმართლის განმტკიცებისა წმიდათაწმიდაა. სწორედ ასე იბადება იდეები, ასე ხდება ახალ თაობათა წინა თაობებთან და წინას წინა თაობებთან სულიერი შენივთება, ამაზეა დაფუძნებული ქვეყნიერება და მისი ცხოვრებისეული გამოცდილება გამუდმებით იზრდება, მატულობს — სიკეთე და ბოროტება თაობიდან თაობას გადაეცემა ადამიანური სამყაროს მეხსიერების უსასრულობაში, დროისა და სივრცის უსასრულობაში...

ამიტომაცაა ნათქვამი: გუშინდლებმა არ უწყვიან, რა ხდება დღეს, მაგრამ დღევანდლებმა იციან, რა მოხდა გუშინ, ხოლო ხვალ დღევანდლები გუშინდლებად იქცევიან.

და კიდევ ესაა ნათქვამი: დღევანდლები ცოცხლობენ გუშინდლებში, ხოლო თუ ხვალინდლები დაივიწყებენ დღევანდლებს, ეს ყველას უბედურება იქნება...

აბდია ძალიან ღელავდა, იმედი ეწურებოდა, როცა პასექის დაწყების წინა დღე დადგა და წინასადღესასწაულო შეხუთულ საღამოს ცდილობდა ქვემო ქალაქში ის სანდო მოეძებნა, სადაც იესომ გატება პური და თქვა — ეს ჩემი ხორციაო, დაასხა ღვინო და თქვა — ეს ჩემი სისხლიაო. ხომ შეიძლებოდა უკვე მაშინ გაეფრთხილებინა ქრისტე, საფრთხე გელის, იუდა ისკარიოტელი გლალატობსო, სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ გაეცალე ამ საშინელ ქალაქს, რაც შეიძლება, ჩქარა გაუდექი გზასო. აბდია მიმწუხრზე ეძებდა სახლს და აქეთ-იქით აწყდებოდა მიხვეულ-მოხვეულ, დახლართულ ქუჩაბანდებში, რატომღაც სახეზე აკვირდებოდა გამვლელებს, თითქოს შეიძლებოდა აქ ნაცნობები ჰყოლოდა, მაგრამ ვერც ერთი სანდო კაცი ვერ იპოვა იმ მოქალაქეთა შორის, რომელთაც შინ სუფრაზე მიეჩქარებოდათ, ვერც იმათ შორის, ვინც ჯერ კიდევ ღია დუქნებში იხედებოდა. ბევრმა გამვლელმა კი სულაც არ იცოდა, ვინ იყო ეს იესო ქრისტე: ქალაქში მაწანწალებს რა გამოლევსო. ვიღაც გულჩვილმა

მოქალაქემ აბდია პასეკზე შეიპატრია, მაგრამ მან მადლობა გადაუხადა და უარი უთხრა: იმედოვნებდა, მოძღვარს გავაფრთხილებო, აბდიას თავი ატკივა მღელვარებამ, ფანჯრებში მოკიატე შუქმა, კერაზე შემოდგმული საქმელების პაერში მიმოფანტულმა მძაფრმა სუნმა, სიგრილისთვის ბარაქიანად მოწყულ გზებსა და ეზოებში ავარდნილმა მხუთვარებამ. იგი ქალაქგარეშე, გეტსიმანიაში გავარდა, იქნებ იქ მივეუსწრო ლოცვა-საუბარში გართულ მოქმედებას, მოწაფეებსო. მაგრამ ამაოდ! ამ ნაგვიანევ უამს გეტსიმანიაშიც ვერავინ ნახა, ბალში კაციშვილი არ ჰკანებდა, არც იმ დიდი ფიკუსის ხის ძირას იყო ვინმე, სადაც შეიარაღებულმა ბრბომ მოძღვარი დაიჭირა. მოწაფეები გაქცეულ-გამოქცეულიყვნენ, როგორც თვით მოძღვარმა იწინასწარმეტყველა...

მთვარე შორეული ზღვისა და ხმელეთის თავზე მიცურავდა — შუალამე უკვე გადასული იყო. ახლოვდებოდა საბედისწერო დღე, რომლის შედეგები საუკუნეების მანძილზე არ აღმოიფხვრება და კიდევ დიდხანს და სხვადასხვანაირად იჩენს თავს კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ გეტსიმანიაში და ბაღებითა და ზვრებით დაფარულ ახლომახლო ბორცვებზე იმ დროს სიწყნარე იდგა, მხოლოდ ლამეული ფრინველები ყივიებდნენ ბუჩქებში, ბაყაყები ერთმანეთს გადასძახოდნენ და დუღუნებდა, მთვარის შუქზე ძველ კლდოვან სადინარში ბზინავდა, ნაკადულებად იტოტებოდა და ხელახლა ერთ ნაკადად იქცეოდა კედრებშეფენილი მთებიდან ჩამომდინარე მარად ფხიზელი კედრონი. ყველაფერი თავის ადგილზე იყო და არსებობდა ისევე, როგორც უხსოვარ დროს; სიწყნარე და სათნოება სუფევდა დედამიწაზე იმ ლამეს და მხოლოდ იგი, აბდია ვერ ისვენებდა, რადგან ყველაფერი ისე სრულდებოდა, როგორც უნდა აღსრულებულიყო, თავად კი ძალა არ შესწევდა, რაიმე შეეცვალა, რაიმე აღეკვეთა, თუმცა წინასწარ იცოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე. ამაოდ გოდებდა და სასოწარკვეთილი ვეფდრებოდა ხვალის ღმერთს. ვერ შერიგებოდა იმასაც, რაც ქრისტეს წამებიდან ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის შემდეგ მოხდა, და საკუთარი თავის მოსაძიებლად წარსულ ცხოვრებაში გარდასული ფიქრით დაუბრუნდა იმ საწყისს, საიდანაც მის ბედსაც მოსწვდა დროის ყველა მიმოქცევაში გამოვლილი ძაფი. ეძებდა პასუხს და ხან უკან ათასწლეულებს აპყრობდა მზერას, ხან ისევ დღევანდელ სინამდვილეს უბრუნდებოდა ტრამალის წვიმაში, თავსა და მხრებზე რომ ასხამდა, ხან ხელს იღებდა ყველაფერზე, ხან სალად სწონიდა ფაქტებს.

კეთილი სურვილებით აღტყინებული აბდია ვოლუნტარისტულად ეკიდებოდა ისტორიას — საშინელი სამსჯავროს შესახებ გაცილებით გვიან შექმნილ კონცეფციას ამ კონცეფციამდე დიდი ხნით ადრე მცხოვრებ ადამიანთა პირით გამოსცემდა და ერთი სული ჰქონდა ამის შესახებ ეთქვათ პილატე პონტოლისთვის, ვინაიდან პილატეს, იმპერიის ყოვლად ძლიერი ნაცვლის აჩრდილი დღესაც არ იყო გამჭრალი (ახლაც ხომ იყვნენ პოტენციური პილატეები!). როცა აბდია კალისტრატოვი მოვლენებს წინ უსწრებდა, იმას ეყრდნობოდა, რომ ქვეყნიერების დასაბამიერი კანონები ყოველთვის მოქმედებდნენ, თუმცა თავს გაცილებით გვიან ავლენდნენ. ასევე არსებობდა ადრეც საშინელი სამსჯავროს იდეა — ადამიანის გონებას დიდი ხანია აწამებდა აზრი მომავალი ნაცვალგებისა ყველა იმ უსამართლობის გამო, რაც კი დედამიწაზე ხდებოდა.

მაგრამ მაინც ვინ იყო იესო, რომლიდანაც, როგორც ნულიდან, ისე იწყება ათვლა სულის ტრაგიკულ თვითშეგნებაში? და რისთვის იყო საჭირო ეს ყველაფერი? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ მიზეზი გვექონოდა მარადიული

მონანიებისა? ქრისტეს ჯვარზე გაკვრის დროიდან ასე დიდხანს რატომ არ მშვიდდებიან ადამიანები? აქი იმ დღეთა შემდგომ პეგრი რამ, რაც უკვდავებას ჩემულობდა, დავიწყებას, მიუცა და ნაცარტუტად იქცა. განა ყოველთვის აბსოლუტად ამასთანავე, რომ ადამიანთა ცხოვრება ყოველდღე სრულყოფილი ხდება, ის რაც დღეს ახალია, ხვალ დილით უკვე ძველია, რაც დღეს საუკეთესოა, ხვალ კიდევ უფრო მშვენიერის, წინაშე ფერმკრთალდება; მაშ, იესოს მსახურებში რატომღა არ ძველდება და თავის ძალას არ კარგავს? ხოლო ყველაფერი, რაც მოხდა მისი დაბადებიდან ძელზე სიკვდილით დასჯამდე, და უფრო მეტიც — რაც მისგან წარმოდინდა შემდეგ დროსა და თაობებში, ნუთუ ასე აუცილებელი და გარდაუვალი იყო კაცობრიობისათვის? და ბოლოს, რა აზრი ჰქონდა ადამიანთა ისტორიის ამ გზას? რას ჩასწვდნენ? რას მიაღწიეს? და თუ იდუმალი მიზანი კაცთმოყვარეობის იდეა იყო, იდეა ჰუმანიზმისა, როგორც ამტკიცებენ სწავლულები, ესე იგი, ადამიანის გზა თავის თავისაკენ, გონებამომადლებული არსების თავის თავში სულის უსასრულო სრულყოფისაკენ, მაშინ დასაბამიდანვე როტულად, სამძიმოდ და სასტიკად რად ჩაიფიქრეს ის გზა — ვინ და რატომ ჩაიფიქრა? შეეძლოთ თუ არა ადამიანებს ეარსებათ ამ თითოეულის მიერ თავისებურად გაგებული ჰუმანიზმის გარეშე — ქრისტიანული ჰუმანიზმი იქნებოდა ეს თუ მსოფლიო საეკლესიო ჰუმანიზმი, სოციალ-ეგოისტური, კლასობრივი ჰუმანიზმი თუ პრინციპულად აბსტრაქტული ჰუმანიზმი? და რა საჭიროა ჩვენს საუკუნეში იმ გზაზე დიდი ხნის წინათ მოძველებული რელიგია?

მართლაც, რა საჭიროა? აქი ყველამ, ბავშვებმაც კი ყველაფერი კარგად უწყიან? განა მატერიალისტურმა მეცნიერებამ წირვა არ გამოუყვანა ქრისტიანულ სარწმუნოებას, და არა მხოლოდ მას, მტკიცედ და მბრძანებლურად არ აღგავა პროგრესისა და კულტურის გზიდან — ამ ერთადერთი სწორი გზიდან? დღევანდელ ადამიანს თითქოსდა არ სჭირდება სარწმუნოების აღიარება, მისთვის სრულიად საკმარისი იქნება ამ გაქარწყლებულ მოძღვრებათა შესახებ მხოლოდ ზოგადი ისტორიული ცოდნა. ყოველივე ამან ხომ დრო მოჰტამა, ყოველივე ეს ხომ განადგურებულია და გარდასული. მაგრამ რას მივალწიეთ, რა მოგვეძევება რეალისტური მსოფლმხედველობის მიერ დიდი ხანია უკუგდებული, დვარძლიანად გამასხრებელი, თავშეწირვის, კეთილმოწყალე იდეის სანაცვლოდ? რა მოგვეძევება მსგავსი, უცილობლად მისი მჭობი? ახალი ხომ უეჭველად უკეთესი უნდა იყოს ძველზე? მერედა არის ის, ახალი! არის! აგერ ზგერ ისახება ახალი, ძლიერი რელიგია — ქარბი სამხედრო ძალის რელიგია. აბა, სხვა რომელ ეპოქაში ცხოვრობდა ადამიანი ყოველდღე, დაბადებიდან სიკვდილამდე ისე, რომ მთლიანად დამოკიდებული ყოფილიყო იმაზე, ეს ძალები მის გააჩაღებდნენ თუ თავს შეიკავებდნენ? დღეს ვინ არიან ღმერთები, თუ არა ისინი, ამ იარაღის მფლობელები? ოღონდ ჯერჯერობით არ არის ეკლესიები, სადაც საკურთხეველზე დადებული ბირთვული ჭურვების მაკეტებზე ილოცებდნენ და გენერლებს თაყვანს სცემდნენ... რით არაა რელიგია?

აბდია კალისტრატოვს ხანდახან ასეთი ფიქრები ეუფლებოდა ცხოვრებაზე. ამჯერადაც, როცა აზროვნების განუზომელი ყოვლისმომცველობის წყალობით შეეძლო ჩასწვდომოდა წარსულს, როგორც მის დაბადებამდე არსებული მოვლენების თვისებრიობას, არსს — ახალი წყალი ასე მოედინება ძველი ნაპირების გაყოლებაზე. — იგი იმ დღეთა დასაწყისს დაუბრუნდა, იმ პასეჟის წინა პარასკევ ღამეს, რათა მოეძებნა მოძღვარი, მოესწრო და გაენდო თავისი შიშა

მღელვარება, ეცნობებინა საუკუნეების შემდეგ ჩამომდგარი შიშ-მღელვარება, ეცნობებინა, რომ ისტორიის არენაზე გამოჩნდა ახალი ღმერთი — ღმერთი გოლიათი, რომელიც პლანეტის უკლებლივ ყველა მცხოვრების ცნობიერებას შავი ჭირივით დაეუფლა თავისი რელიგიით, გარყვნილი და უნივერსალური რელიგიით, ჭარბი სამხედრო ძალის რელიგიით. რას იტყობს მოძღვარი, როგორ შეძრწუნდებოდა: რა გზას დაადგებოდა ადამიანთა მოძღვარს სამხედრო უპირატესობისთვის თავაწყვეტილ შეჭიბრში? თუ მოძღვარი ხელმეორედ გადაწყვეტდა, თვითონ ეტვირთა ჩვენი ცოდვები და კვლავ გაკრულიყო ჯვარზე, საექვოა გული აეჩუყებინა ჭარბი სამხედრო ძალის აგრესიული რელიგიის მიერ დამონებული ადამიანებისთვის...

მაგრამ, თავისდა სამწუხაროდ, აბდიამ მოძღვარს ვერ მიუხსრო. იუდაამ უკვე გასცა მოძღვარი და იგი წაიყვანეს. და გოდებდა აბდია დაცარიელებულ გეთსიმანიაში ყველაფერზე, რაც იყო, და ყველაფერზე, რაც იქნებოდა, მართოდმართო მყოფი მთელ ბაღში და მთელ ქვეყნიერებაზე. იგი უკან დაბრუნდა დროსა და სივრცეში, იჩქაროდა, გამოსცდა თავის წინაპრებს, რომლებიც იმხანად ჯერ კიდევ ჩრდილოეთის ულრან ტყეებში ბინადრობდნენ და თაყვანს სცემდნენ ძელებისგან გამოთლილ კერპებს, და რომლებსაც მისი სახელი — აბდია — ჯერ კიდევ არ გაეგონათ. აი, ასე აღმოჩნდა გეთსიმანიაში. სახელს აბდიას მისი წინაპრები მომავალში სხვებისგან გადმოიღებდნენ, ხოლო თვითონ შორეულ მეოცე საუკუნეში გაჩნდებოდა...

და დიდხანს იჯდა აბდია, ქვითინებდა ფიკუსის ძირას, სადაც მოძღვარი შეიცნეს, დაიჭირეს და წაიყვანეს. და ისე წუხდა, თითქოს მისი წუხილი რაღაცით შეცვლიდა მსოფლიოს ბედს...

შემდეგ წამოდგა და დამწუხრებული წავიდა ქალაქში. იქ ღამეული იერუსალიმის კედლებს მიღმა მშვიდად ეძინა მცხოვრებთ პასექის წინა ღამეს. და ჯერ კიდევ არაფრის ბაიბურში არ იყვნენ. და მხოლოდ იგი, აღელვებული და სულშეძრული, დაეხეტებოდა ქალაქში და ფიქრობდა: სადაა მოძღვარი, რა სჭირს ახლა? შემდეგ უეცრად აზრად მოუვიდა, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა მოძღვრის ხსნა და გზადაგზა ფანჯრებზე კაკუნს მოჰყვა: „ადექით, ხალხო, უბედურება ახლოვდება! ჯერ კიდევ ვიდრე დროა, ვიხსნათ მოძღვარი! მე რუსეთში წავიყვან მას, არის პატარა ალექსანდრე კუნძული ჩვენს მდინარეზე, ოკაზე...“

აბდიას ფიქრით შუა მდინარეში მდებარე იმ ალექსანდრე კუნძულზე მოძღვარი სრულიად უშიშრად იქნებოდა, დაფიქრდებოდა ქვეყნის უკულმართობაზე და შესაძლებელია იქ დაჰბადებოდა ახალი აზრი, კაცობრიობისთვის დროთა შორეთში განეჭვრიტა ახალი გზა, ადამიანებისთვის მიენიჭებინა ღვთაებრივი სრულყოფა, რათა მის მიერ ნაკისრი უცილობელი მოვალეობის — მესიანური მიზნის აღსრულებისთვის საჭირო არ ყოფილიყო სისხლი, რათა არ განეცადა ტანჯვა და დამცირება, თუმცა ეს უგუნური მზად იყო ერთიც და მეორეც ეწვნია ადამიანთა გულისთვის, მჩაგვრელთათვის საშიში და ამიტომაც ესოდენ დაუნდობლად ამოძირკვეული სიმართლის გულისთვის; აკი მომავალ თაობათა საბედნიეროდ იტვირთა ის დამლუპველი მოვალეობა, გარდაუვალი მოვალეობა — მის მიერ არჩეულ გზაზე ადამიანები ეხსნა, ეხსნა ძველისძველ უსამართლობებში მონაწილეობის კირთისგან, ვინაიდან ბუნებრივ საგნებში უსამართლობა არ არსებობს, მხოლოდ ადამიანთა შორის მკვიდრობს და ადამიანთაგან მომდინარეობს. მაგრამ განა შეიძლება მიზანს ასეთი ანტიისტორიული...

ლი საშუალებით მიადრწიო, არის განა რაიმე მტკიცე რწმენა იმისა, რომ მოძღვრის გაცვეთილი არ იქნება დავიწყებული ყოველთვის, როცა ანგარებას გამრღვევებული ადამიანი მოინდომებს მოძღვრის დავიწყებას, თავისი სინდისის ჩახშობას, ჩაკვლას, უამრავ გამამართლებელ მიზეზს იპოვის: იძულებული ვიყავი ბოროტებისთვის ბოროტებით შეპასუხაო. როგორ მოვაშლევინოთ ადამიანს — შემოქმედების გვირგვინს — დამლუპველი გატაცებანი, რომელნიც განუწყვეტლივ ახლავს კეთილდღეობაშიც და გაჭირვებაშიც, სიღატაკეშიც და მეტიმეტ ფუფუნებაშიც, მაშინაც, როცა ძალაუფლება უპყრია ხელთ და მაშინაც, როცა არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია; როგორ მოვაშლევინოთ ადამიანს — შემოქმედების გვირგვინს — სხვაზე ბატონობის დაუცხრომელი წყურვილი, როგორ მოვაშლევინოთ განუწყვეტელი ფორთხვა ყოველგვარი უფლებამოსილებისკენ. ადამიანს ზომ თვითკმაყოფილება და ქედმაღლობა უბიძგებს იმბრძანებლოს და იმძლავროს, როცა ძალა აქვს, ხოლო როცა ძალა არ გააჩნია, მლიქვნელობით, თვალთმაქცობით, ვერაგობით ელტვის იმავე მიზანს; მაშ, რაღაა ცხოვრების ქეშმარიტი მიზანი, რაღაა მისი აზრი და ბოლოს და ბოლოს ვის შეუძლია უპასუხოს ამ კითხვას ისე, რომ არც ერთი სულიერი არ დააეჭვოს მისი პასუხის ქეშმარიტებამ და სიბატონსნემ.

და შენ, მოძღვარო, თანახმა ხარ უსასტიკეს სასჯელზე, რათა ადამიანმა შეისმინოს სიკეთე და თანაგრძნობა — ის, რაც დასაბამითვე განასხვავებს გონიერს უგუნურიგან, ვინაიდან მძიმეა ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე, ღრმადაა მასში ჩამალული ბოროტების სათავეები. მერედა, განა ასეთი გზით შეიძლება მივალწიოთ აბსოლუტურ იდეალს — აზროვნების თავისუფლებით ფრთაშესხმული გონება, ამალღებული პიროვნება, რომელმაც თავის თავში მოსპო ბოროტების ანაქრონიზმი აწ და მარადის, როგორ აღმოფხვრიან გადამდებ ავადმყოფობას? ო, ნეტავ ამის მიღწევა შეიძლებოდეს! ღმერთო, რად იდე თავს ასეთი ტვირთი გამოუხწორებელი სამყაროს გამოსწორებისა? მაცხოვარო, შესდექი! ისინი ხომ, ვისი გულისთვისაც ჯვარს გაეკვრები, წამებით მოკვდები, ისინი ხომ შემდეგ დაგცინებენ. დიახ, დიახ, იხარხარებენ, ზოგიერთები მასხრადაც აიგდებენ შენს ამო ღვაწლს ათასობით წლის შემდეგ, როცა მატერიალისტური მეცნიერება ღმერთის რწმენისგან ქვას ქვაზე არ დატოვებს და მონაჩმანად გამოაცხადებს იმას, რაც შენ გადაგხდა: „ახირებულია! ტუტუცია! ვინ სთხოვდა? რატომ, რა საჭირო იყო ამ ჯვარცმის სცენის გამართვა? ამით ვის გააკვირვებ? რა მისცა ამან ადამიანს, რა შესცვალა ადამიანში თუნდაც მისხლისოდენა, თუნდაც იოტისოდენა?“ ასე იფიქრებენ ის თაობები, რომელთაც შენი გმირობა უაზრობად მოეჩვენებათ, რომელნიც იმ დროისათვის ჩასწვდებიან მატერიის აგებულებას, თვით მის თავდაპირველ არსს, გადალახავენ დედამიწის მიზიდულობას, შეაღწევენ კოსმოსურ სფეროებში, სამყაროს საზიზღარი სიხარბით შეეცილებიან ერთმანეთს, გალაქტიკაზე ბატონობას მოიწადინებენ და თუმცა სივრცე უსასრულოა, მათთვის სამყაროც მცირე აღმოჩნდება, ვინაიდან დედამიწაზე წარმატების მიუღწევლობისათვის ჯავრის ამოსაყრელად თავიანთი ამბიციების დასაამინებლად უკან არ დაიხევენ, რომ თვითონ პლანეტა აქციონ ნაცარტუტად, პლანეტა, რომელზეც შენ გულმოწყალების კულტის დადგინებას ცდილობდი. მაშ, დაფიქრდი, რაა ადამიანთათვის ღმერთი, როცა ისინი თავს ღმერთზე მალლა აყენებენ, რაა ჯვარზე ჩამოკიდებული ახირებული, როცა ყველას უცბად რომ გაანადგურებენ, შენს სახსენებელსაც მოსპობენ დედამიწასა ზედა. ო, საბრალო, ო, გულუბრყვილო ჩემო მოძღვარო, ერთად გავი-

ქცეთ ვოლგაზე, ოკაზე, მდინარის შუაგულში მდებარე იმ განმარტოებულ კუნძულზე და იქ ისე იქნები, როგორც ციურ ვარსკვლავზე, ყველა ყოველი მხრიდან დაგინახავს, მაგრამ ვერავინ მოგწვდება. დაფიქრდი, ჯერ კიდევ არაა გვიან, კიდევ ღამე და დილა გვაქვს, შესაძლოა, ჯერ კიდევ აიცილო საშინელი ხვედრი! გონს მოდი, ნუთუ შენ მიერ არჩეული გზა ერთადერთი შესაძლოაა?

ასეთი აზრებით შეპყრობილი აბდია, რომლის თვალშიც უსახლკარო ტანჯვა ისახებოდა, ცხელი, ღამეული იერუსალიმის ქუჩებსა და მოედნებზე დაეხეტებოდა, ცდილობდა დაერწმუნებინა ის, ვინც თვით ღმერთმა წარმოგზავნა დედამიწაზე საშინელი და ტრაგიკული ხვედრის საწვინეად, როგორც მარადი მაგალითი და მუნათი ადამიანებისა... მაგრამ ადამიანს ხომ ისეთი თვისება აქვს, ამ მუნათს პირდაპირ თავის თავზე არ მიიღებს და თითოეული მათგანი თავს გაიმართლებს: მე არაფერ შუაში ვარ, უჩემოდ წყდება ქვეყნიერების ბედი და გადაწყდესო... რა უშრეტო ირონია იმალება ამ აზრში, რომლის დამახასიათებელი ნაკლი ადამიანურ ბუნების ბოლომდე შეუფასებლობაა...

აბდიამ რამდენჯერმე გაიარა ქალაქის კარიბჭესთან, სადაც ბოლოს მაწანწალა ძალს გადაეყარა. ძალი საში თათით დადიოდა, მეოთხე დაშავებული თათი მუცელზე მიეკრა. მან ჭკვიანურად და ნალვლიანად შეხედა აბდიას. აბდიამაც ახედ-დახედა და უთხრა:

— რას იზამ, კოჭლაუხა, ვატყობ, ჩემსავით უსახლკარო ხარ. წამომყევი.

ძალიც განთიადამდე დაეხეტებოდა აბდიასთან ერთად. ყველაფერი ესმოდა იმ ძალს. დილით კი კვლავ საზრუნავ-საფიქრალით გაიღვიძა ქალაქმა, ბაზრები დილიდანვე აავსეს ბედუინების მიერ ქვიშებიდან მორეკილმა დასაპალნებულმა აქლემებმა, უფრო მცირე ტვირთით დაზურგულმა სახედრებმა და ჯორებმა, ცხენებშებმულმა გატენილმა ოთხთვალეებმა, მხრებზე ნაკრალუმბოკიდებულმა მებარგულეებმა, ამოძრავდა ყოველივე — ვნებები, ნივთები, ატყდა ყაყანი — ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საერთო გაწამაწიაში ჩაერთო... მაგრამ ბევრი იერუსალიმელი ქალაქის თეთრკედლებიან ტაძართან შექუჩდა, საიდანაც ეს აწრიალებული დუნდგო რომის პროკურატორ პილატე პონტოელის საცხოვრისისკენ გაემართა. ბრბოს აბდია კალისტრატოვიც მიჰყვა. მიხვდა, რომ საქმე მოძღვრის ბედს ეხებოდა და ხალხს თვითონაც გაედევნა პეროდეს სასახლისკენ, მაგრამ შეიარაღებულმა დაცვამ ნაცვალთან არავინ შეუშვა. ბრბო სასახლესთან შეჩერდა, დაიცადა. ხალხი სულ უფრო მატულობდა, თუმცა დილიდანვე სიცხე იდგა. აქ სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა ვნებამ მოიზიდა, რას არ ლაპარაკობდნენ იმ დაუცხრომელ დუნდგოში: ერთნი ამბობდნენ — წინასწარმეტყველ იესო ნაზარეველს პროკურატორი რომის მიერ მინიჭებული ძალაუფლებით შეიწყალებს, გაუშვებს, რათა იერუსალიმიდან რაც შეიძლება შორს გადაიკარგოს და აქ აღარასოდეს დაბრუნდესო. მეორენი ამბობდნენ, პასეჟის აღსანიშნავად ერთ-ერთ მსჯავრდებულს სიცოცხლეს აჩუქებენ და ეს შეწყალებული იეხო იქნებაო. მესამეთ უბრალოდ სწამდათ, რომ იესოს თვითონ იაჰვე იხსნიდა ყველას თვალწინ, მაგრამ სუყველანი — ერთნიც, მეორენიც და მესამენიც — იცდიდნენ, იცდიდნენ და არკი იცოდნენ, რა ხდებოდა სასახლის გალავნისა და კედლების მიღმა. ბრბოში ბევრი იმისთანაც ერიო, რომლებიც დასცინოდნენ საბრალოს, თავის სასაცილო ტახტისთვის თავი წააგოო, ამასხარავედნენ განწირულ ახირებულს და დრტვინავდნენ: რას აჯანჯლებს საქმეს პროკურატორი, გასაკეთებელი უმალ უნდა გაკეთდეს, რას ელოლიაგება (ხედავ, როგორ აჭერს მზე, შუადღემდე თხემის ადგილზე ყველა შეიხრაკე-

ბაო. ეს იესო ნაზარეველი ვისაც გინდა, თავგზას აურევს. ახლა ნაღდად ენას ასხმარტალებს და პროკურატორს აცბუნებს, ვაითუ რომის ნაცვალი ადგეს და გაუშვას, ჩვენ კი მაშინ რაღას ვუდგავართ აქო... იესო ნაზარეველიც კი ვინმეა — რამდენი რამ ადგვითქვა, მერედა, სადაა ის მისი ახალი სამეფო. ახლა თვითონ მაგას ძალღვივით მიახრჩობენ... როგორც ხდება ხოლმეო...

აბღია უსმენდა მათ და აღშფოთებას ვერ მალავდა „როგორ შეძლავთ ასე ლაპარაკს! უმადურნო, სულმდაბალნო! როგორ შეიძლება ასე შებილწოთ და გააუხამსოთ ადამიანის სულის დიადი ბრძოლა საკუთარ თავთან. თქვენ მოძღვარით უნდა იამაყოთ, ხალხნო, მისი საზომით უნდა გაზომოთ თქვენი თავი!“ — ყვიროდა სასოწარკვეთილი აბღია კალისტრატოვი, ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა იერუსალიმელთა ბრბოში, მაგრამ არავინ უსმენდა, არავინ ამჩნევდა, რომ იქ იყო. ის ხომ ჯერ კიდევ მომავალ მეოცე საუკუნეში უნდა დაბადებულიყო...

შუალამისას წამოთქრიალებულმა წვიმამ ნელ-ნელა იკლო. როგორც მოვიდა, ისე წვიდა, რომ კიდევ სადღაც ღვართქათად დაშვებულიყო. ბოლოს სულაც გადაიღო, მხოლოდ ხანდახან ნაგვიანვე წვეთებად სწყდებოდა ცას. ამასობაში კი განთიადი ახლოვდებოდა, განბანილი და ვარსკვლავებით მოქედილი განთიადი. ცას, სიღრმეში რომ ჯერ კიდევ მუქი აქატისფერი ჩანდა, წვიმის შემდეგ ნაპირები უნათდებოდა. სიგრილეს ასუნთქებდა ნოტიო ნიადაგი, ღამის განმავლობაში წამოზრდილი ბალახი.

მაგრამ ტრამალის ბინადარ ცოცხალ არსებათაგან იმ წუთებში ცხოვრების სიხარული ისე მძაფრად და მადლიერებით არავის შეუგრძენია, როგორც აბღია კალისტრატოვმა შეიგრძნო, თუმცა მაინცდამაინც კარგ სულიერ განწყობაზე ვერ იყო.

ისე კი აბდიას გაუმართლა: წინა დღით გახურებულმა ჰაერმა ღამით გაგრილება ვერ მოასწრო და აბდიაც სიცივისგან არ გაფიჩხებულა. მართალია, თავიდან ფეხებამდე გაილუმბა, ნატკენ-ნაგვეში ადგილები აწუხებდა, მაგრამ ტკივილი არაფრად ჩააგდო, გულისყური მოიკრიბა და ნათელქვრეტის უნარის წყალობით, რაც საშუალებას აძლევდა თავი ერთდროულად წარსულშიც ეგრძნო და აწმყოშიც, სიცოცხლეს ხელახლა აღიქვამდა. ამას ბედის წყალობად მიიჩნევდა და ამიტომ კიდევ უფრო მეტად აფასებდა, ცხოვრებისა და აზროვნების შესაძლებლობა რომ ჰქონდა. იმ დროს, როცა წვიმამ გადაიღო, აბღია უკვე რკინიგზის ხიდის ქვეშ იჯდა, სადაც სიბნელეში გაჭირვებით, კოჭლობით, ვაი-ვაგლახით მიაღწია...

ხიდქვეშ შედარებით სიმშრალე იგრძნობოდა. აბდიამ აქ მაწანწალასავით შემოაღწია და კმაყოფილი იყო, რომ იპოვა ადგილი, სადაც შეეძლო წვიმის გადაღებას დალოდებოდა და ფიქრებს მისცემოდა. ხიდქვეშ გუგუნ-ბუბუნი ისმოდა, როგორც შუა საუკუნეების მაღალკამარებიან ტაძარში. როცა ზემოთ მატარებლები მიქროდნენ, მათი ხმაური საარტილერიო ცეცხლის შორიდან მომწყდარ და თანდათან მიმქრალ გრიალს ჰგავდა. იმ ღამეს მადლმოსილებით, შთაგონებით ფიქრობდა აბღია, აზრი უკვე თავისთავად ისხამდა ფრთებს და მის სულს უსასრულოდ, დაუბრკოლებლად მიაფრენდა თან. აბღია ხან ქრისტეზე ფიქრობდა, ხან პილატე პონტოელზე, გონებით სწვდებოდა იმ გარდასულ

დროს. ხიდზე გადაჭროლილი მატარებლების გრუხუნე ხელს არ უშლიდა, თავი ეგრძნო ძველ იუდეაში, გოლგოთაზე მოყაყანე ბრბოში და თითქოსდა თავისი თვალთ ენახა, რა ხდებოდა იქ; ხან იხსენებდა, რომ მოსკოვში იყო, ბუშკინის მუზეუმში, სადაც ბულგარული კაპელა მღეროდა, იგონებდა თავის ორეულს, ბულგარულ მომღერალს, რომელიც ისე საოცრად ჰგავდა, თვალწინააღმდეგ ხედავდა მის სახეს, დაღებულ პირს. რა დიად ბგერებს აფრქვევდნენ ბულგარულ მომღერალთა ხმები, რარიგ აღამაღლებდნენ აბდიას სულსა და ფიქრებს! აბდიას მამას დიაკონ კალისტრატოვს ძალიან უყვარდა საეკლესიო გალობა და როცა მას უსმენდა, გული უჩუყდებოდა, ტიროდა ხოლმე ერთხელ ვიღაცამ ერთი თანამედროვე მონაზვნის საკვირველი ლოცვა გადასცა. ეს იმხანად ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, საბავშვო სახლის ყოფილი აღსაზრდელი, ხოლო შემდეგ იმავე სახლის აღმზრდელიც, ომის დროს მონაზვნად აღიკვეცა. მას აქეთ აღიკვეცა, რაც გერმანელთა წყალქვეშა ნავის ჩაძირულ სამხედრო ხომალდზე დაედგა შეყვარებული, რომელთანაც სულ თვენახევარი იცხოვრა. დიაკონი კალისტრატოვი ყოველთვის ცრემლს ღვრიდა ამ „სულის დოკუმენტს“ რომ კითხულობდა, რომელშიც გოდებაც და ლოცვაც იყო შენივთებული. დიაკონს ძალიან უყვარდა, როცა აბდია, ჯერ კიდევ ბიჭუნა, სახლის საპატიო კუთხეში ძველ პიანინოსთან იდგა და წკრიალი ყმაწვილური ხმით უკითხავდა ჩაძირული ხომალდის ლოცვას. ამ კითხვა-კითხვაში აბდიამ ზეპირად ისწავლა ლოცვა, ის ლოცვა მონაზვნისა, საბავშვო სახლის ყოფილი აღსაზრდელისა.

„ცას რიბირაბო ედება და, ვიდრე ქვეყანას სძინავს მზის ამოსვლამდე, ყოველისმხილველო და ყოველად კეთილო, შენ აღგივლენ ჩემს სისხლბორცულ ლოცვას. ო, მომიტევე, ღმერთო, რომ თავნებობას ვიჩენ და უწინარეს შენ კი არ გიხსენებ, კვლავ ჩემი საქმით გაბეზრებ თავს, მაგრამ მე იმისთვის ვცოცხლობ, რომ ეს ლოცვა ვთქვა, ვიდრე ამ ქვეყნად ვარსებობ.“

შენ, გულმოწყალე, კურთხეულო და პირუთვნელო, მომიტევე, რომ დაჟინებული მომართვით თავს გაბეზრებ. ჩემს ვედრებაში ანგარება არ ურევია, არც ერთ ბეწო ამქვეყნიურ კეთილდღეობას გთხოვ, არც სიცოცხლის დღეთა გახანგრძლივებას გემუდარები. მხოლოდ ნიადაგ შემოგვედრი ადამიანის სულის ცხოვნებას. შენ, ყოველისმომტევებელო, უმეცრებაში ნუ გვამყოფებ. ნებას ნუ მოგვცემ თავი გავიმართლოთ, რომ ამქვეყნად სიკეთე და სიბოროტე ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. გონება გაუნათე ადამიანთა მოდგმას. ჩემზე კი სიტყვასაც არ დაგძრავ. არ მეშინია ნებისმიერი დასასრულისა, ისე შევხვდები მას, როგორც ჩემდამი სამართლიანს — თუნდ ჯოჯობეთის ცეცხლში დავიწვა, თუნდ ფეხი შევდგა სამეფოში, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ეს ხვედრი შენ გადაწყვიტე, უხილავო და მარადისმოყოფო შემოქმედო.

მხოლოდ ერთსა გთხოვ, ამაზე დიდი თხოვნა არა მაქვს მე, შენს მხევალს, მონაზონს, შენი სიყვარულის სიტყვების მორჩილს, განდევილს, რომელმაც სასოწარკვეთილმა არაფრად მიიჩნია თავისი ამქვეყნიური ჭირ-ვარამი, სავსებით უარყო პატივმოყვარეობა და ამოეხა, რომ თავის ფიქრებში შენს სულს მიახლოებოდა, ღმერთო.

მხოლოდ ერთსა გთხოვ, ერთ სასწაულსა გთხოვ: დაე, იმ ხომალდმა იმ ძველი კურსით იცუროს ყოველდღე, ყოველდამ, ვიდრე დღე და ღამე შენ მიერ დადგენილი რიგით ენაცვლებიან ერთმანეთს დედამიწის კოსმოსური ბრუნვისას. დაე, იცუროს მან, იმ ხომალდმა, მუდმივ ვახტზე იყოს, სამარადქამოდ ჰქონდეს ჩამოცმული შალითები ქვემეხთა ლულეებზე, და იცუროს ოკეანიდან

ოკეანეში, და ტალღები ეხლებოდეს კიჩოზე, და ისმოდეს ამ ტალღების განუწყვეტელი ძალუმი გუგუნის, ზათქი. დაე, ოკეანის უხეფები მოშხაბუნე წვიმად ეფრქვეოდეს, დაე, ისუნთქოს იმ მწარე და ჰაერში მოქარქარე სინოტივით, დაე, ესმოდეს გემბანის ჭრაცუნის, ტრიუმიდან მანქანების გუგუნის, მალლით ჩხავილი თოლიებისა, რომლებიც ზურგის ქართან ერთად კვალდაკვალ მოსტყვნიან მტკნალ მალღს. დაე, ხომალდმა იცუროს ოკეანის შორეულ ნაპირზე მდებარე ნაპირებსა და ქალაქისკენ, თუმცა ვერასოდეს მიაღგება მას...

ესაა ყველაფერი, მეტს არაფერს გთხოვ ჩემი განუწყვეტელი ლოცვით, და მომიტევე, ყოვლად კეთილო და გულმოწყალევე, რომ უცნაური თხოვნით, დაღუპულ ხომალდზე ლოცვით თავს გაბეზრებ. მაგრამ შენ ყველა დიდი იმედის, ამქვეყნიური და არაამქვეყნიური იმედის ლიბო ხარ. შენ იყავი და დარჩები ყველგან მყოფი, ყოვლადშემძლე და ყოველივეს დასაბამი. ამიტომ ვედრებით მოგეაზლებით როგორც წინათ, ისევე ახლაც და მომავალშიც. ამიტომ, როცა ამ ქვეყანას განვეშორები და აღარავისთვის მექნება შესავედრებელი, დაე, იმ ხომალდმა ოკეანეში მარადიულობის საზღვარს იქითაც იცუროს, ამინ!“

აბდიას თვითონაც ვერ გაეგო, რატომ გაახსენდა იმ ღამეს მონაზვნის ლოცვა. უცებ გაიფიქრა, უჩქულუქში მოტოციკლით ჩამოსული ქალიშვილი რომ შემახვედრა, ამ ლოცვას მასაც ვეტყოდო, და გაეცინა, უნებურად გაეცინა, უწესო ჩერჩეტი უწოდა თავს, წარმოიდგინა, რა თვალთ შეხედავდა ქალიშვილი ხიდქვეშ მოხეტიალე ქურდივით ან ხელმარცხიანი ყაჩაღით საცოდავად მოკუნტულს და რას გაიფიქრებდა მასზე. თვითონ კი, ხედავ, ხომალდის ლოცვის თქმაც მოუხდომა. ქალიშვილი გიჟად მიიჩნევდა, რა თქმა უნდა, და მართალიც იქნებოდა. მაგრამ მაინც აბდიას უნდოდა ქალიშვილი ახლავე ენახა, თუმცა შეიძლებოდა მის თვალში დამცირებულიყო...

და აბდია ხიდქვეშ იჯდა განთიადამდე. მის თავზემთ ტრამალში მიმქროლავი მატარებლები დაგრუხუნებდნენ. ყველაზე მეტად იმაზე ფიქრობდა, სად არიან ახლა მადევრები, ჩემი ყოფილი თანამგზავრები, რას შვრებიანო, ჟალბაკსაზიდან ალბათ უკვე გაძვრნენ და თავიანთ გზას ადგანანო. პეტრუხა, ლიონკა და სხვები, ან მაქციასავით მოუხელთებელი გრიშანი სადღა იმყოფებიანო? და ნანობდა აბდია, რომ მარცხი განიცადა, უხეში შუცდომა დაუშვა, რომ გრიშანმა გაიმარჯვა, რომ მისმა ბნელმა საქმემ გაიმარჯვა, რომ ყველაფერი ასე ცუდად დამთავრდა, თუმცა, როგორც თავად მიაჩნდა, ამ დღეებში თავს დატეხილი განსაცდელი მისთვის აუცილებელი იყო. მართალია, მადევრების გარდაქმნა ვერ შესძლო, მაგრამ გაზეთში გამოსაქვეყნებელი საინტერესო მასალა კი მოიპოვა, თანაც საკუთარი გარჯით.

ეს ფიქრები ცოტათი ამშვიდებდა აბდიას, ოღონდ სულში ტკივილს გრძნობდა, უწინარეს ყოვლისა ლიონკას გამო. აი, ვინ შეიძლებოდა ქეშმარიტების გზაზე მოექცია და ვერ მოახერხა.

აბდიას ახლა ყველაფერი გაახსენდა, რაც გაიგო და ნახა მუინყუმისპირა ტრამალეებში — ის შეხვედრაც მგლებთან, ისიც, თუ როგორ გადაახტა თავზე სისვი ძუ მგელი იმის მაგივრად, რომ შუანები ჩაესო. უცნაური იყო ეს ამბავი, ძალიან უცნაური და აბდიას სამუდამოდ დაამახსოვრდა მგლის ლურჯი თვლების მძვინვარე და ბრძნული გამოხედვა.

მაგრამ აი, რკინიგზის მალლა ისევ გადმოიხედა მზემ და ცხოვრების ჩარხი ხელახლა დატრიალდა. ღამეული წვიმის შემდეგ საუცხოო განწყობა სუფევდა ტრამალში. სიცხე ჭერ კიდევ არ დამდგარიყო, ტრამალის სივრცეები მთელ

თვალსაწიერზე სისუფთავით სუნთქავდნენ, ცაში ტორღლები გალობდნენ. ცა-სა და მიწას შუა ტრამალის ფრთოსნები დაფრინავდნენ და ერთი ეივილ-ბივილი ჰქონდათ. ხოლო ტრამალზე ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე მიმდრიოდნენ მატარებლები და გახსენებდნენ, რომ აქედან შორს სიცოცხლე ჩქეფდა.

ჰარმონია და სიმშვიდე მეფობდა იმ დილას ცის წუბანდელნი მაღლიანი ნა-ეურით დარწყულებულ ტრამალში.

როგორც კი მზემ მიდამო ჩამოათბუნა, აბდიამ გადაწყვიტა, ტანსაცმელი გაეშრო, გახდა დაიწყო და შეძრწუნდა — ტანსაცმელი ისე ჰქონდა დაფხრე-წილი, ხალხში ასე გამოჩენა სირცხვილი იყო. მთელი სხეული დაბეჭილი, და-ლიბრული, დალურჯებული ჰქონდა კიდევ კარგი, სარკე არ მოეძევებოდა — სარკეში, რომ ჩაეხედა, თავისი საშინელი შესახედაობა შეაძრწუნებდა, თუმცა უსარკოდაც კარგად ხვდებოდა, რა სჭირდა: სახეზე ხელს ვერ იკარებდა.

და მაინც იმდენი გონიერება გამოიჩინა, თავს ჩაუნერგა, შეიძლებოდა ყვე-ლაფერი გაცილებით უარესად დასრულებულიყო, ცოცხალი რომ გადაერჩი, უკ-ვე მარტო ეს დიდი ბედნიერებააო.

ხიდქვეშ ტანზე რომ იხდიდა, კიდევ ერთი უსიამოვნო რამ აღმოაჩინა — პასპორტი და ჯიბეში ჩარჩენილი მცირეოდენი ფული აღარაფრად ვარგოდა. დაცემის დროს დაგლეჯილიყო და წვიმაში დასველებული პასპორტი ქალაქის სველ ბორცვად ქცეულიყო. ხოლო ფულიდან ავად თუ კარგად მარტო ოცდა-ხუთმანეთიანი და ათმანეთიანი გადარჩენილიყო, ამ ფულით უნდა ჩაეღწია ჯერ მოსკოვამდე და შემდეგ პრიოკსკამდე.

უსიამოვნო ფიქრები დაეხვია აბდიას. სემინარიიდან გამოძევების შემდეგ საკმაოდ გაჭირვებულად ცხოვრობდა. დის, ვარვარას, თანხმობით იძულებული გახდა გაეყიდა ძველი პიანინო, რომელზეც ბალლობაში დაკვრა ისწავლა. სა-კომისიო მალაზიაში პიანინოში ნახევარი საფასური მისცეს, აუხსნეს, მუსიკა-ლური საკრავები ახლა დეფიციტი აღარაა, თავსაყრელად გვაქვს, ძველი მაგნი-ტოფონებიც კი აღარ ვიცით, სად შევინახოთ, პიანინო კი მით უმეტესო. იძუ-ლებული გახდა შეთავაზებულ თანხას დაჰყაბულებოდა, ვინაიდან სხვა გზა არ ჰქონდა. ჰოდა, აი, ახლა ხელთ აღარაფერი მოეძევებოდა. უკეთესს ვერაფერს ინატრებდი!

დაიწყო ახალი დღე, მაშასადამე, საჭირო იყო ცხოვრება და ყოფიერების მატერია კვლავ ყელში ეძგერა იდეალისტ კალისტრატოვს.

აბდიამ მთელი ღამე ხიდქვეშ ფიქრებში გაატარა და ახლა უნდა გადაეწყ-ვიტა, როგორ გაეღწია აქედან, ამის გარდა საჭირო იყო არსობის პურზე ზრუნვაც.

დილით ბედმა გაუღიმა. როცა ინათა, გამოირკვა, რომ ხიდქვეშ, სოფლის შარავზა გადიოდა, თუმცა ეტყობოდა, აქ მანქანები ხშირად არ მოძრაობდნენ. კაცმა არ იცოდა, რამდენ ხანს მოუწევდა გამვლელი მანქანის ლოდინი და გა-დაწყვიტა, თვითონ მიეღწია რკინიგზის უახლოეს ასაქცევამდე, იქიდან კი რაი-მეს გაჰყოლოდა უალბაკ-საზამდე. გადაწყვიტა და ირგვლივ მიმოიხედა, სადმე ჯოხი ხომ არ გდია, დასაბიჯებლად რომ გამომადგესო. ძალიან სტკიოდა მატარებლიდან მიწაზე დავარდნისას დაშავებული დასიებული მარჯვენა მუხლი. აქეთ-იქით რომ იხედებოდა, გაეცინა: „ერთიც ვნახოთ და გრიშანმა გადმოაგ-დო ის ჯოხი, რომლითაც პეტრუხამ ბოლო მომიღო? ახლა ის გრიშანს არაფ-რად სჭირდება!“ ჯოხი, რა თქმა უნდა, ვერ იპოვა, სამაგიეროდ შეამჩნია, რომ ტრამალში ხიდისკენ მანქანა მოქროდა.

მანქანა სატვირთო აღმოჩნდა, რომელსაც ძარაზე ფანერისგან შეკედილი ჯიხური ედგა. კაბინაში მძღოლის გვერდით ბავშვჩახუტებული ქალი იდგა. მძღოლმა მანქანა უცებ დაამუხრუჭა. ბრგე, შავტუხა ყაზახი კაბინის ოდნავ დაღმანჯრიდან გაკვირვებით ათვალიერებდა აბდიას. შემდეგ რატომღაც ჰკითხა:

— ჯელო, ბოშებმა გცემეს?

— არა. ბოშებს არ ვუცემივარ. თვითონ გადმოვევარდი მატარებლიდან.

— მთერალი ხარ?

— საერთოდ არ ვსვამ.

მძღოლმა და ბავშვიანმა ქალმა თანაგრძნობით ამოიოხრეს, ყაზახურად დაიწყეს ლაპარაკი და ხშირად წარმოთქვამდნენ სიტყვა „ბიჩარას“.¹

— მოდი, დაჯექი, ჟალპაკ-საზში მივდივართ. ტრამალში მარტო დაიღუპები, ბიჩარა. აქ მანქანები იშვიათად დადიან.

აბდიამ ძლივს შეიკავა მუხანათურად მომდგარი ცრემლი, პატარა ბავშვით გაიხარა.

— გმადლობთ, ძმაო, — უთხრა მძღოლს და ხელი მკერდზე მიიღო. — სწორედ ეს მინდოდა მეტხოვნა, თუ გზა იქით გექნებოდათ. სიარული მიჭირს, ფეხი დავიშავე. გმადლობთ.

მძღოლი გადმოვიდა და აბდიას მანქანაზე ასვლაში უშველა:

— აქეთ მოდი, აგწევ, ბიჩარა, შენ კი აძვერი, ნუ გეშინია, იქ მატყლია ჩასაბარებლად მიმაქვს, მეურნეობიდან. სწორედ რომ რბილად იქნები. ოღონდ პაპიროსი არ მოსწიო.

— ისედაც არ ვეწევი. დარდი ნუ გექნებათ, — სერიოზულად აღუთქვა აბდიამ მძღოლს. — მთელი ღამე წვიმა მასხამდა, თავფეხიანად დავსველდი, აქ კი გავთბები, გამოვშუშდები...

— კარგი, კარგი! მე ისე გითხარი. დაისვენე, ბიჩარა.

კაბინიდან ქალმა გამოიხედა და მძღოლს რაღაც უთხრა.

— ცოლი მეკითხება, ჭამა არ უნდაო? — ღიმილით აუხსნა მძღოლმა აბდიას.

— ძალიან მინდა! — ალაღად აღიარა აბდიამ. — გმადლობთ. თუ რამე გაქვთ, მომეცით, თქვენი ჭირიმე, ძალიან დაგიმადლებთ.

აბდიას მოეჩვენა, რომ ცხვრის რძის მაწვნით სავსე ბოთლი და კერიაზე გამომცხვარი სურნელოვანი თეთრი პურის კვერი იმ ღამის ტანჯვის სანაცვლოდ ზეგარდმო მოვლენოდა.

აბდიამ ჭამა და გულიანად დაეძინა ქონისა და ოფლის სუნით აყროლებული მატყლის ბარდანებზე. მანქანა კი მიქროდა ტრამალში, რომელსაც წუხანდელი თავსხმის შემდეგ სიგრილე ჯერ კიდევ შერჩენოდა. გზამ აბდიას ისე არგო, თითქოს ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანსაღდა.

მაშინღა გაელვიძა, როცა მანქანა გაჩერდა.

— მოვედით. შენ საით მიდიხარ? — მძღოლი მანქანის უკან იდგა და ძარაში იყურებოდა. — ჯელო! ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი ვარ, ცოცხალი გმადლობთ, — მიუგო აბდიამ. — მაშ, უკვე ჟალპაკ-საზში ვართ?

— ჰო, სადგურში ვართ. ჩვენ ახლა ნედლეულის საწყობში უნდა წავიდეთ. შენ საით?

¹ ბიჩარა — უბედური, საბრალო.

— ვაგზალში. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, რომ მიხსენით თქვენს ცოლისთვისაც დიდი მადლობა მომიხსენებია. ენით ვერ მითქვამს, როგორ გემადლიერებით.

აბდიამ ტკივილისგან დაიკვნესა, როცა მძლოლის დახმარებით/ მანქანიდან გადმოდიოდა.

— მთლად ცუდადა ხარ, ბიჩარა. საავადმყოფოში წადი, წადი, ურჩია მძლოლმა. — ჯობი იშოვე და სიარული გაგიადვილდება.

ვაგზლის შენობამდე აბდია მთელი ნახევარი საათი მიკოჭლაობდა. კიდევ კარგი, გზად ფიცრის ნატეხი იპოვა და ილლიაში ყავარჯენივით ამოიღო — ასე უფრო გაუადვილდა კოჭლობ-კოჭლობით სიარული.

ხოლო რკინიგზების, ესტაკადების კონსტრუქციების, პროექტორებისა და სატვირთო ამწეების, მიმავალი და მომავალი მატარებლების თავზე, ვაგზლის მოედნის, უფრო სწორად სადგურის ახლომახლო, მთელი ქალაქის თავზე ტრამალში სელექტორის მეშვეობით ქუხდა ბრძანებები. გადაქროდა ლოკომოტივების კივილი, რადიოსამსახური წამდაუწუმ აცხადებდა სამგზავრო მატარებლების წასვლა-წამოსვლას. იმ მიყრუებულ ადგილას ყოფნის შემდეგ აბდიამ უცბად იგრძნო სიცოცხლის მჩქეფარება. ირგვლივ მიდი-მოდინდნენ, ჩქარობდნენ ადამიანები — ჟალპაკ-საზი ტყუილად როდი იყო თურქესტანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკვანძო სადგური.

ახლა აბდიას უნდა გადაეწყვიტა, როგორ გამგზავრებულიყო, რომელ მატარებელს გაჰყოლოდა და საერთოდ, რა ექნა შემდგომ, როცა ჯიბეში სულ ოცდაათხუთმეტი მანეთი ედო. პლაცკარტიანი ვაგონის ბილეთი კი, ისიც მხოლოდ მოსკოვამდე — თანაც თუ სალაროში ადგილები ექნებოდათ — ოცდაათი მანეთი ღირდა. მერედა, თავი რით გაეტანა? რა ექნა ფეხისთვის, დაჟეჟილდალილავებული სხეულისთვის? ადგილობრივ საავადმყოფოში მისულიყო თუ, რაც შეიძლება, ჩქარა გასცლოდა აქაურობას? ფიქრებში გართული აბდია სადგურის დახუთულ და ხალხით სავსე შენობაში მიკოჭლაობდა. დაგლეჯილი ტანსაცმლით, დალურჯებული სახით, თან ასეთი უცნაური ფიცარ-ყავარჯენით უნებლიეთ იზიდავდა ყურადღებას — ბევრი თვალს აქყეტდა. ბაქანზე, მატარებლების განრიგისკენ მიმავალმა აბდიამ უცებ შეამჩნია, რომ უკან მილიციელი მოჰყვებოდა.

— აბა, მოიცადე, ყმაწვილო! — შეაჩერა მოახლოებულმა მილიციელმა. მისი გაბრაზებული მკაცრი გამოხედვა კარგს არაფერს მოასწავებდა. — რას აკეთებ აქ? ვინა ხარ?

— მე?

— დიახ, შენ.

— წასვლა მინდა. განრიგს ვათვალიერებ.

— საბუთები გაქვს?

— რა საბუთები?

— ჩვეულებრივი. პასპორტი, პირადობის მოწმობა, ცნობა, რომ მუშაობ.

— მაქვს, ოღონდ მე, ისა...

— აბა, წარმოადგინე...

აბდიას ენა დაემა:

— იცით, მე, ისა, ამხანაგო, ამხანაგო...

— ამხანაგო ლეიტენანტო, — უკარნახა გულფიცხმა მილიციელმა.

— ჰოდა, ამხანაგო მილიციელო, უნდა გითხრათ...

— რაც უნდა მითხრა, შემდეგ გავიგებთ. მოიტა საბუთები..

აბდიამ ჭიბიდან უცებ ვერ ამოიღო სველი, უფორმო, დაჭმუჭვნილი ქაღალდი, რასაც ოდესღაც მისი პასპორტი ერქვა.

— აი, — გაუწოდა მილიციელს. — ესაა ჩემი პასპორტი.

— პასპორტი? — მილიციელმა ეკვით შეხედა აბდიას, — რას მასწავლებს, თუ იცი? ეგაა პასპორტი? ეგ შენთვის შეინახე და უბნის განყოფილებაში წა-
მობრძანდი. იქ გავარკვევთ ვინცა ხარ.

— მე ხომ, ამხანაგო ლეიტენანტო... — გაუბედავად დაიწყო თავისი გარე-
გნობით, ფიცარ-ყავარჯნით დარცხენილმა და ირგვლივ სწრაფად შემოჯარუ-
ლი უსაქმურების დანახვაზე შემცბარმა აბდიამ. — მე, იცით, გაზეთის კორეს-
პონდენტი ვარ!

— შენ რა კორესპონდენტი ხარ! — აღშფოთდა მილიციელი, რადგან და-
კავებული ყმაწვილი, მისი აზრით, ერთობ აშკარად და თავხედურად ტყუოდა.
— აბა, წავიდეთ, კორესპონდენტო!

ირგვლივ მდგომმა უსაქმურებმა ღვარძლიანად გაიციინეს.

— დახე, რა მოიგონა — კორესპონდენტი ვარო!

— იქნებ საგარეო საქმეთა მინისტრობაც დაიბრალოს?

აბდია იძულებული გახდა გულფიცხ ლეიტენანტს გაჰყოლოდა, კოჭლო-
ბით გაეგლო მოსაცდელი დარბაზი, ახლა უკვე ყველა შემხვედრი აჭყეტდა
თვალს, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და იცინოდნენ. ხის დიდ მერხზე ბარ-
გითურთ მოკალათებული ერთი ოჯახის გვერდით ჩავლისას აბდიას ასეთი ლა-
პარაკი მოესმა:

პატარა გოგონა. დედა, დედა, შეხე, ვინაა ეს?

ქალი. ოჰ, შვილიყო ყაჩაღია, ძია მილიციელს დაუჭერია.

კაცი. რა ყაჩაღი ეგაა. ერთი ბედასლი ყალთაბანდი და ქურდბაცაცაა,
მეტი არაფერი.

ქალი. რას ამბობ, მიშა. შესახედავადაა ასე საცოდავი, თორემ აბა, ბნელ
მოსახვევში გადაეყარე — ყელს გამოგჭრის...

ეგ არაფერი. ყველაზე საშინელი და მოულოდნელი ამბავი აბდიას აწი-
ვლოდა. ლეიტენანტს ვაგზლის უამრავ კართაგან ერთ-ერთში რომ შეჰყვა, მი-
ლიციის საკმაოდ ხალვათ ოთახში აღმოჩნდა. ოთახის ფანჯარა მოედანს გადაჰ-
ყურებდა. ლეიტენანტის დანახვაზე ტელეფონიან მაგიდასთან მჯდომი ვიღაც
დაბალი ჩინის მილიციელი ზეზე წამოდგა.

— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო ლეიტენანტო, — მოახსენა მან.

— დაჯექი, ბეკბულათ. აგერ, ერთი ჩიტიც მოვიყვანე, — თავით ანიშნა
აბდიაზე ლეიტენანტმა. — ხედავ, რა დამშვენებულია, თანაც კორესპონდენტი!

აბდიამ მიიხედ-მოიხედა და კინალამ შეჰყვირა, ისე გააოგნა იმან, რაც
ოთახში დაინახა. ოთახს იატაკიდან ჰერამდე ყოფდა უხეშად შედუღებული საა-
რმატურე რკინების გისოსი, რომლის იქით შემოსასვლელ კართან, მარცხენა კუ-
თხეში, როგორც მხეცები სამხეცეში, ისე ისხდნენ მადევრები — ანაშას მომპო-
ვებლები: პეტრუხა, ლიონკა, მახაჩი, კოლია, ორი მადევარი-დივერსი და კიდევ
ვიღაც ბიჭები — სულ ათი-თორმეტი კაცი, თითქმის მთელი რაზმი გრიშანის
გამოკლებით. თვით მთავარი მათ შორის არ იყო.

— ეგ რა მოგივიდათ, ბიჭებო? როგორ მოხვდით აქ? — უნებურად აღ-
მოხდა აბდიას.

არც ერთი მადევარი არ გამოპასუხებია, არც-კი განძრეულან. გალიაში

ერთმანეთს მიკრულნი ისხდნენ იატაკზე, ძალიან შეცვლილნი, გულჩათხრობილნი და ჰირქუშნი ჩანდნენ.

— ესენი შენები ხომ არ არიან? — უცნაურად ჩაიციხა გულფიცხმა ლეიტენანტმა.

— აბა, რა! — განუცხადა აბდიამ. — ჩემი ბიჭები ^{ჭრისხე} არ არიან.

— თურმე რა ყოფილა! — გაუკვირდა ლეიტენანტს და ყურადღებით შეხედა აბდიას. — ეს თქვენიანია? — ახლა მადევრებს შეეკითხა ლეიტენანტი. არავის უპასუხნია. ყველა იატაკს დასცქეროდა, დუმდნენ.

— ჰეი, თქვენ გეკითხებით! — გაბრაზდა ლეიტენანტი. — რას გაჩუმებულხართ? კარგი, ბატონო, დავიცდით. თქვენ ჯერ კიდევ აცეკვდებით, როგორც კარჩხანა ტაფაზე, გამიხსენებთ, როცა თითოეულს სამასმეჩვიდმეტე მუხლით მიგაბრძანებენ, ჯერ კიდევ იმღერებთ შორეულ მხარეებზე და იმედი ნუ გექნებათ, რომ მცირეწლოვანები ხართ, რომ აღრე ნასამართლევი არ ყოფილხართ. ეგ არ ითვლება. დიახ, დიახ, არ ითვლება. დანაშაულზე წაგასწრეს! — ლეიტენანტმა იატაკზე მიმოფანტული და აბდიას ნაცნობი ზურგჩანთებისა და ჩემოდნებისკენ გააქნია თავი. ზოგი მათგანი გახსნილი იყო, ზოგი გარღვეული, აქა-იქ ანაშა გამობნეულიყო და ოთახში ტრამალის კანაფის მქისე სუნი იდგა. მაგიდაზე ტელეფონის გვერდით პლასტილინიანი ასანთის კოლოფები და მინის პატარა ქილები ეწყო. — ხმას არ იღებთ! ამას დამიხედეთ, განაწყენდნენ! თქვენ დანაშაულზე წაგასწრეს და ისე მოხვდით ჩემთან! — გაიმეორა ლეიტენანტმა. მას სახე თანდათან ექუშებოდა, ხმაში მრისხანება გაერია. — აი, სამხილი! აი, ნივთიერი საბუთები! აი, თქვენი ბანგი! — ამბობდა და ანაშიან ზურგჩანთებს ფეხს ჰკრავდა. — თქვენი ბრბოდან მხოლოდ ერთი არამზადა დაგვიძვრა ხელიდან, მაგრამ მაგ კუთხეში, გისოსს მიღმა ისიც დაბრძანდება. თქვე ნამუსგარეცხილებო, თქვენა. ადექით! ვის ვეუბნები, ადექით-მეთქი! დაბე, დამისხდნენ აქ. იდექით და აქეთ იყურეთ. აქეთ მოიხედეთ! ვის ვუბრძანე, აქეთ მოიხედეთ-მეთქი! თქვენისთანა ნაძირალები ვაგონებქვემოდან მესროდნენ და ჩემგან დანდობას ვერ ეღიროსებით! ჯერ წვინტლი არ მოუხროცავთ ამ არამზადებს და შეიარაღებას იწყებენ! შემდეგ რაღას იზამენ! იცოდეთ, სიკვდილამდე თქვენი მტერი ვარ, მე კი ბრძოლა შემიძლია. სუყველა მატარებელსა და რკინიგზაზე ცოფიანი ძაღლებივით დაგიჭერთ, ვერსად დამემალებით! — ყვიროდა გააფთრებული ლეიტენანტი. — მაშ, გეკითხებით, ვინაა ეს კონკიაჟლარუნა, კორესპონდენტად რომ ასაღებს თავს. ვინაა ეს ტიპი? — ლეიტენანტმა აბდიას ხელი სტაცა და გისოსთან მიათრია. — მიპასუხეთ, ვიდრე ადამიანურად გეკითხებით. თქვენიანია?

წამიერად ყველა დუმდა. აბდია მადევრების დაძმარებულ სახეებს უყურებდა და ვერაფრით შეგუებოდა იმას, რომ გულადი ყმაწვილები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ტრამალში მატარებლებს აჩერებდნენ, კაიფობდნენ და მას გაქანებული მატარებლიდან აგდებდნენ, ახლა გალიაში ისხდნენ — ქამარი არ ეკეთათ, არც ფეხსაცმელი ეცვათ (ალბათ იმიტომ, რომ საპირფარეშოში გაყვანისას არ გაქცეულიყვნენ), საცოდავები და არარანი იყვნენ.

— უკანაკნელად გეკითხებით, — ლეიტენანტს მღელვარებისგან სუნთქვა ეკვროდა. — ეს ტიპი, რომელიც მე დავიჭირე, თქვენიანია თუ არა?

პეტრუხამ აბდიას უხალისოდ შეხედა და ლეიტენანტს ბოროტად მიუგო ყველას მაგივრად:

— არა, ჩვენიანი არაა.

— პიოტრ, როგორ არა ვარ თქვენნიანი? — განცვიფრდა აბდია და თვითნაკეთი ყავარჯნით ზედ გისოს მიადგა. — რაო, დაგავიწყდით? — უსაყვედურა იმათ, რომელთაც გისოსი აშორებდა. — ძალიან მეცოდებით, — დაურთო ნათქვამს. — როგორ ჩავარდით?

— აქ თქვენი თანაგრძნობის გამოცხადების ადგილი არ გახლავთ, — შეაწყვეტინა ლეიტენანტმა. — ახლა თითოეულს ცალკე-ცალკე დაგკითხვით დაემუქრა იგი მადევრებს. — და ვინც იცრუებს — სიცრუე კი სულ ერთია გაირკვევა — იმას მუხლს დაუმატებენ. აბა, თქვი შენ, — მიმართა მახაჩს.

— ჩვენიანი არაა, — მიუგო მახაჩმა და სველი ტუჩები დამანჭა.

— ახლა შენ, — ლიონკას უბრძანა ლეიტენანტმა.

— არაა ჩვენიანი, — უპასუხა ლიონკამ და მძიმედ ამოიოხრა.

— ჩვენიანი არაა, — წაიბურტყუნა წითურთმიანმა კოლიამ.

არც ერთმა არა თქვა, აბდია ჩვენიანიაო.

რა უცნაურიც უნდა იყოს, მადევრების საქციელმა აბდია კალისტრატოვს გული ატკინა. ყველამ რომ უარი თქვა მასზე მოკლედ, მოკვეციტ, გადაჭრით, ამან შეურაცხყო და დაამცირა. უცებ იგრძნო, რომ სიცხემ აუწია, თავი ასკდებოდა.

— როგორ, რა პირით ამბობთ, არ ვიცნობთო? — დაბნეული, გაოგნებული კითხულობდა აბდია. — მე ხომ...

— აი, რა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტო, — დამცინავად შეაწყვეტინა ლეიტენანტმა. — გეყოფა „მე ხომ“ და „შენ ხომის“ ლაპარაკი. ტვინი ნუ წაიღე. საქმე ისედაც ბევრი მაქვს. გასწი აქედან და ფეხებში ნუ მებლანდები. ნურც ამათ ეტენები. ამისთანებისთვის კანონი არსებობს, კანონი კი ულმობელია — ნარკოტიკების დამზადების, გავრცელებისა და ვაჭრობისათვის დაუყოვნებლივ ადებენ სასჯელს. ამისთანებს დიდ ლაილას არ უბამენ. შენ კი, მეგობარო კორესპონდენტო, ჩქარა გასწი აქედან. წადი და თვალებში არ შემეჩხირო.

ჩამოდგა სიჩუმე. აბდია კალისტრატოვი ადგილზე ტოკავდა და არ მოდიოდა.

— გაიგონე, რა გითხრა ამხანაგმა ლეიტენანტმა? — ჰკითხა მილიციელმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში რაღაც ქალაქლებს ავსებდა მაგიდაზე. — წადი, ვიდრე გვიან არაა. მადლობა თქვი და წადი.

— ამ კარის გასაღები გაქვთ? — მიუთითა აბდიამ რკინის კარზე ჩამოკიდებულ ბოჭლომზე.

— მერე რა გინდა? მაქვს, რასაკვირველია, — მიუგო ლეიტენანტმა, რომელსაც ვერ გაეგო, რა ეწადა აბდიას.

— ჰოდა, გააღეთ, — უთხრა აბდიამ.

— კიდევ რა გინდა! ერთი მითხარი, ვინა ხარ? — აღშფოთდა ლეიტენანტი. — ოხ, მე შენ!

— მინდა, გისოს იქით ჩამსვათ. ჩემი ადგილი იქაა! — აბდიას სახე ანთებოდა, ისევე დაუფლებოდა სიბრაზე, როგორც მაშინ, ვაგონში, როცა ძვირფას ანაშას ქარს ატანდა. — მოვითხოვ, დამაპატიმროთ და გამასამართლოთ ამ უბედურებით, რომელთაც ამდენი წინააღმდეგობითა და უთვალავი სიავით სავსე ქვეყანაზე თავგზა არევიათ, მეც ამათსავით უნდა ვაგო პასუხი, მეც ხომ იმავე საქმეს ვაკეთებდი, რასაც ესენი. გააღეთ კარი და ჩამსვით! სასამართლო-

ში დაადასტურებენ, რომ მათსავით დამნაშავე ვარ! შემდეგ ცოდვებს მოვინა-
ნიებთ და ეს დაგვეხმარება განწმენდაში...

ამ დროს მილიციელმა ქალაქლები გვერდზე გადასდო და წამოხტა.

— ეს ხომ გიყია, ამხანაგო ლეიტენანტო. ერთი შეხედვით ზედვე ეტყობა,
არანორმალურია.

— სრულ ჭკუაზე ვარ, — შეესიტყვა აბდია, — და ზუსტად ისევე ვიცი, —
და დავისაჯო! რაზე მეტყობა სიგიჟე?

— მოიცა, მოიცა, — შეყოყმანდა ლეიტენანტი. სატრანსპორტო მილი-
ციაში მთელი თავისი მძიმე სამსახურის პერიოდში ალბათ მსგავს უცნაურობას
არასოდეს გადაჰყრია: ეგ ამბავი რომ ვინმესთვის მოეყოლა, არ დაუჯერებდნენ.

ჩამოდგა სიჩუმე. უცებ ვილაყამ დაისლუკუნა, შემდეგ აქვითინდა, ცრემ-
ლი ახრჩობდა. ეს ლიონკა იყო, სახე კედლისკენ მიებრუნებინა და ტიროდა.
პეტრუხა პირზე ხელს უჭერდა და ყურში მუქარით ჩასჩურჩულებდა რაღაცას.

— აი, რა ამხანაგო, — უცებ მოლბა ლეიტენანტი. — წავიდეთ, ვილაპა-
რაკოთ. მთელი გულისყურით მოვისმენ, ოღონდ სხვა ადგილას. გავიდეთ, ვილა-
პარაკოთ. წამოდი, წამოდი, გამიგონე.

ისინი კვლავ შევიდნენ ათასი ჯურის მგზავრებით გაქედნილ მოსაცდელ და-
რბაზში. ლეიტენანტმა აბდია თავისუფალ მერხთან მიიყვანა, დაჯექიო, შესთა-
ვაზა და თვითონაც დაჯდა.

— ძალიან გთხოვ, ამხანაგო, — მოულოდნელი ნდობით აღსავესე ხმით უთ-
ნრა აბდიას. — მუშაობაში ხელს ნუ მიშლი. ხოლო თუ რამე ისე არაა, რო-
გორც საჭიროა, ნუ გაჯავრდები. ჩვენ ერთობ მძიმე სამუშაო გვაქვს. თვითონაც
ნახე. გთხოვ, წახვიდე საითაც გინდა. თავისუფალი ხარ. ოღონდ ჩვენთან აღა-
რასოდეს ჩამოხვიდე. გამიგე, პა?

და ვიდრე აბდია აზრს იკრებდა, ფიქრობდა, როგორ აეხსნა ლეიტენანტი-
სთვის თავისი საქციელი, დაპატიმრებული მადევრების ხვედრის შესახებ თავისი
მოსაზრებანი როგორ გაეზიარებინა, ლეიტენანტი ადგა, ბრბო გაარღვია
და წავიდა.

უსაქმური მგზავრები კვლავ აღმაცერად ათვალთვრებდნენ აბდიას: ძა-
ლიან გამოირჩეოდა იგი ამ კრელ ბრბოში. ნაცემი, სახედალილავებული, ტან-
საცმელდაგლეჯილი, ყავარჯნის მაგივრად ილიაში ფიცარამოდებული ხალხს
ერთდროულად ცნობისმოყვარეობასაც აღუძრავდა და ზიზღსაც. თანაც აქ ხომ
ეს-ესაა მილიციელმა მოიყვანა.

აბდია კი სულ უფრო ცუდად ხდებოდა... სიცხემ მოუმატა, თავი აუტანლად
ასტკივდა. წინა დღის ამბებს, ღამის თავსმას, გასიებულ ფეხს, მის ნებას
რომ არ ემორჩილებოდა, და ბოლოს მოულოდნელ შეხვედრას მადევრებთან,
რომელთაც ახლა დანაშაულისთვის საშინელი მისაგებელი ელოდათ, — მისთ-
ვის უკვალოდ არ ჩაუვლია. აბდიას შეაცივა, ჯერ კანკალი აუვარდა, შემდეგ
ისევ სიცხემ აუწია. მოკუნტული იჯდა მერხზე, თავი მხრებში ჩაერგო, ძალა
არ შესწევდა ზეზე წამომდგარიყო, ნავსი ყავარჯენი მის ფეხებთან ეგდო.

აბდიას მიმკვდარებულ თვალთან წინ ყველაფერი ისე გაცურდა, როგორც
ნისლში. ადამიანთა სახეები და სხეულები მჭრქალდებოდნენ, კარგავდნენ მკა-
ფიო მონახულობას, იწელებოდნენ, იკრუნჩხებოდნენ, ერთმანეთზე ეწყობოდ-
ნენ. აბდიას გონება ებინდებოდა, აზრები ერეოდა, სუნთქვა უჭირდა ხალხით
გაქედნილ დაბუთულ, ალხიან დარბაზში შემთხვევით ადამიანებს შორის იჯდა

და ამქვეყნად არ იყო. „ვაი, რა ცუდადა ვარ, — ფიქრობდა იგი. — მაინც რა უცნაურნი არიან ადამიანები, არავინ არავის არ სჭირდება. რა სიკარბულია ირგვლივ, რა შორიშორსა ვართ ერთმანეთისგან“. აბდია ელოდა, რომ ჩქარა გამოკეთდებოდა, ჩქარა ისევ ის ძველი აბდია იქნებოდა და შეეცდებოდა, რაღაცით დახმარებოდა იმათ, ვისაც პატიმრობა ემუქრებოდა. ხოლო მისი მისი გაქანებული მატარებლიდან აგდებდნენ და იმედოვნებდნენ, ისე დაიბნევიან, სულს გააცხებსო, ამას არად აგდებდა. ამ დამნაშავეების, არამზადების გონება-ჩლუნგი მკვლელების მიმართ სიძულვილი, შურისძიების სურვილი უნდა აღძვროდა და არა თანაგრძნობა, მაგრამ იდეალისტ აბდია კალისტრატოვს ცხოვრების გაკვეთილების შეთვისება არ სურდა და აქ ვერავითარი ლოცვა ვერ უშველიდა. ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ ანაშის მომპოვებელთა დამარცხება მისი დამარცხებაც იყო, სიკეთის მომცველი ალტრუისტული იდეის დამარცხება იყო. აბდიას ძალა არ აღმოაჩნდა ანაშის მომპოვებლებზე გავლენა მოეხდინა და მათთვის საშინელი ხვედრი აერიდებინა. ამასთანავე არ შეიძლებოდა არ ეგრძნო, ამ ყოვლისმიტევეების გამო რარიგ ჰქონდა გული დაკოდილი, ამ ყოვლისმიტევეებას რა საბედისწერო შედეგები მოჰყვებოდა..

და მაინც ქვეყნად კეთილი ადამიანებიც არსებობენ. ასეთი ადამიანები ვაგზალში იმ შემთხვევით მგზავრებს შორისაც აღმოჩნდნენ. აბდიას წინ მერხზე ვიდაც ხანში შესული, ქალარა, თავსაფრიანი ქალი იჯდა. გვერდით ბარგი ეწყობდა, მიხვდა, რომ კაცი ცუდად იყო და დახმარება სჭირდებოდა.

— მოქალაქევ, — დაიწყო და იმავე წუთს ნამდვილ დედასავით ჰკითხა: — შეილო, ცუდადა ხარ? ავად ხომ არ გახდი?

— მგონი, მაგრამ ნუ წუხდებით, — გაღიმება სცადა აბდიამ.

— როგორ თუ ნუ ვწუხდები. ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა დაგმართნია, საიდანმე ხომ არ გადმოვარდი? სიცხე კი დიდი გაქვს, — თქვა ქალმა, როცა შუბლზე ხელი შეახო. — თვალებიც მთლად დაგფიფინებია. იცი რა, შეილო, ფეხი არსად გაადგა, მე წავალ და გავიგებ, აქ ექიმები არიან თუ არა, იქნებ რომელიმე საავადმყოფოში გაგგზავნონ. შენი ასე დატოვება არ შეიძლება..

— ოჰ, ნუ სწუხდებით, რა საჭიროა, — ეუბნებოდა აბდია მიკნავეებული ხმით.

— არა, არა, შენ აქ ცოტა ხნით დამიკადე, თვალის დახამხამებაში მოვბრუნდები...

გულჩვილმა ქალმა იქვე მჯდომ პატარა ბავშვებიან ქალს სთხოვა, ბარგს მიმიხედო, და სადღაც წავიდა.

ქალი რამდენ ხანს არ დაბრუნებულა, აბდიას არ ახსოვდა. იგი უარესად შეიქნა და მიხვდა, რა სჭირდა: ისე სტკიოდა ყელი, ნერწყვის გადაყლაპვაც კი უჭირდა. „ალბათ ანგინა მაქვს“, — გაივლო გულში. სულ გამოეცალა ძალღონე და უნდოდა იქვე დაწოლილიყო, პირდაპირ იატაკზე გაშლართულიყო — მგზავრებს თუნდაც ფეხი დაეხიჯებინათ, არ დაეძებდა, — და ბურანში წასულიყო. ბურანში წასულიყო, ბურანში წასულიყო..

აბდია უკვე დაძინებას აპირებდა, მაგრამ მოსაცდელ დარბაზში უცებ გვერდით ხალხი შეინძრა, აგუგუნდა. როცა თვალი გაახილა, დაინახა, რომ მილიციის ოთახიდან მადევრები გამოჰყავდათ. მადევრებს ყოველი მხრიდან შემორტყმოდა მილიციელთა რაზმი. წინ გულფიცხი ლეიტენანტი მოაბიჯებდა და ხალხი გზას უთმობდა. მის უკან ბადრაგის თანხლებით, ერთიმეორის მიყოლე-

ბით მოდიოდნენ მადევრები — პეტრუხა, მახაჩი, კოლია, ორი დივერსი და სხვები, სულ ათი კაცი, რომლებიც ვაგზლიდან მიჰყავდათ.

აბდიამ თავს ძალა დაატანა, ძლივს აიღო ყავარჩენი და მადევრებს მიჰყვა. ეჩვენებოდა, თითქოს ძალიან სწრაფად მიდიოდა, მაგრამ მაინც ვერ დაეწია მათ. თავშეყრილი უსაქმურებიც ხელს უშლიდნენ, მადევრებისკენ გაეღწია. ის კი დაინახა, რომ ვაგზლის კართან დახურული მანქანა იდგა, რომელსაც უკან გისოსიანი კარი ჰქონდა. ორი მილიციელი მადევრებს აქედან-იქიდან იღლიებში ავლებდა ხელს და მანქანაში აგდებდა.

შემდეგ მანქანაში ბაღრაგიც ჩასხდა, კარი დაიხურა. კაბინაში მძღოლის გვერდით კი ლეიტენანტი დაჯდა და მანქანა ვაგზლის მოედნიდან გაქანდა. ბრბო ათასგვარ ვარაუდს გამოთქვამდა.

— ყაჩაღები დაიჭირეს. მთელი ბანდა.

— ნამდვილად ისინი არიან, ხალხს ბინებში რომ უხტებოდნენ და ხოცავდნენ.

— ოჰ, რა საშინელებაა!

— ყაჩაღები კი არა, მაწანწალები არიან.

— მაწანწალებიო? ახლანდელი მაწანწალები კაცს ისე მოკლავენ, თვალს არ დაახამხამებენ.

— არა, ჩემო კეთილნო, ესენი ანაშას მომპოვებლები არიან. აი, ისინი, ანაშა რომ გააქვთ აქედან, რომ იცოდეთ, რამდენს იჭერენ საბარგო მატარებლებზე...

— რამდენიც უნდა დაიჭირო, მაინც მოძვრებიან.

— რა უბედურებაა ეს...

ასე დამთავრდა მადევრების მწარე ეპოპეა და აბდია სულში აუხსნელ სიცარიელეს გრძნობდა.

აბდია ვერ ისაზრებდა, სად იჯდა წელან. დარბაზში ალაღბედზე წაჩლახუნდა, ძლივს მიათრევდა ფეხებს. სწორედ ამ დროს ის კალარა ქალი შემოხვდა.

— აგერ ისიც! — უთხრა ქალმა თეთრხალათიან მედდას. — სად წახვედი, შეილო, ჩვენ ხომ დაგეძებდით შენ, აი, მედდაც მოვიდა. ალბათ სიცხე გაქვს. ამათ ძალიან ეშინიათ, გადამდები სენი არ სჭირდესო.

— არა მგონია, — მიკნავეებული ხმით მიუგო აბდიამ.

მედდამ შუბლი გაუსინჯა.

— დიდი სიცხე გქონია, — უთხრა მან. — კუჭი ხომ არ გაქვს აშლილი? ჩირქოვანი ფაღარათი ხომ არა გაქვს? — დააზუსტა მედდამ.

— არა.

— სულ ერთია. სამედიცინო პუნქტში უნდა წავიდეთ. იქ კიდევ ექიმი გაგსინჯავს.

— კი, ბატონო.

— შენი ბარგი სადღაა?

— ბარგი არა მაქვს...

IV

აბდია კალისტრატოვი ქალბაკ-საზის სადგურის საავადმყოფოში დაანჯი-
ნეს. აქ ექიმმა ალია ისმაილოვნამ, ოდნავ პირქუშმა ყაზახმა ქალმა გასინჯა და
მკაცრად უთხრა:

— თქვენი მდგომარეობა საკმაოდ რთულია. ფეხის ტრავმა სბეკოვსკის
უნდა ნახოს, მანამდე ანტიბიოტიკებით გიმკურნალებთ, რომ სხეული არ მოგე-
წამლოთ, თქვენ კი ყველაფერი უნდა მომიყვეთ, რაც გადაგხდათ, ამას როგორც
ექიმში, ისე გეუბნებით და არა ცნობისმოყვარეობის გამო.

უამრავ შესაძლო შეხვედრასა და განშორებას შორის ცხოვრებაში თუნდაც
ერთხელ ხდება ის, რასაც ნამდვილად ღმერთის მიერ ზეგარდმომოვლენილ შეხ-
ვედრას უწოდებ. მაგრამ თუ რა დიდია საშიშროება, რომ მსგავს შეხვედრას შე-
საძლოა არაფერი მოჰყვეს, ამას ადამიანი მხოლოდ შემდეგ სწვდება და მაშინ
წამიერად შესძრავს ფიქრი: ვაითუ ის შეხვედრა ამო გამომდგარიყო... შეხ-
ვედრის შედეგი ხომ უკვე ადამიანებზეა დამოკიდებული და არა ღმერთზე.

რაც ამდაგვარი რამ შეემთხვა აბდია კალისტრატოვსაც. მესამე დღეს, სა-
ლამოს მასთან საავადმყოფოში მივიდა ის, ვისზეც მხოლოდ ოცნება შეეძლო,
ვინაიდან არ იცოდა, ვინ იყო იგი, ხოლო ოცნება ხომ ყველაფერზე შეიძლება
ამქვეყნად.

დღისით, ნემსებისა და აბების შემდეგ, აბდიას სიცხემ დაუწია, სალამოს
კი ოცდაჩვიდმეტ გრადუსსა და სამ ხაზზე მალა არ ასვლია. ოღონდ ფეხის
სიმსივნე ჯერ კიდევ არ დასცხრომია, მარჯვენა მხარეს ერთი ნეკნიც გადატე-
ხილი აღმოაჩნდა — რენტგენმა ბზარი აჩვენა. ხოლო საერთოდ უკეთესობა
ეტყობოდა, დასაჩივლებელი არაფერი ჰქონდა. ექიმში ალია ისმაილოვნა მკურ-
ნალი აღმოაჩნდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი არა მარტო ცოდნით,
მთელი თავისი იერ-სახით კურნავდა პაციენტს. ყველაფერი, რასაც უნიშნავდა,
და თვით მისი ლაპარაკიც ავადმყოფს სიმშვიდეს, რწმენას უნერგავდა, ავადმ-
ყოფობასთან ბრძოლაში ეხმარებოდა ალია ისმაილოვნას ფსიქოთერაპია თავ-
შეკავებული, გონივრული იყო და აბდიამ მთელი თავისი მოულოდნელი ცხო-
ვრებისეული გართულებებისა თუ თავზარის შემდეგ განსაკუთრებულად მძაფ-
რად იგრძნო, ზოგჯერ რა აუცილებელია ადამიანისთვის სხვათა ზრუნვა და
ყურადღება. გულახდილად რომ ვთქვათ, გაუხარდა კიდევაც, რომ ავად გახდა
და კარგ ექიმთან მოხვდა — ისე მშვიდად და დიდებულად გრძნობდა თავს
პატარა ბაღში ჩადგმულ უბრალო საავადმყოფოში.

პალატის თეთრფარდებიანი ფანჯარა ხეივანს გადაჰყურებდა, იგი ოდნავ
იყო გამოღებული. სიცხე ჯერ ისევ იდგა. იმავე პალატაში მწოლი ორი კაცი
გარეთ გავიდა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად და პაპიროსის მოსაწევად, აბდია კი
მარტოდმარტო იწვა და სიცხეს წამდაუწუმ იზომავდა, ძალიან უნდოდა, ისევ
არ ასწეოდა. ფანჯარასთან ჩაიკაკუნეს ფეხსაცმლის წვრილმა ქუსლებმა და ვი-
ლაც ქალმა მორიგე მედდას აბდიას ამბავი ჰკითხა. მალე მედდამ პალატის კა-
რი შემოაღო.

— აგერ წევს.

— გამარჯობათ, — თქვა მოსულმა. — თქვენა ხართ კალისტრატოვი?

— მე ვარ, — მიუგო აბდიამ. იგი თვალებს არ უჯერებდა. ეს ის ქალიშვი-
ლი იყო, რომელიც მაშინ უჩქუდუქში ჩამოვიდა, და რომლის ხატება სულ
გონებაში უტრიალებდა. აბდია ისე დაიბნა, თითქმის არ უსმენდა ქალიშვილს,

მისი სიტყვების აზრს მხოლოდ იმიტომ ხვდებოდა, რომ დიდი ხანია მზად იყო უმაღლეს ჩასწვდომოდა მის ნათქვამს. ქალიშვილს თურმე ინგა ფიოდოროვნა ერქვა. საავადმყოფოს იმიტომ ეწვია, რომ ალია ისმაილოვნამ, რომელთანაც აგერ უკვე სამი წელია მეგობრობდა — იმ დროიდან, როცა აქ სამეცნიერო მუშაობისთვის ჩამოვიდა, — ახალი ავადმყოფის შესახებ უკმაყოფილოდ დალიან დაინტერესდა: ისინი ხომ, ესე იგი, აბდია და ის, ინგა ფიოდოროვნა ანაშასთან დაკავშირებულ ერთსა და იმავე, რაღაცით ერთმანეთის მსგავს საკითხებზე მუშაობდნენ. რაკი ინგა ფიოდოროვნა მუინყუმის პოპულაციას სწავლობდა (ეს რომ თქვა, ტრამალის სწორედ იმ კანაფ-ანაშის რთული ლათინური სახელწოდებაც ახსენა), ამიტომ მოვიდა საავადმყოფოში აბდიას გასაცნობად და იმის გასაგებად, რაიმე ინფორმაცია ხომ არ სჭირდებოდა... აკი ჟურნალისტს, როგორც ინგა ფიოდოროვნას გაეგებოდა, მეცნიერული ცნობებიც აუცილებლად უნდა ჰქონოდა.

ოპ, ღმერთო, რა თავში იხლიდა აბდია მეცნიერულ ინფორმაციას, როცა ინგა ფიოდოროვნას უეცარი გამოჩენით დარეტიანებული რაღაც სასწაულებრივად ხვდებოდა, რაზე ელაპარაკებოდნენ. მხოლოდ ქალიშვილის თვალებს ხედავდა და იმ წამს ეჩვენებოდა, თითქოს მისნაირი თვალები დედამიწის ზურგზე არავის ჰქონდა. ასტრონომი მილიონობით მსგავს ვარსკვლავებს შორის ასე აღმოაჩენს ხოლმე უცნობ ვარსკვლავს, უცოდინარი კაცისთვის კი, ხომ ყველა ვარსკვლავი აბსოლუტურად ერთნაირია, აბდიას ინგა ფიოდოროვნას ერთ შემოხედვაზევე თითქოს სული აუფოფინდა...

ეს ყველაფერი აბდიამ შემდეგ აღიდგინა გონებაში, როცა მარტო დარჩა და ცოტათი დამშვიდდა, იმ პირველ წუთებში კი ნამდვილი იდიოტივით გამოიყურებოდა, თუმცა ინგა ფიოდოროვნას ეს დიდი სიცხისთვის შეეძლო დაებრალებინა. აკი მხოლოდ იდიოტს შეუძლია უცბად წამოროშოს: „საიდან გაიგეთ, რომ მე სულ თქვენზე ვფიქრობდი?“ ქალიშვილმა ამის გაგონებაზე გაკვირვებით ასწია წარბები, რის გამოც უფრო ლამაზი გამოჩნდა, და იღუმალად გაიღიმა. ეს თავისი სიმარტივით ბრიყვული წინადადება რომ ქალიშვილს ბანალობად ან უხამსობად მიეჩნია, ო, როგორ ეწამებოდა შემდეგ აბდია, როგორ შეაჩვენებდა საკუთარ თავს. მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ქალიშვილმა თავდაჭერილობა გამოიჩინა და აბდიას სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიანიჭა. შემდეგ ორივე სიამოვნებით იგონებდა, როგორ ჩამოვიდა უჩქუდუქში ინგა ფიოდოროვნა, იქ როგორ ნახეს პირველად ერთმანეთი და გემოზე იცინეს იმ წამიერ, მაგრამ ორივესთვის სამახსოვრო შემთხვევაზე, ინგა ფიოდოროვნა კიდევ უფრო გაართო იმ ამბავმა, თუ ერთი დღის შემდეგ აბდია და ორი გამოქვეყნებული მადეგარი — პეტრუხა და ლიონკა — ტრამალის თავზე შვეულმფრენის გამოჩენისას როგორ ჩაიმაღლნენ ბალახში. გამოორკვა, რომ ინგა ფიოდოროვნა იმ შვეულმფრენში იყო ტაშკენტის მცირე სამეცნიერო ექსპედიციასთან ერთად: ტაშკენტის ერთ-ერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი თურმე კანაფ-ანაშას გავრცელების ადგილებში მისი ქიმიურ-ბიოლოგიური განადგურების გზებს სწავლობდა. ახლა აბდიასთვის ნათელი გახდა, რომ ამ ბოროტებასთან ბრძოლა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა; ეს გახლდათ ნარკომანიის აღმოფხვრა და ნარკოტიკების შემცველი მცენარეების მოსპობა, მაგრამ პრობლემის გადაჭრა ჩვეულებისამებრ არც ისე ადვილი იყო. კერძოდ, ინგა ფიოდოროვნას ნათქვამის მიხედვით სავსებით შესაძლებელი ჩანდა ისეთი ქიმიური ნივთიერების პოვნა, რომელიც კანაფს გაანადგურებდა არა მარტო ვე-

გეტაციის ფაზაში, არამედ როგორც სახეობას, ოღონდ ამ მეთოდს თავისთავად კიდევ უფრო მეტი ბოროტება ახლდა. — იგი ნიადაგს შლიდა: მიწა სულ კოტა ორასი წლით უვარგისი ხდებოდა. ნარკომანიასთან ბრძოლის გამო მიწის დაღუპვა იმას ჰგავდა, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვცაბულ. ინგა ფიოდოროვნას ამოცანა სწორედ ამ რთული ეკოლოგიური პრობლემატური ვითარების ოპტიმალურ საშუალებათა გამოკვლევა გახლდათ. ოპ, ღმერთო! — ჰქვია მისი წიგნი. რა აბღიამ, ბუნებას რომ აზროვნების უნარი ჰქონოდა, დანაშაულის რა მიძიმე ტვირთად დააწვებოდა მას ეს შემზარავი ურთიერთკავშირი ფლორასა და ადამიანის ზნეობრივ დეგრადაციას შორის.

როცა აბღია კალისტრატოვი ინგა ფიოდოროვნასადმი თავის დამოკიდებულებას „თავისი ბედ-იღბლის ახალ ეპოქას“ უწოდებდა, სულაც არ აზვიადებდა რომანტიკულად. პრიოქსკში დაბრუნების ზუსტად მეორე დღეს ქალიშვილს დიდი წერილი მისწერა, თუმცა თითქმის რკინიგზის ყოველი სადგურიდან, სადაც კი მატარებელი ხუთ წუთზე მეტ ხანს ჩერდებოდა, ღია ბარათს უგზავნიდა. დაძაბულ გრძნობებში, გატაცებაში, რასაც აბღია ინგა ფიოდოროვნას მიმართ თავისი ცხოვრების გზაზე მასთან შეხვედრის დღიდან განიცდიდა, რაც ისეთი დაუცბრომლობა გამოსჭვივოდა, ჩვეულებრივ ტრფიალებას ვერ დაარქმევდი.

აბღია ქალიშვილს წერდა: „ყოველად გაუგებარია, რა მჭირს! მე ხომ ვფიქრობდი, საკმაოდ თავშეკავებული კაცი ვარ, ჩემს გონებასა და ემოციებს შორის აუცილებელი წონასწორობა არსებობს-მეთქი. ახლა კი ძალა არ შემწევს საკუთარი თავის გაანალიზებისა, თუმცაღა ჩემდა გასაკვირად არც არაფრის გაანალიზება არა მსურს. მთელი არსებით ტყვე ვარ გაუგონარი ბედნიერებისა, რომელიც მთიდან მომსკდარი ზვავივით დამატყდა თავს; ერთ დოკუმენტურ ფილმში ვნახე, თეთრი თოვლის შვავი როგორ ჰგვის ყველაფერს თავის გზაზე, და ბედნიერი ვარ, რომ ეს შვავი მე ჩამომაწვა. ამქვეყნად არ არსებობდა და არც არსებობს სხვა ჩემებრ ბედნიერი ადამიანი, მხოლოდ მე გამიღიმა ბედმა აგრერიგად და მე, დაირით მოცეკვავე ფანტიკოსი ველურივით მადლობას ვწირავ ბედს ყველა განსაცდელისთვის, რომელნიც წლევანდელ ზაფხულს მარგუნა წილად: სწორედ მან გამაგებინა ის, რაც მხოლოდ ცხოვრების ორომტრიალში შეიძლება გაიგო, და სიცოცხლე შემინარჩუნა. მე ვიტყვოდი, რომ ერთი ადამიანისთვის სიყვარული სულის ნამდვილი რევოლუციაა! და თუ ასეა, გაუმარჯოს სულის რევოლუციას! გამანადგურებელსა და განმაახლებელს ერთსა და იმავე დროს!

მაპატიე, ინგა, ეს აბღაუბდა, მაგრამ მიყვარხარ, არც ძალა შემწევს, არც სიტყვები მომდევს იმის გამოსახატავად, რა ხარ შენ ჩემთვის...

ახლა ნება მომეცი, სული მოვითქვა. უკვე ვიყავი რედაქციაში. მოკლედ მოვეყვი, რაც გადამხდა. მაჩქარებენ, ნარკვევი დაწერეო, ელოდებიან ჩემს ნარკვევს. შესაძლოა ამ საჭირბოროტო საკითხზე ნარკვევების სერიაც გამოვიდეს. და თუ მოლოდინი გამიმართლდა, იმედი მექნება, გაზეთში მუდმივი სამუშაო გავიჩინო. მაგრამ ჭურჭერობით ამაზე ლაპარაკი ადრეა. მთავარი ისაა, რომ ხვალვე ვაპირებ სამუშაოს ჩავუჭდე. მე ხომ განზრახ არ ვიწერდი არაფერს. იძულებული ვიქნები ყოველივე თანმიმდევრობით აღვიდგინო მესწივრებაში. არა, არა, ირუცხა... ახლა კი უკვე მთელი რაღაცაა... აბღია

რაც უნდა იყოს, არ მასვენებს ბედი მადევრებისა, რომელთაც — ეს სავსებით კანონზომიერია — სამართლიანი და მკაცრი სამსჯავრო ელოდებოდათ ნარკოტიკების გავრცელებისათვის. არ მასვენებს, ვინაიდან ისინი ზემოთის ცოცხალი ადამიანები არიან თავიანთი მწარე, დამსხვრეული ბედით. განსაკუთრებით ლიონკა მეცოდება. იღუპება ბიჭი, და აი, აქ ჩნდება ის ზნეობრივი პრობლემა, რაზეც ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით, ინგა. შენ სავსებით მართალი ხარ, რომ ადამიანის ნებისმიერი ბოროტმოქმედება, ნებისმიერი დანაშაული დედამიწის ნებისმიერ წერტილში ყველა ჩვენგანს ეხება, — თუნდაც ძალიან შორს ვიმყოფებოდეთ, არც რაიმეს ბაიბურში ვიყოთ და არც გვინდოდეს, რაიმე ვიცოდეთ. რა დასამალია და ხანდახან ვჭირქილებთ კიდევაც: ერთი შეხედეთ სადამდე და ვიდრენ ესენიო, ესე იგი, ადამიანები, რომელთაც ჩვეულებისამებრ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ვუწოდებთ. მაგრამ გაზეთები სწორად იქცევიან, როცა საზღვარგარეთ მომხდარ დანაშაულობათა შესახებ წერენ. ამას ღრმა აზრი აქვს, ვინაიდან ქვეყნად არსებობს რაღაც საერთო ბალანსი ადამიანთა გასაჭირისა. ადამიანები ერთადერთი მოაზროვნე არსებები არიან სამყაროში და ეს თვისება — გვინდა თუ არ გვინდა — უწინარეს ყოვლისა თიშავს მათ. ჩვენც დავდგებით ამ აზრზე ჩვენი ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად და ეგ იხსნის გონებას დედამიწაზე.

რარიგ მიხარია, ინგა, რომ შემიძლია მოგწერო იმაზე, რაც განსაკუთრებულად მადელვებს, რადგან მჯერა — გულში სათანადოდ გამომეხმაურები.

ვშიშობ, თავი არ შეგაწყინო გაუთავებელი წერილებით — სულ მინდა ვწერო და ვწერო მიუოღებლად, განუწყვეტლივ, და თუ არ ვწერე, მოთმინების ძაფი გამიწყდება. მე სულ შენ გვერდით უნდა ვიყო, თუნდაც ფიქრებით. ო, როგორ მწაღია, კვლავ აღმოვჩნდე მუინყუმის ტრამალებში, კვლავ პირველად გნახო სწორედ იმ მოტოციკლზე, რომლითაც გამოჩნდი უჩქუდუქში და უმაღლეს მომაჯადოვე მე, ახალი საეკლესიო აზრების ქომაგი. მრცხვენია გამოვტყდე, მაგრამ ისე გამოაცა მაშინ შენმა გამოჩენამ, ახლაც არ მშორდება კრძალულებისა და აღფრთოვანების გრძნობა. შენ ციდან დაეშვი, როგორც თანამედროული სახის ქალღმერთი..

ახლა, როცა ეს გამახსენდა, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ვერ შევძელი მადევრებთან საქმის დაჭერისას ისე გამეკეთებინა, ადამიანთა ტანჯვის ბალანსს დაკლებოდა თუნდაც იოტისოდენა წილი სიბოროტისა და სიკეთის წილი მოშატებოდა. იმედი მქონდა, რომ ღმერთის შეეშინდებოდათ, მაგრამ ფული მათთვის ყველაფერზე მაღლა აღმოჩნდა. და აი, ახლა მაწამებს ფიქრი, როგორ დავეხმარო თუნდაც იმ მადევრებს, რომლებსაც ღმერთმა გადამყარა და რომლებთან ურთიერთობის რაღაც გამოცდილება მქონდა. მხედველობაში მაქვს უპირველეს ყოვლისა მონანიება. აი, რის გზა მინდოდა მეჩვენებინა მათთვის. მონანიება — ერთ-ერთი დიდი მიღწევა ადამიანის სულის ისტორიაში — ჩვენს დროში სახელგატეხილია. იგი, შეიძლება ითქვას, — სავსებით გამოეთიშა თანამედროვე ადამიანის ზნეობრივ სამყაროს. მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანი ადამიანი იყოს მონანიების გარეშე, იმ ძვრებისა და გონების განათების გარეშე, რომელთაც განაპირობებს დანაშაულის შეგნება, გამოხატული მოქმედებაში, ზრახვებში, თვითგვემასა თუ თვითგანსჯაში?.. გზა ჰეშმარიტებისკენ ყოველდღიური გზაა სრულყოფილებისკენ..

ოჰ, ღმერთო! ისევ არ ვიშლი ჩემსას! მიპატიე! ინგა, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ გრძნობებითა ვარ აღსავსე, იმის ბრალია, რომ ნიადაგ შენზე

ვფიქრობ. ნიადაგ მეჩვენება, თითქოს იმის მეათასედიც ვერ ვითხარი, რისი თქმაც მინდოდა...

რარიგ მინდა უფრო ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა გიხილო კვლავ ჩვენ ხომ მთელი ერთი კვირაა შორიშორსა ვართ...

და ეს მოძალებული ნაღველი ერთადერთი რამაა, რაც კი მადგენს — დენარჩენმა ცხოვრებისეულმა პრობლემებმა უცებ დაკარგეს თავისი მნიშვნელობა და სულაც არ მეჩვენება მნიშვნელოვანი..."

ივლისი ილეოდა და დადგა დღე, როცა გაზეთის რედაქციიდან გულდამძიმებული გამოვედი. ერთობ დამწუხრებული ვიყავი, ვინაიდან რედაქტორმა ჩემი ტრამალის ნარკვევების მიმართ უეცრად დამოკიდებულება შეიცვალა. რედაქციაში მომუშავე ამხანაგებიც, რომლებიც ადრე შთამაგონებდნენ, შემტევი მასალის მოსაძიებლად წავსულიყავი, უცნაურად იქცეოდნენ, თითქოს ჩემს წინაშე რაღაც დანაშაული მიუძლოდათ.

მე კი ეს ძალიან მტკენდა გულს. როცა ვგრძნობ ხოლმე, რომ ადამიანები ჩემ წინაშე რაღაც დანაშაულს განიცდიან, ეს ისე მაწამებს, მინდა, რაც შეიძლება სწრაფად განვუქარვო სინდისის ქენჯნა და ჩემს დანახვაზე არაფერი აცბუნებდეთ, ვინაიდან ამ დროს თვითონ ვგრძნობ თავს დამნაშავედ მათი დანაშაულის გამო...

რედაქციიდან მომავალმა თავს სიტყვა მივეცი, იქ აღარასოდეს დამედგა ფეხი და აღარავის მოვხვედროდი თვალში — დაე, თვითონ მიმიწვიონ, როცა მათ დავკირდები, ხოლო თუ არ დავკირდები, რა გაეწყობა, მეცოდინება, რომ არაფერი გამოვიდა და არც არაფრის იმედი უნდა მექნეს-მეთქი.

რუსული ზაფხულის ამ ყველაზე მშვენიერ დროს ბულვარს მივუყვებოდი და არა მახარებდა რა. რამდენი ძალა გადავაგე, რა გულმოდგინება გამოვიჩინე, რომ ტრამალის ნარკვევები დამეწერა, რომ მათში ჩემი მოქალაქეობრივი ტკივილი გადმომეცა. ნარკვევებს ვწერდი, როგორც გამოცხადებას და აღსარებას, მაგრამ გაჩნდა რაღაც მოსაზრებანი ქვეყნის პრესტიჟზე (წარმოგიდგენიათ, ჩვენს თავსაც კი რისი გულისთვის ვუმაღავთ ყოველივეს?), რომლებიც ამდენი ვაი-ვაგლახით მონაგრებულ ნარკვევებს დასამარებას უქადდნენ. ენით ვერ ვიტყვი, რა საწყენად დამირჩა ეს. რაც მთავარია, რედაქტორმა ამგვარი რამის თქმა იკადრა:

— თუმცა უნდა მოვიფიქროთ, იქნებ ღირდეს ეს ყველაფერი მოხსენებითი ბარათის სახით წარვადგინოთ ზემდგომ ინსტანციაში შესაბამისი ზომების მისაღებად.

ღიახ, ზუსტად ასე თქვა.

მე კი ვერ მოვითმინე და შევესიტყვე:

— როდემდე ვარწმუნოთ თავი, რომ ჩვენში კატასტროფებიც კი ყველაზე უკეთესია.

— რა შუაშია კატასტროფები? — მოიღუშა რედაქტორი.

— იმ შუაშია, რომ ნარკომანია სოციალური კატასტროფაა.

ეს ვუთხარი და წამოვედი. ერთადერთი რამ, რაც შევებას მგვრიდა, ინგას წერილები იყო, რომელთაც ნიადაგ ვკითხულობდი, როგორც კი მის გახსენებაზე გული ამიკვნესდებოდა. არის, ამქვეყნად უთუოდ არის ტელეპათია, —

თორემ რით აიხსნება, რომ ინგას წერილები წინასწარ კვრეტდნენ იმას, რაზე-
დაც თავად ვფიქრობდი, რაზეც გული მტკიოდა, რაც ყველაზე მეტად მალეღვე-
ბდა და არ მასვენებდა. ეს წერილები სულ უფრო მინერგავდნენ ემედსა და
რწმენას: არა, ბედმა არ გამაცურა და მითუმეტეს არ დამცინა, თანამედროვე
ქალიშვილებს ხომ სულაც არ მოსწონთ ისეთი, როგორც მე ვარ — უიღბლო,
სემინარიელები, რომელთაც ზნეობრივ ფასეულობებზე მოძველებული საეკლე-
სიო შეხედულებანი აქვთ, ხომ ძალიან წავაგებდი სუპერშენი ყმაწვილკაცების
ფონზე. ინგას წერილებში კი იმდენ ნდობას, არ მეშინია ვთქვა, პატივისცემას
და, რაც მთავარია, სავსებით ნათელ საპასუხო გრძნობას ვამჩნევდი, ფრთები
მესხმოდა და საკუთარ თვალში ვმალდებოდი. რა ბედნიერებაა, რომ შემხვდა
სწორედ ის, ჩემი ინგა! და, მართლაც, იქნებ ეს ერთმანეთისაკენ ურთიერთ-
ლტოლვაა სიყვარულის ჯადოქრობა...

ჩვენ ჯერჯერობით არავითარი ცხოვრებისეული პრობლემები არ გვებო-
და და მით უფრო მახარებდა, რომ ისინი არსებობდნენ, რომ საჭირო იყო მათი
გადაჭრა. აუცილებლად უნდა მეშოვა სამუშაო, რომელიც მუდმივ ჯამაგირს
გამიჩენდა. ჯერჯერობით მამისეული ძველი წიგნების გაყიდვით ვირჩენდი თავს,
რის გამოც ძალიან მტკიოდა გული. ვფიქრობდი, აზიაში ინგასთან წავსულიყა-
ვი, დავმკვიდრებულიყავი იქ, სამსახური დამეწყო და მის გვერდით ვყოფილი-
ყავი, თუნდაც დამხმარე მუშად მოეწყობილიყავი ინგას ექსპედიციაში და ყვე-
ლაფერი გამეკეთებინა, რომ მას წარმატებით ემუშავა თავის გამოკვლევებზე.
ეს გამოკვლევები ხომ ჩემთვის ამიერიდან საკმაოდ საყურადღებო გახლდათ,
მოიცავდნენ ორთავს საერთო ინტერესებს: მე ვცდილობდი, ნარკომანია ზნე-
ობრივი ძალისხმევით აღმომეფხვრა. ინგა ამ ამოცანის გადაჭრას სხვა მხრივ —
შეცნიერული გზით ცდილობდა და ძალიან მინადირებდა გულს თავისი ენთუ-
ზიაზმით: ვერ ვიტყვოდი, რომ მისი სამუშაო მოდურ, განსაკუთრებულად პრეს-
ტიჟულ საქმედ ითვლებოდა, ან უეჭველად სწრაფად სამსახურებრივ კარიერას
ჰპირდებოდა. მკაცრად თუ ვიტყვით, ინგა ლამის ერთადერთი ადამიანი გახლ-
დათ, რომელიც სერიოზულად სწავლობდა ველური კანაფ-ანაშის მოსპობის
საკითხს, როგორც მეცნიერულ პრობლემას. მე მგონი, ინგას მუშაობის მიმარ-
თულების არჩევაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ იგი
ადგილობრივი მცხოვრები — ჯამბულის მკვიდრი — იყო და ესწავლა ტამ-
ბენტში ყველაფერს ამას, ერთად აღებულს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა
მისი ინტერესების განსაზღვრაზე არ ემოქმედნა.

ინგას თავისი ცხოვრებისეული სირთულეებიც ჰქონდა. ის და მისი ყო-
ფილი ქმარი, სამხედრო მფრინავი, თითქმის სამი წელია უკვე ერთად არ ცხო-
ვრობდნენ. მაშინ გაშორდნენ, როცა ვაჟი გაუჩნდათ. მფრინავი ახლა თითქოს
სხვა ქალის შერთვას აპირებდა. ამიტომაც ისინი უკანასკნელად უნდა შეხვედ-
როდნენ ერთმანეთს, რათა საბოლოოდ გარკვეულიყო მათი დამოკიდებულება,
უპირველეს ყოვლისა შვილისადმი. იგორი ჯამბულში იმყოფებოდა ბებიასა და
ბაბუასთან, ექიმის ოჯახში, ინგას კი სულით და გულით უნდოდა ბიჭს მუდმი-
ვად მასთან ეცხოვრა. ჰოდა, როცა წერილში მომწერა, ვფიქრობ, შემოდგომაზე
შვილი თან წამოვიყვანო ეალპაკ-საზშიო, — აქ ადგილს შეპირებოდნენ რკი-
ნიგზელთა საბავშვო ბაღში, — ერთობ გამახარა მისმა ამბავმა და ვუბასუხე,
შეგიძლია ყველაფერში ჩემი სრული იმედი გქონდეს-მეთქი.

ეგ იყო და მომწერა, ძალიან მინდოდა, შემოდგომაზე, ჩვენი შვილებების
დროს შენთან ერთად ჯამბულში წავსულიყავით, ბიჭი და ჩემი მშობლები მოგ-

ვენახულებინაო. განა საქირთა ვთქვა, როგორ ამიჩუყა გული ერთად მგზავრობის მისეულმა გეგმამ? მეც ვუპასუხე — მზად ვარ ნებისმიერ დროს ჩამოვიდე და შენს განკარგულებაში ვიყო, საერთოდაც ვისურვებდი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ჩვენს საერთო და, უპირველეს ყოვლისა, შენს ინტერესებს მოვმსახურებოდი, ჩემი ბედნიერება ისაა, შენ გამოგადგე და შენთვის ღირსი ვიყო-მეთქი.

ყველაფერს ასეთი პირი უჩანდა, შემოდგომაზე უნდა გადაგვეწყვიტა ჩვენი ბედი. ამ ამბავს მოეცვა ჩემი არსება და ძალიან, ძალიან ვლელავდი, როცა ვფიქრობდი, როგორ წავიდოდით ჩამბულში ინგას იგორთან და მშობლებთან. იქ წასვლაზე ხომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მგზავრობას კი თანხები სჭირდებოდა. მერედა, რა ძვირი ჯდებოდა თუნდაც ერთი წასვლა. ვიმედოვნებდი, მუინყუმის ნარკვევებში ფულს ავიღებ-მეთქი. მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყარა, თანაც განა ჩემი მიზეზით. მეც საოლქო სტამბაში ლამის კორექტორად დავდექი დროებით და ამ გზით ცოტაოდენ ფულს ვშოულობდი...

ბოლოს დადგა დღეც, როცა ინგას წერილი მივიღე. მეკითხებოდა, ხომ არ შეგიძლია ოქტომბრის დამლევს ქალაქ-საზში ჩამოხვიდე — ნოემბრის დღე-სასწაულებზე ერთად გავემგზავრებოდით ჩამბულშიო...

გიჟივით გავვარდი ქალაქის ტელეგრაფში, რომ ინგასთვის დებეშა გამეგზავნა... ახლა სასწრაფოდ უნდა გამეყიდა წიგნები და აღებული ფულით გზას გავდგომოდი.

ვ

ობერ-კანდალოვმა აბდია კალისტრატოვი ვაგზალზე შეამჩნია, როცა მუინყუმში წასაყვანად რაზმს ადგენდა.

ვინც ობერ-კანდალოვს ეგ საქმე დააფალა, ჩინებულად იცოდა, რას აკეთებდა. კანდალოვი ფრიად გამოცდილი კაცი იყო, რკინიგზის სახანძრო დაცვის კომენდანტის თანამდებობაზე იღვწოდა, წინათ სამხედრო გახლდათ, თანაც საჯარიმო ბატალიონში მსახურობდა (ეს კი რალაცას ნიშნავს!) და ტრამალში სასწრაფო ექსპედიციისთვის უკეთესს ვილას მოძებნიდნენ. სიტყვამ მოიტანა და კანდალოვს ამასთანავე თავისი საგანგებო მოსაზრებანი ჰქონდა. იმედოვნებდა, რომ თუ ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულებაში საოლქო სამმართველოს სამსახურს გაუწევდა, ამ გზით ძველ სახელს დაიბრუნებდა და საქირთ საოლქო ინსტანციების შუამდგომლობით პარტიაშიც აღადგენდნენ. იგი ხომ პარტიიდან დატაცების ან უხეში ბოროტმოქმედების გამო კი არ გარიცხეს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი იშვიათი და, რაც, მთავარია, სახელმწიფოსათვის სრულიად უვნებელი ამბისათვის, როგორიც გახლავთ მამათმავლობა; ამ საქმეს კი საჯარიმო ბატალიონის ყაზარმებში აიძულებდა ზოგიერთებს, რამეთუ სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდა. კარგი, ვთქვათ, ჰქონდა ასეთი ცოდვა, იგი ზევადიანი სამსახურის ზემდეგი, იდეოლოგიურად საეჭვო პიროვნებებს ატანდა ძალას. განსაკუთრებით ათასგვარ სექტანტსა და ნარკომანს. მერედა, ამათი შეეცოდება შეიძლება? მერედა, რამდენი უნდა ურტყან ამისთვის? აღარ კმარა, რომ ცოლი გაექცა, რის გამოც დაიწყეთ სმა, თუმცა სასმელს არც წინათ აკლებდა ხელს? ისე, თუკი საქმეს ჩავხედავთ, ძალზე საქირთ კაცია. აი, სერიოზული საქმე დაავალეს და ხელად შექმნა ჯგუფი, შუალამით წავიდა ვაგზალში, შეათვალა იერა ხალხი, გაწაფული თვალით შეამჩნია, ვის ადგა გასაქირთი

და ფულის ბლომად და სწრაფად შოვნის იმედით მიუხედავად წაყალბა ვინ დაეთანხმებოდა. ასე გადაწყდა აბდია კალისტრატოვსაც.

აბდია კანდალოვს მართო გაქირვების გამო როდი დაწვინდა მისთვის რალაც გაუთვალისწინებელი და შემაშფოთებელი ამბავი — ინგა ფიოდოროვნას ჟალპაკ-საზში ვერ ჩამოუსწრო, მიუხედავად იმისა, რომ ინგას წინადადებით ჩამოვიდა. გული დარდით აევისო, თუმცა ვერ გაერკვია, ღირდა თუ არა ეს ამდენ განცდად. აქეთ თვითმფრინავით იმგზავრა. ხოლო რომ გამოფრენილიყო, ამისთვის მოსკოვში უნდა ჩასულიყო. მოსკოვში კიდევ მთელი დღე ეძებდა ბილეთს. ჩამოფრინდა ალმა-ათაში, იქიდან მატარებელს გამოჰყვა. ასე ვთქვათ, ერთ-ორ დღეში გაჩნდა ჟალპაკ-საზში, ხოლო როცა ბოლოს საავადმყოფოს მახლობლად, ლაბორატორიის ეზოში პატარა სახლს მოაღწია, კარი დაკეტილი დახვდა, გასაღების ხერხეში კი ინგა ფიოდოროვნას ბარათი იპოვა. ინგა სთხოვდა, ვაგზლის ფოსტის მოკითხვის განყოფილებაში წერილი მოიძიეო. აბდია, ბუნებრივია, ფოსტაში გაიქცა, სადაც მაშინვე მისცეს წერილი. იგი გულისფანცქალით შევიდა პატარა სკვერში, მერბზე ჩამოჯდა და წაიკითხა:

„აბდია, ჩემო ძვირფასო, მაბატიე, რომ მცოდნოდა, ასეთი რამ მოხდებოდა, გაცნობებდი, ჯერ არ წამოხვიდე-მეთქი. ალბათ ჩემმა დეპეშამ ვერ მოგიწრო და უკვე გზას ადგახარ. საქმე ისაა, რომ ჩამბულში მოულოდნელად ჩემი ყოფილი ქმარი ჩამოსულა, ჩვენი იგორკას გამო სასამართლო საქმის წამოწყება უნდა. იმულებული ვარ, სასწრაფოდ გავემგზავრო ჩამბულში. შესაძლოა, იგი რალაცით გავალიზიანე და ამიტომ ჩამოვიდა: მე მას პირდაპირ მივწერე, ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებ ჩემთვის ფრიად საინტერესო კაცთან ერთად-მეთქი. ეს უნდა მეცნობებინა, რადგან ჩვენ შვილი გვყავს.“

კიდევ ერთხელ მაბატიე, ჩემო საყვარელო, რომ ასეთი რამ მოხდა, იქნებ ეს უკეთესიც იყოს: ამ საკითხის გადაწყვეტა, სულ ერთია, ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევდა. ჰოდა, სჯობს თავშივე გათავდეს ყველაფერი.

როცა ჩამოხვალ, კარი დაკეტილი დაგხვდება. გასაღებს ჩვენს ლაბორანტს საულა ალიმბაევას ვუტოვებ. საულა შესანიშნავი ადამიანია. თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში და დამელოდე. დასანანიია, რომ ალია ისმეილოვნა ახლა შვებულეებაშია, მასთან ურთიერთობა შენთვის საინტერესო იქნებოდა. იგი ხომ დიდი პატივისცემით გეკიდება. ვფიქრობ, ერთ კვირაში დავბრუნდები. ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო, რომ ამიერიდან ხელი აღარაფერმა შეგვიშალოს. სულით და გულით მწადია, იგორი ნახო. ალბათ დამეგობრდებით და ძალიან მინდა ერთად ვიცხოვროთ, ხოლო მანამდე, როგორც ვაპირებდით, ჩემს მშობლებთან ჩავიდეთ და გაიცანი ისინი — ფიოდორ კუზმიჩი და ვერონიკა ანდრეევნა. არ ინაღვლო, აბდია, ჩემო საყვარელო, და არ მოიწყინო, ვეცდები როგორც ჯობს, ისე გავაკეთო ყველაფერი.

შენი ინგა.

P. S. თუ არასამუშაო დროს ჩამოხვედი, ალიმბაევას მისამართი ასეთია: აბაის ქუჩა, № 41. მისი ქმარი დაურბეც იქსანოვიჩია“.

აბდიამ წერილი სულმოუთქმელად წაიკითხა და დაფიქრდა. გაოცებული იყო: საქმე სხვანაირად შეტრიალდა. რასაც არაფრით არ ელოდა. გასაღების გამოსართმევად არ წასულა, ვაგზლის მოსაცდელ დარბაზში დარჩა, გადაწყვიტა, ყველაფერი აეწონ-დაეწონა, შემდეგ ჩემოდანი შემნახველ საკანში შეინახა, რომ

აქეთ-იქეთ არ ეთრია, და სკვერში წავიდა. იქ ერთხანს იჯდა, ნაცნობ საავად-
მყოფოსთან გაიარ-გამოიარა, სადგურსა და ქალაქს შორის განმარტოებული ბი-
ლიკი იბოვა და ზედ წინ და უკან სიარულს მოჰყვა...

ტრამალში გვიანი შემოდგომა იდგა. უკვე გრილოდა. გაქიპებულნი, გა-
ფუებული ღრუბლები, ოკეანის შორეთში მჩინარი ტალღებზე დაფუძვნილ
კრთოდნენ ზაფხულის განმავლობაში ფერნაქცევ ოქტომბრის ~~ტანსაცმელს~~
ხევრად განძარცვულიყვნენ და ძირს გამქრქალებული მეწამულ-ყავისფერი ფო-
თლები ეყარა. ბოსტნებშიც მოსავალი აეღოთ და ისინი გაფხეკილიყვნენ. ქალ-
ბაკ-საზის ქუჩები გაუკაცურებული, დაღვრემილი იყო. პაერში მოფარფატე
ოდნავ მბზინვარე ობობას ქსელი უეცრად სახეს ედებოდა. ეს ყოველივე ნა-
ღველს ჰგვრიდა აბდიას. სადგურში, რომელიც თავისი ინდუსტრიული სიმძლავ-
რით ტრამალის უზარმაზარ სივრცეს თრგუნავდა, ხრიგინი, ღრჭიალი ისმოდა,
ცხოვრება მაჯისცემასავით ერთი წუთით არ ჩერდებოდა. ურიცხვ ლიანდაგზე
ისევ ისე მანევრირებდა მატარებლები, მიდი-მოდიოდნენ ადამიანები, რადიოთი
მთელ იმ არემარეს დისპეტჩერების ჩახრინწული ხმა ედებოდა.

აბდიას კვლავ გაახსენდა ზაფხულის ის დღეები, გაახსენდა მადევრების
ეობების დასასრული და ამასთან დაკავშირებით, ვინ იცის, უკვე მერამდენეჯერ
უბრუნდებოდა მონანიების ფიქრებს. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო
რწმუნდებოდა, რომ მონანიება ის ცნებაა, რომელიც ცხოვრებისეული გამოც-
დილების კვალობაზე მეტად და მეტად ცხოველმყოფელი ხდება, სინდისის სა-
ზომია, საზომი — ადამიანის გონების მიერ კეთილმონადეაწი, განვრცობილი
და დანერგილი. ადამიანის გარდა არავის შეუძლია მონანიება. მონანიება ადა-
მიანის სულის მარადიული და დაუცხრომელი ზრუნვაა საკუთარ თავზე. აქე-
დან გამომდინარე ნებისმიერმა სასჯელმა — შეცოდებისა თუ დანაშაულისათვის
ნარგუნევმა — დასჯილის სულში მონანიების გრძნობა უნდა აღძრას, თორემ
ისე დასჯა არაფრით იქნება განსხვავებული მზეცის დასჯისგან.

ამ ფიქრებით მოცული დაბრუნდა აბდია ვაგზალში, მოაგონდა ის გულ-
ფიცხი ლეიტენანტი და, აბა, გავახსენდები თუ არაო, — გაივლო გულში, თან
უნდოდა შეეტყო, რა ბედი ეწია მადევრებს, ანაშის, მომპოვებლებს — პეტრუ-
ხას, ლიონკას და სხვებს. ეს სურვილი კიდევ ერთმა მიზეზმაც ჩაუნერგა: იგი
ყოველნაირად ცდილობდა გარიდებოდა იმას, რაც სტანჯავდა და აწუხებდა,
როგორც პორიზონტზე ჩამოგრაგნილი საავდრო ღრუბლები, გარიდებოდა ინგა
ფიოდოროვნაზე ფიქრებს. მთელ თავის ცხოვრებას და მომავალს ახლა ინგას
უკავშირებდა, ცხოვრებას იმით განსაზღვრავდა, თუ როგორ წარიმართებოდა
საქმეები შორეულ ქამბულში და, რაკი უძლური იყო, რაიმე ელონა, ამ საკი-
თზე ფიქრი არ შეიძლებოდა, უნდა გაქცეოდა ფიქრებს. სამწუხაროდ, გულ-
ფიცხი ლეიტენანტი ვერ იბოვა. როცა ოთახის კარზე დააკაკუნა, უცნობი მი-
ლიციელი შემოხვდა.

— რა გინდათ?

— პო, იცით, ერთი ლეიტენანტის ნახვა მინდოდა, — დაუწყო ახსნა, მა-
გრამ წინასწარ გრძნობდა, რომ აქედან არა გამოვიდოდა რა.

— რა გვარია? ჩვენთან ლეიტენანტი ბევრია.

— სამწუხაროდ, გვარი არ ვიცი. რომ მენახა, მაშინვე ვიცნობდი.

— მერედა, რისთვის გჭირდებათ?

— აბა, როგორ ავიხსნათ — მასთან ლაპარაკი, საუბარი მინდოდა... — მი-
ლიციელმა ცნობისმოყვარეობით ახედ-დახედა.

— აბა, მოათვალიერე, იქნებ იპოვო შენი ლეიტენანტი.

ოთახში ტელეფონიან მაგიდას ამჯერად უცნობი კაცი უჯდა და ვილაცას ელაპარაკებოდა აბდიამ ბოდიში მოიხადა და გამოვიდა. გამოსვლისას თვალი შეავლო რკინის გისოსს, რომლის იქით მაშინ დაპატიმრებული დაშნა/შავენი ისხდნენ. აბლა ის ადგილი ცარიელი იყო.

და აბდიას ისევ მოეჩარა ერთთავად გულისგამაწვევლები, თუმცა ცდილობდა მათთვის თავი აერიდებინა. ნეტავ რა დღეშია ინგა? აბდია ინგას მიერ დატოვებული გასაღების წამოსაღებად არ მიდიოდა: იცოდა, ცარიელ სახლში გაწამებულ სულთან პირისპირ დარჩენილი უფრო მძაფრად იგრძნობდა სიმართლევს. შეეძლო ვაგზალშიც დაეცადა, რომ სცოდნოდა, რა დღეში იყო ინგა და როდის დაბრუნდებოდა. აბდია ცდილობდა წარმოედგინა, რა ხდებოდა აბლა იქ, ჯამბულში, რარიგ უჭირდა საყვარელ ქალს, მას კი არაფრით არ შეეძლო დახმარებოდა. ვაითუ მშობლებს შვილიშვილის შენარჩუნების მიზნით ინგასთვის დაეეინებინათ, ქმარს შეურიგდით? სავსებით შესაძლებელია ასეც მომხდარიყო. მაშინ აბდია იძულებული გახდებოდა, უკან გაბრუნებულიყო. მან თვალნათლივ წარმოიდგინა ფორმაში გამოწყობილი, სამხრეებიანი, შთამბეჭდავი შესახედაობის სამხედრო მფრინავი, რომელსაც მაიორზე ნაკლები ჩინი არ ექნებოდა, და მიხვდა, რომ მის გვერდით სულ არაფერი გამოჩნდებოდა. აბდიას სჯეროდა, ინგა წოდებებს და გარეგნულ პეწს მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ინგას მშობლებისთვის ჰქონდა იმას მნიშვნელობა, ვინ ეყოლებოდათ სიძე — სამხედრო მფრინავი, იგორის მამა, თუ გაურკვეველი საქმიანობის უცნაური კაცი?

სალამოვდებოდა. მწუხრის დადგომასთან ერთად აბდიაც იქუფრებოდა. ვაგზლის გაქვდილ დარბაზში ბინდი და შეხუთული ჰაერი იდგა, გაბოლილი იყო იქაურობა და აბდიას უსაშველო ნაღველი მოეძალა. ეჩვენებოდა, თითქოს სრულიად მარტოა ბნელსა და მოქუშულ ტყეში. შემოდგომის ქარი ხეთა კენწეროებში ზუზუნებს, მალე ჩამოთოვს, თოვლი დაფარავს ტყეს და მას, აბდიას, დაფარავს ერთიანად და ყველაფერი თოვლში ჩაინთქმება, ყველაფერი დავიწყებას მიეცემა... აბდიას სიკვდილი უნდოდა და იმ წუთში რომ ვაეგო, ინგა არ დაბრუნდებოდა, ან სხვასთან ერთად დაბრუნდებოდა. რათა ნივთები და წიგნები მოეკრიბა და თავის სამხედრო მფრინავს გაჰყოლოდა, დაუფიქრებლად გავიდოდა და პირველივე მატარებელს დაუწვებოდა...

სწორედ ამ მძიმე ჟამს, შელამებულზე ყალბაკ-საზის ვაგზალზე ნახა აბდია კალისტრატოვი ობერ-კანდალოვმა, რომელიც მუინყუმის „საფარისთვის“ შესაფერის რაზმს ადგენდა. ეტყობა, ობერ-კანდალოვს გამჭრიახობა არ აკლდა, ყოველ შემთხვევაში შეუცდომლად მიხვდა, რომ აბდიას სული ჰქონდა აფორიაქებული და ვერ ისვენებდა. მართლაც, როცა ობერ-კანდალოვმა შესთავაზა, ერთი-ორი დღით მუინყუმის სავანაში სართიან საქმეზე გავუტოოთო, მაშინვე დაეთანხმა. ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც უქმად არ მჯდარიყო მარტომ-მარტო და გულზელდაკრეფილს არ ელოდინა. ამასთანავე გაიფიქრა, რომ ვიდრე მუინყუმიდან დაბრუნდებოდა და იქ ნაშოვნ ფულს ჩამოიტანდა, შესაძლოა ინგა ფიოდოროვნაც გამოჩენილიყო და ყველაფერი გარკვეულიყო: სამუდამოდ დარჩებოდა საყვარელ ადამიანთან (ოკ, რა ბედნიერება იქნებოდა!) თუ იძულებული გახდებოდა, აქედან წასულიყო და თავისთვის ძალა დაეტანებინა, რომ ეცოცხლა... ასეთი დასასრულის მას ეშინოდა...

ობერ-კანდალოვმა აბდია იმავე საღამოს წაიყვანა სახანძრო დაცვის შენობაში. აბდიამ იქ თავისუფალ ტახტზე ღამე გაათია...

ღილით მთელი რაზმი მანქანების კოლონას გაჰყვა მუინყუმის ხავეანაში. ხავეანაში მხიარულო საქმეზე კი მიდიოდნენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა კი აბდია კალისტრატოვს ასამართლებდნენ ისინი, ხუთი ლოთბაზარა — ობერ კანდალოვი, მიშაში, კეპა, ჰამლეტ-გალკინი და აბორიგენ-უზიუკბაი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჰამლეტ-გალკინი და აბორიგენ-უზიუკბაი გასამართლებას ესწრებოდნენ და ცდილობდნენ, თუმცა გაუბედავად და საცოდავად, როგორმე გაენელებინათ დანარჩენი სამის მძვინვარება.

საქმე ის იყო, რომ აბდიას საღამოს სიგიჟემ მოუყარა, როგორც მაშინ ვაგონში, და ახლა ანგარიშს უსწორებდნენ. მუინყუმის საიგებზე ნადირობამ მასზე ისე საშინლად იმოქმედა, მოითხოვა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ეს ხოცვა-ყლეტა, გამხეცებულ მონადირეებს მოუწოდებდა ცოდვა მოენანიებინათ. ღმერთისთვის 'მიემართათ, ჰამლეტ-გალკინს და უზიუკბაის სთხოვდა მხარი დამიჭირეთო. თუ ისინი მხარს დაუჭერდნენ, სამივე დატოვებდა ობერ-კანდალოვს, მის დამქაშებს, ატეხდნენ განგაშს, თითოეული მათგანი განიმსჭვალებოდა ღმერთზე, ყოვლადკეთილ შემოქმედზე ფიქრით, იმედი ექნებოდა მისი უსაზღვრო მოწყალებისა, მიტევებას შესთხოვდა იმ ბოროტების გამო, რაც მათ, ადამიანებმა, ცოცხალ ბუნებას მიაყენეს, ვინაიდან მხოლოდ გულწრფელ მონანიებას შეეძლო მათთვის შვება მოეგვარა...

აბდია ყვიროდა, ხელებს ცისკენ აღაპყრობდა და მონადირეებს მოუწოდებდა, დაუყოვნებლივ შეესმინათ მისი ლაღადისი, რათა ბოროტებისგან განწმენდილიყვნენ და ცოდვა მოენანიებინათ.

გამძვინვარებული აბდია უცნაური და სასაცილო ჩანდა, ისე ღრიალებდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, გეგონებოდათ, ქვეყნიერების დასასრულის წინათ-გრძნობას შეუბყრიაო, ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი ჯანდაბაში მიფრინავდა, ცეცხლოვან უფსკრულში მიექანებოდა.

აბდიას უნდოდა ღმერთისკენ მოექცია ისინი, ვინც აქ მუქთი ფულის მოსახვეჭად ჩამოვიდა... უნდოდა შეეჩერებინა განადგურების უზარმაზარი მანქანა, მუინყუმის საეანის სივრცეებზე მბორგავი მანქანა, ეს ყოვლისშემძუსვრელი მექანიზებული ძალა...

უნდოდა დაუძლეველის დაძლევა...

ჰოდა, მიშაშის რჩევით თოკებით შეკრეს და სატვირთო მანქანის ძარაზე პირდაპირ დახოცილ საიგებზე დააგდეს.

— იწექი მანდ, მაგის დედა, და სული გააცხე. იყნოსე საიგის სუნი! — დაუყვირა დაძაბულობისგან აბროტინებულმა მიშაშმა. — უძახე ახლა შენს ღმერთს! შეიძლება, მაგის დედა, გაგიგონოს და ციდან შენთან ჩამოფრინდეს...

იდგა ღამე, მთვარემაც გადმოხედა მუინყუმის საეანას, სადაც ხოცვა-ყლეტის ტალღამ გადაიარა, სადაც ყველა ცოცხალმა არსებამ და მგლებმაც კი საკუთარი თვალით იხილეს ქვეყნიერების განადგურება...

ხოლო გამანადგურებლები ერთსულოვნად ზეიმობდნენ აბდია კალისტრა-

ტოვის გარდა, რომელიც იმ დღეს თავისდა საუბედუროდ აღმოჩნდა მუნი-
ყუმში...

და ამისთვის გასამართლებას უპირებდნენ...



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მიშაშმა და კეპამ აბდია ძარადან ჩამოათრიეს, ობერს მიპგვარეს და აიძუ-
ლეს მის წინ დაეჩოქა. ობერ-კანდალოვი ცარიელ ყუთზე იჯდა, გაჩიკინებული
ლაბადის კალთები გადაეშალა და ფეხები გაეფარჩხა. ქირზის ჩექმები ეცვა.
მანქანის დამატებითი ფარებით განათებული უჩვეულოდ ვეებერთელა, შუბლ-
შეკრული უზომოდ გაბოროტებული ჩანდა. გვერდით, კოცონთან, რომელსაც
ჯერ კიდევ ასდიოდა საიგის დამწვარი მწვადის სუნი, ჰამლეტ-გალკინი და აბო-
რიგენ-უზიუკბაი იდგნენ და იბუზებოდნენ. ორივენი უკვე გვარიანად იყვნენ
შემთვრალნი, ამიტომ ობერის მიერ აბდიას გასამართლების მომლოდინენი უაზ-
როდ ილიმებოდნენ, რალაცაზე ჩურჩულებდნენ, ერთმანეთს უჭიდავებდნენ და
თვალს უკრავდნენ.

— აბა? — ამოთქვა ბოლოს ობერმა და ზიზლით შეხედა მის წინ დაჩოქილ
აბდიას. — მოიფიქრე?

— ხელები გამიხსენით, — თქვა აბდიამ.

— ხელები? კი მაგრამ, რატომ გაქვს შეკრული, ამაზე თუ გიფიქრია?
ხელებს ხომ მხოლოდ მოჯანყებებს, შეთქმულებს, შეამბოხებებს, წესრიგისა და
დისციპლინის დამრღვევებს უკრავენ! წესრიგის დამრღვევებს, გაიგე? წესრი-
გის დამრღვევებს!

აბდია დუმდა.

— ჰო, კარგი, ვცდით ხელები გაგიხსნათ, ვნახოთ, როგორ მოიქცევი, —
მოწყალება მოილო ობერმა. — აბა, შეუხსენით ხელები, — ბრძანა მან. —
ისინი ახლა დასჭირდება.

— რა ჩემ ფეხებად უნდა გავუხსნა. მაგის დედა... — უკმაყოფილოდ ჩაი-
ბურტყუნა მიშაშმა, როცა აბდიას ზურგს უკან თოქს ხსნიდა. — ამისთანები
ლეკვებივით უცებ უნდა ჩაახრჩო წყალში. ამისთანები ცხრად უნდა მოკაკვო
და მიწაში ჩააგდო.

აბდიამ მხოლოდ ახლა, თოქის შეხსნის შემდეგ, იგრძნო, როგორ დაბუყე-
ბოდა მხრები და ხელები.

— აბა, სურვილი შეგისრულეთ, — უთხრა ობერ-კანდალოვმა აბდიას. —
შენ კიდევ გაქვს გადარჩენის შესაძლებლობა. აჰა, ჯერ დალიე! — მან აბდიას
არყიანი ჭიქა გაუწოდა.

— არა, არ დავლევ. — ცივი უარი სტკიცა აბდიამ.

— სულიმც გაგცხებია, შე ვიგინდარავ! — უთხრა ობერმა და არაყი პირ-
დაპირ სახეში შეასხა. აბდია ამას არ მოელოდა და კინალამ გაიგუდა, ზეზე წა-
მოხტა, მაგრამ მიშაში და კეპა კვლავ დააცხრნენ, მიწას მიაკრეს.

— მიჰქარავ, მაგის დედა... დალევ! — ბლაოდა მიშაში. — ხომ ვამბობდი,
ამისთანები უნდა დაახრჩო-მეთქი. აბა, ობერ, დაასხი ერთი არაყი, ყრონტში
ჩავასხამ, არ დალევს და ძვალ-რბილს გავუერთიანებ.

მიშაშის ხელში ჭიქამ ტკაცანი გაიღო და მისმა ნაპირმა აბდიას სახე გაუ-
სერა. არყითა და საკუთარი სისხლით სულშეგუბებული აბდია მიშაშს გაუსხლ-
ტა და ფეხებით იგერიებდა მას და კეპას.

— ბიჭებო, მოეშვით, ღმერთმა ხელი მოუშარტოს, ნუ დაღევს, თვითონ დავლიოთ! — საცოდავად აწკმუტუნდა ჰამლეტ-გალკინი, რომელიც მოჩხუბრების გარშემო დარბოდა. აბორიგენ-უზიუებაი მანქანას მოეთარა და იქიდან შიშნეულად იხედებოდა, არ იცოდა, რა ექნა: იქვე დარჩენილიყო — აგე, რამდენი არაყი დარჩათ დაუღვეელი, — თუ უბედურებას შორს გაქცეულყოფილი ობერ-კანდალოვი კი ისე იჯდა ყუთზე, თითქოს ტახტზე ბრძანდებოდა და მისივე რკო წარმოდგენას უყურებდა.

ჰამლეტ-გალკინი ობერს მივარდა:

— გააჩერე ისინი, ობერ, ძვირფასო, მოკლავენ და სამართალში მიგვცემენ.

— სამართალში! — ქედმაღლურად ჩაიზმუვლა ობერმა. — რა სამართალი, რის სამართალი, მუინყუმში? სამართალი თვითონა ვარ აქი წადი და მიმტკიცე, ასე და ისე იყო. ჰო, იქნებ მგლებმა დაგლიჯეს, ვინ ნაზა, ვინ დაამტკიცებს?

აბდიამ გრძნობა დაკარგა და მაწამებლების ფერხით დაეცა. მათ წიხლები დასცხეს. აბდიამ უკანასკნელად ესლა გაიფიქრა: რა მოუვა ინგას, ის ხომ ჩემსავით არავის და არასოდეს არ ეყვარება?

აბდიას უკვე აღარაფერი ესმოდა, თვალთ დაუბნელდა და რატომღაც სისვი ძუ მგელი მოელანდა. სწორედ ის, იმ ცხელ ზაფხულში კანაფის ტრამალში რომ თავზე გადაახტა...

— მიხსენი, ძუ მგელო, — აღმოხდა უცებ აბდიას.

მან თითქოს ალლოთი იგრძნო, რომ მგლები აკბარა და ტაშჩაინარი ახლა თავიანთ ბუნაგს უახლოვდებოდნენ, რომელსაც იმ ღამით ადამიანები შემოსდგომოდნენ გარს. მხეცებს გული ჩვეული ღამის სათევისკენ მოუწევდათ აი, ამიტომ დაბრუნდნენ უკან, ალბათ იმედი ჰქონდათ, რომ ადამიანებმა მათი ღარტაფი დატოვეს და სადმე შორს წავიდნენ.

ვეებერთელა სატვირთო მანქანა კი წინანდებურად შემზარავად, შავად ჩანდა ისევ იმავე ადგილას, საიდანაც ყვირილი, ბლლარძუნის დახშული ხმა ისმოდა...

მგლებიც ისევ გახდნენ იძულებულნი, ტრამალისკენ გაეხვიათ, გაწამებულნი, სულშეძრულნი ალაღბედზე უგზო-უკვლოდ მიიღალეობდნენ... ადამიანები დღისით თუ ღამით სიცოცხლეს უმწარებდნენ... და ნელა მიეხეტებოდნენ, და მთვარე ანათებდა მათ კუდამოძუებულ სილუეტებს.

სასამართლო კი, უფრო სწორად თვითგასამართლება გრძელდებოდა... გილეშილი მონადირენი ვერ ამჩნევდნენ, რომ ბრალდებული აბდია კალისტრატოვი, რომელსაც კიდევ ერთხელ დასცხეს მუშტები და წააქციეს, ადგომას თითქმის აღარ ცდილობდა.

— აბა, ადექი, შე მურდალო, — წიხლის კვრითა და დედის გინებით აიძულებდნენ ადგომას ხან მიშაში, ხან კება, აბდია კი ჩუმადლა კვნესოდა. გამძვინვარებული ობერ-კანდალოვი მომჩვარულ აბდიას ქეჩოში სწვდა, წამოსწია და თათბვა დაუწყო. იგი თავისივე სიტყვებზე უფრო და უფრო შმაგდებოდა.

— მაშ, ღმერთით დაგვიპირე შეშინება, დაფეთიანება, შე არამზადავ, გინდოდა, ჩვენთვის ღმერთის სახელით ამოგეთხარა თვალები, შე ქვემძრომო, შენა! ჩვენ ღმერთით ვერ შეგვაშინებ, — სხვა ხალხი ვართ, ძაღლიშვილო! ერთი გამაგებინე, თვითონ ვინა ხარ? ჩვენ აქ სახელმწიფო დავალებას ვასრულებთ, შენ კი გეგმის წინააღმდეგი ხარ, ძაღლიშვილო! ოლქის წინააღმდეგი ხარ, მა-

მასადაზე, არამწადა და ხალხის მტერი ხარ, ხალხის და საბელმწიფოს მტერი, და შენისთანა მტრების, მავნებლებისა და დივერსანტების კოქი უნდა გაწყდეს დედამიწაზე! ჯერ კიდევ სტალინმა თქვა: „ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მოწინააღმდეგეაო“. ხალხის მტრები ძირფესვიანად უნდა ამოძირკონ/ არავითარი შეღავათი! თუ მტერი არ ნებდება, დედას უტირებენ. ~~არქივში~~ მავნებელთანა აგიტაციისთვის უმალლესს უსჯიან, — და მორჩა! — რა ~~მტერი~~ ~~მტერი~~ დედამიწა ყოველგვარი უწმინდურობისგან გაიწმინდოს. შენ კი, ეკლესიის ვირთაგვავ, რას აკეთებდი? სიბოროტეს ეწეოდი! შლიდი დავალებას! მონასტრით გინდოდა ჩვენი მოტყუება! რომ იცოდე, ისე მიგანჩობ, შე გადაგვარებულო, როგორც ხალხის მტერს. და მხოლოდ მადლობას შეტყვიან, რადგან იმპერიალიზმის აგენტის ხარ, ქვემძრომი! გგონია, სტალინი არაა და ვერაფერს გიზამენ, არა? ახლავე დაიჩოქე, შე მღვდლის ნაშიერო, ახლა მე შენი მბრძანებელი ვარ — ზურგი აქციე შენს ღმერთს, თორემ სიცოცხლე არ გიწერია, შე ვიგინდარავ, შენა!

დაჩოქილმა აბდიამ თავი ვერ შეიმაგრა და დაეცა. იგი წამოაყენეს.

— მიპასუხე, ქვემძრომო, — ღრიალებდა ობერ-კანდალოვი, — ზურგი აქციე ღმერთს, თქვი, ღმერთი არ არსებობს-თქო!

— ღმერთი არსებობს! — სუსტი ხმით მიუგო აბდიამ.

— ერთი ამას უყურე! — დამდულრულივით იღრიალა მიშაშმა. — აკი ვამბობდი, ამის დედა... შენ ამას ერთს ეკითხები, ის კი ჯიბრზე სხვას გპასუხობს.

ბოლმით სულშეგუბებულმა ობერ-კანდალოვმა აბდიას ისევ სტაცა ხელი ქეჩოში და შეანჯღრია.

— ღვთისმოყვარულო, ახლა ისეთ კონცერტს გაგიმართავ, შენს სიცოცხლეში არ დაგავიწყდება! აბა, იმ ხესთან მიათრიეთ, ჩამოვკიდოთ; ჩამოვკიდოთ ეს ქვეწარმავალი! — ყვიროდა ობერ-კანდალოვი. — ფეხებქვეშ კი ცეცხლი შევუნთოთ. დაე, ცოტა შეიტრუსოს!

აბდიასაც ხელი სტაცეს და ერთსულოვნად წაათრიეს ლარტაფის ნაპირას ტოტებგაშლილი დაკოჟრილი საქსაულისკენ.

— თოკები წაიღე! — უბრძანა კეპას ობერ-კანდალოვმა.

კეპა კაბინისკენ გაიქცა.

— პეი, თქვენ მანდ! უზიუკბაი, ქვეყნის პატრონო, შენი დედ-მამის სული, შენც, რა გქვია, ნებვო არტისტო, რად დგახარ განზე, პა? აბა, მოუსვით, მიაწექით, თორემ არაყს დასაყნოსადაც არ მოგცემთ! — შეაშინა ობერ-კანდალოვმა საცოდავი ლოთები. ისინიც კისრისტეხით გაიქცნენ, რათა უბედური აბდია ხეზე ჩამოეკიდათ.

ხელიგნურმა გართობამ უცებ ავისმომასწავებელი აზრი შეიძინა. უკეთური ფარსი შეიძლება თვითგასამართლებლად ქცეულიყო.

— ერთი რამ არა გვაქვს, ამის დედა... ჯვარი და ლურსმნები გვაკლია ამ საზიზღარ ტრამალში! აი, უბედურება, ამის დედა... — წუხდა მიშაში, რომელიც ტკაცუნით ტეხდა საქსაულის ტოტებს. — რომ გაგვეკრა, საქმე ეგ იქნებოდა!

— ლურსმნები რა ჩემ ფეხებად გვინდა, თოკით მივაკრავთ! ლურსმნებით დაკიდებაზე ნაკლები არ იქნება! — გამოსავალი იპოვა ობერ-კანდალოვმა. — ბაყაყივით გავუწელავთ ხელ-ფეხს და ისე მივაკრავთ, ვერც გაინძრევა! დილა-მდე ეკიდოს, დაე, მოიფიქროს, არის თუ არა ღმერთი! ისეთ აღმზრდელობით ღონისძიებას ჩავუტარებ, სიკვდილამდე ემახსოვრება ამ მღვდელ-ძალიშვილს, ვუჩვენებ სვირს! მაგისტანები გამიწვრთნია არმიაში აბა, ეცით, ბიჭებო, აბა,

სტაცეთ ხელი! აი, იმ ტოტამდე ასწიე, უფრო მაღლა! ხელი აქეთ მოუგრებე, ფეხი — იქით!

ყველაფერი ერთ წამში მოთავდა, რადგან აბდიას წინააღმდეგობის არა არ ჰქონდა. დაკორძილ საქსაულზე მიბმული, ხელ-ფეხზე თოკებზე მოხვეული აბდია ახალგაძრობილი, გასაშრობად გაფენილი ტყავით ჩამოეკიდეს მის წინააღმდეგ ესმოდა ლანძღვა და ყვირილი, მაგრამ უკვე თითქოსდა შორიდან მოსული ჯვა არაქათს აცლიდა. მუცელი ღვიძლის მხარეს აუტანლად წვადა, ისეთი ტკივილი ჰქონდა, თითქოს წელში რაღაც გაუსკდა თუ ჩაუწყდა ძალა თანდათან ეკარგებოდა და მთვრალი მაწამებლები რომ გულმოდგინედ ცდილობდნენ მის ფეხქვეშ ცეცხლის დანთებას, უკვე აღარ აწუხებდა, მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. მაგრამ ლოთებმა ცეცხლი ვერ გააჩაღეს: წინა დღეს ჩამოყრილმა თოვლმა ბალახი და ტოტები დაანესტიანა და არ ინთებოდა... ბოლო ბენზინის დასხმა არავის მოაფიქრდა. მათთვის ისიც კმაროდა, რომ აბდია კალისტრატოვი ბოსტნის საფრთხობელასავით ეკიდა ხეზე, მისმა შესახედაობამაც ერთობ გამოაცოცხლა და ააფორიაქა ყველანი: აბდია ჩამოხრჩობილს თუ ჯვარცმულს ჰგავდა. განსაკუთრებით ობერ-კანდალოვს დაეუფლა შეზთაგონება, უფრო შთამბეჭდავი და წარმტაცი სურათები ელანდებოდა — ტრამალში ერთი ჩამოხრჩობილი მისთვის რა იყო!

— ასე დაემართება ყველას, — კარგად დაიმახსოვრეთ ეს! — იმუქრებოდა და თვალს ავლებდა საქსაულზე გაკრულ აბდიას. — ვინც ჩვენთან არაა, ისე ჩამოვიკიდებ, ენა უმალ გვერდზე გადმოუვარდება. ყველას ჩამოვახრჩობდი, ყველას, ვინც ჩვენი მოწინააღმდეგეა, მთელ დედამიწას ერთ მწკრივად გვერგვივით შემოვავლებდი და მაშინ ვერავინ გაგვიბედავდა სიტყვების შემობრუნებას, ყველა ფეხის წვერებზე ივლიდა... აბა, გავუტიოთ, კომისრებო, კიდევ ერთხელ გადავკრათ, რაც იქნება, იქნება...

ობერს დანარჩენებმაც დაუკრეს კვერი და ყველანი ხმაურით გაემართნენ მანქანისკენ. ობერმა კი სიმღერა გააბა, რომელიც, ეტყობა, მხოლოდ მან იცოდა:

ჩავიცმევთ გალიფეს, გვერდზე ჩამოვიკიდებთ
რევოლვერის ბუდეს,
ერთ-ორ, ერთ-ორ...

გახურებული „დოსტი კომისრებიც“ აჰყვნენ: „ერთ-ორ, ერთ-ორ“, ორი ნახევარლიტრიანი წრეზე ჩამოატარეს და უჭიქოდ გამოყლურწეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანამ ფარები აანთო, დაიქოქა, მობრუნდა, ნელ-ნელა გაუყვა ტრამალს და შეიკრა წყვდიადი. ირგვლივ ყველაფერი გაყუჩდა. და დარჩა აბდია, ხეზე მიკრული, მარტოდმარტო შთენილი მთელს ქვეყანაზე. მკერდში წვადა, ნაგვემ შიგნეულს აუტანელი, გონების დამბინდავი ტკივილი უწამებდა... და ქრებოდა ცნობიერება, როგორც წყალდიდობისას წყალქვეშ მოქცეული კუნძული.

„ჩემი კუნძული ოკაზეა... ვინლა გიხსნის შენ, მოძღვარო?“ — ნაპერწკალივით აინთო და ისევ ჩაქრა აბდიას უკანასკნელი აზრი...

ახლოვდებოდა ცხოვრების უკანასკნელი ეამი...

და აბდიას მზერამინავლებულ თვალებს მოელანდა დიდი წყალი. წყლის უნაპირო, ერთიანი, უკიდევანო ზედაპირი. წყალი უხმაუროდ ბობოქრობდა, ზედ უხმაურო თეთრი ტალღები ისე მიქროდნენ, როგორც ქარახვეტი დაქრის

მინდორზე, კაცმა რომ არ იცის, საიდან და საით. მაგრამ ამ უხმაურო ზღვის მქრქალად მჩინარ კიდეში წყალზე ბუნდოვნად ილანდებოდა ადამიანის გამოსახულება. აბდიამ იცნო წყალზე მდგომი კაცი — მამამისი იყო იგი/ დიაკვანი კალისტრატოვი.

უცებ აბდიას საკუთარი, ყმაწვილობისდროინდელი მკვლევარობა — მამან უკითხავდა მისსავე საყვარელ ლოცვას დაღუპული გემის შესახებ. ისევე, როგორც მაშინ, ბაღლობაში, ძველი პიანინოს გვერდით რომ იდგა, ოღონდ ახლა მათ დიდი მანძილი აშორებდათ და წკრიალა ყმაწვილური ხმა მსოფლიო სივრცეს ეღებოდა:

„ცას რიბირაბო ეღება და, ვიდრე ქვეყანას სძინავს...“

...შენ, გულმოწყალე, კურხეულო და პირუთენელო, მომიტევე, რომ დაუინებელი მომართვით თავს გაბეზრებ. ჩემს ვედრებაში ანგარება არ ურევია, არც ერთ ბეწო ამქვეყნიურ კეთილდღეობას გთხოვ, არც სიცოცხლის დღეთა გაბანგრძლივებას გემუდარები. მხოლოდ ნიადაგ შემოგვედრი ადამიანის სულის კბონებას. შენ, ყოვლისმიმტევებელო, უმეცრებაში ნუ გვაძყოფებ. ნებას ნუ გვაძობ თავი გავიმართლოთ, რომ ამქვეყნად სიკეთე და სიბოროტე ერთმანეთს გადაჯაჭვული. გონება გაუნათე ადამიანთა მოდგმას. ჩემზე კი სიტყვასაც არ დაეძრავ. არ მეშინია ნებისმიერი დასასრულისა, ისე შევხვდები მას, როგორც ჩემდამი სამართლიანს — თუნდაც ჯოჯობეთის ცეცხლში დავიწვა, თუნდ ფეხი შევდგა სამეფოში, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ეს ხვედრი შენ გადაწყვიტე, უხილავო და მარადისყოფო შემოქმედო.

მხოლოდ ერთსა გთხოვ, ამაზე დიდი თხოვნა არა მაქვს მე:

მხოლოდ ერთსა გთხოვ, ერთ სასწაულსა გთხოვ: დაე, იმ ხომალდმა იმ ძველი კურსით იცუროს ყოველდღე, ყოველდღე, ვიდრე დღე და ღამე შენ მიერ დადგენილი რიგით ენაცვლებიან ერთმანეთს დედამიწის კოსმოსური ბრუნვისას. დაე, იცუროს მან, იმ ხომალდმა, მუდმივ ვახტზე იყოს, სამარადისამოდ ჰქონდეს შალითები ჩამოცმული ქვემეხთა ლულეებზე, და იცუროს ოკეანიდან ოკეანეში, და ტალღები ეხლებოდეს კიჩოზე, და ისმოდეს ამ ტალღების განუწყვეტელი, ძალეში გუგუნო, ზათეი. დაე, ოკეანის მოშხაბუნე მხეფები წვიმად ეფრქვეოდეს დაე, ისუნთქოს იმ მწარე და ჰაერში მოქარქარე სინოტივით, დაე, ესმოდეს გემბანის კრაჭუნი, ტრიუმფიდან მანქანების გუგუნო, მალლით ჩხავილი თოლიებისა, რომლებიც ზურგის ქართან ერთად ავალდაკვალ მოსდევენ ხომალდს. დაე, ხომალდმა იცუროს ოკეანის შორეულ ნაპირზე მდებარე ქალაქისკენ, თუმცა ვერასოდეს მიაღგება მას... აშინ“.

აბდიას ხმა ნელ-ნელა ცხრებოდა, სულ უფრო შორს მიიწევდა... და ესმოდა ოკეანის თავზე დარხეული თავისი ქვითინი...

და სიწყნარით მოცულ მუინყუმის სავანას მთელი ღამე მთვარის კაშკაშა თვალისმომჭრელი შუქი ეფრქვეოდა და საქსაულზე გაკრულ გაშეშებულ ადამიანს ანათებდა. ადამიანი მოგაგონებდათ ცისკენ მიმჭროლავ, ფრთებგაშლილ, მაგრამ ჩამოგდებულ და ტოტებზე დავარდნილ დიდ ფრინველს.

ხოლო ამ ადგილიდან ნახევარ კილომეტრზე ბრეზენტით გადახურული სამხედრო ყაიდის სატვირთო მანქანა იდგა, რომელშიც თავიანთი შავი საქმის აღსრულების შემდეგ დაბოცილ საიგებზე ძილში ამონთხეულ რახისსუნთან ნარწყევში ჭერეხივით ეყარნენ ობერ-კანდალოველები, და ჰაერში ხმადაბალი დაძაბული ხერინვა ისმოდა. ისინი გაშორდნენ აბდიას, რათა ღამით მარტო დაეტოვებინათ, უნდოდათ ჭკუა ესწავლებინათ მისთვის: დაე, იგრძნოს, რომ უჩვენო-

დაა; მაშინ უთუოდ ზურგს შეაქცევს ღმერთს და ძალის წინაშე ქედს მოიხრისო...

ასეთი სასჯელი აბდიას ყოფილმა მსახიობმა ჰამლეტ-გალკინმა გამოუცხადა იმ დროს, როცა უკვე ბოთლს წამდაუწუმ იყუდებდა და არაყს ნადგომი მური წყალივით სვამდა. ეს აზრი ჰამლეტ-გალკინმა ობერ-კანდალუქს უცხადებდა ლად გამოთქვა — დაე, ამ ღვთისმოყვარულმა შიში იგემოს, დაე, აბდიას ხეზე ჩამოჰკიდდეს, გამაკრეს და სულ წავიდნენო, უკან გამოდევნება მოუხდება, მაგრამ ვერ მიართმევენო...

დილით, ცისპირტეხისას მგლები ფრთხილად მიუახლოვდნენ თავიანთ ყოფილ ბუნავს. წინ მიდიოდა აკბარა, რომელსაც ლამის განმავლობაში ფერდები ჩაუცვივდა, ძვალ-ტყავად ექცა, უკან პირქუშად, კოჭლობით მოსდევდა დიდთავა ტაშჩაინარი. ძველ ადგილას არავინ ჰაჭანებდა, ადამიანები ლამით საღდაც გამქრალიყვნენ, მაგრამ მგლები მიწაზე ისე აბიჯებდნენ, თუ შეიძლება ეს შედარება მივუსადაგოთ, როგორც დანაღმულ ველზე, წარმოუდგენლად ფრთხილობდნენ. ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ რაღაც მტრულსა და უცხოს: ჩამქრალ კოცონს, ცარიელ ქილებს, დამსხვეულ მინას, სატვირთო მანქანის ნაკვალევში ჩარჩენილ რეზინისა თუ რკინის მქისე სუნს, დაცლილ ბოთლებს, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ რახის სიმყრალე. მგლები ამ გაბინძურებული ადგილიდან სამუდამოდ წასვლას აპირებდნენ და ლარტაფის ნაპირს გაუყვნენ. უცებ აკბარა განზე გახტა და ადგილზე გაქვადა — მან ადამიანი დაინახა! ორი ნაბიჯის დაშორებით საქსაულზე ხელებგაჩაჩხული, გვერდზე თავგადგდებული ადამიანი ეკიდა. აკბარა ბუჩქებში შევარდა, მას ტაშჩაინარაც მიჰყვა. ხეზე ჩამოკიდებული ადამიანი არ ინძრეოდა. ქარი ტოტებში სტვენდა და მის თეთრ შუბლზე თმას არხევდა. აკბარა მიწას გაეკრა, ზამბარასავით დაიძაგრა, ნახტომისთვის გაემზადა. მის წინ იყო ადამიანი, უსაშინლესი არსება, მათი გამაუბედურებელი და შეურიგებელი მტერი: აკბარას საზარელი ბოდმა მოაწვა, გამძვინვარებული ოდნავ უკან დაიწია, რომ წამოვარდნილიყო, დაძგერებოდა და ყელში შუანები ჩაესო, მაგრამ ამ გადამწყვეტ წუთს ხეზე გაკრული იცნო. ნეტა სად ნახა? აჰ, ეს ხომ ის ახირებულია, რომელსაც ზაფხულში, შეხვდა, როცა მთელი თავისი ოჯახით ტრამალში გაემართა, რომ სურნელოვანი ბალახის სუნი ესუნთქა. აკბარას გაახსენდა ის წამი და ზაფხულის დღე, ისიც, როგორ ეთამაშებოდნენ მისი ლეკვები ამ კაცს, ისიც, როგორ დაინდო და თავზე გადაახტა, როცა კაცი შიშით ჩაჯდა და თავი ხელებით დაიფარა. გაახსენდა კაცის შიშჩამდგარი თვალების შეშფოთებული გამომეტყველება, გაახსენდა, როგორ გაიქცა იგი, შიშველი და უმწეო...

ახლა ის კაცი უცნაურად ეკიდა დაბალ საქსაულზე, თითქოს ტოტებში გახლართული ფრინველიაო, და ძუ მგელს ვერ გაეგო, ცოცხალი იყო, თუ მკვდარი. კაცი არ ინძრეოდა, ხმას არ იღებდა, თავი გვერდზე ჩამოჰკიდებოდა, პირის კუთხიდან სისხლის წვრილი ნაკადი ჩამოსდიოდა. ტაშჩაინარმაც დააპირა, ჩამოკიდებულ კაცს დასძგერებოდა, მაგრამ აკბარამ იგი გვერდზე მიაგდო, თვითონ გაკრულს მიუახლოვდა, ნაკვთებზე დააშტერდა და წყნარად აწყმუვლდა. მას ხომ ის შარშანდელი ყველა ლეკვი დაედუბა. მუინყუმშიც ხომ მთელი სიცოცხლე მოისპო და ვიღას წინაშე დაედვარა ცრემლი... ეს კაცი ვერაფრით დაეხმარებოდა, უკვე სიკვდილი მოახლოვებოდა, მაგრამ სიცოცხლის სითბო ჯერჯერ

რობით შერჩენოდა კაცმა გაჭირვებით ასწია ქუთუთოები, აწკმუვლებულ ძუ მგელს ჩურჩულით უთხრა:

— მოხვედი... — და თავი უმწეოდ ჩამოეკიდა.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ამ დროს მოისმა ძრავას ხმაური — ტრამალში სამხედრო მანქანის სატვირთო მანქანა გამოჩნდა. მანქანა მოდიოდა და თანდათან იზრდებოდა, მკრქალად მოაბრწყინებდა კაბინის მომრგვალო მინებს. კანდალოველები დანაშაულის ადგილას ბრუნდებოდნენ...

მგლებმაც არ დაახანეს, ძუნძულით გაეცალნენ იქაურობას, სულ უფრო აჩქარებდნენ ფეხს. უკან მოუხედავად გარბოდნენ — მუინყუმის მგლები სამუდამოდ ტოვებდნენ მუინყუმს, დიდ საეანას...

აკბარამ და ტაშჩაინარმა მთელი წელიწადი აღდაშისპირა ლელიანში დაჰყვეს. იქ გაუჩნდათ ყველაზე მეტი ლეკვები — სულ ხუთი ლეკვი! ლეკვები რომ წამოიზარდნენ, მგლებს ისევ დაატყდათ თავს უბედურება — ცეცხლი მოეკიდა ლელიანს. აქ ღია მთამადნეულის დასამუშავებელ ადგილებში მისასვლელი გზები გაჰყავდათ და აუცილებელი გახდა ლელიანის დაწვა. ამიტომ აღდაშის ტბის გარშემო ასობით და ათასობით ჰექტარზე ძველთაძველი ლელქაში განადგურდა. ომის შემდეგ ამ მიდამოებში იშვიათი ნედლეულის დიდი საბადოები აღმოაჩინეს და ტრამალში თავის მხრივ კიდევ ერთი ვეებერთელა უსახელო საფოსტო ყუთი იქმნებოდა. ასეთ შემთხვევაში რა იყო ლელქაში, როცა თვით ტბის, თუნდაც უნიკალური ტბის განადგურებას ვერაფერი შეაჩერებდა, რაკი საქმე დეფიციტურ ნედლეულს ეხებოდა. ამდაგვარი საქმისთვის შეიძლებოდა თვით დედამიწა გამოეშიგნათ გოგრასავით.

თავდაპირველად ლელქაშის ჭუნგლების თავზე თვითმფრინავები დაქროდნენ და მაღლიდან რალაც საწვავის ნარევს ასხამდნენ, რათა მცენარეულობას საჭირო წამს ერთბაშად მოსდებოდა ცეცხლი.

ხანძარი შუალამისას გააჩინეს. ლელქაშს, რომელსაც აალებადი ნავთიერება ჰქონდა მოსხურებული, დენთივით ედებოდა ცეცხლი. უღრან ტყეზე უფრო მაგრად და ძალუმად იწვოდა. ცეცხლის ალი ცას სწვდებოდა, კვამლი ისე ეფინებოდა ტრამალს, როგორც ნისლი ედება მიწას ზამთარში.

როგორც კი დამწვრის სუნმა დაჰკრა და სხვადასხვა კუთხეში ცეცხლი გაჩნდა, მგლები აქეთ-იქით მიაწყდნენ ლელიანში. ლეკვების გადარჩენას შეეცადნენ: კბილებს ავლებდნენ, ხან ერთ ადგილას გადაჰყავდათ, ხან მეორე ადგილას. აღდაშისპირა შამბნარში მეორედ მოსვლა დაიწყო. ტბის თავზე ურიცხვი ფრთოსანი დაფრინავდა და მათი გულგამგმირავი ჟივილ-ჰყვივლი ირგვლივ მრავალ ვერსზე სწვდებოდა ტრამალს. ყოველივე, რაც კი გაუვალ ლელიანში საუკუნეობით ცხოვრობდა — დაწყებული გარეული ღორებითა და გათავებული გველებით — ერთიანად შიშისზარმა მოიცვა — ყველა ცოცხალი არსება აწერილდა. ასე დაემართა მგლებსაც: მათ ყოველი მხრიდან შემოადგა ცეცხლი, თავს მხოლოდ ცურვით თუ დაიხსნიდნენ. აკბარამ და ტაშჩაინარმა სამი ლეკვი ცეცხლში მიატოვეს, დანარჩენ ორს კბილები ჩაავლეს და შეეცადნენ, ყურე გაეცურათ. როცა ბოლოს მოპირდაპირე ნაპირს მიაღწიეს, დაინახეს, რომ

ორივე ლეკვი დახრჩობოდათ, თუმცა ყოველნაირად ცდილობდნენ, წყლის ზემოთ ჰყოლოდათ.

აკბარა და ტაშჩაინარი კვლავ იძულებულნი გახდნენ ახალი მხარეებში გადებნათ. ამჯერად მთებს მიაშურეს. ინსტიქტი კარნახობდათ, რომ ახლა მთებზე ერთადერთი ადგილი იყო დედამიწაზე, სადაც შეიძლებოდა სიცოცხლე შეეწყინებინათ.

მგლებმა უკან მოიტოვეს ადამიანთა მიერ დაგზნებული, აბოლებული, პორიზონტს ჩამოფაფრული ხანძრები და დიდხანს მიდიოდნენ, კურდაის ზეგანზე მიიწევდნენ. რამდენჯერმე იძულებულნი გახდნენ, ღამით დიდი გზატკეცილები გადაეჭრათ, რომლებზეც ფარანანთებული მანქანები დაქროდნენ. ამ სწრაფად მიმიქროლავ სინათლეებზე საშინელი ჯერ არაფერი შეხვედროდათ. კურდაის შემდეგ აქტიუზის მთებში გადავიდნენ, მაგრამ უშიშრად ვერც იქ იგრძნეს თავი და გადაწყვიტეს, უფრო შორს წასულიყვნენ. აქტიუზის უღელტეხილის გადავლის შემდეგ ისიქ-ქოლისპირა ქვაბულში მოხვდნენ. იმის იქით აღარსად წაესვლებოდათ. წინ ზღვა იყო...

აქ აკბარამ და ტაშჩაინარმა კიდევ ერთხელ ხელახლა დაიწყეს ცხოვრება... და ისევ გაჩნდნენ ლეკვები — ამჯერად ქვეყანას ოთხი პატარა მოველონა. ეს იყო უკანასკნელი, თავგადაკლული ცდა მოდგმის გაგრძელებისა. მაგრამ იქ, ისიქ-ქოლზეც საშინელი ტრაგედიით დასრულდა მგლების ეს თავგადასავალი...

მესამე ნაწილი

I

ადამიანები ეძებენ ბედს, ბედი კი ადამიანებს... და მიედინება ცხოვრება ამ წრეზე... ხოლო თუ სწორია, რომ ბედი ყოველთვის აღსრულებას ესწრაფვის, მაშინ ასე ყოფილა ამჯერადაც. ყველაფერი საოცრად უბრალოდ და ამის გამო ბედისწერასავით გარდუვალად მოხდა.

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ბაზარბაი ნოიგუტოვი იმ დღეს მეგზურობაზე მოურიგდებოდა გეოლოგებს, იმის ბაიბურშიც არ იყო, თუ მათ მეგზური დასჭირდებოდათ. გეოლოგებმა თვითონ მოძებნეს იგი, თვითონ შესთავაზეს, გამოგვეყვით.

გეოლოგები აქ, ტამანში, ტრაქტორის ნაკვალევს ამოჰყვნენ; ამ გზით საკვები მოჰქონდათ ხოლმე ცხვრისთვის.

— რატომ ჰქვია ამ ადგილს ტამანი? — იკითხა ერთმა.

— რატომ კითხულობ?

— ისე, ცნობისმოყვარეობის გამო...

— ტამანი ლანჩაა ხედავ, აგერ, ფეხსაცმელის ლანჩას. აქ კი მთების ლანჩაა, ამიტომაც ჰქვია ტამანი.

— თურმე რა ყოფილა! მაშასადამე, აქედან მომდინარეობს ტამანიც და ცნობილი ტამანის დივიზიაც!

— აბა, რა ვიცი, ძმობილო. ეგ გენერლებს მოჰკითხე. ჩვენი საქმე კი, მოგეხსენება, მწყემსობაა.

ჰოდა, მაშასადამე, ამოაღწიეს გეოლოგებმა ტამანამდე. შემდეგ კი, განაცხადებენ, გზა მხოლოდ რუკით ვიცი და უკეთესი იქნება, თუ მთებში აქაური ვინმე გამოგვეყვებაო. რატომაც არ გაჰყვებოდა! მით უმეტეს, ფულს

იძლეოდნენ. აჩი-ტაშის ხეობაში ოთხი კაცის აყვანას კი რა დიდი ამბავი უნდოდა. იქ გეოლოგები რაღაც სინჯებისმაგვარს აიღებდნენ. ცხადია, ოქროს სინჯებს — ისინი მართლაც ოქროს ეძებენ. ხოლო თუ იპოვიდნენ, ამისთვის დიდ ფულად პრემიებს მისცემდნენ. ჰო, ეს, ვთქვათ, მათი საქმე გახლდათ, ბაზარბაი კი საღამოს ტაშანის ფარეხში უნდა დაბრუნებულიყო. აქვე უნდა ფარით იზამთრებდა. ამით ამოიწურებოდა ყველაფერი.

ბიჭები

ბიჭები კი ფულზე სულაც არ დაფიქრებულან, თუმცა ქალაქელემა იყვნენ. რაწამს ბაზარბაი გაჭირვებულდა: არა მცალია, მეგზურად ვიარო, საცაა მეურნეობის უფროსობა ჩამოიგრიალეებს, თქვენ რა გიჭირთ, მე კი მომიკითხავენ, იტყვიან. სადაა თავჩობანი ბაზარბაი ნოიგუტოვი, სად ოხრობაშია, როცა აგერ-აგერ დოლი დაიწყებაო. ჰოდა, ვინ აგებს პასუხს? — ყმაწვილკაცები მაშინვე ეცნენ, აღუთქვეს, ოცდახუთმანეთიანს მოგცემთო. გინახავთ ამისთანა ბრიყვები! ამათ რად უნდათ ლოლიაობა, ფული ხაზინისაა, ხოლო ხაზინა არ გალატაკდება. თვითონაც ხომ არასდროს დაიხვევენ უკან, თუკი სადმე ფული გამოდნება. ჰოდა, იხადონ, რა უჭირთ. ბაზარბაისთვის გეოლოგების ადგილზე მიყვანა არაფერი ბედენაა, მოახტება ცხენს და შეუბერავს. ის ხომ ისედაც ლამის დღეგამოშვებით დაწანწალებს საჭირო და არასაჭირო საქმეებზე, განსაკუთრებით ქორწილში თუ ქელეხში, სადაც გადაყლურწვა შეიძლება. როცა ჯამაგირის მოსატანად საბჭოთა მეურნეობის კანტორაში მიდის, მთელი ბრიგადა განიცდის: უფროსი მწყემსიც, ორი მორბედი მწყემსიც, ლამის მწყემსიც, განსაკუთრებით ცოლი (იგი მუშად ირიცხება ბრიგადაში) და სადღედეს დამხმარე-მენოტონიც. რადგან ლამით ბრუნდება და ისეა გაღეშილი, ცხენზე ძლივს იმაგრებს თავს, თან ხალხის ფული მოაქვს. ამიტომაც საზიზღარმა ცოლმა, მგონი, მეურნეობის დირექტორთან უჩივლა. ჰოდა, ახლა უკვე სამი თვეა მოლარე ბორონბაი თვითონ მოდის და არიგებს ჯამაგირს, ამბობს, წესით ყველამ პირადად უნდა მოაწეროს ხელი უწყისშიო. იაროს, ბატონო, თუ ეხალისება...

აგერ კი ოცდახუთმანეთიანი თითქმის მუქთად ჩადის ჯიბეში, მართალია, აჩი-ტაშის საცალფეხო გზა კლდოვანია, ალაგ-ალაგ ისე ჩაბრამულიც, სული შეგიგუბდება. ადვილად მოიტეხ კისერს, მაგრამ მთა აბა რის მთაა, ჰეე? ეგ შენ სტადიონზე სირბილი არ გეგონოს, რისთვისაც მედალსაც ჩამოგკიდებენ კისერზე. თუმცა გასაკვირი რაა — ამქვეყნად არც ძველად იყო სამართლიანობა და არც ახლა — აქ ზამთარ-ზაფხულ მთებში ხარ, ასფალტი შენ არა გაქვს, წყალსადენი და ელექტროშუქი, ჰოდა, იცხოვრე როგორც გენებოს, მთელი წელი ედემი ცხვარს აყროლებულ დრემლაში. იქ კიდევ თეთრჩუსტებიანი ვილაც ცქვიტი ბიჭი სტადიონზე მარდად გაირბენს, ანდა კარში ბურთს გაიტანს — თანაც თავისდა სასიამოვნოდ — და ხალხი სიხარულისგან ჭკუას კარგავს. ის ცქვიტი ბიჭიც სახელ-დიდებას იხვევს, გაზეთებშიც სულ იმაზე წერენ, იმან კი, ვინც დილიდან საღამომდე წელში წყდება, არც უქმე დღეები იცის, არც შვებულება. თავს ძლივს ირჩენს. ჰოდა, ჯავრიან გულზე დალევ, მაშ, რა იქნება; შემდეგ ამისთვის ცოლი თავს წაგჭამს და გული გეხურება. აქეთ — ნამატო მოიტაო, არც ერთი ნერბი ბერწი არ დაგიჩივს, წონის ნამატი მოიტა, წმინდა მატყლი მოიტაო, იმუქრებიან, მატყლის მაგივრად სინთეტიკა არ გინახოთო. მერედა, სადაა ეს სინთეტიკა, როცა კრეჭვა დაიწყება, ასე კონტროლიორი ბორასავით დაგაცხრება და პირწმინდად გაგცლიან. ბეწვს არ შეგარჩენენ. წმინდა მატყლი ვალუტისთვის გვჭირდებაო... ეტყობა, ძალიან სჭირდებათ ვალუტა...

და ეს ყველაფერი სულ წყალში იყრება. აი, დასწყევლოს ეშმაკმა ეს ცხვარიც, ხალხიცა და ეს ძალღუმადური ცხოვრებაც...

ამდაგვარი უსიხარულო ფიქრები ეხვეოდა ბაზარბაის გზად. ამიტომ სულ დაუმდა, ხანდახან თუ მობრუნდებოდა უკან მომავალი გეოლოგებისკენ და მათ სახიფათო ადგილებს უთითებდა... გუნება მოშხამული ჰქონდა და სულ უნდა დაეწინაურებინა ზიზღარი დედაკაცის გამო... ო, ეგ ქოფაკი, ეგა! უსათუოდ უნდა ახტეს-დახტეს, უსათუოდ ბლავილი უნდა ატეხოს. ახლაც ხომ მორთო წივილ-კივილი, თანაც უცხოთა თანდასწრებით. ხანაც გული შეუღონდება. ჰოდა, მთელი ცხოვრება ასე თავდაყირა მიდის! ძველად ტყუილ-უბრალოდ კი არ ამბობდნენ: ქალი დამით კატასავით ლაციცაა, ღღისით კი გველივითააო. გაგონილა! აღრიალდა! შენო, შეუბნება, ოღონდაც აქეთ-იქით გაწანწალა და მეტი არა გინდა რაო, ნეტა რად დაგიჭირვეს ამათმა, ამ გეოლოგებმაო, აქ საქმე თავსაყრელადაა, უკვე დოლი დაიწყო, პატარა ბავშვები კისერზე გვკიდია, უფროსები ინტერნატში მთლად წაყვინდნენ ხელიდან, არდადეგებზე ჩამოვლენ და ჰამის მეტი არაფერი ახსოვთ, ცხრა პირი ტყავი უნდა გადაიძრო და ჩაახეთქო, მე შენ გეტყვი, რამეში ხელს წამოგიკრავენ, გამწარებით ახრჩოლებენ პაპიროსს, ყოველგვარ სიკეთესთან ერთად ეგებ არც არაყს იკლებენ. ინტერნატში მაგათ ვინ უნდა უმეთვალყუროს, დირექტორი ლოთი ჰყავთ, შინაც ვის უნდა მიბაძონ? შენ კი სულ იმაზე ხარ გაფაციცებული, სად გაშპე, სად ჩაისხა მუცელში. კიდევ კარგი ცხენს თვითონ მოყავხარ შინ, თორემ კარგა ხანია სიმთვრალეში სადმე გზაზე ჩაძალღუბოდიო.

ხედავ ამ ბილწ დედაკაცს! რამდენს ვცემ, რამდენს ვასწავლი, მთელი სიცოცხლე დალილაგებულ-დაღურჯებული დადის, რის გამოც კოკ-ტურსუნი — ნაცარა ტურსუნი შეარქვეს, საზიზღარი ენის დამოკლება კი ვერა და ვერ ისწავლა.

ახლაც ეს თანხირი გეოლოგების თვალწინ უდროო დროს აწივლდა მერედა, ასეთი რამისთვის რამდენჯერ ლამის დაახრჩო. იმ ზომამდე მიჰყავდა, თვალები ეკარკლებოდა! შემდეგ ქალი პირობას აძლევდა, სიტყვას არ შემოგიბრუნებო, და არ შემოუბრუნა! მაგრამ ბაზარბაის არ გასჭირვებია, ხმა ჩაეკმენდნებინა. შინ მიიხშო, რალაც უნდა გითხრაო, და რაწამს სახლში შევიდა, უსიტყვოდ მიაჭექყა კედელს, კინალამ სული ამოჰხადა. სწორედ ამ დროს ცოლის უკვე დაშრეტილ, გაღურჯებულ, დანაოჭებულ სახეში, შიშისგან ამღვრეულ თვლებში განვლილი წლების მთელი ნაღველი და უსასოობა დაინახა, მის მომაკვდინებელ მხერაში, გან-გან გაფლაშულ უკბილო შავ პირში ცხოვრებაში ხელის მოცარვა, ცხოვრებაზე გულისწყრომა ამოიკითხა და თავისივე თავი შეზიზღდა.

— უპ, შე ძუკნა შენა, ერთი კიდევ წამოგიროშავს სისულელე და გაგსრეს გველის წიწილივით! — მრისხანედ უთხრა ცოლს და განზე მიაგდო.

ცოლმა მღუმარედ აილო ვედრო, კარი გაიჯახუნა და ეზოში გავიდა. ზოლო ბაზარბაიმ სული მოითქვა, გარეთ გამოვიდა, ცხენს მოახტა და გეოლოგებთან ერთად გზას გაუდგა.

კიდევ კარგი, ცხენი გვარიანი ჰყავდა, ის ანიჭებდა ერთადერთ სიხარულს. ცხენი მართლა კარგი გახლდათ, ცხენსაშენიდან გამოყვანილი, ვილაც ახირებულს ფერის გამო დაეწუნებინა. ვერ იტყოდი, ქურანია თუ წითური ფერი სჭარბობსო. მაგრამ ფერი რა მოსატანია? ფეხმარდი იყო, თვითონ იცოდა, სად ევლო მთებში, რაც მთავარია, გამძლეობით გამოირჩეოდა, მგელი ტოლს რას დაუ-

დებდა. სულ უნაგირი ედგა, სიგამხდრე კი არ ეტყობოდა. რალა თქმა უნდა, კარგი ცხენი ჰყავდა, იმ არემარეზე მისთანა ცხენი, მგონი, არც ერთ მეცხვარეს არ მოეძვეებოდა ბოსტონის, მეურნეობის ამ მოწინავეს მეტს. მაგარი ვილაცა იყო ეს ბოსტონი, უნდა ითქვას, წუწურაქის ერთი. ის და ბაზარბაი ერთმანეთს რატომღაც მთელი დღე და მოსწრება ვერ იტანდნენ. ჰოდა, ამ ბოსტონის ცხენზე აუფი არ დაგცდებოდა, ფერიც მშვენიერი ჰქონდა, დონკულდის ერქვა ჩალის-ფერ დონურ იაბოს. გაუმართლა ბოსტონს. აპატივებს ცნენს ბოსტონი, მაშ, როგორ, ცხენზე ვაჟკაცურად უნდა გამოიყურებოდეს, ახლა ხომ ახალგაზრდა ცოლი ჰყავს, ერანზარის ქვრივი, აი, იმისა, სამი წლის წინათ ალა-მონგიუს უღელტეხილზე ნაპრალში, ყინულებში რომ ჩავარდა და შიგვე ჩარჩა...

მგზავრები მეტწილად დაწალიკებით მიდიოდნენ და ამიტომ დუმდნენ, ცოლთან ჩხუბის შემდეგ ბაზარბაიც მაინცდამაინც ვერ იყო ლაპარაკის გუნებაზე. ჰოდა, მდუმარედ მიდიოდნენ. ზამთარი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მზიან ფერდობებზე, რომელნიც მინდობილად იმზირებოდნენ თოვლიდან, უკვე გაზაფხული სუნთქავდა. იმ წუთს სიმშვიდე და ნათელი სუფევდა დედამიწაზე. დაბლობში ლურჯად მოკამკამე ვეება ტბის გაღმა მდებარე მთებს უკვე შუადღის მზე წამოადგა.

ბაზარბაიმ გეოლოგები მალე მიიყვანა ხეობის ყელში და აი, მათ თვალწინ უკანასკნელად გაკრთა ისიქ-ქოლის სარკესავით ზედაპირი, მთებს მიეფარა ტბის შემოგარენი, ხოლო მგზავრებს თავზე პირქუშად წამოეხურათ პიტალო კლდეები, დაიწყო მთლიანი ქარაფები. ირგვლივ მხოლოდ ქვები, უკაცრიელი ადგილებია და აქ რა უნდა ეძებონ ამათ? — ჰკვირობდა აქეთ-იქით მაცქერალი ბაზარბაი. მან გადაწყვიტა, როგორც კი გეოლოგებს ადგილზე მივიყვან, უმაღლესი უკან გამოვბრუნდებიო. აჩი-ტაშის ხეობა ისე გრძელი არ იყო, როგორც მისი პარალელური ბაშათისა, რომელიც ტბაზე გამოდიოდა, მაგრამ ბაზარბაის ბაშათის ხეობიდან სახლამდე უფრო მოკლე გზა ედო და ამიტომ მოიგუნება უკან წამოსვლისას ამ ხეობაში გადასვლა. გამოემშვიდობა გეოლოგებს და გადავიდა კიდევაც, მაგრამ ვიდრე ამას იქმოდა, როცა ოცდახუთმანეთიანი ჯიბეში ჩაიღო, მათ ჩაუარაკა:

— თქვენ ხომ, მეგობრებო, მგონია, კაცები გქვიათ, — ჩაიციხა და უღვაწზე ამპარტავნულად გადაისვა ხელი, — არც მე ვარ ძუძუმწოვარა ღლაპი. ჰოდა, ახლა აქედან ვითომ ხახამშრალი უნდა გამიშვათ?

ბაზარბაის დიდი-დიდი ერთი კიქა სასმელის იმედი ჰქონდა, გეოლოგებმა კი გულუხვობა გამოიჩინეს და ადგილობრივ კვებმრეწვის დამზადებული ნახევარი ლიტრა არაყი აჩუქეს — აჰა, შინ დალიეო! ამას კი აღარ მოელოდა ბაზარბაი, მყის გამხიარულდა, აფუსფუსდა, გეოლოგებს უჩვენა, სად უკეთ გაიშლებოდა კარავი, სად მოეჭრათ საკოცონე ეკალბარდები, ყველას სათითაოდ ემშვიდობებოდა, ყველას სათითაოდ, დიდხანს ართმევდა ხელს, ცხენისთვის ხურჩინით წამოღებული შვრიაც არ უქმევია — გაძლებს განა, განა პირველია ეს მისთვისო — საჩქაროდ აიყალყა უნაგირზე და გზას გამოუდგა. როგორც ჰქონდა გადაწყვეტილი, ისე მოიქცა: მალე მოძებნა ბილიკი, ნახევრად თოვლით დაფარული ქედი გადმოვლო და ბაშათის ხეობაში დაეშვა. აქ ფერდობებზე მეჩხერი ტყეები შეფენილიყო და მეტა სინათლე ედგა. ბაშათი აჩი-ტაშის პირქუშში არ ჩანდა. რაც მთავარია, უამრავი ნაკადული და წყარო მოედინებოდა. ამიტომაც ერქვა ხეობას ბაშათის — წყაროების — ხეობა.

ბაზარბაის მოსვენებას არ აძლევდა ქურთუკზე მოცმული საწვიმრის ჯი-

ბეში ჩადებული ნახევარლიტრიანი. წამდაუწუმ ხელს უთათუნებდა და თვალს აცეცებდა, სად, რომელ ნაკადულთან სჯობს ჩამოხტომაო. ზომა კი იცოდა — ნახევარს დაღევდა, წყალს დააყოლებდა და გზას განაგრძობდა. შეზარბაშებული ბაზარბაისათვის მთვარი იყო, როგორმე უნაგირზე დამჯდარიყო, თორემ შემდეგ საიმედო ცხენი თავის ადგილზე მიიყვანდა. იგი უნაგიროდ დაწველი დღეში არ გადმოვარდნილა და მრავალტანჯულ კოკ-ტურსუნი ტყუილად ჩაქრდა ამბობდა, ჩემი ქმარი ეშმაკების ნათლულიაო.

ბოლოს ბაზარბაიმ მყოფე, გამჭვირვალე ყინულის ქერქის ქვეშ ქვებში გატაცებით მოლიკლიკე ნაკადული შეათვალთვალა. ეს ადგილი მოხერხებული ეჩვენა. ირგვლივ ტირიფისა და კოწახურის ბუჩქნარი ჩანდა, თოვლი ნაკლებად იდო, შეიძლებოდა ცხენი დაერწყულებინა და ექმია კიდევ მისთვის. ამიტომ ლაგამი წაპყარა უნაგირიდან შერიიანი ხურჯინი მოხადა, ხურჯინს ცალ თვალზე შესაკრავი მოუშვა და ცხენს დრუნჩთან მიუტანა. ცხენმა შერია აახრამუნა, გაღეჭა; შვებით ქშინავდა და თვალებს ლულავდა, თითქოს დაღლილობას უგანებსო. ბაზარბაიმ კი წყლის პირას, კორძიან ხეზე უფრო მოხერხებულად მოიკალათა, ჯიბიდან ნახევარლიტრიანი ამოიღო, შეფრფინვით გახედა სინათლეზე, მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი შეამჩნია, მხოლოდ ის შენიშნა, რომ დღე უკვე ილეოდა, მთებში ირიბად წვებოდნენ ჩრდილები, მზის ჩასვლას ერთ საათზე ცოტა მეტი უკლდა. ხოლო ბაზარბაის არსად ეჩქარებოდა. იგი წინასწარ ტკებოდა არყის ნაცნობი, გამომაყეჩებელი ზემოქმედებით, ნახევარლიტრიანი დინჯად გახსნა მსხვილი ფრჩხილით, დაყნოსა, თავი გააქნია და მიიყუდა. ცეცხლოვანი სითხე მანკვით მოყლურწა რამდენიმეჯერ, შემდეგ ნაკადულიდან ბეშით ამოიღო წყალი და ყინულის ნატეხებიანად შეხვრიბა. ყინულის ნატეხებს ისეთი კნატაკნუტი აუტეხა, ტვინში აუვარდა მათი ხმაური. სახე საზიზღრად დაეჭლანა, ჩაიფხუკუნა, შემდეგ ჩაიჭიყჭიყა, თვალები მილულა, იმ წამს ელოდა, როცა თავი დაებანგებოდა, როცა მთელი სამყარო — მთები, კლდეები — შეყანყალდებოდნენ, თითქოსდა ნისლში გაცურდებოდნენ, მაღლა აფრინდებოდნენ, როცა მის გახურებულ თავს ბუნდოვანი ბგერები, ხმები მოელანდებოდა და გაირინდა, თვალები დახუჭა, მზად იყო სიმთვრალესთან შესანივთებლად. ამ მოდუნების წამს სადღაც, იქვე ძლივს გასაგონი წკმუტუნის მოისმა, თითქოს ბაღში დაისლუკუნაო. რა უნდა ყოფილიყო? სადღაც იქ, კოწახურის ბუჩქების, ქვების ჩამონაშვავის მიღმა ისევ აწკმუტუნდა ვიღაც სულმთლად ლეკვივით... ბაზარბაი გაყურადდა, კიდევ ერთხელ უნებლიეთ მოყლურწა არაყი, შემდეგ ბოთლი ქვას მიაყუდა, მაგრად მოიწმინდა ტუჩები და წამოდგა. კიდევ ერთხელ მიაყურადა, სმენა დაძაბა და მიხვდა: ზუსტად ასეა, არ შევმცდარვარო. მახლობლად რომელიღაც პატარა მხეცუნები წკმუტუნებდნენ.

იქ მგლის ბუნაგი იყო და აკბარას და ტაშჩაინარის ლეკვები წკმუოდნენ, ამდენხანს სად წავიდნენ ჩვენი მშობლებიო. მუინყუმის სავანიდან გამოქცევის შემდეგ, უშვილძიროდ გატარებული ერთი წლის შემდეგ, აღდაშისპირა ლელიანში აბრიალებული ხანძრის შემდეგ გაზაფხულის პირზე აკბარას სეზონისთვის ნაადრევი ნაყარი — ოთხი ლეკვი გაუჩნდა.

ხოლო ბაზარბაი უკვე ბუნაგისკენ მიდიოდა, ნადირის სავალს ეძებდა. ფხიზელი რომ ყოფილიყო, ალბათ დაფიქრდებოდა, ღირს თუ არა იქ შეძრომაო. ბუნაგი უცებ ვერ მოძებნა ნაპრალში, მაგრამ გამოცდილებამ უშველა: როცა გულმოდგინედ დაათვალიერა ლიპმოდებული თოვლი, ზედ ნაკვალევის მკაფიო ჯაჭვი შეამჩნია. ნაკვალევი იმაზე მეტყველებდა, რომ მგლები სიფრ-

თათებს სულ ძველ ნაფეხურებზე დაბდნენ. შემდეგ
 აუცილებელი კვების ჩამონაშვავში შემოხრული, ნახევრად დაღრღნილი ძელების
 მთელ სასაფლაოს წაადგა. მაშასადამე, მგლებს ნადავლის ერთ ნაწილი აქ მო-
 კონდათ და მშვიდად შეექცეოდნენ. დაყრილი ბარძაყის ძელებისა და სახსრე-
 ბის რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მგლები ამ მიდამოში კარვა ხანია
 ცხოვრობდნენ. ახლა ბუნაგის შესასვლელის მოძებნა ადვილია. შექმნილია
 ძნელი სათქმელია, რატომ არ შეეშინდა ბაზარბაის ნაპრალში შეძრომა. სადაც
 შეიძლებოდა მოზრდილი მხეცებიც დახვედროდნენ. დაშვებული უგუნური
 ლეკვები კი გამუდმებით წკმუოდნენ, ამხელდნენ, სად იყვნენ, და მას თითქოს-
 და თავისკენ უხმობდნენ.

ნეტავ სცოდნოდათ ძუძუთა ლეკვებს, რომ აკბარა ტაშჩაინართან ერთად
 ამჯერად დაღბინებული ცხოვრების გამო არ წასულა სანადიროდ — მგლებს
 მძიმე წინასაგაზაფხულო დღეები დაუდგათ, როცა ყველა ცოცხალი არსება
 დამკლევებულია, როცა ყველაზე უფრო სუსტი ნიამორები და არხარები გარ-
 შემო სულ გაწყვეტილია, როცა დოლის მოლოდინში გარეთების არვეები ძნე-
 ლად მისადგომ კლდეებში იმყოფებიან, ხოლო შინაური ცხვრის ფარები ამავე
 მიზეზით ახლა მხოლოდ დაკეტილ ფარებებში ჰყავთ. ასეთ პირობებში ლეკ-
 ვებისთვის გამუდმებით ძუძუს წოვება არცთუ ისე ადვილი იყო. აკბარა სუსტი-
 დებოდა, სულ გადასხვაფერდა — ცარიელი თავილა დარჩა, ფეხები დაუწვრილ-
 და, დვრილები ჩამოეფლაშა მგლები საერთოდ განსაკუთრებულად ამტანი მხე-
 ცები არიან — შეუძლიათ რამდენიმე დღე ზედიზედ იშიმშილონ, მაგრამ ლეკ-
 ვებიანი ძუ ასე ვერ მოიქცევა. აკბარას ცხოვრება აიძულებდა სიცოცხლე საფ-
 რთხეში ჩაეგდო — დიდი ნადირობა წამოეწყო და თუ სიკვდილი ეწერა, მის
 ძუძუთა ლეკვებსაც სული ამოხდებოდათ.

ტაშჩაინარი ჩვეულებისამებრ უკან მიჰყვებოდა. ისინი სწრაფად უნდა მო-
 ბრუნებულიყვნენ — სწრაფად დასდევნებოდნენ მსხვერპლს, სწრაფად მოე-
 ნადირებიანთ, სწრაფად, ნაგლეჯ-ნაგლეჯ ჩაენტქათ ხორცი, სწრაფად ამოეყო-
 რათ კუჭი და სწრაფად მოერბინათ ბუნაგში საკმლის მოსახელებლად — ძუს
 მთავარი საზრუნავი ხომ ლეკვების რძით გამოკვება იყო.

იმ დღეს გზა მზისგულზე სრიალა აღმოჩნდა, ზამთარში მოყინულ ჩრდი-
 ლოვან ადგილებში კი — გაქვავებული, მაგრამ მგლები სვლას არ ანელებდნენ,
 ჯიუტად მიქროდნენ მთებში. წლის ამ დროს, როცა წვრილ-წვრილი ცხოველე-
 ბი მიწის ქვეშ იმალებიან, ხოლო გარეულ და შინაურ ჯოგებს ვერ მიუდგები,
 ცხოვრებას ის ართულებს, რომ დიდ ცხოველებზე — ცხენებზე, ხარ-ძროხაზე,
 აქლემებზე — მარტო ვერ ინადირებ. ძალიან ღონიერი იყო ტაშჩაინარი, მაგ-
 რამ დიდ ნადავლს ბუნაგამდე ვერ მიათრევდა. უკანასკნელად, ორი დღის წი-
 ნათ დაგლიჯა მთისწინეთში შეხეტებული ვირი. აკბარა ღამით ბუნაგიდან წა-
 მოვიდა და ხორცი კუჭი ამოიყორა, მაგრამ ვირები მზისწინეთში უოველდღე
 ხომ არ დაეხეტებიან ასე უღარდელად. მათ ჩვეულებისამებრ ადამიანები ახ-
 ლავთ. აი, დღეს რატომ წავიდა სალაშქროდ თვითონ აკბარაც, რათა ნადირობის
 ადგილზე მუცელი ამოეგსო.

აკბარა თავდაპირველად თავის კანში ვერ გრძნობდა თავს, სულ შფოთავდა,
 ერთი-ორჯერ უკან მობრუნებაც დააპირა — ლეკვების ამბავი აწუხებდა: მათ
 ხომ გამუდმებით სკირდებოდათ სითბო და რძე, — მაგრამ თავს მოერიცა, აიძუ-
 ლა ბუნაგი დროებით დაევიწყებინა, ხოლო როცა ტბისპირა მიდამოში კვალს
 წააწყდნენ, მონადირულმა ინსტიქტმა მასში ყველაფერი დაჩრდილა.

აკბარას და ტაშჩაინარს გაუმართლა: ახალ ნაკვალევზე მიშავალნი ფართო ღარტაფში მოხვდნენ, რომლის განაპირას მარტო ძოვდა, ეტყობოდა, ჯოჯს ჩამოცილებული სამი იაკი. მგლებს იაკებთან უკვე ჰქონდათ საქმე ერთი წინათ და ისიც უკიდურესი გასაჭირის გამო. მაშინ ისინი, სხვა მხრიდან მოსული მგლები, იძულებულნი იყვნენ, ყველაფრისათვის მოეგლოთ ბრძენებთან საც გადაეყრებოდნენ. ახლა კი დრო სამყოფი ჰქონდათ. ადამიანებში ბრძენებსა და ღმერთებს არ ჩანდნენ, მგლებმაც მიიხედ-მოიხედეს და პირდაპირ გადავიდნენ იერიშზე. მოახლოებული მგლების დანახვაზე იაკები გაიქცნენ, მოუქნელად ისროდნენ ტლინკებს და ბლაოდნენ, მაგრამ მგლები მიეწივნენ და ისინიც გაჩერდნენ, ფერდები საბერველივით ებერებოდათ. იაკებმა რქებით შემოუტიეს მგლებს. სხვა გზა მათ აღარ ჰქონდათ. სამყაროში რამდენიმე წამით დამყარდა დასაბამიერი წონასწორობა: ცაზე მყოფი მზე, უდაბური მთები, სრული სიწყნარე, უკაცურობა ერთნაირად ეკუთვნოდა მცოხნელ ცხოველებსაც და მტაცებლებსაც. მცოხნელებს უნდოდათ თავი აერიდებინათ შეტაკებისთვის, მაგრამ მტაცებლებს არ შეეძლოთ ასე უბრალოდ შემობრუნებულიყვნენ და წასულიყვნენ, არ შეეძლოთ დაევიწყებინათ გულის შემალონებელი შიმშილი. უსათუოდ უნდა ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში და თუნდაც ერთი იაკი დაეგლიჯათ, რათა თავიც გადაერჩინათ და შთამომავლობისთვისაც მიენიჭებინათ სიცოცხლე. იაკები არც დიდ-დიდნი იყვნენ, მაგრამ არც პატარანი, არც გამხდარნი, არც ნასუქნი, ზამთრის დამლევისთვის ირგვლივ გაფაფრული ბალანი შემოზრდოდათ. ეს ცხენისკუდიანი ცხოველები მიხვდნენ, რომ ბრძოლა არ ასცდებოდათ. შიშითა და სიბრაზით შეპყრობილებმა თავი ძირს დახარეს, ყრუდ ბუბუნებდნენ და ჩლიქებით მიწას თხრიდნენ. ცაზე კი წინანდებურად ანათებდა მზე, მთებიც, სადაც თოვლმა უკვე დნობა დაიწყო, მღუშარედ შემოდგომოდნენ გაშლილ ყვითელ ღარტაფს, სადაც პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს ბალახისმკამელნი და ხორცისმკამელნი. მგლები შორიასლო უტრიალებდნენ იაკებს. ხტუნვა-ხტუნვით იცვლიდნენ ადგილს, ხელსაყრელ წუთს უცდიდნენ. აკბარას ზუსტად გამოზომილი დრო ჰქონდა — ბუნაგში ლეკვები ელოდნენ და საფრთხეს არ შეეპუა: პირველი ეცა იმ იაკს, რომელიც უფრო სუსტი ეჩვენა. იაკს თვალეში სისხლი მოსდგომოდა, მიუხედავად ამისა, აკბარამ მზერაზე გაუბედაობა შეატყო. ვინ იცის, შეიძლებოდა ცდებოდა, მაგრამ ახლა განზრახვის გადაფიქრება გვიანი იყო. აკბარა კისერში ეცა იაკს. უკვე წამები წყვეტდა საქმეს. ვიდრე გაცოფებული იაკი თავს აქნევდა და ძუ მგლის მოცილებას ლამობდა, რათა იგი რქებით მიეჭედა მიწაზე, ტაშჩაინარი მეორე მხრიდან უნდა დასძვერებოდა, შუანებით ჩაჭყრენოდა ყელში ისე, რომ მყის გადაეჭრა მისთვის ყელის არტერიები, სისხლი დაენტხვევინებინა, მისი ტვინი გამოეთიშა.

ასეც მოხდა, მაგრამ ვიდრე მოხდებოდა, იაკმა მანამდე მაინც მოახერხა აკბარას ჩამოგდება და მიწაზე მიკვრა. იგი ბლაოდა და რქებით მალა ისროდა აკბარას, წამიც რომ დასცლოდა, საბოლოოდ გასრესდა, გაქელავდა, მაგრამ აკბარა გველივით გამოუსრიალდა, ისევ თავზე დაახტა, ისლივით მჭრელი, ხეშეში ბალნით დაფარულ ღონიერ ქედში ჩააქდო კბილები. ამ თავდასხმაში გამოვლინდა აკბარას მგლური ბუნების არსი, მისი სასტიკი მგლური ხვედრი — მოკლას, რათა იცოცხლოს. მაგრამ მსხვერპლი ისეთი უწყინარი როდი გამოდგა, როგორც საიგა ან კურდღელია, რომლებიც უდრტვინველად ჰმონებენ ძალმომრეობას. გამძვინვარებულ იაკს, თუმცა სისხლისგან იცლებოდა, კიდევ დიდხანს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა. იქნებ გაემარჯვა კიდევაც, და მაინც ბოლოს აკ-

ბარას მფარველი ვარსკვლავი აღმოაჩინდა: თითქმის იმავე წუთს ტაშჩაინარი და გვერდიდან ეცა და ყელში ჩააფრინდა ძუ მგელთან ბრძოლით გართულ იაკს. იაკს ტაშჩაინარის ნახტომს, ტაშჩაინარის კბილთა ჩაფრენას სიკვდილი მოჰყვებოდა და ნიადაგ. ახლა მან ამ ნახტომში ჩააქსოვა მთელი ძალი. იაკი დაბრბაცდა, საკუთარ სისხლით სულშეგუბებულმა დაიხროტინა და ყელზე მოფრული ბლავი-ჯანლითა და ძაგძაგით დავარდა მიწაზე. თვალები ეყინებოდა მტკვარდრეში მტკვარდრეში მდინარეობდა, დანარჩენმა ორმა იაკმა მოკურცხლა, საკმაო მანძილი რომ გაი-ჩასრბინეს, ნაბიჯზე გადავიდნენ და აუჩქარებლად წაებეტნენ ლარტაფში, თითქოს არც არაფერი მომხდარაო.

მგლები კი დასაგლეჯად ეძგერნენ ჯერ კიდევ სულთმობრძავ იაკს. იმის დრო არ ჰქონდათ, მსხვერპლის სიკვდილს დალოდებოდნენ, იმის გასარკვევად არ ეცალათ, რომელი მხრიდან დაეწყოთ მისი ჭამა. ავბარა იაკს საზარდულს გლეჯდა, თათებს და კლანჭებს იშველიებდა და იქვე ყლაპავდა ჯერ კიდევ ცხელი, ცოცხალი ხორცის ნაგლეჯებს. რაც შეიძლება მეტი ასეთი ნაგლეჯი უნდა გადაეყლაპა, რაც შეიძლება ჩქარა გაბრუნებულიყო ბუნაგისკენ, სადაც პატარა ლეკვები ელოდნენ. ავბარას არც ტაშჩაინარი ჩამორჩებოდა. მძვინვარე ბუნბუნით ღონიერი ყბებით ანადგურებდა სახსრებს, ლეშს უფორმო ნაწილებად აქცევდა, ბარბაროსი ყასაბივით.

ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც საჭირო იყო. მხეცები ჯერ ხორციტ გამოიტენიდნენ კუჭს. შემდეგ გზას გაუდგებოდნენ. ეცდებოდნენ, ჩქარა მიეღწიათ ბუნაგთან, ღამით კი ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ, რათა კიდევ ერთხელ გამოძდარიყვნენ და დარჩენილი ხორცი სადმე წაეთრიათ მარაგად. მაგრამ ეს შემდეგ მოხდებოდა. ახლა კი სულმოუთქმელად ყლაპავდნენ ხორცის ნაგლეჯებს...

ხოლო კლდის გადმონაშვერის ქვემოთ ნაბრალში, სადაც ბუნაგი ჰქონდათ მგლებს, დამშეული ლეკვები ძალაუნებურად წკაოდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ და კვლავ ერთად ქუჩდებოდნენ. როცა გარედან ფაჩუნი მოესმათ — ბუნაგში ბაზარბაი მოძვრებოდა, — წკავწკავს მოუმატეს, უღონო ფეხებით გასასვლელისკენ წაღონდილდნენ, რითაც კიდევ უფრო გაუადვილეს საქმე ადამიანს. ბაზარბაი დაძაბულობისგან თფლად გაიღვარა. ეიწრო სასვლელში ხელის ცეცებით მიძვრებოდა პიჯაკის ამარა, უქურთუკოდ. ლეკვებს ხელი დაავლო, სამი ზედიზედ ჩაისვა უბეში, ბოლოს, მეოთხეს ქეჩოში გაშლილი ხელი სტაცა და გარეთ გამოძვრა. გამოძვრა და თვალები მოჭუტა, ისე ბრწყინავდნენ მაღალი მთები. ბაზარბაიმ მძლავრად ჩაისუნთქა ჰაერი. ირგვლივ ყურთასმენის დამბ-შობი სიწყნარე იდგა და მას მხოლოდ საკუთარი სუნთქვა ესმოდა. უბეში ჩასმულმა ლეკვებმა ღოდვა დაიწყეს, ხოლო ის, რომელიც ქეჩოთი ეჭირა, შეეცადა თავი გაეთავისუფლებინა. ბაზარბაი ისევ მძიმედ სუნთქავდა. უცებ აჩქარდა, ხელი დასტაცა ქურთუკს და ნაკადულისკენ გაიჭრა. შემდეგ ყველაფერი თავისი რიგით წარიმართება: ბაზარბაი ოთხ ლეკვს, რომელთა მოტაცება და გაყიდვა განიზრახა, ძალიან მოხერხებულად ჩასვამს ხურჯინში. მათ სარფიანად რომ გაყიდდა, ამაში ერთი ბეწო ეჭვი არ ეპარებოდა: შარშან ხომ ერთმა მეცხვარემ ზოობაზას მთელი ნაყარი მიჰყიდა და თითო ლეკვში ორმოცდაათი მანეთი გაიჭრა.

ბაზარბაიმ ცხენს შვრიიანი ხურჯინი გამოაცალა, შვრია სასწრაფოდ გამოყარა ძირს, ხურჯინის თვლებში აქეთ-იქით ორ-ორი ლეკვი ჩაისვა, ხურჯინი უნაგირს გადაჰკიდა, უნაგირის საწყვეტებით დაამაგრა, რათა არ ექანავა, ცხენს

ლაგამი ამოსდო და ფეხი უმაღლ შედო უზანგში. ვიდრე გვიან არ იყო, აქაურობას უნდა გასცლოდა. აი, ბედიც ამას ერქვა! ოღონდ მგლების გამოჩენამდე კი უნდა მოექუსლა — ეს კარგად მოეხსენებოდა. ქვას მიყუდებული არყიანი ბოთლი მაშინლა მოაგონდა, როცა უკვე ცხენზე იჯდა, მაგრამ არაყსაც მიიფურთხა: ჯანდაბას მაგის თავი, ლეკვებში იმდენს ავიღებ, ასეთ ნახევარლიტრას მხოლოდ საყრელად ვიყიდო. ცხენი ააჩქარა, ხეობიდან რაც შეიძლება სწრაფად, მხინდა ჩასვლამდე უნდა გაეღწია.

შემდეგ ბაზარბაის თვითონ გაუქვირდება, როგორ არ დაფიქრდა, სიტუაციის არ გამოიჩინა — თან ხომ იარაღიც არ ჰქონდა, ისე შეძვრა ბუნაგში, რა ეშველებოდა, მახლობლად რომ ძუ მგელი, ანდა თვითონ ხვადიც ყოფილიყო... ფურჩრემი ხომ რა მშვიდია და ისიც კი იცავს თავის პატარებს — მტერს არ ებუება...

მაგრამ ბაზარბაი ყოველივე ამას მოგვიანებით დაუფიქრდება და თვითონაც გულს შემოეყრება, როცა წარმოიდგენს, რა საზღაური ელოდა საკუთარი ნამოქმედარისთვის. იმ წუთში კი ქურან ცხენს მიერეკებოდა, რომ უფრო სწრაფად ერბინა ბაშათის კლდოვან ხეობაში, სულ მზეს გასცქეროდა. მზე კი მის ზურგს უკან მთების სიღრმეში ეშვებოდა, საიდანაც თითქოსდა ფეხდაფეხ მოსდევდა ადრეული ბინდი. დიახ, უნდა ერქარა, რაც შეიძლება სწრაფად გასულიყო მთისწინეთში, ვრცელ ტბისპირეთში, სადაც გაშლილი ადგილები იყო და საითაც გინდოდა, იქით გააგელვებდი ცხენს, ვიწრო ხეობა კი ამის საშუალებას არ იძლეოდა...

რაც უფრო უახლოვდებოდა ბაზარბაი ტბისპირეთს, დასახლებულ სივრცეებს, მით უფრო ემატებოდა სიმტკიცე და სითავხედე. უკვე უნდოდა გამარჯვებით ეტრებახა და ფიქრობდა, გზად რომელიმე ძმაკაც მეცხვარეს ხომ არ შევუარო, რომ ნადავლი ვაჩვენო და დავასველო, ყოველი ლეკვისთვის თუნდაც ას-ასი გრამი გადავკრათ — მე ხომ ვალში არავის დავრჩები, როგორც კი ამით გავასაღებო. დაენანა, ფაციფუცში ნაკადულთან ბოთლი რად დავტოვე, შიგორი მესამედი არაყი ჩარჩა, გზად პირდაპირ მივიყუდებდიო... ო, როგორ უნდოდა თავს მოფერებოდა! მაგრამ გონებამ მაინც უკარნახა, რომ ამას მოასწრებდა, ჯერ კი ლეკვები შინ უვნებლად უნდა მიეყვანა და ექმია, მართალია, სიცოცხლისუნარიანნი იყვნენ, მაგრამ მაინც ძუძუს წოვდნენ, ეს-ესაა აეხილათ თვალები, მერედა, რა უაზროდ იყურებოდნენ... ოღონდაც იქ, ხურჩინში სული არ ამოხდომოდათ! ბაზარბაი იმის ბაიბურშიც არ იყო, რომ საშინელი მდევრები უკვე მოსდევდნენ და ოდენ ღმერთმა უწყოდა, რით დამთავრდებოდა ყველაფერი...

იაკის ხორცილ კუჭგამოტენილი მგლები ბილიკით ბრუნდებოდნენ ბუნაგში. წინ აკბარა მორბოდა, უკან — ტაშჩაინარი. ერთი სული ჰქონდათ, კლდის ქვეშ ბუნაგში თავიანთ ლეკვებთან მიეღწიათ, მათთან ერთად მორკალულად დაწოლილიყვნენ, დამშვიდებულიყვნენ, შემდეგ კარგა გვარიანად შეესვენათ და ღარტაფში დატოვებულ იაკის ლეშთან დაბრუნებულიყვნენ.

ასეთია ცხოვრება — საქმე აქაც უნდა მოესწროთ და იქაც. ამიტომ ხომ არ ამბობენ — მგელს ფეხები ასაზრდოებსო... ოღონდაც მართლ უნდა... ლეშზე ხომ სხვა მგლებსაც შეიძლება თვალი დარჩენოდათ, ზოგიერთს ხომ ხანდახან სხვისი ნადავლის ხელყოფა არაფრად უღირდა და მაშინ ჩხუბს ვერ ასცდებოდნენ, თანაც დაუნდობელ, სისხლისმღვრელ ჩხუბს. მაგრამ უფლება უფლებაა და ძალა უფლების მხარესაა...

აკბარას ჯერ კიდევ შორს, ჯერ კიდევ ბუნაგის მისადგომებთან გულმა რეჩი უყო. თითქოს მის გვერდით რომელიღაც ფრინველი ლანდივით მოფრინავდა; ჩამავალი მზის შუქშიც რაღაც საშინელება იგრძნობოდა, თრგლვან მწვერვალებზე დაფენილი შემაშფოთებელი მეწამული ანაშუქი სულ უფრო მუქი და ქუფრი ხდებოდა. ბუნაგს მოახლოებულმა აკბარამ ფრენს შეწყვიტა, უკან, ტაშჩაინარისკენ აღარც იხედებოდა, ბოლოს აუხსნელ წინააღმდეგობით შეპყრობილმა სულაც ფრთები გამოისხა. უსაშველო შიშ-მღელვარება დაეუფლა, როცა უცხო სუნი იყნოსა: ჰაერში ცხენის მძაფრი ოფლისა და კიდევ გამაბრუებელი რაღაცის საზიზღარი სუნი ტრიალებდა. რა იყო ეს? რის სუნი უნდა ყოფილიყო? ძუ მგელი ნაკადულს გადაეგლო, ბუჩქებში გამავალ ბილიკზე კლდის გაღმონაშვერის ქვემოთ გაჩენილი ნაპრალისკენ გაიჭრა და ბუნაგში შეძვრა, ჯერ გაირინდა, შემდეგ მონადირე ძალივით დაიწკმუტუნა, დაცარიელებული, დაობლებული ბუდის ყველა კუთხე-კუნჭული დასუნა, გარეთ გაიჭრა, შესასვლელთან ტაშჩაინარს დაეჭაბა, გაავებით გაპკრა მხარი, თითქოს დამნაშავე იყო, თითქოს მტერი იყო და არა მამა და მისი მეუღლე. ყოვლად უდანაშაულო ტაშჩაინარი თვითონაც შევარდა ბუნაგში და ძუ მგელს უკვე ნაკადულის პირას დაეწია. აკბარა თავგზააბნეული დარბოდა წინ და უკან და ნაკვალევს ყნოსავდა, მის მიხედვით ხვდებოდა, რა ამბავიც აქ დატრიალებულიყო. ეტყობოდა, ბუნაგს ვიღაც სწევოდა, ახალი ნაკვალევი აუწყებდა, რომ ცოტა ხნის წინათ ამ არემარეზე ადამიანი იმყოფებოდა — აი, დაბნეული შვრიის გროვა, რომელსაც ცხენის ლოპრის სუნი ასდის, აი, ცხენის ჩონჩორიკი, აგერ კი ის რაღაც გამაბრუებელი, საზიზღრად მყრალი სითხე ბოთლში. აკბარა შეძრწუნდა, როცა არყის სუნი ჩაისუნთქა. აგერ ადამიანის ნაფეხურიც, ქირზის ჩექმების ანაბეჭდი ასეთ ჩექმებს მეცხვარეები იცვამენ. საშინელმა მტერმა, რომელიც აქ ცხენით მოვიდა და რაღაც საძაგელი ნივთიერებით სავსე ბოთლი მოიტანა, ძუ მგელს ბუდე დაუცარიელა, შვილები მოსტაცა! ვაითუ შექამა! აკბარა ისევ ეცა ყოვლად უდანაშაულო ტაშჩაინარს, გაცოფებულივით კბენდა, შემდეგ დახშული ბდღვინვით გაედევნა კვალს. ტაშჩაინარიც უკან მიჰყვა.

მგლები შეუცდომლად მისდევდნენ კვალს. კვალი სულ წინ და წინ, ხეობის გასასვლელისკენ, სულ წინ და წინ იქით, ადამიანთა მხარეს, ტბისპირეთისკენ მიდიოდა...

ხეობას გაცდენილ ბაზარბაის კი უკვე ჩორთით მიჰყავდა ცხენი გაშლილ ადგილას, დამრეც გორაკებზე, სადაც საზაფხულო საძოვრები გადაჭიმულიყო, და აი, შორს ტბის ბინდწამოპარული ნაპირიც აიღიანდა. ერთი საათიც და შინ იქნებოდა. მზე ამასობაში მიწის პირამდე დავიდა, მთის მწვერვალებს შორის ჩაწვა, შუქი აკლდებოდა, ინავლებოდა. ისიქ-ქოლიდან ცივმა ნიავმა წამოუჭროლა. „ნეტავ ეს მზეცუნები არ გამეყინონ“, — გაიფიქრა ბაზარბაიმ, მაგრამ შესახვევი არაფერი ჰქონდა და გადაწყვიტა, ენახა, რას შვრებოდნენ იქ, ხურჯინში, ცოცხლები იყვნენ თუ არა. აბა, მკვდრები ვის რაღად უნდოდა! ბაზარბაი ჩამოქვეითდა, უნდოდა საწყვეტები გაეხსნა, რათა ხურჯინი ჩამოეღო და ენახა, რა ხდებოდა მის თვალებში, მაგრამ ცხენს შარდვა აუტყდა, ფეხებგაჩაჩხული შარდს აქეთ-იქით აშხეფებდა. ანაზღად შარდვა შუაზე შეწყვიტა და საოცარი ფრთხინვით განზე გახტა, ბაზარბაის ლამის სადავე გამოსტაცა ხელიდან.

— გაჩერდი! — დაუღრიალა ბაზარბაიმ. — ნუ მაიმუნობ.

ცხენი კი, თითქოს ცეცხლს გაურბისო, შეშინებული გაიწია განზე. ბაზარბაის არც მიუხედ-მოუხედავს, მაშინვე მიხვდა, რა აშფოთებდა ცხენს, წამის-

წამად გაყინული ზურგით იგრძნო, რომ მგლები საცაა თავს წაადგებოდნენ. მი-
ეჭრა ცხენს, ის იყო ხელი სტაცა ფაფარში და ცხენიც ფრთხილად და ტლინ-
კვით გაშმაგებით გაჰყენდა. ბაზარბაი წაიხარა, რომ ქარის წინააღმდეგობა უნებ-
დაეძლია, აქეთ-იქით იხედებოდა. შორიახლო ორი მგელი მოსდევდა. ცხენი
წელან, ეტყობოდა, იმიტომ დაფეთდა, რომ მგლები ბორცვზე ამოეჭრნენ. ცხელი
ისინი ცდილობდნენ, მისთვის გზა მოეჭრათ. ბაზარბაი ივედრებოდა, გააჩნდა
ღმერთები, რომელნიც სხვა დროს ფეხებზე ეკიდა! აუგად იხსენებდა ანაზდე-
ულად გამომტყვრალ გეოლოგებს: აი, ყელზე კი დაგადგათ ის ოქროებითი სინა-
ნულს გამოთქვამდა, პატიებას სთხოვდა ცოლს: სიტყვას გაძლევ, თუ ცოცხალი
გადავრჩი, თითს არ დაგაკარებო! თავ-ბედს იწყევლიდა, რომ ლეკვებს დახარბ-
და: „ნეტა რად ვახლე ხელი, რისთვის შევძვერი იმ ხვრელში? ერთიმეორის მი-
ყოლებით ამათთვის გოგრა ქვაზე მიმეხლევიანებინა და ყველაფერი მორჩებო-
და, ახლა კი რა ეუყო?“ ხურჯინი საწყვეტებით მკვიდრად იყო დამაგრებული
და ჰენებ-ჰენებაში ვერ მოხსნიდა, თანაც სწრაფად დაიწყო ჩამობინდება. ბინ-
დი გაიფაფრა და უკაცური სივრცეები ამოავსო. არავის აწუხებდა ბაზარბაის
საშინელი ხვედრი, მხოლოდ შიშისგან გაგიჟებული ერთგული ცხენი მიჰყოდა,
რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

ბაზარბაი ყველაზე მეტად იმას ნანობდა, რომ იარაღი არ ჰქონდა, თითო
ტყვიას ლეწავდა მგლებს და ყველაფერი დამთავრდებოდა, მიზანს არ ააცდე-
ნდა. რა დიდი რამაა თოფი, ყოველ მეცხვარეს აქვს, მაგრამ მუდმივად ვინ დაა-
ტარებს! ეჰ, რომ სცოდნოდა! ბაზარბაი მგლების დასაშინებლად რაც შეეძლო
ღრიალებდა, მთელ იმედებს ახლა ცხენზე ამყარებდა. კიდეც კარგი, ცხენსაშე-
ნიდან ჰყავდა გამოყვანილი.

სამკვდრო-სასიცოცხლო რბოლა იყო გაჩაღებული ჩამობინდებულ ბორც-
ვებზე — წინ მხედარი მიჰყოდა, რომელსაც ხურჯინით მოტაცებული ლეკვები
მიჰყავდა, უკან აკბარა და ტაშჩაინარი მისდევდნენ. მგლებმა მოტაცებული შვი-
ლების სუნი იგრძნეს და თავისას ლოცულობდნენ, თავისას წუხდნენ. ნეტავ
ცხენს ერთხელ წაებორძიკა, თუნდაც ერთ წამს! იაკის ხორცილ აგრერიგად რომ
არ გამომტყვრალიყვნენ, განა ასე ირბენდნენ, განა ვერ დაეწეოდნენ მომტაცე-
ბელს და არ დაფლეთდნენ, რომ შთამომავლობის განსაგრძობად გამართულ სას-
ტიკ ბრძოლაში სისხლიანი მისაგებელით განემტკიცებინათ სამართლიანობა?
სულ სხვა ვითარება იყო მუინყუმის ტრამალებში საიგებზე ნადირობისას. მაშინ
მსხვერპლს მთელი ძალით დადევნებულნი უცებ კიდეც უფრო უმატებდნენ სიჩ-
ქარეს, რომ იგი საჭირო მხარეს გაედენათ, მაშინ უზმოზე გამოდიოდნენ საალ-
ყოთ და ელვისებური ნახტომისთვის წინასწარ ემზადებოდნენ.

განსაკუთრებით აკბარას უჭირდა სირბილი, რომელმაც მარაგად ბევრი ხო-
რცი შთანთქა, რომ შემდეგ პატარებისთვის ძუძუ ეჭმია. თუმცა არც ის ყრიდა
ფარ-ხმალს, მთელი ძალ-ღონით გარბოდა და თუკი მოახერხებდა და მხედარს
დაეწეოდა, წამით არ შეყოყმანდებოდა, ისე ჩაებმებოდა ბრძოლაში, როგორა-
დაც არ უნდა დასრულებულიყო იგი მისთვის. რა თქმა უნდა, გვერდით ჰყავდა
ტაშჩაინარი, ურყევი ძალა და საყრდენი, მაგრამ ყველა ხომ თავის თავს უკვ-
დება... აკბარა კი მზად იყო ყოველგვარ სიკვდილს შეგებებოდა, ოღონდაც ფეხ-
მარდ ცხენზე ამხედრებულ კაცს მისწეოდა, ოღონდაც მისწეოდა... ოღონდაც...

თუმცა ბაზარბაის ფეხმარდი ცხენი ჰყავდა, ძრწოლით შეამჩნია, რომ
მგლები ნელა, მაგრამ მაინც ნაღდად ეწეოდნენ გვერდიდან, მარჯვენა მხრიდან,
გზას უჭრიდნენ, რომ ტბის პირისკენ არ გასულიყო. ვერაგ მხეცებს განზრახუ-

ლი ჰქონდათ, მხედარი მოებრუნებინათ, მთებში შეეგდოთ და მაშინ იგი მათ აღრე თუ გვიან პირდაპირ შეეყრებოდა. ოღონდ ცხენი მიჰყავდა ადამიანს, მოაზროვნე არსებას, რომელსაც უნარი ჰქონდა ცხოველთა განზრახვა გამოეცნო. მგლები სწორედ ამას ვერ ითვისებდნენ.

კიდევ ერთმა გარემოებამ იხსნა ბაზარბაი. ბედად შეეყრებოდა ფარების სინათლეები გამოჩნდა, — აი, ამას ერქვა გამართლებების ფარები ბოსტონ ურკუნჩიევისა აღმოჩნდა. დიახ, დიახ, სწორედ იმ ურკუნჩიევისა, მოწინავე კულაქისა, რომელიც ბაზარბაის აგრერივად სძულდა. მაგრამ ახლა ბაზარბაის საიმისოდ არ სცხელოდა, ვინ ვის მოსწონდა და არ მოსწონდა; რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, ახლა ყოველი სულიერი საკუთარ სიცოცხლესავით ეძვირფასებოდა. მთავარი ის იყო, რომ გზად ადამიანის საცხოვრისი შენვდა — ეგ ახარებდა, ეგ იხსნიდა, თუ იხსნიდა! სიხარულით ცას ეწია, ცხენს ჭუსლები ჰკრა და ისიც ახალი ძალით გაქანდა იქით, სადაც ადამიანები, ფარები იყვნენ. მაგრამ ბაზარბაის მოეჩვენა, რომ მთელი საუკუნე გავიდა, ვიდრე გაბედავდა და თავს ეტყობდა, შეიძლება ყველაფერი კეთილად დასრულდესო. ბოლოს ტყვიამფრქვევივით აკაკანდა ბოსტონის ელექტროძრავა. აი, უკვე აიშალნენ მეცხვარე ძაღლები, მშფოთვარე ყუფით გამოქანდნენ ბაზარბაისკენ. თუმცა არც მგლები ეხსნებოდნენ — სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ, ცხენს არაქათი ეცლებოდა, ბაზარბაის ყურთასმენამდე უკვე აღწევდა მხეცების ფთქვინვა. „ღმერთო ბაუბედინ, ოღონდ მიხსენი და შევიდ სულ საქონელს შემოგწირავ!“ — შეევედრა ღმერთს ბაზარბაი.

„მაინც გადავრჩი! გადავრჩი!“ — გული უღებდა ბაზარბაის.

რა თქმა უნდა, საათიც არ გავა, რომ თავის აღთქმას დაივიწყებს. ასეთია ადამიანი...

ხოლო იმ წუთს, როცა მეცხვარეებმა მოირბინეს, იგი პირდაპირ მათ ხელებში ჩაესვენა და წამდაუწუმ იმეორებდა:

— მგლები, მგლები მომდევდნენ! წყალი, წყალი დამალევინეთ!

მგლები კი, ეტყობოდა, სადღაც იქვე ტრიალებდნენ, არ მიდიოდნენ, უცდიდნენ, ფარ-ხმალს არ ყრიდნენ. ბოსტონის საზამთრო სადგომში ალიაქოთი ატყდა — დაფაცურდნენ მწყემსები, კეტავდნენ ბაკების კარებს, გაჰყვიროდნენ ჩამომდგარ წყვდიადში, ერთი მათგანი სახურავზე აძვრა და თოფი რამდენჯერმე დააქუხა. ძაღლებმა ხმამაღალი, გაუთავებელი ყუფა გააბეს, მაგრამ ეზოდან ფეხს არ ძრავდნენ, სინათლის ახლოს ხუსხუსებდნენ. მათმა სიმხდალემ პატრონები აღაშფოთა.

— აბა, ჰე! ეცი! ო, ესენი ნაგაზები კი არა, მოხლეები არიან, — ჩაბრინწული ხმით უტევდა ვიღაცა ძაღლებს. — აბა, ეცით! აკტაშ, ეოლბარს, ეაისან, ბარბალან! ეცით! აბა, ჰე, აბა, ჰე! ეჰ, თქვენა, კუდი ამოიძუეთ, არა, მგლებთან შებმა გეშინიათ!

— ძაღლი ძაღლია, — შეესიტყვა მეორე. — რას აღრიალდი? შეუძლიათ ცხენზე მჯდომს ჩექმაში სწვდნენ და ძირს ჩამოათრიონ, მგლებს კი ვერ გაუშვლავდებიან! რა გინდა! მგელს ვერც ერთი ძაღლი ვერ შეეებმება. მოეშვი, იყუფონ და იყონ თავისთვის!

ბაზარბაიმ უცებ ვერ გაიხსენა, რატომ მოსდევდნენ მგლები, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა ერთმა ჰაბუკმა, რომელსაც მისი ცხენის გატარება უბრძანეს, ჰკითხა: „ბაზარბაი-ბაიკე, რა გაქვს ხურჯინში? თითქოს რაღაც ინძრევა“.

— ხურჯინში? იქ ხომ მგლის ლეკვებია! ეშმაკს წაუღია ესენი, ოთხი ბოლ-

თაურუჭია! ბაშათში პირდაპირ ბუნაგიდან წამოუასხი. ამიტომ მომდევნ მკლები.

თურმე რა ყოფილა! მაგარი ამბავია. ამაზე იტყვის გავკეთდით თურმე მის! პირდაპირ ბუნაგიდან? კიდევ კარგი, თავი მზრებზე შეგჩა...

— ნახე ერთი, სული ხომ არ გააცხეს ხურჯინში? ხომ არ ფეხუფულან-ხომ არ გაგუდულან ქენების დროს?

— შენც ამბობ რა! რა ისეთი აზიზმაზიზები გგონია? ესენი, ბიძია, ძალღებვით გამძლენი ქარია.

— მოდი ვნახოთ, როგორ გამოიყურებიან?

ბოლოს ლეკვებიანი ხურჯინი უნაგირს მოხსნეს და ბოსტონის სახლში შეიტანეს. აი, ასეთი მნიშვნელოვანი საქმე უნდა მომხდარიყო ბოსტონის, აქ მთავარი კაცის, ფარეხის უფროსის სახლში, თუმცა თვითონ იმ ღამეს შინ არ იყო: რაიონში კიდევ ერთი მორიგი ჯრება ტარდებოდა, სადაც ბოსტონ ურკუჩიევი კიდევ ერთხელ უნდა მკდარიყო პრეზიდენტში.

ბაზარბაი ბოსტონის სახლში ღამის გამირივით შეიყვანეს და სხვა რა გზა ჰქონდა, ამ ამბავს უნდა შეჰგუებოდა. ასე აღმოჩნდა აქ, მართალია, უნებლიეთ, მაგრამ სტუმრად.

ვერ ვიტყვი, თითქოს წინათ ამ სახლის ზღურბლზე არ გადმოებეჩებინოს. მრავალი წლის განმავლობაში, რაც ბოსტონის მეზობლად, აქედან შვიდ კილომეტრზე ცხვარში მუშაობდა, აქ სამჯერ მაინც იყო ნამყოფი: პირველად როცა ალა-მონგიუს გადასასვლელზე ნაპრაღში ჩაჩენილი მწყემსის, ერნაზარის კირის პური გამართეს, მეორეჯერაც დაკრძალვაზე ჩამოვიდა — ერნაზარის დაღუპვიდან ნახევარი წლის შემდეგ ბოსტონის პირველი ცოლი რომ გარდაიცვალა (კარგი ცოლი იყო, ამბობდნენ, განსვენებული აოზიგული), ჩამოვიდა, როგორც ყველა იმ მიდამოს მეცხვარე და მცხოვრები დიდძალმა ხალხმა მოიყარა მაშინ თავი, ცხენებს, ტრაქტორებსა და სატვირთო მანქანებს ხომ სათვალავი არ ჰქონდა. მესამეჯერ კი თავისი ნებით არ მოსულა. ოლქის ხელმძღვანელობას გადაეწყვიტა აქ საწარმოო სემინარი მოეწყო, რათა ბოსტონ ურკუჩიევს მწყემსებისათვის თავისი გამოცდილება გაეზიარებინა. არ უნდოდა წამოსვლა, მაგრამ რას იზამდა, ძალა დაატანეს და იძულებული გახდა, თითქმის ნახევარი დღე ესმინა ლექცია, რა და როგორ ეკეთებინათ, რომ ბატკნები არ დახოცოდათ, მატყლი და ხორცი კი უფრო მეტი ჩაებარებინათ, ერთი სიტყვით, როგორ შეესრულებინათ გეგმა. ჰმ, ამათაც ვითომ ამერიკა აღმოაჩინეს — ბაზარბაიამ თავადაც მშვენივრად იცის ყველაფერი: ზამთარში საკვები დროულად უნდა მისცე პირუტყვს, ზაფხულში მთაში ადრე უნდა ადგე და უფრო გვიან დაწვე, ერთი სიტყვით კარგად იმუშაო, საქონელს თუალო არ მოაშორო, გულშემატკივარი იყო ბოსტონივით. მერედა ეს ქვეყანა მარტო ბოსტონზე კი არაა ჩამოკიდებული. ოღონდ ზოგს საქმე კარგად გამოსდის, ზოგს — ცუდად. აქი ზოგს უმართლებს, ზოგს — არა. აი, ვთქვათ, ბოსტონის ბაზაში ძრავა მუშაობს — მთელი ღამე სინათლე ანთია, ელექტროშუქია სახლებშიც და ფარდულებშიც, ბაკის გარშემოც. მერედა რატომ? ორი აგრეგატის ხელში ჩაგდება შეძლო — როცა ერთი ფუტკდება ან პროფილაქტიკური შეკეთება სჭირდება, მეორეს რთავენ. სხვა მეცხვარეებთან კი, მათ შორის ბაზარბაისთანაც მთელი წლის განმავლობაში ერთი ძრავა მუშაობს. ერთი ძრავა კი ხათაბალაა:

ხან მუშაობს, ხან — არა, საწვავი ხან მოაქვთ, ხან — არა, ხან რაღაც ტყდება. ხან ამ საქმის მცოდნე ყმაწვილი ყველაფერს ფეხებზე იკიდებს და ქალაქში გარბის — იქ ახალგაზრდობა ასჯერ უფრო უკეთ ცხოვრობს და მუშაობსო. პოდა, ისე ჩანს, — ანგარიშებას მიხედვით ელექტროშუქი ყველა ბრიგადაშია, სინამდვილეში კი არაფერი ამის მსგავსი არაა...

და, რაღა თქმა უნდა, ვინაა კარგი? ბოსტონია კარგი თუ არა? ცუდი ვინღაა? ბაზარბაი და მისთანები, ამავე დროს ისინი სვამენ. პოდა, რაკი ცუდი ხარ, კისერიც უნდა მოგიგრიბონ. აბა, ერთი განაცხადე წასვლა მინდაო, ლამის მილიცია მოგიქსიონ, პასპორტს წაგართმევენ, არაფითარ საბუთს არ მოგცემენ, გასწი და იმუშავე, მეგობარო, არსად წახვიდე, ახლა მეცხვარეობა არავის ნებავეს, ამისთანა ბრიყვები ცოტანი არიან, ყველას ქალაქებში ცხოვრება სურს: იმუშავე შენი კუთვნილი დრო და ისეირნე შემდეგ კულტურულად. თუ სეირნობა არ გინდა, ბინაში დაისვენე, სადაც ყველაფერი მზამზარეულად გაქვს, ლუმელს გახურება არ სჭირდება, სინათლე მთელი დღე-ღამე ანთია, გინდ დღე, გინდ ღამე, წყალსადენი ცხვირწინა გაქვს, ფეხსალაგია და ისიც ყურის ძირშია, დერეფანში... აბა, ცხვარში ცხოვრება ცხოვრებაა? სადღეღეში სულ მცირე ათასხუთას სულ საქონელს მოუარე, არც დღისით, არც ღამით თავის მოსაფხანად არ გცალია, ბიჭი ხარ და ნებვში არ იტრიალო, არ გამხეცდე, ცოლს არ სცემო, დამხმარეებს არ სცემო, არ დალიო... შემდეგ ვინღა გამოდის ცუდი? ბაზარბაი და მისთანანი...

უბრალო რამეზე თვალეებში თითს გთხრიან — ბოსტონს შეხედე, აი, მოწინავე, აი, მისაბაძი კაციო... ერთი სიფათში უნდა ჩააფარო ამ მოწინავე კულაკს და კარგი იქნება! ისე უმართლებს კი — სამუშაოდ კარგი ხალხი ეტანება, არ გაურბიან, ერთი თჯაბივით არიან. ხოლო ბაზარბაიმ და ბევრმა სხვა თავჩობანმა უკვე დიდი ხანია მიაფურთხეს თავიანთ დადუმებულ ძრავებს, ძველებურად ცხოვრობენ, ნავთის ლამპებს და ხელის ფანრებს ხმარობენ, სამაგიეროდ ბოსტონის ელექტროგენერატორი აგრეგატი მი-1157 პირდაპირ საათივით მუშაობს ფარებს უკან, მისი ხმა შორს ისმის, მისი სინათლეც შორს ჩანს. მგლებიც ამ ხმაურმა და სინათლემ დააფრთხეს. წელან ბაზარბაის გააფთრებით მისდევდნენ, საცაა მიეწეოდნენ, მაგრამ სინათლის დანახვაზე და ძრავას ხმაურის გაგონებაზე მყის შეჩერდნენ.

ძაღვები განუწყვეტლივ ყეფენ. სადღაც ალბათ ისევ დაეხეტებიან მგლები, მაგრამ მოახლოების ეშინიათ...

მაშ, უმართლებს, აშკარად უმართლებს ბოსტონს — ხედავ, როგორ აქვს ყველაფერი გამართული, მის სახლშიც შუქი კამკამებს, სისუფთავეა, თუმცა ცხვრის სადგომში ცხოვრობს. ბაზარბაი იძლებული გახდა ფეხთ გაეხადა, ქიზის ჩექმები და ფეხსახვევები შემოსასვლელში დაეტოვებინა და ისე შესულიყო ოთახში, წინდების ამარა გაევილო ქეჩაზე.

თუ კაცს უმართლებს, ნაღდად ყველაფერში უმართლებს. ბაზარბაი ხომ წინათ ვერ ამჩნევდა, რომ უღელტეხილზე დაღუპული ერნაზარის ქვრივი ასეთი წარმოსადგენი და ახალგაზრდა იყო. ახლა კი იგი, გულიუმკანი, ბოსტონის ცოლია და თუმცა მწუხარება გამოიარა, ეტყობა, ბედნიერია, ორმოცს იქნება მიღწეული. შეიძლება ნაკლები ხნისაცაა, ერნაზართან შეძენილი მისი ორი ქალიშვილი ინტერნატში სწავლობს, ხოლო თვითონ ცოტა ხნის წინათ ბოსტონს ვაჟიშვილი გაუჩინა. ისევ გაუმართლა ბოსტონს — ბიჭი დაუბადა, მისი ორი ქალიშვილი კი, რომლებიც პირველ ცოლთან ჰყავდა, თითქოსდა უკვე

დათხოვდა. მერედა, რა ალერსიანია გულიუმკანი, თანაც სულელი არაა, არა, სულაც არაა სულელი. იცის, რომ ბოსტონი და ბაზარბაი ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ ახლა ეს არც კი დაიმჩნია, სტუმარს თბილად შეხვდა, შეერთდა. თანაუგრძნო: მობრძანდი, ჩვენო გულითადო მეზობელო, მობრძანდი, ხალიჩაზე დაბრძანდი, ოპ, ეს რა ფათერაკს გადაჰყრიხარ, გაგონილა, შეგეც შეხვდაფი დაფი მოსდევდნენ ადამიანს, მადლობა ღმერთსა და წინაპართა, სულელი არაა, არაა, არაა, რომ უბედურებას გადაგვარჩინეს, ოჯახის უფროსი კი შინ არაა: ისევ რაღაც კრებაა რაიონში, ალბათ, მალე დაბრუნდება, აღუთქვეს, შინ დირექტორის „გაზიკით“ მოგიყვანთო, დაჯექი, დაჯექი, ასეთი შემთხვევის შემდეგ ჩაი უნდა დალიო, ცოტასაც თუ მოიცდი, ცხელ კერძსაც მოგართმევო.

ხოლო ბაზარბაიმ, რაკი ასეთ ხათაბალაში გაება, გადაწყვიტა, დიასახლისი გამოეცადა, რამდენად გულწრფელად ექცეოდა დაუპატიებელ სტუმარს; თანაც ძალიან უნდოდა დაღევა, იმ ამბის შემდეგ გონს მოსვლა, და მთლად გათავხედდა.

— ჩაი დედაკაცების სასმელია, — თქვა მიუკიბ-მოუკიბავად. — შენთან ბოდიში და უფრო მაგარი რამ არ მოიძევება შეძლებული ბოსტონის ოჯახში? მისი სახელი ხომ ქვეყნის-ქვეყნადაა განთქმული!

ასეთი საზიზღარი ბუნება ჰქონდა ბაზარბაის: ახლა სასმელს მიუტანდნენ თუ არ მიუტანდნენ, არ ენაღვლებოდა, სულ ერთია, კმაყოფილი იყო, რაკი ბოსტონის ცოლს სახე შეეცვალა, სტუმრის პირდაპირობა არ ეჭაშნიკა. ისე რა ბოდიშობა, რის ბოდიშობა, ბეგები მყავს ესენი, თუ ხანები, მეურნეობის ჩვეულებრივი მესაქონლეებიო. — გაივლო გულში ბაზარბაიმ.

— უკაცრავად კი ვარ, — მიუგო წარბშეკრულმა გულიუმკანმა. — მაგრამ თვითონ ბოსტონი სასმელს მაინცდამაინც არ ეტანება...

— ვიცი, ვიცი, არ სვამს შენი ბოსტონი! — აგდებულად შეაწყვეტინა ბაზარბაიმ. — ეს ისე გითხარი, სიტყვაზე. გმადლობ ჩაისთვის. ვიფიქრე, თუ თვითონ არ სვამს, სტუმრებისთვის მაინც ექნება-მეთქი...

— ო, არა, რატომ, — იუხერხულა გულიუმკანმა და თვალი შეავლო ბაზარბაის გვერდით მჯდომ რისკულს, რომლის მუხლებთანაც იდო ლეკვებიანი თარსი ხურჩინი.

რისკული ჰა და ჰა, უნდა წამომდგარიყო და არყის მოსატანად წასულიყო, რომ ამ დროს კარში ბოსტონის მეორე დამხმარე მარატი გამოჩნდა. მარატი ადრე პედინსტიტუტში სწავლობდა, მაგრამ ვერ დაამთავრა, თამამი ბიჭი იყო, ოლქში გვარიანად ინავარდა, შემდეგ კი კკუაში ჩავარდა და ბოსტონთან დამკვიდრდა.

— მარატი, — მიმართა რისკულმა. — შენ სადღაც ნახევარლიტრიანი გაქვს მოყუჩებული. ვიცი, ნუ გეშინია, თუ რამე მოხდა, ბოსტონთან მე ვაგებ პასუხს. ჩქარა მოიტა, ბაზარბაის ნადავლი დავასველოთ.

— დავასველოთ! ამ წუთში მოვიტან! — კმაყოფილებით გადაიხარხარა მარატი.

ბაზარბაის, რომელსაც შიშმა წედან ჩვეულებრივი თვითდაჯერებულობა და უარშეობა გაუქრო, ახლა ნახევარმა კიქა არაყმა გულიდან ჯავრი გადაჰყარა, ხალიჩაზე ისე გაიშხლართა, თითქოს საკუთარ სახლში ბრძანდებოდა და დაიწყო მოყოლა — რა და როგორ იყო, თან იქ მყოფთ მგლის ლეკვები უჩვენა, მან ხურჩინის ორივე თვალი გახსნა, ლეკვები ამოიყვანა და თვითონაც პირველად კარგად შეათვალიერა ისინი. ლეკვები ჯერ უსიცოცხლოდ იყვნენ, თი-

თქმის არაფერს ებასუხებოდნენ, სულ დამალვას ცდილობდნენ, თითქოს მფარველს ეძებდნენ, შემდეგ კი გამოცოცხლდნენ, გათბნენ. ლოღვა დაიწყეს ქეჩაზე, აწკაფწკაფდნენ, ადამიანებს დრუნჩებით ეხებოდნენ, უსაზმოდ, უაზროდ იცქირებოდნენ, — დედას, მის დვრილებს ეძებდნენ. დიასახლისმა სიბრაღულით გააქნია თავი:

— ხომ დაიმშენ ეს საწყლები! ჩვილი მაინც ჩვილია, ^{უჩინესული} ~~მგლისა~~ იყოს. შიმშილისაგან რომ დაგებოცონ? აბა, რად წამოიყვანე?

— რა დახოცავთ? — იწყინა ბაზარბაიმ. — ესენი გამძლენი არიან. ორი დღე რაიმეთი გამოვკვებავ, შემდეგ რაიონს ჩავაბარებ. ზოობაზაში იციან მაგათი მოვლა. უფროსობამ თუ მოინდომა, ყველაფერს გააკეთებს — მგელი რომ მგელია, იმასაც მოაშინაურებს და ცირკში გამოსვლას აიძულებს, ცირკში კი ხალხი ფულს იხდის. იქნებ ესენიც ცირკში მოხვდნენ.

მართალა, დიასახლისმა ყველას გადასდო სიბრაღული, მაგრამ იქ მყოფებმა მაინც ჩაიღიმილეს. ცოცხალი ლეკვების სანახავად მოცვენილმა ქალებმა კი ჩურჩული ატებეს.

— ბაზარბაი, ჩვენ აქ უდედო ძუძუთა ბატკნები გვყავს, — უთხრა ბაზარბაის გულიუმკანმა. — მათ დამატებითი რძით კვებავენ. რა იქნება მგლის ლეკვებს იმ ბატკნების ბოთლები რომ მოუტანონ?

— რაო!! — სიცილი ვერ შეიკავა ბაზარბაიმ. — მგლებს ცხვრები გამოკვებავენ! მაგარი ამბავია! მოდი, ვცადოთ!

და დადგა ეამი, რომლის გახსენება შემდგომ ყოველ მათგანს თავზარს დასცემს. ადამიანებს ისიც ართობდა, რომ მხეცებს ცხვრის რძეს ასწევდნენ, ისიც, რომ ლეკვები მიმნდობნი და სასაცილონი იყვნენ, ისიც, რომ ერთ-ერთი — ძუ — ლურჯთვალა აღმოჩნდა (თავის დღეში არავის სმენია, ძუ მგელს ლურჯი თვალები ჰქონდა, ასეთი რამ ზღაპრებშიც კი წარმოუდგენელია), ისიც, თუ როგორ მხიარულებდა ჯერ კიდევ მთლად პატარა ბიჭუნა, ბოსტონის ნაბოლარა კენჭეში. უხაროდა კენჭეში, რადგან შინ უცებ ოთხი მხეცი გაუჩნდა. დიდებს გულს უჩვილებდა ამ წლინახევარი ბუთხუზა ბიჭის მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე ტიტანი, ის თუ, როგორ აენტო თვალები, რა გატაცებით ეთამაშებოდა ლეკვებს. ოთხივე ლეკვიც რატომღაც ბავშვს ეტმასნებოდა, თითქოს ხვდებოდნენ, რომ ის აქ მათთვის ყველაზე მახლობელი არსება იყო. დიდები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: შეხე, პატარა პატარას გრძნობსო, ცდილობდნენ გულიუმკანისაგან გაეგოთ, რას ეუბნება ბიჭუნა ლეკვებს. გულიუმკანი კი ბედნიერი ღიმილით გულში იკრავდა შვილს, ალერსით ეუბნებოდა:

— ქუჩუკ, ქუჩუგომ, ლეკვო, ჩემო ლეკუნავ! ხედავ, შენთან პატარა ლეკვებმა მოირბინეს. შეხე, რა თოთოები არიან, რა რუხები არიან. ამასთან ხომ იმეგობრებ?

ამ დროს ბაზარბაიმ თქვა ერთი წინადადება, რომელსაც შემდეგ ასევე გაიხსენებენ:

— საბლში ერთი მგლის ლეკვი იყო და ახლა ხუთი გახდა. გინდა მგლის ლეკვი იყო? მოდი, ბუნავში შეგაგდებ, ბოსტონის ნაბოლარავ ამათთან ერთად გაიზრდები...

ყველა გულიანად იცინოდა ხუმრობაზე, სვამდნენ ჩაის. არყისაგან დაწითლებულმა ბაზარბაიმ და მარატმა ნახევარლიტრიანი გამოწრუპეს, სასმელს ქონს და შემწვარ ხორცს აყოლებდნენ, სულ უფრო ხალისდებოდნენ. გარეთ კი სიწყნარე ჩამოდგა, ძაღლებმა ყვფა შეწყვიტეს, ხოლო ყველაზე დიდი ძაღლი

— წითური ვეება ბანჯგვლიანი ჟაისმანი უცებ ზღურბლზე გამოჩნდა, რადგან კარი მიუხურავი იყო. იგი შეყოვნდა, კუდს აქიცინებდა, ოთახში შემოსვლა ვერ გადაუწყვიტა. ძაღლს პურის ნატეხი გადაუგდეს. მან პური ჰაერშივე დაიქორა და ხმამაღლა გააღრაქუნა კბილები. ამ დროს ნასვამმა მარატიმ გასართობად ერთ-ერთ ლეკვს დასტაცა ხელი და ძაღლს მიუყვანა.

— აბა, ჟაისმან, ეცი! ეცი-მეთქი! — უბრძანა და აკანკალებული, უღონო მხეცუნა წინ დაუსვა.

იქ მყოფთა გასაკვირად ჟაისმანმა გაბოროტებით დაიღრინა, კუდი ამოიძუა, თავი ბეჭებში შესწია და იქიდან მოძურწა. და მხოლოდ შემდეგ, უკვე ეზოში, ფანჯრის ქვეშ აყეფდა შიშნეულად და საცოდავად. ყველა იცინოდა, ყველაზე ხმამაღლა კი ბაზარბაი.

— ამოდ ცდილობ, მარატი! არ არსებობს ძაღლი, რომელიც არათუ მგელმა, მგლის სუნმაც კი არ წაახდინოს!! შენ რაო, გინდა, შენი ჟაისმანი ლომი იყოს? ეგეთი რამ არ მოხდება!

სიცილი ყველამ შეწყვიტა, როცა პატარა კენჭენში ატირდა — მას ლეკვი შეეცოდა და იმის შიშით, არაფერი მოეწიოსო, მისკენ გაკუნკულდა, რათა დიდი ადამიანების გაუგებარი ოინებისაგან დაეცვა.

ბაზარბაიმ კი ის ოთხი ბედნავსი ლეკვი ისევ ხურჯინში ჩაყარა და მალე წავიდა. მისი ცხენი უკვე დასვენებული იყო და, როცა ხელახლა შეკაზმეს, მხნე ჩორთით დასტოვა ბოსტონის საზამთრო სადგომი. ბაზარბაის გვერდით ცხენებს მოაჩაქჩაქებდნენ მხარზე თოფგადაკიდებული მარატი და რისკული დაღევით ორივემ დალია, მაგრამ მარატი უფრო დათვრა და ამიტომ ენას არ აჩერებდა. ამ ძვალმაგარმა ბიჭებმა თავს იდგეს ბაზარბაის გაცილება, რათა როგორმე გაექარწყლებინათ ის სამწუხარო ამბავი, რაც ბოსტონის სახლიდან დაუპატიჟებელი სტუმრის წამოსვლის წინ მოხდა.

ბაზარბაი უკვე ოთახიდან გამოსვლას აპირებდა და იმითი კმაყოფილმა, რომ ბოსტონის სახლში ყველა დიდი ყურადღებით ექცეოდა, ლეკვებიანი ხურჯინი მარატს მიაწოდა, აბა, უნაგირზე გადაიკიდეო. თვითონ კი კედელზე მგლის ვეება ტყავის გვერდით ჩამოკიდებული თოფი ჩამოხსნა, ყურადღებით დაათვალიერა და მოეწონა — თოფი დიდებული იყო, მოსევადებული ფოლადი უბზინავდა, თვალს ახარებდა ეს მსხვილი ნადირისათვის განკუთვნილი კუთხვილი მრავალვაზნიანი იარაღი. კედელზე დავლასავით ჩამოკიდებული ტყავი ბოსტონის მიერ სწორედ ამ თოფით მოკლული მგლისა იყო. ეს ყველამ იცოდა.

— მისმინე, გულიუმკან, — დინჯად უთხრა ქალს ბაზარბაიმ, რომელმაც მზერა თოფიდან დიასახლისზე გადაიტანა. ერთი ეს მოფარებულ ადგილას შემახვედრაო... — გაუკრთა უცებ გონებაში. ბაზარბაის ჩვევად ჰქონდა ქალებს თავხედურად სცემოდა ხანდახან პირდაპირ მინდვრად ან გზის პირას, ზოგჯერ აღწევდა საწადელს, ზოგჯერ — ვერა, მაგრამ არც ამას ნანობდა, არც — იმას. ახლა გულიუმკანს თანდათან უღარებდა თავის ნაგვემ-ნაჩეჩქვ კოცტურსუნა და კბოვლად წარმოიდგინა, ამ წუთში თავის ცოლს როგორ ჩააფარებდა ღონივრად მოქნეულ ხელს იმისათვის, რომ სწორედ იგი შეხვდა ცოლად და არა გულიუმკანი, იმისათვის, რომ მობეზრდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და თქვა: — თქვენთან კარგად გრძნობს ადამიანი თავს, შენ კარგი დიასახლისი ხარ. პო, რა მინდოდა, მეთქვა? იცი, გულიუმკან, მეშინია, მგლები

ისევ არ გამომედევნონ. რა იქნება, რომ ეს თოფი წავილო, ხვალ ვინმე ჩემი-
ანს გამოვატანდი...

— თუ ღმერთი გწამს, ადგილზე დაკიდე. — მკაცრად უთხრა გულიუმკანმა.
— ბოსტონი ნებას არავის აძლევს ამ თოფს გაეკაროს. არ უყვარს, როცა მის
თოფს ხელს ჰკიდებენ.

— შენ კი უიმისოდ არ შეგიძლია თოფს ხელი ახლოდ წაიჭე და ჩაი-
ცინა ბაზარბაიმ და ცოცხლად წარმოიდგინა, როგორ მიჭველითავედა ამ დედა-
კაცს, ხელსაყრელი შემთხვევა რომ მისცემოდა.

— რას ამბობ! მოვა ბოსტონი და, თოფს რომ ადგილზე ვერ ნახავს, რად
მინდა ასეთი ამბავი... თანაც ვაზნები სადაა, არ ვიცი. თვითონ ინახავს სად-
ღაც. ერთ ვაზნასაც არავის აძლევს.

ბაზარბაიმ გონებაში მაგრად შეუკურთხა ბოსტონს, თავისი თავიც ზეჯ
მიიყოლა: განა არ ვიცოდი, რა გულისამრევი კრიქანგია ბოსტონი, ეტყობა,
ცოლიც მისი ალი-კვალიაო. კინაღამ უთხრა გულიუმკანს, ოხრად დაგრჩენია
ეს თოფით, მაგრამ ამ დროს რისკულმა იხსნა იგი, როგორც იტყვიან, ვითა-
რება განმუხტა.

— ტყუილა წუხხარ, ბაზაკე. თუ გინდა, მე და მარატი თვით სახლამდე
მიგაცილებთ, თოფებს წამოვიღებთ. — აღუთქვა სიცილით. — დრო საკმაოდ
გვაქვს. მთელი ღამე ჩვენს ხელთაა. ამ თოფს კი მართლა სჯობს ხელი არ ახ-
ლო, ადგილზე დაჰკიდე. არ იცი განა: ბოსტონი ბოსტონია, წესრიგი უყვარს!

უკვე გარეთ გამოსვლას აპირებდა, მაგრამ კენჭეში ატირდა. ძიამ ტო-
მარაში რად ჩაპყარა ლეკვები და სად მიჰყავსო. ამიტომ რისკული იძულებული
გახდა ორიოდ წუთით შეყოვნებულიყო მის დასამშვიდებლად. ბიჭი ტრია-
ლებდა, დედას ხელიდან უსხლტებოდა, ლეკვები არ ეთმობოდა და ითხოვდა,
დამიბრუნეთო...

ხოლო როცა ეზოდან გავიდნენ, ნასტუდენტარმა მარატმა ერთი სასა-
ცილო ამბავი მოჰყვა, რომელსაც როგორც თვითონ ფიქრობდა, თანამგზავრე-
ბი უნდა გაეხალისებინა:

— ამას წინათ რაიონში ისეთი მსოფლიო სკანდალი მოხდა, სიცილით ჭიპ-
ზე გასკდები. არ გაგიგია, ბაზაკე?

— არა, არ გამიგია, — გამოტყდა ბაზარბაი.

— არა, მართლაც მსოფლიო სკანდალი მოხდა. მე არ მოგიკვდე!

— მოჰყე, მოჰყე, სტუდენტო!! — შეაქეზა რისკულმა, რომელიც ცხენს
ქუსლების კვრით აჩქარებდა.

— მაშასადამე, ერთი საოლქო უფროსი ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქ-
ტორს ურეკავს, თქვენი გაზეთის „სოციალიზმის განთიადის“ ფურცლებზე კა-
პიტალისტური ამერიკის პროპაგანდას რატომ ეწევი? ხოლო რედაქტორს —
ოდესღაც ერთად ვსწავლობდით, მაგისტანა მხდალსა და მლიქვნელს იშვია-
თად შეხვდები, — ამ სიტყვებზე ენაც კი აებლუკა. „ჩვენ ამერიკაზე არა-
ფერი არ დაგვიწერია! ბოლდიში, რა პროპაგანდაზე ლლაპარაკობთ?“ უფ-
როსმა კი დაუცაცხანა: „რას ჰქვია, არ დაგიწერიათ? მაშ, რა სათაური წერია
შავით თეთრზე — „ბოსტონი მოგვიწოდებს მხარი ვუსწოროთ“? — „ეს ხომ
ჩვენი მოწინავე მეცხვარე ბოსტონ ურკუნჩიევია, მასზე, მის მუშაობაზე წე-
რია“ — „გასაგებია, რომ მასზე წერდით, მაგრამ ბევრი გაზეთში მხოლოდ
სათაურს კითხულობს“. ჰა-ჰა-ჰა! აი, ცირკი თუ გინდა! როგორია, ჰა? „რა გზას

დავადგეთ?“ — კითხულობს რედაქტორი. „მოწინავეს უბრძანეთ სახელი შეიცვალოს“, — პასუხობს უფროსი.

— მოიცა, — შეაწყვეტინა ბაზარბაიძე. — რაო, ამერიკაშიაც ჰყავთ თავიანთი ბოსტონი?

— არა, რას ამბობ, — გამხიარულდა მარათი. — ბოსტონი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ქალაქი, ცოტათი პატარა თუ იქნება, მაგრამ იქნებოდა, ჩვენში კი ბოსტონი რუხ ქურქს ნიშნავს. ბოს — რუხი, ტონ — ქურქი. ახლა გაიგე?

— ფუი, დააწყვევლოს ეშმაკმა! მართალია! — დაეთანხმა ბაზარბაიძე და გული დასწყდა, რომ ეგ ამბავი დიდი არაფერი საბუთი იყო და ბოსტონს ვერას ავნებდა. — სწორედ ასეა. ბოსტონი რუხ ქურქს ნიშნავს...

იმხანად ღამემ თავისი ვარსკვლავებიანი საფარველი გადაჭხურა ყველაფერს — მთებსაც, ცასაც, შორეულ ტბასაც, რომლის ძალუმი ამოზნექილი ზურგი ძლივს ილანდებოდა სიბნელეში, სამი მხედარი ტამანისკენ მილაზღანდარობდა და ეჭვიც არ ჰქონდათ, რომ იმ ღამეს მკვიდრი — ურღვევი — კვანძებით გადაინასკვნენ სულის შემძვრელი ბედ-იღბლიანი... და აი, უკვე სულ უფრო ძლივს გასაგონად, გაურკვეველად აღწევდა ბოსტონის სადგომამდე მათი ლაპარაკი და ფლოქვების ჭახატუხი ქვებზე... უკან დარჩა ბოსტონის ძრავას ჩვეული რახრახი, ძრავას შუქი მთიან მხარეს ჩამოწოლილ სიბნელეს სტაცებდა მწყემსთა საცხოვრებლების პატარა წრეს და მთისწინეთს.

სადღაც მახლობლად კი მგლები იმალებოდნენ.

11

გულიუმკანმა ბიჭუნა დიდი ხვეწნა-მუდარიტა და ალერსით დააწვინა დასაძინებლად, თვითონ არ წვებოდა, ქმარს ელოდა, ბოსტონი საცაა უნდა დაბრუნებულყო. როცა ეზოში ერთხმად აყეფდნენ ძაღლები, ქალმა მხრებზე თბილი შალი მოისხა და ფანჯარას მიეკრა. დირექტორის „გაზიკმა“ სიბნელე ანთებული ფარებით გაკვეთა, დიდი ფარების გვერდით მობრუნდა. სადაც ნერბები ჰყავდათ. გულიუმკანი ხედავდა, როგორ გადმოვიდა კაბინიდან ბოსტონი, გამოემშვიდობა ვილაცას, კარი მიაჯახუნა, შემდეგ მანქანა როგორ მკვეთრად შემოტრიალდა და უკან გაბრუნდა. გულიუმკანმა იცოდა, რომ ბოსტონი უცებ არ შემოვიდოდა შინ. ჯერ ბაკებს და ფარდულებს შემოივლიდა, სათივეში შეიხედავდა, ღამის მწყემს კუდუმრატს გამოკითხავდა, რა და როგორააო, როგორ გაიარა დღემ, ცხვარი ხომ არ დახოცილა, ნერბებს ნაადრევად ხომ არ მოუვიათ ბატკნები, ახლები ხომ არ დაიბადნენო...

გულიუმკანი ადრევე მომზადებული შეშით ქურას ანთებდა, რომ ნამგზავრი ქმრისთვის ცხელი საკმელი და კარგი ჩაი დაეხვედრებინა (უჩაიოდ ბოსტონს ცხოვრება არაფრად უღირდა), თან აყურადებდა, როდის მოისმებოდა ზღურბლიდან მისი ნაბიჯის ხმა. წინასწარ უხაროდა, რომ წარმოიდგენდა პატარა კენჯეში როგორ გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა თბილ სწოლში, ტუჩებს გააცმაცუნებდა მამის გაყინულ უღვაშების შეხებაზე. ბოსტონი ჩვეულებიანამებრ თვითონ აწვენდა ხოლმე ბიჭუნას. მანამდე დიდხანს ეთამაშებოდა, ზოგჯერ თვითონვე ბანდა ვარცლში, მას შემდეგ რაც სახლს კარგად გაათბობდა და კარ-ფანჯრებს დახურავდა. მეზობლების აზრით ბოსტონს სიბერეში მეტი სმეტად შეუყვარდა შვილები, წინათ ასეთი არ ყოფილა. შვილებზე უფრო

სამუშაო უყვარდაო. უფროსი შვილები უკვე თვითონ იყვნენ მშობლები, თავიანთი ცხოვრება ჰქონდათ, ხანდახან თუ შემოვივლიდნენ მამასთან. ნაბოლარა კი ყოველთვის ყველაზე ტკბილია და ყველაზე მეტადაც უყვართ მშობლებს. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ გულიუმკანზე უფრო კარგად ვის ეცოდინებოდა პატარა კენჯეშისადმი ბოსტონის სიყვარულის ქვეყანაში მწარე მიზეზი. მათ ხომ — არც ბოსტონს და არც გულიუმკანს უფიქრიათ, თუ ცოლ-ქმარი გახდებოდნენ და ბიჭი გაუჩნდებოდათ: გულიუმკანის აღრინდელი ქმარი ერნაზარი რომ უღელტეხილზე არ დაღუპულიყო და შემდეგ ბოსტონის პირველი ცოლი არზიგული არ გარდაცვლილიყო, ეს ამბავი არასდროს მოხდებოდა. ახლა ცდილობენ, გარდასული ამბავი არ გაიხსენონ, თუმცა იციან: მარტოდ ყოფნისას თითოეული წარსულზე ფიქრობს. ... ბიჭუნა კი მათი დამაკავშირებელი საერთო რგოლია და მეტისმეტად ძვირად დაუჯდათ. როცა ბოსტონი უღელტეხილის გზას მიიკვლევდა, მისი დამხმარე ერნაზარი ხომ მის თვალწინ დაიღუპა, ღრმა ნაპრალის ძირში ჩარჩა... მარტოდენ ბიჭუნას შეეძლო ბოსტონის სულში არსებული ნარღვევის ამოვსება, ვინაიდან ძველთაგანვე თქმულა — მხოლოდ დაბადებას შეუძლია სიკვდილს შეენაცვლოსო...

მაგრამ აი, გაისმა ნაბიჯების ხმა და გულიუმკანი მკვირცხლად შეეგება ქმარს, ჩექმების გახდაში მიეშველა, მიუტანა წყალი, საბონი, პირსახოცი, ძღუმარედ უსხამდა წყალს ხელებზე. ისინი ჭერჭერობით არაფერს ამბობდნენ, ლაპარაკს შემდეგ ჩაიზე გააბამდნენ, და ბოსტონი საუბარს დაიწყებდა თავისი საყვარელი ფრაზით: „ახლა კი მისმინე, რა არ ხდება ქვეყანაზე“, დაწვრილებით მოჰყვებოდა, რა ნახა, რა გაიგო ახალი. ასეთ წუთებში, განსაკუთრებით, როცა მარტონი იყვნენ, თავს კარგად გრძნობდნენ. შინაურული საუბარი ნაცნობი ნავმისადგომია, სადაც წინასწარაა ცნობილი, სად მეჩჩია და სად — ღრმა წყალი. ახსოვს გულიუმკანს, უკვე ჭირის პურის შემდეგ, როცა არზიგულის გარდაცვალებიდან ერთმა წელმა განვლო და მათ საბოლოოდ გადაწყვიტეს დაქორწინება, აი, სწორედ მაშინ ბოსტონი მძებრიდან ჩამოვიდა მასთან, ტბისპირა დასახლებაში, ქვრივის სახლში, ბოსტონის ცხენი ცხენსაბმურზე დატოვეს, თვითონ ადგილობრივ ავტობუსში ჩასხდნენ (ხალხში უბერხულად გრძნობდნენ თავს, პირველად რომ იყვნენ ერთად), რაიონის მმაჩში წავიდნენ, სადაც შეეცადნენ, რაც შეიძლება ჩქარა მოეწერათ ხელი საჭირო ქაღალდებისთვის, და სასწრაფოდ წამოვიდნენ იქიდან. ამ ამბის შემდეგ ავტობუსში ჩასხდომა და ქუჩაში ნაცნობებთან შეხვედრა აღარ ისურვეს, ტბისკენ ფეხით გასწიეს და მის ნაპირს გულიუმკანის სახლისკენ გამოჰყვნენ. შემოდგომის მშრალ, უქარო დღეს ისიქ-ქოლის კამკამა ლურჯი ზედაპირი ჩვეულებისამებრ ანკარა და უდრტვინველი ჩანდა. ბოსტონმა ფოთლოვანი ტყით შემოსილ ნაპირთან, ბილიკის ბოლოში ნავმისადგომზე ორი ნავი დაინახა და შეჩერდა. ნავებს წყნარი მოქცევა არხევდა, მათ ქვემოთ ტბის ქვიშიანი ფსკერი ჩანდა.

„შეხედე, ირგვლივ წყალი, მთები, მიწა — ეს სიცოცხლეა. ეს ორი ნავი კი მე და შენა ვართ. საით წაგვიყვანს ტალღა, შემდეგ გაირკვევა. რაც გარდაგვხვდა და რაც განვიცადეთ, ვიდრე ცოცხალნი ვართ, ჩვენს გულში იარსებებს და მოდი, მუდამ ერთად ვიყოთ. მე, შეიძლება ითქვას, მოხუცი ვარ. ზამთარში ორმოცდაცხრა წლისა გავხდები. შენი ბავშვები კი ჭერ პატარები არიან, უნდა ასწავლო და ადგილი მიუჩინო ცხოვრებაში... წავიდეთ, მოვემზადოთ. ისევ წახვალ მთებში, მეთევზის ქალიშვილო, ოღონდ ოღონდ ამჯერად ჩემთან ერთად... მარტო ცხოვრება არ შემიძლია...“

გულიუმკანი ატირდა, თვითონ არ იცოდა რატომ, ბოსტონი დიდხანს ამ-
შვიდებდა... შემდეგ, როცა მარტონი რჩებოდნენ და ცხოვრებაზე საუბრობდ-
ნენ, გულიუმკანი ხშირად იხსენებდა იმ ორ წავს. ამიტომაც ფიქრობდა, სარ-
მე, მახლობელ ადამიანთან საუბარი ნაცნობი ნავმისადგომიაო. მაგრამ ამჯე-
რად არ გამოჰპარვია, რომ ქმარი ჩვეულებრივზე უფრო შეუფუჭებული და
შემოსასვლელში მოციმციმე ნათურის შუქზე ცოლზე მთელი კეთილშობილური
ახოვანი ბოსტონი პირსახოცს კმუჭნიდა, განგებისად ნელა იმშრალებდა დიდ
გაუხეშებულ ხელებს. მოჭუტული მომწვანო თვალები დაბღვერილი ჰქონდა.
ნამზეური ქარდაკრული სახე, დიდი, მძიმე ნიკაპი გაალისფრებოდა, ჩამუჭე-
ბული სპილენძის ფერი ედო. რას მოასწავებდა ეს? ბოსტონმა ხელები შეი-
წმინდა და პირველ ყოვლისა ბიჭუნასთან მივიდა, თავისივე ნახელავი ხის სა-
წოლთან ჩაიჩოქა, ვაჟიშვილის ალერსიანი სიტყვების ჩურჩულში ნაქარევი
ტუჩებით აკოცა და უნებლიეთ გაეღიმა, როცა კენჭეშმა მამის კოცნა იგრძნო
და ძილში შეიშმუშნა.

— კუდურმატმა მითხრა, აქ შენს არყოფნაში ბაზარბაი იყო, — თქვა;
როცა საჭმელად ჯდებოდა. — არაა ეს კარგი ამბავი...

გულიუმკანმა ნათქვამი თავისებურად გაიგო, გაწითლდა და შეურაცხყო-
ფისაგან ლამის ცეცხლი მოეკიდა:

— კი მაგრამ, რა მექნა? სახლში მთელ ხროვასთან ერთად შემოვარდა, მგლის
ლეკვები უნდა გაჩვენოთო. კენჭეშიც მაშინვე იქ გაჩნდა, იმანაც გასართობი
ნახა... ჰოდა, ჩაი მივართვი...

— მე ამაზე არ ვლაპარაკობ. ჯანდაბას მაგის თავი, როგორც მოვიდა, ისე
წავიდა. ოღონდ გული მეუბნება, რომ ეს კარგი არ უნდა იყოს....

— ცუდი რადლაა? — ვერ გაეგო გულიუმკანს, რას უარაკებდა ბოსტო-
ნი. — შენც ხომ გისვრია მგლებისათვის. აგერ შარშანდელი ტყავი ჰკიდია,
დიდებულად გამოყვანილი, — კედელზე ჩამოკიდებული ტყავისკენ გააქნია
თავი ქალმა.

— სწორედაც ჰკიდია, — მიუგო ბოსტონმა და გამოცლილი ფიალა გაუ-
წოდა. — მართალი ხარ, მეც მომიხდა მგლის მოკვლა, რაკი ქვეყანა ისეა მოწ-
ყობილი, რომ მგელიც არსებობს და ადამიანიც, მაგრამ მგლის ბუნავი არას-
დროს გამიჩანაგებია. ხოლო ბაზარბაი უნამუსო კაცია, ლეკვები მოიპარა, მგ-
ლებს, ამ მძვინვარე მხეცებს კი ხელი არ ახლო, რითაც ჩვენ საზიზღარი ამბა-
ვი დაგვმართა. მგლები აქ ცხოვრობენ, არსად წაესვლებათ და საშინლად გა-
ბოროტებულნი არიან...

ბოსტონის სიტყვებმა გულიუმკანი განაცვიფრეს. დედაკაცურად ამოიოხ-
რა, მხარზე ჩამოცურებული ნაწნავი გაისწორა და თქვა:

— ნამდვილი უბედურებაა! ნეტა რა ოხრობამ გადმოაგდო ეს უზნეო ჩვენ-
კენ. რისთვის ახლო ხელი ბუნავს? მეცოდებიან კიდევ ისინი — ყოველ სუ-
ლიერს ხომ თავისი შვილი უყვარს, ვინ არ იცის ეს. მაშინვე როგორ ვერ მო-
ვისაზრე.

— აი, რას ვფიქრობ, — განაგრძობდა შეფიქრიანებული ბოსტონი. — ნე-
ტა რომელი მგლები არიან? ისინი ხომ არაა? — ბოსტონმა იყუჩა და დაუმატა:
— კუდურმატის სიტყვებით მგლები ბაზარბაის ბაშათის ხელების მხრიდან მოს-
დევდნენ.

— მერე რა?

— ის, რომ სწორედ ის სხვა მხრიდან მოსული მგლები — ტაშჩაინარი და აკბარა იყვნენ. არის ასეთი წყვილი.

— ოჰ, კარგი რა, ნუ ხუმრობ! — სიცილი აუტყდა გულიუმკანს. — ნუთუ მგლებსაც სახელები ჰქვიათ ადამიანებზე? შენც იტყვი რა!

— როგორ თუ ვხუმრობ! რომ იცოდე, სულაც არ მინდა შენთან ჰქონდეს ჩვენ ამ მგლებს. აქაურებს არ ჰგვანან. ზოგს უნახავს კიდევ. მშვიდვარე, ლონიერი მგლები არიან, ხაფანგში არ ხვდებიან. ვერაფერს კლავს. ეს გაიძვერა, ხარბი ბაზარბაი კი რამ გადაჰყარა მათ ბუნავს, რამ ამოაწყვეტინა ძირფასვიანად მათი ჯილაგი. ნეტა რად გიკვირს, რომ სახელები ჰქვიათ! ხვადის სახელი ტაშჩაინარია, ისე ლონიერია, ცხენს დასცემს ძირს. ძუ აკბარა კი ანაბაშაა! ჰქვიათ ნადირია, ძალიან ჰქვიათ! ამიტომაც განსაკუთრებით საშიშია.

— კარგი რა, ჩემი ვაჟის მამავ, ნუ ხუმრობ! ბავშვი ხომ არ გგონივარ? — უნდობლად გაიცინა გულიუმკანმა. — მგლების შესახებ ისე ჰყვები, თითქოს ბავშვობიდან მათთან გეცხოვროს... ასეთი რამ ვის გაუგონია?

ბოსტონმა ლმობიერად გაუღიმა, მაგრამ ცოტა დაფიქრდა და გადაწყვიტა, ცოლი დაემშვიდებინა.

— ჰო, კარგი, — თქვა მცირე ხნის დუმების შემდეგ. — ამოიგდე თავიდან ეს ყველაფერი. მინდოდა გამერთე, ეგ იყო და ეგ. მოდი ერთი ლოგინი გაშალე, ძალიან გვიანია. დილით ადრეიანად უნდა ავდგე, ხომ აცი, დიდი დოლის დაწყებამდე ორიოდ დღე დარჩა. ზოგმა შეიძლება ლამით ანდა დილითაც მოიგოს, განსაკუთრებით იმათ, რომლებსაც ტყუპი ან სამტყუპი ჰყავთ მუცელში.

როცა შუქი ჩააქრეს და ლოგინში ჩაწვნენ, ძილმორეული ბოსტონი (მას კი სწრაფად ეძინებოდა ხოლმე), მხოლოდ მაშინ, თანაც გაკვრით მოჰყვა, რა მოხდა რაიონის კრებაზე, რომელზეც უკვე პირველად როდი მსჯელობდნენ, თანამედროვე ახალგაზრდობა რატომ არ ჰკიდებდა ხელს მეცხვარეობას, რა ელონათ და რა გაეკეთებინათ. ამ დროს გარეთ ცხენის ფლოქვების თქარუნი მოისმა. გულიუმკანი საწოლიდან წამოხტა, ფანჯარასთან საცვლების ამარა მიიბრბინა. მხოლოდ თავშალი ესხა მხრებზე, და დაინახა, რომ დიდ ფარეხთან ორი შეიარაღებული მხედარი ჩამოქვეითდა.

— ჩვენები დაბრუნდნენ, რისკული და მარატი, — თქვა ქალმა. — ბაზარბაი გააცილეს.

— აი, ბრიყვები! — წაიბურტყენა და ჩაეძინა კიდევ.

გულიუმკანს კი უცებ არ დასძინებია. ბიჭუნა ბოსტონის ნახელავ საწოლში უფრო შეთბუნა. ბიჭი ძილში მუდამ იხდიდა საბანს, ტანსაცმელს იძრობდა. ბავშვი კი არა. ხათაბაღაა — ძილს არ გაცლის, განსაკუთრებით, როცა ძილი გინდაო, — იტყვოდა გულიუმკანი. ახლა კი მას ძილი არ ეკარებოდა. დღევანდელი დღე ერთობ გიჟური და ნავსი გამოდგა. ყველაფერი სულ ბაზარბაის ბრალი იყო, რომელიც მოულოდნელად გამოტყვრა საიდანღაც. ხოლო ბოსტონს ასეთი ამბები გონებას ურევდა. არ უყვარდა ხმაური და აურზაური, არც ბაზარბაისთანა ხეპრეები, თუმცა მისთვის ცუდი არაფერი უქნია. რა თქმა უნდა, ბაზარბაი ბოსტონთან არ მეგობრობდა, შურდა, რომ ბოსტონს საქმე კარგად, მიუღიოდა... მაგრამ საქმის კარგად წარმართვას რამდენი შრომა სჭირდებოდა, ბაზარბაი ამის ბაიბურში არ იყო. ბოსტონი დილაადრიან რომ ჩაებმებოდა მუ-

ანაბაშა — ძუ-წინამძღოლი.

შობაში, შუალამედე თავს არ იღებდა, ყველგან თვითონ ტრიალებდა, ყველაფერი მეურნის თვალს საჭიროებდა...

გულიუმკანი ფანჯარასთან მიდიოდა და ღამის მოთეთრო სიბნელეს ჩერდებოდა. კუზიან მთებს მთვარე ქათქათა სხივებს ათოვდა, კაშკაში გაუდიოდა ვარსკვლავებს, უკლებლივ ყველას. დილით მთვარე ჩავიდოდა და კერძო ცეცხლებიც ჩაქოებოდნენ, მაგრამ იმ გვიან ეამს ღამე მარადისყოფი, დაუძინებელი და. მთისწინეთის სამარისებურ სიჩუმეში განაპირას მდგარი ძრავას ჩვეული რახრახი ისმოდა მხოლოდ.

ძნელი სათქმელია, რამდენხანს ეძინა გულიუმკანს, შესაძლოა, მხოლოდ ჩასთვლიმა, მაგრამ ძილში უცებ ძაღლების ყეფასთან ერთად რაღაც გახანგრებული ყმუილი ჩაესმა. გულიუმკანს უნებლიეთ გაეღვიძა, ძილს მოერიო და ახლა აშკარად გაიგონა ციკენ მიმართული სულის შემძვრელი გულამომჭდარი ყმუილი. ყმუილმა შესძრა, ცუდად იგრძნო თავი და ქმრისკენ მიიწია, მიეკრა. ამ დროს ყმუილი მწარე ტირილად იქცა — მასში წამებული მხეცის გაუყურებელი ტკივილი, კვნესა და ვაება გამოსჴვიოდა.

— ისაა, აკბარაა! — ძილისგან ჩახრინწული ხმით თქვა ბოსტონმა და მსწრაფლ წამოსწია თავი ბალიშიდან.

— რომელი აკბარა? — გულიუმკანი ვერც მიხვდა, რაზე ლაპარაკობდა ბოსტონი.

— ძუ მგელი! — თქვა ბოსტონმა, შემდეგ ყმუილს მიაყურა და დაურთო — ისიც, ტაშჩაინარიც მოთქვამს, გესმის, სასაკლაოზე გაყვანილი ხარვეით ბლავის.

ცოლ-ქმარმა სული განაბა, გაყუჩდა.

ოუ-ოუ-უ-უ-უ-უ-ა-ა-ა! — კვლავ შორს განივრცო დაუსაბამო ღამეში ველური, ნაღვლით აღსავსე ქვითინი.

— რაო, რაზე ყმუის? — შიშნულად წაიჩურჩულა გულიუმკანმა.

— როგორ რაზე? დარდობს ნადირი!

ცოლ-ქმარი გაჩუმდა.

— ეს რა უბედურებაა! — ბოსტონმა გულჯავრიანად შეიგინა. — იწექი, ბავშვს უყურე, არ გაიღვიძოს. ნუ გეშინია, პატარა აღარა ხარ! ჰო, სადღაც მახლობლად ყმუის ძუ მგელი, თავის ლეკვებს მისტირის, რა ჯანდაბა უნდა ჰქნა ახლა? წავალ ერთი, ვნახავ, რა ხდება ფარეხში.

ესა თქვა ბოსტონმა და ფაცხაფუცხით ჩაიკვა ტანზე, სინათლე არ ჩაუქრია ისე გავიდა ფეხთ ჩასაცმელად, შემდეგ ისევ დაბრუნდა ოთახში, შუქი ჩააქრო, გავიდა და შემოსასვლელი კარი გაიხურა. გულიუმკანს ესმოდა, როგორ გაიარა ფანჯრებქვემოთ, თან ბურტყუნით იგინებოდა, როგორ გასძახა ძაღლს: „ეაისმან, ეაისმან, აქ მოდი!“ და ნელ-ნელა როგორ მიწყდა მისი ნაბიჯების ხმა. ამ დროს ისევ გაისმა ძუ მგლის გაბმული ყმუილი, მას ხმადაბალი, მოგუდული ყმუილით აჴყვა ხვადი. მათ ყმუილში აზავთებულ მძვინვარებას, მუქარის ტირილი ენაცვლებოდა, შემდეგ ხელახლა იზრდებოდა საშინელი სასოწარკვეთილება, სიბრაზე და მათ ისევ ენაცვლებოდა ვედრება...

შეუძლებელი, ბუტანელი იყო ამ ყმუილის მოსმენა. გულიუმკანმა ყურები დაიკო, შემდეგ წავიდა, კარი რაზით გადაკეტა, თითქოს მგლებს სახლში შემოჭრა შეეძლოთ, და აკანკალებული დაბრუნდა საწოლთან. გზაგზა თავშალს იფუთნიდა, არ იცოდა, რა ექნა, ეშინოდა, მგლები ისევ აყმუვლდებიან და პა-

ტარას ძილს დაუფრთხოებნო. ყველაზე მეტად ის აფიქრებდა, რომ კენჭეში გაიღვიძებდა და ატირდებოდა.

მგლები კი სულ ყმუოდნენ, თითქოსდა სადღაც მახლობლად ტრიალებდნენ, ადგილს იცვლიდნენ, ირგვლივ დაეხეტებოდნენ. მათი ყმუილის პასუხად გაავებით, გამკივანად ყეფდნენ ძაღლები, მაგრამ ეზოს გარშემო ვერ ბედავდნენ. და უცებ ყურთასმენის წამლები სროლის ხმა გაისმა, ერთ სროლას მეორე მოჰყვა. გულიუმკანი მიხვდა, რომ ბოსტონი და ლამის მწყემსი კუდურმატი მგლების დასაშინებლად ისროდნენ.

ამის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. გაყუჩდნენ ძაღლები, გაყუჩდნენ მგლებიც. „მადლობა ღმერთს, თორემ პირდაპირ უბედურება იყო!“ — შვეებით გაიფიქრა გულიუმკანმა. და მაინც გული უშფოთავდა. მძინარე კენჭეში აიტაცა და თავისთან, დიდ საწოლში გადაიყვანა, შუა ლოგინში ჩააწვინა, რომ ბავშვი მშობლებს შორის ყოფილიყო. ამასობაში ბოსტონიც დაბრუნდა.

— ძილი გამაწყვეტინეს, ჭირმა წაიღოს სუყველა, — მწყრალად ბურტყუნებდა ბოსტონი, ალბათ მგლებსაც გულისხმობდა, ძაღლებსაც და ყველაფერს, რაც მათ უკავშირდებოდა. — ნამდვილი პირუტყვია ეს ბაზარბაი, ნამდვილი პირუტყვი! — მძვინვარებდა ლოგინში ჩაწოლისას.

გულიუმკანს კითხვებით არ შეუწუხებია ქმარი, ბოსტონს ისედაც არ აცალეს მგლებმა მშვიდი ძილი. დილით ხომ უთენია უნდა ყოფილიყო ბაკში, იმ მეცხვარეებს კი არ ჰგავდა, ლოგინში ნებივრობა რომ ყველაფერს ერჩინათ.

გულიუმკანს გულზე მოეშვა, როცა დაინახა, როგორ დამშვიდდა ქმარი, როგორ უხაროდა, ბიჭს იხუტებდა, ალერსიან სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. უყვარდა ბოსტონს თავისი კენჭეში, ამიტომაც დაარქვა კენჭებეგი — ესე იგი უმცროსი ბეგი, გვარში უმცროსი თავადი. მწყემსები დასაბამიდან თავადობაზე ოცნებობდნენ და ბედის დაცინვა იყო, რომ სულმუდამ მწყემსებად რჩებოდნენ. არც ბოსტონი იყო გამონაკლისი.

ცოლ-ქმარმა ისევ დაიძინა, ამჯერად შუაში ბიჭუნა ეწვინათ, მაგრამ ისინი მალე კვლავ გააღვიძა მგლის ნადვლიანმა ყმუილმა. და კვლავ აყეფდნენ შეშფოთებული ძაღლები.

— რა არის ეს! რა ცხოვრებაა ეს! — გულჯავრიანად დაიჩივლა გულიუმკანმა და თვითონვე ინანა თავისი სიტყვები: ბოსტონი მდუმარედ წამოდგა და ჩაცმა დაიწყო სიბნელეში. — არ წახვიდე, — სთხოვა ქმარს გულიუმკანმა, — იყმუვლონ რამდენიც უნდათ. მეშინია. არ მინდა, არ წახვიდე.

ბოსტონი ცოლს არ გასჯიუტებია. და ასე იწვნენ ბნელ სახლში, მთებში ჩამოწოლილ ბნელ ღამეში, და, უნებლიეთ, უგდებდნენ ყურს მგლების ყმუილს კარგა ხანია გადავიდა შუალამე, რიბირაბო დგებოდა, მგლები კი გულმუცელს იგლეჯდნენ და ადამიანებს მწუხარე, გაავებული ყმუილით სიცოცხლეს უმწარებდნენ.

— სული ამოგვხადეს, რა უნდათ ნეტავ? — ველარ მოითმინა გულიუმკანმა.

— რა უნდათ? ცხადია, თავის შვილებს ითხოვენ, — მიუგო ბოსტონმა.

— მერედა, აქ ხომ არაა მათი შვილები. კარგახანია წაიყვანეს.

— იმათ კი რა იციან? — მიუგო ბოსტონმა. — მხეცები არიან, მხოლოდ ერთი რამ იციან: კვალი აქ მოვიდა და მათთვის აქ დასრულდა ყველაფერი — მათთვის ქვეყნად სხვა ადგილი აღარ არსებობს. წადი და აუხსენი სინამდვილე. დასაანანია, რომ მაშინ შინ არ ვიყავი. ამგვარი საქმისთვის პირუტყვ ბაზარ-

ბაის კისერს მოვეუგრებდი. ნადავლი თვითონ წაიღო, ჩვენ კი მის მაგივრად უნდა ვაგოთ პასუხი...

ბოსტონის სიტყვების დასტურად ფარებს ყმუილმა გადაუარა. ყმუილი ხან ნალვლიანი იყო, ხან მძვინვარე და გაავებული. მწუხარებით დაბრმავებული მგლები წყვედიადში ტრიალებდნენ და დაეხეტებოდნენ. განსაკუთრებით აკბარა იმდულრებოდა. ისე მოთქვამდა, როგორც დედაკაცი სასტუმროში მგულიუმკანს გაახსენდა, თვითონაც როგორ მოთქვამდა, როგორ ახლიდა კედელს თავს, როცა უღელტეხილზე ერნაზარი დაიღუპა. ახლა დაუოკებელი ნალველი შემოაწეა და რის ვაი-ვაგლახით შეიკავა თავი, რომ ბოსტონისთვის არ ეთქვა, რას ფიქრობდა და გრძნობდა ამ წუთებში.

და ასე იწვა ცოლ-ქმარი თვალმოუხუჭავად, მხოლოდ პატარა კენჭებს, უცოდველ ყრმას ეძინა გულის ძილით. და ლეკვებმოტაცებული აკბარას გაუთავებელ ყმუილს მიყურადებელი დედა უფრო ძლიერ ააფორიაქა შვილმა, თუმცა მას არაფერი არ ემუქრებოდა.

მთებზე ალიონი ჩამოდგა. ილეოდა, ზეცაში ინთქმებოდა სიბნელე, ფერი უკრთებოდა ვარსკვლავებს, რომელთაც ღამის სამსახური მოითავეს, უფრო მკაფიოდ ისახებოდნენ შორეული თუ ახლობელი მთები და მიწა მიწას ემსგავსებოდა...

ამ დროს მგლები აკბარა და ტაშჩაინარი, მთებში მიდიოდნენ, ბაშათის ხეობის მხარეს. მათი სილუეტები ხან კრთებოდნენ ბორცვებზე, ხან ბურუსში ინთქმებოდნენ. მგლები თავდახრილნი მიძუნძულებდნენ — ადვილი გადასატანი როდი იყო შვილების დაკარგვა და მთელი ღამე გაუთავებლად ყმუილი, აქედან შეიძლებოდა გზად იმ ღარტაფში შეევლოთ, სადაც წინა დღის მოკლული იაკის ხორცის დიდი ნაწილი დარჩა. სხვა დროს არ დააყოვნებდნენ და კუქს ხელახლა ამოივსებდნენ ახალი ხორციით, მაგრამ აკბარმა ამჯერად არ ისურვა კანონიერ ნადავლთან დაბრუნებულიყო, ტაშჩაინარმა კი ვერ გაბედა უიმისოდ, უანაბაშოდ წასვლა.

მზის ამოსვლის უამს უკვე ბუნაგის მახლობლად იყვნენ. აკბარა უცებ ელვის სისწრაფით გაიქცა, თითქოს ძუძუთა ლეკვები ელოდნენ. ეს თავის მოტყუება და ცდუნება ტაშჩაინარსაც გადაედო და ახლა ორივე მიქროდა ხეობაში — ორივეს იმის იმედი მიაჩნებინებდა, რომ ჩქარა ნახავდნენ თავიანთ ლეკვებს.

და ყველაფერი ისევ განმეორდა — აკბარა ბუჩქნარებს შორის გამავალ ბილიკზე გაქანდა და კლდის გადმონაშვერქვეშ ნაპრაღში შევარდა, ისევ მოყნოსა ცარიელი კუთხეები, ცივი საფენი, ისევ დარწმუნდა, რომ თავისი შვილები — ძუძუთა ლეკვები იქ არ იყვნენ, ამას ვერ შეურიგდა, და ისევ გამოიჭრა ბუნაგიდან, დარდისაგან გაგიჟებული ისევ დაეტაკა ტაშჩაინარს, რომელიც უხერხულად შეეჩება შემოსასვლელში, და ისევ დაიწყო წრიული ნაკადულთან, ყნოსავდა წინა დღით ბაზარბაის აქ ყოფნილ ნაკვალევს. ამ მიდამოზე ყველაფერი საზიზღარი და მტრული იყო — განსაკუთრებით ქვაზე მიყუდებული ნაკლული არყის ბოთლი. მძაფრმა, მწარე სუნმა ძუ მგელი გადარია, იგი იღრინებოდა, იკბენდა თავს, ხრავდა მიწას, შემდეგ დრუნჩი მალლა ასწია და გაბმული ხმით აყმუვლდა, მოთქმით ატირდა, თითქოს საშინლად გააბრაზესო, და უჩვეულოდ ლურჯი თვალებიდან ცრემლი ღვარ-ღვარად გადმოსდიოდა.

და არავინ იყო ქვეყნად მისი მანუგეშებელი, ვერავინ უპასუხებდა ტირილით ტირილზე. გულცივნი იყვნენ მთანი მალაღნი...

მეორე დღეს, დილით დაახლოებით ათ საათზე, ბაზარბაირ რიგუტოვი ცხენის შეკაზმვას აპირებდა, რათა რაიცენტრში გაევიღო, მაგრამ მისკენ მომავალი მხედარი დაინახა. ნეტავ რა საქმემ მოიყვანა ტყუილად საზამთრო სადგომში? მხედარს ყვითელი მოთრიმლული ქურჭი გადმოდებდა მისი ბეწვის ქუდი ეხურა, ცხენი ნელი ჩორთით მოჰყავდა დასავლეთის მხრიდან, მცირე ფერდობის ძირას. კარგად, ჩინებულად იჯდა უნაგირზე. ბაზარბაირ უმაღლიცნო მხედარი; შემდეგ უფრო დააკვირდა ჩალისფერ დონურ იაბოს და დარწმუნდა, არ შეეცდარვარო, — ეს თვით ბოსტონ უკრუნჩიევი იჯდა თავის დონკულიუკზე. ბოსტონის მოულოდნელმა გამოჩენამ უსიამოვნოდ გააოცა ბაზარბაირ, ისე უსიამოვნოდ, რომ უნაგირი გვერდზე გადადო და გადაწყვიტა, მოძულე მეზობელს დალოდებოდა. ხოლო მეზობელს რომ არ ეფიქრა, მე მხედებო, ბლუჯა ნამჯით ცხენის წმენდას შეუდგა. თავი ისე დაიქირა ვითომ საქმეს აკეთებდა. ბაზარბაირის ისეთი უცნაური შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ბოსტონი მოულოდნელად წაადგა თავს. მან თვალი მოავლო ბაქს, ფარეხებს, დილაადრიან საქმეებით გართულ მწყემსებს — ყველაფერი რიგზეა თუ არაო. რა თქმა უნდა, ბოსტონს თავის საზამთრო სადგომში უფრო მეტი წესრიგი აქვს, სამუშაოზე ნამდვილი მხეცივით ტრიალებს, მაგრამ მოწინავეც ამიტომ (ავიენები ამბობდნენ — იმ დიდებულ წლებში მას ციმბირში უკრავდნენ თავს, როგორც კულაკს), ბაზარბაირი ვინაა — ჩვეულებრივი რიგითი აზიელი მეცხვარე. მისთანებს თვლა არა აქვს მთებსა და ტრამალებში, სწორედ ისინი მწყემსავენ იმ მილიონიან ფარებს, რომელთა ჩლიქები საშუალებას არ აძლევენ ბალახს მიწიდან თავი წამოჰყოს, ფესვებიანად ქელავენ. შემდეგ კი ხომ ყველას თავისას მოჰკითხავენ. ბოსტონი სხვაა, ბაზარბაირი — სხვა. ვიდრე ბოსტონი ახლოვდებოდა, ბაზარბაირის თავში ფიქრები აუფორიაქდა. „ჩვენმა კულაკმა უცბად რად ინება ასე დილაადრიან მობრძანება? წინათ არასოდეს მოსულა! — საგონებელში ჩავარდა ბაზარბაირი. — რატომ მოვიდა? რისი გულისთვის?“ ის იყო გადაწყვიტა, ბოსტონი სახლში შეეპატიებინა, რაჟი კაცი ეწვია, მაგრამ წარმოიდგინა თავისი საცხოვრებელი, მოუვლელი ბრიგადის სახლი, უპირველეს ყოვლისა, ცოლი, უბედური, ავი კოკ ტურსუნი (განა შეიძლება იგი გულიუმკანისთვის შეგედარებინა!) და ეს აზრი უკუაგდო.

ტამანის საზამთრო სადგომს მოახლოებულმა ბოსტონმა ცხენი ეზოს განაპირას შეაჩერა, აქეთ-იქით მიმოიხედა, და ფარდულთან თვით თავჩობანი რომ შეამჩნია, მისკენ გაემართა, ორივე თავდაქერილად მიესალმა ერთმანეთს — ბოსტონი ცხენიდან არ ჩამომხტარა, ბაზარბაირის თავისი საქმისათვის ხელი არ შეუშვია. სხვათა შორის ასეთი შეხვედრა არც ერთს სწყენია და არც მეორეს.

— კარგია, რომ შინ მოვისწარი, — უთხრა ბოსტონმა და ხელისგული უღვაშზე გადაისვა.

— როგორც ხედავ ადგილზე ვარ, რა დაგჭირვებია, თუ საიდუმლო არაა?

— რომელი საიდუმლო, საქმე მაქვს.

— ჰო, შენისთანა კაცი უბრალო საქმეზე არ მოვიდოდა, — ზვიადად უთხრა ბაზარბაირი. — მართალს ვამბობ?

— მართალს ამბობ.

— მაშ, ჩამოქვეითდი, თუ საქმეზე მოხვედი.

ბოსტონი მდუმარედ ჩამოქვეითდა, დონკულიუკი ცხენსაბურზე მიაბა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არ დავიწყებია — მოსართავი მოეშვა, რათა ცხენს მკერდზე მოჭერილი ღვედებისაგან დაესვენა და თავისუფლად ეშობრა. შემდეგ ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, თითქოს თვალთ ზომავდა, რა ხდებოდა ეზოში.

— რას უდგახარ? რას ათვალეირებ? — ცუდად დაფარული სფეროების მხიანა ბაზარბაი. — დაჯექი მაგ მორზე, — შესთავაზა, თვითონ თავის ფეხებთან დაგდებულ ტრაქტორის საბურავზე მოიკალათა.

სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთს ისევ ამრეზილად შეხედა. ბაზარბაის არაფერი არ მოსწონდა ბოსტონისა — არც ის, რომ კიდებზე შავკრაველშემოყოლებული კარგი ქურჭი ეცვა და ფართო მკერდზე გადალედოდა, რომ ბრგე იყო და ნათელი თვალები ჰქონდა, რომ სახეზე ჩამუქებული სპილენძის ფერი ედო, რომ წუხელ უთუოდ გულიუმკანს ეწვა ლოგინში, თუმცა რა მისი საქმე იყო ეგ.

— აბა, გისმენ, თქვი, რა გინდა, — თავი დაუქნია ბაზარბაიმ.

— იცი, რა საქმეზე მოვედი, — დაიწყო ბოსტონმა. — ხედავ, აგერ ხურჯინი წამოვიღე, უნაგირს დავაკარი. მომეცი ეს ლეკვები. თავის ადგილას უნდა დავაბრუნო.

— რომელ ადგილას?

— ბუნაგში ჩავსვა.

— თურმე რა ყოფილა! — მზაკვრულად დაიღრიჯა ბაზარბაი. — შე კი ვფიქრობდი, რის გულისთვის ინება დილითვე ჩვენთან მობრძანება ჩვენმა მოწინავემ-მეთქი, საქმეები რად მიატოვა და ცხენი რად მოაგელვა-მეთქი. ალბათ გავიწყდება, რომ შენი მწყემსი არა ვარ. მეც შენისთანა თაჩობანი გახლავარ და შენი სიტყვა ჩემთვის სავალდებულო არაა.

— რა შეაშია აქ სავალდებულო-არასავალდებულო. შენ რა, არ შეგიძლია, მშვიდად მომისმინო? თუ გგონია, რომ მგლები გუშინდელ ამბავს დაივიწყებენ, ძალიან სცდები, ბაზარბაი.

— მერე მე რა! არ დაივიწყებენ და ნუ დაივიწყებენ, რა ჩემი საქმეა, ან რა შენი საქმეა?

— ის, რომ წუხელ მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუტავს, ორივე მგელი ყმუოდა, მანამ არ დაწყნარდებიან, სანამ შვილებს არ დაუბრუნებენ. ვიცი მე მგლის ზნე.

ბოსტონი აქ ისე მოვიდა, როგორც მთხოვნელი და ბაზარბაის ამის გამო ერთი სული ჰქონდა, აგდებულად მოქცეოდა, დაეცინა. ეჩვენებინა, თავად ვინც იყო. ბოსტონი რომ თვითონ ეახლებოდა და ხვეწნას დაუწყებდა, ამას თავის დღეში როგორ წარმოიდგენდა. ამიტომ გადაწყვიტა, ეს სახეირო შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა. თან ნიშნის მოგებით გაიფიქრა: კარგია, რომ ღამით მოსვენება არ გქონდათ, კარგია, რომ გულიუმკანთან საალერსოდ არ გეცალა, ნეტავ ყოველთვის ასე იყოსო. შემდეგ ქვეშქვეშად გახედა და უთხრა:

— ტვინი ნუ წაიღე, ბოსტონ! ბრიყვი ხომ არ გგონივარ! ლეკვები იმიტომ კი არ წამოძიყვანია, რომ ღამის ბოდიშ-ბოდიშობით უკან დავაბრუნო. დიდი წარმოდგენისა ხარ საკუთარ თავზე! გარდა ამისა, მე ჩემი ინტერესები მაქვს, შენ — შენი. ფეხებზე არ მკიდია, შენ და შენს დედაკაცს გეძინათ თუ არა, რაში მენადვლება.

— ბაზარბაი, დაფიქრდი, უცებ ნუ მეტყვი უარს.

— რა მაქვს დასაფიქრებელი?

ბოსტონმა ძლივს შეიკავა თავი, მიხვდა, რომ დიდი შვეცლომა დაუშვა ახლა ისღა დარჩენოდა, უკანასკნელი საშუალება გამოეყენებინა.

— ტყუილა იქცევი ასე, — უთხრა ბაზარბაის. — მაშინ, — ბოსტონი ჯერ კიდევ ცდილობდა თავი მოეთოკა. — მაშინ კაცურად მამოიხდეთ! — შენ გაყიდე, მე ვიყიდი! სულ ერთია, უნდა გაყიდე, ჰოდა, მე მოხყიდე. თქვი, რამდენი გინდა და საქმე გავათათ.

— არ მოგყიდი! — ბაზარბაი ზეზე წამოიჭრა კიდევაც. — არაფრის გულისთვის არ მოგყიდი! გამომიხტა რა ესეც — მომყიდეო! ვითომ შენა გაქვს ფული და მე — არა! ფეხებზე არ მკიდია შენი ფული. ამ ლეკვებს გავყიდი და აღებულ ფულს ღვინოში დავახლერებ, შენ კი არ მოგყიდი, გაიგონე? ფეხებზე მკიდია, ვინ ხარ და რა ხარ! აბა, საჩქაროდ შევქეპი ცხენზე და მოუსვი, ვიდრე ლამაზი ხარ!

— სისულელეს ნუ ამბობ, ბაზარბაი. მოდი, კაცურად მოვილაპარაკოთ. რა განსხვავებაა, ვის მიჰყიდი ლეკვებს?

— შენთვის რალა განსხვავებაა! შენ მე ნუ მასწავლი, ჰკუა უშენოდაც არ მაკლია. წყნარად, თორემ ისეთ ამბავს დაგათევ შენს პარტიულ კრებაზე, სადაც სულ იბრიქები, სხვა მოწინავეებზე მეტი მოწინავე ვარო და ყველას ჰკუას არიგებ, ისეთ ამბავს დაგათევ, დაგავიწყდეს მზე საიდან ამოდის და სად ჩადის. ისეთ ამბავს დაგათევ, შენს სიცოცხლეში არ დაგავიწყდეს!

— ოჰო! — გულწრფელად გაუკვირდა ბოსტონს და ბაზარბაი უნებლიეთ ხელით გაინაპირა. — ჩემს შეშინებას მოეშვი, შენ ის მითხარი, აგრე რამ გადაგრია?

— რამ გადაგრია? რამ და, იმანი! ხელისუფლებას ეწინააღმდეგები. გასაგებია! მარტო შენი თავი გგონია ჰკვიანი! უფროსობა მოითხოვს, ყველგან განადგურდეს მტაცებლებიო, შენ კი გადაწყვიტე, მგლები შეივრდომო, გადაწყვიტე, მოამრავლო ისინი — ხომ ასეა? აბა, დაუფიქრდი შენი კულაკური გოგრიო! მე მთელი ნაყარი წამოვიყვანე, მაშასადამე, სახელმწიფოს დიდი, სარგებლობა მოვუტანე, შენ კი გინდა ისინი ბუნაგში დააბრუნო. დაე, გაიზარდონ, დაე, გამრავლდნენ, ასეა ხომ? თანაც ჩემი მოსყიდვა გინდა!

— შენი მოსყიდვა კი არ მინდა — ნეტამც თვალს დამიბნელდეს და არ გიყურებდე — ლეკვები მინდა ვიყიდე. ამოდ მაშინებ, ლამის სასამართლოს გადამცე. ჯერ დაუფიქრდი, ტვინი გაანძრიე, რას აკეთებ და რა ხარ ამის შემდეგ! თავდაპირველად ასაკსრული მგლები უნდა მოიცილო, თუ ეგეთი გმირი ხარ, უპირველეს ყოვლისა ძუ მგელი, რაკი ბუნაგს გადააწყდის. ხოლო თუ ამის თავი არა გაქვს, სხვებს უთხარი, ვისაც ძალა შეგწევთ, ამ საქმეს მიხედეთ-თქო.

— ეს სხვა შენ ხომ არ ბრძანდები?

— თუნდაც მე ვიყო! ახლა გინდ ეგ მგლები გიძებნია და გინდ წყალი ჰკვი-შაში. რაკი ბუნაგი გაუნადგურე, ძუსა და ხვადს უკვე ველარ მონახავ და ველარ მოკლავ. ახლა მთელ არემარეში დაიწყებენ ფრინველ-საქონლის ხოცვა-ვლეტას. ნებისმიერ წამს შურს იძიებენ ადამიანზე. ჰოდა, ბიჭი ხარ და გაუძელი. გიფიქრია ამაზე?

— არაკუნე, არაკუნე, ბიჭოს, რა ვეჭილი გამოუჩნდი მგლებს! აბა, დაამტკიცე, რომ ეგრეა. ვინ დაგიჯერებს? მგლებზე ისე ლაპარაკობ, როგორც ადამიანებზე, დაჩვეული ხარ ცრუპენტელობას, ვიცო, რაცა ბრძანდები! მე შენ

სხვა რამეს გეტყვი. აქ ჩემს დასაბრუნებლად მოეთრიე... — ბაზარბაიმ სათქმელი არ დაამთავრა, მელოტი თავიდან ქუდი მოიძრო და ბოსტონს მიექოა. უესტად შუბლდაფერდებულ ხარს ჰგავდა. ისინი პირისპირ ედგნენ ერთმანეთს. ქმინაგდნენ, ერთიმეორის სიძულვილი სულს უზუთავდათ.

კიდევ რა გინდა მოთხრა? — დაძაბულობისაგან ჩაბრინწული ბოსტონმა. — თქვი, მეტი დრო არა მაქვს!

— ყოველთვის ვიცოდი, რომ წუწურაქი იყავი, სულ იმას ფიქრობ, მხოლოდ შენკენ მიიხვეტო ყველაფერი, ამიტომაც დაწანწალებ კრებებზე, თითქოს უშენოდ იქ ვერაფერს გახდებიან. ის კი არავინ იცის, რომ შურისაგან სული გძვრება ძალღივით, როცა ვინმეს ბედი უღიმის. ნადავლი სხვამ წამოიყვანა, ნაყური სხვამ წამოსხა და აღარ იცი, რა ჰქნა, ღამეები არ გძინავს, როცა ვინმეს ხელი მოემართება!

— ფუი! — ველარ მოითმინა ბოსტონმა. — ასეთ ქვემძრომთან რა ძალა-ძარაკებს! თვითონაც სულელი ვარ! ეგ რომ მცოდნოდა, აქ რა მომიყვანდა! გეყოფა ლაილაი! მორჩა! ახლა ლეკვები რომც მომცე, ხელს არ დავაკარებ. რაც გინდა, ისა ჰქენი!

გულზე ცეცხლმოდებული ბოსტონი ცხენაბმურთან მივიდა, მსწრაფლად მოგლიჯა საბელი, ცხენს ისე ერთბაშად მოუჭირა მოსართავი, იგი შეტორტმანდა და ფეხები შეინაცვლა. შემდეგ ბოსტონი უცებ დაებურტყა უნაგირზე, იმ ზომამდე იყო გაავეებული, ბაზარბაის ცოლის ძახილი არც გაუგონია. საბრალო ქალს სულ ცოტა დააგვიანდა, როცა სახლიდან გამოვიდა, დაინახა, რომ ქმარი ვიღაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა და ხელებს იქნევდა „ნეტა ვის ელაპარაკება? ნუთუ თვით ბოსტონი მოვიდა? მაინც რა საქმეზე უნდა იყოს მოსული?“ — გაიფიქრა კოკ ტურსუნმა. იგი უმაღ მიხვდა, რომ კაცები დავობდნენ და მათკენ გაეჩქარა, მაგრამ დააგვიანდა — ბოსტონი უკვე თავის ჩალისფერ დონურ იაბოს მიერუკებოდა. განრისხებული ჩანდა, მან თავზე მელიის ბეწვის ქუდი ჩამოიშხო, ცხენს მათრახი გადაუჭირა და გააქროლა, ქურქის ქალთები ფრთებივით უფარფარებდა.

— ბოსტონ! ბოსტონ! მოიცადე! მომისმინე! — მიაყვირა სტუმარს კოკ ტურსუნმა, მაგრამ ბოსტონი არ მობრუნებულა — ვინ იცის, შეიძლება ქალის ხმა ვერ გაიგონა, შეიძლება მობრუნება არ ისურვა.

— რად აწყენინე ადამიანს? რაზე კამათობდით? — ჰკითხა ქმარს კოკ ტურსუნმა.

— ეგ არ გეკითხება! და ნუ ღრიალე, რისთვის ეძახდი? რა არის შენი?

— შენს სიცოცხლეში ერთხელ გესტუმრა და როგორ დახვდი? ვინ გაგაჩინა ნეტავ ასეთი? მტარვალი ხარ და არა ადამიანი!

ცოლის სიტყვებმა ბაზარბაი გადარია, წამოვარდა, მორზე შენტა და ბოსტონს მიაბლავლა:

— ოხ, მე შენი დედა! ზოგ-ზოგები არ გეგონო! დაჩვეულხარ აქ, ყველამ თავი გიქიციოს! შენი დედა...

— ხმა ჩაიწყვიტე! გაჩუმდი! — მამაცურად ეცა კოკ ტურსუნი ქმარს დმორიდან ჩამოაგდო. — გირჩევნია, მე მცემო, რატომ ასხამ ადამიანს თავს-ლაფს? რისთვის?

— მომშორდი, შე კოფაკო! — მოიცოლა ბაზარბაიმ ცოლი. — ნეტა ვისი ტიკი-ტომარა ხარ? ამას დამიხედე, ბაზარბაი მომელაქუცებო, აჰა, წაიყვანე ლეკვები, როგორც გინდა ისე იყოსო! ზოგ-ზოგები არ გეგონო!

— მაშ, ლეკვების გამო წაეჩხუბე? — გაუკვირდა კოკ ტურსუნს. — მართლა საჩხუბარი მაინც ყოფილიყო! პირდაპირ ქვეყანა გადაბრუნდა! ვაი, სირცხვილო...

IV



იმ დღეს მგლები წავიდნენ, მაგრამ დროებით კი არ წავიდნენ, ბუნაგი მიატოვეს, ღამით არ დაბრუნებულან და სხვაგან დაეხეტებოდნენ — ხან ნალვლიანად იწვნენ. სადაც მოხვდებოდნენ, ხან ისევ დაძრწოდნენ იმ არემარეზე, მაინცდამაინც არ იმალებოდნენ, თავხედურად იქცეოდნენ, თითქოს ადამიანებს აღარ უფრთხოდნენ. იმ დღეებში ბევრმა მეცხვარემ შეამჩნია ისინი სრულიად მოულოდნელ ადგილებში. ძუ მგელი ყოველთვის თავდახრილი მიაბიჭებდა შლეგივით, უკან ხვალი მიჰყვებოდა განუყრელად. ისე ჩანდა, თითქოს დალუპვას ესწრაფვოდნენ, რაკი სულ არ ებუებოდნენ საფრთხეს. რამდენჯერმე საცხოვრებლებისა და ფარეხების მახლობლად გაიარეს და წარმოუდგენელი აურზაური ატეხინეს ძაღლებს. ნაგაზები გაავებით ყუფდნენ, მძვინვარებდნენ. ბორგაედნენ. თავს ისე იჭერდნენ, თითქოს აგერ-აგერ შეუტეოდნენ ნადირს. მაგრამ მგლები მათ ზედაც არ უყურებდნენ. ნაბიჯს არ აჩქარებდნენ, მაშინაც კი, როცა ესროდნენ, ისე განაგრძობდნენ თავიანთ გზას, ვითომც სროლის ხმა არც გაუგონიათო. ამ უცნაური მგლების სიგიჟის ამბავი ყველას პირზე ეკერა. ხალხი უფრო მეტად ალაპარაკდა, როცა აკბარმა და ტაშჩაინარმა მგლური ტაბუ დაარღვიეს და ადამიანებზე დაიწყეს თავდასხმა. ერთხელ დღისით, მზისით ტრაქტორისტს დაესხნენ შუა გზაზე. ჭაბუკს მისაბმელი საზიდრით თივა მიჰქონდა. უცებ საჭე გაიჭედა და ყმაწვილი ტრაქტორის ქვეშ შეძვრა, რათა გაეგო. რა მოხდა. დიდხანს ჯახირობდა იქ, ატრიალებდა ქანჩის გასაღებებს, და აი, შორიახლო შელღობილ თოვლზე მომავალი ორი მგელი დაინახა. მგლები მისკენ მოდიოდნენ. ჭაბუკი ყველაზე მეტად თურმე მგლის თვალებმა განაცვიფრეს. როგორც შემდეგ ჰყვებოდა, მგლები ისე მძვინვარედ იყურებოდნენ, სისხლი გაგეყინებოდა. თანაც ძუ ოდნავ დაბალი იყო ხვადზე და ლურჯთვალა. თვალები აწყლიანებული ჰქონდა, ჭიქურ იმზირებოდა. კიდევ კარგი, ყმაწვილი არ დაიბნა, კაბინაში შეხტომა და კარის დაკეტვა მოასწრო. კიდევ კარგი, ძრავა სტარტერის მეშვეობით ჩაართო, თორემ ხელით ამუშავება მოუწევდა. ბიჭს ნამდვილად გაუშართლა. ტრაქტორი არახრახდა და მგლები განზე გახტნენ. მაგრამ არ წასულან, სულ ცდილობდნენ ხან ერთი მხრიდან მიახლოვებოდნენ მას, ხან — მეორედან.

ერთხელაც მხოლოდ სასწაულით გადარჩა ერთი ყმაწვილი მწყემსი. ეს ამბავიც დღისით მოხდა. მწყემსი სახედრით წავიდა ფიჩხის მოსატანად, სახლიდან არც ისე შორს. როცა ბუჩქებში ნამგლით ძირზე შემხმარ შიმელებს ჭრიდა, საიდანღაც ორი მგელი გამოხტა და სახედარს ეცნენ. სახედარმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე მოაშთვეს. მგლები მას ელვის უსწრაფესად, უბაჟროდ დაესხნენ თავს. ბიჭი გაიქცა. გარბოდა და ნამგალს ხელიდან არ უშვებდა, ფარეხამდე რომ მოაღწია, დაეცა და საშინელი ხმით ატეხა ყვირილი. როცა შეიარაღებული მწყემსები ბუჩქნარისკენ გაცვივდნენ, მგლები აუჩქარებელი ძუნძულით მიეფარნენ ბორცვას. სროლაზეც არ აუჩქარებიათ ფეხი...

მცირე ხნის შემდეგ კი მგლებმა ფარეხის მახლობლად საძოვრად გაშვებული მაკე ნერბების ნამდვილი ხოცვა-ვლეტა გამართეს. არავის უნახავს, რა

და როგორ მოხდა. მწყემსები მაშინდა მოეგნენ გონს, როცა ცოცხლად გა-
დარჩენილი ცხოველები ფარეხებში მოცვივდნენ. თხუთმეტი დაგლეჯილი მკვ-
ნერი ეყარა საძოვარზე. მგლებს მხეცურად დაეხოცათ ისინი, ყელი გამოეცა-
დრათ, დაეხოცათ უაზროდ — არა იმიტომ, რომ შიმშილი დაეცხროთ, არამედ
მოკვლის სურვილი დაეკმაყოფილებინათ.

ეროვნული
გმობის

და დაიწყო აკბარასა და ტაშჩაინარის ბოროტმოქმედებათა აღზუსნვა. და
საშინელი სახელი გაუვარდა მათ. მაგრამ ადამიანები მხოლოდ საქმის გარე-
გან მხარეს ხედავდნენ და ნამდვილი მიზეზები, შურისძიების ნამდვილი მიზე-
ზები არ იცოდნენ — არ უწყოდნენ, რა უსაშველოდ წუხდა დედა მგელი ბუ-
ნაგიდან გატაცებულ შვილებზე...

ბაზარბაი ქეიფობდა, თავაგდებულად იქცეოდა, ლოთობაში ანიაგებდა
მუქთად ნაშოვნ ფულს, იმ დღეებში. დროს ატარებდა ტბის სანაპიროს სა-
კურორტო რესტორნებში. მართალია, ახლა უსეზონობის გამო რესტორნები
გამოცარიელებულ-გამოპირქუშებული იყო, მაგრამ არაყი რამდენიც გინდო-
და, იმდენი იშოვებოდა ყველგან. ჰოდა, სადაც კი მოხვდებოდა ბაზარბაი (იგი
ისე თვრებოდა მელოტი თავიც კი უწითლდებოდა) სულ ერთსა და იმავეს
ჰყვებოდა, თანამეინახეებს მოუთხოვდა, როგორ გააბუნძულა უკან ეს თავის
თავზე შეყვარებული, გადიდგულეებული ბოსტონი, ეს ქვაწვია და გველი, ეს
გამოუაშკარავებელი ფარული კულაკი, რომელსაც წინათ კედელთან მიაყენებ-
დნენ, როგორც კლასობრივ მტერს, და ბოლოს მოუღებდნენ. დასანანი, რომ
ის დრო წავიდა. ასეთი ტბის მიხვრეტა წმიდათა წმიდა საქმეა. ოციან-ოცდა-
ათიან წლებში ყოველ მილიციელს შეეძლო პირდაპირ მისსავე ეზოში მიეხვ-
რეტა კულაკი თუ მდიდარი. ამეებზე წიგნებია დაწერილი, რადიოთიც გად-
მოსცემდნენ, ერთი კულაკი როგორ ავიწროებდა, ანგარიშში ატყუებდა მო-
ჯამაგირეს, რისთვისაც დღისით, მზისით, ყველას თვალწინ საიქიოს გაისტუმ-
რეს, რომ ღარიბი კაცის დაჩაგვრა არავის მოპრიანებოდა. მაგრამ ბაზარბაის
ყველაზე მეტად იმის მოყოლა უყვარდა, ტანამში მასთან მოსულ ბოსტონს
კედლით ქვა როგორ ასროლინა, როგორ აგინებდა და დედას უტრიალებდა,
თან თავისსავე სიტყვებზე უფრო და უფრო შედიოდა ლაპარაკის ეშხში. თა-
ნამეინახენი, მეტწილად ზამთარში უსაქმოდ მოყიალე დომოტდუხჩუები¹.
რომლებიც ისე როხროხებდნენ, აშმორებულ და თამბაქოს სუნით ამყრალეებულ
საზვეების შენობების მინებს ზრიალი გაჰქონდათ, აქეზებდნენ, აგულიანებდ-
ნენ მთვრალ ბაზარბაის, კიდევ უფრო უნთებდნენ ცეცხლს მის მკვებარობას.
ეს ლაპარაკ-ლაპარაკი ბოსტონის ყურამდეც აღწევდა. აი, ამიტომ ატყდა ერთ-
ხელ დიდი დაკა-დაკა მეურნეობის დირექტორთან გამართულ კრებაზე.

უძილობისგან გატანჯულმა, უცებ მოზვავეებული, გულის დამამძიმებე-
ლი ფიქრებით შეპყრობილმა ბოსტონმა მთელი წინა ღამე იბორგა. ყველაფე-
რი კი იმით დაიწყო, რომ საზამთრო სადგომის შორიანლო ისევ დაიწყეს
ტრიალი მგლებმა და ისევ გააბეს ის აუტანელი, სულის შემძვრელი სიმღერა.
გულიუმკანი ისევ კანკალებდა შიშისგან და ქმარს ეკვროდა, შემდეგ კი ველარ
მოითმინა, მძინარე კენჯეში ისევ გადმოიყვანა თავის საწოლში და მოფერება
დაუწყო, სხეულით იფარავდა. თითქოს ბავშვს რაღაც ემუქრებოდა. ამაზე
ბოსტონს გუნება ეშხამებოდა, თუმცა ესმოდა, რომ ქალს ეპატიებოდა სიბ-
ნელისა და უჩვეულო ბგერების შიში.

¹ დომოტდუხჩუ — დასასვენებელი სახლების სეზონური მუშები.

ბოსტონმა რამდენჯერმე სცადა გარეთ გასვლა და თოფის სროლა, მაგრამ ცოლმა არ გაუშვა, ერთი წუთითაც არ უნდოდა მარტოდ დარჩენა. შემდეგ ქალმა მაინც ჩაიძინა, თუმცა მშფოთვარედ, ფხიზლად ეძინა. ბოსტონი კი ვერა და ვერ მოერია უძილობას. თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა. და ისე ჩანდა, რაც უფრო მეტ ხანს ცხოვრობდა ამქვეყნად, მით უფრო რთულდებოდა და ძნელდებოდა ცხოვრება, და იმდენად არ უსწავლავდა ამდენად ცხოვრების აზრის გაგება. ის, რაზეც წინათ არ ფიქრობდა ან გაურკვევლად სადღაც სულის სიღრმეში ფიქრობდა, ახლა აზრებში ცხადდებოდა და დაყინებით ითხოვდა, თავისი თავისთვის აუცილებლად ეპასუხა ბოსტონს, რა რა იყო.

ბოსტონი ხომ ბაღლობიდან საკუთარი შრომით ცხოვრობდა. მძიმე ბედზე ვადა წილად: მამა ომში დაეღუპა, როცა მეორე კლასში სწავლობდა, შემდეგ დედა გარდაეცვალა, უფროსი და-ძმები თავთავიანთთვის ცხოვრობდნენ, ზოგი მათგანი არც იყო ცოცხალი, და ბოსტონი ყველაფერს თავის თავს, მხოლოდ თავის შრომას უმადლოდა. როგორც ახლა ხვდებოდა, მის მიერვე დასახული რაღაც მიზნისკენ მტკიცედ, განუხრელად, ყოველდღე მიიწევდა, მუხლმოუხრელად მუშაობდა და მიაჩნდა, რომ მხოლოდ შრომა შეიძლებოდა ყოფილიყო ცხოვრების აზრი. ასევე გულმოდგინე მუშაობას აიძულებდა ყველხელქვეითს. ბევრი იმათგანი, ვინც მისი სკოლა გაიარა, ბოსტონმა ხალხში გამოიყვანა, მუშაობა ასწავლა, ასწავლა, რომ სწორედ მუშაობით დაეფასებინათ ცხოვრება. ვინც ამ მიზანს არ ესწრაფვოდა, აშკარად არ უყვარდა, აშკარად არ ესმოდა მათი. ამგვარი ადამიანები არაფრისმაქნისებად მიაჩნდა, ცივად და უგულოდ ექცეოდა. იცოდა, რომ ამისათვის ბევრი ზურგს უკან ლანძღავდა, წუწურაქს, კულაკს ეძახდა, ნანობდნენ, რომ ბოსტონი გვიან დაიბადა, თორემ მისი ძვლები ახლა ციმბირის თოვლში იქნებოდაო ჩამბალი. ბოსტონი, როგორც წესი, არავის არავითარ გაკილვაზე არ პასუხობდა, რადგან არასდროს ეეჭვებოდა, რომ ჭეშმარიტება მის მხარეზე იყო, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თორემ ჭვეყნიერება თავდაყირა დადგებოდა. ეს ისევე სწამდა, როგორც ის, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა. მხოლოდ ერთხელ დააჩოქა ბრმა ბედმა და აიძულა ენანა, რის შემდეგაც შეიცნო ექვის სიმძიმე და სიმწარე...

ბოსტონმა და ერნაზარმა, გულიუმკანის განსვენებულმა ქმარმა, იმ ტრაგიკულ ამბამდე ერთად სამი წელი იმუშავეს. კარგი მუშაკაცი იყო ერნაზარი, წუნს ვერ დასდებდი, თანაც საიმედო კაცი — სწორედ მისთანა კაცი სჭირდებოდა ბოსტონს ბრიგადაში. ერნაზარი თვითონ მოვიდა ბოსტონთან და იმ დღიდან დაიწყეს ერთად მუშაობა. პირველად შემოდგომაზე ეწვია ბოსტონს ბეშკუნგეიში, სადაც მას ცხვარი ედგა. მოსალაპარაკებლად ჩამოვედიო, უთხრა. პოდა, მოილაპარაკეს კიდევაც ჩაიზე. მომბეზრდაო, ჩიოდა ერნაზარი, შემთხვევით ხალხთან მუშაობა. რაც უნდა ეცადო, თუ თავჩობანი მეურნე არაა, ყველაფერი წყალში ჩაგეყრება. აი, წლები გადის, ორი ქალიშვილი მეზრდება, მალე უნდა დათხოვდნენ, დრო კი სწრაფად გარბის, და თუმცა წლებზე ფეხს ვიდგამ, მაინც ვალებში ვარ. სახლი ავიშენე, ვინ არ იცის, რა ჯდება სახლის მშენებლობა, შენთან კი, ბოსკე, ასე ეძახდა ბოსტონს პატივისცემით, არ დაგიმაღავ და მუშაობაც შეიძლება და ფულის გაკეთებაც. მატყ-

ლისთვის, ბარტონის ნამატისთვის, წონის ნამატისთვის ყოველთვის ფულადი პრემია გაქვს, თანაც განა ცოტა. ჰოდა, ვიფიქრე, მეტხოვა, თუ წინააღმდეგი არ იქნები, მოელაპარაკო დირექტორს, შენთან გადმომიყვანოს პირველ მკვლევარედ, შენს მარჯვენა ხელად. არ მოგატყუებ, თვითონ იცი ეს, თორემ ამ საუბარს არ წამოვიწყებდი...

ბოსტონი ერნაზარს მანამდეც იცნობდა, რაც უნდა იყოს, ეჭვგარეშად ბაში ცხოვრობდნენ, თანაც გულიუმკანი ბოსტონის ცოლს არზიგულს შორეულ ნათესავად მოხვდებოდა. მაშასადამე, შინაურები იყვნენ, მაგრამ, რაც მთავარია, ბოსტონი უმალ ენდო ერნაზარს და შემდეგ ეს არასდროს უნანია.

აი, აქედან დაიწყო ყველაფერი, ამ უბრალო ცხოვრებისეული ამბიდან. ერთმანეთთან შეწყობა არ გასჭირვებიათ, რადგან ერნაზარი ისევე, როგორც თვითონ ბოსტონი, ნამდვილი მეურნე იყო. სხვების აზრით მისთანა სულელს ცოტას ნახავდით: მეურნეობის საქონელს ისე უვლიდა, როგორც საკუთარს, თითქოს პირადად მას ეკუთვნოდა. ზომ არ აფრენსო? — კითხულობდნენ. აქედან კი გამომდინარეობდა ყველაფერი დანარჩენი — ისევე შრომობდა, როგორც საკუთარი თავისთვის, ისევე ზრუნავდა მეურნეობაზე, როგორც თავის საკუთარ საქმეზე. შრომისმოყვარეობა ერნაზარის ბუნება გახლდათ. შრომისმოყვარეობა ბუნებით მოსდგამდა და ცხოვრებაში უფრო განიმტკიცა იგი, ეს სამყაროს ნიშნეული თვისება; ეს თვისება ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს მომადლებული, ოღონდ ზოგნი მას, ამ თვისებას განიმტკიცებენ, ზოგნი — არა. აბა, ერთი დავფიქრდეთ, რამდენნი არიან ისინი, ეს უქნარები, ყველგან და ყოველ ფეხის ნაბიჯზე — დიდებიც, ყმაწვილებიც, კაცებიცა და ქალებიც. თითქოს არ ესმით ადამიანებს, თუ რამდენი უბედურება და სიღატაკე მოაქვს და მოჰქონდა ყოველთვის სიზარმაცეს. ბოსტონი და ერნაზარი კი ნამდვილი მშრომელები იყვნენ და ამიტომაც სულიერად ნათესავნი. ამიტომაც მუშაობდნენ შეხმატკბილებულად და შეთანხმებულად, უმალ უხვდებოდნენ კიდევაც ერთმანეთს გულისნადებს. მაგრამ მოხდა ისე, რომ, შესაძლოა, სწორედ ამ თვისებამ ითამაშა საბედისწერო როლი მათ ცხოვრებაში...

თუმცა ასეა თუ არა, ვინ იცის... საქმე ისაა, რომ დიდი ხნით ადრე, ვიდრე ბრიგადული და ოჯახური საწარმოო იჯარა გაჩნდებოდა, ბოსტონ ურკუნჩიევი ალბათ თავის ინტუიციით ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში იყინებდა, მას, უფრო სწორად მის ბრიგადას მიჩენილი ჰქონოდა მიწა და შუდმივად ესარგებლა ამ მიწით. ეს, მართალია, გულუბრყვილოდ გამოთქმული, ზოგი ორთოდოქსის თვალსაზრისით თავხედური მიზანი გულისხმობდა იმას, რომ მეჩემი საძოვარი ტერიტორია მქონოდა, ესე იგი ჩემი მიწა, ჩემი ფარეხები მქონოდა, ამასთან მათზე მე მეგო პასუხი და არა მნე-კომენდანტს, რომელიც თავს არაფერზე იცხვლებდა, მთებში საზაფხულო საძოვრები მქონოდა, რომ ჩემი ფართურთ იქით არ ეკრათ თავი, საითაც მოეპრიანებოდათ, ყველას სცოდნოდა, რომ ეს საძოვრები მე მაქვს მოჩენილი, მე, ბოსტონს, და არა სხვა ვინმეს, რომ ყველაფერი თვითონ განმეგო, როგორც პატრონს, მუშაკაცს. მაშინ ასჯერ მეტს ვავაკეთებდი და სახელმწიფოს გაცილებით მეტ პროდუქციას ჩავაბარებდი ზეგეგმით, ვიდრე გაუპიროვნებელ მიწაზე საქმიანობისას, სადაც ისე ვმუშაობ, თითქოს მოჯამაგირე-ჯალდამა ვიყო, რომელიც კაცმა არ იცის გაისად, შემოდგომაზე სად წავა.

არა, არ დაუჭირეს მზარი ბოსტონის ამ იდეას. თავდაპირველად ყველა

ეთანხმებოდა, პო, ეს, რა თქმა უნდა, სწორია, გონივრულია, სუყველას უნდა მიეჩინოს ნაკვეთები, დაე, ხალხმა თავი პატრონად იგრძნოს, ოჯახმა, ბავშვებმა იცოდნენ ამის შესახებ და ერთად იშრომონ თავიანთ მაწარმოებელს, მაგრამ როგორც კი რომელიმე ადგილობრივი ფნიზელი პოლიტიკონომისტი დაეჭვდებოდა: — ა, ხომ არაა ეს სოციალიზმის წმიდათა წმიდა პრინციპების ხელყოფა? — ყველაფერს დაუყოვნებლივ გადათქვამდნენ და პირიქით დაბრუნდნენ, იმას ამტკიცებდნენ, რის დამტკიცებაც საჭირო არ იყო. არავის უნდოდა, ექვმიტანილი ყოფილიყო ერესში. და მხოლოდ ბოსტონ ურკუნჩიევი — უმეცარი მწყემსი — ჯიუტად განაგრძობდა თავისი აზრის მტკიცებას მეურნეობის თუ რაიონის თითქმის ყოველ კრებაზე. ბოსტონს უსმენდნენ, აღტაცებაში მოდიოდნენ და იცინოდნენ: ამას რა უჭირს, რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს, დასაკარგი არაფერი აქვს, სამუშაოდან ვერ მოხსნიან, კარიერას ვერ გაუფუჭებენ, ბედნიერი კაციაო! და ყოველთვის მკაცრ პასუხს აძლევდნენ თეორიული პოზიციებიდან, განსაკუთრებით გულმოდგინებას იჩენდა მეურნეობის პარტორგი კოჩკორბაევი, საოლქო პარტსკოლის დიპლომიანი ტიპიური სწავლული. ამ კოჩკორბაევთან ბოსტონს თითქმის ანეკდოტური ურთიერთობა ჰქონდა. კოჩკორბაევი რამდენი წელი მეურნეობის პარტორგი იყო და ბოსტონმა ვერა და ვერ გაარკვია — მას გულუბრყვილო ასოკირკიტად მოჰქონდა თავი (ასოკირკიტობა უპირატესობას ანიჭებდა), თუ მართლა ასეთი ბრძანდებოდა. შესახებდავად ლოყებწითელ ცვედანს ჰგავდა — ნაპატიები იყო, ნიადაგ ყელსახვევი ეკეთა, ნიადაგ რალაც საქალაქე ეჭირა, ნიადაგ შეურვებული ჩანდა, ნიადაგ საქმეებით გართული, — ჩქარ-ჩქარა დადიოდა და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს გაზეთს კითხულობსო. ხანდახან ბოსტონი ფიქრობდა! შეიძლება ძილშიც ასე დაწყობილად ლაპარაკობსო.

— ამხანაგო ურკუნჩიევ, — ტრიბუნიდან საყვედურობდა ბოსტონს პარტორგი კოჩკორბაევი, — დიდი ხანია, უნდა იცოდეთ, რომ მიწა ჩვენში საერთო-სახალხო საკუთრებაა. ასეა ჩაწერილი კონსტიტუციაში. მიწა ჩვენს ქვეყანაში ეკუთვნის ხალხს. მხოლოდ ხალხს და სხვას არავის. თქვენ კი თქვენთვის მოითხოვთ. შეიძლება ითქვას, კერძო საკუთრებად მოგცენ საზამთრო და საზაფხულო საძოვრები, ფარეხები, საკვები და სხვა ინვენტარი. ჩვენ ამას ვერ შევურიგდებით — უფლება არა გვაქვს სოციალიზმის პრინციპების დამახინჯებისა. მიხვდით, საით უკაკუნებთ და საით გინდათ ჩვენი წაყვანა?

— არსად არავის წაყვანა არ მინდა, — არ ნებდებოდა ბოსტონი. — თუ პატრონი ხალხია და არა მე, დაე, ხალხი წავიდეს და იმუშაოს ჩემს ფარეხში, მე კი შევხედავ, რა გამოვა აქედან. თუ ჩემი საქმის პატრონი მე არა ვარ, მაშ, ბოლოს და ბოლოს ვინ უნდა იყოს პატრონი?

— ხალხი, ამხანაგო ურკუნჩიევ, კიდევ გიმეორებ — საბჭოთა ხალხი, სახელმწიფო.

— ხალხი? მე კი თქვენი აზრით ვინდა ვარ? რალაც ვერ გამიგია. რატომ არა ვარ მე სახელმწიფო? შენ, პარტორგო, თითქოს ახალგაზრდა ნასწავლი კაცი ხარ, მერედა, რას გასწავლიდნენ იქ, თუ შენს სიტყვებს ვერ გავიგებ?

— მე, ამხანაგო ურკუნჩიევ, თქვენი გავლენის ქვეშ ვერ მოვექცევი, ვინაიდან კულაკურ დემაგოგიას აჩაღებთ, მაგრამ დაიმახსოვრეთ — თქვენი დრო წავიდა და ჩვენ არავის მივცემთ უფლებას სოციალიზმის საფუძვლების ხელყოფისას.

— კი პატრონო, თქვენ, უფროსებმა, უკეთ იცით საქმისა, — იღრინებოდა ბოსტონი. — მაგრამ სულ ერთია, ჩემსას არ მოვიშლი — მუშაობით მე უნდა

ვიმუშაო და არა სხვამ. ერთი ბეწო რამეზე ხმას მაწყვეტინებთ: ხალხი და ხალხიო! ხალხია პატრონიო! — გაიძახით. კეთილი. მაშინ ხალხმა განსაჯოს: საქონელი წლიდან წლამდე მეტი და მეტი ხდება, მეურნეობაში მარტო წვრილდება საქონელი ორმოცი ათასი სულია — ასეთი რამ წინათ არავის სიზმრად არ მოელანდებოდა, თავისუფალი მიწა სულ უფრო კლებულობს, გეგმუშნენ უკვე იზრდება. ჰოდა, თვითონ დაუკვირდით: აქამდე მე ერთ სულ ცხვარს წამოვიყვანე ლოგრამსა და შვიდას გრამს მატყლს ვპარსავდი, ხოლო ოცი წლის წინათ — ეს ყველამ იცის — ორ კილოგრამიდან დავიწყე, ესე იგი, ოცი წლის მანძილზე დიდი გარჯით კილოშვიდასი ნამატი მივეცი სახელმწიფოს. ახლა წლიური გეგმა ერთ სულზე ნახევარი კილოგრამით გაზარდეს. მერედა, საიდან მოვიტანო ეს ნახევარი კილოგრამი? ვიჯადოქრო? გეგმას არ შევასრულებ და ბრიგადა ვერაფერს მიიღებს. ადამიანებს კი ოჯახები ჰყავთ. მაშ, რისთვის უნდა მუშაობდნენ, მთელი წელიწადი რისთვის უნდა დასდევდნენ ცხვარს? რა-ნაირად შეიძლება ასეთი გეგმა შეასრულო, როცა ყოველი მეცხვარე ძერასავით მხოლოდ იმას უტრიალებს, რომ მეორეს უფრო უკეთესი საძოვარი წაართვას, რადგან მიწა საერთოა, მისი პატრონი არავინაა. მერედა რამდენი ჩხუბი აუტეხავთ მეცხვარეებს საძოვრების გამო, შენ კი, პარტორგო, თვითონ არაფერს აკეთებ და დირექტორსაც ხელ-ფეხის უკრავ! განა ვერ ვხედავ, ამას? — მე რას ვაკეთებ და რას არა, ეგ რაიკომის საქმეა, და არც რაიკომი დაეთანხმება თქვენს საბიფათო ავანტიურას, ამხანაგო ურკუნჩიევ!

და ყოველთვის საუბარი ქარს მიჰყვებოდა...

აქ კიდევ მეცხვარეთა ბრიგადაში ბედმა ერნაზარი მოიყვანა და ბოსტონს უახლოესი თანამოაზრე და მოკავშირე გაუჩნდა. მათი ცოლები, არზიგული და გულიუმკანი დასცინოდნენ ხოლმე კმრებს: რაც ალხანა, ის ჩალხანაო, არც ძილი იციან, არც დასვენება, მუშაობის მეტი არაფერი ახსოვთო. ერნაზარს და ბოსტონს სწორედ მაშინ გაუჩნდათ აზრი საქონელი გამოსაზაფხულებლად ალა-მონგიუს უღელტეხილის გადაღმა გადაერეკათ. იღეა ერნაზარს დაებადა. რაო, ამბობდა, მთელი ზაფხული მთისწინეთში ყოფნას, ყოველი ბალახის ღერისთვის მეზობლებთან აყალმაყალს, არ სჯობია საზაფხულოდ უღელტეხილის გადაღმა გადასვლა, კიჩიბელის საძოვარზეო? მოხუცების თქმით, წინათ ბაი-მესაქონლეებს ჯოგები და ფარები თითქოს იქ დაჰყავდათ. სწორედ იმ დროს შეიქმნა სიმღერა „კიჩიბელი“. ბოსტონმა და ერნაზარმა იცოდნენ, რომ კიჩიბელის ჩაილიაუ მანცდამაინც დიდი არ იყო, მაგრამ სამაგიეროდ იქ ზღაპრული ბალახი იზრდებოდა. ხუთ დღეში საქონელი იმდენს იმატებდა წონაში, რამდენსაც გასასუქებლად დაყენებული პირუტყვი ერთი თვის მანძილზე.

ბოსტონი წინათაც ფიქრობდა ამაზე, მაგრამ კიჩიბელის საკითხს ბევრი გაუგებრობა ახლდა. კოლმეურნეობის მესაქონლენი იქ ჯერ კიდევ ომამდე დადიოდნენ საზაფხულოდ — ყინულოვან ალა-მონგიუსზე გამავალ ერთადერთ საულელტეხილო გზას მიჰყვებოდნენ. ომის დროს კი, როცა აიღებში მხოლოდ მოხუცები და ბავშვები დარჩნენ, უკვე ველარავინ ბედავდა ასეთ ლაშქრობას. შემდეგ გაჭირვებული კოლმეურნეობები ერთ დიდ მეურნეობად გაერთიანდნენ. მეურნეობას რომელიღაც მორიგი... ხუთწლედის სახელი, ექვსი სიტყვისაგან შემდგარი სახელი ეწოდა. ხოლო ადგილობრივმა მოსახლეებმა მდინარე ბერიკ-სუუს მიხედვით „ბერიკი“ შეარქვეს. გაერთიანებისა და გარდაქმნის იმ ფაცაფუცში თანდათან დაავიწყდათ, რომ ზაფხულში მთელი ორი თვე ან მეტიც შეიძლებოდა საქონელი დიდი ალა-მონგიუს თოვლიანი უღელტეხილის გადაღმა გადაეყვანათ. იქნებ უკვე აღარც არავის უნდოდა

ამსიმაღლე უღელტეხილზე გადასვლა: ასეთ რთულ მთიან გზაზე საქონლის გადასარეკად ხომ ენთუზიაზში, პატრონის გზნებაა საჭირო, პატრონისა, რომელსაც სურვილი აქვს, რაც შეიძლება უკეთესად შეინახოს თავისი პირუტყვი. ძველად შეხვედრისას ყირგიზები ალბათ ამიტომ ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „მალ ჟან ამანბი?“ — ესე იგი, ხომ ჯანზეა საქონელი და ჯალბიო. პირველ რიგში საქონელზე ლაპარაკობდნენ, რას იზამ, ცხოვრება ცხოვრებაა...

ამ ძველთაძველი იდეით ანთებულმა ბოსტონმა და ერნაზარმა ფანქარი მოიმარჯვეს და კიჩიბელის ყველა ვარიანტი ასწონ-დასწონეს: თუნდაც უაღრესად მინიმალური გაანგარიშებით, ესე იგი, თუკი იმასაც გავითვალისწინებდით, რომ იქითობისას და აქეთობისას უღელტეხილის გადალახვის შემდეგ საქონელი წონაში დაიკლებდა, ჩიტი ღირდა ბრდღვნად. საქმე დიდ სარგებელს ჰპირდებოდა მეცხვარეებს — პირდაპირი ხარჯები, თუ ქვამარილის გადაზიდვის თანხას არ ჩათვლიდნენ, შრომის საზღაურის გარდა პრაქტიკულად სულ არ ექნებოდათ. მაგრამ ჯერხნობით ეს მაინც მხოლოდ და მხოლოდ მაცთუნებელი გაანგარიშებანი იყო.

ბოსტონმა გადაწყვიტა, უპირველეს ყოვლისა განყოფილების გამგისთვის მიემართა, შემდეგ საბჭოთა მეურნეობის დირექტორისთვის, ხოლო პარტორგს არ გაეკარა. არ უყვარდა იგი, ბევრჯერ დარწმუნდა, რომ ყბედი იყო, სულ ფრთხილობდა: ეს არ შეიძლება, ის არ შეიძლებაო, ოღონდაც კრებებზე გამოსულიყო, გაზეთში ნათქვამი გაემეორებინა, ყელსახვევი გაეკეთებინა და ეკობწიავა, მეტი არა უნდოდა რა. დირექტორს — მეურნეობის თავკაცს — კი ბოსტონმა უთხრა: იბრაიმ ჩოტბაევიჩ, ასე და ასე ვაპირებთ მე და ერნაზარი, საქმის სასარგებლოდ გვინდა განვაახლოთ ალა-მონგიუს უღელტეხილის მიღმა მდებარე საძოვრები. ჯერ ორნი წავალთ დასაზვერად, დავხედავთ, როგორი ადგილებია კიჩიბელზე, როგორი ბალახი, შემდეგ დავბრუნდებით და მთელი ზაფხულით დავძრავთ იქით ცხვარს. თუ ყველაფერი ჩვენი სურვილისამებრ დამთავრდა, კიჩიბელის საძოვარი ჩემზე გააპიროვნონ. რომელიმე მეცხვარე უღელტეხილის გაღმა გამოყოლას ისურვებს და კი, ბატონო, წამოვიდეს, ადგილი იმასაც ეყოფა, მთავარია, ვიცოდე, რომელ საძოვრებს გამომიყოფენ და რის იმედი უნდა მქონდეს სეზონის მანძილზე. აი, ამის სათქმელად მოვედი თქვენთან. მე და ერნაზარმა გადავწყვიტეთ, ორი დღის შემდეგ გავსწიოთ ალა-მონგიუს უღელტეხილისკენ, საქმეებს კი ჯერჯერობით ცოლებს და დამხმარეებს გადავაბარებთ.

— სიტყვამ მოიტანა და, თქვენი ცოლები როგორ უყურებენ, ბოსკე, ამ წამოწყებას? — დაინტერესდა დირექტორი. — ეს ხომ სახუმარო საქმე არაა?

— თითქოსდა მხარს გვიჭერენ. რა სალაპარაკოა. და ჩემი არზიგული ჭკვიანი დედაკაცია, გულიუმკანიც, ერნაზარის ცოლიც, თუმცა უფრო ახალგაზრდაა, სულაც არაა სულელი. ერთმანეთსაც, ვატყობ, კარგად შეეწყვნენ. აი, კიდევ რა მიხარია. თორემ მტრისას დედაკაცების კინკლაობა. სიცოცხლეს გაგიძაღლებენ... წინათ ისეთი ამბები მომხდარა...

კიდევ ილაპარაკეს მათ აქეთურზე, იქითურზე, თურმე შემოდგომაზე მოსკოვში ძნელად წარმოსათქმელ სმმგ¹-ზე რაიონის მოწინავეების გაგზავნა იყო გათვალისწინებული და თითქოსდა ბოსტონიც ლამის სიის თავში ეწერა.

— იბრაიმ ჩოტბაევიჩ, არ შეიძლება ცოლიც წამოვიდეს? ჩემი არზიგული დიდი ხანია მოსკოვის ნახვაზე ოცნებობს, — გამოტყდა ბოსტონი.

¹ სმმგ — სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

— მესმის შენი, ბოსკე, — გაელიმა დირექტორს, — როგორც იტყვიან, ვნახოთ, რა იქნება. რატომაც არ შეიძლება? მხოლოდ პარტორგის ნებართვაა საჭირო. მე მოველაპარაკები.

— პარტორგს? — დაფიქრდა ბოსტონი.

— ო, ნურაფერი გეეჭვება, ბოსკე, რა, შენ გამო შარს მოსდევს შენსი კოლს? ეს ხომ არაკაცური საქციელი იქნება.

— მთავარი ეგ როდია, რა მნიშვნელობა აქვს, წავალ თუ არ წავალ. ქვეყანა რა დაიქცევა. მე აი, რის თქმა მინდოდა შენთვის, დირექტორო. ძალიან გვჭირდება მეურნეობაში ამგვარი პარტორგი? უმისოდ არაფრით არ შეგიძლია გასძლო?

— რა იყო?

— რა იყო და, ვთქვათ, ფორანს ოთხი თვალი აქვს, ოთხივე ადგილზეა, ხოლო თუ მეხუთეს გავუკეთებთ, ის მეხუთე თვითონ ვერ იმოძრაებს და სხვებსაც შეუშლის ხელს. მინდა ვიცოდე, საჭიროა თუ არა ეს თვალი?

— იცი რა... — დირექტორი, წარმოსადეგი, ვეება კაცი, რომელსაც ელამი თვალეები. ფართო და ოდნავ ტლანქი სახე ჰქონდა, დასერიოზულდა, მაგიდაზე ქალაღდების გადაღაგ-გადმოღაგება დაიწყო, თვალეებზე დაღლილი ქუთუთოები ჩამოეფარა.

„ძილი აკლია, მაგის მოსვენება არაა“, — გაიფიქრა ბოსტონმა.

— სიმართლე გითხრა, საზრიანი პარტორგია საჭირო, — თქვა დირექტორმა მცირე ხნის ღუმილის შემდეგ.

— ეს?

დირექტორმა სახეში შეხედა ბოსტონს.

— აბა, რა ჩვენი საქმეა ამის გარჩევა? რაკი რაიკომმა გამოგზავნა, ვერაფერს გააწყო.

— რაიკომი, აი, ხედავ, — აღმოხდა ბოსტონს. — ზოგჯერ მგონია, თითქოს განგებ გვიჩვენებს, რომ რალაციისთვის სჭირდება ასე მოქცევა. გამუღმებით რატომ აფრთხობს ხალხს იმის ჩიჩინით, ვითომ მე სოციალიზმის დანგრევა მინდა? ეს ხომ სიცრუეა. თუკი რამეს ვითხოვ, ხომ საქმისთვის ვითხოვ. ამ მიწას მე არ გავყიდი, ვილაცას არ მივცემ. მეურნეობის იყო და მასვე დარჩება. მე კი, ვიდრე პირში სული მიღვას, ვიდრე ვმუშაობ. სულ ერთია, ჩემი ქუთით ვიცხოვრებ.

— ერთსა და იმავეს რად ჩამჩიჩინებ, ასე გამუღმებით, ბოსკე. რასაც შენ მთავაზობ, იმის გაკეთება არ შეიძლება.

— რატომ არ შეიძლება?

— იმიტომ, რომ არ შეიძლება.

— განა ესაა პასუხი?

— კიდევ რა შემიძლია გიპასუხო?

— მე შენი მესმის, იბრაიმ ჩოტბაევიჩ. შენ ერთხელ მარცხი მოგივიდა. გინდოდა, საქმე უკეთ წარგემართა, მაგრამ კისერი მოგიგრიხეს, დაგაქვეითეს, რაიკომიდან საბჭოთა მეურნეობაში გიკრეს თავი.

— სწორია და მეტად აღარ მინდა კისერს მიგრებდნენ: ჭკუა ვისწავლე.

— ხედავ, ყველა თავის თავზე ფიქრობს. მე წინააღმდეგი არა ვარ, კაცმა საკუთარ თავზე იფიქროს, მთავარია, ჭკვიანურად იფიქროს. ის კი არ უნდა დასაჯო, ვინც რალაც ახალი გააკეთა, არამედ ის, ვისაც გაკეთება შეეძლო და არ გააკეთა. ჩვენში კი ყველაფერი უკუღმაა.

— შენთვის ადვილია სხვისი განსჯა, — გაიცინა დირექტორმა.

— ყველას აგრე ჰგონია, მე კი მომბეზრდა ისე ცხოვრება, თითქოს სტუმრად ვიყო. სტუმრისგან რა მუშაკი დადგება, თვითონ მოგეხსენება. ჰა, თავდაპირველად ორი-სამი დღე გაფხაკურდება, შემდეგ საქმე მობეზრდება... ჩვენთან რაღა ხდება: მუშაობ, მუშაობ, კოჩკორბაევი კი სულ ცხვირში გიტკაცუნებს: შენ სტუმარი ხარ, შენ პატრონი არა ხარო.

— იცი, რა გითხრა, ბოსკე. შევთანხმდეთ: შენ მე ნუ დამიმოწმებ, მაგრამ ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ მიიჩნევ...

ამ სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს...

სამი დღის შემდეგ ბოსტონმა და ერნაზარმა დილაუთენია გასწიეს კიჩიბელისკენ. ყველას ეძინა, როცა ცხენებს მოახტნენ. ბოსტონი ჩალისფერ ლაფშაზე იჯდა. მისი დონკულიუკი იმხანად ორი წლისა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მთაში კი დინჯი ცხენით მგზავრობა სჯობდა. უღელტეხილს ხომ დაოთხებით ვერ გადაივლიდი. არც ერნაზარის ცხენს ეთქმოდა ცუდი. ცხენები იმ დროისათვის უკვე მოსუქებულნი იყვნენ, სწრაფად მიდიოდნენ. ორივეს გადაკიდებული ჰქონდა შვრიიანი ხურჩინი — თუ ღამის გათევა თოვლში მოუხდებოდათ, იქ დასჭირდებოდათ. თან მიჰქონდათ აგრეთვე ღამის სათევად გამოსადეგი ტყაბუჭები.

ზოგჯერ თვითონ გზა გგვრის სიხარულს. განსაკუთრებით, როცა შენი სულის საფერი თანამგზავრი გყავს და აუჩქარებლად, უბრალოდ მისაუბრობთ. იმ დღეს საოცრად ნათელი ამინდი იდგა — წინ მთები აღმართულიყვნენ, თოვლიანი ქედი თოვლიან ქედს მოსდევდა, ყოველი მომდევნო ქედი უფრო და უფრო დატოტვილი და დათოვლილი იყო, ხოლო თუ მოიხედავდი, უკან დაბლობში ვეება ტბას დაინახავდი და სულ გინდოდა გეცქირა დაბინდული სარკესავით გარინდებული ისიქ-ქოლის სილურჯისათვის.

— ეჰ, ნეტავ ისიქ-ქოლის ერთი ბეწო სილურჯე წამაღებინა ხურჩინით, — იხუმრა ერნაზარმა.

— ცხენს რაღას აჰმევი, შვრიის მაგივრად სილურჯეს? — დასაბუთებულად მიუგო ბოსტონმა.

ორივეს გაეცინა. მათ იშვიათად ჰქონდათ თავისუფალი დრო, ნიადაგ მეცხვარის ყოველდღიურ მძიმე საზრუნაეში იყვნენ გაბმულნი და თუმცა ახლაც მისთვის მიდიოდნენ, უღელტეხილზე საქონლის გადასარეკი გზა დაეზვერათ, ხოლო წინ კიდევ უფრო მძიმე და მტანჯველი საქმე ელოდათ, იმ წუთში ორივე ბედნიერად გრძნობდა თავს, წინაპრების ბილიკიც მათდამი ჯერხნობით მოწყალებას იჩენდა. ერნაზარი ჩინებულ გუნებაზე იყო, მის იდეას ასე თუ ისე გზასავალი მიეცა. ომიდან მოყოლებული მთელი ორმოცი წელი არავის გადაუვლია ეს უღელტეხილი, მათ კი გაბედეს.

სიტყვამ მოიტანა და ერნაზარს უყვარდა მსჯელობა, კითხვების დასმა. შესახედავად წარმოსადეგი კაცი იყო; ომის შემდგომ არმიაში უკანასკნელ ცხენოსანთა ნაწილებში მსახურობდა და ამდენი წლის გასვლის მიუხედავად ძველებურად მხარბეჭვამართული იყო. გულიუმკანი სიცილით ჰყვებოდა: ერთხელ ჩემი ერნაზარი კინალამ გამსახიობდა. ჩამოვიდა ვილაც კინორეჟისორი და შეეხვეწა, რა იქნება, კინოში გადაგიღებო. აქეთ მე მითხრა, შენი ერნაზარი რომ ამერიკაში ცხოვრობდეს, კინოში კოვბოის ითამაშებდაო. ამაზე მივუგე: ვიცი მე თქვენი კინოები, გამიგონია, ერთი მეჯოგე რომ წაიყვანეს

გადასაღებად და დაიღუპა კიდევ — რომელიღაც მსახიობმა ქალმა წააბრძანა, ამიტომ ჩემს ერნაზარს არ დაგანებებ-მეთქი.

ბოსტონი მიდიოდა და ფიქრობდა, როცა შემოდგომაზე კიჩიბელიდან საქონელს ჩამოვრეკავთ, ერნაზარს როგორმე უნდა დავეხმარო და ბრიგადა მივალე ბინო. კაცი გამუდმებით მუშაობს, დრო არის თავჩობანობა ექვეყნდეს მწყემსად დატოვება აღარ შეეფერება; მე რომ მეურნეობის დირექტორი ვიყავი, ან პარტორგი, არ შემეშლებოდა, როგორი ხალხი როდის და სად დამენიშნა, მაგრამ რას იზამ, ხალხის თქმისა არ იყო — „ბირი ქემ ღუნე“ — ამქვეყნად ყოველთვის რაღაც ისე ვერაა.

მთებში აღარ ხედებოდათ ტრაქტორები და მხედრები, გზად სულ უფრო იშვიათად ხედავდნენ საზამთრო სადგომებს და ფარეხებს, იცვლებოდა ლანდშაფტიც: აქ ბუნება სხვანაირი — უფრო მკაცრი, ცივი იყო. სალამო ხანს, ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე ბოსტონმა და ერნაზარმა კლდოვანი ხეობით ალა-მონგიუს უღელტეხილის ძირამდე მიალწიეს. შეიძლებოდა დაღამებამდე კიდევ ევლოთ. მაგრამ ასე განსაჯეს: საქონლის გარეკვისას, თუნდაც ალიონზე, ვარსკვლავების შუქზე გამოსულიყვნენ, სულ ერთია, მთელი დღის განმავლობაში მთებში დიდ მანძილს ვერ გაივლიდნენ, ხოლო რაკი ასე იყო, მაშასადამე, აქ ხეობაში, ზედ უღელტეხილის დასაწყისში მოუწევდათ ლამის გათევა. მესაქონლენი ასეთ ღამეს შიკამას, უღელტეხილის იერიშის წინა ღამეს უწოდებენ. შიკამასათვის მიდამო ფრიად ხელსაყრელი აღმოჩნდა — მყინვარებიდან პატარა მდინარე ჩამოედინებოდა, აქ იყო მისი სათავე, შეიძლებოდა ფერდობის ძირას ისეთი ადგილი შეგერჩია, სადაც მყინვარებიდან მონაბერი ქარი ვერ მიალწევდა. მეცხვარეებმა კარგად აცოდნენ, რომ მყინვარებიდან დაქროლილი ძვალ-რბილში გამტანი და საშიში ქარი შუალამით ამოვარდებოდა და მზის ამოსვლამდე ზუზუნებდა. ხოლო შიკამას მულამი ის იყო, რომ მრავალრიცხოვან საქონელს ღამით მყინვართა ქარისგან დაიფარავდი და დილით განახლებული ძალით შეუდგებოდი უღელტეხილის იერიშს.

მგზავრები ჩამოქვეითდნენ, ცხენებს უნაგირი მოჰხადეს და ლამის გასათევად მზადებას შეუდგნენ. ადგილი ფრიადო კლდის ძირას შეარჩიეს, მოავროვეს ფიჩხი — ერნაზარს არ დაეზარა ხეობაში საკმაოდ შორს ჩასულიყო, იქ, სადაც მთის დაბალი ხეები იზრდებოდა. შემდეგ ცეცხლთან შინიდან წამოდებული სანოვაგით ივახშმეს. ჩაიც კი ააღუდეს თუნუქის ჩაიდანში და ხანიერ გზაზე ნავალმა კმაყოფილმა მეცხვარეებმა მოსვენების თადარიგი დაიჭირეს.

უღელტეხილის ძირას სწრაფად ჩამოხედა და უცებ აცივდა, თითქოს ზამთარი ჩამოდგაო. ზაფხულიდან ზამთარში გადასვლას ცხენოსნის ერთი დღის გზა სჭირდებოდა მხოლოდ. ალა-მონგიუს მყინვარებიდან სიცივემ ჩამოასუთქა — ეს მარადიული მყინვარები ხომ სულ ახლოს, როგორც იტყვიან, ყურისძირში იყო. ბოსტონს რომელიღაც გაზეთში ამოეკითხა, რომ მაღლა მყინვარები მილიონობით წელი იმყოფებოდნენ და ხეობებში სწორედ მათი წყალობით ჩქეფდა სიცოცხლე — ნელ-ნელა დნებოდნენ და სათავეს უდებდნენ მდინარეებს, რომელთაც წყალი ცხელ დაბლობებსა და მინდვრებში ჩაჰქონდათ. აი, რა ბრძნულად იყო ყველაფერი მოწყობილი ბუნებაში.

— ერნაზარ, — შეეხმიანა ძილის წინ ბოსტონი. — ხედავ, რა სიცივეა! გრძნობ, როგორ ატანს ძვალ-რბილში? კიდევ კარგი, ქურქები წამოვიღეთ.

— ქურქები რაა, — უპასუხა ერნაზარმა, — წინათ ლოცვით შევლიდნენ ის. ამ ლოცვას უღელტეხილის ლოცვა ერქვა. გახსოვს იგი?

- არა, არ მახსოვს.
- მე კი მახსოვს, როგორ წარმოთქვამდა ბაბუა.
- აბა, თქვი.
- ზუსტად რომ არ ვიცი!
- სულ უთქმელობას მაინც სჯობია. აბა დაიწყე.



— რახან არ იშლი, კარგი. მე ვიტყვი. შენ გაიმეორე. ბოსტონ, გაიმეორე: „ო, უფალო ცივი ცისაო, ლურჯო თენგრი, უნდა გავხატო ყინულოვან უღელტეხილზე გადასასვლელ გზას. თუ გინდა საქონელი ქარბუქში ჩაგვიზოცო, ამის სანაცვლოდ ცაში ყვავი წაიყვანე. თუ გინდა ჩვენს შვილებს სიცივემ სული ამოხადოს, ამის სანაცვლოდ ცაში გუგული წაიყვანე. ჩვენ კი ცხენებს მოსართავეებს მოვუჭერთ. საპალნეებს უფრო დავუმაგრებთ აზავერებს ზურგზე და შენ მოგაპყრობთ სახეს ჩვენსას, ოღონდ, თენგრი, გზაზე არ გადაგვიდგე. გადაგვატარე უღელტეხილი, მწვანე ბალახისკენ, ცივ-ცივი სარწყულელებლისაკენ გაგვიშვი, სანაცვლოდ კი ეს სიტყვები მიიღე...“ მგონი, ასეა. შემდეგ აღარ მახსოვს...

— დასანანი...

— რაა დასანანი? ახლა ამდაგვარი ლოცვები აღარავის სჭირდება, ახლა სკოლებში ასწავლიან, ეს ყველაფერი ჩამორჩენილობა და სიბნელეაო. აგერ, ხალხი კოსმოსში დაფრინავს.

— კოსმოსი რა შუაშია? მერე რა, კოსმოსში რომ დაფრინავთ, ადრინდელი შელოცვები უნდა დაევიწყოთ? ვინც კოსმოსში დაფრინავს, შეიძლება ყველანი თითებზე ჩამოთვალო, ჩვენ კი რამდენი ვართ დედამიწაზე და რამდენი ვცხოვრობთ ამ მიწით? ჩვენი მამები, ჩვენი პაპები მიწით ცხოვრობდნენ, რა გვინდა კოსმოსში ჩვენ? დაე, იმათ იფრინონ, იმათ თავიანთი საქმე აქვთ, ჩვენ-ჩვენი.

— სათქმელად ადვილია, ბოსკე, ჩვენი პარტორგის, კოჩკორბაევის ჯუროსანი კი ყოველ კრებაზე ლანძღავენ ყველაფერ ძველს. ამბობენ — ქორწილებს ისე არ იხდით, როგორც საჭიროაო, რატომ არ კოცნით ერთმანეთს ქორწილებშიო, პატარძალ-მამამთილი ჩახუტებულ-ჩაკონებულნი რატომ არ ცეკვავენო? სახელებია და იმითაც სხვას არკმევთ შვილებს, როცა მალა დამტკიცებული ახალი სახელების სიებიაო, ძველი სახელები სულ უნდა შეიცვალოსო. ზოგჯერ უცებ აგიჩირდებიან — მიცვალებულს საჭიროებისამებრ არ მარხავთ, საჭიროებისამებრ არ ტირითო. ტირილსაც კი გვასწავლიან: ძველებურად არა, ახლებურად უნდა იტროთო.

— ჰო, ვიცი, ერნაზარ, ვითომ არ ვიცი? აი, მოვხვდები მოსკოვში. იქ კი თითქოს შემოდგომაზე მიპირებენ გაგზავნას გამოფენაზე, და კაცურ სიტყვას გეუბნები, ცეკაში მივალ, მინდა გავიგო: მართლა გვჭირდება კოჩკორბაევის-თანები, თუ ჩვენდა ჳირად არსებობენ? რომც არაფერი ვუთხრა, რალაცაზე ატყდება, შენო პარტიის წინააღმდეგი ხარო. ხედავ, მარტო ისაა მთელი პარტია. სიტყვას კი არავინ უბრუნებს. აი, როგორაა ჩვენთან საქმე. თვითონ დირექტორი თავს არიდებს. ჟანდაბა მაგას! უბედურება ისაა, რომ კოჩკორბაევისთანები სხვაგანაც ბევრნი არიან... მოდი, დავიძინოთ, ერნაზარ, ხვალ ზომ ყველაზე ძნელი დღე გველოდება.

ზეობაში, დიდი ყინულოვანი უღელტეხილის ალა-მონგიუს ძირას, ასე, აქეთურ-იქითურზე საუბარში ჩაეძინა იმ ღამეს ორ მეცხვარეს. მთებზემოდ დაბინდულ შორეთში უკვე ბრწყინავდნენ ვარსკვლავები, ყველანი უკლებლივ

გამოცვივდნენ ცაზე და ბოსტონს უკვირდა, ეს ჩემი მუშტისოდენა, ეგზომ დი-
დი და მძიმე ვარსკვლავები მალლა რატომ ჰკიდიან, რად არ ვარდებიან ძირს,
განუწყვეტლივ რად ციმციმებენო. ქვებში კი მძვინვარედ ზუზუნებდა ცივი
ქარი... ქარების ღმერთის შამალს ხომ ნიადაგ ეცოტავებოდა ადგილი... ნიადაგ
უქმყოფილო იყო და ნიადაგ რალაცა ჰქონდა გუმანში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთივე მძაფრი ცივი ქარი სტვენა-სტვენით შემოიჭრა ფანჯრის ღიო-
ბებში იმ უკუან ლამეს, როცა მგლების გულის დამამძიმებელ ყმუილში ბოს-
ტონს ყოველივე განცდილი ხელახლა გაახსენდა. მეხსიერებაში ისევ არჩევდა
ძველს, გარდასულს და სულს უფორიაქებდა იმ უვარგისი ადამიანების მიერ
მიყენებული წყენა, რომლებიც სხვის უბედურებასაც კი დაცინვისა და ცი-
ლისწამებისთვის იყენებენ. ო, რა ძლიერნი არიან ამ საზიზლარი ძველთაძვე-
ლი საქმის მოქმედნი! ვინც უნდა იყოს, — გინდ მეფე, გინდ მწყემსი, — ყვე-
ლას აიძულებენ, იტანჯონ, აიძულებენ, უძილობით გაწამდნენ. ეს უამური
ფიქრები ბოსტონს ისე უშხამავდა გუნებას, ღამით ხელახლა გამოჩენილი
მგლების ყმუილი ხანდახან თავისი გატანჯული სულის ქვითინად ეჩვენებო-
და. ელანდებოდა, თითქოს ეს ავადმყოფი სული დაეხეტებოდა ფარეხებს გა-
რეთ, ეს ის, მისი მწუხარებისგან დაბრამავებული სული ტიროდა და მოთქვამ-
და ძუ აკბარასთან ერთად. და არ შესწევდა არავითარი ძალა ძუ მგლის ყმუ-
ილი აეტანა, უნდოდა ხმა ჩაეწყვიტინებინა მისთვის. „უხურე, რა ჯიუტია!
აბა, რა ვუყო? რას გადამეკიდე? — გაღიზიანდა ბოსტონი. — რა ვქნა, ვე-
რაფრით დაგეხმარე. ვეცადე, მაგრამ ვერაფერი გავახერხე. აკბარა, მერწმუნე,
ვერ გავახერხე. და ნულარ იყმუვლებ ამის მეტად! არ არიან ისინი აქ, არ არიან
აქ შენი ლეკვები, ვერ მიაგნებ, რამდენიც უნდა ირბინო, დაყიდულია სუყვე-
ლა, ვინ იცის, სად, რომელ მხარეს, აღებული ფული კი ღვინოშია შექმული.
ამიერიდან ველარ იბოვი მათ! დაწყნარდი! როდემდის უნდა გვტანჯო? წადი,
წადი, აკბარა! ყველაფერი დაივიწყე ბოლოს და ბოლოს. ვიცი, გიმძიმს, მაგ-
რამ წადი, მოშორდი აქაურობას და, ღმერთმა ნუ ჰქნას, სადმე დაგლანდო,
თორემ მოგკლავ, შე უბედურო, არაფრის წინაშე არ დავიხნე და მოგკლავ,
ვინაიდან სიცოცხლეს გვიმწარებ, და ნუ მაიძულებ ეს გავაკეთო, გული უშე-
ნოდაც დამძიმებული მაქვს. შენ კი შემძლია მოგკლა, მაგრამ იმათ რა ვუყო,
ვინც ჩემს უბედურებას დასცინის, ჰოდა, შენ მაინც წადი, გამშორდი, რომ
ამიერიდან ეგ ყმუილი არ გავიგონო! კიდევ ვილაცას მოგკლავდი და, დედას
გეფიცები, ხელი არ ამიკანკალდებოდა. მე და შენ საერთო მტერი გვყავს —
მან შენ შვილები მოგტაცა. მე კი ეს ლოთი თავისი ბილწი ენით მლანძღავს.
და როცა ამაზე ვფიქრობ, აგრეთვე იმაზეც, მაშინ ფრჩხილების გლეჯით რო-
გორ მივძვრებოდი ყინულოვან უფსკრულში, როგორ ვეძახდი ერნაზარს, რო-
გორ ვტიროდი ულმობელ მთებს შორის მარტოდ დარჩენილი, სიცოცხლე არ
მინდა, სრულებით არ მინდა, არც ვიცოცხლებდი, მივაფურთხებდი ყველა-
ფერს, ეს პატარა რომ არ მყავდეს. აი, აქაა, გვერდით, მოიკუნტა, სძინავს,
დედამისმა ახლოს მომიწვინა. ჰო, ცხადია, ქალს მგლის ყმუილი აშინებს, ბიჭს
კი სძინავს, რადგან წმინდაა, რადგან უცოდველი ბაღლია, რადგან ჩემს ტანჯ-
ვათა წილად გამიჩნდა, იმის წილად გამიჩნდა, რის გადატანაც მომიწია, ჩემი
სისხლი და ხორცია, ჩემი უკანასკნელი ასლია. მაგრამ მე ხომ ჩემთვის ამგვა-

რი ხვედრი არ მითხოვია, თვით მეწვია, როგორც დგება დღე, როგორც დგება ღამე. მართალს ამბობენ, ბედს ვერ გაეჭყევით. ეს ქვემძრომი ბაზარბაი კი ისე საზიზღრად მწამებს ცილს, ერთი სული მაქვს, ძალღივით მივალრჩო იმიტომ, რომ მისთვის სამართალი არ არსებობს. მერედა, ვინ უბამს მხარს — პირველ რიგში ჩვენი პარტორგი, თითქოს მეტი საქმე არ ჰქონდეს, რასაც ეს ლოთი მოკორავს, კვერს უკრავს, ჩემი ბიჭის გაუბედურებას უხსნის. აბა, როგორ ვერ უნდა გავიგო შენი უბედურება. აკბარა!" ასე ფიქრობდა იმ ღამეს უძილობით გატანჯული ბოსტონი, მაგრამ ესოდენ ჰკვიან და გულისხმიერ კაცსაც არ შეეძლო წარმოედგინა, რა უსაშველოდ იტანჯებოდა აკბარა. აკბარა მეტყველი არ იყო, მაგრამ ჰქონდა სატანჯველი, თუმცა უნარი არ გააჩნდა იგი სიტყვებით გამოეხატა. ვერაფრით ვერ ახერხებდა სულის შემძვრელი სატანჯველისთვის თავი გაერიდებინა. განა შეეძლო თავისი ტყავიდან ამომხტარიყო? განა არ ცდილობდა, უმიზნოდ და განუწყვეტლივ ეხეტიალა მთებსა და ჭალებში ტაშჩაინართან ერთად, რომელიც განუყრელად დასდევდა თან ყველგან და ყოველთვის, ეხეტიალა იმ იმედით, რომ არაქათი გამოსცლოდა, მუხლები მოჰკვეთოდა, დაღლილობისგან მომკვდარიყო, სული ამოხდომოდა? განა არ ცდილობდა, ჩაეცხრო, ჩაეხშო შვილების დაკარგვით გამოწვეული გაუნელებელი ტკივილი, ტაშჩაინართან ერთად გააფთრებით, თავგამეტებით არ ესხმოდა თავს ყველას, ვინც კი გზაზე გადაეყრებოდა? განა არ ცდილობდა, კლდის ქვეშ თავის ბუნაგს დაბრუნებოდა, რათა კიდევ ერთხელ ერწმუნა, რომ იგი ცარიელი იყო და საბოლოოდ ჩაეკლა გულში ყოველგვარი იმედი, მეტად აღარ მოეტყუებინა სიზმრებს?...

ო, რა გულისმომწყველელია ყოველივე ეს! იმ საღამოს, უმიზნოდ მოხეტიალე აკბარამ უცებ ბაშათის ხეობაში გადაუხვია, გაქანდა, სულ უფრო სწრაფად გარბოდა, თითქოს რაღაც საქმე უხმობოდა. ტაშჩაინარი ჩვეულებისამებრ უკან მისდევდა, ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა. აკბარა კიდევ უმატებდა სიჩქარეს, გიჟივით მიჭროდა ქვებზე, ნამქერებზე, ტყე-ტყე... გაიარა ძველი ნაცნობი ბილიკი, კოწახურის ბარდები, შევარდა ბუნაგში, და, უკვე მერამდენეჯერ, დარწმუნდა, რომ იგი ცარიელი იყო, აქ კარგა ხანია არავის უცხოვრია, და ისევ აყმუვლდა, აწკმუვლდა საცოდავად, ჩხრეკდა და ყნოსავდა ყველაფერს, რასაც კი შეიძლებოდა ძუძუთა ლეკვების სუნი შერჩენოდა: „სად არიან ისინი, რა მოუვიდათ? სადა ხართ, ჩემო ლეკვებო, ჩემო ოთხო პაწაწინავ? როცა დაიზრდებოდით, როცა შუანები გაგიმაგრდებოდით, როცა გვერდით გამომყვებოდით, რა მტკიცე მექნებოდა ფერდები, დაღლა არ ეცოდინებოდა ჩემს ფეხებს!“

აკბარა აქეთ-იქით აწყდებოდა, ნაკადულის მახლობლად დარბოდა, სადაც ბოთლის ყელიდან ისევ ისე ამოდისოდა საზიზღარი, ბილწი სუნი და ისევ ისე ჩანდა მიწაში ჩაყინული შვრიის ნარჩენი, გამოკენკილი ფრინველთა მიერ...

შემდეგ აკბარა ისევ დაბრუნდა ბუნაგში, დაწვა, დრუნჩი საზარდულში ჩაირგო. ტაშჩაინარი გვერდით მიუწვა, ხშირი, სქელი ბეწვით ათბობდა მას.

უკვე ღამე იდგა. და აკბარას ესიზმრა, თითქოს ლეკვები გვერდით ჰყავდა აქ, ბუნაგში, დვრილებს მიკრულნი მოუქნელად ფუთფუთებდნენ. აჰ, რამდენი ხანია უნდოდა აკბარას მათთვის რძე მიეცა, სულ მიეცა, რაც კი დაუგროვდა, ტკივილამდე, ბოლო წვეთამდე მიეცა. მერედა, რა ხარბად წოვდნენ ლეკვები, რძე იმდენი მთლიოდა, ტუჩებს აწმაწუნებდნენ და სული უგუბდებოდათ, მერედა, რა ტკბილად ედებოდა ძუ მგლის სხეულს დედური სინაზის

მტანჯველი შეგრძნება, ოღონდ რძე რატომღაც არ აკლდებოდა... და შეშფოთ-
და დედა მგელი: რატომ არ შემიმსუბუქდა დვრილები, ლეკვები კი ვერ გაძლ-
ნენო? სამაგიეროდ ოთხივე ლეკვი ხომ იქვე, გვერდით ჰყავდა, აი, ისინი /
აგერ, ყველაზე ცქვიტი, კუდის წვერი თეთრი რომ აქვს, აგერ ისიც, ყველაზე /
მეტს რომ ჰამდა და ისე დაეძინა, დვრილი პირიდან არ მოუშორებია, აქა, მგელი /
სამეც — მოჩხუბარი და მტირალა, აგერ, მათ შორის ძუც — ლურჯფერადი /
ტარა ძუ ლეკვი. ეს მომავალი აკბარაა...

შემდეგ ძუ მგელს ესიზმრა, თითქოს კი არ გარბის, მიფრინავს, მიწას
ფეხს არ აკარებს — ისევ მუიწყუმშია, დიდ სავანაში, ხოლო გვერდით ოთხი
ლეკვი ახლავს, ლეკვებიც კი არ მირბიან, მიფრინავენ, მათთანაა მამაც, ტაშ-
ჩაინარიც, რომელიც ასევე მაქრის ვეება ნახტომებით. მიწას მზე დაჰკაშკა-
შებს და გრილი ჰაერი ისე მოედინება, ისე მოჩქრიალებს, როგორც თვით
ცხოვრება...

უცებ აკბარას გამოელვინა და დიდხანს იწვა უძრავად, სასტიკი სიცხა-
დით დათრგუნვილი. შემდეგ ფრთხილად ადგა, ისე ფრთხილად, ტაშჩაინარ-
მაც კი ვერ გაიგო, და ფრთხილი ნაბიჯებით გამოვიდა ბუნაგიდან. პირველი,
რაც გარეთ გამოსულმა დაინახა, თოვლიან მთებზე წამომართული მთვარე
იყო. იმ ნათელ ღამეს მთვარე ისე ახლოს ჩანდა, ისე მკვეთრად გამოირჩეოდა
ვარსკვლავებიან ცაზე, გვეგონებოდათ, ხელად მივირბენო მასთან. ძუ მგელი
დაუცხრომლად მოლივლივე ნაკადულთან მივიდა, თავდახრილმა უხალისოდ
მიიარ-მოიარა ნაპირი, შემდეგ კუდი ამოიძუა, დაყუნცდა და დიდხანს უქცე-
როდა მრგვალ მთვარეს. იმ ღამეს აკბარამ საოცრად ცხადად და აშკარად იზი-
ლა მგლების ქალღმერთი, მთვარეზე მყოფი ბიური-ანა. ბიური-ანას დაბრე-
ცილი სილუეტი ძალიან ჰგავდა თვით აკბარას — ქალღმერთი ბიური-ანა მთვა-
რის ზედაპირზე ცოცხალივით იჯდა კუდგადაწეული და ხახადაღებული. აკბა-
რას მოეჩვენა, თითქოს მთვარის ძუ მგელი ხედავდა მას, მთვარის ძუ მგელს
ესმოდა მისი. და მალლა აღაპყრო დრუნჩი, ტირილით, ჩივილით მიმართა,
ხახიდან ორთქლის ბოლქვები ამოსდიოდა: „შემომხედე, მგლების ქალღმერთო
ბიური-ანა, ეს მე ვარ, აკბარა, აქ, ცივ მთებში, უბედური და მარტოსული. ო,
ცუდადა ვარ! გესმის ჩემი ტირილი? გესმის ჩემი ყმუილი და ქვითინი? მთე-
ლი შიგანი ტკივილისგან მეწვეს, დვრილები რძემ დამისივა, და არავინ მყავს,
რომ მოვაწოვო, არავინ მყავს, რომ გამოვკვებო, აღარ მყავს ჩემი ლეკვები.
ო, სად არიან, რასა შვრებიან? ჩამოდი რა ძირს, ბიური-ანა, ჩამოდი ჩემთან,
ერთმანეთის გვერდით დავსხდებით, ერთად ვიყმუვლებთ და ვიქვითინებთ.
ჩამოდი რა, მგლების ქალღმერთო, და წაგიყვან იმ მხარეებში, სადაც დავიბა-
დე, იმ ტრამალში, სადაც მგლებისთვის ადგილი აღარ დარჩა. ჩამოდი აქ, ამ
კლდოვან მთებში, სადაც ასევე არა გვაქვს ადგილი, ეტყობა, არსად არაა
მგლების ადგილი... და თუ არ ჩამოხვალ, ბიური-ანა, მე წამიყვანე შენთან
უმწეო ძუ მგელი, დედა აკბარა. და ვიცხოვრებ მთვარეზე, ვიცხოვრებ შენ-
თან ერთად და ვიტირებ დედამიწისთვის. ო, ბიური-ანა-ა-ა, გესმის ჩემი? გა-
მიგონე, გამიგონე, გამიგონე, ბიური-ანა, გაიგონე ჩემი ტირილი!“

ასე შესტიროდა, ასე შეჰყმუოდა მთვარეს აკბარა ცივ მთებში...

როცა უღელტეხილზე შეიკამა-ღამე მიილია, პირველი ერნაზარი წამოდგა,
ქურჭი შემოიფუთნა და დადუშაყებული ცხენების დასახედად წავიდა.

— ცივა? — ჰკითხა უკან მობრუნებულ ერნაზარს ბოსტონმა, რომელიც შიშნეულად იყურებოდა ჭურჭკვემოდან.

— აქ ყოველთვის ასეა, — შეეხმიანა ერნაზარი. — ახლა ცივა, მზე თვალს გამოაჭყეტს და მაშინვე დათბება. — ეს თქვა და ჩულზე მიწვა.

მთებში ჯერ კიდევ ადრე იყო და ბინდბუნდი იდგა.

— რას შვრებიან ჩვენი ცხენები? ბიზლიქთქა

— კარგად არიან.

— აი, ვფიქრობ: საქონელს რომ წამოვიყვანთ, ურიგო არ იქნება, აქ ღამის სათევად კარავი დავდგათ, უფრო თბილად ვიქნებით.

— რატომაც არ უნდა დავდგათ, — დაეთანხმა ერნაზარი, — ხელად დავდგამთ, ოღონდაც გზა გავიკვლიოთ და დანარჩენი ჩვენს ბიჭობაზე იქნება დამოკიდებული.

მზის ამოსვლისთანავე მთებში მართლა ჩამოთბა. ჰაერს სწრაფად შეემატა სითბო. როგორც კი ინათა, ბოსტონმა და ერნაზარმა ცხენები შეკაშმეს.

ვიდრე ცხენებზე შესხდებოდნენ, ბოსტონმა კიდევ ერთხელ მიმოიხედა, გარს შემომდგარ კლდეებს მოავლო თვალი. საშინელნი და მაღალნი იყვნენ ისინი. ადამიანები კი ერთი ბეწონი ჩანდნენ მათ გვერდით და მაინც ბრძოლაში იწვევდნენ მთებს. „უღელტეხილი ვერ შეგვაშინებს, — გაიფიქრა ბოსტონმა. — ლაპარაკია სიცოცხლეზე და ადამიანს ვერაფერი შეაშინებს, მას ყველგან ხსნილი აქვს გზა — ზღვაში, მიწის ქვეშ თუ ცაში. ჩვენც გავალწევთ“.

თავდაპირველად ბოსტონმა და ერნაზარმა ძველი ბილიკი მოძებნეს, საიდანაც ქვები აქეთ-იქით იყო გადაწეული და გონებით განჭვრიტეს, როგორ გაივლიდა იგი უღელტეხილზე. გამოიჩვენა, რომ უღელტეხილი ორ მწვერვალს შორის მოქცეულ დათოვლილ უნაგირაზე გადიოდა. მეგობრებმაც იქით გასწიეს. ეტყობა, იმ უნაგირას გადაღმა იწყებოდა ალა-მონგიუს ქედის მეორე მხარეს ჩამავალი დაღმართი. სწორედ გადაღმა იყო ჯაილიაუ კიჩიბელი, სადაც, როგორც მოხუცები ჰყვებოდნენ, არყის ტყე იზრდებოდა და მთის სწრაფი მდინარე მიედინებოდა. ხშირად ასე მაღავს ბუნება თავის სახუკვარ იდგილებს შორეულ კუთხეებში, მიუწვდომელს ხდის მათ, მაგრამ როცა ლაპარაკია არსობის პურზე, ადამიანი იძულებულია, თავისას მიადწიოს — მან აუცილებლად უნდა იცხოვროს დედამიწაზე...

ბილიკი სულ უფრო ციცაბოვდებოდა. როცა ლიპმოდებული თოვლი დაიწყო, ცხენებს სიარული გაუჭირდათ — რაც უფრო წინ მიიწევდნენ, თოვლი მით უფრო ღრმა ხდებოდა. ანათებდა მზე, ქარი ჩადგა, მგზავრებს სამარისებურ სიჩუმეში ცხენების სუნთქვა საკუთარ სუნთქვასავით მკაფიოდ ესმოდათ.

ბოსტონი აქეთ-იქით იხედებოდა და ერნაზარს ეკითხებოდა:

— რაო? თუ ცხვარს თოვლი მუცლამდე მისწვდა, სიარული გაგვიჭირდება, არა? რას იტყვი?

რა თქმა უნდა, უმაგისობაც არ იქნება, ბოსკე! მაგრამ მთავარია, ცოტა ხნით გაგვიჭირდეს, თუ რამე მოხდა, თოვლში ცხვრისთვის ბილიკს გავიყვანთ, ალაგ-ალაგ გავტკეპნით.

— მეც ეგ ვიფიქრე. აქ ნიჩბები უნდა წამოგველო. დაიმახსოვრე, მომავალში წამოვიღოთ.

როცა ცხენებს თოვლი მუხლზემთ ასწვდა, მეცხვარეები ჩამოქვეითდნენ და ისინი სადავით წაიყვანეს. უკვე ჰაერი აღარ ჰყოფნიდათ, იძულებულნი გახდნენ, პირით ესუნთქათ. თოვლის სიქათქათე თვალს სჭრიდათ. ამიტომ მუ-

ქი სათვალე გაიკეთეს, ისეთი, როგორც ყველას უკეთია ქუჩაში. ქურქებიც გაიხადეს და უნაგირზე გადაჰკიდეს. ცხენები ქშინავდნენ, გაოფლიანდნენ, ფერდები საბერველივით ებერებოდათ. საბედნიეროდ იმ სახიფათო უნაგირამდე არც ისე დიდი მანძილი იყო დარჩენილი...

მზე უკვე შუბისტარზე იდგა ერთმანეთს დახურხლული თოვლიანი ქუჩების ზემოთ. არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ამინდი შეიცვლებოდა. ვიგულისხმებდით გზად ჩამოწოლილ რამდენიმე ღრუბელს. მათ შორის, უფრო სწორად მათზე ისე შეიძლებოდა გაგველო, როგორც ბამბაზე. არც კი დაიჭერებდი, რომ ამ დროს ისიქ-ქოლისპირა დაბლობებში ისე ცხელოდა, დამსვენებლები ტბის პლაჟებზე ირუჯებოდნენ.

ბოსტონსა და ერნაზარს ხუთასი მეტრიღა რჩებოდათ გასავლელი და ახლა იმაზე ფიქრობდნენ, უღელტეხილის იქითა მხარეს უარეს დღეში არ ჩავარდნილიყვნენ...

ბოლოს უღელტეხილიც დაიპყრეს, ბოსტონი და ერნაზარი სულის მოსათქმელად შეჩერდნენ. ისინი მთლად გაიხვითქნენ, აქლოშინდნენ. ცხენებიც გვარიანად დაიღალნენ. ბედნიერმა და კმაყოფილმა მწყემსებმა განვლილ გზას გადახედეს.

— მორჩა და გათავდა, ბოსკე. — ღიმილით თქვა თვალებში სიხარულ-ჩამდგარმა ერნაზარმა. — ფარამ აქ შეიძლება გაიაროს, რა თქმა უნდა, თუ ამინდი იქნა.

— ნამდვილად, წყნარ ამინდში, რასაკვირველია.

ერნაზარმა საათს დახედა.

— აი, მე და შენ ორსაათ-ნახევარი მოვდიოდით და თითქოს არა უშავს რა, პა, რას იტყვი? — თქვა მან.

— ცხვართან ერთად კი სამი საათი დაგვკირდება, — შენიშნა ბოსტონმა. — ეგებ მეტიც დაგვკირდეს, მაგრამ მთავარია, დავრწმუნდეთ, რომ უღელტეხილზე გადასვლა შეიძლება. განვაგრძოთ გზა. აგერ, იქიდან, მგონი, თავდაღმართი იწყება. იქნებ კიჩიბელიც გამოჩნდეს. კიჩიბელში ახლა გადამწვანებული უნდა იყოს ყველაფერი...

მწყემსებმა გზა განაგრძეს. ირგვლივ ქათქათა თოვლი იდო — ზოგან სწორი საბურველივით, ზოგან ქარების მიერ აფოფრილ, აფუტკხილ მოელვარე ნამქერებად. მაგრამ ეტყობოდა, სადღაც წინ თოვლი მთავრდებოდა და სხვა სამყარო იწყებოდა. მწყემსებს უნდოდათ, რაც შეიძლება ჩქარა გაელწიათ იქ და საკუთარი თვალით ენახათ კიჩიბელი — მათი მოგზაურობის მიზანი, ასე მიდიოდნენ მეცხვარეები მთებს შორის, თითქოსდა აქლემის კუზებს შორის მოქცეულ უნაგირზე. საცაა სანუკვარი გადასახედი უნდა გამოჩენილიყო. ბოსტონი თოვლს მიიკვალავდა და წინ მიიწევდა. ცხენი სადავით მიჰყავდა. უცებ მის ფეხქვეშ რაღაც შეინძრა და უკანიდან შეძახილი მოესმა.

ბოსტონმა მსწრაფლ მოიხედა და გაოგნდა: ერნაზარი ველარ დაინახა, სადღაც გამქრალიყო — არც თავად ჩანდა, არც მისი ცხენი, მხოლოდ თოვლის ბუჭი იდგა იქ, სადაც ახლახან მოაბიჯებდა.

— ერნაზარ! — საზარლად იბღავლა ბოსტონმა და სამარისებურ სიჩუმეში დაქუხებულმა თავისივე ყვირილმა შეაშინა.

ბოსტონი იმ ადგილისაკენ გაიჭრა, სადაც თოვლის ბუჭი იდგა და სასწაულით შეჩერდა. განზე გახტა — მის წინ უფსკრულს დაედო ხაზა. შავ წყვდიადს და საშინელ სიცივეს ასუნთქებდა ის ხნარცვი. ბოსტონი თოვლზე გაწვა

და ისე გაბობდა უფსკრულის ნაპირისკენ. ვერ გაეგო, უფრო სწორად, ვერ ბედავდა გაეგო, რა მოხდა. და თვითონაც, მთელი შეგრძნებებითა და აზრებით შიშად იქცა და ამ შიშმა სხეული შეუბოროტა. მიუხედავად ამისა, სულ მიხობავდა და მიხობავდა, რაღაც ძალა ეხმარებოდა მოძრაობაში. მიძულებდა ესუნთქა. იგი იდაყვებზე დაყრდნობილი მიხობავდა, გზადეგზე სიბნელეში მიჯრულ თოვლს იწმენდდა. მიხვდა, რომ ქვეშ ყინული იყო. იგი იწმენდა, ვილაციის ნაამბობი თოვლქვეშ დამალულ ხნარცვებსა და ნაპრალებზე, სადაც ზოგჯერ მთელი ჯოგები ჩავარდნილა, გაახსენდა წყევლად: „ქარაკაგა კეტ“ — უძირო უფსკრულმა პირი გიყოსო. მაგრამ ასეთი წყევლა რისთვის დაატყდა თავს ერნაზარს, და არა მარტო ერნაზარს, თვით მას?

უთუოდ იმისთვის, რომ გაუმადლარია, არაფერი ჰყოფნის, არაფერი აკმაყოფილებს... რომ სკოდნოდა, ასეთი უბედურება დატრიალდებოდა...

ბოსტონი ხნარცვის ნაპირთან მიცოცდა, სადაც ჩასწვრილი კედელივით ქვემოთ ჩაქანებული ბრამი დაინახა და ძრწოლისგან აკანკალდა.

— ერნაზარ, — წაიჩურჩულა ბოსტონმა, რადგან ყელი უცებ გაუშრა, შემდეგ საზარელი, ჩამწყდარი ხმით იღრიალა: — ერნაზარ, სადა ხარ? ერნაზარ! ერნაზარ! ერნაზარ!

როცა გაჩუმდა, ქვემოდან, თვითონ ასე მოეჩვენა, კვნესა და ეს ოდნავ გასარჩევი სიტყვები მოესმა: „არ მოხვიდე“. და ბოსტონმა იყვირა:

— ერნაზარ! ჩემო ძმაო! ახლავე ჩამოვალ! ახლავე! მოითმინე! ახლავე ამოგიყვან!

ბოსტონი წაშობტა. შეიძლებოდა კი თვითონაც უფსკრულში ჩავარდნილიყო. თოვლი გადაბურგნა, მიიჭრა, ცხენთან და აკანკალობის მოგლეჯა და უწყო: საეგებიოდ წამოღებული დახვეული თოკი და ნაჯახი ერნაზარს თავის უნაგირზე ჰკონდა დაკრული და მასთან ერთად ჩანთქმულიყო უფსკრულში. ბოსტონმა ქარქაშიდან დანა დააძრო, გადაქრა საძუის, საბკერდის, უხანგების, მოსართავის, სადავეების, აღვირის, ავშრის საბელის ტყავის თასმები, ერთმანეთს გადააბა; — ხელები დაესერა და სისხლი სდიოდა, დაძაბულობისგან უკანკალებდა. — ისევ გავარდა ხნარცვისკენ, ისევ მიხობდა ნაპირამდე, ბრმად მიხობდა, სული ეხუთებოდა, თითქოს სულთმობრძავიო, თითქოს ეშინოდა, საცაა მოვეკვდები და ერნაზარის გადარჩენას ველარ მოვასწრებო.

— ერნაზარ! ერნაზარ! — იძახდა იგი. — აჰა, თოკი, არის თოკი! გესმის, თოკი არის! გესმის? ერნაზარ! ჩემო ძმაო, ხმა გამეცი!

ბოსტონმა აკანკალობისგან გაკეთებული თოკი მუშტზე დაიხვია და უფსკრულში ჩაუშვა, მაგრამ თოკისთვის ხელი არავის ჩაუვლია, არავინ გამოპასუხებია მის ძახილს, და არ იცოდა, შორს ჩაეშვა ჩაგდებული თოკი და რა სიღრმის იყო ეს უფსკრული.

— ხმა გამეცი ერნაზარ! ხმა გამეცი! თუნდაც ერთი სიტყვა მითხარი, ერნაზარ! ჩემო ძმაო! — იძახდა და იძახდა ბოსტონი, მაგრამ უფსკრულიდან თავისი ძახილის ნახმევი ესმოდა მხოლოდ და ამან შეაძრწუნა. — სად ხარ, ერნაზარ! — ივედრებოდა ბოსტონი. — გესმის, ერნაზარ? რა ვქნა მე ახლა? — მას ძალა აღარ შესწევდა, თავი დაეურვებინა, აქვითინდა, ხმამალლა გაჰყვიროდა უთავბოლო სიტყვებს. შესჩიოდა ფრონტზე დაღუპულ მამას, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ დედას, შვილებს, ძმებს, დებს, განსაკუთრებით გულმხურვალედ შესჩიოდა თავის ცოლს არზიგულს. არა, ვერ დაეჯერებინა მომხდარი უბედურება... დაიღუპა, დაიღუპა ერნაზარი! და ვერავინ ანუგეშებ-

და გულდამწუხრებულს... ამერიიდან მთელი სიცოცხლე ასე გულდამწუხრებულნი იქნებოდა... და ბოსტონმა იყვირა: „განა არ გესმოდა ჩვენი შელოცვა?! რა ჰქენი ეს და რა ხარ შენ ამის შემდეგ?“ — იყვირა ისე, თვითონაც არ ესმოდა, ვის მიმართავდა.

ბარბაციით აღგა, მიხვდა, სალამოვდებოდა, იგრძნო, რომ უღელტეხილზე ამინდი იცვლებოდა. საიდანღაც ღრუბლები წამოცოცდნენ. უბურყურად უკვე ქარახვეტი. მაგრამ რა მოემოქმედნა? საით წასულიყო? ბილიკზე მხოლოდ უკველი ცხენი უკვე უკან გაბრუნებულყო — ხედავდა, როგორ ეშვებოდა თავქვე, მაგრამ ვერ დაეწეოდა. ისედაც რა აზრი ჰქონდა დაწევას, როცა მთელი აკაზმულობა შეაქრა მოსართავისა და უზანგის თასმების ჩათვლით. გაბორბტებულმა ფეხი ჰკრა გამოუსადეგარ უნაგირს. და იდგა ბოსტონი გულგასიებულნი, გაშავებული, უქუდოდ (ქუდი წელან ჩაუვარდა ქვევით, ნაპრალში), აქეთ-იქით იხედებოდა ალა-მონგიუს უღელტეხილზე კლდეებსა და მარადიულ ყინულებში მარტო დაშთენილი. გამსჭვალავი ქარი უსაშველო სევდას ჰგვრიდა მის ისედაც ელდანაცემ სულს. საით წავიდეს ახლა და რა ქნას? რა კეთილად იწყებოდა ყველაფერი და რა ჯანდაბიდან გამოუტყვრათ ეს ნაპრალი გზაზე? საკუთარი ნაბიჯების ჯაჭვს რომ დახედა, მიხვდა, რომ ერნაზარი ნაპრალში სრულიად შემთხვევით ჩავარდა — თვითონ ზუსტად მეტრ-ნახევარზე ჩაეგლო ხნარცვის ნაპირისათვის. ერნაზარი კი საუბედუროდ ოდნავ მარჯვნივ წამოსულიყო და ცხენითურთ გადაიჩინა კიდევ თოვლით დაფარულ ნაპრალში.

მეგობრის დახმარება ბოსტონს პრაქტიკულად არ შეეძლო, მაგრამ არც დამშვიდება შეეძლო. უცებ გაიფიქრა: იქნებ ერნაზარი ჯერ კიდევ ცოცხალია, მხოლოდ გრძნობა აქვს დაკარგული, მაშინ აუცილებელია სასწრაფოდ ვინსნათ, ვიდრე იქ საბოლოოდ არ გაყინულა. შესაძლოა, გადარჩეს. ეგ იყო და ქურქი თოვლზე მიაგდო. სირბილით დაეშვა ძირს, თუმცა იმ ადგილებში სირბილი ჭირდა. რაღაც საშუალებით სასწრაფოდ უნდა ვაცნობო მეურნეობას მომხდარი უბედურების შესახებ, იქიდან ხალხს გამოგზავნიან, თან თოკებს, ბარებს, ფარნებს გამოატანენ, მე თვითონ თოკით ჩავეშვები ნაპრალში, ვიპოვი ერნაზარს და გადავარჩინო, — ფიქრობდა ბოსტონი. იგი რამდენჯერმე დაეცა. ნეტავ ფეხი არ მომტყდესო, — გაივლებდა ხოლმე გულში, ისევ დგებოდა და ნაბიჯს უჩქარებდა.

ბოსტონი მირბოდა, იმედოვნებდა ცხენს დასწეოდა, თუმცა მას ახლა აღვირიც არ ეკეთა. ამინდი წუთიწუთზე ფუჭდებოდა. ქარი უკვე ახალნათოვარს იტაცებდა და ჰაერში დააქროლებდა, მაგრამ ბოსტონს ეს როდი ადარდებდა — იცოდა, რომ ქვემოთ თოვა არ იქნებოდა, თუნდაც უღელტეხილზე ქარბუქი ამოვარდნილიყო. მას ერნაზარის ბედი აშინებდა: გასძლებდა მაშველის მოსვლამდე, თუკი ჯერ ცოცხალი იყო? ჩქარა, ჩქარა, — რაკარუკი გაჰქონდა ტვინს. ბნელდებოდა და ბოსტონს ის აწუხებდა, რომ სიბნელეში სწრაფად ვერ ირბენდა.

ბოსტონი ცხენს მაინც ვერ დაეწია. ზერდაგმა თავისუფლება რომ იგრძნო, მშობლიური ადგილებისკენ გაქროლდა.

ამ მთისწინეთს ბოსტონი კარგად იცნობდა და პირდაპირ მიდიოდა, ძალიან შეიმოკლა გზა. დაუსრულებელ ხევეებსა და ნახნავეებზე სიარული ისე არ სტანჯავდა, როგორც მძიმე განუშორებელი ფიქრები მომხდარ ამბავზე. თავი გასკდომაზე ჰქონდა, იმდენ გეგმას აღგენდა ერნაზარის გადასარჩენად. ხან ეჩვენებოდა, რომ უღელტეხილიდან არ უნდა წამოსულიყო და ერნაზარი

მარტო არ დაეტოვებინა. თუნდაც ქარბუქს ჩაემჩუქრა. ხან ის ელანდებოდა, ყინულოვანი მიწისქვეშეთის უკუნ წყვდიადში მომაკვდავი ერნაზარი როგორ კვნესოდა, მალლა მთებზე კი გაავებული ქარბუქი ზუზუნებდა, ხოლო როცა წარმოიდგინა, რა უნდა ეთქვა ერნაზარის ოჯახისთვის, შვილებისთვის, ცოლისთვის — გულიუმკანისთვის, — სული ეხუთებოდა და ეგვიპტე-ქუჩებზე შეირყეოდა.

ბოსტონის

და მაინც ბოსტონს მარტო მარცხი კი არ უღარაჯებდა, ბედმაც გაუღიმა. იმ დღეს მთისწინეთში ერთ-ერთი მეცხვარე არდადეგებზე ჩამოსულ სტუდენტ ვაჟიშვილს ქორწილს უხდიდა. სტუმრები გვიან წავიდ-წამოვიდნენ. ბოლო სტუმრები, შუალამეს კარგად გადაცილებული იყო, როცა საბარგო მანქანით გაემგზავრნენ. მთვარე კაშკაშებდა. მთისწინეთში ტბის სიგრილე იდგა. შორს ოდნავ ილანდებოდა ისიქ-ქოლის მოციმციმე სარკე. ადამიანებს სიმღერა უნდოდათ. და ერთ სიმღერას მეორეს აყოლებდნენ.

ბოსტონმა სიმღერა რომ გაიგონა, გზაზე გაიჭრა და თავდაუზოგავად დაიწყო ხელების ქნევა. იგი სწორედ ამ სატვირთო მანქანით მივიდა საბჭოთა მეურნეობა „ბერიკში“ ღამის ორ საათზე. მანქანა დირექტორის სახლთან გაჩერდა. აყეფდა ძალლი და ბოსტონის ჩექმას მიეტანა, მაგრამ ბოსტონს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მუშტი დაარახუნა ფანჯარაზე.

— ვინ არის? — იკითხეს შეშფოთებით.

— მე ვარ, ბოსტონ ურკუნჩივევი.

— რა მოხდა, ბოსკე?

— უბედურება.

მეორე დღეს შუადღით მაშველნი უკვე დაწალიკებით მიდიოდნენ ალამონგიუს უღელტეხილისკენ. ბოსტონიანად ექვსნი იყვნენ. სადამდეც შეიძლებოდა, ისინი ყველგანმავლით მიიყვანეს, ახლა კი აღმართზე მიაბიჯებდნენ, თან თოკები და ხელსაწყო-იარაღები მიჰქონდათ. მდუმარედ, შეუპოვრად მიჰყვებოდნენ უკან ბოსტონს, გამოზომილად სუნთქავდნენ. უღელტეხილზე საცაა ქალაქიდან შვეულმფრენი უნდა მოფრენილიყო და მათ დასახმარებლად სამი გამოცდილი ალპინისტი უნდა გადმოესვა.

ბოსტონი ფიქრობდა, რომ გუშინ სწორედ ამ დროს ის და ერნაზარი ამავე ბილიკს მიუყვებოდნენ და აინუნში არ იყვნენ, რა მოელოდათ...

ბოსტონს ესმოდა, რომ პირველ ხანებში ერნაზარი თუნდაც ცოცხალი ყოფილიყო, საექვოა მთელი დღე-ღამე ყინულოვან უფსკრულში გაეძლო. და მაინც ყოველივეს მიუხედავად უნდოდა სასწაული ერწმუნა.

წუხანდელი ქარბუქის შემდეგ უღელტეხილზე თოვლი იდო, იდგა სიწყნარე. თოვლი ისე ბრწყინავდა, თვალებს სტკენდა ადამიანებს. ქარბუქს, სამწუხაროდ, მთლიანად წაეშალა გუშინდელი კვალი და ახლა ბოსტონი ზუსტად ვერ საზღვრავდა ყინულებში მდებარე იმ ხნარცვის ადგილს. მაგრამ როგორც ყოველთვის, ზოგი ჭირი მარგებელია — რომელიღაც მაშველი თოვლში ბოსტონის მიერ წინა დღეს გადაგდებულ ქურქს წააწყდა, ქურქიდან რამდენიმე ნაბიჯს იქით კი უნაგირიც იპოვეს. ქურქის და უნაგირის მეშვეობით საკმაოდ ზუსტად დაადგინეს ღამით მონამჭერებული ნაპრალის ადგილსამყოფელი. ამ დროს ალპინისტებიც მოფრინდნენ. სწორედ ისინი ჩავიდნენ ნაპრალში, რომ-

ლის სიღრმე მათივე სიტყვებით, ლამის ექვსსართულიანი სახლის სიმაღლე იყო.

ზემოთ ამოსულმა ალბინისტებმა განაცხადეს, ერნაზარს ვერ ამოვიყვანთ, მისი სხეული მაგრადაა ჩაყინული, ყინულის სქელ ფენაშია ჩაკრული თავისივე ცხენთან ერთად. მაგარ დარტყმაზე ყინული შეიძლება შეენქრუნოს და ინგრეს და თვითონ მაშველნი დაიღუპონ, გაიჭყლიტონო... ბოსტონის სახლში დარჩენია, ნაპრაღში ჩაეშვას და მეგობარს გამოემშვიდობოს, სხვა გზა არააო...

და კიდევ დიდხანს, წლების მანძილზე ხედავდა ბოსტონი მის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილ ერთსა და იმავე სიზმარს. თითქოს თოკით ეშვებოდა იმ უფსკრულში, ხელის ფარნით ანათებდა ყინულის კედლებს. თან მეორე ფარანი მიჰქონდა იმ შემთხვევისათვის, თუ ის ერთი ხელიდან გაუვარდებოდა. უცებ სათადარიგო ფარანი სადღაც გაქრა, დაიკარგა და ამის გამო გუნება გაუფუჭდა. მღელვარება დაეუფლა, გული დაუძძიმდა. უნდოდა ეყვირა, თან ისევ განაგრძობდა ქვევით ჩასვლას. სულ უფრო ღრმად ჩადიოდა შემზარავ ყინულოვან მიწისქვეშეთში. ბოლოს ფარნის შუქზე ხედავს ყინულში ჩაკრულ ერნაზარს. ერნაზარი (ეს ზუსტად ასე იყო) დაჩოქილი დგას, ქურჭი თავზე წამოხურვია, სახე სისხლით მოთხვრია, ტუჩები მაგრად მოუკუმავს, თვალები დაუხუჭავს. „ერნაზარ! — უხმობს ბოსტონი. — მე ვარ! გესმის, მინდოდა შენთვის სათადარიგო ფარანი დამეტოვებინა, — აქ საშიშია, ბნელა, — მაგრამ დამეკარგა. იცი, დამეკარგა, ერნაზარ. მე მაინც ჩემსას მოგცემ. აჰა, გამომართვი. გამომართვი, ერნაზარ, გთხოვ!“ ერნაზარი კი ფარანს არ ართმევს და ხმას არ სცემს. ბოსტონი ტირის, ქვითინისგან ძაგძაგებს და ცრემლდადენილს ეღვიძება.

შემდეგ ბოსტონი მთელი დღე უგუნებოდაა. ასეთ დღეებში პირქუში და მოღუშულია. სიზმარი არასდროს არავისთვის მოუყვლია, არც ერთი სულიერისთვის, მით უმეტეს, გულიუმკანისთვის: არც იმის შემდეგ მოუყვლია, რაც გულიუმკანი მისი ცოლი გახდა. არც ის უამბნია ერნაზარის ოჯახის რომელიმე წევრისთვის, როგორ ჩაეშვა უფსკრულში მეგობართან გამოსამშვიდობებლად.

როცა უღელტეხილიდან შინ დაბრუნდა, ბრიგადაში უკვე იცოდნენ, რა უბედურებაც დატრიალდა და მწუხარებით გულმკვდარ მოტირალ გულიუმკანზე უფრო სამძიმო სანახავი ბოსტონისთვის არა იყო რა, ეჩვენებოდა, რომ იქ უღელტეხილზე დაღუპვა უჯობდა, იმ უფსკრულში ათასჯერ ჩასვლა და მთელი იმ საზიზღრობის ხელახლა განცდა უჯობდა. გულიუმკანი ძალიან განიცდიდა ქმრის დაღუპვას, ეშინოდათ, არ გაგიყდესო. სულ სადღაც გასაქცევად იწევდა და იძახდა: „არ მჯერა, არ მჯერა მისი დაღუპვა! გამიშვიო! მე ვიპოვი მას! წავალ მასთან!“

ერთ საღამოს მართლაც გაიქცა, დაქანცული ბოსტონი მაშინ დასვენებას აპირებდა, რამდენიმე დღე ზედიზედ ტანთ არ გაეხადა და ლოგინში არ ჩაწოლილიყო, რადგან სამძიმრის სათქმელად მოსულთ ხვდებოდა, ხალხი კი მთელი იმ არემარიდან მოდიოდა. ზოგიერთი ძველი ჩვეულებისამებრ ტიროდა ერნაზარს! „ერნაზარ, ჩემო თვალისჩინო, სადღა განახავ აწი?“ ბოსტონი მოსულთ ცხენიდან ჩამოსვლაში ეხმარებოდა, ამშვიდებდა... იმ დღეს მეტაკლებად თავისუფალი საღამო დადგა და წელამდე შიშველი ბოსტონი ეზოში ხელ-პირს იბანდა, ჩამჩით ისხამდა წყალს. არზიგული გულიუმკანთან იყო, ამ დღეებში მეზობელს არ შორდებოდა.

— ბოსტონ, ბოსტონ, სადა ხარ? — მოისმა უცებ არზიგულის ყვირილი.

— რა მოხდა?

— ჩქარა, დაეწიე გულიუმკანს! სადღაც გაიქცა. მისი გოგოები ტირიან, მე გულიუმკანი ვერ შევაჩერე.

ბოსტონმა მაისურის გადაცმალა მოახერხა, კისერზე პირსახოცთაგან ერთი გაიქცა, რათა გაგიყებულ გულიუმკანს დასწეოდა, ხელ-პირსახოცთაგან ერთი იმშრალეზდა.

ბიზლიჩიშეკა

უცებ ვერ დაეწია.

გულიუმკანი სწრაფად მიაბიჯებდა დამრეც ხევში, მთების მხარეს.

— გულიუმკან, გაჩერდი, სად მიდიხარ? — გასძაბა ბოსტონმა.

გულიუმკანი უკანმოუხედავად მიდიოდა. ბოსტონმა ნაბიჯს მოუჩქარა. ასეთ დღეში ჩავარდნილმა გულიუმკანმა შეიძლება პირდაპირ მომახალოს — შენ დამიღუბე ქმარიო, — გაივლო გულში. ბოსტონს ეს აშინებდა ყველაზე მეტად ამ ფიქრმა გული მდულარესავით დაუდაგა. თვითონ ხომ ისედაც ეწამებოდა, იტანჯებოდა, სული აფორიაქებული ჰქონდა. რას უბასუხებდა გულიუმკანს?

განა ბოსტონი თავს იმართლებდა? ასეც რომ ექნა, ქალი რა თავში იხლიდა მის თავისმართლებას? როგორ დაემტკიცებინა გულიუმკანისთვის, რომ არსებობდნენ საბედისწერო გარემოებანი და მათთან ადამიანი ვერას ხდებო? ვერც ეს სიტყვები ჰგვრიდა ნუგეშს ბოსტონს, ბუნებაში არ მოიძვევებოდა სიტყვები, რომლებიც მის სულს მომხდარ ამბავთან შეარიგებდა, არ მოიძვევებოდა სიტყვები, რომლებითაც გულიუმკანს აუხსნიდა, რატომ იყო ცოცხალი იმ ამბის შემდეგ.

— გულიუმკან, სად მიდიხარ? — სირბილისგან აქოშინებული ბოსტონი ქალს დაუმხარდამხარდა. — შეჩერდი, მომისმინე, წავიდეთ შინ...

იმ საღამო ხანს ჯერ კიდევ საკმაო სინათლე იდგა, ნელ-ნელა მიწურული დღის წყნარ ბინდბუნდში ჯერ კიდევ ისახებოდა მთები და, როცა გულიუმკანი შემობრუნდა, ბოსტონს მოეჩვენა, რომ მისი სულიდან უჩვეულო გამოსხივებასავით გამოკრთოდა მწუხარება. სახის ნაკვეთები ისე დამანჭული ჰქონდა, თითქოს იგი წყლის ქვემოდან შემოსცქეროდა. ბოსტონს გულიუმკანის ტანჯვის ცქერა აღარ შეეძლო, გულს სტკენდა მისი საცოდავი შესახედაობა — ჯერ კიდევ გუშინ ხომ იგი ჯან-ლონითა და სიცოცხლით სავსე იყო, — გულს სტკენდა, რომ გონდაკარგული მირბოდა, რომ დაჭმუჭვნილი აბრეშუმის კაბა მკერდზე გახეოდა, რომ ახალი შავი იჩიგები სამგლოვიარო ფეხსაცმელებივით ეცვა, ნაწნავები კი გლოვის ნიშნად დაშლილი ჰქონდა.

— სად მიდიხარ, გულიუმკან? სად მიდიხარ? — უთხრა ბოსტონმა და უნებლიეთ ხელზე ხელი სტაცა.

— იქ, მასთან წავალ უღელტეხილზე, — მიუგო ქალმა უცხო ხმით.

იმის მაგივრად, რომ ბოსტონს ეთქვა: ხომ არ გაგიყდი? როდის მიაღწევ იქამდე? ასეთ თხელ კაბაში იქ ხომ ერთ საათში გააცხებ სულსო, თბოვნა დაუწყო:

— ახლა არა. მალე დაღამდება, გულიუმკან. როგორმე სხვა დროს წადი. თვითონ გიჩვენებ იმ ადგილს, ახლა არ გინდა. შინ წამომყევი. იქ გოგოები ტირიან, არზიგული წუხს. მალე ჩამოღამდება, წავიდეთ. გულიუმკან, გთხოვ, მწუხარებით მოკუნტული გულიუმკანი დუმდა.

— როგორ ვიცხოვრო უიმისოდ? — ნალვლიანი ჩურჩულით გააქნია თავი. — როგორ დარჩა სულ მარტო, დაუმარხავი, დაუტირებელი, უსაფლავოდ? ბოსტონმა აღარ იცოდა, როგორ ეცა ნუგეში, დამნაშავესავით თავდაზ-

რილი იდგა ქალის წინაშე, მაისური ამოსჩეჩოდა, გამხდარ მხრებზე ჩამოკიდებოდა, პირსახოცი ყელზე ჰქონდა შემოხვეული, ეცვა ქირზის ჩექმები, რომლებსაც მეცხვარე ზამთარ-ზაფხულ არ იშორებს ხოლმე. იდგა უბედური, დამნაშავე, დამწუხრებული. ესმოდა, რომ გულიუმკანს ვერაფრით და ვერანაირად აუნაზღაურებდა დანაკლისს, და რომ შეძლებოდა მისთვის ქმარი გაეცოცხლებინა, ერნაზარის ადგილას თვითონ ჩავარდნილიყო, თვალის წაღობა-ხამებლად იქმოდა ამას.

ორივე დუმდა, თითოეული თავისას ფიქრობდა.

— წავიდეთ, — ბოსტონმა გულიუმკანს ხელზე ხელი მოჰკიდა. — ჩვენ იქ უნდა ვიყოთ, სადაც ხალხი ერნაზარის მოსაგონებლად მოდის. შინ უნდა ვიყოთ.

გულიუმკანი მხარზე მიეკრა ბოსტონს და, თითქოსდა მშობელ მამას მწუხარებას უზიარებდა, გაურკვეველად ბუტბუტებდა, ქვითინით სული უგუბდებოდა, თრთოდა. ბოსტონმა ხელი შეაშველა და ასე ვაი-ვიშითა და ტირილით დაბრუნდნენ შინ. ზაფხულის წყნარი, მთის მოყვავილე ბალახების მწკლარტე სუნით აღსავსე საღამო ინავლებოდა. არზიგულს ერნაზარის გოგოებისთვის ხელი ჩაევლო და მათკენ მოდიოდა. ქალები ერთმანეთს გადაეხვივნენ და ისევ ატირდნენ. თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ ნახეს ერთიმეორეო...

ნახევარი წლის შემდეგ, როცა არზიგული უკვე რაიონულ საავადმყოფოში იწვა, ხოლო გულიუმკანი კარგა ხანია სანაპიროზე ტბის მეთევზეთა დაბაში იყო გადასული, ბოსტონს ის საღამო გაახსენდა და მოძალებული გრძობებისგან თვალები დაებინდა.

ბოსტონი პალატაში ცოლის საწოლთან იჯდა და გულისტკივილით უცქეროდა მის მოთენთილ, გამშრალ სახეს. შემოდგომის თბილი დღე იდგა. პალატის სხვა ავადმყოფები სულ უფრო მეტად სეირნობდნენ ეზოში და ცოლქმარს შორის ამიტომაც გაიშართა საუბარი, რომელიც თვითონ არზიგულმა წამოიწყო.

— მინდა, რაღაც გითხრა, — ნელა ამოღერდა სიტყვები არზიგულმა და გაკირვებით ახედა ქმარს. ბოსტონმა შეამჩნია, რომ წუხანდელი ღამის განმავლობაში იგი უფრო გაყვითლებულიყო და ჩამომხმარიყო.

— გისმენ, რის თქმა გინდოდა, არზიგულ? — ალერსიანად ჰკითხა ბოსტონმა.

— ეჭიმი ნახე?

— ვნახე. მითხრა...

— მოიცა, არა აქვს მნიშვნელობა, რა გითხრა. ამაზე შემდეგ, ახლა ჩვენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ.

ამ სიტყვებზე ბოსტონს გული შეეკუმშა. ჭიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— იქნებ არ ღირს, გამოკეთდები და შემდეგ ვილაპარაკოთ. — ბოსტონი შეეცადა საუბრისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ ცოლის მზერაზე მიხვდა, რომ გაჭიუტება არ ივარგებდა.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, — თინიანად ამოძრავებდა გაცრეცილ ტუჩებს ავადმყოფი. — აქ ყველაფერი მოვიფიქრე. ადამიანს ფიქრის გარდა სხვა რა საქმე აქვს საავადმყოფოში? ვფიქრობდი, რომ შენთან ერთად კარგად ვიცხოვრე და ჩემი ბედით კმაყოფილი ვარ. ღმერთის უმადური რად უნდა ვიყოთ — ბავშვები გავზარდეთ, ფებზე დავაყენეთ, დამოუკიდებლად შე-

უძლიათ ცხოვრება. ბავშვებზე ჩვენ ცალკე მოვისაუბრებთ. მაგრამ შენ მეცოდები, ბოსტონ. ყველაზე მეტად შენ მეცოდები. უგერგილო ხარ, არ იცი, ადამიანებს როგორ მიუდგე, ზედაც არავის უყურებ. ახალგაზრდა ხომ აღარა ხარ. ჩემ შემდეგ ხალხს არ განუდგე. იმას გეუბნები, რომ ჩემ შემდეგ მორტონელა არ დარჩე. ჭირის პური ჩათავდება და დაფიქრდი, რა უნდა აკეთო შემდგომ, არ მინდა მართო ცხოვრობდე შეილებს ხომ თავიანთი გზა აკვებ.

— რატომ გეუბნები ამეებს? — დახშული ხმით ჰკითხა ბოსტონმა. — განა ამაზე უნდა გველაპარაკა?

— ამაზე, ბოსტონ, ამაზე! აბა, რაზე? სწორედ ამაზე ლაპარაკობენ უკანასკნელად. სიკვდილის შემდეგ ხომ ვეღარ იტყვი. ჰოდა, აქ შენზე და ჩემზე ვფიქრობდი. ჩემთან ხშირად დადის გულიუმკანი, თვითონაც იცი, ჩვენთვის უცხო არაა, ცხოვრება ისე შეტრიალდა, რომ დაქვრივდა, პატარა შეილების ამარა დარჩა. ღირსეული ქალია. გარჩევ, შეირთო. ისე კი მერე თვითონ გადაწყვიტე, როგორ მოიქცე. თავისი საქმე ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, უთხარი გულიუმკანს ჩვენი საუბრის შესახებ... ერთიც ვნახოთ და ისე მოხდეს, როგორც მე მინდა. ერნაზარის შეილებსაც მამა ეყოლებათ.

ისიქ-ქოლზე ჩამოსულნი ხშირად დასცინოდნენ ისიქ-ქოლელებს: ტბასთან ცხოვრობენ და ტბას ვერ ხედავენ, არასდროს სცალიათო, ბოსტონმაც ძლივს მოახერხა ნაპირზე გასვლა, მანამდე სულ შორიდან და გზად გავლით ტკებოდა ისიქ-ქოლის სილურჯით.

ამჯერად სალამოს საავადმყოფოდან გამოსულმა პირდაპირ ნაპირისკენ გასწია — უნდოდა მთებს შორის მოქცეულ ლურჯი საოცრების პირას მართოდ ყოფილიყო ერთხანს. უცქეროდა, ქარი როგორ მოერეკებოდა თეთრ ტალღებს, თანაბარ რიგებად რომ იქოჩებოდნენ, თითქოს უჩინარი გუთანი ორნატს ავლებსო. სურდა ეტირა, სურდა ისიქ-ქოლში გამქრალიყო — უნდოდა და არც უნდოდა სიცოცხლე... აი, ამ აქაფებულნი ტალღებივით, აი, ასე, ტალღა რომ ბორგავს, ქრება და ისევ იბადება თავისივე წიალიდან.

და მაინც მგლებმა სული ამოხადეს ბოსტონს — დიდხანს, ასე აუტანლად ყმუოდნენ ფარების გარშემო, აიძულეს ლოგინიდან ამდგარიყო. მგლებმა ჯერ კენჯეშს დაუფრთხეს ძილი. ბიჭმა ტირილით გაიღვიძა და ბოსტონმა თავისკენ მიიწია, ეხვეოდა, გულში იკრავდა, ამშვიდებდა:

— კენჯეშ, კენჯეშ! მე ხომ აქა ვარ, რა მოგდის, შე სულელო ბიჭო! დედა აქაა, აგერაა, ხედავ? ფისო-ფისო გინდა? სინათლე ავანთო? ნუ გეშინია. გარეთ კატები კნავიან. ისინი ყმუიან.

გულიუმკანსაც გაეღვიძა და იმანაც დაუწყო ბაღღს მოფერება. მაგრამ კენჯეში არ ცხრებოდა. იძულებულნი გახდნენ, სინათლე აენთოთ.

— გულიუმ, — შეეხშიანა ცოლს ბოსტონი კარიდან, სადაც სინათლის ასანთებად მივიდა. — წავალ ერთი, დავაფრთხო ნადირს. მეტის მოთმენა აღარ შეიძლება.

— რომელი საათია ახლა?

ბოსტონმა საათს დახედა.

— სამს ოცი აკლია.

— ხედავ, — შეწუხდა გულიუმკანი. — ექვსზე კი უნდა ადგე. შეიძლება

ასე? ეგ წყეული აკბარა ჰკუაზე შეგვშლის. ეს რა სასჯელი მოგვივლინა ღმერთმა?

— აბა, დამშვიდდი, მაშ, რა ვქნათ ახლა? ერთ წამში მოვბოტუნდები. ნუ გეშინია, მართლა სასჯელია, ეგ ოხერი, კარს გარედან ჩავკეტავ, ნუ გეშინია, დაწეჟი, დაიძინე.

ბოსტონმა ფანჯრებქვემოთ ჩაიარა, შიშველ ფეხებზე საჩქაროდ წაიშურა მული ქირზის ჩექმებით ჩაიბრაახუნა. უნდოდა ბოლოს და ბოლოს შეჩებებოდა მგლებს, ამიტომაც განგებ ხმამალლა უხმობდა ძაღლებს, უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მათ, მზად იყო ყველაფერი მოემოქმედნა, ისე მოაძულეს თავი მწუხარებისგან გამძვინვარებულმა მხეცებმა.

მგლებს ვერაფრით დაეხმარებოდა. იმის იმედითლა უნდა ყოფილიყო, რომ მათ მოკვლას მოახერხებდა, თუკი თვალს მოჰკრავდა, მით უმეტეს ნახევრად ავტომატური შაშხანა ჰქონდა.

მგლები ვერ ნახა, მთელ ქვეყანას შეუკურთხა და შინ დაბრუნდა, მაგრამ დაძინებაც ვერ შეძლო. დიდხანს იწვა სიბნელეში, თავში მშფოთვარე ტკივილით სავსე აზრები უტრიალებდა.

ათას რამეზე ფიქრობდა. ყველაზე მეტად იმაზე, რომ კეთილსინდისიერად მუშაობა წლითიწლობით ძნელდება, რომ დღევანდელ ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას სინდისის ნატამალი აღარ შერჩა. დღეს სიტყვის აღარავის სჯერა და ყველა, უპირველეს ყოვლისა, თავის გამოსარჩენს ეძებს. ომამდე კი, როცა ჩუს ცნობილ არხს აშენებდნენ, ხალხი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდა, უფასოდ და ნებაყოფლობით მუშაობდნენ. ახლა ეს ამბავი ყველას ტყუილი ეჩვენება, ზღაპრებს ჰყვებიან, ვის გაუგონია ასეთი რამეებიო. ახლა ცხვარში ქამანდით ვერ შემოითრევ ვინმეს, ეგ რომ ეგრეა, ყველამ იცის, მაგრამ თავი ისე უჭირავთ, თითქოს დროებითი გასაჭირი აღგათ. იტყვი რამეს და ცილს გვწამებო, დაგაბრალებენ, სხვის ხმას აჰყოლიხარო! არავის უნდა სერიოზულად დაფიქრდეს, რა იქნება შემდგომ. ერთადერთი რამ ამშვიდებდა და ახარებდა ბოსტონს — გულიუმკანი არ ლანძღავდა, არ ემდურებოდა, რომ წელიწადი-თორმეტი თვე ცხვარში იყო, უქმე დღე არ იცოდა და შვებულება. აბა, ფარას ვერ დატოვებდა, გამომრთველი ხომ არ ჰქონდა, გამოეთიშა, გაეჩერებინა. ცხვარს მთელი დღე-ღამე თვალის დევნება სჭირდებოდა, ჰოდა, საითაც უნდა გაგებოდა, მუშახელი არ კმაროდა, იმიტომ კი არა, რომ ხალხი არ იყო, იმიტომ, რომ მუშაობა არავის უნდოდა. მერედა, რატომ? უშრომლად ხომ ცხოვრება არ შეიძლება, ეს ხომ დალუპვაა, იქნებ სხვანაირად ცხოვრება და შრომაა საჭირო? ყველაზე მკტივნიელი საკითხი ის იყო, სად ეპოვათ სადედებში ახალმოგებულნი ბატკნების მომვლელი ხალხი. ახალგაზრდობა იქ არ მიდიოდა სამუშაოდ. სადედეში მთელი დღე-ღამე უნდა გემორიგევა. შიშის კი არა, სინდისს უნდა აედულებინე თვალ-ყური გედევნებინა მონაგებისთვის. ამიტომ ახალგაზრდებს იქ ძალით ვერ შერეკავდი. თანამედროვე ახალგაზრდობას არ სურს ტალახში ჯახირი და განმარტოებით ცხოვრება. თანაც ჯამაგირს ცოტას აძლევენ. ქალაქში კი რვასათიან სამუშაო დღეში ჰაბუკს თუ ქალიშვილს შეუძლია გაცილებით მეტი გამოიმუშაოს. „მაშ, ჩვენ მთელი ცხოვრება როგორღა ვიყავით ჰაპანწყვეტაში იქ, სადაც მუშახელი სჭირდებოდათ და არა იქ, სადაც სახეირო რამ გამოდნებოდა? ახლა კი, როცა ყმაწვილებს დრო დაუდგათ, საქმეს ეწიონ, სასიკეთო არაფერი ეტყობათ — სინდისი მაგათ არ გააჩნიათ და ნამუსი“ — ბრაზობდნენ მოხუცები. ეს კონფლიქტი, რომელმაც თანდათან მიგვიყვანა იქამდე, რომ თაობას

ვერ ვუგებთ და ვინაპირებთ. დიდ ხანია სულს უფორიატებს ადამიანებს. და ბოსტონის მენსიერებაში ისევ ამოტივტივდა ძველი საუბარი მაშინ თავი ვერ შეიკავა და სულ ამაოდ. კვლავ წინანდებურად განაცხადა: ადამიანში ისე უნდა იმუშაოს, თითქოს თავისთვის შრომობს, სხვა გზას ვერ ვხედავ, ამისთვის კი აუცილებელია. მუშას პირადად აინტერესებდეს ის, რასაც მუშაობს. ბოსტონს ბევრჯერ უთქვამს, ჯამაგირი შრომის შედეგებზე უნდა იქნებოდნენ. ხოლო მთავარია, მიწა მეცხვარეს ეკუთვნოდეს, რომ მისთვის გული შესტკიოდეს, რომ დამხმარენი და მისი ოჯახის წევრები ამ მიწაზე ზრუნავდნენ. თორემ ისე არაფერი იქნებოდა...

მას, როგორც ყოველთვის, მკაცრი პასუხი გასცა პარტორგმა კოჩკორბაევმა. გაზეთ-ქიში — კაცი-გაზეთი შეარქვეს კოჩკორბაევს კოლმეურნეობაში — დირექტორის მაგიდის მარჯვენა მხარეს იჯდა, ბოსტონისკენ გვერდშექცეული წარბები შეეკმუნა — ეტყობოდა, გუნებაზე ვერ იყო, — სიღარბისლისთვის წამდაუწყუმ ისწორებდა ყელსახვევს და ავად უბლვერდა ბოსტონს. მეურნეობის დირექტორს, ჩოტბაევს, ადვილად შეეძლო წარმოედგინა, რა აზრები უტრიალებდა თავში კოჩკორბაევს. მრავალი წელი ერთად იმუშავეს და კარგად შეიხწავლა დემაგოგის ნიშნეული მისი შეურყეველი, მოუგერიებელი, ერთხელ და სამუდამოდ სულში ჩადუღაბებული ლოგიკა: კვლავ წამოყო თავი ამ კულაკმა და ახალი ტიპის კონტრევოლუციონერმა ბოსტონ ურკუნჩიევმაო? ცხოვრება ცხვირ-პირში ურტყამს, ის კი თავისას იყინებს. ნეტა ერთი სადმე მოუსაველეთში გადაგვეგდო, როგორც წინათ ხდებოდაო...

იმ დღეს სამუშაო სხდომას რაიკომის ახალი ინსტრუქტორი, შესახედავად მორიდებული ახალგაზრდა, „ბერიკში“ ჯერჯერობით უცნობი კაცი ესწრებოდა. ინსტრუქტორი ყურადღებით უსმენდა გამომსვლელებს და ყველაფერს უბის წიგნაკში ინიშნავდა. ჩოტბაევი ვარაუდობდა, კოჩკორბაევი შემთხვევას არ გაუშვებს, რომ რაიკომის ახალი ინსტრუქტორის წინაშე თავი გამოიჩინოს. არც შემცდარა. ბოსტონის გამოსვლის შემდეგ პარტორგმა სიტყვა ითხოვა, თითქოსდა რეპლიკის სათქმელად, და გააბა ლექსივით: კოჩკორბაევს უნარი ჰქონდა. მთლად გაზეთივით გადმოეცა საკითხის არსი და ეგ იყო მისი ძალა.

— თქვენ, ამხანაგო ურკუნჩიევ, — ჩვეულებისამებრ ოფიციალურად, თქვენობით მიმართა ბოსტონს. — როდემდე უნდა ურევდეთ გონებას ადამიანებს თქვენი საეჭვო წინადადებებით? ისტორიამ დიდი ხანია განსაზღვრა, როგორი უნდა იყოს სოციალისტური კოლექტივის შიგნით საწარმოო ურთიერთობანი. თქვენ კი გინდათ, მეცხვარემ, როგორც პატრონმა, ისე გადაწყვიტოს, ვისთან იმუშაოს, ვისთან არა და ვის რამდენი გადაუხადონ. რა არის ეს? სხვა არაფერი, თუ არა ისტორიაზე, ჩვენს რევოლუციურ მონაპოვრებზე შეტევა, ცდა — პოლიტიკაზე მალლა დადგეს ეკონომიკა, თქვენ მხოლოდ თქვენი ფარის ვიწრო ინტერესები გამოძრავებთ. ეს თქვენთვის საკითხთა საკითხია. მაგრამ ფარის უკან ხომ რაიონი, ოლქი, ქვეყანა დგას. რა გინდათ გაგვაკეთებინოთ — სამეურნეო საქმის სოციალისტური პრინციპები შეგვარყვნე-ვინოთ?

— მე არავის არაფერს ვარყვნევიანებ. უკვე მომბეზრდა ამაზე ლაპარაკი. არავის არაფრისკენ არ მოვუწოდებ. ჩემი მწყემსური საქმე არაა. რა ხდება ოლქში, ქვეყანაში ანდა მსოფლიოში, უჩემოდაც საკმაოდ არიან ქვეყის კოლოფები. ჩემი საქმე ფარაა. თუ პარტორგს არ სურს იცოდეს, რას ვფიქრობ ჩემს ფარაზე, რატომ შეძახის ასეთ სხდომებზე, რად მაცდენს საქმეს? მე

წყალწყალა ლაპარაკისთვის არ მცალია. შეიძლება ვინმესთვის იგი მნიშვნელოვანი იყოს, მე კი მასში ვერ ვერკვევი. ამხანაგო დირექტორო, ამის შემდეგ ნულარ დამიძახებ! ნუ მომაცდენ სამუშაოს, მე ასეთი სხდომები არ მჭირდება!

— აბა, რას ამბობ, ბოსკე? — ჩოტბაევი უმწეოდ აწრიალდა ^{სკამზე}. — შენ მოწინავე ხარ, მეურნეობის საუკეთესო მეცხვარე, გამოცდილი მუშაკი, გვინდა ვიცოდეთ, რას ფიქრობ. ამიტომაც გეძახით.

— შენი ამბავი მაკვირვებს, დირექტორო, — ერთობ გაცეცხლდა ბოსტონი. — თუ მოწინავე ვარ, შენზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს, რად მიღირს ეს. რატომ ხმას არ ამოიღებ? როგორც კი პირს გავადებ, კოჩკორბაევი მაშინვე მეცემა და სიტყვის თქმას არ მაცლის, შარს მდებს, გინდ ეგ და გინდ პროკურორი, შენ კი ზიხარ და კრინტს არ სძრავ, თითქოს აქ არაფერიო, თითქოს ეს ამბავი შენ არ გეხებოდეს.

— მოიცა, მოიცა, — შეაწყვეტინა ჩოტბაევმა.

დირექტორი აშკარად აფორიაქდა: შავ დღეში ჩავარდა — ამჯერად ვერ მოაწერებდა ბოსტონსა და კოჩკორბაევს შორის ნეიტრალიტეტის დაცვას. იძულებული იქნებოდა ინსტრუქტორის წინაშე გარკვეული პოზიცია დაეჭირა. მერვდა, როგორ არ უნდოდა გადაჰკიდებოდა კოჩკორბაევს, ამ კაც-გაზეთს, ვის დემაგოგიასაც შეეძლო მრისხანე ძალები აემოქმედებინა: კოჩკორბაევი ხომ სრულიადაც არ ვახლდათ ერთადერთი რგოლი იმ ჯაჭვში, რომელიც მედავითნური პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ამჯერადაც განზრახ გაამწვავა საკითხის განხილვა, პირდაპირ დააბრალა მეცხვარეს — არც მეტი არც ნაკლები — „ჩვენს რევოლუციურ მონაპოვრებზე შეტევა“. აბა, ამის შემდეგ ვინ გაუბედავდა შესიტყვებას? მაგრამ დირექტორს როგორმე თავი უნდა დაეძვრინა ამ მდგომარეობიდან.

— მოიცა, მოიცა, ბოსკე, ნუ ცხარობ, — უთხრა ბოსტონს და ზეზე წამოდგა. — მოდი, გავარკვიოთ საქმე, ამხანაგებო, — მიმართა ახლა სხდომის მონაწილეებს, თან გამალებით ისაზრებდა, როგორ შეერიგებინა მხარეები. რა თქმა უნდა, ბოსტონი მართალია, კოჩკორბაევთან ხუმრობა კი არ შეიძლება, მაშ, რა გზას დავადგე? — ფიქრობდა გულში დირექტორი. შემდეგ განაგრძო: — რაზეა ლაპარაკი? როგორც მე ვხვდები, მეცხვარეს უნდა ფარისა და მიწის პატრონი იყოს და არა ქირით მომუშავე პირი. თანაც ლაპარაკობს არა მართო თავისი სახელით, არამედ თავისი ბრიგადის, მწყემსების ოჯახების სახელით და არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ამასაც. ამ საკითხს, მე მგონი, თავისი საფუძველი აქვს. მეცხვარეთა ბრიგადა ეს იგივე ჩვენი პატარა ეკონომიკური უჯრედია. სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ. როგორც მე ვხვდები, ურკუნჩიევს სურს, ყველაფერი თავის ხელში მოაქციოს: საქონელიც, საძოვრებიც, საკვებიც და სათავსებიც — ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც აუცილებელია წარმოებისთვის. იგი აპირებს ბრიგადული ანგარიშსწორება დაწერგოს, რომ ყველამ იცოდეს, რის გამომუშავება შეუძლია, თუკი ისე იმუშავებს, როგორც თავის თავისთვის, და არა როგორც მეზობლისთვის, აქედან აქამდე. აი, როგორ მესმის ურკუნჩიევის წინადადება და ჩვენ ყური უნდა ვათხოვოთ მას, ჭანტაი იშანოვიჩ, — მიმართა ჩოტბაევმა პარტორგს.

— მე კი, როგორც პარტორგს მეურნეობისა, რომელსაც ამხანაგო ჩოტბაევ, ჩვენ ვხელმძღვანელობთ, მესმის, რომ სოციალისტურ წარმოებაში კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წახალისება არავის შეშვენის, ვინც უნდა იყოს იგი, განსაკუთრებით მეურნეობის ხელმძღვანელს, — ნიშნის მოგებით უსაყვედურა კოჩკორბაევმა დირექტორს.

— კი მაგრამ, გაიგეთ, ამას საქმის ინტერესების გულისთვის გვთავაზობენ, — თავის მართლება დაიწყოს დირექტორმა. — ახალგაზრდობა, რომ მეცხვარეთა ბრიგადებში სამუშაოდ არ მიდის.

— მაშასადამე, ჩვენთან ცუდად დგას სააგიტაციო-მასობრივი/ მუშაობა, ახალგაზრდობას უნდა გავახსენოთ პავლიკ მოროზოვი და მისი მუშაობის თანამებრძოლი კიჩან ჯაკიპოვი.

— ეს უკვე თქვენი საქმეა, ამხანაგო კოჩკორბაევ, — ჩაუერთო დირექტორმა. — ყველაფრის შესაძლებლობა გაქვთ საამისოდ. გაახსენეთ, აგიტაცია ჩაუტარეთ. ხელს არაფერს გიშლით.

— ჩავუტარებთ კიდევაც. ტყუილად წუხხართ, — გამომწვევად შეესიტყვა პარტორგი. — ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ღონისძიებების მთელი კომპლექსი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ დროულად აღიკვეთოს კერძომესაკუთრული მისწრაფებანი. რარიგ კარგადაც უნდა ნიღბავდნენ მათ. ჩვენ ვერ შევუტრიგდებით სოციალიზმის საფუძვლების ძირის გამოთხრას.

უსმენდა ბოსტონ ურკუნჩიევი ამ ერთობ სერიოზულ კამათს და სასოწარკვეთილება დაეუფლა, უნებლიეთ შიშმა შეიპყრო: „მე ხომ მარტო ის ვთქვი, მიწაზე ბოლოს და ბოლოს ჩემი ჭკუით მიხდა ვიმუშაო და არა სხვისი კარნახით-მეთქი“.

— არაფერს არაფითარი დათმობა და შეღავათი. — განაგრძობდა კოჩკორბაევი. — წარმოების სოციალისტური ფორმები ყველასთვისაა აუცილებელი. ჩემი სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, ეხება ამხანაგ ურკუნჩიევს. იგი სულ ცდილობს თავისთვის რაღაც განსაკუთრებული პირობები შეიქმნას.

— არა მარტო თავისთვის, — შეაწყვეტინა ბოსტონმა. — ასეთი პირობები ყველას სჭირდება, ჰოდა, მაშინ მუშაობაც აეწყობა.

— ვეჭვობ! და საერთოდ რა წესია საკუთარი პირობების წამოყენება? ეს გააკეთეთ, ის გააკეთეთ. ისიც კმარა, რომ თქვენ, ამხანაგო ურკუნჩიევ, თქვენი ფარისთვის პერსონალური საძოვრების ძიებაში ალა-მონგიუს უღელტეხილზე კაცი იმსხვერპლეთ. თუ ეს თქვენთვის ცოტაა?

— განაგრძე, განაგრძე! — გულმოსულმა ჩაიქნია ხელი ბოსტონმა. ძალიან ეწყინა და გული ეტკინა, რომ ერნაზარის დაღუპვაზე ასე სასხვათაშორისოდ და გაკვრით ლაპარაკობდნენ.

— რას ნიშნავს განაგრძე, განაგრძე? განა ტყუილს ვამბობ? — უკბინა მას კოჩკორბაევმა.

— დიახ, ტყუილს.

— როგორ თუ ტყუილს, როცა ერნაზარის გვამი აქომამდე ყინულებშია, უღელტეხილზე. და შესაძლოა, კიდევ ათასი წელი იყოს იქ.

ბოსტონმა ერთხანს იყუჩა: სრულებით არ სიამოვნებდა, რომ კრებაზე ამის შესახებ წამოიწყეს ლაპარაკი, მაგრამ კოჩკორბაევი არ ცხრებოდა.

— აბა, რას გაჩუმებულხარ, ამხანაგო ურკუნჩიევ, — ცეცხლზე. ნავთი დაასხა მან. — თქვენ არ წახვედით თქვენი ახალი პერსონალური ჯაილიაუს აღმოსაჩენად?

— დიახ, ჩემთვის წავედი. — მოუჭრა ბოსტონმა. — მაგრამ არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის, მათ შორის შენთვისაც, კოჩკორბაევ, იმიტომ, რომ მე გავძვევ და გასძვევ შენ და არა შენ — მე. ჰოდა, ახლა იმ ჭაში აფურთხებ, რომლიდანაც წყალს სვამ!

— რას ნიშნავს ეს? — აღშფოთდა კოჩკორბაევი, სახეზე სისხლი მოაწვა. — მე ყველაფერს მხოლოდ პარტიას ვუმაღლი!

— იმაზე კი ფიქრობ, საიდან იღებს პარტია იმას, რაც შენ უნდა გაქამოს?
— შეუღრინა ბოსტონმა. — ციდან ხომ არა?

— რას ნიშნავს ეს, რა უბასუხისმგებლო სიტყვებია ეს! — წამოვარდა კოჩკორბაევი, თან გაშმაგებით ისწორებდა ყელსახვევს.

ლამის ჩხუბი ამტყდარიყო. კოჩკორბაევიცა და ბოსტონიც ისე იდგნენ — ერთი მაგიდასთან, მეორე კი კედელთან — თითქოს სიკვდილი უჭირბოროტო მისჯილი და საცაა რომელიმე მათგანი იატაკზე დაენარცხებოდა. მდგომარეობა რაიკომის ახალგაზრდა ინსტრუქტორმა გამოასწორა ცოტათი.

— დამშვიდდით, ამხანაგებო, — მოულოდნელად გაიღო ხმა ინსტრუქტორმა კუთხიდან, სადაც იჯდა და უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა. — მე მგონია, მეცხვარე ურკუნჩიევი ძირითადად მართალია. მშრომელს, როგორც ჩვენ გვიყვარს თქმა, მატერიალური კეთილდღეობის შემქმნელს უფლება აქვს თავისი სიტყვა თქვას, მაგრამ საჭირო კი იყო ასე შეტოპვა?

— თქვენ ამას არ იცნობთ, ამხანაგო მამბეტოვ, — აჩქარებით შეესიტყვა კოჩკორბაევი. — ურკუნჩიევის პრეტენზიებს საზღვარი არა აქვს. აი, მაგალითად, ამას წინათ ერთმა მეცხვარემ ნოიგუტოვმა, დიახ, კერძოდ ნოიგუტოვ ბაზარბაიმ მთებში მგლის ბუნაგი აღმოაჩინა. ჰოდა, ნაყარი ხელთ იგდო, ასე ვთქვათ, მისი ექსპროპიაცია მოახდინა, ესე იგი, პირწმინდად წამოიყვანა ოთხივე ლეკვი, რათა ხროვა ძირფესვიანად გაენადგურებინა. მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო. მერედა, რა გგონიათ? ეს ურკუნჩიევი პირდაპირ მოსვენებას არ აძლევდა. ჯერ მოქრთამვა მოუნდომა, მაგრამ ამ ხრიკით რომ ვერაფერი გააწყო, რადგან ნოიგუტოვი პრინციპული კაცია, დაემუქრა, მოსთხოვა, — ლეკვები თავის ადგილზე დაებრუნებინა, რათა ეს მტაცებლები შემდგომაც გამრავლებულიყვნენ. აბა, რა არის ეს? როგორ გავიგოთ ეს? ამხანაგო ურკუნჩიევი, იქნებ ყოველივესთან ერთად თქვენი პირადი მგლებიც გინდათ გაიჩინოთ? საკუთარი, პერსონალური, ასე ვთქვათ. იქნებ საბჭოთა მეურნეობა ვალდებულია მგლებითაც უზრუნველგყოთ? ჯერ საკუთარი მიწა, საკუთარი ცხვრები, შემდეგ კი საკუთარი მგლები! ასეა, ხომ? თუ როგორ გავიგოთ — დაე, მგლები გამრავლდნენ, ჩვენი ფარები დაგლიჯონ, საერთოსახალხო საკუთრების ბარჯზე იცხოვრონ, არა?

ბოსტონმა უკვე მოასწროთ თავის მოთოკვა და საკმაოდ მშვიდად უთხრა:

— მგლების ამბავი სულ სწორია, ოღონდ ერთი უბედურებაა — ვერ ხვდებიან, რომ საერთო-სახალხო საკუთრებას ხელყოფენ.

იქ მყოფთ უნებლიეთ გაეცინათ, ბოსტონმა კი პაუზით ისარგებლა და განაგრძო:

— აქ განა მგლებზე უნდა ვლაპარაკობდეთ. მაგრამ რაკი მგლებს შევეხეთ, მეც ჩემსას ვიტყვი. ყოველ საქმეს გაგება უნდა, ამიტომაც დავიბადეთ გონებამომადლებულნი. ზოგ ჩვენგანს კი გონიერება აკლია, ხოლო ქადილი, იცოცხლე, შეუძლია. აი, მაგალითად, ლეკვების ამბავი ავიღოთ. როგორც ითქვა, ბაზარბაიმ ხელთ იგდო, უბრალოდ რომ ვთქვათ, მოიპარა, ბუნაგიდან აწაბნა ლეკვები. მის გარშემო კი ისეთი ბრაზაბრუხი ატყდა, ლამის გმირად გამოაცხადეს. ხოლო ეს გმირი არ დაფიქრდა, რომ ჯერ მშობლებისთვის, ასაკრული მგლებისთვის უნდა მიეკვლია, დაეხოცა და შემდეგ ეფიქრა, რა ექნა მათი ლეკვებისთვის. ბაზარბაი კი ლეკვების გაყიდვას დაეშურა და აღებული ფული სასმელს მიაფშვნა. იმიტომ ვთხოვე ბაზარბაის, ლეკვები მოეცა ან მოეყიდა, რომ შვილების მეშვეობით საფარში შემომმეტყუებინა ძუ და ხვალი, და არა თავისუფლად დამეტოვებინა ბუნაგის განადგურების შემდეგ გამძვინ-

ვარებული მგლები. უნდა ვიცოდეთ, რომ გამძვინვარებული მგელი ათ მგელს უდრის ერთად აღებულს. მანამ არ მოისვენებს, სანამ შურს არ იძიებს. ყველა მეცხვარემ იცის, როგორ მძვინვარებს ახლა მთელს ჩვენს არე-შიდში ორი მგელი აკბარა და ტაშჩაინარი, რომელთაც შვილები წაართვეს. ასე მქვია მათ მეტსახელად. ჰოდა, ვერაფერი დააშოშმინებთ, შეიძლება დაეშინოს და ესხნენ თავს — მათგან ნუ გაგიკვირდებათ. ზოგ ცუდ ადგილებს მესახებ გაზეთებში და წიგნებში წამიკითხავს — პროვოკატორს ეძახიან. ბაზარბაიცი სწორედ მგლის პროვოკატორია. მგლებს უბიძგა გამძვინვარებულიყვენ, ერთხელ ვუთხარი და ახლაც მივახლი პირში, რომ მხდალი პროვოკატორივით მოიქცა. შენც, პარტორგო, პირდაპირ პირში გეტყვი: ვერ გამიგია, რა კაცი ხარ. რამდენი წელია ჩვენს მეურნეობაში ხარ და აქამდე მართო იმას აკეთებ, რომ გაზეთებს კითხულობ და ჩემისთანა მწყემსებს აშინებ, ეუბნები — რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი ხარო. ხოლო თვითონ მეურნეობის არაფერი გაგეგება და არაფერი იცი, თორემ ადამიანს მგლების გამრავლებას არ დააბრალებდი. ჯანდაბას მგლები, ეგ შენი ბრალდება სასაცილოდაც არ კმარა, მაგრამ მეორე ბრალდებას, ამხანაგო კოჩკორბაევ, უბასუხოდ ვერ დავტოვებ. დიახ, ერნაზარი უღელტეხილზე დაიღუპა. მერედა, რატომ წავედით უღელტეხილზე? იმიტომ, რომ ცუდ დღეში ვართ! რას ვეძებდით იქ. დაფიქრებულხარ, პარტორგო, რა მიგვარბენინებდა იქით? დაფიქრებულხარ. საძოვრების საშინელი გაქირვება რომ არ გვქონოდა, საფრთხეში ჩავიგდებდით თავს თუ არა? ეს გაქირვება კი ყოველდღე სულ უფრო საშიში ხდება: აი, აგერ დირექტორი ზის. აბა, თქვას, როცა დირექტორობა დაიწყო, როგორი ბალახი, როგორი მიწები იყო აქ! ახლა რაღაა? მტვერი და სიმშრალეა ირგვლივ, ყოველი ბალახის ღერი აღრიცხულია, ყველაფერი კი ასე იმიტომაა, რომ ათჯერ იმაზე მეტ ცხვარს უშვებენ საბალახოდ, ვიდრე გამოყოფილი ადგილები იტევს, და ამ ადგილებს ცხვრის ჩლიქები ანადგურებენ. ამიტომაც წავედით მე და ერნაზარი კიჩიბელში. გვინდოდა საქმე უკეთესად მოგვეწყო, მაგრამ უბედურება გვეწია, ჩვენი ლაშქრობა ცუდად დასრულდა. ამის გამო ხელი ივიღე და გავჩუმდი, უბედურებამ მაიძულა ხმა ჩამეკმინდა, საამისოდ არა მცხებოდა. მაგრამ ყველაფერი რომ სხვანაირად წარმართულიყო, იმ წელს მოსკოვში გამოფენაზე წავიდოდი, მივიდოდი ჩვენს ყველაზე მთავარ უფროსთან და შენს ამბებს მოვუყვებოდი კოჩკორბაევ. შენ სულ იმით ყოყოყობ, პარტიაზე ვფიქრობო, მაგრამ სჭირდება კი პარტიას შენისთანები, რომლებიც თვითონ არაფერს აკეთებენ და სხვებს მხოლოდ ხელ-ფეხს უბორკავენ?

— თქვენ თავს გაგივიდათ! — ვერ მოითმინა კოჩკორბაევმა. — ეს ცილისწამებაა! და თქვენ ურკუნჩიევ, თქვენი სიტყვებისთვის მკაცრად აგებთ პასუხს პარტიული წესით.

— მე თვითონაც მინდა ყველაფერს პასუხი გავცე პარტიულ კრებაზე. და თუ მართლა არ ვაკეთებ იმას, რაც საჭიროა, და ისე არ ვფიქრობ, როგორც საჭიროა, მაშინ კინწისკვრით გამაგდეთ, მაშასადამე, პარტიაში ჩემი ადგილი არაა და არ უნდა დამინდოთ, მაგრამ ამაზე შენც უნდა იფიქრო, კოჩკორბაევ.

— მე საფიქრებელი არაფერი მჭირს, ამხანაგო ურკუნჩიევ. სინდისი სუფთა მაქვს. მე ყოველთვის პარტიასთან ვარ.

ბოსტონმა სული მოითქვა, თითქოს მთებში იყო ნარბენი, რაიკომის ინსტრუქტორს შეხედა და უთხრა:

— შენ კი, რაიკომის ახლო ინსტრუქტორო, ძალიან გთხოვ ეგ რაიკომს

მოახსენო. დაე, პარტიულ კრებაზე გაარჩიონ ჩვენი ამბავი. ასე ცხოვრება აღარ შემოძლია.

ბოსტონ ურკუნჩიევი მალე დარწმუნდა, რომ კოჩკორბაევიდან შეტყობის გამო მოვლენები იძაბებოდა. სწორედ იმ დღეს თავის საქმეებზე იყო სანაპიროზე. ისიქ-ქოლისპირეთში საცაა ბალები აყვავდებოდა. უკვე დაწყებული იწურებოდა, ბოსტონი კი ვერა და ვერ ახერხებდა თავის ბალნის მკურნალობის ყოფილ ეზოში გაშლების შეწყველას (ახლა ბოსტონს და გულიუმკანს ორი სახლი და ორი ბაღი ჰქონდათ და ორივეს მიხედვა სჭირდებოდა). ვერ ახერხებდა იმიტომ, რომ მწყემსი მთაში ცხოვრობს და ვერასოდეს იცლის თავისი კარმიდამოს მოსაგლეღად. საქმეს სულ სხვა დროისთვის დებს, შემდეგ გაიხედავს და აღმოაჩენს, რომ დრო გასულა, ყოველი ვადა გასულა. ასე იყო თუ ისე, ბაღი აუცილებლად უნდა შეეწამლა, თორემ მავნებლები გასაოცარი სისწრაფით გამრავლდებოდნენ, ბუტკოს წაახდენდნენ და მოსავალს დაღუპავდნენ. ამჯერად გულიუმკანმა თავი ვერ შეიკავა და მკაცრად უსაყვედურა ქმარს: სულ ფეხს ითრევ, არ გინდა ადრიანად წახვიდე, რომ რომელიმე მეზობელს მოელაპარაკო, რაკი თვითონ ვერ ასწრებ შეწყველას. ფული მისცე და ეს საქმე გააკეთებინო.

— რას უკეთებ ოჯახს? — უთხრა გაბრაზებულმა გულიუმკანმა. — დღე და ღამე ცხვარს უტრიალებ ან კრებებზე ზიხარ. თუ ბაღის მოვლა არ შეგიძლია, გაჩერდი კენჯეშთან სახლში, — ამ სულელს სულ თვალის დევნება უნდა, — მე კი სანაპიროზე ჩავალ და შენ მაგიერ გავაკეთებ ყველაფერს. რაც კი წესიერ მეურნეს ეკადრება.

მართალს ამბობდა გულიუმკანი, ვერაფერს იტყოდი. ბოსტონი იძულებული გახდა უსიტყვოდ დაეჭერებინა მისთვის.

ჰოდა, დილაადრიან წავიდა ბაღის მისახედად. დონკულიუკით მიდიოდა. როგორც ძველთაგან ამბობენ, გაზაფხულზე ბალახიც იკრებს ძალას და ცხენიც, თანაც დონკულიუკი ისეთ ხანაში იყო, სისხლი უდუღდა. იგი ცეცხლოვან თვალს აბრიალებდა, ფაფარს არხევდა, ძალამოჭარბებული სულ გაჭენებას ღამობდა, მაგრამ ბოსტონი იმის გუნებაზე არ იყო, კისრისტეხით ეჭენებინა. ფიცხ ცხენს აოკებდა — უნდოდა, გზაზე მშვიდად ეფიქრა ათას რამეზე. წუხელ ცუდად ეძინა. დიდხანს იწრიალა, ვერა და ვერ დაივიწყა, პარტორგმა როგორ დააბრალა ერნაზარის დაღუპვა. კრებიდან შინ მობრუნებულმა ცოლს მოკლედ უამბო ყველაფერი, ხოლო ერნაზარის დაღუპვა რომ დააბრალებს, ამაზე კრინტი არ დაუძრავს, არ უნდოდა ზედმეტად გაეხსენებინა გულიუმკანისთვის ადრინდელი ქმარი (თუმცა მრავალი წელი გავიდა მისი დაღუპვის შემდეგ). არ უნდოდა, რადგან ვერ ასცდებოდა მტანჯველ საუბარს, რაც არც ერთს გაუხარებდა გულს და არც მეორეს: დაუმარხავი ერნაზარი ხომ ალამონგიუს უღელტეხილზე ღამესავეთ საშინელი უფსკრულის ფსკერზე იწვა ყინულის მიერ სამარადეთამოდ შებოჭილი, ამიტომაც სჯობდა ხმა არ გაეღო კოჩკორბაევის ბრალდებაზე. ხოლო როგორც კი ძილი მოერია, ისევ გამოცხადდნენ მგლები, დიდი ფარების უკან ბორცვზე ისევ გულამოჯდომით აყმუვლდა გატაცებულ შვილებზე მოტირალი აკბარა, რომელსაც დაბალი, დახშული ბანით ჰყვებოდა მისი ტაშჩაინარი. ადრე ყმუილის გაგონებაზე ბოსტონს მგლები ებრალებოდა, თანაუგრძნობდა, ახლა კი ბოღმა ეუფლებოდა, უნდოდა ბოლოს და ბოლოს დაეხოცა ეს თავხედი მხეცები, ოღონდაც არ გაეგონა მათი ყმუილი. ყურებში წყევლასავეთ რომ ჩაესმოდა. მერედა, თვითონ რა დანიშნული მიუძღოდა? წუხელ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მგლე-

ბი მოესპო. გეგმაც კი მოიფიქრა. თანაც იმ დღეს, როცა კრებაზე კოჩკორბა-
 ევს წაეჩხუბა, აკბარამ და ტაშჩაინარმა მისი ფარის სამ ცხვარს გამოლადრეს
 ყელი. მორბედი მწყემსი მოქყვა, მგლები ფარას მოეპარნენ, რამდენი არ
 ვუყვირე, რამდენი არ ვუქნიე კომბალი, ყურიც არ გააბარტყუნეს, სამი ცხვა-
 რი მიასაკლავეს და მიიმალნენო. ამ ამბავმა ბოსტონს მოტმინებდა და კარგვი-
 ნა. თუ ასე გაგრძელდა, იძულებულნი გავხდებით, აქედან წავიყვანო მგლებს
 გავექცეთო. — ფიქრობდა იგი. აკბარას და ტაშჩაინარს არ ესმოდათ, რომ იმ
 წუთში თავიანთი ყმეილით საკუთარი თავისთვის სასიკვდილო განაჩენი გა-
 მოქონდათ. ახლა ბოსტონმა მტკიცედ იცოდა, რა გაეკეთებინა და მზად იყო,
 მყისვე შესდგომოდა ჩანაფიქრის ასრულებას. მაგრამ დილით შინაური საქ-
 მეების გამო სანაპიროზე წასვლა დასჭირდა. ის კი მაინც გადაწყვიტა: ცოლს
 რომ არ ესაყვედურებინა, ჯერ ბალისთვის მიეხედა, ხოლო შემდეგ მგლების-
 თვის მოელო ბოლო. აი, რაზე ფიქრობდა გზად ბოსტონი...

ვაშლების შემობარვასა და შეწამვლას ერთ დღეში მორჩა. სოფელში
 მარჯვე ბიჭი მოძებნა, რომელმაც გარკვეულ ფასად ამ საქმის სწრაფად მოთა-
 ვება იკისრა. ბოსტონიც შეჰპირდა, ჩემი შავი ცხვრის ბატკანს მოგცემო.

ბოსტონი საქმეებს რომ მორჩა, გადაწყვიტა. კენჯეშისთვის სათამაშო
 ეყიდა. უნდოდა შეილიკო გაეხარებინა, აბა, რა, ასეთი კარგი ბიჭი დაკუნკუ-
 ლებდა სახლში, ერთ თვეზე ცოტა მეტ ხანში ორი წლისა გახდებოდა. სასაცი-
 ლო, ყოჩალი ბიჭუნა თავისი ოინბაზობით გულს უხარებდა სიბერეში შესულ
 ბოსტონს. მისი ყოველი ახალი სიტყვა აღფრთოვანებას ჰკვრიდა. ბოსტონი
 ბიჭის შეშვეობით სწვდებოდა ცხოვრების ღრმა, იღუმალ აზრს, რაც შეილი-
 სა და შეილის დედის მიმართ მის სიყვარულში იმალებოდა. ეს იყო ბოსტო-
 ნისთვის განწესებული ბედ-იღბლის საბოლოო და უმაღლესი წერტილი. ბოს-
 ტონს უნდოდა ჰყვარებოდა ცოლი და ბიჭი. ამის მეტს არაფერს ითხოვდა და
 არც არაფერი უნდოდა ცხოვრებისგან, ვინაიდან სიყვარული ხომ ჩვენთვის
 ზეგარდმო მონიჭებულნი უზენაესი მადლია. ბოსტონი ამის შესახებ არასდროს
 ლაპარაკობდა, მაგრამ თავისთვის იცოდა, რომ ეს ასე იყო. და სჯეროდა, რომ
 ცოლიც გულში მის გრძნობებს იზიარებდა.

ბოსტონი რაიმალაზია „მადანიატთან“ ჩამოხტა ცხენიდან, შიგ შევიდა
 და თვალეზგადმოკარკლული სასაცილო მოსამართი ბაყაყი იყიდა — ო, რა გო-
 უხარდებო ბავშვს! გარეთ გამოსული ცხენზე შეჯდომას აპირებდა, მაგრამ
 უცებ შიმშილი იგრძნო და გაახსენდა, რომ დილიდან ლუკმა არ ჩაედო პირ-
 ში. სასადილო იქვე, რაიმალაზიის გვერდით იყო. ბოსტონმაც, საუბედუროდ,
 შესვლა გადაწყვიტა. იგი ნახევრად ბნელ, გამვლელი შოფრების სამასპინძლო
 იაფფასიანი საკმლის სუნით გაუღენთილ დარბაზში შევიდა. კარის მახლობ-
 ლად მაგიდას მიუჯდა თუ არა, ზურგს უკან ბაზარბაის ხმა შემოესმა. ბოსტონს
 არ მოუხედავს, ისედაც მიხვდა, რომ ბაზარბაი აქ თავის ძმაკაცებთან ქეი-
 ფობდა. „დღისით-მზისით ზის და სვამს მუქთამჭამელებთან, სინდისი ამას არ
 გააჩნია და ნამუსი“, — მძულვარებით გაივლო გულში ბოსტონმა, უნდოდა
 ამდგარიყო და უსიამოვნებას გარიდებოდა, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა: კი მაგ-
 რამ, რისი გულისთვის უნდა წავიდე, უქმელი რატომ წავიდეო? შეუკვეთა
 ბორშჩი, კატლეთი. ამასობაში ბაზარბაის, ეტყობა, მოახსენეს, კუთხეში ბოს-
 ტონი ზისო, და ზურგს უკან მაშინვე ავად მიწყდა ყაყანი, შემდეგ ისევ განახ-
 ლდა. მალე ბოსტონთან ბაზარბაის ერთ-ერთი მეგობარი, ვინმე კორ სამატი,

ბრუციანი სამატი, აქაური ლოთი და კორიკანა მოვიდა, რომელსაც ჯერ კიდევ სიყმაწვილისას ჩხუბში თვალი ამოუგდეს.

— გამარჯობა, ბოსტონ, გამარჯობა! — მან მრავალმნიშვნელოვანი ნიშნებით გაუწოდა ხელი ბოსტონს, ბოსტონსაც რა ექნა, იძულებული გახდა ხელი ჩამოერთმია. — აქ მარტო რას უზიხარ? — ჩააცივდა სამატი ბოსტონს, ჩვენ ავერ ბაზარბაისთან ერთად ვართ. დიდ ხანია არ გვინახავს, თავშეყრა გადავწყვიტეთ, წამოდი ჩვენთან. თვითონ ბაზარბაი გეძახის.

— უთხარი, არ სცალია-თქო, — მიუგო ბოსტონმა რაც შეიძლება თავშეკავებულად. — შევქამ და იმწამსვე მთაში მივდივარ.

— მოასწრებ. მთა სად დაგეკარგება?

— არა, გმადლობ, საქმეები მაქვს.

— იცოდე, სულ ტყუილა ჩქარობ, სულ ტყუილა, — უთხრა წასვლისას კორ სამატმა.

კორ სამატის წასვლისთანავე ბოსტონს თვით საკმაოდ შეზარხოშებული ბაზარბაი გამოეცხადა. ბაზარბაის სხვებიც მოჰყვნენ.

— ერთი მითხარი, რა ცხვირს იბზუებ? როგორც კაცს გეძახიან, შენ კი? რა, თავი სხვებზე უკეთესი გგონია? — პირდაპირ შეუჩივინა ბაზარბაიმ.

— ხომ ვთქვი, არ მცალია-მეთქი, — მშვიდად მიუგო ბოსტონმა და დემონსტრაციულად დაიწყო ბორშჩის ხვრება, რომელსაც სხვა დროს პირველი კოვზის შემდეგ პირს არ დააკარებდა.

— შენთან საქმე მაქვს — უთხრა ბაზარბაიმ და უტიფრად დაუჯდა წინ. სხვები ფეხზე იდგნენ, თავშესაქცევი სეირის მომლოდინენი.

— მე და შენ რა საქმეები უნდა გვქონდეს? — უპასუხა ბოსტონმა.

— ღირდა, მაგალითად, თუნდაც იმ ლეკვებზე მოგველაპარაკნა, ბოსტონ, — ბაზარბაი მოიღუშა და თავი გააქნია.

— ხომ ვილაპარაკეთ, ღირს განა მეორეჯერ მივუბრუნდეთ ამ ამბავს?

— მე მგონი, ღირს.

— ჩემი აზრით კი არა ღირს, ხელს ნუ მიშლი. ჭამას მოვათავებ და აქედან წავალ.

— სად გეჩქარება, ძაღლო-მამაძაღლო? — ბაზარბაი მსწრაფლ წამოდგა, მოიხარა და ბოსტონს ბოლმით დაღრეჯილი სახე მიუახლოვა. — სად გეჩქარება, არამზადავ? ჩვენ ჯერ კიდევ მგლებზე არ გვილაპარაკნია. შენ ხომ ღირუქტორის კაბინეტში მთელი ხალხის წინაშე პროვოკატორი მიწოდე, თქვი, თითქოს ჩემ გამო მგლები მძვინვარებენ. გგონია, არ ვიცი, რა არის პროვოკატორი? გგონია, მე ფაშისტი ვარ და მხოლოდ შენ ბრძანდები პატიოსანი კაცი?

ბოსტონიც წამოხტა. ზეზე, ახლა ერთმანეთს პირისპირ ედგნენ.

— ენის საქსაქს მოეშვი, — ჩააჩუმა ბოსტონმა ბაზარბაი. — მე ფაშისტი არ მიწოდებია, ვერ მივხვდი, ისე კი გეკუთვნოდა, ხოლო შენ რომ პროვოკატორი და ტვინგამოლაყვებული ბოროტმოქმედი ხარ, ნაღდია. ეს შენთვის აღრეც მითქვამს და ახლაც გეტყვი, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ შენს ადგილზე დაბრუნდები და ჩამომეხსნები.

— შენ კი ნურავის უთითებ, სად უნდა იყოს და რა აკეთოს! — ერთობ გაშმაგდა ბაზარბაი. — ვინ ჩემი ფეხები ხარ. მომიფურთხებია. ვთქვათ, როგორც შენ ბრძანებ, მე პროვოკატორი ვარ, შენ თვითონ ვინლა გდიხარ? გგონია, ხალხმა არ იცის, ვინა ხარ? გგონია, ერნაზარი დაღუბე და ყველაფერი ჩაიფარცხა. შენ ხომ, ქვემძრომო, მის ცოლთან პირი მანამ შეჰკარი, ვიდრე ერნაზა-

რი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო შენი ბებერი ცოლი უნდა მომკვდარიყო. სწორედ მაშინ გადაწყვიტე, ერნაზარი უფსკრულში გადაგედო, უღელტეხილზე და ეს ძუენა გულიუმკანი შეგერთო, აბა, დაამტკიცე, რომ ასე არაა, უფსკრულში რატომ ერნაზარი ჩავარდა და შენ არა? თქვენ ხომ ერთ გზაზე მიდიოდით, გგონია, არავინ არაფერი იცის! მაგრამ ის ხომ დაიღუპა, შენ კი ცოცხალი გადარჩი! რა ხართ თქვენ ამის შემდეგ შენ და შენი ძუენა გულიუმკანი? ერნაზარი უღელტეხილზე ყინულში ჩაქვავდა, ძალღივით უსაფლავო დარჩა, ხოლო შენ, ქვემდრომოდ, მის უსირცხვილო ცოლს როსკიბ ძუენას გულში იჭდობ და მასთან ერთად არხეინად ცხოვრობ. პარტიული კი ხარ! პარტიიდან სწორედ პანღურის კვრით უნდა გამოგადგონ, ერთი ამ მოწინავეს, სტახანოველს დამოხედეთ! სამართალში უნდა მიგცენ!

ბოსტონმა ძლივს შეიკავა თავი, რომ მუშტები არ დაეცხო და საზიზღარი სიფათი არ დაეძვალრბილებინა. ბაზარბაი საჩხუბრად, აურზაურის ასატეხად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევდა აშკარად, მაგრამ ბოსტონმა თავს ძალა დაატანა, კბილი კბილს დააჭირა და სიავისაგან სულშეგუბებულ ბაზარბაის უთხრა:

— შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს. შენი სიტყვები ჩემთვის არაფერს ნიშნავს. თავს არც გაგიტოლებ. ახლა კი გზიდან ჩამომეცალე. ჰეი, ყმაწვილო, — გასძახა ოფიციალტს. — აჰა, სადილის ფული, — ხუთმანეთიანი მიაჩეჩა მას და მდუმარედ აიძრა.

ბაზარბაიმ ხელი ჩაავლო:

— აბა, ერთი მოიცადე! ნუ მიგეჩქარება შენს ძუენასთან. შეიძლება ახლა რომელიმე მეცხვარესთან დროს ატარებს, როცა შენ სახლში არა ბრძანდები, მიხვალ და მათ ხელს შეუშლი!

ბოსტონმა მახლობელი მაგიდიდან შამპანურის ცარიელი ბოთლი აიტაცა და კბილებში გამოსცრა:

— ხელი გასწიე! — ბოსტონი თვალს არ აცილებდა ერთ წამში გაფითრებულ ბაზარბაის. — ხელმეორედ არ გამამეორებინო, ხელი გასწიე! გესმის? — უთხრა და მძიმე ცარიელი ბოთლი შეაქანა.

ბოსტონი ქუჩაში გამოვიდა. ბოთლი ისევ ჩაბლუჭული ჰქონდა ხელში. ცხენს რომ მოახტა, მაშინ გამოერკვა, ბოთლი ნარვალში მოისროლა, დონკულიუკი თავისუფლად მიუშვა და ოთხით გააქენა. ასე სწრაფად კარგა ხანია არ უქროლია. ამ საშინელმა კენებამ გონს მოიყვანა და როცა გამოფხიზლდა, შეძრწუნდა: რაღაც წამებში ხომ კინალამ კაცი მოკლა, მადლობა ღმერთს, თორემ ერთი დარტყმით გაუბობდა თავის ქალას ამ საზიზღარ ბაზარბაის. მისაბმელიანი ტრაქტორით მიმავალი ხალხი განცვიფრდა, თვალებს არ უჯერებდა. დიდხანს გაჰყურებდა უკან: ნეტავ რა სჭირს, ასე დარბაისელი კაცია, თავქარიანი ყმაწვილივით კი მიჭრისო. ბოსტონმა მალე სული მოითქვა, საბოლოოდ მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ნაკადულზე ცივი წყლით გული იჯერა. შემდეგ ტანსაცმელი გაიბერტყა და ცხენს მოახტა. უკვე აღარ მიერეკებოდა დონკულიუკს, ნაბიჯით მიჰყავდა და სულ უხაროდა, რომ მკვლელობას ასცდა.

გზაზე კი ისევ გაახსენდა, რაც მოხდა, და ისევ მოიღუშა. გული ჩასწყდა, როცა უცებ მოაგონდა, რომ სასადილოში რაფაზე კენჭეშისათვის ნაყიდი ასე მშვენიერი გასართობი, სათამაშო ბაყაყი, თვალებგადმოკარკლული, დიდპირა, მოსამართი ბაყაყი დარჩა. რა თქმა უნდა, სათამაშო არცთუ ძვირფასი იყო, შეეძლო სხვა დროსაც ეყიდა პატარასთვის იმავე რაიმაღაზია „მადანიატში“.

მაგრამ რატომღაც გაიფიქრა, ეს ცუდი ნიშანიაო. არაფრით არ შეიძლებოდა, ბიჭისათვის განკუთვნილი ნივთი დაევიწყებოდა. მას კი დაავიწყდა...

თავისი ცრუმორწმუნეობა აღიზიანებდა ბოსტონს, სურვილს უღვიძებდა რალაცნაირად წინააღმდეგობა გაეწია მოვლენათა უსიამოვნო მსვლელობისათვის. იმის გაფიქრებაზე, თუ როგორ ჩაუსაფრდებოდა მგლებს და ამ წყვეთულ მხეცებს დახოცავდა, რათა ახლომახლო მათი ქაჭანება არ ყოფილიყო ზით სული ეგუბებოდა.

მაინც რა უცნაურია, ფიქრობდა იგი. სასადილოში დღევანდელი შეტაკება ბაზარბაისთან, რაც კინაღამ მკვლელობით დამთავრდა, ისევ ამ მგლების გამო ატეხილ კამათს მოჰყვა...

ბოსტონმა გადაწყვიტა, თავისი განზრახვა მეორე დღეს აღესრულებინა. ამით ოპერაციის ყველა წვრილმანი მოიფიქრა, ყველაფერი გაითვალისწინა და ცოლს ერთად ცხოვრების მთელ მანძილზე ალბათ პირველად დაუმალა ჩანაფიქრი, არ გაანდო მისთვის ეს მნიშვნელოვანი განზრახვა. ბოსტონს არ სურდა ლაპარაკი ჩამოეგდო მგლებსა და მათ ლეკვებზე, რომელთა გამოც აუტეხა ბაზარბაიმ ჩხუბი, არაფერზე არ უნდოდა საუბარი, რაც კი უღელტეხილზე ერნაზარის დაღუპვას გაახსენებდა. ამიტომ შინ უფრო მეტად ხმას არ იღებდა, ბიჭთან თამაშით იქცევდა თავს, გულიუმკანს კითხვებზე მოკლედ პასუხობდა. იცოდა, თავისი დუმილით ცოლს შეაწუხებდა, საგონებელში ჩააგდებდა, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო. ისიც შესანიშნავად ესმოდა, რომ ბაზარბაისთან შეტაკების თუ მისი უშვერად ლანძღვის ამბავი ადრე თუ გვიან გულიუმკანის ყურამდეც მიაღწევდა, და მაინც დუმდა. თახსირი ბაზარბაის ნათქვამი ისეთი საძაგლობა და საზიზღრობა იყო, არ უნდოდა გაემეორებინა.

იმაზეც ფიქრობდა ბოსტონი, რა უცნაურად მძიმედ და რთულად აეწყო მისი და გულიუმკანის ცხოვრება. ადამიანებს რამდენ ფარულ თუ აშკარა მტრობას ამჩნევდნენ მას შემდეგ, რაც ცოლ-ქმარი გახდნენ, რამდენ ცილისწამებას არ უვრცელებდნენ ისინი! მიუხედავად ამისა, ბოსტონი არ ნანობდა, რომ თავისი ცხოვრება ერნაზარის ქვრივს დაუკავშირა. უკვე უჭირდა იმის წარმოდგენა, როგორ უნდა ეცხოვრა გულიუმკანის გარეშე, სულ უნდოდა ეგრძნო, რომ იგი გვერდით ჰყავდა... ო, არა, მაშინ ეს ნამდვილად რალაც სრულიად სხვანაირი ცხოვრება იქნებოდა. ბოსტონს შეიძლებოდა მხოლოდ გულიუმკანთან ერთად ეცხოვრა. მართალია, ხანდახან გულიუმკანი უკმაყოფილო იყო, ზოგჯერ უსამართლოც მისდამი, მაგრამ ბოსტონს არასდროს უღალატებდა, ეგ კი ყველაზე მთავარი იყო. ოღონდ ამაზე ერთმანეთთან არასდროს ლაპარაკობდნენ, ეგ თავისთავად იგულისხმებოდა. და ბოსტონისათვის რომ ეკითხათ, რას ნიშნავდა მისთვის პატარა, მოუსვენარი ბიჭუნა, სულ რამდენიმე სიტყვა რომ იცოდა, მოლიმარი, თვალეზნათელი, დაუდგარი, ფეხებფუნთულა ნაბოლარა, ვერაფერს იტყობდა, სიტყვებს ველარ იპოვიდა. ეს გრძნობა სიტყვებით ვერ გამოიხატებოდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ კენჭეში თვითონ იყო, ბოსტონი იყო — ღვთის მიერ უცოდველი ბავშვის ჰიპოსტასის სახით ქვეყნად მოვლენილი.

სულიერად კი ხვდებოდა და აცნობიერებდა ყველაფერს, და ღამით, ცოლთან და ბავშვთან მწოლარე, დამშვიდდა, დაცხრა, გამხნევდა. უნდოდა დაევიწყებინა სასადილოში მომხდარი ამბავი. ისიც კი გაიფიქრა, თუ ამ ღამით მგლები არ გამოჩნდნენ, ხვალ აღარ ჩაუსაფრდები, შეიძლება საერთოდ სულაც დაგვანებო თავიო. ბოსტონს სიმშვიდე სურდა...

მაგრამ თითქოს ჯიბრზე დაახლოებით შუალამით ისევ გამოცხადდნენ მგლები. დიდი ფარეხის უკან ბორცვზე ისევ აკვნესდა, აყმუვლდა აკბარა და მას დაბალი ბოხი ყმუილით აპყვა ტაშჩაინარი. და ისევ შიშით გაეღვიძა და აფშლუკუნდა კენჯეში, აბუზლუნდა ნამძინარევი გულიუმეანი. სწვევლიდა ცხოვრებას, რომ მოსვენებას არ აძლევდნენ გამძვინვარებული მგლები. ბოსტონის ისე გაგულისდა, უნდოდა სახლიდან გავარდნილიყო და თუნდაც ცხრა მთის იქით გასდევნებოდა მგლებს. და კვლავ გაახსენდა, როგორ თათბავდა, შეუროცხყოფდა, ამცირებდა თახსირი, არაკაცი ბაზარბაი და ინანა, რომ თავი ბოთლით არ გაუხეთქა. საკმარისი იყო მძიმე ბოთლი საძულველი ბაზარბაის თავზე დაეშვა და სულს გააცხებინებდა კიდევაც. და სულაც არ ვინანებდიო, — ფიქრობდა ბოსტონი, პირიქით, გამიხარდებოდა, რომ ამ ადამიანისსახიან საზოგადოებას არსებას როგორც იქნა ბოლო მოვუღეო... მგლები კი ისევ და ისევ ყმუოდნენ.

ბოსტონი იძულებული გახდა, თოფი აეღო და გარეთ გასულიყო თუნდაც მგლების შესაშინებლად, მაგრამ ერთჯერ ან ორჯერ გასროლის ნაცვლად ღამის სიბნელეში ხუთჯერ მიყოლებით დააქუხა. შემდეგ შინ შემობრუნდა, დაძინებაკი ვეღარ შეძლო, თოფის წმენდას შეუდგა, რატომ და რისთვის, თვითონაც არ იცოდა: წინა ოთახის კუთხეში მოიკალათა, თავის სანადირო შაშხანა „ბარსზე“ დაიხარა და გულმოდგინედ დაუწყო წმენდა, თითქოს იგი სასწრაფოდ სჭირდებოდა. კიდევ ერთხელ მოიფიქრა, როგორ გასწორებოდა მგლებს, და გადაწყვიტა, გათენებისთანავე შესდგომოდა საქმეს.

ხოლო სროლით დამფრთხალი აკბარა და ტაშჩაინარი ამ დროს ხეობაში მიილალებოდნენ, რათა იქ გაელიათ ღამე. აწრიალებულ მხეცებს მუდმივი ადგილი აღარ ჰქონდათ, სადაც მოუხდებოდათ, იქ ითევდნენ ღამეს. აკბარა, როგორც ყოველთვის, წინ მიდიოდა. ბეწვის ცვენის დადგომამდე ჩამოწოლილი, ჩამოგრძელებული, გაბურძღნული ბალნით მოსილი სიბნელეში საშინელი სანახავი იყო. თვალები ფოსფორული მბზვინვარებით უელავდა. ენა გარეთ უვარდებოდა, გეგონებოდათ, ცოფიანიყო. არა, შვილებდაკარგულ ძუ მგელს მწუხარება არ უნელდებოდა, ვერ ივიწყებდა თავის შვილებს. ალღო ქვეშეცნეულად უკარნახებდა, რომ ლეკვები ბოსტონის ფარეხში იყვნენ და არა სხვაგან, აქ იქ შეიძალა მომტაცებელი, რომელსაც იმ ბედკრულ ღამეს ორივე ფეხდაფეხ მოსდევდა. უფრო მეტს აკბარას ცხოველური გონება ვერ საზღვრავდა. ამიტომაც საზარლად მძვინვარებდნენ მგლები, მთელ არემარეზე უაზროდ ხოცავდნენ საქონელს. ხოცავდნენ არა იმიტომ, რომ შიმშილი მოეკლათ, არამედ დაუცხრომელი, დაუოკებელი მოთხოვნილება ჰქონდათ ხორციითა და სისხლით გაყუჩებინათ, ჩაეხშოთ, გაენელებინათ ქვეყნიერებაზე გაბოროტებისა და სულში ჩაგუბებული სიცარიელის გულშემალონებელი გრძნობა. ხოლო კუჭის ამოვსების შემდეგ იმ ადგილისკენ მიიწევდნენ, სადაც ლეკვების კვალი დაკარგეს. განსაკუთრებით აკბარა იტანჯებოდა, ვერაფრით შერიგებოდა ხვედრს. დღე ისე არ გავიდოდა, იქ არ მისულიყო, დღე ისე არ გავიდოდა, მას და ტაშჩაინარს ბოსტონის სადგომის გარშემო არ ეხეტიალათ. სწორედ ამიტომ ჰქონდა მგლებთან შეხვედრის იმედი ბოსტონს, რომელმაც გადაწყვიტა, რადაც უნდა დაედომოდა, ისინი მოესპო.

დილით ბოსტონმა განკარგულება გასცა, ფარა საძოვარზე არ გაერეკათ, ორ ფარეხში ჰყოლოდათ, მეტი მარცვლეული, საკვები მიეცათ და ბაკის სარ-

წყულებლებიდან დაეღვეინებინათ წყალი. თვითონ კი ფარას პაწაწაბატკნებიანი ოცი ნერბი მოაცილა, მეტწილად ისეთები, რომელთაც ტყუპი ბატკნები ჰქონდათ, რათა ხმაძალდა ეხმაურათ და ებღაეღათ, და ეს ნოტო უკაცურ, მხარეს გარეკა.

ბოსტონს თან არავინ წაუყვანია. მარტო მიდიოდა, გრძელი მიიღვეკავდა ფარას. მხარზე ღამით გაწმენდილ-გაპრიალეღებული, დატენილი თოფი ჰქონდა ჩამოკიდეღებული. აუჩქარებღლად, დიდხანს მიდიოდა. რაც შეიძღღება შორს უნდა გასღლოდა საღცხოვრებღლს.

თბიღი, ნამღვიღად გაზაფღხუღის შესაფერი დღე იღღა. მთეღი მზის სიღბოს ნთქავღნენ და ბორღვეღსა და ტაფობეღზე ამწვანეღულ ბაღახად აქღვეღნენ. კანტიკუნტი, ქუნქულა. ხუჭუჭა ღრუბღლები უღრტღინვეღად ნეღვირობღნენ ცის ლაღვარღში. გაღობღნენ ტორღოღები, ქვეღს შორის კაკბეღი ტიხტიხეღბღნენ — ერთი სიღყვიღთ სვესვიანობა სუფეღვდა. მხოღლოღ მთეღი პორიზონტის გაყოღღებაზე ცად აზიღღული, მრისხანე თოვღიანი მთაგრეღხიღლები, საღდაღ ყოვეღ წუთს შეიღღღებღდა ქარბუჭი ამოვარღნიღლიყო, და უხიაკი ქარის მიერ ეშმაკმა უწყის საიღდან მორეკიღი შავი ღრუბღლები, რომელთაც შეეღღღოთ მზე დაეღბნეღლებიღათ, გვახსენეღბღდა, რომ ეს სვესვიანობა ღროღებითი იყო.

ჯერჯერობით კი არაფერი მოასწავეღბღდა, რომ ცუღდი რამ მოხღღებღდა, ბატკნებიანი ნერბეღბის ნოტო არეულ-ღარეული პეტელ-ბღავიღლით იჭიღთ მიდიოღდა, საიღთაც კაცი მიერეკეღბღდა. ბატკნეღი ანცად ხტოღნენ, დეღღებს ეპოტიღნეღბღღნენ, რომ გზა-გზა მოეწოვათ ძუძუ, მაგრამ ბოსტონს ღამიღდანვე დანა ბირს არ უხსნიღდა, და რაც მეტს ფიქრობღდა, მით უფრო მეტად ბრაზღღებღდა მღღლებზეღ და ბაზარბაიზეღ, ვისი ბრაღლიღ იყო ეს საშინეღი ამბავი. არ უნღღოღო ბაზარბაის აკყოღლოღდა, რადგან ახსოვღდა ანღაზა — ნეხვს რამღენსაც გაქეჭავ, იმღენი აყოღღღებღათ, მღღლები კი უნდა მოეღსპო, დაეხოცა, გაენაღღღურეღბინა — სხვა გზას ვერ ხეღავღდა. გეგმა მარტივი ჰქონღდა: ნერბეღბისა და ბატკნეღბის პეტელ-ბღავიღლს უსათუოღ უნდა მოეტყუეღბინა მღღლები, თვიღთონ საფარში ჩაჯღღებღდა და, თუ ბეღდი გაუღღიმეღბღდა, ორივეს დახოცავღდა. მაგრამ, როგორღ ამბობენ, კაცი ბჭობღდა, ღმერთი იციღნოღდაო... სწორეღ ასე მოხღდა...

თითქმის შუაღღღემღღე მღღლები არ გამოჩენიღლან. ბოსტონმა ცხვრეღბი მყუღღრო ღარტაფში ჩარეკა. თვიღთონ ღარტაფის ნაპირას ქვეღსა და მეჩხერ ბუჩქნარში გაინაბა, საიღდანაც ღარტაფი ხეღისგულიღვიღთ ჩანღდა. ბოსტონი ჩუბინი მსროღღული იყო, ბაღღობიღდან სანაღღიროღდ დაღღიოღდა და უკვე ისიქ-ქოღლის რამღენიღმე მღღელი ჰყავღდა მოკღული. ამიღტომაღც არ ეეჭვებოღდა, რომ მღღლებს დახოცღდა, ოღღონღაც ისინი მოეტყუეღბინა. ნერბეღბი და ბატკნეღბი ერთი წუთიღთ არ წყვეტღღნენ ბღავიღლ-პეტელს. ერთმანეღთს ეხმიანეღბღღნენ. ღრო კი გაღღიოღდა და მხეცეღბი არ ჩანღღნენ, თუმცა სხვა დღღეღებში ხშირად აწყობღღნენ თავდასხმეღს, იმ არეღმარეზე გამოსულ ფარეღბზე იყრიღღნენ ჯავრს, თან, როგორღ წესი, ყოვეღღთვის დღღისიღთ, მზისიღთ.

მზეღ დააცხუნა. ბუჩქის ძირას სათბურაზე წამოწოღღიღი ბოსტონი სხვა ღროს აღბათ ჩათვღღემღდა, მაგრამ ახღა თავს ამის უფღღებას ვერ მისღღემღდა. სუღლიღ შეჭირვეღებული ჰქონღდა: უმძიმღდა იმის შეგნეღბა, რომ ერნაზარის დაღღუღღვაში აღღანაშაუღღებღნენ. და თითოეული თავისეღბურად სიღცრუეს უგონეღბღდა, ციღს სწამეღბღდა, საგონეღბელში აგღღებღდა. და ვერ გაეგო, ასე რად იყო მოწყობიღი ცხოვრება: რისთვის, რატომ სძულღდა სულ სხვადასხვა აღღამიანეღბს? აგერ ეს მღღლებიღც გადაეკიღღნენ, სულსა ხღღიღნენ. მათ გამო სახღღშიღც ვერ ისვენეღბღდა. ახღა კიღვე

ბაზარბაისთან ჩხუბის ამბავი ცოლის ყურამდე მიადწევდა. სასადილო ხალხით იყო სავსე, როცა ბაზარბაი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მასაც და მის ცოლსაც, მერედა რამდენი არაკეთილმოსურნე იქნებოდა იქ...

მგლები კი არა და არ ჩანდნენ. ბოსტონს უკვე მოთმინების/მაფი უწყობდა. მიუხედავად ამისა მაინც ძაბავდა მხედველობას და ესმენას, იცდიდა ფიზიკურად იყო: მხეცები რაც შეიძლება ადრე უნდა შეეშინებინებინებოდა ესროლა, ვიდრე ისინი ცხვრებს მისცვივდებოდნენ. იმ წამის მოხელთება კი, როცა მგლები მოვიდოდნენ, არც ისე ადვილი გახლდათ, ვინაიდან შინაურ ცხვარს ალღო არა აქვს, არც თვალი უჭრის, ერთი სიტყვით, ამქვეყნად მასზე სულელი და უნიათო ცხოველი არ არსებობს. მგლებიც ყველაზე იოლად ცხვარზე ნადირობენ და მათგან ამ ცხოველის დაცვა მხოლოდ ადამიანს შეუძლია. ამიტომ მგლებს ადამიანებთან აქვთ ხოლმე საქმე. ასე იყო ამჯერადაც...

უდარდელმა ცხვრებმა ახლაც ვერ იგრძნეს საფრთხე, სძოვდნენ, ბალახს, მხოლოდ ბატკნების ძახილზე თუ ანებებდნენ თავს და მორჩილად უშვერდნენ დგრილებს. სხვა საზრუნავი არ აწუხებდათ. საფრთხე პირველად მხოლოდ ბოსტონმა შეამჩნია.

ბოსტონის მახლობლად მოფუსფუსე თეთრგვერდებიანი ორი კატკატე უცებ მოუსვენრად აკაკანდა, ერთი ადგილიდან მეორეზე დაიწყეს გადაფრენა. ბოსტონი გაყურადდა, თოფი ჩაბმახზე შეაყენა, მაგრამ ბუჩქნარიდან თავი არ გამოუყვია, პირიქით უფრო გულდაგულ შეიმალა შიგ. მას შეუცდომლად უნდა ემოქმედნა. მზად იყო, რამდენიმე ცხვარი გაეწირა, ოღონდაც მტაცებლები გაშლილ ადგილზე გამოეტყუებინა, მაგრამ მგლებმა, ეტყობა, საფრთხე იყნოსეს — შეიძლება იმავე კატკატეებმა ამცნეს. კატკატეებმა ერთ ადგილას მოათავეს კაკანი, იქით გადმოფრინდნენ სადაც ბოსტონი იყო ჩასაფრებული, თავხედურად, ხმამაღლა აკაკანდნენ, თუმცა ბოსტონს თითქოსდა არ უნდა მიეჭცია მათი ყურდღება — გაუნძრევლად იჯდა უკან. ასე იყო, თუ ისე, მგლები უცებ არ მივარდნილან ცხვრებს. თურმე დაცალცალკავდნენ: აკბარა ვეება ქვეშს შორის მოიპარებოდა, ხოლო ტაშჩაინარი — საპირისპირო მხრიდან (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იმ ადგილის შორიახლო მოცოცავდა, სადაც შეიარაღებული ბოსტონი იყო დამალული).

ეს ყველაფერი კი განა უცებ გახდა ცნობილი.

მგლების მომლოდინე ბოსტონი ფრთხილად იხედებოდა აქეთ-იქით, მაგრამ ვერაფრით ვერ გაერკვია, რომელი მხრიდან გამოჩნდებოდნენ ისინი. ირგვლივ სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა: ცხვრები წყნარად ძოვდნენ ბალახს, ბატკნები ანცობდნენ, კატკატეებმა კაკანი შეწყვიტეს — ისმოდა მხოლოდ მთებიდან ჩამომავალი, შორიახლო ჩამომდინარე ნაკადულის ჩუხჩუხი და ბუჩქებზე ჩამოსხდარი ჩიტების ჭიკჭიკი. ბოსტონი ხანგრძლივმა ლოდინმა დაღალა. უცებ ქვეშს შორის რუხი ჩრდილი გაკრთა, ცხვრებიც სწრაფად გაცვივდნენ განზე და შიშისა და მოლოდინისაგან გაუბედავად გაირინდნენ. ბოსტონი ერთიანად დაიძაბა, მიხვდა, რომ მგლებმა დააფრთხეს ფარა, რათა გაეგოთ, სად იყო კაცი დამალული: ასეთ დროს ყველა მწყემსი ყვირის და ცხვრებისკენ გარბის. ბოსტონს სხვა ამოცანა ჰქონდა, ამიტომ თავისი ადგილსამყოფელი არ გაუმეღავნებია. ამ დროს ლოდებს შორის ისევ გაკრთა რუხი ჩრდილი და მტაცებელი ორი ნახტომით მივარდა აფორიაქებულ ცხვრებს. ეს აკბარა იყო. ბოსტონმა თოფი მოიპარჯვა, ნიშანში იღებდა აკბარას, ჩაბმახისთვის უკვე თითი უნდა

გამოეკრა, მაგრამ უკან დარბეულმა ჩქამმა აიძულა შემობრუნებულიყო, პირ-
დაპირ დაახალა ტყვია მისკენ გამოჭრლ ვეება მხეცს. ყველაფერი თვალის და-
ხამხამებაში მოხდა. ტაშჩაინარს ტყვია პაერშივე ეძგერა, მაგრამ უცებ არ და-
ცემულა, გაავებით კბილებდაკრეჭილი, მობრიალე თვლებში მძვინვარებაჩამ-
დგარი, წინ გამოწვდილი ბრჭყალებიანი თათებით ერთხანს ისევ მოფრინავდა
ბოსტონისაკენ და უგრძნობლად დაენარცხა მიწას მისგან სულ ნახვარ-მეტრსეკა
ზე. ბოსტონმა იმავე წამს სხვა მხრისკენ მიმართა თოფი, ოღონდ დრო უკვე
დაკარგული იყო: აკბარმა წაქცეული ცხვარი მიატოვა და ქვებს შორის მიმალ-
ვა მოასწრო. ბოსტონი გაედევნა, იქნებ ტყვია დავაწიოო, მაგრამ იმასლა მოპ-
კრა თვალი, რომ აკბარა ნაკადულს გადაევლო. ესროლა, და ააცდინა...

ბოსტონმა სული მოითქვა, გულდამწუხრებულმა მიმოიხედა. დაძაბულო-
ბისაგან ფერი წასვლოდა, ქშინავდა. მთავარ მიზანს ვერ მიაღწია — აკბარა
გაექცა. ახლა საქმე უფრო გართულდა — ძუ მგლის მოკვლა არც ისე ადვილი
იქნებოდა: მას ველარსად მოიხელთებდა. დროზე რომ არ მიმეხედა და ტაშ-
ჩაინარი პირველივე ტყვიით არ განმეგმირა, შეიძლება ყველაფერი გაცილე-
ბით ცუდად შეტრიალებულიყო, ფიქრობდა ბოსტონი. მან მთელი ამბავი
აწონ-დაწონა და მიხვდა, რომ ფარას მოახლოებულმა მხეცებმა საფრთხე იგრ-
ძნეს და გაიყვნენ, ხოლო როცა ტაშჩაინარმა შეამჩნია, თოფიანი კაცი ძუ მგელს
ემუქრება, აკბარა-კი აინუნში არააო, დაუფიქრებლად გაიჭრა მტრისკენ...

ბოსტონმა დამფრთხალ-დაფანტული ცხვრები ერთად შეჰყარა და მოკ-
ლული მგლის დასახედად გაემართა. ტაშჩაინარს ვეება ყვითელი შუანები
დაეკრიჭა, თვალები უკვე გაყინვოდა. ბოსტონმა ხელი შეახო ტაშჩაინარის
თავს. ვეება თავი ჰქონდა ტაშჩაინარს — ცხენის სარგო, თავი, როგორ დაატა-
რებდა ამ სიმძიმე თავს? თათებს აღარ იკითხავთ? ბოსტონმა ასწია ტაშჩაი-
ნარის თათები, ხელით აწონა და უნებლიეთ მოიხიბლა, ისეთი ძალა იგრძნო-
ბოდა მათში. ვინ იცის, რამდენი უვლიათ, რამდენი ნადავლი დაუგლეჯიათ!

მცირე ყოყმანის შემდეგ ბოსტონმა გადაწყვიტა, ტაშჩაინარი არ გაეტყა-
ვებინა: ჯანდაბას ტყავი, მთავარი ტყავი ხომ არაა, მით უმეტეს ძუ მგელი გა-
დარჩა და სასიხარულოც არაფერიაო.

ბოსტონი ერთხანს კიდევ იდგა დაფიქრებული, შემდეგ ძუ მგლის მიერ
ყელგამოლადრული ცხვარი მხარზე მოიგდო და ფარა შინ გაირეკა.

მოგვიანებით უკან დაბრუნდა, თან ნიჩაბი და წერაქვი მოიტანა და სა-
დამოდე ორმოს თბრიდა, რომ ტაშჩაინარის ლეში დაემარხა. დიდხანს იჯახირა,
რადგან მიწა ქვიანი აღმოჩნდა. დროდადრო ჩერდებოდა და ირგვლივ ფრთხი-
ლად იხედებოდა, შემთხვევით ძუ მგელი ხომ არ გამოჩნდაო. მისი დაუცადი
თოფი იქვე იდო, ხელის გაწვდენაზე...

ხოლო აკბარა შუალამით მოვიდა... მიწის ახალ ნაყართან დაწვა და განთი-
ადამდე არ ამდგარა. მზე რომ ამოიწვერა, მაშინ კი უმაღ გაქრა..

VI

გაზაფხულის დღეები იდგა, არათუ გაზაფხულის, შეიძლება ითქვას ზაფ-
ხულის დამდეგი იყო. მეცხვარეები საზაფხულო საძოვრებზე უნდა გადაბარ-
გებულებიყვნენ. ვინც ზამთარი მთისწინეთში გაატარა, უფრო ღრმად მდებარე
ხეობებში მთის ახალ საბალახოებზე გადადიოდა, რომ ნელ-ნელა მიახლოვე-
ბოდნენ უღელტეხილს, ხოლო ვინც მინდვრებში, ფარეხებში გამოიზამთრა,

სათადარიგო საგაზაფხულო საძოვრებზე მიემართებოდა. სადაეიდარაბო დრო იდგა: უნდა გადაგერევა საქონელი, გადაგეტანა საოჯახო ბარგი-ბარხანა, ყველაზე მძიმე საქმე კი ცხვრის პარსვა გახლდათ. ეს ყველაფერი ერთად დაძაბულობას ქმნიდა. თანაც ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება ადრე მოხვედრილიყო საზაფხულო საძოვრებზე და უკეთესი ადგილები დაეკავებინა. ერთსიტყვით, საქმე არ ილეოდა... თითოეულს თავ-თავის საქონელი უნდა ჰქონოდა...

მთელ იმ არემარეზე მხოლოდ აკბარა წრიალებდა. მხოლოდ ის არ ერთვოდა ირგვლივ გაჩაღებული მჩქეფარე ცხოვრების ფერხულში. შეიძლება ითქვას, ადამიანებმაც დაივიწყეს: ტაშჩაინარის დაკარგვის შემდეგ აღარსად ჩანდა, ბოსტონის საზამთრო სადგომთანაც კი შეწყვიტა ლამლამობით ყმუილი.

უსაშველოდ უმძიმდა აკბარას. მოდუნდა, გულგრილი გახდა — ჭამდა ყოველგვარ წვრილ-წვრილ ნადირ-ფრინველს, რასაც კი მოიხელთებდა, და მეტწილად სადმე მყუდრო ადგილას ნალვლიანად აღამებდა დღეებს. აინუნში არ აგდებდა ფარების მასობრივ გადადენას, როცა მთებზე ათასობით ცხვარს მიედინება და ხმაურში სულ ადვილია აცაბაცა მომზირალი ბატკანი ან შიშაგი მოიტაცო.

აკბარას თვალში სამყარო თითქოს გაუფასურდა. ის ახლა წარსულის მოგონებებით ცხოვრობდა. თავს თათებზე დაიდებდა და მთელი დღეები იგონებდა მუინყუმის სავანაში და აღდაშისპირა ტრამალებში, ანდა აქ ისიქ-ქოლისპირა მთებში გატარებულ სასიხარულო თუ სამწუხარო დღეებს. თვალწინ კვლავ და კვლავ უდგებოდა გარდასული ცხოვრების, ტაშჩაინართან ერთად გატარებული ცხოვრების სურათები, და ყოველთვის ნალველმოდებული ზეზე დგებოდა, თავჩაქინდრული დაეხეტებოდა ახლომახლო, ისევ წვებოდა, მობერებულ თავს თათებზე იდებდა და ისევ იგონებდა შვილებს — ან ბაზარბაის მიერ იმ ოთხ ახლახან მოტაცებულ ბატარას, ხან მუინყუმში ნადირთხოცვისას დაღუპულთ. ან ტბისპირა ლაქაშებში დამწვართ. ყველაზე უფრო კი მაინც თავის მგელს, ერთგულ და მძლეთანძლე ტაშჩაინარს იგონებდა. დროდადრო ის უცნაური კაციც ახსენდებოდა, რომელსაც კანაფის შამბნარში გადაეყარნენ, ახსენდებოდა ის კანშიშველი, უმწეო არსება როგორ ერთობოდა ლეკვებთან, ხოლო როცა თვითონ მისკენ გაიჭრა, რათა მყის გამოელადრა ყელი, შიშით როგორ ჩაცუცქდა და თავი ხელებით დაიფარა, შემდეგ კი უკან მოუხედავად მოკურცხლა... ხოლო შემდეგ უკვე ზამთრის დამდეგს განთიადისას როგორ ნახა მუინყუმის სავანაში საქსაულის ხეზე გაკრული. აგონდებოდა, როგორ მისჩერებოდა კაცის ნაცნობ ნაკვთებს, აგონდებოდა, მან როგორ ოდნავ გაახილა თვალი, რაღაც წაიჩურჩულა და გაჩუმდა...

ახლა აკბარას გარდასული ცხოვრება სიზმრად ელანდებოდა, დაუბრუნებელ სიზმრად, მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, იმედი არ უჭრებოდა, გულში უბუტუტავდა: ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მისი ნაბოლარა ლეკვები ოდესმე გამოჩნდებოდნენ. ამიტომაც მიიბარებოდა ლამლამობით ბოსტონის საზამთრო სადგომთან, მაგრამ უკვე აღარ ყმუოდა გულგამგმირავად, ჩვეულებრივად და მრისხანედ, მხოლოდ შორიდან აყურადებდა: იქნებ უცებ ქარს წამოზრდილი ლეკვების წკმუტუნი ან მათი ტკბილი ნაცნობი სუნი მოჰყვესო... თუკი შეიძლებოდა ასეთი სასწაული მომხდარიყო! ო, როგორ გაიჭრებოდა აკბარა თავისი თვალისჩინი ლეკვებისკენ, არ შეუშინდებოდა არც ადამიანებს, არც ძაღლებს, ტყვეობიდან გამოიხსნიდა, წამოიყვანდა თავის შვილებს, ყველანი ფრთებგა-

მოსხმულებივით გაქროლდებოდნენ სხვა მხარეებში და იქ მგლების შესაფერის თავისუფალ, მკაცრ ცხოვრებას დაიწყებდნენ.

ბოსტონს კი ამ დღეებში თავსაყრელი აბეზარი საქმეები მოსვენებას არ აძლევდნენ — ჯერ ხომ უამრავ საზრუნავს უჩენდა გადაბარება, ახლა კი დღევსულელური სამსახურებრივი საქმეები გამოუტყვრა. კოჩკორბაევი უკუტუნჩიევს შეპირებისამებრ ზემდგომ ინსტანციებში უჩივლა. იქნებნაქონდა სია ჩამოვიდა მტყუან-მართლის გასარკვევად, რომლის წევრები ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ. ზოგი მოითხოვდა, მეცხვარე ბოსტონ ურკუნჩიევი აუცილებლად უნდა გაირიცხოს პარტიიდანო, ვინაიდან პარტორგი შეურაცხყო და ამით მორალური ზიანი მიაყენა თვით პარტიასო. სხვების აზრით, ეს არ შეიძლებოდა, რადგან მეცხვარე ბოსტონ ურკუნჩიევი საქმეზე ლაპარაკობდა და მისი კრიტიკული გამოსვლის მიზანი შრომის ნაყოფიერების გაზრდა იყო, კომისიამ ბაზარბაი ნოივუტოვიც გამოიძახა. მას წერილობითი ახსნა-განმარტება დააწერინეს მგლის ლეკვების შესახებ, რომელთა ბუნაგში დაბრუნებას ითხოვდა ვითომდა ბოსტონ ურკუნჩიევი...

ბოსტონს ბოლო ორ გამოძახებაზე ყური არ გაუბარტყუნებია, კომისიაში არ გამოცხადებულა, შეუთვალა, საზაფხულოდ საქონელი მთაში უნდა გავრეკო და ოჯახითაც გადავიდეთ, დრო აღარ ითმენს, ამიტომ საქმე უჩემოდ გარკვეით, როგორც გინდათ, ისე დამსაჯეთ, თანახმა ვარო, ამით ერთობ გაახარა კოჩკორბაევი, რომელსაც ბოსტონის ასეთი საქციელი ძალიანაც აძლევდა ხელს.

მეცხვარეს სხვა გზა არც ჰქონდა. საზაფხულო საძოვრებზე საქონლის გადარეკვა უკვე დაიწყო, გადარეკვის დაგვიანების უფლებას კი ბოსტონი თავის თავს არასდროს მისცემდა. ბოლო წლებში საქონელს ერთი დღით ადრე ფეხით მირეკავდნენ. შემდეგ მიჰქონდათ გადასატანი საცხოვრებელი და მთელი საოჯახო ბარგი-ბარხანა იმ ადგილამდე, სანამდეც მანქანება შეეძლოთ მისვლა. ხოლო იქიდან ყველაფერს მამაბაბურად, ცხენებით ეზიდებოდნენ. უნდა ითქვას, ეს მწყემსებს ძალიან უმსუბუქებდა საქმეს და, რაც მთავარია, აჩქარებდა საქონლის გადარეკვას. ბოსტონმაც ჯერ საქონელი გარეკა საზაფხულო საძოვრებისაკენ, ფარას თავისი დამხმარენი მიუჩინა და ღამით უკან დაბრუნდა, რათა მეორე დღეს მანქანებზე ოჯახი და საოჯახო ხარახურა მოეთავსებინა და შემოდგომამდე მთებში ყოფილიყო.

და დადგა ის დღე...

მაგრამ მას წინ უსწრებდა ღამე, როცა აკბარა ძველ ბუნაგში დაბრუნდა. ტაშჩაინარის დალუპვის შემდეგ პირველად. მარტოსული ძუ მგელი ცლდის გამონაშვებს ქვეშ მოთავსებულ ბუნაგს აქამდე არ ეკარებოდა. იცოდა რომ ცარიელი იყო და იქ არავინ ელოდა, მაგრამ სულგატანჯულს ერთბელ მაინც მოუნდა უცებ გაერბინა ნაცნობი გზა, თავისი ბილიკებით სწრაფად შემძვრა-ლიყო ბუნაგში — ერთიც ვნახოთ და შიგ შვილები დამხვდესო. ველარ გაუძლო ცთუნებას, თავი მოიტყუა.

აკბარა გიჟივით გარბოდა უგზოუკვლოდ — წყალზე. ქვებზე, საზაფხულო სადგომებზე მოკიანთე ღამეული კოცონების, გაავებული ძაღლების შორიახლო, უკან კი თოფების გრიალი მისდევდა...

ასე გარბოდა მარტოსული და გონდაკარგული მალლა ცაში გამოკიდებული მთვარის ქვეშ მთა-მთა... და როცა მიიღბინა ბუნაგთან, რომელიც ახალ ბალახს და კოწახურის ბუჩქებს ისე დაეფარა, ვერც კი იცნობდი, თავის დიდი ხნის

წინათ დაობლებულ, მივიწყებულ საცხოვრისში შესვლა ვერ გაბედა... არც იმის ძალა შესწევდა, თავს მორეოდა, აქაურობას გასცლოდა... და კვლავ მიმართა მგლების ქალღმერთს ბიური-ანას, და დიდხანს ტიროდა — წყნარუნებდა, ყმუოდა, — დიდხანს შესჩიოდა თავის ბედკრულობაზე და შესთხოვდა/თან წაეყვანა მთვარეზე, იქ, სადაც ადამიანები არ იყვნენ...

უკრუნუნული

ბოსტონი იმ ღამით გზაში იყო. საქონლის გადატვირთვასთან ბრუნდებოდა საზამთრო სადგომში. რა თქმა უნდა, შეეძლო გათენებას დალოდებოდა და შემდეგ გამოდგომოდა გზას, მაგრამ მაშინ სადგომში სალამოს მივიდოდა, იძულებული გახდებოდა, მთელი დღე დაეკარგა, მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყო ბარგი-ბარხანა მანქანებზე და ფარის კვალს მიჰყოლოდა. ამდენ დროს კი როგორ დაკარგავდა! თანაც სადგომში აღარავინ იყო გარდა კენჭეშისა, გულიუმკანისა და ერთი ოჯახისა, რომლებიც საზაფხულო საძოვრებზე თავიანთი წასვლის ჭერს ელოდნენ, ხოლო კაცები საერთოდ არ ქაჭანებდნენ.

ამიტომ მოიჩქაროდა ბოსტონი იმ ღამით. კიდევ კარგი, დონკულიუკი ჩვეულებისამებრ ყოჩაღად და მტკიცედ მოაბიჯებდა. კარგად მოდიოდა და გულს ახარებდა. სწრაფი სიარული იცოდა დონკულიუკმა. მთვარის შუქზე ყურები და ფაფარი უბზინავდა დონურ იაბოს, მკვირვ გავაზე, როგორც ღამით წყალზე ქავლი. ისე უციაგებდა კუნთები. არც ცხელოდა, არც ციოდა, ჰაერში ბალახის სუნის ტრიალებდა. ბოსტონს ზურგზე თოფი ეკიდა — ვინ იცის, რას შეიძლება გადაეყაროს კაცი მთაში. შინ რომ მივა, მაშინ კი თოფს თავის ადგილს მიუჩენს და ხუთვაზნიანი დატენილი შაშხანა ლურსმანზე იქნება ჩამოკიდებული.

ბოსტონი იმედოვნებდა, სადგომში განთიადზე, დილის ხუთ საათზე მივალთ, თითქოს ხელსაც არაფერი უშლიდა. ამ ღამით კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რარიგ უყვარდა ცოლ-შვილი: ერთი დღე არ ენახა ისინი და უკვე მოიწყინა, შინისკენ მიიჩქაროდა. გზად ყველაზე მეტად ის აღელვებდა, აკბარას ისევ არ დაეწყო ხეტიალი ბინის სიახლოვეს და შემზარავი ყმუილი არ აეტეხა, რითაც შიშისზარს დასცემდა გულიუმკანს და კენჭეშს. თავს იმითლა იმშვიდებდა, რომ ხვადი მგლის მოკვლის შემდეგ ძუ აღარ მოდიოდა — ყოველ შემთხვევაში, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

იმ ღამით ტყუილად შფოთავდა ბოსტონი.

იმ ღამით აკბარა ბაშათის ხეობაში თავის ძველ ბუნაგთან ბიური-ანას შესჩიოდა. ბოსტონის ბინასთან რომც გამოჩენილიყო, არავის შეაწუხებდა — ტაშჩაინარის დალუპვის შემდეგ მხოლოდღა მწუხარედ აყურადებდა სადგომიდან გამომავალ ხმებს...

და აი, დადგა ის დღე...

ბოსტონმა იმ დღით მაშინ გაიღვიძა, როცა მზეს უკვე არეშარე გაეჩახჩახებინა: იგი განთიადზე დაბრუნდა და მხოლოდ ოთხი საათი იძინა. მეტსაც იძინებდა, მაგრამ კენჭეშმა გააღვიძა. ბიჭი რალაცას ეტიტინებოდა და ლოყებზე მოურიდებლად უპარტყუნებდა ხელებს. ბოსტონმა თვალი გაახილა, კენჭეში ღიმილით ჩაიხუტა და მისდამი საკვირველი სინაზის გრძნობა განსაკუთრებული ძალით დაეუფლა. გულს უხარებდა, რომ კენჭეში, მისი სისხლი და ხორცი ჯანმრთელი და ცქვიტი ბიჭი იზრდებოდა, ჭერ ორი წელიც არ შესრულებოდა და მეტად საზრიანი იყო, უყვარდა მშობლები, სახითა და გუნებით მამას ჰგავდა, მხოლოდ შავი მოცხარივით მოელვარე, წყლიანი თვალები ჰქონ-

და დედისა. ყველაფრად კარგი ბიჭი ჩანდა და მის შემხედვარე ბოსტონს ეამა-
ყებოდა, რომ ასეთი საუცხოო ვაჟიშვილი ჰყავდა.

— რა იყო, შვილიყო? ავდგე? აბა, ხელი ჩამავლე და წამომწიე, წამომწიე,
აი, ასე! ოჰო, რა ღონიერი ყოფილხარ! აბა, ახლა კისერზე მომეხვიე!

გულიუმკანმა ამასობაში ქმრის საყვარელი ჩაი, მოხალული ფეხულები და მარილით შეზავებული მუქი ყალმუხური ჩაი მოადღულა და რადგან
არა არა თუ ფარები, ძაღლებიც კი შორს მთებში იყვნენ, ურკუნჩიევებს შეე-
ძლოთ ახლა, წელიწადში თუნდაც ერთხელ, ჩაი მშვიდად, სიწყნარესა და სიმ-
ყუდროვეში დაეღიათ. ცოტა ვინმეს თუ ესმის, ასეთი დასვენების წუთები რა
იშვიათად გამოუჩნდება მეცხვარის ოჯახს. საქონელს ხომ განუწყვეტლივ, მთე-
ლი წელიწადი, მთელი დღე-ღამეები ყურადღება სჭირდება, ხოლო როცა ფა-
რაში ლამის ათასი სული ცხოველია, ნამატთანად კი ათასხუთასი, რა თავისუ-
ფალ დილაზე შეუძლია იოცნებოს მეცხვარის ოჯახმა? ახლა ბოსტონი და გუ-
ლიუმკანი ისხდნენ და სიმშვიდით ტკბებოდნენ, შემდეგ მზადებას უნდა შესდ-
გომოდნენ — აკი მთელი ზაფხულით მიემგზავრებოდნენ. მანქანა შეადლოთ
მოვიდოდა და ამ დროისათვის საოჯახო ბარგი-ბარხანა გამზადებული უნდა
ჰქონოდათ.

— ოჰ, პირდაპირ არ მჯერა, — ამბობდა გულიუმკანი, — რა კარგია, რა
სიამოვნება, რა სიწყნარება! შენი არ ვიცი და აქედან წასვლა არ მინდა. მოდი, ნურ-
სად ნუ წავალთ. უთხარი მამიკოს, არსად წასვლა არ გვინდა-თქო.

კენჯეში რალაცას ტიტინებდა, ხან მამასთან ჯდებოდა, ხან დედასთან, ხო-
ლო ბოსტონი გულკეთილად ეთანხმებოდა ცოლს:

— აბა რა? რატომაც არ უნდა გვეცხოვრა აქ მთელი ზაფხული?

— შენც ამბობ, — იცინოდა გულიუმკანი. — ერთ დღეში ისე მოკურცხ-
ლავ შენი ფარისკენ, დონკულიუკითაც ვერავინ დაგეწევა!

— სწორია, დონკულიუკითაც ვერ დამეწევიან! — კვერს უკრავდა კმაყო-
ფილი ბოსტონი და ხეშემ უღვაშზე ხელს ისვამდა. ეს იმაზე მეტყველებდა,
რომ ბედნიერი იყო.

ასე სვამდნენ ჩაის დაბალ მრგვალ მაგიდასთან იატაკზე დამსხდარი ბოს-
ტონი და გულიუმკანი, კენჯეში კი იქვე დარბოდა. მშობლებს უნდოდათ მისთ-
ვის ეჭმიათ, მაგრამ ბიჭუნა მთლად გაცელქდა იმ დილას, დარბოდა, ანცობ-
და, ვერაფრით ვერ სვამდნენ საჭმელად. კარები დაღებულნი ჰქონდათ, რადგან
ჩაკეტულ სახლში სიცხე დგებოდა, და კენჯეში წამდაუწუმ დაუბრკოლებლად
მიტუნტულებდა გარეთ, დაკუნკულებდა ეზოში, თვალს ადევნებდა კრუხის
ცვერდით მოფუსფუსე პატარა, ცქვიტ, ფუმფულა წიწილებს. კრუხი მათი მე-
ზობლის, ლამის მწყემს კუდუმრატისა იყო. თვითონ კუდუმრატი უკვე საზა-
ფხულო საძოვრებზე ედგა ცხვარს, ხოლო მისი ცოლი ასილგული ურკუნჩიე-
ვებთან ერთად მანქანით აპირებდა იქ წასვლას. ასილგულმა ურკუნჩიევებთან
შეიარა, უთხრა, ყველაფერი გავამზადე, კრუხ-წიწილალა დამრჩა კალათში ჩა-
სასმელი და ამასაც მოვასწრებ, როცა მანქანა მოვა, მანამდე კი თეთრეულს
გავრეცხავ და გავაშრობო.

ასე გადიოდა ის დილა. მზე უკვე გვარიანად აცხუნებდა. ყველა თავის
საქმეს აკეთებდა. ბოსტონი და გულიუმკანი ბოხჩებს კრავდნენ, ალაგებდნენ
ჭურჭლეულს. ასილგული რეცხავდა — წამდაუწუმ ისმოდა მის მიერ კარიდან
გადაქცეული საპნიანი წყლის ჩქაფუნის. პატარა კენჯეში კი თავის ნებაზე იყო

მიშვეებული. ხან სახლიდან გარბოდა, ხან ისევ შემორბოდა. მეტწილად სულ წიწილებთან ტრიალებდა.

მზრუნველმა კრუხმა ამასობაში წიწილები სახლის მოშორებით მიწის საქეჟად წაიყვანა. ბიჭი წიწილებს გაჰყვა და ისინი შეუმჩნევლად აღმოჩნდნენ ფარდულის ყრუ კედლის მიღმა. აქ ოროვანდებსა და დედოფლებს შორის ზაფხულის შესაგვანი სიმშვიდე და სიწყნარე იდგა. წიწილებს წიწილებდნენ, ნაგავში იქეჟებოდნენ, კენჯეში კი კუჭკუჭებდა და ელაპარაკებოდა მათ, სულ ცდილობდა მოფერებოდა. კრუხს კენჯეშის არ ეშინოდა, მაგრამ როცა მახლობლად უხმაუროდ გამოჩნდა დიდი რუხი ძაღლი, შეშფოთდა, უკმაყოფილოდ აკრიახდა და წიწილების შორს წაყვანა არჩია. კენჯეში კი დიდმა რუხმა, საოცრად ლურჯთვალა ძაღლმა სულაც ვერ შეაშინა. ძაღლი მორჩილად უყურებდა ბიჭს, მეგობრულად არხევდა კუდს. ძაღლი ძუ მგელი აკბარა იყო, რომელიც უკვე კარგა ხანი დაეხეტებოდა საზამთრო სადგომის შორიახლო.

ძუ მგელმა იმიტომ გადაწყვიტა ადამიანის საცხოვრებელთან ასე ახლოს მისვლა, რომ წუხანდლიდან იმ მიდამოზე არავინ ჰაჭვანებდა, არც ადამიანების ხმა ისმოდა, არც ძაღლებისა. დაუოკებელი დედური დარდით, ჩაუმცხრალი იმედით აღვსილმა ფრთხილად მოიარა ყველა ფარები, ყველა ბაგა, მაგრამ ვერსად ნახა თავისი დაკარგული ლეკვები და ახლოს მივიდა ადამიანის საცხოვრებელთან. ჰოდა, აი, პატარას წინ იდგა. და გაუგებარია, რანაირად მიხვდა, რომ ეს ლეკვი იყო, მისი ლეკვებისნაირი, ოღონდ ადამიანისა. და როცა ბიჭმა ხელი გაიწვდინა, რათა კეთილ ძაღლს თავზე მოჰფერებოდა, აკბარას დარდ-ვარამისგან მოქანცული გული აუფანცქალდა, მიუახლოვდა ბიჭს, ლოყა გაულოკა. ბიჭი მისმა მოფერებამ გაახარა, წყნარად გაუცინა, კისერზე ხელეზი მოხვია, აკბარაც მთლად მოეშვა. მას ფეხებთან გაუწვა, თამაში დაუწყო — მოუნდა ბიჭს მისი დვრილები მოეწოვა, მაგრამ ბიჭი ამის მაგივრად ზურგზე მოაჯდა. შემდეგ ძირს ჩამოხტა და მოუხმო. „ეიურ! ეიურ!“ — უყვიროდა და ბედნიერად იცინოდა, მაგრამ აკბარამ გაყოლა ვერ გაბედა, იცოდა, რომ იქ ადამიანები იყვნენ. იმიტომ ლურჯ თვლებში სევდაჩამდგარი იმავე ადგილიდან უცქეროდა ბიჭს. ბიჭი კვლავ მივიდა მასთან და თავზე ხელის გადასმა დაუწყო, აკბარა კი ლოკავდა და კენჯეშს ეს ძაღლიან მოსწონდა. ძუ მგელი ახლა ბიჭს აფრქვევდა მთელ თავის დაგროვილ სინაზეს. ისუნთქავდა მის ბალღურ სუნს, რა კარგი იქნებოდა ეს ადამიანის ლეკვი კლდის შვერილის ქვეშ ჩემს ბუნაგში ცხოვრობდესო. — ფიქრობდა იგი. ბიჭისთვის კისერი რომ არ გაეჭრა, ფრთხილად ჩაავლო კბილები ქურთუჯის საყელოში და მსწრაფლ მოიგდო ქეჩოზე — მგლები ასე იტაცებენ ფარიდან ბატკნებს.

ბიჭმა გულგამგმირავად, იჩქითად იყვირა დაჭრილი კურდღელივით. ფარდულისკენ თეთრეულის გასაკიდად მომავალმა მეზობელმა ასილგულმა კენჯეშის შეყვირებაზე ნაბიჯს მოუჩქარა, კუთხის უკან შეიხედა, თეთრეული მიწაზე დაყარა და ბოსტონის კარისკენ გაქანდა.

— მგელი! მგელმა ბავშვი მოიტაცა! ჩქარა, ჩქარა!

თავგზააბნეულმა ბოსტონმა კედლიდან თოფი გამოგლიჯა და გარეთ გავარდა, უკან გულიუმქანი გაედევნა.

— აქეთ! აქეთ! აგერ კენჯეში! აგერ ძუ მგელი მიათრევს! — ღრიალებდა მეზობლის ქალი და შეძრწუნებული თავში იცემდა ხელებს.

¹ ეიურ — წავიდეთ.

ბოსტონმა ახლა თვითონაც დაინახა ძუ მგელი. აკბარა მიძუნძულებდა და ქეჩოზე მოგდებულ საზარლად აბლავლებულ ბავშვს მიაბრუნებდა.

— შეჩერდი! შეჩერდი. აკბარა! გეუბნები, შეჩერდი-მეთქი! — მთელი ხმით იყვირა ბოსტონმა და უკან გაედევნა მგელს.

აკბარამ მოკურცხლა. ბოსტონი უკან მისდევდა და არაბუნებრივად მისძახოდა:

— დასტოვე, აკბარა! ჩემი შვილი დასტოვე! შენს ჯილაგს აღარასოდეს ვაბლებ ხელს! დასტოვე, დააგდე ბავშვი! აკბარა! მისმინე, აკბარა!

ბოსტონს თითქოს დაავიწყდა, რომ მგლისთვის მისი სიტყვები არაფერს ნიშნავდა. ყვირილმა და დევნამ მგელი უფრო შეაშინა და სისწრაფეს მოუმატა.

ბოსტონი გამუდმებით მისძახოდა და მისდევდა აკბარას.

— აკბარა! დასტოვე შვილი, აკბარა! — ივედრებოდა იგი.

ოდნავ უკან საშინელი ღრიალითა და გოდებით მორბოდნენ გულიუმკანი და ასილგული.

— ესროლე! ჩქარა ესროლე! — ყვიროდა გულიუმკანი, რომელსაც დაავიწყდა, რომ ბოსტონი მანამ ვერ გაისროდა თოფს, სანამ მგელი ბავშვს მიაბრუნებდა.

ყვირილმა და დევნამ აკბარა უფრო შეაშფოთა, მგლური ინსტიქტი უფრო აღუგზნო და გადაწყვიტა ნადავლი არ დაეგდო. მას ბიჭისთვის მაგრად ჰქონდა კბილები ჩაჭერილი ქურთუკის საყულოზე, ჯიუტად გარბოდა წინ, შორს და შორს მიიწევდა მთებისკენ. როცა უკან თოფმა იჭუხა და ტყვიამ თავზე გადაუსტვინა, ნადავლი მაშინაც არ გადაუგდია. ბიჭი კი ტიროდა, ეძახდა მამას, ეძახდა დედას. ბოსტონმაც ისე ისროლა ჰაერში, აღარ იცოდა, კიდევ რით შეეშინებინა ძუ მგელი, მაგრამ აკბარა, არც ამ სროლას შეეშინებია, ქვების ნაშვავისკენ მიისწრაფვოდა. აქ ადვილად არევდა კვალს და თვალს მიეფარებოდა. ბოსტონს სასოწარკვეთილება დაეუფლა: როგორ ეხსნა შვილი? რა ელონა? რისთვის დაატყდათ თავს ეს საზარელი სასჯელი? რა ცოდვებისთვის?

— დააგდე ბიჭი, აკბარა! დააგდე, გთხოვ, დაგვიტოვო ჩვენი შვილი! — გახვითქული ცხენივით აქოშინებული და ხმაჩაბრინწული ევედრებოდა ბოსტონი მომტაცებელს.

და მესამეჯერ ისროლა ჰაერში, და ტყვიამ კვლავ გადაუსტვინა მხეცს თავზე. ქვების ნაშვავი სულ უფრო ახლოვდებოდა. მჭიდვეში ახლა ორი ვაზნა-და იდო. ბოსტონი გრძნობდა, რომ წუთიც და უკანასკნელ მარჯვე შემთხვევას ხელიდან გაუშვებდა. ამიტომ გადაწყვიტა, ძუ მგლისთვის ესროლა. სირბილშივე ჩაიჩოქა და მგლის ნიშანში ამოღება დაიწყო: ფეხებში უმიზნებდა, მხოლოდ ფეხებში. მაგრამ ვერაფრით ამოიღო ნიშანში. მკერდი საბერველივით ებერებოდა. ხელები უკანკალებდა, მის ნებას აღარ ემორჩილებოდა. და მაინც შეეცადა ძალა მოეკრიბა, სამიზნეს მოძაგძაგე ჭრილში ხედავდა, როგორ ხტოდა მგელი, თითქოს ბობოქარ ტალღებზე მიცურავსო, დაუმიზნა და ჩახმახს თითი გამოჰკრა. ააცდინა. ტყვიამ მგლის გვერდით მიწა ამტვერა და თავქვე გაიარა. ბოსტონმა თოფი ხელახლა გატენა, უკანასკნელი ტყვიალა მისცა პირში, კვლავ დაუმიზნა აკბარას და არც გაუგონია საკუთარი გასროლის ხმა, მხოლოდ ის დაინახა, როგორ შეხტა ძუ მგელი და გვერდზე გადავარდა.

ბოსტონმა შაშხანა მხარზე მოიგდო და სიზმარეულივით გაიქცა დაცემუ-

ლი აკბარასკენ. ეჩვენებოდა, რომ ისე ნელა და დიდხანს გარბოდა, ცარიელ სივრცეში მიცურავდა...

და აჰა, მიიღბინა აკბარასთან, ხელ-ფეხი ისე გაუცივდა, თითქოს ჰყინავდა და ცხრად მოიკაკვა, დაბარბაცდა, უხმო ყვირილით დაიკრუნჩხა. აკბარა ჯერ კიდევ ცოხცალი იყო, გვერდით ეწვა მკერდს და მკერდის უსიცივნელო ბიჭუნა.

ხოლო სამყარო, რომელსაც ბგერები გაქრობოდა, მდუმარებდა. სამყარო გაქრა, აღარ არსებობდა. მის ადგილას მხოლოდ ბობოქარი ცეცხლოვანი წყვდიადი იდგა. ბოსტონი თვალებს არ უჯერებდა. აღისფერი სისხლით შეღებილი შვილის სხეულისკენ დაიხარა, ნელა აიყვანა მიწიდან, მკერდზე მიიკრა, უკან დაიხია, — რატომღაც სულთმობრძავი ძუ მგლის ლურჯმა თვალებმა გააკვირვა. — შემობრუნდა და მწუხარებისგან დამუნჯებული გაემართა მისკენ გამოქცეული ქალებისკენ.

ბოსტონს მოეჩვენა, თითქოს ცოლი თვალდათვალ იზრდებოდა და მისკენ უკვე გოლიათი ქალი მოაბიჯებდა, რომელსაც ვეება დეფორმირებული სახე ჰქონდა და მისკენ ვეება დეფორმირებული ხელები გამოეწვდინა.

ბოსტონი ბრმასავით მიეხეტებოდა და გულში იკრავდა თავისი ხელით მოკლულ შვილს. უკან კივილით, გოდებით მიჰყვებოდა გულიუმკანი, რომლისთვისაც ხელი მოეკიდა მოთქმით მოტირალ მეზობლის ქალს.

მწუხარებით დაყრუებულ ბოსტონს არაფერი ესმოდა, მაგრამ უცებ ჩანჩქერის გრილივით ყურთასმენის წამლებად დაატყდა თავს რეალური სამყაროს ბგერები და მიხვდა, რაც მოხდა. ცისკენ აღაპყრო ხელები და შემზარავად შეჰბლაღლა:

— რისთვის, რისთვის დამსაჯე?

სახლში შვილის ნეშტი მანქანაზე დასადებად გამზადებულ შვილისავე საწოლში ჩააწვინა. გულიუმკანი სასთუმალს მიეკრა და ისე აყმუვლდა, როგორც აკბარა ყმუოდა ღამლამობით... მის გვერდით იატაკზე დაეშვა ასილგული...

ბოსტონი გარეთ გავიდა, თან თოფი გაიყოლა. ერთი მჭიდვე სავაზნეში ჩადგა, მეორე ჯიბეში ჩაიღო, თითქოს საბრძოლველად ემზადებო. შემდეგ დონკულიუკს უნაგირი დაადგა, მსწრაფლ მოახტა და წავიდა, არც ცოლისთვის უთქვამს რაიმე, არც მეზობლისთვის...

სადგომს რომ ცოტათი გასცდა, დონკულიუკი ნებაზე მიუშვა, და დონური ზერდაგი იმავე გზით გაჰყენდა, რომლითაც ზამთრის დამლევს ტამანის საზამთრო სადგომისკენ მიქროდა.

ის, ვისთვისაც უნდა მიესწრო ბოსტონს და ვისაც მიწისქვეშაც მოძებნიდა უსათუოდ, ადგილზე დახვდა.

იმ დღეს ბაზარბაი ნოიგუტოვის ეზოში მანქანას ტვირთავდნენ — საოჯახო ბარგი-ბარბანა საზაფხულო საძოვრებზე უნდა გაეგზავნათ. საქმით გართულ ხალხს არ შეუმჩნევია, ფარების უკანიდან როგორ გამოჩნდა ბოსტონი, ჩამოქვეითდა, თოფი ჩამოიხსნა, გატენა, ჩაბმახი შეაყენა და ისევ მხარზე ჩამოიკიდა.

მაშინდა შეამჩნიეს, როცა ახლოს მოვიდა. ბაზარბაი მანქანიდან ჩამოხტა და გაკვირვებით მიაშტერდა.

— რაზე მოხვედი? — ჰკითხა ბოსტონს. იგი კეფას იქეჟავდა და ბოსტონის დანახშირებული მუგუზალივით შავ სახეს აშტერდებოდა. — რა გინდა აქ?

ესე რად მიყურებ? — აფორიაქდა რაღაც ავის წინათგრძნობით შეპყრობილი ბაზარბაი. — ისევ მგლის ლეკვების თაობაზე მოხვედი? საქმე შემოგლევი? მიტხრეს და მეც დავწერე.

— მიმიფურთხებია, რაც დაწერე, — პირქუშად მიახალა ბოსტონმა, იგი გამგმირავად უცქეროდა ბაზარბაის. — სამაგისოდ არ მცალია. მინდა გითხრა რომ ამქვეყნად ცხოვრების ღირსი არა ხარ და ჩემი ხელით გაგაფრთხილებ. ბინებ სულს!

ბაზარბაიმ თავის დაფარვაც ვერ მოასწრო, ბოსტონმა ისე შემართა თოფი და თითქმის დაუმოზნებლად ესროლა. ბაზარბაი დაბარბაცდა, უნდოდა, მანქანას მოფარებოდა, მაგრამ მეორე ტყვია დაეწია, ზურგში მოხვდა, სამჯერ დაიგრინა, თავი მანქანის ძარას მიაჯახა, დავარდა და კრუნჩხვით მოფხოჭნა მიწა. ეს ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, თავდაპირველად არავინ ვანრძეულა. და მხოლოდ მაშინ, როცა უბედური კოკ ტურსუნი კივილით დაემხო ქმრის ნეშტს, ყველამ ერთად იყვირა და მოკლულს მისცვივდნენ.

— ადგილიდან არ დაიძრათ! — ხმამაღლა ბრძანა ბოსტონმა. იგი აქეთ-იქით იხედებოდა და ყველას სათითაოდ უღერებდა თოფის ლულას. — არ დაიძრათ! — დაემუქრა მათ. — მე თვითონ ახლავე წავალ იქ, სადაც საჭიროა. ამიტომაც გაფრთხილებთ. ადგილიდან არ დაიძრათ! იცოდეთ, ვაზნები სამყოფი მაქვს! — ბოსტონმა ჭიბეზე მიიტყაპუნა ხელი.

ყველა მეზნაკრავივით გაქვავდა, ვერავის ვერაფერი გაეგო, ვერაფერს ამბობდა, თითქოს მეტყველების უნარი წაერთვაო. მხოლოდ უბედური კოკ ტურსუნი დასტიროდა ისევ საძულველ ქმარს:

— ხომ ვიცოდი, რომ ძალღივით ჩაღძუვდებოდი, რადგან ძალღივი იყავი თვითონაც! მეც მომკალი, კაცის მკვლელო! — ეცა საცოდავი და უშნო კოკ ტურსუნი ბოსტონს. — მეც მომკალი ძალღივით. ისედაც ჩემს დღეში კარგი არაფერი მინახავს. რა ოხრად მინდა ასეთი სიცოცხლე! — კოკ ტურსუნმა სცადა კიდევ ეყვირა: ხომ ვეუბნებოდი ბაზარბაის, მგლის ლეკვები არ უნდა მოგეტაცა, უბედურებას გადაგყრის-მეთქი, ეს შეჩვენებული არაფერს ეპუებოდა, ნადირი რომ ნადირია, ისიც გაყიდა და აღებულ ფულს ლოთობაში ანიავებდაო, მაგრამ ორმა მწყემსმა პირზე ხელი დააფარა და განზე გაიყვანა.

ბოსტონმა კი ირგვლივ მყოფთ მრისხანედ მოავლო თვალი და ხმადაბლა, მაგრამ მკაცრად უთხრა:

— კმარა, ახლა მე თვითონ წავალ იქ, სადაც საჭიროა, თვითონ გამოვცხადდები. გიმეორებთ — თვითონ! თქვენ კი ფეხი არ მოიცვალოთ, გაიგეთ?

სიტყვა არავის დასცდენია. მომზდარი ამბით შეძრწუნებულნი კრინტს არ ძრავდნენ. მწყემსების მაცქერალი ბოსტონი უცებ მივხდა, რომ ამ წუთიდან რაღაც ზღვარს გადააბიჯა და თავისი თავი დანარჩენთაგან გამოაცალკევა: მას ხომ გარს ერტყნენ მახლობელი ადამიანები, რომლებთან ერთადაც ყოველდღე, წლიდან წლამდე მოიპოვებდა არსობის პურს. ბოსტონი იცნობდა ყოველ მათგანს და ყოველი მათგანიც იცნობდა მას, ყოველ მათგანთან თავისი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ახლა მათი სახეები სიუცხოვეს გამოხატავდნენ, და ბოსტონმა იგრძნო, რომ ამიერიდან სამუდამოდ მოკვეთილი იყო მათგან, თითქოსდა არასდროს არაფერი აკავშირებდა ამ ადამიანებთან. თითქოსდა მკვდრეთით აღსდგა და ამის გამო შიშის ზარს ჰგვრიდა მათ.

ბოსტონმა ცხენს სადავეში ჩაავლო ხელი და იქაურობას გაშორდა. უკან მოუბედავად მიაბიჯებდა, ტბისპირეთისკენ მიდიოდა, რათა იქ ხელისუფლებას

ჩაბარებოდა. თაუჩაქინდრული მიაბიჯებდა გზაზე, უკან კი კოცნობით, აღვი-
რის ღრატუნით მიჰყვებოდა ერთგული დონკულიუკი.
ეს იყო ცხოვრების დასასრული...



ქვეყნული

— აჰა, ქვეყნიერების დასასრულიც — ხმამაღლა შექმლსტანს და იგი
ჩასწვდა საშინელ ქეშმარიტებას: აქამდე მთელი სამყარო თავად იყო და ამ
სამყაროს ბოლო მოელო. თავად იყო ცაც, მიწაც, მთებიც, ძუ მგელი აკბარაც
— ყოველივე არსებულის დიდი დედა. — ალა-მონგიუს უღელტეხილზე ყინუ-
ლებში სამუდამოდ ჩარჩენილი ერნაზარიც, თავისი უკანასკნელი ჰიპოსტასი
— თავისივე ხელით გულგანგმირული ყრმა კენჯეშიც, ბაზარბაიც, თავისივე
არსებაში უარყოფილი და მოკვდინებული: ყველაფერი, რაც ნაბა და რაც
განიცადა სიცოცხლეში — ეს ყოველივე თავისი სამყარო იყო, ცოცხლობდა
მასში და მისთვის; ახლა კი რაღაა, მართალია, ყველაფერი შემდგომაც იარსე-
ბებს, როგორც არსებობდა ნიადაგ, ოღონდ იარსებებს უმისოდ, სხვა სამყა-
რო იქნება, მისი სამყარო კი აღარ განმეორდება, აღარ აღსდგება, დაკარგუ-
ლია და არავისში და არაფერში არ აღორძინდება. სწორედ ეს იყო ბოსტონის
დიდი კატასტროფა, სწორედ ეს იყო მისი ქვეყნიერების დასასრული...

ტბის პირისკენ მიმავალ უდაბურ გზაზე ბოსტონი უცებ შემობრუნდა,
ცხენს კისერზე მოეხვია, ზედ ჩამოეკიდა და ხმამაღლა, უსასოოდ აქვითინდა.

— ო, დონკულიუკ, შენ ერთადერთს არ გესმის, რა ჩავიდინე! — ტიროდა
ბოსტონი და მთელი სხეული უცახცახებდა. — რა ვქნა? შეილი საკუთარი ბე-
ლით მოვკალი, ისე მივდივარ, არც დამიმარხავს და საყვარელ ქალსაც მარტო
ვტოვებ.

შემდეგ ავშრის საბელი და სადავე დონკულიუკს კისერზე შემოახვია.
უზანგები უნაგირის ტახტაზე მიამაგრა, რომ ცხენს სიარულისას ფერდებზე
არ მიხუთქებოდა, და გამოემშვიდობა:

— წადი, წადი შინ, წადი, საითაც გინდა! ამის მეტად ველარ ვნახავთ
ერთმანეთს!

ბოსტონმა ცხენს გავაზე დაჰკრა ხელისგული, დაუტატანა და თავისუფ-
ლებით გაკვირვებული დონკულიუკი სადგომისკენ გაემართა.

ბოსტონმა კი თავისი გზა განაგრძო...

ბოლო ლურჯი ისიქ-ქოლი უფრო და უფრო ახლოვდებოდა და ბოსტონს
უნდოდა შენივთებოდა მას, გამქრალიყო — უნდოდა და არც უნდოდა სი-
ცოცხლე, აი, ამ აქაფებული ტალღებივით, აი, ასე, ტალღა რომ ბორგავს,
ქრება და ისევ იბადება თავისივე წიაღიდან...



თარგმანა დილარ ივარჯიანი

ნ. რუბცოვის შამა ფრონტზე დაეღუპა. მალე დედაც მოუკვდა. ობლად დარჩენილი — უღედ-
მამოთა თავშესაფარში იზრდებოდა. სოფლის სკოლაში შეიღი წელი ისწავლა, მერე ქარხანას მი-
აშურა. სანაოსნო ფლოტშიც მსახურობდა. პირველი ლექსები მოსკოვის ლიტერატურის ინსტი-
ტუტში სწავლის დროს გამოაქვეყნა. ცხოვრებამ პირველი სიყვარულიც გაუცრუა. რასაც მოჰ-
ყვა განდეგილობა, მარტოსულობა...

წყაროსავით ანკარა შემოქმედება, რომელშიც სინათლეცაა და სევდაც, მშობლიური სანახე-
ბისადმი ერთგულება და ჩრდილოეთის ნაღვლიანი დღეების მოტივებიც, სინაზე და ექსპრესიაც,
სინატიფე და ემოციურობაც, სამყაროს ფილოსოფიური ჰვრეტაც — უფლებას გვაძლევს ნ. რუ-
ბცოვზე თამამად ვილაპარაკოთ, როგორც რუსული კლასიკური პოეზიის ტრადიციების ღირსეულ
მემკვიდრეზე.

მთარგმნელისაბან

ბოლომდის

ბოლომდის —
საფლავის ჯვარამდე,
სულის სიანკარე —
მწამდეს მარადის!

ამ ყვითელ,
ტანკენარ
ჩემეულ არყის ხეთა წინარე,
წინარე ყანების,
მოქუფრული,
ნაღვლიანი შემოდგომის წვიმების,
წინარე
მკაცრზე მკაცრი

სოფლის საბჭოს შეფთა,
წინარე
გაბმულ ჯოგისა,
ხიდზე რომ მილაღდება ზოზინით,
ამ უძველეს
ცისქვეშეთის სინათლის წინარე,
ვფიცავ:
სული ჩემი წმინდაა!

დე, დარჩეს
ანკარა მარადის,
ბოლომდის,
საფლავის ჯვარამდის!

წყნარია ჩემი სამშობლო

მ. ბელოვს

წყნარია ჩემი სამშობლო,
ყანა... ბუღბული... რაც არის!
აქ ბალოობიდან მე მახსოვს
მშობელი დედის საფლავი.

ვეძებ და ვერ მიპოვნია,
გულო, ამ ტანჯვით რას უცდი?
— მდინარის გაღმა, მგონია, —
მესმის მეზობლის პასუხი!

ხიდზე გადადის ალალი,
სტებს კრელი ფერი დაჰნათის,
ტაძრის გუმბათი — შალალი —
შეკრულა ველურ ბალახით.

ნაპირს — ლაქაშით მოფენილს,
ხსოვნაში დღემდე ვატარებ, —
წყნარია ჩემი სოფელი,
ჩემი კაცობის სათავე!

სკოლის ახალი ღობე და
მწვანე ბაღების ფართქალი...

ახლაც ამ ღობეს ყვავივით
დავასკუპდები ყრანტალით!

ეგ სკოლა ძველი, ფიცრული,
ბერდება უამის წინარე,
კვლავ ნისლებში მდებარე,
სადღაც იჩქარის მდინარე!

ყოველ ქოხთან და ღრუბელთან
ვალში ვარ, მხოლოდ ვალში,
აქ ყველაფერთან, საერთოდ,
მე ვგრძნობ იღუმალ კავშირს!

ღედის ხსოვნას

ჩაიფერფლა და...
მის სულს სიმშვიდე!..
წარღვნაა თოვლის,
გრიგალი ავობს, —
მდინარის გაღმა მგლების შიმშილი
ცისკრის ბინდბუნდთან ყმუილით დავობს!

ეუზივარ ლექსებს, —
ქალაღს და ნაგავს;
ამ ყიამეთში მე ვფიქრობ შენზე —
შენს საფლავს ვხატავ!

იქ მინდორია, ცა და თნემია,
შენამდე რალაც კილომეტრია,
მაგრამ, ვაი, რომ თოვლში ძნელია...
და ახლა კმუნვაც მეტისმეტია!

მაგრამ მე შევძლებ,
მაგრამ მე შევძლებ —
დაგჯაბნო თოვლო,
გრიგალო,
ბინდო!
გადავწყვიტო და ჰო, ასე შემდეგ,
ზედ გადავევლო ნადირთა მინდორს!

ვინ აკაკუნებს,
ვინ ხარ?
ხმა გამე!
ხვალ ელის სტუმრებს ჩემი გალია! —
დედაა, იქნებ, ან, იქნებ ღამე,
ან, იქნებ მხოლოდ ეგ გრიგალია?!

გაზაფხული ზღვაზე

შეემსხვრნენ კლდეებს ქარები,
 კრთიან სინათლის სვეტები,
 განიხვნენ ყურეს ქარები —
 ქარების თავგამეტებით!
 დღე გადის — დაღლილ ხელების
 კუნთები ღონით ივსება,
 თრთიან ცოცხალი ბგერები,
 ყრუოლის მომგვრელნი ისედაც!
 მთვარე მწველ სხივებს ახლის და
 ნაპირებს აგურგურებსა,
 მიწა, ვით კნუტი კატისა,
 გატრუნულია ყურესთან!



საიდუმლო

მდინარეში იწვის მთვარე,
 აქ ბავშვობას ჩაუვლია, —
 მშვიდად ფშვინავს არე-მარე,
 მარტო შუქის ხმაურია!
 მთვარე როდი კრთება განგებ,
 ცად სიმაღლეს რომ იფერებს, —
 საიდუმლო ტაძრად აგებს
 სლავურ ტაძრის გაშლილ ფერებს!
 თითქოს ვუსმენ მღერალ ქოროს,
 მას ჭიხვინი ახლავს ცხენთა...
 წინ ეღარუნით გავიქროლოთ —
 გვესმას ჩვენთა გულთა ფეთქვა!

ლექსი შინიდან გვითხროვს,
 ქარიშხალივით ღმუის,
 დენია არაზღვრული,
 ანდა ელვაა თითქოსა
 ახლა მითხარით წამით,
 რაა გრიგალის ძალა,
 ვინ და რამ მისცა მაინც
 ძალა, რომელსაც მალავს!
 ანდა აწყვეტა რაა?
 რაღაა ან მზის ჯილა,

ვის შეუძლია, ვისა,
 ამ მთათა, ზღვათა მიღმა,
 ჩააქროს დისკო მზისა?!
 პოეზიაც ხომ რეკავს —
 მისი უწყვეტი ზარი...
 არა მგონია იყოს
 ვინმე ჩამკეტი კარის!
 ის აკაშკაშებს გონებას,
 ის გამჭრობია ნისლის,
 ჩვენით ის არ იზომება,
 ჩვენ ვიზომებით მისით!

ზეგოლოვის მთვარე



მოწყენაა, მოწყენაა უკანასკნელ ფოთლების,
 არ მოხსმის შრიალი ჩვეულ თრთოლვით-ანთებით,
 გულზე შემოსწოლიათ სევდა — ქვეყნის ოდენი,
 ცოცხლდებიან ფოთლები ფბაჭუნით და გოდებობენ
 ოქტომბრის დღის ტალახით, ცრემლებით და ჰანგებით!

სულ ტყუილი ხმაურია, ო, სიბრძავე ასეთი,
 აწვართული მიწიდან — კვლავ მიწაზე მბორგავი...
 თითქოს ცხელი ზაფხული მოთქარუნობს დასებით,
 აღარ მინავლებულა მთვარის ვერცხლის თასები
 და ბოშების აღაღთან ძველი დღენი როკავენ!

განგაშმა და სიჩუმემ დრო შვა თვინიერების,
 ასე ჭვრეტენ ფანჯრიდან მღვრიე და ვრცელ სანახებს,
 არ ელავენ ქუჩებში მოჭარტალე ენები,
 როცა ქარის, საბურავის ან მავთულთა ბგერები
 ხმაურობენ თავაწყვეტით — დაგიდევენ არაფერს!

ასეთ დროს და ასეთ ჟამს ყველას გაჰკვირვებია,
 როგორ გამოანათა მთვარემ ღრუბლის სარკმლიდან,
 წინ რაც შეფუთებია, როგორ დაფხრიწ-დაფლითა:
 ბინდის ღამის ჩრდილები,
 ბინდის ღამის ფრთები და...
 ვერცხლისფერი, ოქროსფერი სხივი მიწას აწვიმა.

ამ კამკამა მთვარის ქვეშ მოციმციმე სხივებმა
 კიდევ უფრო გამხადეს მოწყენილი რატომღაც,
 ის — ბოშების ბანაკი — გულს კვლავ ქვად ემძინება,
 თავსხმის, ტალახ-ფოთლების,
 ჟამის უღვთოდ დინება
 სულს მიმღვრევს და მიშფოთებს
 და მაგიყებს მარტოვას!



ბორცვიდან ბორცვზე ჩემი მერხით გადავიქროლებ,
 ძეი უცნობი, საოცარი, ამაყი ტომის;
 მე გავაცოცხლებ წინაპართა ადრინდელ როლებს,
 ვიქნები ხიდი წარსულსა და მომავალს შორის.

დიდი ხანია არე-მარე გასთქვა გარმონმა,
 კოლთავმჯდომარე დაცემამდე იმ დღეს ცეკვავდა,

თქვა სადღეგრძელო მშრომელ კაცზე, როგორც წყალობა,
დაცლილი თასი დროშასავით ხელში ეკავა!

მერცხლის ფრთასავით მაისის ცას შევეწარცხები,
გარმონის ხმები გადამრევს და სიმღერა-სიცილს
ავყვები, სადაც ბრწყინდებიან ზეცის თაღები —
და ჩამოვყვები მაისის წყლებს — სახეს რომ იცვლის.



რუსეთო, ხედავ, მოწყენაა! გულში მოწყენამ
გაიარა და... ჩემს ყანებსაც აჭდევს იარებს,
თითქოს საცაა ცას ვარსკვლავთა ჭალი მოსწყდება
და ჩემი ნავიც ზედ მეჩერზე გაიხრიალებს.

ღვთაებრივ ტაძარს — საოცარს და თეთრსვეტებიანს
თვალში ჩავძირავ და მე ვივლი მწველი აზრებით,
არ მენალვლება, რომ მეფის ტახტს ხავსი ხლებია,
დამენანება დანგრეული თეთრი ტაძრები!

სოფლის ხედებო! მართლაცაა ბედნიერება
აქ დაბადება, ვით მაცხოვრის საღმრთო უბეში —
რად მეჩვენება აქ ყოველივე დღეს მოჩვენებად,
როცა ჩემშია შენთა ფიქრთა ხსნა და ნუგეში!

სოფლის ხედებო, თქვენ ფლობთ, თქვენა, ყოვლისმძლე ძალას,
თქვენ შემოგყურებთ საფიცარს და ჩვილივით ხალასს,
მე ვგრძნობ აქედან, როს საფლავი თქვენი დამშალავს,
თუ მოისურვებთ — თქვენ სიცოცხლეს მიბოძებთ კვლავაც!



ფრანგულიდან

თარგმნა გიორგი ნიშნიანოძემ

მირაბოს ხიდი

მიედინება ხიდისქვეშ სენა
და სიყვარულიც, ძვირფასო, მიდის —
მე თავს მახსენებს იმედი დიდი,
რომ შვება მოსდევს უბედობას და გულისტკენას.

ლამდება, რეკავს საათი ვნებით —
დღე მიიმჭვრევა
და მე კი ვრჩები.

და დღეებს ასე რაკილა ვითვლით,
ჩვენც ერთად ვიდგეთ
და ჩვენი თბილი მკლავების ხიდქვეშ
მზერით დაღლილი ვიდოდეს ზვირთი.

ლამდება, რეკავს საათი ვნებით —
დღე მიიმჭვრევა
და მე კი ვრჩები.

როგორც მირაბოს ხიდის ქვეშ სენა
ეს სიყვარულიც, ძვირფასო, მიდის,
გაჩერებულა ცხოვრება თითქმის
და სასო ლამობს ჩიტოვით ფრენას.

ლამდება, რეკავს საათი ვნებით —
დღე მიიმჭვრევა
და მე კი ვრჩები.

ო, ფოთლებივით თვეების ცვენა —
არც დრო, გასული სულმოუთქმელად,
აღარც ეს ჩვენი-სიყვარული არ დაბრუნდება...
მიედინება ხიდისქვეშ სენა.

ლამდება, რეკავს საათი ვნებით —
დღე მიიმჭვრევა
და მე კი ვრჩები.

ლორელი

უან სევს



ბახარაბში იყო ერთი ჯადოქარი ქალი,
მამაკაცებს ტრფობით ჰკლავდა, ვაი, მათი ბრალი!

ტრიბუნალთან მღვდელმა ქალი დასვა უღიმღამოდ,
რადგან გულში ამართლებდა სილამაზის გამო.

ლორელი, ლორელი, ქალო ცისფერთვალავ,
ეგ ბელობა ვინ გასწავლა, ან რა სიბრძნეს მალავ?

დავიქანცე — ამ თვალეებში კრულვია და წყევლა,
მღვდელო, ვინც კი შემომხედა, დაიღუპა ყველა.

შიგ ქვესკნელის ცეცხლი ღვივის, გეჭეენის ცეცხლი,
დამთბარეთ და ცეცხლს მიეციოთ—მათ სიკვდილი
შეცვლის,

ლორელი, მეც მაგ თვალთა სხივი მადნობს უკვე,
არაფერი აღარ ძალმიძს, ისე დავიბრუკვე.

ნუ დამცინი, ქალწული ვარ, ღმერთს ვევედრე ჩემთვის,
ვერაფერი ვერ დამიხსნის წრფელი ლოცვის მეტი.

ჩემი სატრფო შორს წავიდა, ცივ და უცხო მხარეს,
ან მიხსენით, ანდა აქვე გამათავეთ ბარემ.

დიდი ტანჯვა მომაყენა ამ დაჭრილმა გულმა,
მართლა თუ გსურთ ჩემი შველა, უნდა მომკლათ უძალ.

რაც წავიდა თითქმის ყველა წამი მექცა ტანჯვად.
ცეცხლი მადნობს იმ წყვეული დღიდან, რაც ის არ ჩანს,

მღვდელმა სამ მცველს ჩააბარა და ანიშნა თვალით
მონასტერში წაეყვანათ ეს შეშლილი ქალი.

ლორელი, ლორელი, მომაცილე მზერა,
აი, დღესვე სამონაზვნო ძაძებს შეგიყვრავთ.

წაიყვანეს ქალი, გვერდში ამოუდგნენ მცველნი,
ვევედრება მათ ქალწული ქვათინით და ცრემლით —

გთხოვთ, ამ მაღალ კლდეზე ერთხელ, ერთხელ კიდევ
გავალ,
ერთხელ კიდევ გადმოვხედავ ჩემი კოშკის თავანს.

თვალს შევაღლებ მდინარეში ჩემს ანარეკლს წამით...
და ჩემს ტანჯულ სიყვარულსაც დავამთავრებ ამით.

ფარფატებდა ქარში კაბა და თმა მისი გრძელი,
— ლორელაი, ლორელაი! — გაჰყვიროდნენ ^{მკვდელნი} _{ქვეყნის}
გონგლირითება

ხედავთ, ნავი? აგე, აფრა... და ჭაბუკიც იქვე —
ო, ისაა ჩემი სატრფო... აჰა, ხელსაც მიქნევს.

რაღა მინდა?! — ხომ დაბრუნდა ჩემთან ბოლოს
მაინც! —
თქვა და კლდიდან გადმოეშვა, თავი მისცა რაინს.

თვალი მოჰკრა კიდევ ერთხელ
წყალში მოკანკალე
ლამაზ სახეს, მზისფერ თმას და რაინისფერ თვალებს...

შემოდგომა

მიჩლაზუნობენ რძისფერ ნისლში ხარი და გლები,
მიტივტივებენ შემოდგომის ნისლში,
რომელიც
გზადაგზა აქრობს ბანძურ ქოხებს, შუკებს და ხეხილს.

ლიღინებს გლები სიყვარულზე: რა უღმობელი
იყო ღალატი! გალანძღული და დაზაფრული
როგორ შეიკლეს საცოდავი გული დარღებმა!

ო, შემოდგომამ, შემოდგომამ მოჰკლა ზაფხული...
ორი მიმჭრალი ლანდი ნისლში უჩინარდება.

კავშირნი

კვილისაგან დაწნული ბაწრები
ზარების რეცვა მთელს ევროპაში
ჩამოხრჩობილი ეპოქები და სიმკაცრენი.

აკავშირებენ ერებს რელსები
მხოლოდ ორი თუ სამი დავრჩით თავისუფალი
არ გვადევს ხუნდი —
ო, გავუწოდოთ ერთურთს აწ ხელი

ძლიერი წვიმა ბოლს შვეულ ვარცხნის —
ბაწრები.

წნული თოკები
და კაბელები
და ბაბილონის გოდოლოები როგორც ხიდები
და ქურუმები —ობობები
ყველა მიჯნური —
ერთი კავშირით შენაერთი და შენაწევრი



და სხვა კავშირიც უფრო სუსტი, თხელი, ნათელი
ძაფები როგორც შეთანხმება,
სხივნი შთამწნელნი

მე ვწერ იმიტომ, რომ აგანთოთ ჩემი ნაწერით
ო გრძნობა გრძნობა მშვენიერი
სურვილის მტერი
სინანულის და ცრემლების მტერი
მოგონებების მოსისხლე მტერი,
ო რაც მიყვარდა
ო რაც მიყვარს —
ყველაფრის მტერი და განმქარწყველი.

სულ მიგივიწყებს...

სულ მიგივიწყებს, შენ ჩემო სიყრმევ,
ვით გირლიანდა —
რა მიტყნეს... მიხმეს...

აწ შემოდგომის დღეებს ვერგევი —
უამს მძულვარების, სეზონს ეტყეების...

ბედების ნაცვლად ნახატებს ვიცვლი...
დის ხელოვნური ძარღვებში სისხლი,
და იმ ატმის ქვეშ, დღეს რომ დამზრალა,
ზოგჯერ გაივლის მხოლოდ მასხარა.

მბეუტავი სხივი ვერ ავაცილე
შენს ლაწვებსა და დეკორაციებს...
თოფის გასროლა და შეკივლება,
ბნელში სურათის ღიმის ლივლივი —

იმსხვრევა მინა... ზუსტი და სწორი
მანძილი დღემდე ვერვინ განსაზღვრა
შორის ბგერასა, იდეასა და
მყოობადსა და მომავალს შორის...

სულ მიგივიწყებს, შენ ჩემო სიყრმევ,
ვით გირლიანდა —
რა მიტყნეს... მიხმეს...
აჰა, შემოდის ფეხის ცერებით
დრო სინანულის და დაბრძენების...

ინგლისურიდან
თარგმნა გიორგი ნიჟნაიანიძემ.



მეკვლვანა გიჟის სიმღერა

მე რომ იმდენი მომცა
ფული, რამდენიც მინდა,
ძველმანის გადაცვლაზე
თავს არ მოვიკლავ დიდად,
თავს არ მოვიკლავ დიდად,
თავს არ მოვიკლავ დიდად,
ძველმანის გადაცვლაზე
თავს არ მოვიკლავ დიდად!

მე რომ იმდენი მომცა,
რაც ღმერთმა მეფეს მისცა,
არც დავხედავდი ბაზარს,
გამჩენის სახელს ვფიცავ,
გამჩენის სახელს ვფიცავ,
გამჩენის სახელს ვფიცავ,
არც დავხედავდი ბაზარს,
გამჩენის სახელს ვფიცავ!

მოხუცი მათხოვრის სიმღერა

ქრისტესშობა მოდის,
ასუქებენ ბატებს;
სერ, მოხუცის ქუდში
ერთი პენი ჩადეთ.
დიდი წყალობაა
ნაბევარი პენიც,
თუ არც ის გაქვთ, ღმერთმა
გზა დალოცოს თქვენი!

ერთმა კატარა მეფემ...

ერთმა კატარა მეფემ
სახლი ააგო კოხტა —

კედლები ჰქონდა ნამცხვრის,
ჭერი პუდინგის ჰქონდა.

ქიშმიშის იატაკი
და ტორტის კარ-ფანჯარა —
სახლი, სამეფოს თვალი,
კოხტა და კაფანდარა!

ნეტავ რა მოხდა?

ნეტავ რა მოხდა, რა მოხდა ნეტავ?
ბილი ბაზარში წავიდა დილით,
ნეტავ რა მოხდა, რა მოხდა ნეტავ,
ნეტავ აქამდე სად არის ბილი?

ბილიმ ბაფთები უნდა მიყიდოს,
ფეტრის ქუდი და ქოშები წყვილი...
ნეტავ რა მოხდა, რა მოხდა ნეტავ?
დილით ბაზარში წავიდა ბილი.

რას ამბობს საათი

საათი რეკავს რვაჯერ:
ნამცხვარი ნაჭერ-ნაჭერ...
— საუზმე მზად არის,
ბატონო ნათანი!

საათი რეკავს ერთჯერ:
პურს ქრიან, ქათამს გლეჯენ...
— სადილი მზად არის,
ბატონო ნათანი!

საათი რეკავს ხუთჯერ:
აწყობენ ჩაის ჭურჭელს...
— სამხარი მზად არის,
ბატონო ნათანი!

საათი რეკავს რვაჯერ:
შაკვე პუდინგიც დაჭრეს...
— ვახშამი მზად არის,
ბატონო ნათანი!

ბაბა ზაზი

კაცი, ქალი, ბავშვი,
კაცი, ქალი, ბავშვი —
კატა არის ჭაში!
კატა არის ჭაში!
ვინ ჩააგდო, ვინა?
— ვინ და ტომი გრინმა!
ვინ ამოიყვანა?
— ვინ და ტომი განმა!
— ჰოი, რა გულგრილი
არის ტომ-გრინი!


საუთკვერკში იყო ერთი
ქვრივი დედაბერი,
სამი შვილი ჰყავდა: ჯონი,
ჯეიმზი და ჯერი.
ჯერი მეფემ ჩამოკიდა,
ზღვამ დააბრჩო ჯონი,
ჯეიმზი კი უგზოუკვლოდ
დაიქარგა მგონი.
მარტოდმარტო დარჩენილი
ქვრივი დედაბერი
ჩიფჩიფებდა: სად ხართ — ჯონი,
ჯეიმზი და ჯერი?!

ჩემი პატარა ქმარი

პატარა ქმარი მერგო —
მუხუდოს მარცვლის ასლი,
მეც ავიღე და ფრთხილად
თიხის ქოთანში ჩავსვი.

ისწავლა ციციქა ცხვირის
მოხოცვა ჩემმა კაცმა
და ჩამოჩაჩულ შარვალს
შემოუჭირა თასმაც!

ღორმუცელა რომინ ბომინი



ღორმუცელა რომინ ბომინს
ფაფა ერგო ასი გობი,
ფაფას მიყოლა ძროხა, ^{მარქუნული}
ძროხას ჭროლა ვერძი მოჭყენ, ^{ლიქოსეკა}
ვერძს — ვეება მთა და კორდი,
მთას — საყდარი სამრეკლოთი,
საყდარს — მღვდელი, მღვდელს კი —
ბევრი

ხალხიც ანუ საყდრის მრევლი!
ფაფა, ძროხა,
ვერძი ჭროლა,
მთა და კორდი
სამრეკლოთი,
მღვდელი, მრევლი
და სხვაც ბევრი
და ჰყვიროდა: ამ ჩემს მუცელს
ვერ ავაფსებ ასე უცებ!

ლურსმანი რომ არ იყო...

ლურსმანი რომ არ იყო, ნალი გაცვდა,
ნალი რომ არ იყო, ცხენი გაცვდა,
ცხენი რომ არ იყო, მხედარი გაცვდა,
მხედარი რომ არ იყო, ომი წააგეს,
ომი რომ წააგეს, სამეფო დაეცა
და ყოველივე ერთ ლურსმანს გადაჰყვა.

პაწაწინა წვიმის წვეთო

რატომ ცელქობ, რატომ ცეტობ,
პაწაწინა წვიმის წვეთო?
შენ თამაშობ, მე კი სახლში
რატომ გინდა გამომკეტო?

გავლას მიშლი, თამაშს მიშლი,
ხტუნვას მიშლი, სირბილს მიშლი
და ეზოში, წუთი რაა,
წუთითაც კი არ ჩამიშვი?!

ქერი, შვრია და ხორბალი

ქერი, შვრია და ხორბალი,
ქერი, შვრია და ხორბალი —

ამ ქვეყანაზე ვინ არის
მათი დამთესავ-მომყვანი?

კაცი რომ მიწას გადახნავს,
სიმღერას იტყვის ხმამაღლა,
თავში რომ გავა, ნაჯათარს
ერთს გადახედავს ამაყად.

ამ ჩვენს წუთისოფელში

ამ ჩვენს წუთისოფელში
ყველა ჭირს და სიღვეს
აქვს თავისი წამალი,
რითიც წყლულს დაიამებ;
ის შენ უნდა იპოვნო,
ხოლო თუ ვერ მიაგნე,
წინ იარე — სიმტკიცეც
პკურნავს ადამიანებს!

უცნაური ზღაპარი

იყო ერთი კაცი,
მან იყიდა ვაცი —

ჯერ თავს ვყვები მხოლოდ...
და იმ კაცმა ვაცი
ხეს მიაბა ბაწრით —



აქა, ზღაპრის ბოლოდღე-ღამე
ინგლისური

ყველა ზღვა რომ ერთი იყოს

ყველა ზღვა რომ ერთი იყოს,
რა დიდი ზღვა იქნებოდა!

ყველა ხე რომ ერთი იყოს,
რა დიდი ხე იქნებოდა!

ყველა წალდი ერთი იყოს,
ის რა წალდი იქნებოდა!

ყველა კაცი ერთი იყოს,
ის რა კაცი იქნებოდა! —

— და იმ დიდ კაცს დიდი წალდით
რომ მოექრა ის ხე, ჰოდა,

იმ დიდ ზღვაში რომ ჩაეგდო,
მაშინ რაღა მოხდებოდა?!

ვითამაშოთ და ვიცვაკოთ

ვითამაშოთ და ვიცვაკოთ, გოგონებო და ბიჭებო,
მთვარე დღეს ისე ანათებს, რომ ლამის არც დავიჯეროთ:
გარეთ გამოდით, არ გვინდა არც ვახშამი და არც ძილი,
აქა ვართ თქვენი ტოლები — ყველა გოგო და ყმაწვილი.

ჯენის შენ შეატყობინე, ჯერის კი შენ გადასძახე,
ეზოებიდან ჯგუფ-ჯგუფად, ოთახებიდან ცალკ-ცალკე!
როგორღა ვიმხიარულოთ, ყველანი თუ არ შევკრიბეთ —
სულ სართულ-სართულ სახლიდან ქუჩაში სულ კიბე-კიბე!
ფქვილი ჯონის და მე მომაქვს, რძე ბილს და იმის მეგობარს,
მარჯერის გამოცხობილი ერთი ბუნ-ნგიც გვეყოფა!



მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ამისულაშვილმა

კატრიკ უაიტი ავსტრალიელი მწერალია, 1973 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი. მისი სახელი ცნობილია მრავალ, უპირველეს ყოვლისა, ინგლისურენოვან ქვეყანაში. იგი ავტორია არაერთი რომანისა, მოთხრობისა და პიესისა, აგრეთვე პოეტური კრებულებისა.

3 ეი! გასძხა უოლმა სახლიდან, მაგრამ ქალს თითქოს არც გაუგიაო, შეშის ჩეხვა განაგრძო. ყოჩაღად იქნევდა მარჯვენას, ჯერ კიდევ ღონიერსა და კუნთმაგარს, თუმცა მის სხეულს უკვე შეპარვოდა ჭკნობა. მარჯვენას იქნევდა, მარცხენა ხელი კი თავისუფლად დაეშვა ძირს. შნოიანად ხმარობდა ნაჯახს, ხან მარცხნიდან დაჰკრავდა კუნძს, ხანაც მარჯვნიდან.

რას იზამ, ნაჯახის ხმარებაც უნდა იცოდე, თორემ მამაკაცის იმედზე ყოფნა როგორ იქნება!

— ჰეი! — უოლ უოლიმ ერთხელაც გასძახა ქალს და ზღურბლზე გამოინდა. თავზე ბეისბოლის ძველი გაზინთული კეპი ეხურა, იანკების ბაზრობაზე ნაშოვნო. ჯერაც სანდომიანი მამაკაცი იყო, თუმცა ღიბი დასტყობოდა უკვე.

— არ გეკადრება ხმის გაცემა? — უთხრა ქალს და იღლიებში მაისური მოიხალვათა. საერთოდაც ხალვათი, შეუბოჭავი ცხოვრება უყვარდათ უოლებს.

— ერიჰა! — აღშფოთდა ქალი. — კუნძი ჩო არა გგონივარ?

თვალები კამკამა ცისფერი ჰქონდა, პირისაზე კი ატმის კანივით მუქი, მაგრამ როცა გაიღიმებდა, ზედ აღარ შეეხედებოდა: დორბლიანი ღრძილები და შავი, ჩამპალი ფესვები უშიშვლდებოდა.

— სახელი დამიძახე, ქალს უყვარს, როცა სახელით მიმართავენ, — უთხრა ქმარს.

უოლს თავის დღეში არ მიუმართავს ცოლისთვის სახელით, არცინ იცოდა, რა ერქვა ქალს, თუმცა მისი სახელი ამომრჩეველთა სიაში ეწერა. ქალს ისბა ერქვა.

— რა? უყვარს როცა ხელს უმართავენ? — ჰკითხა უოლმა. — იცი, ერთი აზრი მომივიდა.

უოლმა თმა გადააყარა უკან. თმა ბუნებრივი ფერისა ჰქონდა: მზისგან გახუნებული. ბავშვებსაც დედის ფერი გამოჰყოლოდათ და როცა ეს ოქროსფრად მბზინავი ბიჭები ერთად დადგებოდნენ და ურჩ ქოჩორს შუბლიდან გადაიყრიდნენ, იტყოდით: გაუხედნავი თეთრფაფარა კვიცები არიანო.

— ჰა, რა აზრი მოგივიდა? — მოუთმენლად ჰკითხა ქალმა, რადგან მოსწყინდა უქმად დგომა.

— ერთი-ორი ბოთლი ჩაცხვებული ღვინო წაგიღო და სანაგვეზე წავიდეთ, მთელი დღია იქ გავეტაროთ.

— მეც არა ვთქვი, ახალს იტყვის-მეთქი რამეს, — ~~ქალმა~~ ^{ქალმა} ცოლმა.

— მაშ რას ვამბობ! სხვა სანაგვეზე წავიდეთ-მეთქი, ჩვენსაზე კი არა. სარსაპარილაში შობის მერე აღარ ვყოფილვართ.

ქალმა ბუზღუნ-ბუზღუნით გადაჭრა ეზო და შინ შევიდა. ნაცრისფერ, შეუღებავ შემოფიცრულიდან ჩასადენი მილის სუნი ეცა, რომელსაც მსხლის სიმყრალეც ერთვოდა. იქნებ იმიტომ, რომ უოლები ძველმანით ვაჭრობდნენ, სახლიც ისეთი ძველი ჰქონდათ, იფიქრებდით, დღეს თუ არა, ხვალ თავზე დაექცევათო.

უოლ უოლი სანაგვეების საჩხრეკად დადიოდა. სხვაც ბევრი იყო მარჯვნივ, მაგრამ იმასავით გამჭრიახი თვალი არავის ჰქონია, ხელად გამოარჩევდა, რაც გამოსადეგი იყო — ძველი ბატარეები იქნებოდა, ჭრილა საწოლები თუ ხალიჩა, რომელსაც ვერც კი შეამჩნევდით ლაქებს: მავთული, კიდეც რაღაც მავთული და საათები, ერთი სული რომ ჰქონდათ გაფრენილ დროს დასწოდნენ. რაღა არ დაეყარათ უოლებს უკანა ეზოში: ზოგი რამ გასაყიდად გამოდგებოდა, ზოგი ნივთი კი ღმერთმა იცის რის მაქნისი იყო. მაგრამ დიდ დაყანგულ ქვებს ვერაფერი შეედრებოდა, სადაც ტყუპები დახუჭობანას თამაშისას იმალებოდნენ.

— აი, იმაზე რაღას იტყვი? — უცებ წამოიძახა უოლმა და გვერდი გაჭკრა ცოლს.

ქალს კინაღამ სამზარეულოს დაცხვებულ იატაკში ჩაუვარდა ფეხი.

— რაზე?

თითქოს რაღაცას მიუხვდაო ქმარს, თავშეკავებულად ჩაიციხა. უოლს ხომ მისი გაბრაზება უყვარდა.

— რაზე და, გორაობაზე რას იტყვი-მეთქი.

ისევ აბუზღუნდა ქალი, აქეთ-იქით ფრატუნს მოჰყვა, თან ტანსაცმელიც აწუხებდა, ტანზე კბენდა. მზას ყვითელი სხივები ჭერაც ასალაგებელ ნაცრისფერ ქვეშაგებს ეცემოდა, ოქროსფრად აციმციმებდა მტვრის ნამცეცებს ოთახის კუთხეებში, ქალს რაღაც აწვალებდა, გულს უმძიმებდა.

რაღა თქმა უნდა, დამარხვაზე ფიქრი აკვიატებოდა.

— იცი, უოლ, — უცბად მოლბა ქალი, როგორც სჩვეოდა მუდამ, — ურიგოდ არ მოგიფიქრებია, ბიჭები მაინც აღარ იცელქებენ. ოღონდ ეგ არ ვიცი, წყეული ლამი თუ გაგვიყადრის თავს.

— დამაცალოს, ყურებს ავახევ, — თქვა უოლმა.

— რა ქნას, ასაკის ბრალია ყველაფერი.

ისეთი სახე, ჰქონდა ფანჯარასთან მდგარ მისიზ უოლია, თითქოს მისი უცოდნელი არაფერიო ამქვეყნად. დაკრძალვამ დააყენა ამაღლებულ გუნებაზე. ტანში სულ ერუანტელი უვლიდა.

— კარგია, სანაგვეზე წასვლა რომ მოიფიქრე, — უთხრა ქმარს და გამგმირავი მზერა ესროლა ქუჩის გაღმა მდგარ წითელი აგურის შენობას — წესიერების განსაზიერებას, — თორემ ხასიათი მიფუჭდება, როცა მიცვალებულს ჩამოატარებენ ხოლმე.

— ნუ გეშინია, აქედან არაფერი გამოჩნდება, — დაამშვიდა ცოლი უოლმა. — იმ საღამოსვე წაასვენეს. „ჯექსონის პერსონალური მომსახურება“ მარხავს.

— კიდევ კარგი კვირის დასაწყისში ჩაბარდა პატრონს, თორემ ~~შაბათ-კვირას~~ მეთი დარდი არა აქვთ, კაცს პერსონალურად მოემსახურონ. მისიზ უოლიმ მზადება დაიწყო სანაგვეზე წასასვლელად. ~~კაბადგანსწინა~~ ფეხსაცმელში წაპყო ფეხი.

— ალბათ შეეება იგრძნო იმან, თუმცა როგორ შეიმჩნევს, რაც არ უნდა იყოს, და არის დეიზი. დაგენიძლავები, სისხლი გაუშრო იმ უბედურმა.

შემდეგ რაღაცამ კვლავ ფანჯარასთან დააბრუნა მისიზ უოლი. გუმანს არ უმტყუნია: აგერ ისიც, ისევ საფოსტო ყუთში ძვრება, თითქოს წელან არ დაეცარიელებინოს. აგურის სვეტზე დამაგრებულ ყუთზე დახრილ მისიზ ჰოგბენს ისეთი მწუხარება აწერია საბეზე, ჭირისუფალს რომ მოეთხოვება.

— კარგი ქალი იყო დეიზი, — თქვა უოლმა.

— ჰო, კარგი ქალი იყო, — კვერი დაუკრა ცოლმა.

ანაზღად გულში გაჰკრა: ვაითუ უოლიც, ვაითუ უოლიც დეიზისთან...

მისიზ უოლიმ თმა გაისწორა. ოჯახით რომ კმაყოფილი ჰქონოდა, — კმაყოფილი კი ნამდვილად ვარ, სამდურავი არ მეთქმისო, გაიფიქრა, როცა წამით თვალი გადაავლო თავის ცხოვრებას, — იქნებ თავადაც დეიზი მოროუს გზას დასდგომოდა.

გალმიდან მისიზ ჰოგბენის ხმა მოისმა.

— მეგ! — დაიძახა მან. — მარგარეტ!

ასე უმისამართოდ იცოდა ძახილი. დღეს კიდევ უფრო მიმქრალი ხმა ჰქონდა.

მერე მისიზ ჰოგბენი წავიდა.

— ერთხელ დასაფლავებაზე წამიყვანეს, — თქვა მისიზ უოლიმ. — გინდა თუ არა, მიცვალებულს დახედო. ერთი ჩვენი ნაცნობის ცოლს ასაფლავებდნენ. დარდისაგან აღარ იყო საწყალი კაცი.

— მერე რა ჰქენი, დახედე?

— ჰო, თავი მოვაჩვენე, ვითომ დავხედე.

უოლ უოლი სულს ძლივს ითქვამდა დახუთულ ოთახში.

— როგორ ფიქრობ, როდის იწყებენ აყროლებას?

— აყროლებას? აყროლებას მაგათ არავინ დააცდის! — გადაჭრით უთხრა ცოლმა. — შენ თვითონ ყარხარ, უოლ. ნეტა დაბანვას თუ აპირებ?

მაგრამ მას მაინც უყვარდა უოლის სუნი. ამ სუნს გადაჰყავდა იგი ჩრდილიდან კაშკაშა სანათლეში. ერთმანეთს შეჰყურებდნენ და მათი სხეულებიც ერთმანეთს ელტვოდნენ. ორთავეს საცოცხლის რწმენით უბრწყინავდა საბე.

უოლმა მარცხენა ფეხებს თავზე უჩქმიტა ცოლს.

— გზად „ბულში“ შევიაროთ და ჩაციებულნი ლუდი გავიყოლოთ იქიდან, — ჩასჩურჩულა.

მისიზ ჰოგბენმა ერთი-ორჯერ კიდევ დაიძახა და შინ შევიდა. აგურით ნაგებ წინკარში უსიამოვნო სიგრილე ეცა. მას უყვარდა სიგრილე, თუმცა ასეთი არა. იქნებ არც ისე ძალიან გრილოდა, მაგრამ გარედან იყო შემოსული და ერთბაშად შეაყრყოლა. ფშლუკუნს მოჰყვა: ისედაც რამდენ უბედურებას იტანს ადამიანი, ბოლოს ეს სიკვდილიც რომ გამოუტყვერება! მართალია მისი და — დეიზი მოკვდა, მაგრამ დას კი არა, საკუთარ სიკვდილს სტიროდა, რომელიც ჩა-

საფრებული ელოდა მის ჯერს. ერთხელაც დაიძახა: „მე-ვეს!“ — მერე განა გიშველის ვინმე! იგი შეჩერდა და მიწა მოუჩიჩქნა ქოთანში ჩარგულ ალუბინიუმს. უქმად ყოფნა არ შეეძლო. როცა საქმიანობდა, უკეთ გრძნობდა თავს.

მეგს, რა თქმა უნდა, არ ესმოდა მისი ძახილი. ფუქსიის ბუჩქებში იდგა და მათი მწვანე საბურველიდან იმზირებოდა. ისედაც გაღმურის მტკიცე ხელიანი გოგო დღეს კიდევ უფრო შეუხედავი იყო, რადგან დედის მხედრობის მისთვის სკოლის ფორმა ერთგვარი ოფიციალური შემთხვევის გამო — დეიდა დეიზის დაკრძალვაზე წასასვლელად. ძალიან გამხდარი ჩანდა, თუმცა კი არ ჩანდა. მართლა გამხდარი იყო. მისიზ აილენდს მაინც რაღა უნდა, სპორტის გარდა სხვა საფიქრალი რომ არა აქვს. დაუშალა: ასე ნუ დადიხარ, სულ ყურადღებით იყავი — ფეხის წვერები განზე გადგი, თორემ ყველა სიკეთესთან ერთად ფეხმოქცეულიც იქნები.

დიახ, ცუდად იყო მეგი, ძალზე ცუდად გრძნობდა თავს. პირისაბეზე მწვანე ფერი ედო, მაგრამ დროდადრო ზედ შუქ-ჩრდილი აუთამაშდებოდა ხოლმე. ხოლო ფუქსიის მორთოლვარე ყვავილი საკუთარი სისხლით ფერავდა მის უცოდველ ლოყას და მოლივლივე წითელ ზოლებს ტოვებდა ზედ. მხოლოდ თვალეები არ იცვლიდნენ ფერს. ნაცრისფერი თვალეები ჰქონდა, ოდნავ უცნაური ელფერისა. ლორა ჯენსენი, თავად ცისფერთვალა გოგო. ამბობდა, მეგს ბრუტინი კატის თვალეები აქვსო.

მეგის ექვსი-შვიდი თანაკლასელი — ლორა, ედნა, ველი, შერი, სიუ სმითი და სიუ გოულდსტაინი ერთმანეთს არ შორდებოდნენ არდადეგებზე, სულ ერთად მიდი-მოდიოდნენ, თუმცა ხანდახან მეგს უკვირდა, რას დასდევენ ერთმანეთსო. გასულ სამშაბათსაც საღამოთი ერთად მივიდნენ ჰოგბენებთან.

ლორამ თქვა:

— ხუთშაბათს ბარანუგლიში მივდივართ აუზში საცურაოდ. შერის იქ მანქანიანი ნაცნობები ჰყავს. დაპირებიან, როცა ჩამოხვალთ, გაგასეირნებთო.

მეგი ვერ გეტყობდათ, რა იგრძნო ამის გამგონებ, სიზარული თუ სირცხვილი.

— ვერ წამოვალ, — თქვა მან, — დეიდა მომიკვდა.

— ა-ა-ა-ა... — გააგრძელეს ბავშვებმა.

ისე ჩქარობდნენ გასცლოდნენ იქაურობას, თითქოს სიკვდილი გადამდები ყოფილიყოს, მაგრამ თითო-ორიოლა სიტყვა მაინც ჩაილულულეს.

მეგმა იგრძნო, რომ დროებით ამხანაგების თვალში ამაღლდა, ერთგვარი რიდი აღუძრა მათ.

და აი ახლა, დეიდა დეიზის დაკრძალვის დღეს, ფუქსიის ბუჩქებში იდგა მართო დარჩენილი თავის ჩიღისაღმძვრელ მკმუნვარებასთან. მეთხუთმეტე წელში იყო უკვე გადამდგარი. უცებ წნული ოქროს ბეჭედი გაახსენდა, დეიდა დეიზი რომ დაპირდა. როცა აღარ ვიქნებით, უთხრა დეიდამ. ჰოდა, ახლა მართლა აღარ არის. მეგმა უბოროტოდ გაიფიქრა, ბეჭდისათვის სად ეცლებოდაო. გული უგრძობდა, რომ ამ ბეჭედსაც დედა დაეპატრონებოდა.

მერე ის იყო გადაღმა, ქაფურის ხეებში, ლამი უოლიც გამოჩნდა მზისგან გახუნებული ქოჩრის რბევით. მეგს არ უყვარდა თეთრთავა ბიჭები, საერთოდ არ უყვარდა ბიჭები, არც ის უყვარდა, როცა განმარტოებულს მყუდროებას ურღვევდა ვინმე. მაგრამ ყველაზე უფრო ლამი არ უყვარდა. განა დავიწყებია, ძაღლის კურკლი რომ ესროლა. ზიზღისაგან მეგს კისერი გაუშეშდა. ფუჰ! მართალია, ის რაღაც სისაძაგლე მთლად გამხმარი იყო და რიგიანად არც კი შეხე-

ბია, ისე ჩამოუცურდა კისერზე, მაგრამ მეგი შინ წავიდა და ატირდა, რადგან იყო წუთები, როცა შელახული ღირსება თავს ახსენებდა.

ახლა მეგ ჰოგბენი და ლამ უოლი შეხვედრისას ისე იტყეოდნენ, თითქოს ვერც ამჩნევდნენ ერთმანეთს.

მე რად შინდა მეგი,
ჩხირს მიუგავს ფეხი...



როგორც პაპიროსის ქალაქი სავარცხელზე, ისე ზუზუნებდა ლამ უოლი ქაფურის ბუჩქებში, უოლები წლების განმავლობაში შეშად რომ ჭრიდნენ. ლამი დანით სერავდა ბუჩქის ქერქს. ერთ საღამოს სიცხისაგან შეწუხებულს ხეზე ამოეჭრა: მამი მამარს მამი. რას იზამთ, საპირფარეშოების კედლები და ვაგონები სულ ამგვარი წარწერებითაა აჭრელებული, მაგრამ განა ვინმეს რამედ მიაჩნია. დიახ, ამოჭრა, მერე კი სიბნელე დასერა დანით, თითქოს ვაგონის სკამიანო.

ლამ უოლიმ თავი მოიკატუნა, თითქოს ვერ ხედავდა მეგ ჰოგბენს, ფუქსას ბუჩქებში რომ გატრუნულიყო. მეგს ყავისფერი სკოლის ფორმა ეცვა, საგულდაგულად გაწმენდილ-გაუთოვებულს, რადგან დეიდას დაკრძალვაზე მიდიოდა.

— მე-ეგ! — დაიძაბა მისი ჰოგბენმა. — მეგ!

— ლამი, სად ჯანდაბაში დაიქარგე? — დაიძაბა ბიჭის დეიდაც.

სად აღარ ეძებს — შეშის ფარდულშიაც, ფეხისალაგის უკანაც. ჰოდა, ეძებოს!

— ლამ? ლამი, რა ღმერთი გაგიწყრა, ხმა გამეცო! — ყვიროდა იგი.

ბიჭს სძულდა თავისი სახელი. ლამიო, თითქოს ცინგლიანი ბაღლი იყო. სკოლაში ყველას ბილს აძახებდა. არც ფლავი, არც ჩლავი; არც ისეთი საძაბრ-ცხვინოა როგორც ლამი და არც ისე საძაგლად ისმის, როგორც უელიამი.

მისი უოლიმ სახლის კუთხეს შემოუარა.

— ხმა ჩამიწყდა შენს ძახილში — უსაყვედურა ლამის. — იცი, მამამ რა კარგი რამე მოიფიქრა? სარსაპარილას სანაგვეზე წავიდეთო.

— აჰჰ! — დაიჭლანა ლამი, მაგრამ არ გადმოუფურთხებია.

— შენ რა წამოგივლის ხოლმე! — უთხრა დეიდა.

მაშინაც კი, როცა შეიღები მთლად უკარება ხდებოდნენ, მისი უოლის უყვარდა ხელი შეეხო მათთვის. ხშირად ეს ფიქრს უადვილებდა. მაგრამ მას თავად შეხებაც უყვარდა. უხაროდა, რომ გოგოები არ ჰყავდა, ბიჭები დაკაცდებიან, უკაცებოდ კი ნაბიჯსაც ვერ გადადგამ, თუნდაც აბუჩად გოგდებდნენ. ყლურწვაც უყვარდეთ და ხანდახან ლაზათიანადაც გიზაბუნებდნენ.

ახლაც შეახო ხელი შვილს, რომ შეეგრძნო იგი. ლამი ჩაცმული იყო, მაგრამ შეიძლებოდა შიშველიც ყოფილიყო. ლამისთანები ხომ ტანსაცმელს ვერ ჰგუობენ. ეს თოთხმეტი წლის ჩასკვნილი ბიჭი წლოვანებით უფრო დიდს ჰგავდა.

— კარგი, — ყასიდად გაუწყრა დედა, — შენისთანა უცხვირპიროს კალთებს არ დავაგლეჯ. შენი ნებაა, გინდა დარჩი, გინდა წამოდი.

მისი უოლი წავიდა.

როგორც კი მამამ თავიანთი ჯაბახანა გამოიყვანა, ლამი მაშინვე ძარაზე აძვრა. „ქასტომლინს“ არც შეადრის, მაგრამ სხვა თუ არაფერი, აქ მარტო მაინც იქნება, არავინ შეაწუხებს.

ცოტა გონებაშეზღუდული ხალხი საგონებელში იყო ჩავარდნილი, უოლებს

„კასტომლაინი“ საიდანღა ჰყავთო. მათი ქობის წინ მდებლობზე ისე კობტად იდგა, კაცს მოპარული ეგონებოდა და დიდად არც შეცდებოდა. მესამე შესატანი ხომ ჯერაც არ შეეტანათ. მაგრამ ვითომც აქ არაფერიაო, მსუბუქად გასრიალდებოდა ხოლმე ბარანუგლიში, მერე კი „ნორდენ ოტელის“ წინ ავტოსადგომზე თვლემდა. ლამს შეეძლო მთელი დღე მდგარიყო ფსიქოლოგების ეცქირათავიანთი ორფრად შეღებილი მანქანისათვის, ხანსაც მსუბუქად სარბობდა ხოლმე და რბილსა და დამყოლ სკამის საზურგეს უსვამდა ხელს.

ახლა პიკაპში ჩასხდნენ, საქმეზე მიდიან. ხმელი ფიცრები საჯდომის ძვლებსა სტკენს. კაბინის ფანჯრიდან გადმოყოფილი მამის სქელი მკლავი ზიზღსა ჰგვრის. აი ტყუპებიც გამოძვრნენ თავიანთი ეანგიანი ქვაბიდან. თუთრთავა გერი — თუ სულაც ბერი? — დაცემულა და მუხლი გადაუყვლეფია.

— ღმერთო ჩემო! — შეჰკივლა მისიზ უოლიმ და გამოხუნებული თმა უკან გადაიყარა, ისეთივე, როგორიც ტყუპისცალს ჰქონდა.

მისიზ ჰოგბენმა დაინახა, როგორ გაემგზავრნენ უოლები.

— ამათ რა უნდათ ამ წესიერ უბანში! — უკვე მერამდენედ ეუბნებოდა ქმარს.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, მირტლ, მაგათაც მოვუვლით, — უწინდებურად უპასუხა მრჩეველმა ჰოგბენმა.

— რა თქმა უნდა, თუ საამისო მიზეზები გექნებათ, — თქვა მისიზ ჰოგბენმა, რადგან იცოდა, მრჩეველებს აუცილებლად მიზეზი სჭირდებათ.

— სად ეს სახლი და სად „კასტომლაინი“!

ისე დაიბოღმა, პირში სიმწარე იგრძნო.

დეიზი გახლდათ, რომ ამბობდა, ცხოვრების ყველა სიკეთით უნდა დაგტკბეო. ასე კი ამბობდა, მაგრამ ჩითვის კაბის გარდა არა ებადა რა და სულიც უბადრუკ ქობში ამოუვიდა. მირტლს კი წითელი აგურის სახლი აქვს, — ჰერს წერტილისოდენადაც არსად აჩნევია ნესტი, — აქვს სარეცხი მანქანა, ცისტერნიანი საბირფარეშო, ტელევიზორი, ჰყავს კრემისფერი „ჰოლდენიც“, რომ აღარაფერი ვთქვათ ქმარზე, მრჩეველ ლეს ჰოგბენზე, რომელიც ამასთანავე მშენებელიც არის.

ახლა მირტლი იდგა თავის ავლადიდებით გარემოცული და დეიზიზე ფიქრი რომ არა, ალბათ უოლების „ფორდის“ ჯავრი მოკლავდა, რომლის ფული მათ ჯერაც არ გადაეხადათ. მისიზ ჰოგბენი იმდენად დის სიკვდილს კი არ სტიროდა, რამდენადაც მის საძრახ სიცოცხლეს. მაგრამ რაც იყო, იმას რაღა ეშველებოდა — დეიზის ამბავი ქვეყანამ იცოდა.

— რას ფიქრობ, მოვა ვინმე? — ჰკითხა მისიზ ჰოგბენმა ქმარს.

— რა ვიცი, ნათელმხილველი კი არა ვარ, — უპასუხა ქმარმა.

მისიზ ჰოგბენს მისი ნათქვამი არ გაუგონია.

კარგად რომ აწონ-დაწონეს ყველაფერი, „ჰერალდში“ დეიზის გარდაცვალების განცხადება გამოაქვეყნა:

მორღუ, დეიზი (მისიზ), გარდაიცვალა მოულოდნელად, თავის სახლში, შოუგრაუნდ როუდი, სარსაპარილა.

მეტს ვერაფერს დაუმატებდა კაცი. ლესი თანამდებობის პირი იყო და ნათესაობაზე კრინტის დაძვრაც არ შეიძლებოდა. რაც შეეხება „მისიზ“-ს, დეიზის მას შემდეგ მიმართავენდნენ ასე, რაც კანინგამს დაუახლოვდა. ეს თითქოს ბუნებრივიც იყო, რადგან მათი ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდა. მშვიდად იყავი,

მირტ, ეტყოდა ხოლმე დეიზი, აი ნახავ, ჯეკი შემირთავს, როცა ცოლი მოუკვდება. მაგრამ უწინ თვით ჯეკი კანინგამი მოკვდა, მაშინ დეიზიმ თქვა: რას იზამ, ღმერთმა ასე იწებო.

— როგორ გგონია, ოსი მოვა? — ჰკითხა ცოლს მრჩეველმა ჰოგბენმა, თან ისე აბრტყელებდა სიტყვებს, რომ ქალს ეხამუშა.

— ამაზე არ მიფიქრია, — უბასუხა მან.

მაგრამ რაკი იუარა, ნამდვილად უფიქრია. მართალი თუ გინდათ, ღამე გაელვოდა კიდევ და კარგა ხანს ცურავდა ჭირის ოფლში, რადგან სულ ოსის სველი ცხვირი ელანდებოდა.

მისიზ ჰოგბენი კომოდის უჯრას მივიარდა, რომელიც ვიღაცას — თვითონ თავის დღეში არ დაემართებოდა ასეთი რამ — ღია დარჩენოდა. იგი გამხდარი ქალი იყო, მაგრამ ძარღვმაგარი.

— მეგ? — დაიძახა მან. — გაიწმინდე ფეხსაცმელები?

ლეს ჰოგბენმა ჩაიციხა. ყოველთვის ეცინებოდა, როცა დეიზის გამოსათხოვარ ახირებაზე ფიქრობდა: ბებერი, დაგლაზაკებული, მუნიანი ოსი წამოიყვანა მოუგრაუნდიდან და საყვარლად გაუხდა. თუმცა ვისი რა საქმეა?

არავისი, მხოლოდ შინაურებისა.

მისიზ ჰოგბენს თავზარს სცემდა იმის გაფიქრება, რომ ოსი, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად კათოლიკეც, დეიზის საფლავთან დადგებოდა. თუნდაც მხოლოდ მისტერ ბრიკლს დაენახა იგი, სხვას არავის.

როცა კი მრჩეველ ჰოგბენს ოსი კუგენი გაახსენდებოდა, გუნებაში დანას დაუტრიალებდა ხოლმე თავის ცოლისდას გულ-მუცელში. ახლა იქნებ უბაროდა კიდევ, რომ დეიზი მოკვდა. ეს ტანმორჩილი, პატარა ქალი, მის ცოლზე კიდევ უფრო პატარა, — დიდბუნებოვანი ადამიანი იყო. ჰოგბენებთან რომ შეივლიდა, მთელ სახლს სიცოცხლით ავსებდა. თუკი დროს იხელთებდა და ქაქანს მოჰყვებოდა, სანამ გულს არ იჭერებდა, აღარ გაჩერდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლეს ჰოგბენს აღარ შეეძლო მისი სიცილის გაგონება. ერთხელ დერეფანში მიიმწყვდია დეიზი და ჩაეხუტა. მას დააწიწყდა კიდევ ეს ამბავი, თითქმის დაავიწყდა. ოჰ, როგორ ხარხარებდა მაშინ დეიზი. მე რა, მამაკაცები კი არ მაკლია, საკუთარი სიძე ავაცუნდრუკოო. კაცმა რომ თქვას, მართლა ჩაეხუტა? არც ისე ძალიან, ყოველ შემთხვევაში, განზრახ არა. ამგვარად, ეს ამბავი დავიწყებას მისცა მრჩეველმა ჰოგბენმა და თანდათან ისე გაიცრიცა და გახუნდა, როგორც მათ დერეფანში დაგებული ყავისფერი ლინოლეუმი.

— ტელეფონზე რეკავენ, ლესლი, — დაუძახა ცოლმა. — ნერვები ისე მაქვს აშლილი, ვერავის დაველაპარაკები.

იგი ატირდა.

მრჩეველი ჰოგბენი დერეფანში გავიდა, თან გზადაგზა შარვლის უბეს ისწორებდა.

მათი ძველი მეგობარი ჰორი ლასტი რეკავდა.

— ჰო... ჰო... — ამბობდა მისტერ ჰოგბენი ტელეფონის ყურმილში, რომელსაც მისი ცოლი მუდამ „ფიჭვის სურნელით“ წმენდდა. — ჰო... თერთმეტზე, ჰორი... ბარანუგლიდან... „ჯეკსონის პერსონალურიდან“... ჰო, დიდხდ დაგვაგალებ, ჰორი.

— ჰორი ლასტი, — მოახსენა მრჩეველმა ჰოგბენმა ცოლს, — დაკრძალვაზე ახირებს მოსვლას.

სხვა თუ არავინ, კიდევ ერთი მრჩეველი დაესწრება დეიზის დაკრძალვას, — თავი ინუგეშა მირტლ ჰოგბენმა.

მამ რა უნდა ექნა? ჰორი ლასტმა ყურმილი დადო. ის და ლესი მუდამ მხარში ედგნენ ერთმანეთს. ერთად იღვწოდნენ, რომ უფრო მეტად უფროსულად განწყობილი ამომრჩეველები მიემხროთ. ჰოგბენი და ლასტა უფროსობდნენ მშენებლობის გაფართოებას შტატში. ლესმა სახლი აუშენა ჰორის, ლასტებმა კი თავიანთი სახლი ჰოგბენებს მიჰყიდეს. და თუ ვიღაც-ვიღაცებმა ხმა გაავრცელეს, ვითომც ლასტა და ჰოგბენს მწვანე ზოლი შეევიწროებინოთ, იმ ვიღაც-ვიღაცებს არ ესმოდათ, რომ თავად ეს ტერმინი გულისხმობდა ამის შესაძლებლობას.

— რა უთხარი? — ჰკითხა მისიზ ლასტმა.

— ვუთხარი, მოვალ-მეთქი, — უპასუხა ქმარმა, თან ხურდა ფული აჩხრიალა ჯიბეში.

ჰორი ლასტი წვივმოკლე კაცი იყო და ფეხებგაჩახულს უყვარდა დგომა.

ჯორჯინა ლასტმა, ამ თვალში მოსასვლელმა, ფაშფაშა, ცომივით გაფუებულმა ქალმა, გაჩუმება არჩია.

— დეიზი მოროუ, — თქვა ჰორი ლასტმა, — არც ისე ხელიდან წასული ქალი იყო.

მისიზ ლასტმა არაფერი უპასუხა.

ჰორი ლასტმა უფრო სწრაფად აათამაშა ხურდა ფული, თითქოს უნდა ადღვიბოსო. კარგად დაიხსომეთ, ცოლზე არ ბრაზობდა — ცოლმა ხომ მიწის ნაკვეთი მოუტანა მზითვად და თან უძრავი ქონებისადმი სიყვარულიც გაუღვივა. მაგრამ მაინც ხშირად უგრძნია, უარს ვერ იტყოდა დეიზი მოროუს შეყვარებაზე. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ბებრუხანა ლეს ჰოგბენი თავის ცოლისდას ვარსიყუებოდა. ამბობდნენ, სახლის ყიდვაში დაეხმარაო. დილაუთენია ინთებოდა დეიზის ფანჯრებში შუქი. ფოსტალიონი გახეთქესა და წერილებს საფოსტო ყუთში კი არ ყრიდა, ვერანდაზე უტოვებდა. ზაფხულობით, როცა კონტროლიორები ჩამოივლიდნენ ხოლმე სახლებში და მრიცხველებს ამოწმებდნენ, დეიზი აუცილებლად შინ შეიპატიჟებდა კათხა ლუდზე. იცოდა, როგორ მოეგო ადამიანის გული.

ჯორჯინა ლასტმა ყელი ჩაიწმინდა:

— დაკრძალვაზე სიარული ქალის საქმე არ არის, — განაცხადა და ჯემპრი აიღო, რომელსაც თავის ბიძაშვილს უქსოვდა.

— ფეხსაცმელები მაინც არ გაგიწმენდია! — აღშფოთდა მისიზ ჰოგბენი.

— გავიწმინდე, — უპასუხა მეგმა, — მაგრამ მტვერი დაედო ისევ. ვერ გამიგია, რად უნდა საერთოდ ფეხსაცმელს გაწმენდა. მოიხედავ და ისევ გასაწმენდია.

როგორ აუშნოვებს სკოლის ფორმა! ლოყებიც ჩაცვივნია, მეგს კი სადღაც წაუკითხავს, რომ ეს მხოლოდ სასოწარკვეთილებამ იცის.

— ადამიანი საკუთარი პრინციპების ერთგული უნდა იყოს, — თქვა მისიზ ჰოგბენმა და დაუმატა: — ახლა მამა მანქანას ჩამოაყენებს. სად არის შენი ქუდი, გენაცვალე? ერთ-ორ წუთში უკვე მივდივართ.

— ოჰ, დედა! ქუდი?

რა მოაბეზრა თავი ამ ძველმა სკოლის ქუდმა! შარშანვე პატარა ჰქონდა, მაგრამ დღემდე ვერ მოუშორებია.

— ეკლესიაში ხომ იხურავ ხოლმე!

— მეჩედა, ეკლესიაში მივდივართ?

— ეგ თქვენის იგივეა, თანაც დეიდას უნდა სცე პატივი, — თქვა მისი ჰოგბენმა, ოღონდ კი თავისი გაეტანა.

მეგი შინ შევიდა და ქუდი გამოიტანა. მათ ფუქსიის ბუჩქებსა და თაბაშირის ელფებს ჩაუარეს, მეგი პლასტმასის კონუსებს რომ ჩამოაცვამდა ხოლმე, როგორც კი წამოწინწკლავდა; დედამ დააჩვია ასე. მეგ ჰოგბენს სძულდა, აღარ უნდოდა ამ დათაფლული, დრომოკმული ელფების დანახვა, მაშინაც კი, როცა პლასტმასის თაღფაქები ფარავდათ.

მანქანაში სევდიანი, ფიქრის ამშლელი განწყობილება სუფევდა. მეგი ისე გაერთო ფანჯარაში ცქერით, რომ სულ გადაავიწყდა თავზე დაკოსებული ვიწრო პანამის ქუდი, რომელიც თავმოყვარეობას უღახავდა. მუქი ქორიდან მზირალი მისი ნაცრისფერი თვალები კვლავ ჩვეული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ ყველაფერს. მეგი გარეთ ცქერით ვერ ძღებოდა. მათ ჩაუარეს დედამისის სახლს, სადაც იგი გარდაცვლილიყო კიდევ, როგორც უთხრეს. წითელ მიხაკებში ჩაფლული საჩრდილობლიანი პატარა ვარდისფერი სახლი ჩამკვდარიყო, მთლად გაცრეცილიყო. ან იქნებ მზის კაშკაშა სინათლეში ჩანდა ასე გაცრეცილი. დილას ნათელი ემატებოდა, როცა დეიდა დეიზი ნამისაგან დამძიმებული ხალათით ყვავილების კვლებში მიმოდოდა და ხუჭუჭა ყვავილებს ბლუჯა-ბლუჯა ჰკრავდა კანაფით. დილის ჰაერით სუფთა იყო დეიდას ხმა. ერთად შეკონილ ყვავილებზე ვერავინ იტყვის, რა გახევებულები არიანო, ხმამაღლო ამბობდა იგი. ჰა, მეგ, მითხარი ერთი, რას გაგონებენ ისინი? აბა რა გინდა უბასუხო ასეთ კითხვაზე. ცაზე შეყინულ მუშუნებსო, უკარნახა დეიზიმ. მეგს მოეწონა ეს აზრი, რადგან დეიზი უყვარდა, მაგრამ მაინც შეჭბედა, არც ისე შეყინულსაო. მზე რომ დახედავდა და ააელვარებდა მიხაკებზე დაფრქვეულ ნამს, იფიქრებდით, ყვავილები თავბრუდამხვევად ტრიალებენო.

მზეზე მოლივლივე მიხაკების სურნელი, მათი გრილი, ცისფერ მტვერდაფრქვეული ღეროების სურნელი შეიჭრა დახუთულ მანქანაში და თავბრუ დაახვია მეგ ჰოგბენს. აი მაშინ მიხვდა, რომ ლექსს დაწერდა დეიდა დეიზიზე და მიხაკებზე. გაუცვირდა, ეს ადრე როგორ არ მომივიდა აზრადო.

აქ ოღროზოღროზო გზა იყო და მგზავრები ძლიერ დაანჯღრია მანქანამ. მაგრამ მისი ჰოგბენმა ვეღარ მოუხშო საგზაო მშენებლობის კომისიას, რადგან სხვა საფიქრალი გასჩენოდა: ჩამოშვებული ფარდების უკან ოსი ხომ არ იმალებოდა. ან იქნებ... იქნებ... მან ხელჩანთიდან უბრალო ცხვირსახოცი ამოიღო. წინდახედულებამ უკარნახა, ორი ცხვირსახოცი წამოედო — მაქმანმოვლებულ ლამაზ ცხვირსახოცს სამარესთან დაიჭერდა ხელში.

— რაკი ერთი და ერთი ამოვა, — აქვითინდა მისი ჰოგბენი და ცხვირსახოცი გაშალა, — სულ შამბი დაფარავს აქაურობას.

მირტლ მოროუ ფაქიზი სულის პატრონი იყო. მირტლს ესმოდა ბიბლია. მისი ნაქარგები და კილოკავით ნაქსოვი ხელსახოცები ჯილდოებს იმსახურებდა ადგილობრივ გამოფენებზე. პიანოლასაც მირტლს გარდა სხვა ვინ აუღერებდა ასეთი გრძნობით. ყვავილები კი დეიზის უყვარდა. აი დამასკოს ვარდიო, ისე

იტყოდა ხოლმე ჯერ კიდევ მთლად პატარა ბავშვი, თითქოს გემოს უსინჯავსო ამ სიტყვებს.

ცოტა რომ წაატირა, მისიზ ჰოგბენმა თქვა:

— ქალიშვილი მხოლოდ მაშინ ხვდება რა ბედნიერი იყო, როცა ბედნიერება ხელიდან ეცლება.

თანამგზავრებმა არაფერი უპასუხეს. იცოდნენ, იგეგმებდნენ, ელო-

მრჩეველ ჰოგბენს ბარანუგლისაკენ მიჰყავდა მანქანა. ქული შინვე დაიხურა, წამოსვლისას, ხოლო როცა მანქანის სარკემ შეახსენა, რომ იღიმებოდა, წამსვე მოისხიბა ღიმილი ბავიდან. მართალია, უკვე ველარ ბქდავდა არჩევნებზე ადრინდელი ფოტოსურათით წარდგომას, მაგრამ არც თავისი ცოცხალი ხატით ახდენდა ნაკლებ შთაბეჭდილებას ამომრჩეველებზე. თუმცა ახლა არჩევნებზე როდი იყო, რომ ღიმილი ეფრქვია; ამ მძიმე წუთებში მოვალეობის გრძნობა გაღიმების უფლებას არ აძლევდა. ლეს ჰოგბენი მანქანას მიაქროლებდა. მათ ჩაუქროლეს საკუთარი ოქროთი დამძიმებულ რეტინოსპერასებს! ჩაუქროლეს ლაგერსტრომიებსაც, რომელთაც ტოტებიდან გამოყონილი სიტკბო ვარდისფერი შაქარივით დაფრქვეოდათ ზედ.

სანაგვეზე რომ მივიდნენ, უოლები წაყინკლავდნენ, ვერა და ვერ მორიგებულიყვნენ — მაშინვე დაელიათ ლუდი თუ მერე, როცა წყურვილი შეაწუხებდათ.

— კარგად შეინახე! — დედა უოლიმ ზურგი შეაქცია ქმარს. — იმისათვის გაყიდეთ ჩაციებული, რომ მზეზე გალეღეჩდეს? განა არა, — დაუმატა მან, — ვიფიქრე, ლუდს მხოლოდ იმიზეზებს, რომ სანაგვეზე წაგვასხას-მეთქი.

— ააპ, მორჩი ერთი! — უთხრა უოლმა. — ლუდით თუ ულუდოთ, სანაგვეზე საქმე გვაქვს და იმიტომ დავდივართ. მართალს არ ვამბობ? გინდა ისე დღე იყოს და გინდა უქმე, სულ ერთია.

უოლი მიხვდა, რომ ცოლი ბრაზობდა. ჩამოყრილ მკერდზე შეხვდა, კაბაში რომ უტოკავდა. ბენტერა ძროხაო! — გაეცინა უოლს, მაგრამ ბოთლი მაინც გახსნა.

ბერიმ თქვა, მეც დამალევინეთო.

დედამისმა ბრაზიანი წკლაპუნით მოაშორა ბოთლს ტუჩები.

— ეგლა მაკლია სწორედ, რომ დავდგე და ვუყურო, როგორ მილოთდება შვილი.

მისიზ უოლის ცისფრად უკაშკაშებდა თვალები. უოლ უოლის კვლავ აღტაცებას ჰგვრიდა ცოლი, ალბათ იმიტომ, რომ დღემდე სურვილს აღუპრავდა იგი.

ლამი გასცილდა იქაურობას. როცა დედამისი გაბრაზდებოდა და ლანძღვას მოჰყვებოდა, ბიჭს პირდაპირ თვალში ხვდებოდა ღრძილებიდან გულისამრევად ამოჩრილი მისი ჩამპალი, ჩამავეებული ფესვები. სულ სხვაა, როცა შენ თვითონ ილანძღები. ხან არც უამისობა ექნება.

ახლა კი ერთი სალანძღავი სიტყვაც არ დასცდენია, ისე გასხლტა ძველ ლეიბებსა და მზეზე გდებისაგან დაბრეცილ ფეხსაცმელებს შორის. ყოველ ნაბიჯზე მატე იყო დაგებული: კონსერვის გახსნილი ჟანგიანი ქილები მოუთქმელად ელოდნენ უდანაშაულო კოჭებს, ყელმომტვრეული ბოთლები კი თითქოს

იმისათვის ემზადებოდნენ, რომ პირისაზე დაესერათ ვინმესთვის. ლამი ფრთხილად მიდიოდა. აზბესტის ჭუჭყიან ფურცლებს ფეხით იშორებდა გზიდან. უცბად ცელულოიდის თოჯინას წამოედო და გასრისა. აქა-იქ თითქოს ნაგავი ჭრბნილი მწვანე საფარველს. ველარ უმკლავდებოდა ბუჩქნარი ლითონის შემოტევას და დელეებისაკენ იხევდა, მაგრამ მოფარებულსა და ნოტიო ადგილებზე უფრო უხერხულად ბუნების ამბოხი: თესლი დაფლეთილ, ჭუჭყიან ლეიბებსა და კლდეებს სკამებშიაც ჩაცვენილიყო და ზამბარებს ხვიარა მცენარის ყლორტები ჩახლართვოდა; სიციცხლის დაუცხრომელი ძალა მაინც ყოველივეს იმორჩილებდა. სადღაც, ამ ნაგვის სამეფოს განაპირას, ადამიანის სახით მოვლენილ თანამზრახველს წასვლის წინ ცეცხლი დაენტო, რომელიც მცენარეებს უკვე მოეშთოთ თითქმის. მხოლოდ კვამლის მყრალი სუნი დარჩენილიყო, ნელი ხრწნის კიდევ უფრო გულსამრევ სუნს რომ ეჭიბრებოდა.

ლამ უოლი თავად ვერც ხვდებოდა, რა მოხდენილად მიაბიჯებდა. ყელში ამოუვიდა ეს სანაგვეა თუ რაღაც ჯანდაბა. ნეტა ერთი სისუფთავეში აცხოვრა და არაფერი უნდა. აი, დარკი ბლეკივით. ბლეკს ტრეილერის კაბინა ყოველთვის მოვლილი, გაკრიალებული აქვს. და უეცრად ლამს ისე მოუნდა ბლეკთან ყოფნა, რომ სუნთქვა შეეკრა. როცა ბლეკის ბელები საჭეს ატრიალებდნენ, გეგონებოდათ, მთელ ქვეყნიერებას მართავენო.

წყვილი ეკლიანი მათეული ჰყოფდა სარსაპარილას სანაგვეს სარსაპარილას სასაფლაოსაგან. სხვადასხვა სარწმუნოებასაც ცალ-ცალკე ნაკვეთი ჰქონდა გამოყოფილი, ხოლო სად რომელი იყო, გაარჩევდით გვარების ანდა ანგელოზებისა და საფლავის ქვების მიხედვით, რომელთაც ზედ ეწერა: უფალო, განუსვენე. იქ, სადაც უთუოდ ანგლიკანური ეკლესიის ნაკვეთი იყო, ელფ ჰერბერტი მისიზ მოროუს საფლავის გათხრას ამთავრებდა. უკვე აყალო მიწას მისდგომოდა და მუშაობა უჭირდა. გორახები ზედ ეწებებოდა ნიჩაბს.

მისიზ მოროუსზე რასაც ამბობენ, თუ მართალია, ურიგოდ არ გაუტარებია ცხოვრება. ლამ უოლიმ გაიფიქრა: ნეტავ რა მოხდებოდა, ბუჩქნარში, ბილიკზე ღიმილით მომავალ მისიზ მოროუს გადავყროდიო. ტანში ერთხანტელმა დაუარა. ლამი ჯერ არ იყო ქალთან ნამყოფი, მაგრამ ბიჭებს რომ არ დაეცინათ, თავს გამოცდილი კაცივით იჭერდა. უცბად გაუელვა: ნეტავ იმ ანჩხლ გოგოსთან, მეგ ჰოგბენტთან თუ... ალბათ კბენას დაიწყებსო. ლამის ცოტა არ იყოს შეეშინდა და კვლავ დარკი ბლეკზე დაიწყო ფიქრი, რომელიც არასოდეს ლაპარაკობდა ასეთ რამეებზე.

მან გზა განაგრძო. ელფ ჰერბერტი ნიჩაბზე დაყრდნობილი იდგა. როგორც ეტყობოდა, ლაპარაკის საღერღელი აშლოდა, ლამი კი სულაც არ იყო ლაპარაკის გუნებაზე. მან მზისგან აჭრელებულ ბუჩქებში შეუხვია — აქაოდა, ჩრდილს ვეძებო. ბანქაის ძირში დაწვა და შარვალი გაიხსნა. მაგრამ მალე ზიზლი მოჭვარა საკუთარი სხეულის თვალწინებამ.

ბარანუგლიდან სარსაპარილასაკენ მიმავალ პროცესიას არც კი ეთქმოდა პროცესია: მხოლოდ ღირსი მამა ბრიკლი, ჰოგბენტების „პოლდენი“ და კიდევ პორის „პოლდენი“ მიჰყვებოდა ჯექსონის მომცრო კატაფალკს. უბრალო დაკრძალვა მოაწყეს — ფულის გადასაყრელად საბაბი არ ჰქონდათ. სარსაპარილაში მათ მისტერ ჯილი შეუერთდა, რომელიც თავის ძველ „შევროლეში“ გამოჭიმულიყო მალალ სკამზე. ჩვენთვისაც ასე აჯობებდა, კატაფალკს სარსაპარილადან გამოვეყოლოდითო, გაიფიქრა მრჩეველმა ჰოგბენტმა და ამოიოხრა. მოხუცი ჯი-

ლის მოსვლას ერთადერთი მიზეზი ჰქონდა — დეიზი წლების განმავლობაში მისი მუშტარი იყო. ბაყალს მაინცდამაინც არ სწყალობდა ბედი, მაგრამ დეიზი მაინც ბოლომდე მასთან დადიოდა საყიდლად. ამბობდა, რა ვქნა, ძალიან მომწონს და მეცოდებაო. კეთილი და პატიოსანი, თუ ეგ შენთვის მთავარია, მაგრამ რა ხეირია მაგაში.

სასაფლაოსთან უკვე ახლოს იყვნენ. ის იყო უკანასკნელ დაღმართსაც დაუყვნენ, რომ სანაგვედან კლავნა-გრებით დაეშვა გამოფატრული ლეიბი და გზაზე გადმოგორდა. თითქოს ურჩხულიაო, გონების იდუშალი სიღრმეებიდან ამოტყორცნილი, სადაც წესიერი ადამიანი არც კი ჩაიხედავს.

— ღმერთო ჩემო! სასაფლაოზეც! — აღშფოთდა მისიზ ჰოგბენი. — შიკვირს, რას უყურებს საბჭო! — დაუმატა მან, ქმართანაც კი ვერ შეიკავა თავი.

— კარგი, მირტლ, კარგი, — კბილებში გამოსცრა ქმარმა, — დავიმახსოვრებ ამას.

დამახსოვრებაში კი ნამდვილად არა ჰყავდა ბადალი მრჩეველ ჰოგბენს.

— ეს ვილაც უოლებიც შიგ ფეხებში გვებლანდებიან, — ამოიკვნესა მისიზ ჰოგბენმა.

იმას აღარ იკითხავთ, რა ხდება იმათი ბავშვების თვალწინ ცხელ დღეებში! თავად მისიზ ჰოგბენია ამის მხილველი.

კატაფალკი სასაფლაოს ღიშკარში შევიდა. ახლა ისინი თავქვე დაეშვნენ თღრთღრთო გზაზე გლერტას ბარდებში, რომელიც ნელ-ნელა მეჩხერ ბალახში გადადიოდა. აქეთ-იქიდან ნაცრისფერი ფოთლებით შემოსილი ხეები მიაცილებდნენ. სულიერის ქაჭანება არ იყო, კაჭკაჭის ხმაც კი არ ისმოდა, რომ ქრისტიანის სული გაემზნეებინა. მადლობა ღმერთს, ყვითელი თიხით ხელებმოსვრილი ელფ ჰერბერტი წამოვიდა მათ შესახვედრად, კატაფალკს მეთოდისტთა და პრესბიტერიანელთა საფლაოებს შორის გაუკვლია გზა და ანგლიკანური ნაკვეთისაკენ წაუძღვა.

ამდენმა ჩაყჩაყმა კვლავ ზედაპირზე ამოატივტივა მისიზ ჰოგბენის მწუხარება, რის ხილვამაც სულის სიღრმემდე შესძრა მისტერ ბრიკლი და ნუგეშად ორიოდ სიტყვა ათქმევინა ძვირფას და ახლობელ ადამიანებზე. მისიზ ჰოგბენს მანქანიდან გადმოსვლაში რომ შველოდა, მისი ხელებიდან პროფესიული სითბო და სიკეთე გადმოიღვარა.

მეგი კი თვითონ ჩამოხტა. უცებ ისეთი ტკაცანი მოილო ტოტმა მის ფეხქვეშ, რომ თავზარა დაეცა. დედას ალბათ ეს ტკაცანი ღვთისგმობად მოეჩვენა. იმავე წამს ბანანისფერი ქუდიც ჩამოუცურდა მეგს თავიდან და ხშირ ბალახში ჩავარდა.

გათხრილმა სამარემ ცოტა არ იყოს შეაკრთო ყველა. კაცები მესაფლაოეებს კუბოს აწევაში მიუხმარნენ; მრჩეველი ლასტი კი მბოლოდ ფეხებში ედებოდა მათ, რადგან ძლიერ დაბალი იყო.

მერე მისიზ ჰოგბენმა დაინახა — დიახ, თვალეზე აფარებული მაქმანიანი ცხვირსაბოციდან დაინახა, რომ ოსი კუგენი იდგა საფლაოს მეორე მხარეს. მოხუცმა ჩილმა ხომ არ მოიყვანა? ლილები დაუდევრად ჰქონდა შეკრული, ყვითელი თიხის ბორცვს უკან იდგა და იცინგლებოდა.

ახლა მაგას რაღა გააჩერებდა! დეიზი ეტყოდა ხოლმე: ნურაფრის შიში ნუ გაქვს, როცა შენთან ვარ, ოსი, ნურაფრის, გესმის? ახლა კი დეიზი აღარ არის და ოსი ისევ შიშმა აიტანა. დეიზის გარდა ყველა პროტესტანტისა ეშინოდა. მე

ხომ იმათ არ ვგავარ, ეუბნებოდა დეიზი, იმათ ნუ მიმათვლი. მე უბრალოდ მიყვარს ის, რაც ღმერთს მოუცია, რომ გვიყვარდეს.

მირტლ ჰოგბენი ლამის გაგიყვებოდა — ყველაფერს რომ თავი დაეხებოდა, ვინ იცის, რას ფიქრობდა მრჩეველი ლასტი. როგორ უნდოდა სიტყვებით გამოეხატა თავისი გრძნობები, მაგრამ უფლის წყენას მოერიდა. მშვენიერად შეწყვეტილები ააცოცდნენ ფეხებზე, რადგან მათ ბუდეზე მდგარიყო თურმე, და საცოდავად მოიბუზა მოზღვავებული უსამართლობის წინაშე.

დეიზი, შეპყვირა მისი ჰოგბენმა იმ ბედშავ დღეს, ხომ არ შეიშალე? დას რომ მოჰკრა თვალი, ისე აღელვებული გავარდა გარეთ, სულ გადაავიწყდა ცუცხლზე შედგმული თეთრი საწებელი. სად მიგყავს? ავად არის, უპასუხა დეიზიმ. არ გაბედო მაგის შინ მიყვანა! ყვიროდა მირტლ ჰოგბენი, რადგანაც მის დას, დეიზის, ვიღაც საპყარი მოხუცი მიჰყავდა ურიკით. შოუგრაუნდ როუდზე სერიის საყურებლად გამოფენილიყო ხალხი. ჯერ თავდაღმართზე რომ მიავიწყებდა ურიკას, მერე კი აღმართსაც რომ შეუყენა, თითქოს უფრო დაპატარავდა დეიზი. თმაც ჩამოეშალა. არ გაბედო! არ გაბედო! მისძახოდა მირტლი. მაგრამ დეიზიმ გაბედა, მაინც წაიყვანა სნეული.

როცა საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილმა რამდენიმე კაცმა საფლავთან მოიყარა თავი, მისტერ ბრიკლმა კურთხევანი გადაშალა, მაგრამ მისი მსმენელი უმალ მიხვდებოდა, რომ ლოცვას უამისოდაც მშვენივრად წაიკითხავდა.

— მე ვარ აღდგომა და ცხოვრება! — თქვა მან.

ოსი ატირდა. მას არ სჯეროდა ამ სიტყვებისა, განსაკუთრებით ახლა, როცა საკუთარი თვალით იხილა სიკვდილი.

ოსი კუბოს დაჰყურებდა: აი, ესლა დარჩენილიყო დეიზისაგან. გაახსენდა, ლადარში შემწვარ კარტოფილს რომ ჭამდნენ ნელ-ნელა და ზედ კამფეტს აყოლებდნენ. და კვლავ თავლაში ჩამომდგარმა სიბნელემ შთანთქა ოსი, სადაც ეს ბედშავი ნეხვში იწვა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა ღვთის ანაბარა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დეიზის ზედ არ მიეყენებინა ურიკა. რა გინდა? პირდაპირ ჰკითხა ოსიმ. ამ დალოცვილი ნაკელის წასაღებად მოვედი, მინერალური სასუქების გახსენებაც აღარ მინდა, უთხრა მან. შენ რა, ავად ხარ? მე აქ ცხოვრობ, უპასუხა ოსიმ. იგი ატირდა და წვინტილიანი ცხვირის წმენდას მოჰყვა. დეიზიმ ერთხანს უყურა, მერე კი უთხრა: წამო, ჩემთან წავიდეთ. რა გქვია... ოსი? ეს ისეთნაირად თქვა, რომ ოსი მიხვდა, მართლა წაიყვანდა შინ. მთელი გზა, სანამ აღმართ-აღმართ მიდიოდნენ, ქარი შიგ პირისაზეში სცემდა, თვალეებსა სტკენდა და თხელ თმას უწეწავდა. ბოლო წლებში ხანდახან თითო-ორთლა მკბენარს იპოვიდა ხოლმე თმაში, მაგრამ ახლა, როცა დეიზის თავისთან მიჰყავდა, შეიძლება მართლა ფიქრობდა ან უბრალოდ თავს იმშვიდებდა, მკბენარი აღარ უნდა მყავდესო. დეიზი ურიკას რომ აწვებოდა, დროდადრო წინ იხრებოდა და ოსი გრძნობდა მისი სხეულის სითბოს, მისი მკვრივი მკერდის შეხებას ზურგზე.

— მაუწყე მე, უფალო, აღსასრული ჩემი, და რიცხვ დღეთა ჩემთა რავდენ არს, რაათა უწყოდი, რაჲდა მაკლს მე, — კითხულობდა მისტერ ბრიკლი.

სწორედ ეგლა გაკლიათ, გაიფიქრა მრჩეველმა ჰოგბენმა, ამ მიზრწნილ ოსის რომ უყურებდა.

ოსი კი იდგა და ჩურჩულით ამბობდა ლოცვას, როგორც ბავშვობაში ესწავლებინათ.

როცა პასტორი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, მეგი ჩუმად გაეცალა იქაურობას, რადგან იცოდა, ეს სიტყვები დეიდა დეიზის არ მოეწონებოდა, და ველიანი შავთულის ქვეშ გაძვრა, რომელიც სასაფლაოს სანაგვისვალს ჰყოფდა. აქამდე არასოდეს ყოფილიყო აქ და გულმა გამალებით დაუწყო ცემა. გაუბედავად მიდიოდა ბურჭებში. უცბად ფეხებში ქველი აჭიმი დაუჭიქვდა. მერე გამურულ პრიშუსს წამოედო და წაიბორძიკა.

მერე ლამი უოლიც დაინახა: ბანქსიის ძირში იდგა და მის დამტკნარ ყვავილს აწვალვდა.

უცბად ორივე მიხვდა, რომ უკან დასახვევი გზა არ ჰქონდათ.

— მე აქ დაკრძალვაზე ვარ, — თქვა მეგმა.

შვება, დიახ, თითქმის შვება მოისმა მის ხმაში.

— ხშირად მოდიხარ აქ? — ჰკითხა ლამს.

— არა-ა, — ჩახლეჩილი ხმით უპასუხა მან, — აქ არა, ისე კი სანაგვეებზე ხშირად დავდივარ.

მაგრამ მეგის შემოჭრამ მისი ცხოვრების წინასწარ განსაზღვრული დინება დაარღვია და ხელი აუკანკალდა.

— სანახავი თუ არის აქ რამე? — ჰკითხა მეგმა.

— ხარახურა, — უპასუხა ლამმა, — სხვა რა უნდა იყოს.

მეგმა რომ შეამჩნია, ლამს ხელი უკანკალებსო, კვლავ ჰკითხა:

— მკვდრისთვის თუ შეგიბედავს?

— არა, — უპასუხა მან. — შენა?

არც მეგს შეუბედავს, ან რა დროს მკვდრის შეხედვას ახლა. ორივემ ისევ მშვიდად დაიწყო სუნთქვა.

— საერთოდ რას აკეთებ? — ჰკითხა ლამმა.

და თუმცა მეგს ძალიან უნდოდა თავი შეეკავებინა, მაინც ვერ დაატირანას კბილი:

— ლექსებსა ვწერ. დეიდაჩემ დეიზიზეც დავწერ. დავწერ, როგორც იყო იგი, როცა დილაადრიან ჯერ ისევ ნამიან მიხაკებს კრეფდა.

— მერედა, რა ხეირია ამასი?

— არაფერი, — უპასუხა მეგმა, — ალბათ არაფერი.

მაგრამ განა ეს არის მთავარი!

— კიდევ რაზე წერ? — ჰკითხა ლამმა და როგორც იქნა, მოწყვიტა ბანქსიის შემტკნარი ყვავილი.

— ერთხელ კარადაში ლამაზად გამწკრივებულ ჭურჭელზე დავწერე, — უპასუხა მეგმა, — ერთხელაც ჩემს ნატვრაზე, წვიმის სუნზეც დავწერე, მაგრამ ეს ლექსი ძალიან პატარა გამოვიდა.

მაშინლა შეხვდა ლამმა მეგს. მანამდე არცერთი გოგოსთვის არ შეუბედავს თვალეში. მეგს ნაცრისფერი უშფოთველი თვალები ჰქონდა, განა ცეცხლოვანი ანდა ჩაფერფლილი, როგორიც ქალებს აქვთ ხოლმე.

— რა გინდა რომ გახდე? — ჰკითხა მეგმა.

— რა ვიცი, აბა.

— შენგან მოხელე არ დადგება.

— რაა?

— რადა, საშენო საქმე არ უნდა იყოს ანგარიში და დავთრებში ქექვა, სადმე ბანკში ანდა კანტორაში მუშაობა-მეთქი, — უთხრა მეგმა.

ლამი ისე აღშფოთდა, ბანკი და კანტორა როგორ მიხსენათ, რომ რა ეთქვა აღარ იცოდა.

— მე საკუთარი სატვირთო მანქანა მეყოლება, მისტერ ბლეკით, ტრე-

ლერი.

— რა?

— რაღა, ნახევარტრილერი, — უპასუხა მან.

— აა, — ახლა კი, ცოტა არ იყოს, გაუბედავად თქვა მეგმა.

— ერთხელ მერიბოროში წამიყვანა ბლეკმა. საკმაოდ მძიმე რეისი იყო. ხან მთელი ღამე მივჭროდით, ხანაც მანქანაშივე ვიძინებდით, ან არადა ოთახს ვშოულობდით სადმე. ოჰ, რომ იცოდე, რა კარგი იყო, ქალაქებში რომ ჩავიქროლებდით ხოლმე ღამით!

მეგმა ცხადლივ დაინახა ყოველივე, დაინახა, როგორ იდგნენ ადამიანები თავ-თავიანთ ზღურბლზე, გაქვავებულნი ყვითელი სინათლის კვადრატებში. დიახ, ღამეულ სწრაფ სრბოლაში ადამიანები ქანდაკებებივით გაქვავებულნი ჩანდნენ. ფერადი სინათლეებით გაჩახახახებული სატვირთო მანქანა გრილით მიიწევდა წინ და მეგი გრძნობდა, ირგვლივ ხავერდოვანი სიბნელე იყო. კაბინაში კი, სადაც ისინი ისხდნენ, უცვლელი წესრიგი და მყუდროება სუფევდა. საკმარისი იყო ქეშად გაეხედა, რომ დაენახა, როგორ უბზინავდა ღამს ყვითელი თმა, როტა ელექტროშუქი დაეცემოდა უცაბედად. კბილის ჯაგრისები, სავარცხლები და სხვა წვრილმანი მიჭქონდათ ყუთებით. ლექსის წერა რომ მოუნდებოდა, აი ეს ყუთები გაუწევდნენ მეგს მაგიდის მაგივრობას, როცა სადმე გაჩერდებოდნენ, სადაც მზის შუქში მორიალე მტვრის ჭიანჭველების სურნელი იტრიალებდა. მაგრამ ღამი ისე დაეუფლებოდა საჭეს, რომ ალბათ არსადაც არ შეჩერდებოდნენ. თუმცა დიდად არც ამას დაგიდევდათ მეგი.

— მაგ მისტერ ბლეკს, — ჰკითხა მან და ტუჩები კიდევ უფრო დაუწვრილდა, — ხშირად მიყავხარ თან?

— სხვა შტატში მხოლოდ ერთხელ წამიყვანა, — უპასუხა ღამიმ და ბანქსის ყვავილი მოისროლა, — ახლომახლო კი მივყავარ ხოლმე ხანდისხან.

კაბინაში გვერდიგვერდ მსხდართ მიმავალი მანქანა რომ შეანჯღრევდა და ფერდით ფერდზე მიახლიდა, ღამი ისეთ სიახლოვეს გრძნობდა ბლეკთან, როგორც არავისთან უგრძნია, და კვლავ ელოდა მადლიერებისა და სიამის წუთების განცდას. რას არ მოსცემდა, ოღონდ ზოლიანი სპორტული სვიტერი ჰქონოდა, აი ისეთი, ბლეკს რომ აცვია. დრო მოვა და ექნება კიდევ.

— როცა საკუთარი სატვირთო მანქანა მეყოლება, — თქვა ღამმა, — ბლეკს შევუამხანავდები და ერთად ვივლით. მაგაზე უკეთესი მეგობარი მე არა მყავს.

მეგმა უნდოდ აიჩეჩა მხრები, მაგრამ წამსვე ცხადლივ დაინახა შავი ხულები და შავიბალნით დაფარული თითები.

— კეთილი, — თქვა და კვლავ გაუცხოვდა, — ალბათ ოდესმე გეყოლება კიდევ.

გარეშემო საფლავეებზე ქილებში ჩაწყობილი ყვავილები მოჩანდა, ყვავილები დამჭკნარიყო და ქილებშიაც ძველი, ჩამუქებული წყალი იდგა. დასავლეთის ქარს პლასტმასის ფარფატა თაიგულები წაეჭცია და სხვა რომ ველარაფერი დაეკლო მათთვის, უშნოდ მიეყარ-მოეყარა გრანიტის მიუსაფარ ქვებზე.

სიცხისაგან მოთენთილმა პრეველმა ლასტმა დაამოქნარა და საფლავის ქვებზე ამოკვეთილი გვარების კითხვა დაიწყო, იმ გვარებისა, რომლებიც ძალაუნებურად თვალში მოხვდა. ზოგი ლამის ველარც გაიხსენა ერთხელ კინალამ გაეცინა: მიცვალებულებს თავიანთ საფლავებიდან წამოწევა რომ შეეძლოთ, ალბათ კიდევ წაქინკლავდებოდნენო.

— და შუაგულ ცხოვრებაში აღვესრულებით, — ამბობდა ანალოგურად პასტორი.

ჩემი კანინგამი

ფლორენს მერიის საუვარელი მეუღლე

წაიკითხა პორი ლასტმა. ვინ იფიქრებდა, რომ კანინგამი, ეს მუხასავით მზრებ-გაშლილი კაცი, დეიზი მორთუს სახლისაკენ მიმავალ ბილიკზე წაიქცეოდა. პორის რამდენჯერ უდევნებია მათთვის თვალი, როცა ვერანდაზე მსხდარან, სანამ ჩაის დასალევად შინ შევიდოდნენ. აღარავის ერიდებოდნენ, რადგან მთელმა ქვეყანამ იცოდა მათი ამბავი. კანინგამს საუცხოო კბილები ჰქონდა. მუდამ ქათქათა, საგულდაგულოდ ვაუთოვებული პერანგი ეცვა. ნეტავი რომელი მანდილოსანი ურეცხავდა? ამბობდნენ, ფლორენს მერი ავადმყოფობსო. დეიზი მორთუს ხვა მამაკაცებთან ბევრს იცინოდა, ჯემ კანინგამთან კი დუმდა, რაც ისეთი ინტიმურობის საწინდარი იყო, პორი ლასტი მხოლოდ გუმანით თუ მიხვდებოდა, რადგან თავად მისი პირადი ცხოვრება თითქმის უკუნ ბნელში მიუდინებოდა.

ღმერთო დიდებულო, მერე იყო და ოსი გამოტყვრა! ეს ქალი უთუოდ გარყვნილი იყო გულის სიღრმეში, თანაც გაუგონრად გარყვნილი.

— მოიღო წყალობა ყოვლადღლიერმა და იხმო სული მიხი... — კითხულობდა მისტერ ბრიკლი.

იმდენ ხანს იყოყმანეს, რომ ბოლოს მისტერ ჯილმა — ბაყალმა მიაყარა მიცვალებულს მიწა. ერთმა მუჭა მიწამ ყრუ ხმა გაიღო კუბოს სახურავზე.

აი მაშინ კი მართლა აევსო ცრემლით წირპლიანი თვალები ოსის. წყვდიადიდან, წყვდიადიდან დაუძახა დეიზიმ: რა მოგივიდა, ოსი? რა გატირებს? კრუნჩხვები მაქვს, უპასუხა მან და მთლად დაიგრიხა. კრუნჩხვები? — ნამძინარევი ხმით ჩაეკითხა დეიზი. იქნებ შენ გგონია, რომ კრუნჩხვებია? იქნებ ეგ კი არაა, სხვა რამეა. პო, შეიძლება სხვა რამე იყოს. ოსიმ გულუბრყვილოდ დაიჭერა დეიზის სიტყვები; მას ხომ მენინგიტის შემდეგ მაინცდამაინც აღარ უჭრიდა გონება. იცი რა, უთხრა დეიზიმ, მოდი, ლოგინში ჩამიწეჭი, ოს, ხელად გაგათბობ. ოსი საკუთარ სრუტუნს აყურადებდა სიბნელეში. აააპ, დეიზი, არ შემიძლია, თქროთი რომ ამავსო, მაინც არაფერი გამომივა, უთხრა მან. მაშინ დეიზი გაჩუქდა. ოსი იწვა და ლამის მაჯისცემას ითვლიდა. არა, ასე არა, — უთხრა დეიზიმ, მაგრამ არ დაუცინია, თუმცა ოსი სწორედ დაცინვას მოელოდა, — საერთოდაც ნამდვილად მხოლოდ ერთხელ ხდება. აი როგორ უნდა. და ოსიმაც მოუხეშავად გააპო წყვდიადი, რომ დეიზის ჩაბვეოდა. რას იფიქრებდა, რომ ასე ნაზი შეიძლებოდა ყოფილიყო ალერსი. ნაზი კი იმიტომ იყო, რომ დეიზის არ ეშინოდა. ეფერებოდა და ეფერებოდა ოსის თმაზე, თითებს რომ ჩამოუსვამდა, თითქოს გრილმა წყალმა ჩაუარაო. დეიზის ალერსმა დაამშვიდა, ფეხებში კრუნჩხვამ გაუარა. ბოლოს ორივემ მშვიდად დაიწყო სუნთქვა. ჩასთვლიმათ. და აი ქაბუკი

ოსი კუგენი კვლავ დაეშვა ცხენით მთიდან დიდი მდინარისაკენ, რომელიც მდორედ მიედინებოდა — კვლავ გაისმა ალვირის ყლარუნი ცისფერ ჰაერში, ქეჩის საოფლეს კვლავ აუვიდა ოფლის სუნი. იგი მიირწეოდა, მძლავრი, უსასრულო მდინარის დინებას მიჰყვებოდა და ტუჩებით ეწაფებოდა ჩამუქებულ გრილ წყალს. მადლი იქნებოდა, ნამდვილად მადლი იქნებოდა, მდინარეში დამხრჩვალიყო მაშინ.

ლამე შეშინებულმა გამოიღვიძა, ვაითუ ყოველივე ამით დასრულდებოდა. დეიზიკა ზი კი ისევ გულში იკრავდა მას. ვთქვათ და, სხვანაირი გაეჩინა ღმერთს. ოსის ყელი აუთრთოლდა. მაშინ დეიზიკ, დეიზიკ სხვანაირი იქნებოდა. ოსიმ კვლავ თბილ წყვდიადში, ჩარგო თავი და დეიზიკმაც კვლავ მიიღო თავის წიაღში.

— ძალიან თუ მოინდომე, ყველაფერს მიაღწევ, — დაიყინა მეგ ჰოგბენმა. რომელიღაც წიგნში ამოეკითხა ეს აზრი და თუმცა არც მაინცდამაინც თავად სჯეროდა ამისი, მოგეხსენებათ, თეორიებს ხანდახან გასაჭირიდან გამოჰყავს ადამიანი.

— თუ მოინდომე! — თქვა მან და ფეხით აჩიჩქნა გაქვავებული მიწა.

— როგორ არა, ყველაფერს!

— დიახ, ყველაფერს, — უთხრა მეგმა, — ყველაფერს-მეთქი!

მეგს არცერთი ბიჭისთვის არ შეუხებდავს ისე, როგორც ახლა ლამს უყურებდა, არცერთი ბიჭისთვის არ მიუბყრია ასეთი სულში ჩამწვდომი მზერა.

— სისულელეა, — თქვა ლამმა.

— ჰო, ისე კაცმა რომ თქვას, — დაეთანხმა მეგი, — რაღაც საზღვარი არსებობს.

ლამი მოიღუშა, კვლავ გაფაციცდა: მეგი ჰკვიანია, რას გაუგებ. თან ლექსებსაც წერს.

ოღონდ ერთმანეთისათვის გაეგოთ და მეგი მზად იყო უარი ეთქვა ჰკვიანურ ლაპარაკზე. ახლა უკვე აღარ მოჰქონდა ამით თავი.

— ცოლი თუ შეირთე, რას იზამ? მაშინაც აქეთ-იქით ივლი იმ შენი საბარგო მანქანით? გვონია, შენს ცოლს მოეწონება ეს ამბავი? შინ რომ იყოს გამომწვევადეული წვრილშვილით.

— ზოგს თან დაჰყავს ცოლი. ბლექს ცოლიც თან მიჰყავს ხოლმე და ბავშვებიც. შეიძლება, ყოველთვის არა, მაგრამ ხანდახან მაინც. მოკლე რეისებზე.

— შენ არ გითქვამს ჩემთვის, რომ მისტერ ბლექი ცოლიანია.

— ყველაფერს ხომ ვერ გეტყვოდი, არა? ერთბაშად როგორ მეთქვა?

სატვირთო მანქანების კაბინებში მსხდარი ქალები, ლამისათვის რომ გეკითხათ, მეტწილად შავგვრემანები და გამხდრები იყვნენ. იშვიათად თუ პასუხობდნენ სხვის მზერას მზერით, ისხდნენ კაბინებში, ხელებს ჰიგიენური ხელსახოცი იწმენდდნენ და პატარა სარკეებს ჩამტერებოდნენ თავიანთი ქმრების მოლოდინში. ლოდინი კი ხშირად უხდებოდათ. აი, თავად ლამიც, ავტომობსახურების სადგურიდან მოემართება, რომ კვლავ საჭეს მიუჭდეს. აუჩქარებლად მოდის, ოდნავ მოღუშული, და გაუპარსავ ნიკაპზე ისვამს ხელს, ქალს ერთხელაც არ შეხებდავს, შეიძლება ალმაცერი მზერა გააპაროს მისკენ, ეგ არის და ეგ. მისი ცოლი კი ყველაზე გამხდარი, ყველაზე შავგვრემანი, ყველაზე უფრო მშვიდი ქალია მათ შორის, ვინც კი სატვირთო მანქანების კაბინებიდან იყურებდნენ.

ამასობაში ლამი და მეგი დაქანგულ კონსერვის ქილებს შორის დაბორი-
ლობდნენ სარსაბარილას სანაგვეზე. ლამიმ ერთი-ორჯერ ტოტი მოტეხა, დაამ-
სხვრია და ბალახში გადაყარა. მეგმა მოგრძო ფოთოლი მოწყვიტა და დაყნოსა.
ძალიან უნდოდა ლამის თმაც დაეყნოსა, მაგრამ ესლა თქვა:

— უჰ, რა ქერა ხარ!

— ზოგი ასეთი ქერა იბადება, — აღიარა ლამიმ და დაუშინა
ლოდს. მეგი ხედავდა, რომ იგი ღონიერი იყო. სულ მცირე ხანში იმდენ რამეზე
აეხილა თვალი, მუხლები აუჯანკალდა.

მანქანა გრუხუნით მიჰქროდა ქაშკაშა სინათლეში, მოსახვევებში გვერდზე
იხრებოდა. თანდათან თეთრგვრემანი, თეთრთავა ბავშვებით აივსო კაბინა. მეგი
უმცროს ბავშვს უფრთხილდებოდა, თავს უჭერდა უკანიდან ხელისგულით. შემ-
ჩნეული ჰქონდა, ქალებმა იციან ასე. ამ საზრუნავით დაკავებულს, ხანდახან
ავიწყდებოდა ლამი, ის კი აჩერებდა მანქანას და მეგიც კაბინიდან გადმოდიო-
და, რომ ნელთბილ წყალში გაეგლო ბავშვის სახვევები და ბუჩქებზე გადაეფი-
ნა გასაშრობად.

— ლექსებსაც წერ და რა ვიცი, რა აღარ გცოდნია, — უთხრა ლამმა, —
შენნაირ ჭკვიან ადამიანს ჯერ არ შევხვედრივარ.

— ჭკვიანი ადამიანები სხვებისაგან არაფრით განსხვავდებიან, — შესაბ-
რალისად თქვა მეგმა, რადგან შიშობდა, რომ ლამი ვერ შეურიგდებოდა ვერც
მის განსაკუთრებულ გონიერებას და ვერც მის ძალას.

ამიერიდან მეგს დიდი სიფრთხილე მართებდა. გრძნობდა, თუმცა ასაკით
არა, მაგრამ მაინც უფროსი იყო ლამზე. ეს საიდუმლო გახლდათ, რასაც ვერა-
სოდეს ვერ უნდა მიმხვდარიყო ლამი. მართალია, ვაჟი ასე ძლიერია და ასე ლა-
მაში, მაგრამ მეგი ახლაც და ყოველთვისაც მასზე ძლიერი უნდა იყოს.

— ეს რა არის? — ჰკითხა ლამმა და ხელი შეახო, მაგრამ წამსვე შემკრ-
თალმა უკან წამოიღო.

— ნაჭრილობევია, — უთხრა მეგმა. — შესქელებული რძის ქილას ვხსნი-
დი და მაჯა გავიჭერი.

პირველი შემთხვევა იყო, როცა მეგმა სიხარული იგრძნო მკრთალი ნაჭ-
რილობევის გამო, რომელიც ჭორფლიან ხელზე ემჩნეოდა, და იმედი მიეცა,
რომ ეს გაამთელებდა მათ შორის არსებულ ბზარს.

ლამი აღარ ამორებდა დედა უოლისგან გამოყოლილ მკაცრ ცისფერ თვა-
ლებს. მოსწონდა მეგი, თუმცა იგი უშნოც იყო, ჭკუისკოლოფიც და თა-
ნაც გოგო.

— პურზე წასმული შესქელებული რძე შემიძლია იმდენი ვჭამო, სანამ არ
გავსკდები.

— მეც! — თქვა მეგმა და გულწრფელად დაიჯერა ეს, თუმცა ადრე ფიქ-
რადაც არ მოსვლია მსგავსი რამ.

საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილთ შავი პრიალა ბუხები ესხდნენ ზურ-
გზე და ოკრობოკრო ნაყშები გამოჰყავდათ ზედ. უკვე ისე გაბეზრებულიყვ-
ნენ ყველანი, მხრებს აღარც კი იშმუშნიდნენ მათ მოსაგერიებლად. ელფ ჰერ-
ბერტი სავსე ნიჩბებს ბუტბუტ-ბუტბუტით ყრიდა საფლავში და ჰაერში

ავარდნილი მტვერი სქლად ედებოდა ირგვლივ ყველაფერს, აღთქმანიც დას-
ტა-დასტა ეწყობოდა ერთმანეთზე. და თუმცა სულ ეს ესმოდათ — ელოდეთ,
ქრისტე მოვა და კაცთა ცოდვებს გამოისყიდისო, თვალს არ დაუჭვრებდნენ,
უცბად ჯაგნარიდან რომ გამოსულიყო და ქვის გახურებულ საკურთხეველზე
მსხვერპლად შეეწირა თავი, რადგან საამისოდ არავის მოემზადებინა ესინი. ასეა
თუ ისე, მაინც მოთმინებით ელოდნენ — მათთვის ხომ ესწავლებინათ მოწივე-
ლად მიეღოთ ყოველივე, რასაც თავს მოახვევდნენ, სიცხე კი შემორჩენილ
გონების ნატამალსაც უბინდავდათ და ავსტრალიურ თითებს ისე უსიებდათ,
თითქოს გერმანული სოსისებიაო.

პირველად მირტლ ჰოგბენს უმტყუნა თავშეკავებამ. აქვითინდა და შეც-
დომით უმაქმანო ცხვირსახოცში ჩარგო პირისახე. ვინ გარდაქმნის ცოდვილ სხე-
ულს ჩვენსას? ეს სიტყვები მეტისმეტი იყო მისა წესიერი ბუნებისათვის.

— დამშვიდდი, — ჩაუჩურჩულა ქმარმა და ხელი მოჰკიდა იდაყვზე.

იგი დაემორჩილა ქმრის თანაგრძნობას, ისევე როგორც ემორჩილებოდა მის
უფრო საეჭვო სურვილებს ოჯახურ ცხოვრებაში. მირტლს ხომ სხვა არა უნ-
დოდა რა, გარდა სიმშვიდისა და ცოტაოდენი სახარჯო ფულისა.

მისიზ ჰოგბენი, ეს სუსტი, გამხდარი ქალი, ახლა ყველა იმ წყენისა თუ
შეურაცხყოფის გამო ტიროდა, რაც კი ცხოვრებაში ხვდომია წილად. დეიზის
წყალობითაც ბევრჯერ უგემნია სირცხვილი — აბა მისგან სხვა რა იყო მოსა-
ლოდნელი. მაგრამ მათ ესმოდათ კიდევ ერთმანეთის, დიახ, იყო ასეთი წუთე-
ბიც. მხოლოდ გოგონებს ესმით ნამდვილად ერთმანეთისა, გოგონებს და არა
ქალებს. დებს ესმით ერთმანეთისა, სანამ ცხოვრება ერთმანეთს დააშორებდეს.
და აი, მირტლ მორთუ კვლავ ხეხილის ბაღში იყო, დეიზი მორთუს კი ხელი
მოეხვია მისთვის და გვერდზე მიჰყვებოდა. ჰაერს ავსებდა გულახდილი სიტყ-
ვები და ძირს დაცვენილი ვაშლის მჟაფე სუნი. მირტლმა თქვა: იცი, დეიზი, რა
მინდა? მინდა სულის ხსნის ლაშქრის მესაყვირეს ლიმონი ჩავუჩურთო საყ-
ვირში. დეიზიმ ჩაიხითხითა. გიყი ხომ არა ხარ, მირტლ. დიახ, გიყია, მაგრამ
უნამუსო კი არა. ჰოდა, ახლა მირტლ ჰოგბენი ტიროდა. თავის სიცოცხლეში
ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოუნდა ხელი ეკრა ვინმესთვის და კლდიდან გა-
დაეჩეხა, რომ ენახა მისი შიშისაგან გაფართოებული თვალები. მაგრამ მირტლს
ეს არავისთვის გაუმხელია.

მისიზ ჰოგბენი ტიროდა ყოველივე იმის გამო, რასაც ვერავის გაუმხელ-
და, ტიროდა იმის გამოც, რასაც ვერ მორეოდა საკუთარ არსებაში.

როცა ლოცვის უფრო საღბუნებელი სიტყვები გადმოდინდა, მამაო ჩვე-
ნოო, რომელიც მან ზეპირად იცოდა, პური ჩვენი არსობისაო, უნდა დამშვიდე-
ბულიყო. დიახ, უნდა დამშვიდებულიყო, უნდა.

მაგრამ მაინც სად დაიკარგა მეგი?

მისიზ ჰოგბენი საფლავთან მდგომთ გაეცალა. გაშეშებული მიდიოდა. თუ
ვინმე შეამჩნევდა მის წასვლას, იფიქრებდა, გრძნობა მოერიდა და გულს ცოტა
შეება უნდა მისცესო.

შეებას კი ის მოჰგვრიდა, რომ შვილისათვის დაეძახა: მარგარეტ, მეგ, შენ
რა, არ გესმის ჩემი, მე-ეგ? — ბრაზისაგან გაწვრილებული ხმით გააგრძე-
ლებდა იგი. მაგრამ მღვდელს ხომ არ შეუშლიდა ხელს. ამიტომ ისევ გზა გა-
ნაგრძო. ციცარსა ჰკავდა, თავისი კრელი აბრეშუმისებრი ბუმბულით ეკლიან
მავთულს რომ გამოსდებოდა.

იქაურობა სულ მიიარ-მოიარეს, უცბად რალაც ხმები შემოესმათ.

— ვინ არიან? — იკითხა მეგმა.
 — დედაჩემი და მამაჩემი. — უთხრა ლამიმ. — რაღაცაზე კინკლაობენ.
 დედა უოლის ის-ის იყო ეპოვა ლუდის ორი გაუხსნელი ბოთლი. ჰქ, სანაგ-
 ვეზე. ისე კი, ვინ იცის, შიგ რა ესხა.
 — იქნებ მოწამლულია, — გააფრთხილა ქმარმა. ერქენეუაი
 — მოწამლული? რას ჩმახავ! — დაუყვირა ქალმა. მბუიქიქექე
 იმიტომ? ვიბოვე,

— ვისაც არ უნდა ეპოვა. რომელი ჰკუთმყოფელი დალევს ადუღებულ ლუდს?

— მე დავლევ! — თქვა ქალმა.
 — კაცს ჩაცივებული ლუდი ჰჭონდეს წამოდებული და ეგ დალიოს?
 ახლა კი უოლმაც აუწია ხმას. ხანდახან ისე იქცეოდა ქალი, მოთმინები-
 დან გამოიყვანდა ადამიანს.
 — შენ არ იყავი, ბოთლების შენახვა რომ გინდოდა? იქნება როგორმე ადუღდეს! — ყვიროდა ქალი.

ორთავე უოლის წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი.
 უეცრად ლამი მიხვდა, გოგონა იქაურობისთვის უნდა მოეშორებინა, რომ მის ყურს აღარ მისწვდენოდა ყვირილი. ყელში ამოუვიდნენ ეს ლოთი-შფო-
 თები. რა კარგი იქნებოდა, თავის გოგოსთან ერთად კოხტად გაკრეჭილ მდე-
 ლოზე ამოეყო თავი, ბოტანიკურ ბაღებში რომ არის, ისეთ მდელოზე, და სე-
 ირნობისას ფეხქვეშ ეგრძნოთ რბილი, დამყოლი ბალახი. ქანდაკებები გაუკვ-
 ლევდნენ გზას მზის თვალისმომჭრელ ელვარებაში იმ ადგილისკენ, სადაც
 ბოლოს ჩამოსხდებოდნენ დიდრონი, მბზინავი ფოთლების ჩრდილში და წყალ-
 ზე მოსრიალე ნავებს დაუწყებდნენ ყურებას, მერე ბუტერბროდებსაც ამოი-
 ლებდნენ და რამდენიმე ფენა სუფთა პაპიროსის ქაღალდს შემოაცლიდნენ.

— ძალღებვიეთ ჭამენ ერთმანეთს, — აუხსნა ლამიმ.
 — ეგ ჩემი საქმე არ არის, — დაარწმუნა მეგ ჰოგბენმა.
 აბა რა მისი საქმე იყო, თუნდაც ქვეყანა დაქცეულიყო.
 გაოგნებული მიჰყვებოდა ლამს. აი, დაჟანგულ ლუმელსაც ჩაუარეს და
 გზა განაგრძეს სანაგვის მომაკვდინებელ ხალიჩაზე. სირბილით მიჰყვებოდა,
 რომ არ ჩამორჩენოდა. ხანდახან ფეხი უსხლტებოდა და რომ არ დაცემული-
 ყო, მაგრად ჩაბლუჯავდა ხოლმე ყვავილებს. მაგრამ თუნდაც არ ჩაებლუჯა,
 ყვავილები მაინც ჩაატკნებოდა ხელში. სადღაც, ამ უცხო თვალისათვის დაფა-
 რულ ლაბირინთში, მეგ ჰოგბენმა ქუდი დაკარგა.

როცა აყალმაყალს გაარიდეს თავი და კვლავ ხვატიანი სიჩუმე ჩამოწვა
 ირგვლივ, ლამმა ნეკში ჩაავლო მეგს ხელი; ეს ხომ სავსებით ბუნებრივი იყო
 ყოველივე იმის შემდეგ, რაც მათ ერთად განიცადეს. ერთხანს ხელიხელჩაკიდე-
 ბულნი მიდიოდნენ. მიდიოდნენ და ხელებს მიიქნევდნენ მოძრაობის გარკვეუ-
 ლი კანონის თანახმად.

მერე კი ლამ უოლი მოიღუშა და უხეშად მოიშორა გოგონას ხელი.

და თუ მეგი შეურიგდა ლამის საქციელს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ,
 რომ ირწმუნა, ამ უხეშობის მიღმა სულ სხვა გრძნობებს მალავდა იგი. მთელი
 უბედურებაც ეს იყო ალბათ. მეგი დარწმუნებული იყო, ლამი უკანასკნელ
 წუთამდე გაძლიანდებოდა, ისე ჩაებლუჯებოდა თავისუფლებას, როგორც აი
 ის ჩიტი ებლუჯებოდა ჰაერს, ეკლიანი ხის ტოტზე რომ კიკიკებდა, რომლის
 ძირშიაც ისინი შეჩერდნენ. მერე კი ლამის თითები დაეპატრონნენ მეგს. მეგი
 გაოცდა, ისე ძლიერი, სასტიკი იყო ბიჭის სხეული. მეგის ხორკლიან კანში

დავლილმა თრთოლვამ და გაცრეცილი ცის პერგამენტმა თავზარი დასცა ლამს, და ასე თავზარდაცემული იდგა იგი, სანამ შიშმა და მოლოდინმა ორთავეს ბაგე არ გაუპო. მადლიერებით აღვსილნი პატარ-პატარა ყლუბებით სწამდნენ ერთმანეთს, ხოლო ყლუპსა და ყლუპს შუა თავს უკან გადაიგდებდნენ ნოღმე, თითქოს წყალს დაწაფებულნი ჩიტები არიანო.

ერეკუნული
გინგულირთება

ოსი ველარ ხედავდა, როგორ იქნევდა ელფ ჰერბერტი ნიჩაბს.

— ვის გაუგია, მამაკაცი დაკრძალვაზე ტიროდეს, — ჩუმად ჩაილაპარაკა მრჩეველმა ჰოგბენმა, თუმცა ერთი სული ჰქონდა, გადაეხარხარა.

— ოსიც თუ მამაკაცია, — ჩაიჭირჭილა მრჩეველმა ლასტმა.

მაგრამ ოსის არც არაფერი ესმოდა და ვერც ვერაფერს ხედავდა დეიზის გარდა, რომელიც აკოკოლავებულ ბალიშებზე იყო ჯერაც მისვენებული. ალბათ დიდი ჰქონდა აწყვეტილი: პერანგიდან მკერდი ამოშვეროდა. არასოდეს დაავიწყდება ოსის, როგორ უბორგავდა დეიზის მკერდი გამთენიისას. დილის ნაღვლიან ყვითელ სინათლეში მის სხეულსაც ყვითელი ფერი დასდებოდა და მომჩვარულიყო. რა მეშველება, დეიზი? ყველაფერს მოეველება, ოს, უჩვენოდ მოეველება. კარგი იყო მცოდნოდა, რა მეთქვა შენთვის, მაგრამ დამაცა, ცოტა დავისვენო, სული მოვითქვა. მაშინ ოსიმ თავის სნეულ მუხლებზე დაიჩოქა. ტუჩებით შეეხო დეიზის ყელს. მის კანს საშინელი სიმწარე დაჰკრავდა. მოელვარე დიდი მდინარე, რომლისკენაც ლაგამავთანდის ეღარუნით დაეშვა მთიდან ჰაბუკი ოსი კუგენი, სულ უფრო და უფრო მდორედ მიედინებოდა და ყვითელ წუმბედ იქცეოდა. ჰოდა, ახლა იგი, უკვე დაძაბუნებული, მუნიანი მოხუცი, მის უკანასკნელ გუბეშიდა ცდილობდა შუბლის გაგრილებას.

მისტერ ბრიკლი ამბობდა:

— წრფელ მადლობას აღვავლენთ შენდა, რამეთუ ინებე და განარიდე დამ ჩვენი ამ ცოდვილ სოფელს და იხსენი იგი ტანჯვისაგან.

— არა, არა, — უნდოდა ხმამაღლა ეყვირა ოსის, მაგრამ ცრემლი მოებჯინა ყელში და ისე მოაშთო მისი ხმა, რომ არავის გაუგონია.

რამდენადაც გაეგებოდა, ხსნა არავის უნდოდა. ყოველ შემთხვევაში, არც მას და არც დეიზის. ანდა რად მოუნდებოდათ — განა არა სჯობდა, ზამთარში საღამოობით ცეცხლს მისხდომოდნენ ერთად და კარტოფილი შეეწვათ ლადარში.

მისიზ ჰოგბენი კარგა ხანს ეჯაჯგურა ეკლიან მავთულს გამოდებულ კრებდენინის კაბას. სულ ნერვების ბრალი იყო ყველაფერი, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მეგზე ფიქრიც არ ასვენებდა. უფრო ღონივრად მოსწია კაბა და გახია. როცა თავი აიღო, დაინახა, რომ მისი შვილი იქვე, ნაგვის გროვაზე, ურცხვად ჰკოცნიდა უოლების ბიჭს. ვაითუ მეგიც დეიზის კვალზე წავიდეს! ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო.

მისიზ ჰოგბენს უნდოდა დაეძახა, მაგრამ მხოლოდ ხავილი აღმოხდა გასიებული ყელიდან. ენას ისე გაევისო პირი, რომ სიტყვებისათვის ადგილი აღარ დაეტოვებინა.

ამ დროს მეგმა გამოხედა და გაუღიმა.

— რა იყო, დედა?

იგი ეკლიანი მავთულის ლობესთან მივიდა და შიგ გაძვრა. გაძვრომისას მასაც ოდნავ გაეხა კაბა.

— შენც იპოვე შესაფერი დრო! დეიდაშენისათვის ჯერ მიწაც არ მიუყ-

რიათ! თუმცა სწორედ მისი ბრალია ყველაფერი, — კბილების ღრჭიალით უთხრა მისიზ ჰოგბენმა.

ბრალდება ბრალდებაზე მიაყარა, მეგი კი თავს ვერ იმართლებდა. სიხარულმა იარალი აპყარა და დაავიწყა, როგორ უნდა დაეცვა თავი.

— ცოტა პატარა რომ იყო... — მისიზ ჰოგბენმა ხმა დაეწყო და დადგანაც პასტორს უახლოვდებოდნენ უკვე, — ჯოხს გადავამტვრევდო, — ჩემს რისკს ვიღებო.

მეგმა სცადა განურჩეველი იერი მიეღო, რომ ვერავის ჩაეხედა მის სულში.

— რას იტყვიან? — ამოიკვნესა მისიზ ჰოგბენმა. — ნეტა რა იქნება ჩვენს თავს?

— რა იყო, დედა? — ჰკითხა მეგმა.

— ამაზე მხოლოდ შენ შეგიძლია პასუხის გაცემა. და კიდევ ზოგიერთს. მაშინ მეგმა მხარზე მოდანი გადახედა იქაურობას და დაინახა, რომ სიძულვილი, რომლის არსებობაც ცოტა ხნით დაავიწყებოდა, ცოცხალი იყო ისევ. წამსვე უკარება გაუხდა სახე, მუშტივით შეეკრა. იგი მზად იყო დაეცვა ყველაფერი, რაც მისგან სამართლიანად მოითხოვდა დაცვას.

ბოლმას, დარდს, სიძულვილს, მოწყენილობას, გულგრილობასა თუ უსამართლობით მიყენებულ წყენას ერთიანად შთაენთქა იმათი არსება, ვინც მიცვალებული სამარის კარამდე მიაცილა, მაგრამ თუნდაც ასე არ ყოფილიყო, საეჭვოა, ეგრძნოთ ამ ადამიანებს, რომ დეიზი კვლავ მათ შორის იდგა. მკვდრებით აღმდგარნი — ასეთი რამ ბიბლიაში თუ ხდება, ან, ვინ იცის, იქნება არც იქ ხდება. საზეიმო ფანფარები არ ახმიანებულან ვილაც უზნეო ჩითისკაბიანი ქალის პატივსაცემად. იმათ ხსოვნას, ვინც ამ ქალს იცნობდა, იგი შემორჩა მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოგონებებით, სიცოცხლისდროინდელ რომელიღაც გაქვავებულ პოზაში. გაიგონებდნენ კი მის მოწოდებას? და თუ გაიგონებდნენ, ირწმუნებდნენ? და მაინც დეიზი მორთუ განაგრძობდა ქადაგებას:

მისმინეთ ყველამ! მე არ მივდივარ თქვენგან, მე თავს ვანებებ მხოლოდ მათ, რომელთაც სურთ, თავი დავანებო, თუმცა არც თავად არიან მთლად დარწმუნებული, რომ ჩემთან ერთად თავიანთი არსების ნაწილსაც არ დაკარგავენ. მისმინეთ, თქვენ, უიმედობით შებურობილო ადამიანებო, მისმინეთ, თქვენ, ვისაც ძილი გაქვთ გამკრთალი და შიშისაგან თრთით, ვაითუ ხელიდან გაგვისხლტესო რამე, ანდა თავზარს გცემთ იმის გაფიქრება, ვაითუ ვერაფერი ვპოვოთო ვერასოდეს. მოდით ჩემთან, ბედის მომდურავო ქალებო, სახელმწიფო მოხელეებო, მფრთხალო ბავშვებო და მუნიახო, სასოწარკვეთილო მოხუცებო...

სიტყვები მეტისმეტად ემძიმებოდა ამ პატარა ქალს. მათგან თავგაბეზრებული, უკან გადაიყრიდა ხოლმე თმას და შევბას საქმეში ჰპოვებდა. ახლა კი ფეხები მიწაში ჰქონდა ჩაფლული და რას იზამდა, უნდა მოეთმინა ზედ დაწოლილი სიმძიმე, ხოლო მისი ხმა, ყოველთვის ოდნავ ჩახრინწული, კვლავ განაგრძობდა შეგონებას და მტვერთან ერთად ეფინებოდა არემარეს:

ვეშმარიტად, ტანჯვა-წამებას რა უნდა ჩვენთან, თუკი გულში ბინას არ დავუდებთ სიძულვილს. ნუთუ არ იცით, ჩემო ძვირფასხო, რომ სიკვდილს მხოლოდ მაშინ ჰქვია სიკვდილი, როცა სიყვარული კვდება. დე სიყვარული იყოს უღიადესი აფეთქება, რასაც ამოდ როდი ელის ადამიანი. სიყვარული გრიგალივით აგვიტაცებს, თავბრუდამხვევად გვატრიალებს და ჰქმნის მილიონობით ახალ სამყაროს, ნგრევა კი უცხოა მისთვის.

ახლად დადგმული ბორცვის ქვემოდან, რომელიც ულაზათოდ იმეორებდა მისი მიწიერი სხეულის ფორმას, დეიზი ჰიუტად მიმართავდა ადამიანებს:

მე თქვენ განუგეშებთ, თუ მომცემთ ნებას განუგეშოთ. გამიგეთ?

მაგრამ ვერაფერს ვაუგო, რადგან უბრალო მოკვდავები იყვნენ მხოლოდ. უკუნითი უკუნიხამდე. უკუნიხამდე.

ფოთლები შეთრთოლდნენ, როგორც კი ნიავეს წამოუბერა.

და აი, დეიზი მორთუს ყველა გულისთქმა მისი წვრილი მკვებებს, ხამოქნილი ბარძაყებისა და მოხდენილი კოჭების გვერდით დაეწყო. ტოდოს [დ] ბტალოს იგი დამორჩილდა სხეულის რღვევას, რასაც, როგორც იმედოვნებდნენ, წესიერ ქალად უნდა ექცია იგი.

მაგრამ დეიზი მთლად არ მომკვდარა.

მეგ ჰოგბენმა ვერც დეიდამისის ქადაგებისა გაიგო რამე და ვერც მისი დაკრძალვის ბოლო წუთები იხილა, რადგან მზე სჭრიდა თვალებს. მაგრამ, როცა მანქანაში ჩაჯდა და გაინაბა მომავალი ამბების მოლოდინში, განცდილი სიხარულის მოგონებამ თრთოლვასავით დაუარა და კვლავ იგრძნო, როგორ შეეწონო ბუსუსები მის ლოყას, როგორ მიელამუნა ნიავე გაოფლილ თმის ძირებზე.

და ჰა, დეიზი საფლავში ჩაუძახეს.

სადღაც, ეკლიანი მავთულის იქითა მხარეს, მინის მსხვრევისა და მოჩხუბართა ხმები გაისმა.

მრჩეველი ჰოგბენი მივიდა პასტორთან და მადლობა უთხრა. მერე ოდნავ შებრუნდა, საფულედან ერთი-ორი ბანკნოტი ამოიღო და წამსვე შვებით ამოისუნთქა. ჰორი ლასტი სადმე იქვე რომ ყოფილიყო, ლეს ჰოგბენი მივიდოდა თავის ამხანაგთან და მხარზე გადახვევდა ხელს, რომ გაეგო, აპატია თუ არა მან ერთი ვინმეს უმგავსი საქციელი, — არა, მართალია, ნათესავისა არა, მაგრამ... ასეა თუ ისე, ჰორი უკვე წასულიყო.

ჰორიმ გაივარა და იმ ადგილას, სადაც სანაგვე სასაფლაოს უერთდებოდა, მანქანა გააქროლა. წამით ოსი კუგენის ზურგი დალანდა მტვრის კორიანტელში.

ხომ არ წამეყვანა ეს ყეყეჩიო, ერთი კი შეყოყმანდა მრჩეველი ლასტი, მაგრამ გზა განაგრძო, თან გაიფიქრა: ნახევარ ქულას თუ მაინც იმსახურებენ კეთილი ზრახვები, რომლებიც განუხორციელებელი რჩებიანო. გაიფიქრა, რადგან ახლა უკვე გვიან იყო მანქანის გაჩერება: სარკეში ოსი კუგენი ჩანდა, სანაგვისკენ რომ გადაეხვია გზიდან. კაცმა რომ თქვას, სწორედ იქ იყო ამ სალახანას ადგილი.

გზაზე მანქანა რომ ჩაიქროლებდა, მტვრის კორიანტელს აყენებდა. ქვები, მტვერი და ფოთლები აიშლებოდა, მერე კი ისევ ნელ-ნელა ეფინებოდა შარაზე. თავის მაღალ „შევროლეში“ მჯდარი ბაყალი ჯილი, ეს მშვიდი, აუჩქარებელი კაცი, რომელსაც ხურდა ფული ძველი, დალაქული ტილოს ქისით დაჰქონდა, სათვალის სქელი მინებიდან გაჰყურებდა გზას. მან შვებით ამოისუნთქა, როცა მიხვდა, ზუსტად ოთხის ნახევარზე შინ იქნებოდა და ცოლი ერთ ფინჯან ჩაის დააღვინებდა. ბაყალს ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი პუნქტუალობა, პატიოსნება და წესრიგი.

ჯილს ფრთხილად მიჰყავდა მანქანა. მან გვერდი აუქცია ლეიბს, რომელიც სანაგვეს გადმოეტყორცნა შემოვლებული მავთულის ქვემოდან შუა შარაზე. უცნაური ამბები ხდებოდა დროდადრო სანაგვეზე, გაახსენდა ბაყალს. შემზარავად კიოდნენ ქალიშვილები, რომლებსაც ტანზე შემოტკეცილი შარვლები შემოფლეთოდათ. აქ ერთხელ მოჭრილი მკლავიც კი იპოვეს შაქრის ტომარაში, მაგრამ ტანს ვერსად მიაგნეს. და მაინც ზოგი სიმშვიდეს ჰპოვებდა ამ ნაგავში: ხანში შესული უთვისტომო კაცები, რომელთა გამოცხიებული, უსი-

ცოცხლო თვალები არას მეტყველებდნენ მათ ცხოვრებაზე; სპირტის სმისგან გალურჯებული, გალუული ქალები, ნაფოტებითა და ჟანგიანი რკინის ფურცლებით შეკოწიწებული ქოხმახების წინ რომ იყვნენ მუდამ ატეხულნი. ერთხელ ვილაც ილაჯგაწყვეტილმა მაწანწალამ ძლივს მიათრია ფეხები სანაგვემდე, ალბათ იმისათვის, რომ იქ ჩამპალიყო, და ჩაღმა კიდევ, ვიდრე პოლიციელს მიიყვანდნენ, რათა ენახა, თუ რა იყო ის, რაც ერთგულად აყროლებული ძონძების გროვას ჰგავდა.

მისტერ ჩილმა ფრთხილად მოუმატა სიჩქარეს.

მანქანა მიჰქროდა, მანქანა მიჰქროდა შარავნაზე. ლამ უოლი მარტო იჭდა პიკაპის ძარაზე, ცარიელ ყუთზე მოეკალათებინა, წინ წახრილიყო და ხელები მუხლებზე მოექცია. არც ახსოვდა, რომ სწორედ ასე იცოდა ჯდომა ბლეკმა. ახლა იგი საკუთარი თავის ბატონ-პატრონი იყო. პირისახე ქარმა მოურღვია, მაგრამ ეს მოსწონდა კიდევ, სიამოვნებდა. ლამი აღარ ბრაზობდა იმ ხარახურაზე, შინ რომ მიათრევდნენ, მის ფეხებთან დაცვენილ ჟანგის ნაფშვენზე, ობმოკიდებულ ქეჩის გრაგნილზე, ბუსუსებით რომ უვსებდა ნესტოებს. აღარც თავისიანებზე ბრაზობდა, კაბინაში რომ ისხდნენ მის ზურგსუკან, და კაცი ვერ გაიგებდა, ლაპარაკობდნენ თუ ჩხუბობდნენ.

სინამდვილეში უოლები მღეროდნენ. მღეროდნენ საკუთარ სიტყვებზე, ყოველთვისაც საკუთარ სიტყვებზე მღეროდნენ, უმცროსი ბიჭები კი ხმას აყოლებდნენ მათ.

შინისაკენ მიმავალი გზა მიჩვენე, ქალო,
საღალღობოდ, საღლაბუცოდ დაღლილი არ ვარო.
წელან ცოტა გადავკარი, გამინათდა გონება,
ერთი აზრი დამებადა, შენც რომ მოგეწონება...

და უცბად დედილო უოლიმ გამეტებით დასცხო გერის, ანდა, ვინ იცის, იქნებ ბერისაც.

— ნეტა შენ რაღა გაგეგება ამისთანებისა?

— რა ბზიკმა გიკბინა? — დაუყვირა ქმარმა. — ერთ-ორ ყლუპს დაღევ და გადაირევი ხოლმე.

ქალმა არაფერი უპასუხა, თუმცა უოლი მიხვდა, იგი ბუზღუნს მოჰყვებოდა ახლა. ბიჭმა ღრიალი მორთო, მაგრამ უფრო იმისათვის, რომ ყველაფერს თავისი ლაზათი აქვს.

— სულ მაგ წყეული ლამის ბრალია, — აქოთქოთდა მისიზ უოლი.

— რა გინდა ბიჭისაგან, რას გადაეკიდე?

— შენ სულსაც არ იშურებ მისთვის, ის კი მაინც უმადურია!

უოლმა რაღაც ჩაიბურტყუნა. განყენებულ თემებზე მსჯელობა თავგზას უბნევდა ხოლმე.

დედილო უოლიმ ფანჯრიდან გადააფურთხა, მაგრამ ფურთხი უკანვე დაუბრუნდა.

— ოოჰ! — ერთი კი წამოენტო და გაჩუმდა. თუ მართალი გინდათ, ლამი რა შუაში იყო. ან რა იყო საერთოდ შუაში? არაფერი ან ყველაფერი. მაგარი სასმელიც. აიკრძალა, პირს აღარ დავაკარებო, მაგრამ მაინც სვამდა. ეგ წყეული ლამიც, საკეისროც და ბევრიც კიდევ სხვა რამ. იმასაც ამბობდა, კაცს აღარ გავიკარებო.

— მამაკაცი ამას ვერ გაიგებს.

— რას? — ჰკითხა უოლმა.

— რა ძნელია საკეისრო.

— ჰა?

კაცთან ხომ ლაპარაკი არ შეიძლება. ჰოდა, შენც ადგები და ლოგინში ჩაუწვები. ნახევარჯერ გადაკრულში ხარ, როცა ამას სჩადიხარ. ტყუბებიც ასე აიკიდა, თუმცა ამბობდა — აღარასოდესო.

— ღვთის გულისათვის, ნუ ტირი! — დაუყვავა დედილო თან ქარისაგან აწეწილ თმაზე გადაუსვა ხელი.

ეჰ, რა უსიხარულო წუთისოფელია.

— ნეტა ხშირად მარხავენ ადამიანებს ცოცხლად? — იკითხა მან.

მოსახვევებში ისე თამამად ატრიალებდა საკეს, მრჩველ ჰოგბენს თავი მოსწონდა კიდევ, მაგრამ უკანასკნელ წამს ლაგამს ამოსდებდა ხოლმე გაბედულებას, რომ მანქანა არ მოსრიალებულიყო.

ისინი მიჰქროდნენ და მიჰქროდნენ, სასიამოვნოდ მიიწევდა მანქანა წინ და მოსახვევებშიაც მსუბუქად უხვევდა.

ხანდახან მეგ ჰოგბენი ამაოდ ცდილობდა ხოლმე ელოცა, შემწეობა ეთხოვა ღმერთისთვის, მაგრამ მაინც არ იშლიდა, ისევ და ისევ ჯიუტად უბრუნდებოდა ლოცვას. ახლაც, როგორ უნდოდა სიყვარულით ეფიქრა გარდაცვლილ დეიდაზე, მაგრამ მისი ხატება თვალსა და ხელს შუა უსხლტებოდა. ქარაფშუტა, უდარდელი ადამიანია და ამისი ბრალია ყველაფერი. მაგრამ ყოველი შემდგომი მარცხისას ბუნების ახალი სურათი მიეალერსებოდა ხოლმე მის მზერას და სხვა ყველაფერს ავიწყებდა. მანქანა ტელეფონის სადენებქვეშ მიდიოდა. მეგისთვის სულ ადვილი იყო ნებისმიერი საუბრის გადათარგმნა სიმშვიდის ენაზე. ცხელი ქარი, რომელსაც დროდადრო სიგრილეც მოჰყვებოდა, ბოლოს და ბოლოს დაეხსნა ყოველივეს, რაც მყარად იდგა: გზის გაყოლებით ჩამწყვრივებულ ხის სახლებს, რუხი კაშხლის ირგვლივ აღმართულ წნორებსაც. თითქოს სიღრმე მოემატა მეგის წრფელ, ნაცრისფერ თვალებს, რომ ყოველივე დაეტია, რისი ნახვაცა და განცდაც კიდევ ელოდა.

როგორ სიამოვნებდა, ფეხაკეცილი რომ იჯდა უკანა სკამზე, თუმცა წინ დედა და მამა ესხდნენ.

— მე არ დამვიწყებია, მეგ, — მხარზემოდან გადმოსძახა დედამ.

საბედნიეროდ, მამას ცნობისმოყვარეობა არ გამოუჩენია, არაფერი უკითხავს.

— სახლის დავალიანება ხომ არ დარჩენია დეიზის? — იკითხა მისიზ ჰოგბენმა. — ძალიან დაუდევარი იყო.

მრჩველმა ჰოგბენმა ყელი ჩაიწმინდა.

— ცოტა დაგვაცადე და გამოვარკვევთ.

მისიზ ჰოგბენი თაყვანსა სცემდა ქმარს, რადგან ბევრი ისეთი რამ გაეგებოდა, რაც, გამოგიტყდებით, თავად მისთვის გაუგებარი იყო: იდუმალებით მოცული დრო. მაგალითად, ბიზნესი, ყველაზე უფრო გაუგებარი კი — მთავარი ექსპერტი.

— ვერ გამიგია. — თქვა მან, — რამ შეაყვარა ჯეკ კანინგემს დეიზი. რა საუცხოო ვაჟაკი იყო. თუმცა დეიზი ვის არ შეაყვარებდა თავს.

მანქანა კი მიჰქროდა და მიჰქროდა.

უცბად მისიზ ჰოგბენს წნული ოჭროს ბეჭედი გაახსენდა.

— როგორ ფიქრობ, დამკრძალავი ბიუროს ხალხი პატიოსანია?

— პატიოსანი? — გაიმეორა ქმარმა.

რა ბუნდოვანი სიტყვაა.

— ჰო, — თქვა მისი ჰოგბენმა, — ალბათ გახსოვს დეიზის ბეჭედი...

არა, ხელალებით დაბრალება არ შეიძლება. როცა გამბედაობას მოიკრებს, მივა იმ დაკეტილ სახლში. ამის გაფიქრებაზეც კი სუნთქვა შეეკრა. შევა შიგნით და საგულდაგულოდ მოჩხრეკავს კომოდის უჯრებს — ექვთიმე კუპიროსის ქალაღდის პატარა გუნდას წააწყდეს სადმე. თუმცა, რა დასამალია და, გარდაცვლილთა დაგმანული სახლები შიშსა ჰგვრის. მძიმე ჰაერი, მკრთალი სინათლე, რომელიც ხამი ტილოს ფარდებში ატანს. თითქოს გასაქურდად მიხვედით, თუმცა ეს ფიქრადაც არ გქონია.

ახლა ეს უოლებიც რომ წამოეწივნენ შეუმჩნევლად.

ისინი მიჰქროდნენ და მიჰქროდნენ, პიკაპი და „ჰოლდენი“ ლამის ერთმანეთს ეხახუნებოდნენ.

— ვისაც არ გამოუცდია, ვერც კი წარმოიდგენს არ არის შაკიკი, — წამოიძახა მისი ჰოგბენმა და პირი მოარიდა პიკაპს.

მის ქმარს პირველად არ ესმოდა ეს.

— საოცარია, თავს რომ არ განებებს, — უთხრა მან. — ამბობენ, გარკვეულ ასაკს რომ გადააბიჯებს ადამიანი, გაუვლის ხოლმეო.

მართალია, ვერა და ვერ გაასწრეს უოლებს, მაგრამ ლესლი ჰოგბენი ყოველნაირად ცდილობდა თავი დაეღწია ამ საჩოთირო მეზობლობისათვის. უოლ უოლი საკვებზე იყო წახრილი, თუმცა არც ისე ძალიან, რომ არ დაგენახათ, როგორ ამოსჩროდა გაღელილი პერანგიდან ბალანი. ცოლი მხარზე ურტყამდა ხელს. მიდიოდნენ და საკუთარ სიმღერას მღეროდნენ. ქალს დორბლიანი ღრძილები მოუჩანდა.

შეუჩერებლივ მიჰქროდნენ.

— ცოტაც და მალებინებს, ლესლი, — მისი ჰოგბენმა ნერწყვი გადაყლაპა და ჩანთაში ჩაყო ხელი უბრალო ცხვირსახოცის ამოსაღებად.

ტყუბებს ყვითელი ქოჩრები გაბურგძნოდათ და თავდავიწყებით ხარხარებდნენ.

ლამის ერთხელაც არ გაუხედავს „ჰოლდენისაკენ“, შუბლშეკრული იჭდა ძარაზე და სხვა მხარეს იყურებოდა. მეგ ჰოგბენსაც შორეთისთვის მიეპყრო მზერა. და თუ წამით მაინც გაკრთა მათ სახეზე მცირე რამ ნიშანი ნაცნობობისა, უმალვე წაშალა ქარმა. მეგი და ლამი ისხდნენ, ხელები თავიანთი წვეტიანი, მაგრამ მაინც მყუდრო მუხლებისათვის შემოეხვიათ, თავი რაც შეიძლება ჩაეჭინდრათ, თვალებიც დაეხარათ, თითქოს იმ ერთ დღეში საკმაოდ იხილეს ყოველივე და რაც იხილეს, იმას უფრთხილდებიანო.

გულდაჯერება ემატებოდათ, რაც უფრო სწრაფად მიჰქროდა მანქანა და ქარი ტელეფონის სადენებს აკვნესებდა, ლობეებში დათარეშობდა, მიწაზე აწვენდა ნაცრისფერ ბალახს, მაგრამ ბალახი არ ეპუებოდა, ისევ და ისევ წამოსწევდა ხოლმე თავს.



უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

1856 წლის 26 აგვისტოს მეფე ალექსანდრე II პოლიტიკური პატივების ამნისტია გამოაცხადა. არც ამჯერად ერგო უზენაესი მოწყალემა ნოვოპეტროვსკის ციხე-სიმაგრეში რიგით ჯარისკაცად გამწესებულ ტარას შევჩენკოს. წინ იყო დამამცირებელი სალდათობის კიდევ ხუთი წელიწადი. პოეტს ბედად არ ეწერა ოდესმე გაეგო (ხუთ წელიწადში იგი მოკვდება), რომ ამნისტიის გამოცხადების მეორე დღეს, 1856 წლის 27 აგვისტოს, გალიციის სოფელ ნაგუევიჩში მჭედელ იაკობ ფრანკოს შეეძინა ვაჟიშვილი ივანკო, არა მარტო უკრაინელი, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მომავალი სიამაყე და დიდება.

ივან ფრანკო იქცა შევჩენკოს შემდგომი ეპოქის წინასწარმეტყველად, მშობელი ერის პრომეთესებურ ძალთა ხელახლა აღორძინების მაცნედ, მისი ამოუწურავობის სიმბოლოდ.

მწერალი — ენციკლოპედისტი (ფლობდა 14 უცხო ენას), ფართო ინტერესების მქონე მეცნიერი (ვენის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია), აქტიური საზოგადო მოღვაწე (იყო დემოკრატიული პროგრამის მქონე რადიკალური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი), ივან ფრანკო სამჯერ იჯდა ციხეში, ნიადაგ განიცდიდა ღვინასა და დისკრიმინაციას.

აწეწილი ცხოვრების, მუდმივი ხელმოკლეობის, ხელისუფლებისა და ბურჟუაზიული არისტოკრატის მტრული დამოკიდებულების მიუხედავად ივან ფრანკოს არ უარუყვია რევოლუციონერი დემოკრატის არჩეული გზა. იგი გარდაიცვალა დიდი ოქტომბრის კვირამდღე, სამოცი წლის ასაკში, მაგრამ იმდენი მოასწრო, რასაც ზოგჯერ მთელი თაობის ჯაფა სჭირდება.

ახლახან უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ტ. შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა დაასრულა ივან ფრანკოს თხზულებათა 50-ტომეულის გამოცემა. შეგნებული ცხოვრების ყოველ წელიწადში ერთ ტომზე მეტი! — ასეთია მწერლის დაუღალავი შემოქმედებითი მოღვაწეობის ციფრობრივი მაჩვენებელი. თავის 6 000-მდე ნაწარმოებში ავტორი წარმოგვიდგება, როგორც გამოჩენილი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ლიტერატურული კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში ივან ფრანკო შევიდა, როგორც მონუმენტური ფიგურა, მასშტაბური მხატვარი-რეალისტი, ერის ცხოვრების მემკვიდრე, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი, ფორმის ბრწყინვალე ნოვატორი, ლიტერატურული ენის თვალსაჩინო რეფორმატორი. მას საპატიო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის იმ ქედუბრულ მოღვაწეთა შორის, რომლებიც სიმართლის ხმას აწვდენდნენ ფართო მასებს, მოუწოდებდნენ კლასობრივი ბრძოლისკენ, უნერგავდნენ მათ რევოლუციური დემოკრატიზმის, ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებს.

ივან ფრანკო მეორე მწერალია ტარას შევჩენკოს შემდეგ, რომელმაც თავისი შემოქმედებით დაამტკიცა უკრაინული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობა, განამტკიცა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

სასიამოვნოა, რომ ფრანკოს სერიოზულად აინტერესებდა საქართველოს ისტორია და კულტურა. ამის მოწმობს მის პირად ბიბლიოთეკაში დაცული მრავალფეროვანი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა. ამ დაინტერესებას უსათუოდ ხელს უწყობდა მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე „ვარლამი და იოსააფი, ძველქრისტიანული სასულიერო რომანი და მისი ლიტერატურული ისტორია“. როგორც ცნობილია, ქართული ვერსია ინდური მოთხრობისა „სიბრძნე ბალავარისი“ შეაღებულა ამ სიუჟეტის დასავლურ და აღმოსავლურ გადამუშავებას შორის.

თვითონ ივან ფრანკოს ნაწარმოებები ქართულად ჩვენი საუკუნის დამდეგს გამოჩნდა. ეს იყო მოთხრობები „კარგი ხელფასი“, „მისივე ბრაღია“, „პატარა მირონი“ და სხვა.

უკვე რევოლუციის შემდეგ ქართულ ენაზე ცალკე წიგნებად გამოიცა ივან ფრანკოს მოთხრობები (ორჯერ), რომანი „ბორისლავი იცინის“, დრამა „მოპარული ბედნიერება“. დაისტამბა პოეტურ ნაწარმოებთა „რჩეულიც“, რომელშიც შევიდა პოემა „მოსე“ და ლირიკული ლექსები, თარგმნილი კ. ლორთქიფანიძის, რ. გვეტაძის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძისა და სხვათა მიერ.

წინამდებარე თარგმანები დიდი უკრაინელი მწერლის ქართულად თარგმანების თითქმის საუკუნოვანი ტრადიციის კანონზომიერი გაგრძელებაა.

ბიბლიოთეკა
მთარგმნილისაგან

წიგნიდან „მზანარი ფოთლები“



ღიახ, ერთი ხარ, გულმართალო ჩემო ტრფიალო,
რომლით დატკბობაც არასოდეს არ მეღიროსება;
შენ გინდა ფარულ აღმაფრენად გულში იალო,
მკერდს ამიჩქროლებ, მაგრამ მკერდი სევდით ივსება.

შენ ის ჰანგი ხარ, სიზმრად რომ არ მესაკლისება,
და ვერ ამოვთქვამ, ცხადში რაგინდ რომ ვუტრიალო;
საგმიროდ მიხმობ, ასეთია შენი თვისება,
მაგრამ მარჯვენა მეურჩება, ეგ სატიალო.

ვით დაკარგული სიყვარული, უქმი სურვილი,
ჰანგი უმღერი, შემართება არდაურვილი,
ვით საგანძური, რაც სულისთვის მსურს დაეახვავო,

ვით ცეცხლის ალი, რომ გათბობს და კიდევაც გნაცრავს,
ვით აღსასრული, რომლის მერეც გაწუხებს არც რა, —
მიყვარხარ ჩემო ერთადერთო მზეთუნახავო!



მომეახლება სიზმარში ხშირად,
სატრფოვ, უზადო სახება შენი,
რომ მაგონებდა გაზაფხულს წინათ,
ცინცხალი ტრფობის ტალღათა მჩენი.

თავს დამადგება და ჩემდა ჭირად
აშლის აჩრდილებს... თვალები წყენით
ჩასცქერენ თვალებს, მწუხარედ მზირალოთ
და სისხლში ბორგავს ტრფიალის სენი.

ბობოქარ გულზე უცხო ჩვენება
ხელს მადებს, გველის ტანივით სოველს,
და, ჰა, ეღირსა გულს მოსვენება.

მე არ ვაშორებ ჩვენებს ცხოველ
მზერას. თვალს მიკრავს, როგორც ენება
იგი: „იძინე! სიკვდილი მოველ!“



●
არ მიწყევლიხარ, ჩემო ღვთაებავ,
თუმც ვიდაგები კარგა ხანია;
შენი დაცინვა, ჩემი ვაება,
მე მოთმინებით ამიტანია.

გული შენს გამო სევდით ივსება,
შურისმგებია ტრფიალის ღმერთი;
თუ ერთმა ხელჰყო მისი ღირსება,
იგი ორივეს გაიგებს ფერხთით.

სიცილ-სიცილით როდესაც კლავდი
ჩემს უნაზეს და უწმინდეს ტრფიალს,
ეს თუ იცოდი — მკვლელი ხარ ნაღდი,
ჰკლავ, რასაც ყოფის მიზანი ჰქვია?

ეს თუ იცოდი, რომ უღმობელი
ხელით მყოფადის ბალავარს სპობდი,
მას, რასაც ჰუნწი წუთისოფელი
მისხლისოდენას გვიბოძებს ოდით?

ეს თუ იცოდი, ზღვევის დრო მოვა
და სანამ კალმის გაწყობას ვლამობ,
შენ არაერთგზის მოგიწევს გლოვა
იმ გათელილი საუნჯის გამო?

●
შენი თვალები ზღვა არი,
მოსილი ნათლის სხივითა:
ჩემს გულში რაც ბოღმა არი,
მანდ ქრება ნამცეცხვითა.

●
თვალები შენი ჭასავით
ჰვივის აღმასის ფერითა,
იმედი, როგორც ვარსკვლავი,
იქ ბრწყინავს ამიერიდან.

●
მარადიულო მთიებო!
დამცინეთ საწყალ ჭიასა!
სნეული, გულნატკიები,
დარს ვერ ველირსე მზიანსა.

თავს ვებრძვი, თავს ვისიებო,
ვეკრძალვი ფიქრთა აღსაო...

●
მარადიულო მთიებო,
დამცინეთ გულღედალსაო.
თავს რომ გაექცეს, აეშვას
თუ შესძლებს ჩემისთანაო?
ბორკილი მადევს! კაეშანს
მივაცოდვილებ თანაო.



ალისფერო ძახველო, მდუღლოზე რად ქანაობ?
 მდუღლოზე რად ქანაობ?
 ნუთუ შუქი არ გიყვარს, მზეს არ ელტვი განაო?
 მზეს არ ელტვი განაო?
 აყვავდები აღარა, ქვეყნის გულგასახარად?
 ქვეყნის გულგასახარად?
 თუ გაშინებს გრიგალი, ზეცის გრგვინვა-ნაღარა?
 ზეცის გრგვინვა-ნაღარა?
 აყვავებაც მწაღია, აღარც გრვინვა მაშინებს,
 აღარც გრგვინვა მაშინებს.
 ვცდილობ შუქის მორევში განვიბანო მაშინვე,
 განვიბანო მაშინვე.
 ცად არ ვილტვი, რადგანაც ზრდას ვერ გავედევნები,
 ზრდას ვერ გავედევნები.
 დამიხრია მიწამდე ალისფერი მტევნები,
 ალისფერი მტევნები.
 ცად არ ვილტვი, რადგანაც მუხას ვერ ვეწყვილები,
 მუხას ვერ ვეწყვილები;
 შენ კი, მუხავ, ჯანლივით დამაფარე ჩრდილები,
 დამაფარე ჩრდილები.

ახრდილი

ცივი ღამეა. მშვიდად, მძიმედ, აუჩქარებლად,
 აცვივა ქალაქს სველი ფიფქი და ნაფერთალი.
 სქელი ბინდიდან სამაროვან მგლოვიარებას
 გამოუყვია სახე ფერმკრთალი.

კრთიან ფარნები. მათ გარშემო შუქი რგოლებად
 ივრცობა, ილტვის, სისხლისფერად ნამინანქრები.
 და სიზმარულ ოცნებათა გამოქროლებას
 უამიდან უამად მოციმციმე ჰგავს ფიაკრები.

ტროტუარებზე კვლავ ირევა მილეთის ხალხი,
 ცილინდრი, ქურქი, ქალბატონთა მოდური ბოა,
 გლახის ძონძები — მდინარეა ფერადი ტალღის
 არ წყდება წამით... ჩემს გარშემო უშქარი ბრბოა.

მეც ბრბოსთან ერთად ნაღვლიანი, მარტოეული
 მივცურავ სადღაც, რომ ჩემივე ფიქრების ალყას
 გამოვებარო, მაგრამ გულში ღრმად ჩაჭდეული
 დარდი წყეული არ მშორდება, მეგზურად მახლავს.

და როგორც კაცი, წყალს რომ მიაქვს და სუსტი ხელის
ჩასაჭიდებლად ეძებს ტოტებს, ფესვებს, ხვიარებს,
ვეძებ შეგობარს უღალატოს, რომელიც ჭრელი
ხალხის ტალღაში ჩემს საწუხარს გაიზიარებს.



უცებ გავხვედი, თითქოს ჩატყდა გულის ფიცარი,
სუნთქვა შემეკრა, აღსასრულის წუთები თუა...
მსურდა გაქცევა, მსურდა მაგრამ ვერ დავიძარი,
თითქოს კეფაში მითავაზეს ნაჯახის ყუა.

ო, არა, შევცდი, შორიანლო ჩემს დასანახად
მიირწეოდა ტანკენარი, მაღალი ქალი.
მიმოიხედა, გააქნია თავი ამაყად,
გამვლელ ვაებატონს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

მიმოიხედა ერთხელ კიდევ. ჩემთა სახედვართ
ღრმა და დიდრონი, დამესავით შავი თვალები
დამბრმავებელი ელვარებით შემოაფეთა
და ბინდში გაქრა, შემოსილი იღუმალებით.

ვიდექ უძრავად. მეხლებოდა ნაკადი ცივი
ყაყანა ბრბოსი... ირეოდნენ ჭრელი ფერები,
მე კი ვერ ვგრძნობდი ვერც სიცხეს და ველარც ტკივილს,
თითქოს ჩაქრაო ტვინში შუქი ცნობიერების.

„იგია!“ — ბაგეთ ეს ძახილი აღმოხდათ ოდენ.
მე სიტყვა უფრო მაგიური არ გამიგია!
როგორც დოლაბი, როგორც მძიმე, ვეება ლოდი,
მღუნავდა მხრებში ერთადერთი სიტყვა: „იგია!“

იგი, ყვავილი, ვით „სიზმარი მეფის ასულის“,
რომლის გაფურჩქვნაც მე ყოველთვის ნუგეშინს მცემდა,
რომლის საამო სურნელება, სულში ჩასული,
მოაქვამამდე ცოცხალია მათრობლად ჩემდა!

იგი, ვისთვისაც ვისურვებდი მე თავდადებას,
ვისთვისაც სულმა ყველა განძი ერთად შეკონა,
დავუკოცნიდი ალტაცებით ვისაც ნატერფალს,
რადგან მშვენება და ცხოვრების არსი მეგონა.

იგი, რომელსაც ერთი სიტყვით შეეძლო მყისვე
ვექციე გმირად, გენიოსად, როგორც ენება.
ამაღლებულის სიყვარულით ავევსე ისე,
არ დამკარგვოდა იმედები და მოსვენება, —

იგი, რომელმაც გასაღები ედემ-ბაღისა
შუა ჭაობში მოისროლა და ჩაიარა

და სანატრელი ერთი სიტყვა აღარ მალირსა...
ის უთქმელობა, ნეტავ, სულში დარჩა იარად?

არა სიტყვებით — მოძრაობით, გაყინულ მზერით
მან გადამჩეხა წყვდიადისფერ ნაპრალებს იქით
მივჭკრი!... ვეცემი! კიდევ ვისი დამდგარა ჯერ
ეს უპატრონო ვინ აგდია? იგია, იგი!

შესდექ აჩრდილო! მიპასუხე, მზიარულ მწვერვალს
რა ძნელბედობამ მოგაშორა, რაა მიზეზი?
ეგ სილამაზე, ეგ მშვენება რომელმა მტერმა
ჩასრისა ლაფში, ვით ყვავილი უფაქიზესი?

იქნებ შიმშილმა, გაჭირვებამ, ობლობამ გთელეს,
ან იქნებ ვნებამ, გულს რომ ფერფლავს უღმობელ ალით,
ხრის ნებისყოფას, ვით გრიგალი აშოლტილ წნელებს,
ამ სამარცხვინო ბაზრობაზე მოგრეკა ძალით?

ო, შესდექ, შესდექ! ჩემი გული შენდობას იტევს.
ჩემი ტრფიალი არ ჩამქრალა, ანთია ჯერაც,
იგი ფსკერიდან ამოიტანს სამოთხის კლიტეს
და კვლავ გააღებს კარდაგმანულ სამოთხეს, მჯერა.

ვერ გაიგონა? აწ ლამეულ წყვდიადს შერთვია
ჩემი დამჭრელი, გაპყოლია შარას გათელილს.
ნეტავ, თვალები დამვსებოდა იმ წამს ერთიან,
უშფოთველ სულში იბრწყინებდა მეტი ნათელი.

ვენა, 1892 წლის დეკემბრის 6.

სატრფო მომიკვდა! ყური უგდე! ხმაა საზარი!
ეს ჩემი გული ზარს არისებს სამგლოვიაროს.
სატრფო მომიკვდა! თითქოს თავზე უზარმაზარი
მხრებზე მაწევს და მაძულებს ფორთხვით ვიარო.
მხუთავს რაღაცა, თუ მაყრია თვალში ნაცარი,
რომელსაც ჩინი ამოართვეს? სულის ზიარო
ფიქრებო, თქვენთვის ტკავილები ვინ მიმიძალა?
ის მიიცივალა! მიიცივალა! ის მიიცივალა!

ხედავ, სახეზე ყვავილობენ ჯერაც ვარდები
და ბაგეები წითელია, ვითარცა ყოლო...

ფრთხილად! სუნთქვასაც ნუ შეახებ, ნუ აჩქარდები,
 ესაა შენი ნატვრის კუბო, კურჯელი ბოლო,
 ბამ-ბამ!.. შორეთში მძლავრი ფრთებით ნანავარდები
 გაისმის რეკვა... დაგრჩენია ტირილი მხოლოდ!
 მოსპო სიკვდილმა შენი ნატვრის ზღუდე ფიწალი.
 შენი ტაძარიც დააქცია! ის მიიცვალა!



მიკვირს, აქამდე როგორ შემრჩა უნარი განსჯის?
 რომ კვლავაც ძალმიძს გავარჩიო თეთრი და შავი?
 როგორ ვითმინე, რომ აქამდე ცოცხალი დავრჩი,
 კანაფის ყულფში არ გავყავი ერთბაშად თავი!
 ჩემი რჩეული მიემატა ხანძართა არჩივს,
 ვერ მიერთგულებს ძველებურად მუხლი და მკლავი!
 ვარ საუკუნო ხეიბარი! გულმა იწვალა
 და მიმოფანტა ყველა ფიქრი! ის მიიცვალა!

მხოლოდ ტკივილი საშინელი, გულგამყოფელი,
 მძვინვარებს ჩემში, მკერდს მიფატრავს ბასრი დანებით.
 მხოლოდ ტკივილი, მხოლოდ რეკვა შავეთს მხმობელი,
 აღარც ცრემლი მდის, აღარც სისხლის, ოფლის ღვარები.

ქრება, ბინდდება ჩემს გარშემო წუთისოფელი,
 მიხმობს ქარ-თოვლში უფსკრულისკენ ბუკ-ნალარები,
 მოვსთქვამ! ვიყვირებ! — მაგრამ ყელში გამჩრია ჩვარი,
 სატრფო მომიცვდა! — არა, არა! თვითონ ვარ მკვდარი.



გაულწეველი კედელივით ჩადგა ჩვენს შორის
 ეს ბედ-იღბალი! ვით ორ ხომალდს, ზღვა გვარწევს მიწყვივ
 და ჩვენი რწევის მოწმე არის ნაპარი ორა,
 შუქურვარსკვლავო, ცად რომ კუშტი ციმციმით აწვი.

ჯერ კიდევ შორით გითვალთვალე, მზერად ქცეული,
 შენი ცინცხალი ნაფეხურის კოცნად მზადა ვარ,
 მე გავიხარებ თუ ჩემს სულში სუნთქვად გადავა
 პაერი, შენი ბაგეებით ამოფრქვეული.

მაგრამ შენ გაპქრი! თითქოს ტყეში პირგამეხებით
 ვდგავარ მარტოკა. აწ საითკენ? რანაირ ხამლით?
 მოკვდნენ ფიქრები, აღარ ვლიან უკვე ფეხები,
 ვულში კი ცივა... ჩემს გარშემო კვამლია, კვამლი!..



ვაიმე, რასაც წმინდად ვსახავდი,
 რასაც ვადრიდი ხატს და იდეალს,
 შეპყრია ჩრჩილი, როგორც სახადი
 და დღემდე მისი გადამკიდება.

მას, რასაც სულში ვესიყვარულე,
 როგორც საუნჯეს, ბუნების გვირგვინს,
 ეგ ქიანჭველა საფრთხეს არ უღევს
 და ვით თოჯინას, დაამტვრევს იგი.

წახდენს, მერე მიაგდებს სულაც,
 თუმცა საბრალო ჩემი ღვიძლია,
 ძრწოლვით შევყურებ ამნაირ სურათს
 და შეშველება არ შემძლია.

ძრწოლვით შევყურებ, ჩემს ქორფა ყვავილს
 როგორ ამტკნარებს უღირსი ხელი
 და ჩემს სამოთხეს აწეულ თავით
 ბატონობს ცივი, საზარი გველი.

მომაწვა გრძნობა დამახრჩობელი,
 სიმწრად ტკივილად, დრამად იალო...
 ასგზის წყეული იყოს სოფელი,
 რომ აგრერიგად გამატილაო!

□

დევიდ ჰერბერტ ლორენსი

ცხენებით მოვაჭრის ქალიშვილი



ინგლისურიდან

თარგმანა ქეთინო ბორობაძე

ახლა რას აპირებ, მეიბელ? — აგდებულად ჰკითხა ჯომ. თვითონ საფრთხეს არ ელოდა. მეიბელის პასუხს არც დალოდებია, მიბრუნდა, თამბაქოს ნამცეცი ენის წვერზე მოიქცია და გადმოაფურთხა. რა ენაღვლებოდა, მას ხომ არაფერი ემუქრებოდა.

მაგიდას, რომელზეც საუზმის ნამუსრევი ეწყო, ოთხნი უსხდნენ — სამი ძმა და მათი და, და საგონებელს მისცემოდნენ. დილის ფოსტამ მათ ოჯახურ კეთილდღეობას უკანასკნელი იმედი გამოაცალა. ახლა უკვე ყველაფერი გათავებული იყო. წითელი ხის ავეჯით გაწყობილი პირქუში სასადილო ოთახიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს ელოდა, როდის მოიშორებდნენ თავიდან.

მაგრამ ოჯახის თათბირი უშედეგო იყო. მაგიდასთან მსხდომ ძმებს ამაოების უცნაური განცდა დაუფლებოდათ. თამბაქოს ეწეოდნენ და თან თითოეული თავის მდგომარეობაზე ფიქრობდა. ქალი სიმარტოვეს გრძნობდა. ოცდაშვიდი წლისა იქნებოდა, დაბალი იყო, კუშტი შესახედაობა ჰქონდა. მისი ცხოვრება ძმებისას არ ჰგავდა. ლამაზი იქნებოდა, სახეზე გულგრილი გამომეტყველება რომ არ ჰქონოდა, რომელსაც ძმები „ბულდოგისებურს“ უწოდებდნენ.

გარეთ ცხენების ფლოქვების თქარუნი გაისმა. ძმები ზანტად შემობრუნდნენ სკამებზე და ფანჯარაში გაიხედეს. ხშირი ბაძგნარის მიღმა, რომელიც მდელს გზატკეცილისაგან მიჯნავდა, საჯაგავი ცხენები თქარათქურით გადიოდნენ გზოდან. ისინი მოსათელად მიჰყავდათ. ეს მათი უკანასკნელი ცხენები იყო. ძმებს სახეზე გულქვა, შეუბრალებელი გამომეტყველება აღბეჭდვოდათ. ცხოვრებაში ხელის მოცარვამ შეაშინა ისინი, მოახლოებული უბედურების საფრთხემ სულიერი სიმშვიდე დაუკარგა.

სამივე მოხდენილი და კუნთმაგარი ახალგაზრდა იყო. უფროსი, ჯო, ოცდაცამეტი წლის ჩაფსკვნილი, ფიცხი და ვნებიანი კაცი, თავისებურად ლამაზიც კი ჩანდა. წითელი სახე და მოუსვენარი, წვრილი თვალები ჰქონდა. შავ ულვაშს სქელ თითზე იხვევდა და სიცილის დროს ავხორცად კრეჭდა კბილებს, ქცევებიც ბრიყვეული ჰქონდა. ახლა ის მარცხისაგან გაოგნებული, უმწეოდ მიშტერებოდა ცხენებს.

ზორბა საპალნის ცხენებმა ჩაიქროლეს. ერთმანეთის მიყოლებით გადაბმული ოთხი ცხენით იქით მიქროდა, სადაც გზატკეცილიდან ბილიკი უხვევდა, უზარმაზარი ფლოქვები ტალახში ეფლობოდათ, დაკუნთული გავა ჰქონებისას უთრთოდათ. მოსახვევში ბილიკზე გასულმა ცხენებმა რამდენიმე ნაბიჯი ჩორთით გაიარეს. მათ ყველა მოძრაობაში მჟღავნდებოდა მათში მთვლემარე ძალა და უგუნურება, რომელსაც ეს ძლიერი პირუტყვები დაემორჩილებინა. წინ მი-

მავალმა მეჭინბემ მოიხედა და გამწევ თოკს მოქაჩა. ცხენების ბილიკს გაპყვნენ და თვალს მიეფარნენ. ბოლო მათგანის მაგრად გამონასკული გაფშეკილი კუდი ლონიერ ფეხებს შორის გამოშვერილიყო. ცხენი მესრის მიღმა ხანტად მიიწეოდა.

ჯო გაყინული, სასოწარკვეთილი თვალებით იყურებოდა ცხენებთან ის სისხლბორცეულად იყო დაკავშირებული. გრძნობდა, აღარაფერი უნდოდა. საბედნიეროდ, თავის ტოლ ქალზე იყო დანიშნული და ამიტომ სასიმამრო, მეზობელი მამულის მოურავი, სამუშაოს უშოვიდა. დაქორწინდება და მუდმივ ჰაპანწყვეტაში ჩაებმება. მისი ცხოვრება დამთავრდა, ახლა ის მორჩილ პირუტყვად გადაიქცევა.

ჯო მოუსვენრად შემობრუნდა სკამზე. ჯერ კიდევ ჩაესმოდა მიმავალი ცხენების თქარათქური. შემდეგ თეფშიდან ლორის კანის ნარჩენი აკრიფა, ნელა დაუსტვინა და ბუხრის ცხაურის წინ მწოლიარე ტერიერს გადაუყარა. უყურებდა, როგორ გადაყლაპა ძალღმა ნარჩენები და ისევ თვალებში შესცივინა პატრონს. ჯო გაიღრიჭა და ხებრულად უთხრა:

— ვერ მოგართვი მეტი, შე უჯიშო, შენა.

ძალღმა ნალვლიანად გააქიცინა კუდი, შემდეგ წრე შემოუარა, უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა და ისევ მიეგდო.

მაგიდასთან კვლავ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ჯო მოუსვენრად წრიალებდა, არც წასვლა უნდოდა, სანამ საოჯახო კრება რაიმე გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. მეორე ძმა, ფრედ ჰენრი, აშოლტილი, ტანადი, ცქვიტი ყმაწვილი იყო. მიმავალ ცხენებს ის უფრო გულგრილად უყურებდა. თუ ჯოსავით ფრედ ჰენრისაც ცხოველს ვუწოდებდით, მაშინ ის ისეთი ცხოველი იყო, რომელსაც შეეძლო საკუთარი თავი თვითონ მოეთოკა, ჯო კი უთუოდ სხვას უნდა აელაგმა. ფრედ ჰენრი ცხენების დიდი მცოდნე იყო და მათ სრულ ბატონ-პატრონად მოჰქონდა თავი: ცხოვრებისა კი არაფერი გაეგებოდა. ფრედ ჰენრიმ წაბლისფერი უღვაში ტუჩიდან გადაიწია და გაღიზიანებულმა შეხედა დას, რომელსაც გულგრილი და შეუვალი სახე ჰქონდა.

— წახვალ ლუსისთან და დარჩები ცოტა ხნით, არა? — ჰკითხა მან. ქალმა არ უპასუხა.

— აბა სხვა რა გზა გაქვს, — არ ეშვებოდა ფრედ ჰენრი.

— მოსამსახურედ წადი, — მოკლედ ჩაურთო ჯომ.

ქალს წარბიც არ შეუხრია.

— მაგის ადგილზე მოწყალეების დად წავიდოდი, — თქვა მალკომმა, ყველაზე უმცროსმა. მალკოლმი, ოცდაორი წლის უდარდელი სახის ახალგაზრდა კაცი, ოჯახში ნაბოლარა იყო.

მაგრამ მეიბელს არცერთისათვის ყურადღება არ მიუქცევია. დიდი ხანია, ძმებისაგან კიცხვა და შეგონება ესმოდა და ახლაც არ ათხოვია ყური მათ რჩევას.

ბუხრის თავზე მარმარილოს საათმა ნელა ჩამორეკა და ნახევარი საათი გასვლა აუწყა. ძალღმა ბუხრის წინ დაგებული პატარა ნოხიდან წამოდგა და მაგიდის გარშემო მსხდომთ მიაჩერდა. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ გაეთავებინათ ეს უშედეგო ბჭობა.

— კარგი, — თქვა ჯომ მოულოდნელად, — მე წავალ.

მან სკამი გასწია, მუხლები გაჩაჩხა, ზუსტად ისე, ცხენოსნებმა რომ იციან, და ცეცხლთან მივიდა. მაგრამ ოთახიდან მაინც არ გასულა; აინტერესებდა,

სხვები რას იზამდნენ. მან ჩიბუხის გატენვა დაიწყო, თან ძაღლს უყურებდა და აღელვებული ეუბნებოდა:

— წამოხვალ ჩემთან ერთად? მოდიხარ? ესენი აქ მაინც წყალს ნაყავს.

ძაღლმა კუდი გააქნია. ჯომ ყბები წინ გამოიშვირა, ჩიბუხს ხელები მოაფარა და ძლიერად მოქსჩა. თამბაქოს ბოლში გაეხვია, თან კრუტა-ეფიფიფისფიფი თვალებს ძაღლს არ აშორებდა. ძაღლი ნალვლიანად და უნდობლად უმჩქურჩუნებდა პატრონს. ჯომ მუხლებში მოხრილი იდგა, ნამდვილი ცხენოსანივით.

— მიიღე ლუსისგან წერილი? — ჰკითხა ფრედ ჰენრიმ დას.

— გასულ კვირას, — უბალისოდ მიუგო ქალმა.

— რაო, რას გწერს?

მეიბელმა არ უპასუხა.

— ჩამოდი და ჩემთან დარჩიო? — არ ეშვებოდა ფრედ ჰენრი.

— მწერს, თუ გინდა, ჩამოდიო.

— მაშინ ჯობია წაბვიდე. უთხარი, ორშაბათს მოვდივარ-თქო.

მეიბელი კვლავ დუმდა.

— ხომ წახვალ? — ჰკითხა ცოტა არ იყოს გაგულისებულმა ფრედ ჰენრიმ.

მაგრამ ქალმა არ უპასუხა. ოთახში უიმედობამ და სიბრაზემ დაისადგურა.

მალკოლმმა სულელურად გაიცინა.

— მომავალ ოთხშაბათამდე უნდა გადაწყვიტო, — ხმამაღლა უთხრა ჯომ.

— თუ არადა, ქუჩაში აღმოჩნდები.

ახალგაზრდა ქალს სახე მოეღრუბლა, მაგრამ არ განძრეულა.

— აგერ ჯექ ფერგუსონი, — წამოიძახა მალკოლმმა, რომელიც უმიზნოდ იყურებოდა ფანჯარაში.

— აბა სად არის? — იკითხა ჯომ ხმამაღლა.

— აი ახლა ჩაიარა.

— შემოდის?

მალკოლმმა კისერი მოიღრიცა, ჰიშკარი რომ დაენახა.

— კი, — თქვა მან.

სიჩუმე ჩამოვარდა. მეიბელი მაგიდის თავში განკიცხულივით იჯდა. სამხარეულოდან სტვენა მოისმა. ძაღლმა შეჰყეფა, ჯომ კარი გამოაღო და დაიძახა:

— შემოდით.

ერთ წუთის შემდეგ ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. პალტოში იყო გახვეული, კისერი ალისფერი შალის შარფით შეეფუთნა, ტვიდის ქუდი თავზე ჰქონდა ჩამოფხატული. საშუალო ტანისა იყო, მოგრძო, ფერმკრთალი სახე და დაღლილი თვალები ჰქონდა.

— გამარჯობა, ჯექ! აა, ჯექ! — წამოიძახეს მალკოლმა და ჯომ. ფრედ ჰენრიმ მხოლოდ ეს თქვა: „ჯექ“.

— როგორ არის საქმე? — იკითხა მოსულმა. აშკარად ჩანდა, ფრედ ჰენრის მიმართავდა.

— ისევ ისე. ოთხშაბათისათვის სახლი უნდა გავათავისუფლოთ. გაციებული ხარ?

— კი, ძალიან.

— რატომ სახლში არ დარჩები?

— სახლში? ფეხზე რომ ვეღარ დავდგები, ალბათ მაშინ მომეცემა ამის საშუალება. — ბრინწიანი ხმით უპასუხა ახალგაზრდა კაცმა. მას ოდნავ შესამჩნევი შოტლანდიური აქცენტი ჰქონდა.

— სად გაგონილა, — არობრობდა ჯო, — ექიმი შემოვლაზე სურდოიანი დადიოდეს. რა სასიამოვნოა ეს ავადმყოფებისათვის!

ახალგაზრდა ექიმმა წყნარად შეხედა.

— რაიმე ხომ არ გაწუხებებს? — ჰკითხა დამცინავედ.

— რამდენადაც ვიცი, არაფერი. ფუი შენს თვალს, — დასმიფაროს. რატომ მეკითხები?

— მგონი, რაღაც ძალიან გადარდებს ავადმყოფების ბედი. ვიფიქრე, თვითონაც ავად ხომ არ არის-მეთქი.

— ეშმაკმა დალახვროს, არა. წყვეული ექიმების პაციენტი არ ვყოფილვარ და იმედი მაქვს, არც არასოდეს ვიქნები, — მიუგო ჯომ.

ამ დროს მეიბელი ადგა და თითქოს მაშინღა იგრძნო ყველამ მისი არსებობა. მან თეფშების ალაგება დაიწყო. ახალგაზრდა ექიმმა შეხედა მას, მაგრამ არაფერი უთქვამს. მეიბელს არც კი მისაღმებია. ქალი ლანგრიტ ხელში ოთახიდან გავიდა: სახე კვლავ უშფოთველი და უცვლელი ჰქონდა.

— როდის მიდიხართ? — იკითხა ექიმმა.

— მე, თერთმეტ საათსა და ორმოც წუთზე რომ გადის, იმას მივყვები, — უპასუხა მალკოლმმა.

— შენ ორთვალათი მიდიხარ, ჯო?

— კი, ხომ გითხარი უკვე, ორთვალათი მივდივარ-მეთქი.

— მაშინ ჯობია ცხენი შევაბათ. ნახვამდის, ჯეკ, შეიძლება ისე წავიდე, ვეღარც გნახო, — თქვა მალკოლმმა და ექიმს ხელი ჩამოართვა.

ის გავიდა, უკან ჯო მიყვებოდა კუდამოძუებული ძალლივით.

— ბედი არ უნდა ყველაფერს! — წამოიძახა ფრედ ჰენრისთან მარტო დარჩენილმა ექიმმა. — ოთხშაბათამდე უნდა წახვიდეთ, არა?

— ასეთია ბრძანება, — უპასუხა ფრედ ჰენრიმ.

— სად მიდიხართ, ნორთჰემპტონში?

— კი.

— ეშმაკმა დალახვროს! — წყენით წამოიძახა ფერგუსონმა. ორივენი გაჩუმდნენ.

— ყველაფერი მოგვარებული გაქვს, არა? — ჰკითხა ფერგუსონმა.

— თითქმის.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძალიან მომენატრები, ფრედ, ბიჭო, — თქვა ახალგაზრდა ექიმმა.

— მეც. — მიუგო ფრედ ჰენრიმ.

— მერედა, როგორ მომენატრები, — ჩაფიქრდა ექიმი.

ფრედ ჰენრი მიბრუნდა. სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ. მეიბელი მაგიდის ასალაგებლად შემობრუნდა.

— თქვენ რას აპირებთ, მისს პერვინ? — ჰკითხა ფერგუსონმა. — დასთან მიდიხართ, არა?

მეიბელმა ექიმს დინჯი და შიშისმომგვრელი თვალებით შეხედა, რაც ახალგაზრდა კაცს ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა და სითამამეს უკარგავდა.

— არა, — უპასუხა ქალმა.

— თუ ღმერთი გწამს, მიტხარი, რას აპირებ! თქვი! — ხმას აუწია ფრედ ჰენრიმ.

მაგრამ მეიბელმა თავი მიაბრუნა და თავისი საქმე განაგრძო. თეთრი სუფ-

რა დაკეცა და მაგიდას შენილის სუფრა გადააფარა.

— უცხვირპირო ძუკნა! — წაიბურტყუნა ძმამ.

მაგრამ ქალმა თავისი საქმე სრულიად გულგრილად დაასრულა. ახალგაზრდა ექიმი მთელი ამ ხნის განმავლობაში ინტერესით ადევნებდა თვალს. შემდეგ მეიბელი გავიდა.

ფრედ ჰენრიმ ტუჩები მოკუმბა და თვალი გააყოლა, მისი ცისფერი თვალები საშინელ სიძულვილს გამოხატავდნენ, სახეზე სიბრაზე ეწერა.

— რომ მოკლა, სიტყვას ვერ დააცდენინებ, — თქვა ხმადაბლა. ექიმმა ოდნავ გაიღიმა.

— მაშ რას აპირებს? — ჰკითხა მან.

— მომკალი. თუ ვიცოდე, — მიუგო ფრედ ჰენრიმ.

სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ექიმი შეინძრა.

— ამაღამ გნახავ, არა? — ჰკითხა ამხანაგს.

— ჰო. სად შეგხვდეთ? ჯესდეილთან მიდიხარ?

— არ ვიცი. ძალიან გაცივებული ვარ. მაგრამ „მთვარესა და ვარსკვლავებში“ მაინც შემოვივლი.

— მაშ, ღიზისა და შეის დღევანდელი ღამეც გაუცდებათ?

— ასე გამოდის, თუ უკეთ არ ვიქნები.

— ჩემთვის სულერთია.

ახალგაზრდა კაცები ერთად გავიდნენ დერეფანში და უკანა კარისაკენ გაემართნენ. სახლი დიდი იყო, მაგრამ ახლა მოსამსახურეები აღარ ჰყავდათ და უკაცრიელი ჩანდა. სახლის უკან აგურით მოკირწყლული პატარა ეზო იყო, მის მიღმა კი დიდი მოედანი, რომელზეც წვრილი წითელი ხრეში მოეყარათ. მოედნის ორივე მხარეს თავლები იდგა. თავისუფალი მხრიდან ჩანდა ნესტიანი. დამრეცი მინდვრები, რომლებზეც ზამთრის სიბნელე ჩამოწოლილიყო.

თავლები დაცარიელებული იყო. ოჯახის მამა, ჯოზეფ პერვინი, გაუნათლებელი კაცი, ცხენების მსხვილი ვაჭარი გახდა. მაშინ თავლები ცხენებით ჰქონდათ სავსე. იყო ერთი ფუსფუსი, ცხენებისა და მეჭინბეების გაუთავებელი წასვლა-მოსვლა. სამზარეულოშიც მრავლად ირეოდნენ მოსამსახურეები. მაგრამ შემდეგ საქმე ცუდად წაუვიდათ. მოხუცი მეორედ დაქორწინდა, რათა დაკარგული კეთილდღეობა აღედგინა. ახლა ის მკვდარი იყო და ყველაფერი ეშმაკის ლუკმად იქცა. აღარაფერი შერჩათ, გარდა ვალებისა და მუქარისა.

თვეების მანძილზე სახლში უმოსამსახუროდ დარჩენილი მეიბელი გაჭირვებით უძღვებოდა თავისი უნდათო ძმების მეურნეობას. უკვე ათი წელი: სახლს უვლიდა. მაგრამ ადრე დიდი სიმდიდრის პატრონები იყვნენ. ადრე, უგვანო და საძაგელი გარემოს მიუხედავად, ქონება მეიბელს ამაყსა და თვითდარწმუნებულს ხდიდა. კაცები შეიძლება ავყიები იყვნენ, სამზარეულოში მომუშავე ქალებსაც სახელი ჰქონდათ შელახული, ალბათ მის ძმებსაც ჰყავდათ უკანონო შვილები, მაგრამ ვიდრე ფული ჰქონდათ, ქალს არაფრისა ეშინოდა, უკარება, ცივი და გულჩათხრობილი იყო.

სახლში ვაჭრებისა და ხეპრე მამაკაცების მეტი არავინ მოსდიოდათ. დის წასვლის შემდეგ მეიბელს თავისი სქესის წარმომადგენლებთან არავითარი ურთიერთობა აღარ ჰქონდა. მაგრამ ეს სულ არ ადარდებდა. რეგულარულად დადიოდა ეკლესიაში და ყველგან თან ახლდა მამას. ქალი დედამისის ხსოვნით ცხოვრობდა, რომელიც თოთხმეტი წლისას გარდაეცვალა და რომელიც ძალიან უყვარდა. მეიბელს მამაც უყვარდა, მაგრამ სხვაგვარად, მამა იმედოდ ჰყავდა. მის

გვერდით თავს უშიშრად გრძნობდა, სანამ მამამისი, ორმოცდაათობმეტი წლის კაცი, მეორედ არ დაქორწინდა. მამინ კი მეიბელი მის წინააღმდეგ ამხედრდა. მერე მოხუცი გარდაიცვალა და ოჯახს ვალები დაუტოვა.

მეიბელი იტანჯებოდა სილატაკეში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერაფერი არ ყვედა იმ გასაოცარ, პირქუშ არაადამიანურ ქედმაღლეობას, თუ ოჯახის ყველა წევრს ძვალ-რბილში რომ ჰქონდა გამჯდარი. ახლა მუშაობდა ყველაფერი გათავებული იყო. და მაინც გამოსავალს არ ეძებდა. გადაწყვეტილი ჰქონდა ისე ეცხოვრა, როგორც აქამდე ცხოვრობდა, ყოველთვის ფვითონ ყოფილიყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ამიტომ ყველაფერს ჯიუტად და დაჟინებით იტმენდა. რატომ იფიქროს? რატომ უპასუბოს ვინმეს? ისიც კმარა, რომ აღსასრული დადგა და გამოსავალი არ ჩანს. აწი საჭირო აღარ იქნება იაროს პატარა ქალაქის მთავარ ქუჩაზე, ყველას მოერიდოს. მაღაზიაში ყველაზე იაფფასიანი საჭმლის ყიდვითაც აღარ დაიმცირებს თავს. აღსასრული დადგა. აღარავისზე ფიქრობდა, საკუთარ თავზეც კი. გაკერპებული მეიბელი აღტყინებული ჩანდა იმის გამო, რომ თავის აღსასრულს — საკუთარ ამალღებას უახლოვდებოდა. გარდაცვლილ დედას ემსგავსებოდა, რომელიც შარავანდებით ჰყავდა მოსილი.

ნაშუადღევს მეიბელმა პატარა ჩანთა აიღო, რომელშიც მაკრატელი, ღრუბელი და პატარა ჯაგრისი ეწყო, და გარეთ გავიდა. ზამთრის მოქუფრული დღე იდგა. ირგვლივ სევდისმომგვრელი მუქ-მწვანე მინდვრები გადაჭიმულიყო. პაერი შორიანლო მდებარე სამსხმელო სამკროების კვამლს გაებინძურებინა. მეიბელი აჩქარებული ნაბიჯით მალულად მიუყვებოდა მოკირწყლულ გზას, რომელიც ქალაქის გავლით სასაფლაოსაკენ მიემართებოდა, არავის ყურადღებას არ აქცევდა.

იქ თავს უშიშრად გრძნობდა, თითქოს ვერავინ დაინახავდა, თუმცა სინამდვილეში ყველა, ვინც სასაფლაოს კედელთან ჩაივლიდა, მას მისჩერებოდა. მიუხედავად ამისა, დიდი ეკლესიის ჩრდილქვეშ, რომლის კონტურები ბუნდოვნად მოჩანდა, საფლავებს შორის მეიბელი თითქოს ამ სამყაროსაგან მოშორებული იყო, სასაფლაოს სქელი კედლებით დაცული თითქოს სხვა ქვეყანაში იმყოფებოდა.

მეიბელმა გულდასმით გაკრიჭა ბალახი საფლავზე და მოვარდისფრო-თეთრი ქროზანთემები თუნუქის ჯვარში ჩააწყო. ამის შემდეგ მეზობელი საფლავიდან ცარიელი ქილა აიღო, წყალი მოიტანა და ღრუბლით ფრთხილად, გულმოდგინედ გაწმინდა თავთან დადებული მარმარილოს ქვა და საფლავის ლოდი.

ამის გაკეთებამ დიდი კმაყოფილება მიანიჭა. თითქოს უშუალოდ დაუკავშირდა დედამისის სამყაროს. მაინცდამაინც დიდ მწუხარებას არ განიცდიდა, პირიქით, პარკში მიმავალს სრული ბედნიერების მსგავსი გრძნობა დაუფლებოდა. თითქოს ამ სამუშაოს შესრულებით დედასთან უხილავი, მკიდრო კავშირი დაამყარა, რადგანაც მისი ამქვეყნიური ცხოვრება გაცილებით ნაკლებად რეალური იყო, ვიდრე სიკვდილის სამყარო, დედისგან რომ ერგო მემკვიდრეობით.

ექიმის სახლი სწორედ ეკლესიის ახლოს იდგა. ფერგუსონი, რომელიც მხოლოდ დაჭირავებული ასისტენტი იყო,* მთელს იმ არემარეს ემსახურებოდა. მისაღებში თავის ავადმყოფებთან რომ მიიჩქაროდა, სასაფლაოზე მისმა მახვილმა თვალმა საფლავთან მოფუსფუსე მეიბელი შენიშნა. თავისი საქმით გატა-

* საექიმო პრაქტიკის უფლებას ყიდულობდნენ ან მემკვიდრეობით იღებდნენ. ის, ვისაც არ ჰქონდა ამის საშუალება, თანამემწედ უდგებოდა პრაქტიკოს ექიმს.

ცებული ქალი ისეთი განმარტოებული და შორეული ჩანდა, რომ ფერგუსონს მოეჩვენა, თითქოს სხვა სამყაროში შეიხედა. მასში რაღაც მისტურმა საწყისმა გაიღვიძა. ნაბიჯი შეანელა, თან ქალს მონუსხულივით მისჩერებოდა.

მეიბელმა იგრძნო მისი მზერა და ახედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მაშინვე თვალის თვალში გაუყარეს ერთმანეთს, ორივემ ოგრძელნიშნულად დაეცნაირად გამოაშკარავდნენ. ფერგუსონი ქუდის ოდნავ აწევით მიესალმა და გზას გაუყვა. მის ცნობიერებას მოჩვენებასავით შემორჩა სახე ქალისა, საფლავის ქვიდან თავი რომ აიღო და ფართო, ავისმომასწავებელი თვალებით მშვიდად შეხედა. მართლაც ავისმომასწავებელი იყო მისი სახე. მან თითქოს მონუსხა ფერგუსონი. ქალის თვალებიდან რაღაც სევდისმომგვრელი ძალა გამოსჭვიოდა, რომელმაც ისე მოიცვა მამაკაცის არსება, თითქოს რაიმე გამაბრუნებელი წამალი დაელიოს. ადრე ფიქრობდა, რომ უძლური და განწირული იყო. ახლა სიცოცხლე დაუბრუნდა, იგრძნო, საკუთარი გაღიზიანებული, მომაბეზრებელი არსებისაგან გათავისუფლდა.

ფერგუსონმა უმალ მოათავა თავისი საქმე: მისაღებში სწრაფად უვსებდა მომლოდინე ხალხს ბოთლებს იაფფასიანი წამლებით. შემდეგ ასევე სწრაფად გაემართა თავისი უბნის მეორე ნაწილში, რათა საღამოს ჩაიმდე მოენახულებინა რამდენიმე ავადმყოფი. თუკი ეს შესაძლებელი იყო, ფეხით სიარულს ამჯობინებდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა თავს კარგად ვერ გრძნობდა. ეგონა, მოძრაობა ძალ-ღონეს უბრუნებდა.

ბინდი ჩამოწვა. ზამთრის პირქუში, უსიცოცხლო საღამო იყო. ნესტიანი სუსხი ძვალ-რბილში ატანდა და კაცს ყველაფრის ხალისსა და უნარს უკარგავდა. მაგრამ რატომ იფიქროს, რატომ გაამახვილოს ყურადღება. ის სწრაფად ავიდა გორაზე და შავწილამოყრილ ბილიკს მუქ-მწვანე მინდვრებისაკენ გაუყვა, შორს ღველფივით ბუტბუტავდა ტაფობის მიღმა შეყუყუელი პატარა ქალაქი კოშკით, შპილითა და ისეთი დაბალი, ცუდად ნაგები სახლებით, კაცი ვერც იფიქრებდა, თუ იქ ხალხი ცხოვრობდა. უახლოეს კიდეზე ტაფობისაკენ დახრილი იდგა ოლდმედოუ, პერვინების სახლი. ფერგუსონი გარკვევით ხედავდა ფერდობზე შეფენილ თავლებსა და სხვა დამხმარე ნაგებობებს. ის ველარასოდეს წავა იქ! დროის გაყვანის კიდევე ერთი საშუალება, კიდევე ერთი წასასვლელი ადგილი დაეკარგა: პერვინები ერთადერთი ხალხი იყო, რომლებიც მას მოსწონდა ამ უცხო, საძაგელ პატარა ქალაქში, რომელშიც ის ჩაკარგულიყო. აღარაფერი დარჩა, გარდა მძიმე შრომისა, მაღაროელებისა და მელითონეების სახლებს შორის გაუთავებელი სირბილისა. შრომა ილაჩს უწყვეტდა, მაგრამ ამავე დროს ის მიილტვოდა მისკენ. მუშების სახლებში ყოფნა ახალისებდა, თითქოს მათი ცხოვრების ფართულ მხარეებს ეზიარებოდა. ის აღფრთოვანებული და კმაყოფილი იყო. შეეძლო ახლოს მისულიყო მათთან, ამ უხეში, სიტყვაძვირი, ემოციური ხალხის ცხოვრებაში შეჭრილიყო. ბუზღუნებდა, ამბობდა, რომ სძულდა ეს მივარდნილი ჭურღმული, მაგრამ სინამდვილეში ამ ტლანქ, გრძნობამოჭარბებულ ხალხთან ურთიერთობა გზნებას და ხალისს მატებდა.

ოლდმედოუს ქვემოთ, მწვანე, ნესტიან პატარა ტაფობში ღრმა ოთხკუთხა ტბორი იყო. მიდამოს რომ ათვალიერებდა, ექიმის მახვილმა თვალმა შენიშნა

ფიგურა, რომელმაც ავისმომასწავებლად გაიარა მინდვრის კიშკარში და ტბორისაკენ დაეშვა. ფერგუსონმა ისევ შეხედა. ეს მეიბელ პერვინი უნდა ყოფილიყო. ექიმი უცებ გამოფხიზლდა და ყურადღება დაძაბა.

რატომ მიდიოდა მეიბელი ქვევით? ფერგუსონი ფერდობზე ამავალ ბილიკზე შეჩერდა და მზერად იქცა. დარწმუნდა, რომ ბინდბუქტაფობში მართლაც მოძრაობდა პატარა შავი ფიგურა. ისეთი სიბნელე იყო, რომ ფერგუსონი ნათელმხილველივით გონების თვალით უფრო ჰკრეტდა ქალს, ვიდრე ჩვეულებრივით. მიუხედავად ამისა, ის საკმაოდ გარკვევით ხედავდა მეიბელს, რომელსაც ყურადღებით ადევნებდა თვალს. გრძნობდა, რომ თუ თვალს მოამორებდა, ჩამოწოლილ ლუსკუმში ქალი საერთოდ დაეკარგებოდა მხედველობიდან.

ფერგუსონი ხედავდა, როგორ დაეშვა ქალი მინდვრის გავლით ტბორისაკენ, თითქოს საკუთარი სურვილით კი არა, არამედ ვილაციის ბრძანებით მიდიოდა. ქალი ერთი წუთით ტბორის ნაპირზე შეჩერდა. თავი არ აუწევია.

შემდეგ ნელა შევიდა წყალში.

ფერგუსონი გაუნძრევლად იდგა, პატარა შავი ფიგურა კი ნელა და ფრთხილად მიიწევდა ტბორის შუაგულისაკენ, ნელ-ნელა, თანდათანობით სულ უფრო ღრმად შედიოდა დამდგარ წყალში, წყალი უკვე მკერდამდე სწვდებოდა. ქალი კი მაინც წინ მიიწევდა. შემდეგ პირქუში სალამოს ბინდში ფერგუსონმა ის უკვე ვეღარ დაინახა.

— ერიპა! — წამოიძაბა მან, — წარმოგიდგენია?

და ის სწრაფად დაეშვა ქვევით. ნესტიან, წყლით გაყვანილ მინდვრებზე გარბოდა, ლობეებში გზას იკაფავდა ქვემოთკენ, სადაც ზამთრის უსულგულო ბინდი ჩამოწოლილიყო. ტბორამდე მისვლას რამდენიმე წუთს მოუნდა. ნაპირზე შეჩერდა, მძიმედ სუნთქავდა, ვერაფერს ხედავდა. მისმა მზერამ თითქოს წყლის სიღრმეში შეაღწია. დიახ, ეს ქალის შავი ტანსაცმლის ჩრდილი უნდა ყოფილიყო, წყლის ზედაპირის ქვემოთ.

ფერგუსონი გაუბედავად შევიდა წყალში. ტბორის ფსკერი სქელი, რბილი შლამით იყო დაფარული, ის ჩაეფლო შიგ და ცივი წყალი ფეხებზე შემოეჭდო. მოძრაობისას ცივი, დამბალი შლამის სუნს გრძნობდა, შლამისგან წყალი ამღვრეული იყო. ეს სუნი აღიზიანებდა! მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა ზიზღის გრძნობას და სულ უფრო ღრმად შედიოდა ტბორში. ცივი წყალი თეძოებს მისწვდა, წელსა და მუცელს ასცდა. სხეულის ქვედა ნაწილი მთლიანად ცივ წყალში ჰქონდა. ტბორის ფსკერი კი ისეთი შლამიანი და რბილი იყო, რომ ეშინოდა, წყალში არ ჩაძირულიყო. ცურვა არ იცოდა და ფრთხილობდა.

ჩაცუცქდა, წყალში ხელები გაშალა და ქალის საბოვნელად გარშემო მოაფათურა. დამდგარი ცივი წყალი მკერდს ზევით ირხეოდა. ფერგუსონი უფრო ღრმად შევიდა წყალში. გაშლილი ხელები კვლავ გარშემო მოაფათურა. და აი ქალის ტანსაცმელს შეეხო, მაგრამ ხელიდან დაუსხლტა. მან თავგანწირვით სცადა ხელი ეტაცა მისთვის.

ამ დროს წონასწორობა დაკარგა და წყალში ჩავარდა. მყრალ, ტალახიან წყალში სული შეუგუბდა, რამდენიმე წუთის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, აუკუნედ რომ მოეჩვენა, როგორც იქნა, ფეხზე დადგა, კვლავ ჰაერზე ამოვიდა და მიმოიხედა. ძლივს ჩაისუნთქა ჰაერი და მიხვდა, რომ ამ ქვეყანას დაუბრუნ-

და. შემდეგ წყალს გახედა. ქალი მის ახლოს ამოტივტივებულყო. ტანსაცმელში ხელი სტაცა, ახლოს მიითრია და ნაპირზე გასასვლელად მიბრუნდა.

ძალიან ნელა, ფრთხილად მოძრაობდა, გულისყური იქითკენ ჰქონდა მიბრუნებული, რომ ნელა, მაგრამ მშვიდობიანად გასულიყო ნაპირზე. წყლის ღრუბრითან კლებულობდა, ახლა წყალი ფეხებამდეა სწვდებოდა; ღმერთს ბადლობას სწირავდა. შვებას გრძნობდა, ტბორის მარწუხებს თავი რომ დააღწია, ქალი ხელში აიყვანა და ბარბაცით ნაპირზე გამოვიდა, სველი, პირქუში, შემზარავი შლამიდან გამჟღავნა.

მან ქალი ნაპირზე დააწვინა. მეიბელი უგონოდ იყო, წყალი წურწურიან ჩამოსდიოდა. ფერგუსონმა პირიდან ნაყლაპი წყალი ამოასხმევინა. და მის მობრუნებას შეუდგა. ბევრი ცდა არ დასჭირვებია, მალე იგრძნო, რომ ქალმა სუნთქვა დაიწყო; ის თავისუფლად სუნთქავდა. ფერგუსონმა ცოტა ხანს კიდევ უტრიალა ქალს, გრძნობდა, როგორ გაცოცხლდა ქალი მის ხელებში; ქალი გრძნობაზე მოდიოდა. ფერგუსონმა სახე გაუმშრალა, თავის პალტოში გაახვია, შემდეგ ხელში აიყვანა და ბარბაცით გაუყვა ბილიკს მინდვრებისაკენ.

გზა წარმოუდგენლად გრძელი ეჩვენა, ტვირთი კი ისე დაუმძიმდა ხელში, ეგონა, სახლამდე ვეღარ მიიღწევდა. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ჯერ თავლებამდე, მერე კი ეზომდეც მივიდა. კარი გააღო და სახლში შევიდა. სამზარეულოში ქალი ბუხრის წინ დაგებულ ნოხზე დააწვინა და დაიძახა. სახლში არავინ იყო, მაგრამ ბუხარში ცეცხლი ენთო.

შემდეგ მან კვლავ ქალის გვერდით ჩაიჩოქა. ქალი ზომიერად სუნთქავდა, თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი და თითქოს გონს იყო მოსული, მაგრამ გამომეტყველება რაღაც უცნაური ჰქონდა. გონებაზე კი იყო, მაგრამ გარშემო ვერაფერს აღიქვამდა.

ფერგუსონმა ზევით აირბინა, საწოლიდან საბნები აიღო და ცეცხლის წინ დადო გასათბობად. შემდეგ ქალს წყლით გაყლენთილი ტანსაცმელი გახადა, პირსახოცით დაზილა და საბნებში გაახვია. მერე სპირტისათვის სასადილო ოთახში გავიდა. იქ ცოტაოდენი ვისკი იყო. ერთი დიდი ყლუბი თვითონ მოსვა და ქალსაც ჩაასხა პირში. სპირტმა მაშინვე იმოქმედა. ქალმა სახეში შეხედა, თითქოს კარგა ხანია უყურებდა და მხოლოდ ახლა დაინახა.

— ექიმო ფერგუსონ? — თქვა მან.

— რა იყო? — ჰკითხა ფერგუსონმა.

ექიმი პალტოს იხდიდა, ზედა სართულზე მშრალი ტანსაცმლის მოძებნას აპირებდა. შლამიანი წყლის სუნს ვეღარ იტანდა და თავისი ჯანმრთელობაც ძალიან აშინებდა.

— რა გავაკეთე? — ჰკითხა ქალმა.

— ტბორში შეხვედით, — უბასუხა ექიმმა.

მას ავადმყოფივით ცახცახი დასწყებინა და ქალს ყურადღებას ვეღარ აქცევდა. მეიბელს თვალები კვლავ მისკენ ჰქონდა მიპყრობილი, ექიმს კი თითქოს გონება ებინდებოდა და უმწეოდ მისჩერებოდა ქალს. ცახცახმა ნელ-ნელა გაუარა, სიცოცხლის ძალა დაუბრუნდა, გამოუცნობი და იღუმალი, მაგრამ კვლავ ძლიერი.

— ნუთუ შევიშალე? — ჰკითხა ქალმა, თან თვალი არ მოუცილებია მისთვის.

— ალბათ, იმ მომენტში, — უპასუხა ფერგუსონმა. ახლა ის წყნარად იყო, რადგან გრძნობდა, ძალა დაუბრუნდა. უჩვეულო, მტანჯველმა დაძაბულობამ გაუარა.

— ახლაც არა ვარ ჰკუაზე? — ჰკითხა ქალმა.

— ახლა? — ეჭიმი ერთი წუთით ჩაფიქრდა. — როგორც ჩანს, გულწრფელად უპასუხა მან, — ახლა არაფერი გიჭირთ. — მან საბჭოების მინებულის და გაოგნებული იყო და ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ ახლა ქალის ძალა მისას აღემატებოდა. ქალი კი კვლავ თვალმოუცილებლად მიჩერებოდა.

— ვერ მეტყვიტ, სად არის მშრალი ტანსაცმელი? — ჰკითხა ფერგუსონმა.

— ტბორში ჩაყვინთეთ ჩემი გულისათვის? — ჰკითხა ქალმა.

— არა, — უპასუხა ფერგუსონმა, — შემოვედი. მაგრამ წყალში ჩავეარდი. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ფერგუსონი ყოყმანობდა. ძალიან უნდოდა ზევით ასულიყო და მშრალი ტანსაცმელი ჩაეცვა. მაგრამ რალაც სხვა სურვილიც ჰქონდა. ის თითქოს მიჯაჭვოდა ქალს, ძალაგამოცლილი უმწეოდ იდგა ქალის წინაშე, მაგრამ სხეულში რალაც სითბოს გრძნობდა. უკვე აღარ ცახცახებდა, თუმცა მთლად სველი ტანისამოსი ეცვა.

— რატომ შემოხვედით? — ჰკითხა ქალმა.

— იმიტომ, რომ არ მინდოდა ასეთი სისულელე ჩაგედინათ, — უპასუხა მან.

— ეს არ იყო სისულელე, — მიუგო ქალმა, ის იატაკზე იწვა, თავქვეშ ბალიშები ეწყო და კვლავ ფერგუსონს მისჩერებოდა, — სწორედ ასე უნდა მოექცეულიყავი. მე უკეთ ვიცი.

— წავალ და ამ სველ ტანსაცმელს გამოვიცვლი, — უთხრა ფერგუსონმა. მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა ქალს მოშორებოდა, სანამ ის თვითონ არ გაუშვებდა. თითქოს მისი სიცოცხლე ქალის ხელში იყო და თავის დაღწევა არ შეეძლო. ან იქნებ არც უნდოდა.

უცებ ქალი წამოიჭრა. და მაშინ იგრძნო თავისი ნამდვილი მდგომარეობა. მან ხელი მოჰკიდა საბნებს, კიდურები შეიგრძნო. დაფეთებულმა შეშლილივით მიმოიხედა, თითქოს რალაცას ეძებდა. ფერგუსონი შიშისაგან გაქვავებული იდგა. ქალმა იქვე მიყრილ-მოყრილი თავისი ტანისამოსი დაინახა.

— ვინ გამხადა ტანზე? — იკითხა და პირდაპირ სახეში მიაჩერდა ფერგუსონს.

— მე გაგხადეთ, — უპასუხა მან, — გონს რომ მომეყვანეთ.

ქალი რამდენიმე წამს მოკრძალებით და შიშით მისჩერებოდა.

— მაშ გიყვარვართ? — ჰკითხა.

ფერგუსონი მონუსხულივით მისჩერებოდა ქალს. გულში თითქოს სითბო ჩაედვარა.

ქალი მუხლებზე წამოიწია და მის წინ მდგომ ფერგუსონს ფეხებზე მკლავები შემოჰხვია, მკერდით მიეყრდნო, მის მუხლებს, საოცრად დარწმუნებული, გაშმაგებით ეხვეოდა, მის ფეხებს გულზე იხუტებდა, ფერგუსონს თავისი სახისა და ყელისაკენ ექაჩებოდა და ანთებული თვალეებით უყურებდა, რომლებიც მის გარდასახვას და პირველი გამარჯვების სიხარულს გამოხატავდნენ.

— გიყვარვართ. — ჩურჩულებდა გრძნობამორეული, სურვილით ანთებული, აღტაცებული და დარწმუნებული, — გიყვარვარ, ვიცი რომ გიყვარვარ, ვიცი.

ვნებიანად ჰკოცნიდა სველ ტანსაცმელზე, თავდავიწყებით უკოცნიდა მუხლებს, ფეხებს.

ფერგუსონი ქალის აწეწილ სველ თმას, შმაგ შიშველ მხრებს დასველებდა. გაოგნებული, თავგზააბნეული და შეშინებული იყო. ამ ქალის სიყვარული გულში არასოდეს გაუვლია, არც არასოდეს ჰქონია მისი შეყვარებულის ქვრივი. როცა გადაარჩინა და მოაბრუნა, ის ეჭიმი იყო, მეიბელი კი ბაკონტის მხარე სხვაგვარად ერთხელაც კი არ უფიქრია. უფრო მეტიც, ამ ინტიმური გრძნობის შემოჭრა სრულებითაც არ სიამოვნებდა. ეს მის პროფესიულ ღირსებას შეურაცხყოფდა. საზარელი იყო, ქალი მუხლებზე რომ ეხვეოდა, საზარელი. ეს საშინელ ზიზღს იწვევდა მასში და მაინც, ძალა არ ჰყოფნიდა, დასხლტომოდა ქალს.

ქალმა ისევ შეხედა, სახეზე კვლავ ძლიერი სიყვარული, მუდარა და გამარჯვების უპირატესობა აღბეჭდვოდა. ნაზი ცეცხლის წინაშე, რომელსაც თითქოს ქალის სახე ასხივებდა, ფერგუსონი უძლური იყო. და მაინც არასოდეს ნდომებია მისი შეყვარება, არასოდეს. რაღაც გაჯიუტებულიყო მის არსებაში.

— გიყვარვართ, — ჩურჩულით იმეორებდა მეიბელი, ღრმად დარწმუნებული და აღტაცებული, — გიყვარვართ.

ქალი თავისკენ ეწეოდა მას. ფერგუსონი შეშინებული იყო, ცოტა შეძრწუნებულიც კი, რადგან მისი შეყვარების მართლა არავითარი განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ ქალის ხელები მაინც თავისკენ ექაჩებოდნენ. კაცმა თავის შესამაგრებლად ხელი გაიწვდინა და ქალს შიშველ მხარზე შეეხო. ხელი, რომელიც ქალის ფაფუკ მხარზე ედო, თითქოს ცეცხლმა დასწვა. ის არ აპირებდა ქალის შეყვარებას. მთელი არსებით დათმობის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. ეს საშინელება იქნებოდა. და მაინც, ქალის მხრების შეხება დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, მშვენიერი იყო ის ნათელი, ამ ქალის სახე რომ ასხივებდა. იქნებ ქალი შეიშალა? ფერგუსონისათვის იმის გაფიქრებაც კი შემადრწუნებელი იყო, რომ დანებდებოდა ქალს, მაგრამ უნებლიეთ მაინც რაღაცისაკენ მიილტვოდა.

კაცი კარს მიშტერებოდა, რომ ქალისათვის არ შეეხედა. მაგრამ ხელი ისევ მის მხარზე ედო. ქალი უცებ გაირინდა. ფერგუსონმა დახედა. ქალს შიშისა და ეჭვისაგან თვალები გაფართოვებოდა, გასხივოსნებული სახე თანდათან ეღრუბლებოდა და ისევ საზარელი პირქუში გამომეტყველება უბრუნდებოდა. ფერგუსონი ვერ უძლებდა მისკენ მიბყრობილი თვალების ეჭვიან გამოხედვას და სიკვდილის აჩრდილს, ამ გამოხედვის მიღმა რომ ილანდებოდა.

ფერგუსონი სინანულით დანებდა და თავისი გული ქალს დაუმორჩილა, სახეზე უეცრად ალერსიანი ღიმილი გადაეფინა. ქალს თვალები, რომლებიც კაცის სახისათვის არ მოუცილებია, ნელ-ნელა ცრემლით აევსო. ფერგუსონი უყურებდა, როგორ ეტბორებოდა ქალს თვალები ამ საოცარი სითხით, ნელი შადრევნის გადმოღინებას რომ ჰგავდა. კაცს მკერდში გული აენტო და აუჩქროლდა.

ველარ გაუძლო მის ყურებას. მუხლებზე დაეცა, თავზე ხელები მოჰხვია და მისი სახე ყელზე მიიხუტა. ქალი გაინაბა. ფერგუსონის გული ქალის ნებასურვილს დაჰყოლოდა და მტანჯველი ცეცხლით ანთებოდა. გრძნობდა, როგორ უსველებდა ქალის ცხელი ცრემლები ყელს, მაგრამ განძრევა არ შეეძლო.

გრძნობდა, როგორ ულტობდა მდულარე ცრემლები კისერსა და ლავიწის ფოსოებს, მაგრამ არ ინძრეოდა, სიყვარულის მარადიული გრძნობა დაუფლებოდა. ახლა მხოლოდ ისღა უნდოდა, რომ მიეხუტებინა ქალის სახე და ასე

ჰყოლოდა გულში ჩაკრული. ველარაფერი გააშვებინებდა მის თავს მჭიდროდ შემოხვეული ხელებიდან. სურდა მუდამ ასე ყოფილიყო — როდესაც გული ტკივილს აყენებდა, ტკივილს, სიცოცხლეს რომ უდრიდა. ანგარიში უცემლად დაშტერებოდა ქალს რბილ წაბლისფერ თმაზე.

შემდეგ მოულოდნელად ტბორის წყლის საშინელი დაშფოთებული სუნი იყნოსა. და სწორედ ამ დროს ქალი მისგან გაიწია და შეხვდა. და რადიანი და უძირო თვალები ჰქონდა. კაცი შეაშინა ამ თვალებმა და ქალს კოცნა დაუწყოს ისე, რომ არც ესმოდა, რას აკეთებდა. უნდოდა, მეიბელის თვალებს არ ჰქონოდა ეს საშინელი, დარდიანი, უცნაური გამომეტყველება.

როდესაც ქალმა კვლავ შეხედა, სახეზე ოდნავ შესამჩნევი ალტაცება აღბეჭდვოდა, თვალებში სიხარულის ისევ ის საშინელი ბრწყინვა იღვიძებდა, რაც ასე ზარავდა ფერგუსონს, მაგრამ რისი დანახვაც მას ახლა უნდოდა, რადგან ქალის თვალებში ჩამდგარი ეჭვი უფრო მეტად აფრთხობდა.

— გიყვარვართ? — გაუბედავად ჰკითხა ქალმა.

— კი, — ეს სიტყვა მას მტკივნეული ძალდატანების ფასად დაუჭდა. იმიტომ კი არა, რომ ის არ შეიცავდა სიმართლეს, არამედ იმიტომ, რომ ეს სიმართლე ახალი იყო მისთვის. ამ სიტყვის წარმოთქმამ ახლახან დაკოდილ გულში თითქოს კვლავ გაუხსნა ჭრილობა. მაინცადამაინც არც ახლა უნდოდა, რომ ეს სიმართლე ყოფილიყო.

მეიბელმა ახედა, ფერგუსონი წინ გადმოიხარა და ნაზად აკოცა ქალს ტუჩებში; და ეს ამბორი სიყვარულის სამარადისო საწინდარი იყო. ამ კოცნის დროს ფერგუსონს გული ისევ შეეკუმშა. მას არასოდეს ნდომებია ამ ქალის შეყვარება, მაგრამ ახლა ყველაფერი გათავებული იყო. მან უკვე გადალახა უფსკრული, ქალისაგან რომ ჰყოფდა, და ყველაფერი, რაც უკან მოიტოვა, უვარგისი და გამოუსადეგარი გახდა.

ფერგუსონის კოცნის შემდეგ ქალს თვალები ისევ ცრემლებით აევსო. ის კაცისაგან მოშორებით გარინდებული იჯდა, სახე მიებრუნებინა, თავი დაეხარა და ხელები კალთაში ჩაეწყო. ცრემლები ნელა ჩამოსდიოდა. სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. ფერგუსონიც გაუნძრევლად და ჩუმად იჯდა ბუხრის წინ დაგებულ ნოხზე. სიყვარულით დაკოდილ გულში გამჭდარი უცნაური ტკივილი სურვილით აღანთებდა. მაშ უნდა უყვარდეს ეს ქალი! ეს ყოფილა სიყვარული! უნდა იტანჯოს, ის, ექიმი! — როგორ დასცინებენ, რომ იცოდნენ! იმის გაფიქრებაც კი, რომ ხალხი გაიგებდა, თავზარს სცემდა მას.

ამ უცნაურ, ტკივილის მომგვრელ ფიქრებში წასულმა ისევ შეხედა ქალს. ჩაფიქრებული ქალი თავჩაქინდრული იჯდა. ფერგუსონმა დაინახა, როგორ ჩამოუგორდა ცრემლი და გულზე ცეცხლი წაეკიდა. ახალა შეამჩნია, რომ ქალს მზარი და მკლავი მოშიშვლებული ჰქონდა: ქალის პატარა მკერდსაც ბუნდოვნად ხედავდა, რადგან ოთახში მთლად ჩამობნელებულიყო.

— რატომ ტირით? — ჰკითხა შეცვლილი ხმით.

ქალმა ახედა მას, ახალა იგრძნო თავისი მდგომარეობა და ცრემლიან თვალებში პირველად გამოუქრთა სირცხვილის გრძნობა.

— არ ვტირი, — მიუგო, თან შეშინებული მისჩერებოდა.

ფერგუსონმა ხელი გაიწვდინა და ნაზად დაადო მეიბელს შიშველ მკლავზე.

— მიყვარხართ! მიყვარხართ! — უთხრა ნაზად, დაბალი, მთრთოლვარე ხმით, რომელიც მის ხმას არ ჰგავდა.

მეიბელი მოიკუნტა და თავი ჩაქინდრა. მკლავზე ფერგუსონის ხელის ნაზმა, ჟრუანტელის მომგვრელმა შეხებამ მოთენთა. ქალმა ახედა.

— წავალ, — თქვა ქალმა, — წავალ და მშრალ ტანსაცმელს მოგიტანთ.

— რატომ? — ჰკითხა კაცმა, — ასე კარგად ვარ.

— მე კი მინდა წავიდე, — უპასუხა ქალმა, — თანაც მინდა, ტანსაცმელი გამოიცვალოთ.

ფერგუსონმა მკლავზე ხელი შეუშვა და ქალი საბანში გაეხვია, თან შეშინებული თვალს არ აშორებდა, მაგრამ მაინც არ ამდგარა.

— მაკოცეთ, — უთხრა მეოცნებე ხმით.

ფერგუსონმა ცოტა არ იყოს გაგულისებულმა აკოცა.

ერთი წამის შემდეგ ქალი უხერხულად წამოდგა, საბანი მოძრაობას უშლიდა. ფერგუსონი უყურებდა, რა თავგამოდებით ცდილობდა მეიბელი ისე გახვეულიყო საბანში, რომ სიარული შეძლებოდა. ისე თვალმოუშორებლად მიშტერებოდა მას, როგორც თვითონ ქალმა იცოდა ყურება. მეიბელი წავიდა, უკან საბანი მისთრევდა. და როცა კაცმა თვალი მოჰკრა მის ტერფებსა და თეთრ ფეხს, შეეცადა გაეხსენებინა, როგორი იყო ქალი, როცა საბანში გაახვია. მაგრამ მაშინ ეჭიმს არ უცდია ამის დამახსოვრება, რადგან მეიბელი მისთვის არაფერს წარმოადგენდა. და ახლა ამრწუნებდა იმის გახსენება, თუ როგორი იყო ქალი, როცა ის მისთვის არაფერს წარმოადგენდა.

ბნელ სახლში რაღაცის დაეარდნის ყრუ ხმამ შეაკრთო ფერგუსონი. შემდეგ მეიბელის ხმა გაიგონა: „აჰა ტანსაცმელი“. ის ადგა, კიბესთან მივიდა და ტანისამოსი აკრიფა, რომელიც მეიბელმა ჩამოუყარა. შემდეგ ცეცხლთან დაბრუნდა, რათა ტანი დაეზილა და ჩაეცვა. ჩაცმა რომ დაამთავრა, თავის გარეგნობაზე თვითონვე გაეცინა.

ცეცხლი ჩაიბჟუტა და ნახშირი დაუმატა. სახლში ახლა სრული სიბნელე იყო, მხოლოდ ბაძგების მიღმა მდგარი ქუჩის ლამპიონის მკრთალი სინათლე შემოდდიოდა. ფერგუსონმა ბუხრის თავზე ასანთი იპოვა და გაზის ნათურა აანთო. მერე ტანსაცმლის ჯიბეები ამოიბერტყა და სველი ტანისამოსი სამრეცხაოში შეყარა. შემდეგ მეიბელის სველი ტანსაცმელი სათუთად მოაგროვა და სამრეცხაოში წყლის გასაცხელებელი სპილენძის ბაგის თავზე ცალკე დააწყო.

საათი ექვსს უჩვენებდა. ფერგუსონს მაჯის საათი გაჩერებოდა. ავადმყოფების მისაღებში უნდა დაბრუნებულიყო. ცოტა ხანს კიდევ დაიცადა, მაგრამ მეიბელი ქვევით არ ჩამოდდიოდა. მაშინ კიბესთან მივიდა და დაუძახა:

— მე წასასვლელი ვარ.

თითქმის მაშინვე გაიგონა მეიბელის ნაბიჯების ხმა. ქალს თავისი საუკუთესო შავი მუსლინის კაბა ეცვა, თმაც კოხტად დაევარცხნა, მაგრამ ჭერ კიდევ სველი ჰქონდა. ფერგუსონს შეხედა, თავი ვერ შეიკავა და გაიღიმა.

— არ მომწონხართ ამ ტანსაცმელში, — უთხრა მან.

— კარგი სანახავე ვარ, არა? — მიუგო ფერგუსონმა. მათ ერთმანეთის სცხვენოდან.

— ჩაის დაგაღვებთ, — შესთავაზა მეიბელმა.

— არა, უნდა წავიდე.

— უნდა წახვიდეთ? — და ქალმა კვლავ ფართოდ გახელილი, უნდო, ეჭვით სავსე თვალებით შეხედა. და, ფერგუსონს გულში ტკივილმა ისევ აგრძნო-

ბინა, როგორ უყვარდა ეს ქალი. მასთან მივიდა და დაიხარა, რათა ნაზად, ვნებიანად ეკოცნა, რაც ასე უჩქროლებდა გულს.

— თმაზე ისეთი საშინელი სუნი ამდის, — სასოწარკვეთილი ჩურჩულებდა ქალი, — მეც ისეთი აუტანელი ვარ, ისეთი აუტანელი. რა არა, ძალიან აუტანელი ვარ, — და მწარედ, გულსაკლავად აქვითინდა. ^{მეც ისეთი საძაგელი ვარ.} ~~მეც ისეთი საძაგელი ვარ.~~

— ნუ სულელობთ, ნუ სულელობთ, — ეუბნებოდა ფერგუსონი, ცდილობდა დაემშვიდებინა, ჰკოცნიდა, ეხვეოდა, — მე თქვენ მინდიხართ, ცოლად მინდა შეგირთოთ, ჩვენ უნდა დავქორწინდეთ, მაღე, რაც შეიძლება მაღე, თუ შესაძლებელია, ხვალვე.

მაგრამ ქალი მხოლოდ მწარედ ქვითინებდა.

— ვიცი, რომ საშინელი ვარ, საშინელი. ვიცი, რომ თქვენთვის აუტანელი ვარ.

— არა. მე მინდიხართ, მინდიხართ, — მხოლოდ ეს უთხრა ფერგუსონმა იმ საშინელი კილოთი, რომელმაც მეიბელი უფრო დააფრთხო და შეაშინა, ვიდრე იმან, რომ ეთქვა, არ მინდიხართო.

□



მოთხრობა

თარგმანა ასლან კორძაიამ

ლოგინად ჩავარდა სოფლის მდიდარი გლეხი, მოხუცი იანოშ გალი. ღმერთმა დასაჯა, რომ სხვა მოკვდავთათვის ჭკუა ეს-

წავლებინა.

— ვინა ხართ თქვენ? არარაობანი! აი თუნდაც იანოშ გალი, ვისაც თვით მაზრის უფროსი ხელის ჩამორთმევით ესალმება, ხოლო გრაფის ასულები ძია გალს ეძახიან, რადგანაც უზომოდ მდიდარი ბრძანდება და თქვენგან ღიდად გამოირჩევა. მე ვერაფერი დამიდგება წინ. მე იანოშ გალსაც დავსჯი. მარტო თითი რომ დავაკარო, მწიფე თავთავს მოწყვეტილი მარცვალვით დაეცემა ძირს. არც მშიერ მგელს შევაჭმევინებ, არც ვეება მუხას გავაჭყლეტინებ, შენც ეყოფი, პატარა ბუზო! გაფრინდი და დაგესლე მისი მოწყალება!”

ასეც მოხდა, უკბინა ბატონ იანოშ გალს ხელზე ბუზმა და იმასაც ხელი გაუსივდა, გაუწითლდა, შემდეგ გაუშავდა კიდეც, თანაც სიმსივნე უფრო მაღლა და მაღლა იწევდა.

სასახლეში მცხოვრებმა ქალბატონმა და მოძღვარმა დაიყოლიეს ავადმყოფი, დაუყოვნებლივ გამოეძახა ექიმი.

— კარგი. — თქვა ბატონმა გალმა. — გაგზავნონ ეტლი ჯარა-ექიმის მოსაყვანად.

მაგრამ ქალბატონს ძალიან უნდოდა დეპეშით გამოეძახებინათ დედაქალაქის უნივერსიტეტის პროფესორი ბირლი. ეს პროფესორი, მართალია, ერთ მოსვლაზე სამას ფორინტს იღებდა, მაგრამ თავისი საქმე კი იცოდა.

— ეპ, სისულელეა ყველაფერი, — წაიბუზღუნა გლეხების მეფემ. — განა შეეძლო პაწაწკინტელა ბუზს, სამასი ფორინტის საღირალი უბედურება შეემთხვია ჩემთვის?

სოფლის კეთილისმყოფელმა ქალბატონმა ისიც კი უთხრა, შენ ოღონდ გამოიძახე და მე მივცემ ბუდაპეშტელ პროფესორს სამას ფორინტსო, მაგრამ ბატონმა გალმა შეაწყვეტინა:

— ეს კი არ მოხდება! მირჩევნია, იქით დავუმატო ორმოცდაათი ფორინტი. დეპეშა გაგზავნეს და ნაშუადღევს მატარებელს ჩამოჰყვა საყოველთაოდ ცნობილი ექიმი ყოზეფ ბირლი, ახალგაზრდული გარეგნობის, სათვალისანი ჩია კაცი, რომელსაც თავზე მაღალი ცილინდრი ეხურა. ეს კაცუნა ხუთ გროშადაც არ ღირდა. შენ კი კეთილი ინებე და ამისთანას სამასი ფორინტი ჩაუთვალე!

რკინიგზის სადგურზე მას ბატონი გალის ეტლი ელოდა, ხოლო ეზოში თვითონ დიასახლისი მიეგება:

— თქვენ ხართ პეშტელი ექიმი? კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მო-

ბრძანდით, მობრძანდით, ბატონო. ისეთი აურზაური ატეხა ჩემმა კაცმა, თითქოს ბუზს კი არა ცოფიან ძაღლს ეკბინოს მისთვის.

იანოშ გალს სულაც არ აუტეხავს აურზაური, როცა არაფერს ეკითხებოდნენ, ღუმდა, ხოლო თუ რამეს ჰკითხავდნენ, ორიოდ სიტყვას ამოლერლავდა პასუხად გულგრილად იწვა ტახტზე, ბალიშის მაგივრად კი უფრო კარგი უწევდა. კბილებში აკვამლებული ჩიბუხი გაეჩარა. *მამა-მამა*

— აბა, მოხუცო, რა დაგემართათ? — სხაპასხუპით შეეკითხა პატარა ბიჭლი. — გავიგე, ბუზმა უკბინაო.

— სწორია, ბუზმა. — წყნარად თქვა ავადმყოფმა.

— როგორი ბუზი იყო?

— მწვანე. — მოკლედ უპასუხა მან.

— ჰო, ჰო, გამოჰკითხეთ, გამოჰკითხეთ გეთაყვა, რახან მოსულხართ, — გააწყვეტინა ცოლმა გალს, — მე კი ისეც ბევრი საქმე მაქვს, პური არ დამეწვას.

— კარგი, კარგი, ბიცოლა, — დაბნეულად დაეთანხმა ექიმი.

ამ სიტყვების გაგონებაზე გალის მეუღლე მკვირცხლად შემოტრიალდა და ხელის ერთი მოსმით გადაიძრო წინწყლებიანი თავსაფარი, რომელიც სახეს უფარავდა.

— ვგონებ, თქვენზე უფროსი არ უნდა ვიყოთ, ბატონო, — მხარსხემოდან ისროლა წყენაგარეული დაცინვით, — ნამდვილად ცუდად ხედავთ იმ ფანჯრებიდან, თვალებს რომ გიფარავთ, — ქალი ბზრიალასავით დატრიალდა და გამომწვევად ააშარიშურა კაბა.

პროფესორი გაოგნებული უყურებდა ქალს. კარგი იყო, უღვთოდ კარგი და მართლაც ახალგაზრდა ექიმზე და, მით უმეტეს, თავის შექადარავებულ ქმარზე ბევრად უმცროსი. ექიმმა ის იყო სცადა რაღაც წაებურტყუნა თავის გასამართლებლად, რომ ქალმა კარი გაიჯახუნა.

— აბა, მაჩვენეთ ხელი.

გალმა უსიტყვოდ, უწადინოდ გაუწოდა მტკივანი ხელი.

— ძალიან გტკივათ?

— გვარიანად, — თქვა ბატონმა გალმა და კვამლის უზარმაზარი ბოლქვი გამოუშვა პირიდან. კვამლი რგოლებად მიიწევდა ჰერისკენ. ავადმყოფმა კმაყოფილი მზერა გააყოლა რგოლებს და მანამდე უცქერდა, სანამ არ გაქრნენ.

ექიმმა დახედა გასიებულ ხელს და შეშინებულმა წამოიყვირა:

— ცუდად არის საქმე, ძალზე ცუდად! ლეშის ბუზი ყოფილა!

— შეიძლება ასეც იყოს, — გულგრილად უპასუხა იანოშ გალმა, რომ რაღაც ეთქვა. — შეიძლება ასეც იყოს, მაშინვე შევამჩნიე, ჩვეულებრივი ბუზი არ უნდა ყოფილიყო.

— ვერ გამიგეთ, ძიაკაცო. მე ვთქვი, რომ ის ბუზი ო, სანამ თქვენ გიკბენდათ, ლეშზე ილხენდა.

— შეხედე იმ შეჩვენებულს! აი საზიზღრობა! — აღმოხდა იანოშ გალს ყოველგვარი შიშისა და სასოწარკვეთილების გარეშე, უფრო ჩვეულების გამო: სწორედ ამგვარად წამოიყვირებდა, რომ გაეგო, სადღაც მკრეხელური და უღირსი საქციელი ჩაიდინესო.

— კიდევ კარგი, დროზე დამიძახეთ. ჯერ კიდევ შეიძლება შეველა, ხვალ კი უკვე გვიან იქნებოდა. ხვალ თქვენ მოკვდებოდით.

— ნუთუ? — თქვა გლებთა მეფემ, თან ჩიბუხი გატენა.

— სისხლის მოწამვლა სწრაფად მიმდინარეობს. უნდა ვიჩქაროთ, რას იზამთ, მასპინძელო, გამაგრება გმართებთ: ხელის მოჭრაა საჭირო.

— ჩემი ხელის? — გაოცებით იკითხა მან და რაღაც წყნარმა დამკვირვებელმა ლიმილმა გადაუბრინა ბაგეზე. იყო ამ ლიმილში ბედს შეგუებული ყაცის ნიბლიც და დაუდევრობაც.

წარმოუშლნი
ნიბლიც და დაუდევრობაც

— თქვენი ხელისა, ცხადია. სხვა გამოსავალი არ არის.

ბატონ გალს კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ თავი გაიქნია და მშვიდად განაგრძო ჩიბუხის წევა.

— მისმინეთ, — არწმუნებდა ექიმი, — არც კი გეტკინებათ, დაგაძინებთ და როცა გაიღვიძებთ, ყველაფერი დამთავრებული იქნება, გადარჩენილი იქნებით. თუ არადა ხვალ ამ დროს მოკვდებით, რადგან სისხლის მოწამვლა თანდათან ვრცელდება. თვით მამაზეციერიც ვერ გიხსნით!

— თავი დამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ, — ისე წაიბუზლუნა ბატონმა გალმა, თითქოს რცხვენია ამგვარ უბრალო რამეზე ლაპარაკიო. აქამდე რომ გულალმა იწვა, უცებ კედლისკენ შებრუნდა და თვალები დახუჭა. ექიმი შეაშფოთა ავადმყოფის სიჯიუტემ. სამზადში გავიდა, სადაც ახალგაზრდა დიასახლისი ღუმელს დასტრიალებდა თავს. საცხობი განყოფილების სიღრმეში დიდი ვარდისფერი პურები ჩანდა, დაბლა კი წიოლად ციმციმებდა ნახშირი და ირგვლივ ნავლს იკრავდა.

— აბა, რა სჭირს მოხუცს? — თითქმის გულგრილად ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა, თან მორცხვად ჩამოიწია აკეცილი კაბის კალთა — ყოველი მამაკაცის თვალი როდი იმსახურებდა თეთრი, ჩამოქნილი მუხლ-წვივის ცქერით დამტკბარიყო.

— ცუდადაა მისი საქმე. იქნებ თქვენ დაიყოლიოთ ქმარი.

— დავიყოლიო?

— დიახ, რომ ხელის მოჭრა დამანებოს.

— ღმერთო ჩემო, ხელის?..

ახალგაზრდა ქალს მკვდრისფერი დაედო:

— აუცილებელია?

— დიახ, რაღაც არ უნდა დაგვიჩდეს, მაინც უნდა მოვაჭრათ! ყოველი წუთი ძვირფასია. სახეზეა სისხლის მოწამვლა (სწორედ ასე თქვა ექიმმა). თუ ხელი არ მოეკვეთა, მისი გადარჩენის შესაძლებლობა გამორიცხულია.

— მაშ, ჩემი კაცი მოკვდება?

— ხვალ გარდაუვალია მისი აღსასრული. ველარაფერი უშველის.

ახალგაზრდა ქალს სახე წამოენთო, თვალები ნაკვერცხლებივით აუელვარდა:

— წამოდით, წამოდით, — აჩქარებდა ბირლი, — უთხარით, დაიყოლიეთ, თქვენ დაგიჯერებთ.

დიასახლისმა ცალი ხელით დოინჯი შემოიდგა, მეორე კი პირთან მიიტანა და ცერის ფრჩხილი კბილებზე დაიკაკუნა (ამ ეესტს უნგრელი გლეხები ბრანწის დახვეწილ ფორმად მიიჩნევენ).

— სხვა არაფერი გინდათ? ვინა გგონივართ, მოწყალეო ბატონო? ან იქნებ ფიქრობთ, ხეიბარი ქმრის ღირსი ვარ? ხომ დავიწვი სირცხვილით! სწორედ ესლა მაკლია! — ქალი სწრაფად შეიჭრა ოთახში და სასოწარკვეთილი აყვირდა, — იანოშ, არ დაანებო თავი საჯიჯგნად, არ დაუჯერო ექიმს, იანოშ!

მოხუცმა სიყვარულით დაუქნია თავი და პატარა ბავშვივით დაუწყო და მშვიდება:

— ნუ გეშინია, კრიშკა! არაფერი გამოუვა! მეც მახია მხრებზე თავის აგრე ნაწილ-ნაწილ რად მოვეკვლევიინები.

ბირლის სასოწარეკვეთა, მაგრამ მაინც ცდას არ აკლებდა, ყოველნაირად ცდილობდა ცოლ-ქმრის დაყოლიებას.

— ნუ ჯიუტობ, კეთილო ქალო. გეფიცებით, ეს უბედური ხვალ მოკვდება, მკლავს თუ არ მოგკვეთ. თქვენც გამკვირვებია, ბატონო გალ. ასეთ ჭკვიან კაცს — გამიგონია, ერთ დროს მამასახლისიც ყოფილხართ — როგორ არ გესმით, რა შემადრწუნებელი შედეგია მოსალოდნელი. ცალი ხელი რა ბედენაა! თქვენ ხომ არაერთხელ გინახავთ ჯანსაღი და მხიარული ცალხელა ჯარისკაცები. ხომ მართალია?

— მართალია, — დაეთანხმა ბატონი გალი.

თანაც ბირლის უეცრად მოაგონდა ერთი ფანდი, რაზედაც ადვილად წამოეგებიან ხოლმე გლეხები;

— ხელს მოგჭრით, თუ არ მოგჭრით, სულერთია, სამასი ფორინტი უნდა გადაიხადოთ. ასე რომ, ჯიუტობა არ ღირს. მთელ ოპერაციას ხუთი წუთი დასჭირდება. როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებთ, ფული უკვე გადახდილია — თქვენს თანხმობასლა ველოდებით. გარდა ამისა, მეც სინდისი მშვიდად მექნება, რომ დიდებული კაცი გადავარჩინე და სამასი ფორინტი მუქთად არ ჩავიჯიბე.

იანოშ გალი თითქოს დაფიქრდა, მაგრამ მისი გონება მხოლოდ იმას უტრიალებდა, როგორ დაეშოშმინებინა სიტყვაუხვი ექიმი.

— თქვენც ადექით და ამ ჩემი ფულით რამე მალამო გამომიწერეთ.

საოცარია ის გულგრილობა, ბედისმორჩილება, რითაც უნგრელი გლეხი სიკვდილს ეგებება. კვდება მშვიდად, სინანულის გარეშე. იტყვის, აი, ჩემი ჯერიც დადგაო, და თავის უკანასკნელ სურვილს უკარნახებს სოფლის ნოტარიუსს. ანდა აქ რალა დამრჩენიაო, ჩაილაპარაკებს ღამის დარაჯი მარცი ჩეპისავით, სამსახურიდან რომ დაითხოვეს. ცოლს ჰკითხა თურმე, გვაქვს რამე ჩასახეთქიო? ერთი გოგორა პური და კასრის ფსკერზე დარჩენილი ცოტა კომბოსტოს მწნილი მოიძიეს, ჰოდა, მარცის ორ დღეს ეყო. საღამოს, როგორც კი პურის უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, წამოწვა ღუმელზე, ჩექმები თავქვეშ ამოიღო, დახუჭა თვალები და მოკვდა, რაკი გადაწყვიტა, რომ სააქოს უკვე აღარაფერი ესაქმებოდა.

ცელიანი დედაბერი გლეხისთვის საფრთხობელა კი არა, გულკეთილი არსებაა, რომელიც კაცმა რომ თქვას, მისი ოჯახის წევრია. მან წაიყვანა ბებია და ბაბუა მარჩილზე, მანვე მიაყუდებინა ნათლიას ჩიბუხი. იგი სამართლიანია, რადგან გვერდს არავის უვლის, არც მტერია ადამიანის, რადგან ვისაც მოცულავს, ყველა უბედურებისაგან ათავისუფლებს. და აი ეძახიან მას ნათლიდედა-სიკვდილს. დადის, დაეხეტება განგების ნებით ცელმომარჯვებული, მეგობრულად, რამდენადაც ხელეწიფება, კეთილმოსურნედ აფრთხილებს ღვთისმოსიშ სულებს, საით მიდის და რა განზრახვით.

რა თქმა უნდა, ზოგჯერ საყვედურსაც იმსახურებს, მაგრამ რა ქნას, ისე იძლევა ნიშანს, როგორც ძალუძს. მაგალითად, გუგულს ეკითხებიან და ისიც უპასუხებს, ვინ რამდენ ხანს იცოცხლებს. ან აი მაგიდაზე უცებ ჭიქა გასკდება — მოემზადეო, ნათლიდედა-სიკვდილი გვანიშნებს. აღსასრულის წინ ფან-

ჯარასთან კიოტა მოფრინდება — ნათლიდელა-სიკვდილი გვაფრთხილებს: მოვდივარ, ცალი ფეხი თქვენთან მიდგას, დროა, მღვდელს დაუძახოთ.

ერთი სიტყვით, გლეხებს ისე არ ეშინიათ სიკვდილისა, როგორც სარკის წინ მოტრიალე ბატონებს. ეს უკანასკნელნი სიკვდილს მაშინ ხვდებიან, ზრდილობიანად, როცა მათი ახლობლები მიჰყავს, ხოლო გლეხებთან — ჩხრჩოჭოჭას, მისი მოსვლა ხშირად იმას უხარია, ვისაც ამქვეყნად აბარგება უწყევს და, ხუფ არ უხარია, უკიდურეს შემთხვევაში, მშვიდად მაინც ხვდება აღსასრულს.

არა, ექიმს არ შეეძლო იანოშ გალის შეშინება, ამოდ ცდილობდა, მოხუცი მაინც ჭიუტად იმეორებდა:

— მოხდეს, რაც მოსახდენია, ძალას ნუ მატანთ.

ამასობაში სოფლის დიდკაცობაც მოვიდა: მოძღვარი, ნოტარიუსი და ქალბატონი ციხე-დარბაზიდან. თითოეული შეეცადა, ავადმყოფი ექიმის ნათქვამზე დაეყოლიებინა.

— რა მშვენიერია სიცოცხლე! — ნათელი ფერებით ხატავდა სააქაოს წმინდა მამა. — ყოველ დილას ცხრათვალა მზის ამოსვლის ცქერით ტკობა, ტყისა და ბალახის სურნელით გაყვანილი ჰაერით სუნთქვა, იმის შეგრძნება, რომ იმ დიდებული მჩქეფარე ცხოვრების მცირე ნაწილი ხარ, რასაც უფლის მარჯვენა განაგებს. ყოველი დღე ღვთის წყალობაა და არ შეიძლება დაუღვერობით თუნდაც ერთი დღე მოიკლოთ. თქვენი მოწყალება უფალმა დიდი ქონებით დააჯილდოვა. სიკეთის ქმნა კი ცალი ხელითაც შეიძლება.

ქალბატონმა მცირეწლოვან ბავშვებზე ჩამოუგდო სიტყვა (ბატონ გალს პირველი მეუღლისაგანაც დარჩა სამი) — მათი აღზრდა ქრისტიანის მოვალეობაა და ამ მოვალეობისათვის თავის არიდება დიდი ცოდვა არისო.

— დიახ, დიახ, — კვერი დაუკრა ნოტარიუსმა, — დიდი სიმდიდრე დაუგროვეთ შვილებს, მაგრამ რისთვის? იმისათვის, რომ ახლა იგი მეურვეთა საბჭოს ხელში გადავიდეს და კომიტატმა გაანიავოს?

ბატონი გალი შეირხა: უზარმაზარი მემკვიდრეობის დაკარგვა არც ისე ეჭაშნიკა, მაგრამ შემდეგ გულმშვიდად წარმოთქვა:

— ღმერთი არ მიატოვებს ბავშვებს, იგი კი კომიტატზე უფრო ძლიერია.

— ეგ რალაც არ შემიმჩნევია, — მოსწყდა სოფლის ნოტარიუსის ურწმუნო ბაგეებს.

(ღვთის მსახურმა თვალები დახუჭა, სიტყვაც არ უთქვამს თავისი უფლის მხარდასაჭერად და კომიტატის წინააღმდეგ).

არა, შეუძლებელი იყო ამ უგუნური სიჭიუტის გატეხვა, ამ საშინელი გულგრილობის დაძლევა. ექიმმა მრისხანე მზერა მიაპყრო გალის ცოლს, რომელიც ხშირად უყურადღებოდ ტოვებდა გამოსაცხობ პურს და ოთახში შემობოლოდა.

— ვთქვი და გავათავე, — გამუდმებით იმეორებდა იგი, — ჩემი კაცის დაჯიჯგვნის ნებას არ მოგცემთ.

— გაჩუმდით! — დაუყვირა აღშფოთებულმა ექიმმა, — თქვენ დანაშაულს სჩადიხართ!

ქალმა მწვანე თვალები დაკვესა:

— მე გავჩუმდე? — ცოტა არ იყოს დამცინავად თქვა. შემდეგ მეტყველად შეათამაშა მოხდენილი ტანი (ამგვარი კეკლუცობა „თეძოების თამაშად“ იწოდებოდა). — კიდევ რას ინებებთ? სხვას არას მიბრძანებთ? ესეც იცოდეთ, თავის სახლში მღილიც ბატონია.

ბატონი გალი ბრძნული გულგრილობით ჩაერია, რათა მოსალოდნელი შეხ-
ლა-შემოხლა აეცდინა:

— კარგი, კარგი, კრიშკა, ენად ნუ გაიკრიფე! სჯობია სარდალში ჩახვიდე
და ერთი ბოთლი ღვინო ამოუტანო სტუმრებს. ბატონი ეჭიმი აღბათ წყურვი-
ლმა დატანჯა, არ გეკადრება, ამდენხანს არაფრით გაუმასპინძლოდი. ბატონ
ექიმზე ნუ ბრაზობ, კრიშკა, მასაც ხომ თავისებურად სიყვარულს უნდა ჰქმეთვის.

ახალგაზრდა ქალი სიამოვნებით გაუშვეს ღვინის მოსატანად. ყოველ შემ-
თხვევაში, მის არყოფნაში კიდევ შეიძლებოდა ეცადათ მასპინძლის სიჭიუტის
გატეხვა, ლაპარაკს არ აცდიდნენ, წამდაუწუმ სიტყვას აწყვეტიანებდნენ ვრც
მანეთს, რაღა არ უთხრეს მოხუცს, არწმუნებდნენ: გინდა ფუტკარს უკბენია
და გინდა ეს ოპერაცია გაგიკეთებია, უფრო მტკივნეული არ იქნებაო. ამი-
ნებდნენ — ოჰ, რა საშინელია შავ მიწაში წოლაო. მასპინძელი დუმდა, უსმენ-
და, ჩიბუხს აბოლებდა, ცისფერ მოწყენილ თვალებს ხან ერთ საგანს მიაპყ-
რობდა, ხან მეორეს, ხან კედელზე ჩამოკიდებულ ნივთებს მოავლებდა მზერას,
ხანაც თაროებზე ჩამწკრივებულ ჯამებს, მერე იმპერატორ ფრანც იოსებისა და
მოხუცი კოშუტის პორტრეტებზეც შეაჩერებდა თვალს. უნგრელი გლეხის
სახლში ხომ ისინი გვერდიგვერდ ჰყიდია (თუმცა სიცოცხლეში შორს იყვნენ
ერთმანეთისაგან) და თითოეულის ჩარჩო ნაკურთხი ბზითაა დამშვენებული.

ღიასახლისი ბოთლით ხელში სწრაფად დაბრუნდა. ალყაშემორტყმულმა
ავადმყოფმა „არას“ თქმაც ვერ მოასწრო, მით უმეტეს აბლა რაღას უბასუხებ-
დათ, და პირდაპირ ცოლს მიმართა:

— რომელი კასრიდან გადმოიღე?

— ორსაპალნიანიდან.

— კეთილი, ჩემი ქელეხის დღეს, მაგის გვერდით რომ კასრი დგას, იმას
მოჰხადე თავი, ჩემო ცოლო, ამას წინათ, როცა გადავაგსე, შევამჩნიე, რომ
ღვინოს სიმყავე შეჰპარვოდა, ჩემს ქელეხზე ის უნდა დაილიოს, კრიშკა.

ამ უბრალო, უდრტვინელ ბედის მორჩილებაში მხოლოდ წინდახედულება
და მზრუნველობა როდი ჩანდა ჭეშმარიტად უნგრელი ოჯახის უფროსისა, რო-
მელიც წინასწარ იჭერს თადარიგს, ამით იგი უარსაც ეუბნებოდა იმათ, ვინც
მის დაყოლიებას ცდილობდა.

ბირლიმ ეს გაიგო და ხელთათმანების ჩაცმას შეუდგა.

— ყველაფერი ამაოა.

— ერთი აზრი მომივიდა, — წასჩურჩულა მას ქალბატონმა. — მოიცა-
დეთ!

იგი შეუმჩნევლად გავიდა კარში, რომ გალის ბავშვები ებოვა, რამდენიმე
წუთის შემდეგ ისინი ღრიალით შემოიჭრნენ სახლში, თან თითოეულს მუჭში
ვერცხლის ფული ჩაებლუჯა.

— არ მოკვდეთ, მამა, არ მოკვდეთ!

პატარა ბორიშკამ, ქერათმიანმა მშვენიერმა არსებამ, მუდარით დაიკრიფა
გულზე ხელები:

— მოაჭრევენეთ ხელი, მამიკო!

— მოაჭრევენეთ, მოაჭრევენეთ! — მოითხოვდნენ თუთის წვენით სახემო-
თხუპნული პატარები.

მოხუცმა გაიღიმა, თუმცა არ ეღიმებოდა, და ამ ღიმილში გამოჩნდა მისი
კეთილი ხასიათი.

— უყურეთ ამ ონავრებს, რა მოინდომეს, გგონიათ მარცხენა ხელით ვერ

გაგწკებლავთ? ისე გაგწკებლავთ, თქვენი მოწონებული! ჰოდა, აბა რა ხეირს ნახავთ, მე რომ ხელი მომაჭრან, — დაუმატა მან სევდიანად.

მაგრამ ბავშვებმა ზეირიანად ვერც გაიგონეს მამის სიტყვები, რადგან გალის ცოლმა ცოცხს წამოავლო ხელი და ამის დანახვაზე კისრისტებით გაცვივდნენ გარეთ.

წიგნობარი
გინგაჩიქოთქა

ამჯერად ქალბატონსაც გადაეწურა იმედი.

— თქვენ მართალი ხართ, ბირლი, ყველაფერი ამაოა. წავიდეთ.

— ეხლა კი მე დამებადა ერთი აზრი, — წასჩურჩულა ბირლიმ.

მან ნოტარიუსი გაიხმო გარეთ.

— არის ვინმე ჭორიკანა დედაბერი ამ სოფელში?

— ე! ჭორიკნების მეტი რა არის.

— მაგრამ მაინც ვინ არის ყველაზე დიდი ჭორიკანა?

— ქალების მთელი ჯილაგი მაგის ოსტატია, — უპასუხა ნოტარიუსმა, — მაგრამ ყველაზე ცნობილი მაინც ლაზარ მატიაშის ცოლი „ყვითელი ციყვია“.

— რატომ ეძახიან ყვითელ ციყვს?

— სახე ზუსტად ციყვისა აქვს, თანაც იხვის თათებივით ყვითელი, სული კი კიდევ უფრო ყვითელი — შურისაგან.

— შორს ცხოვრობს? გთხოვთ, მიმყვეთ მასთან, ვიდრე ეტლში ცხენებს შეაბამენ.

სოფლის ნოტარიუსს გაეცინა.

— სიამოვნებით. მეზობლად ცხოვრობს, აქედან მესამე სახლში. იქნებ ბატონ პროფესორს ცოლის შერთვა სურს? ყვითელი ციყვი ცნობილი მაჭანკალია.

— მაჭანკალი?

— ჰო, სოფლის მაშვალი.

— დიდებული ხელობაა! მეც სწორედ ეს მესაჭიროება. მაგრამ მანამდე გალის მეუღლეს უნდა ვთხოვო, ცხენები ეტლში შეაბან.

— ამას იგი დიდი სიამოვნებით გააკეთებს.

— ვატყობ, ასეა.

ეზოში გეჩასთან კოხტად ჩაცმული ყმაწვილი იდგა და ცხენებს არწყულებდა. ქუდს სირაქლემას ფრთა უმშვენებდა. ბირლიმ იცნო იგი. მეეტლე იყო, რომელმაც სადგურიდან მოიყვანა. საერთოდაც მეეტლის ცნობა ყოველთვის შეიძლება სირაქლემას ფრთით. სხვები ამ ფრთას არ იკეთებენ. მწყემსი ქუდზე ვაცისწვერას ღეროს იმაგრებს, მოჯამაგირე — ვარდს, მეეტლე — წეროს ფრთას.

— რა გქვიათ თქვენ? — ჰკითხა პროფესორმა ყმაწვილს.

მან ერთგვარი გაოცებით შეხედა ეჭიმს, შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერს დაინახა, ვისი მისამართითაც ეს „თქვენ“ უნდა ყოფილიყო ნათქვამი.

— რა გქვიათ, მეგობარო?

— მე? პალი ნადი.

— მეეტლე ხართ?

— ცხადია.

— აი რა, პალი ნად, უთხარით დიასახლისს, რომ წასვლა მინდა და ცხენები შეაბით. თქვენ კი, ბატონო ნოტარიუსო, მიმყევით, გეთაყვა, რამდენიმე წუთით ყვითელ ციყვთან.

ყვითელი ციყვი გალების შემდეგ მესამე სახლში ცხოვრობდა. ნოტარიუსმა მოსწია ჭიშკარზე მიმაგრებული თოკი, გოჭის კუდს რომ ჰგავდა და იმავე წუთში ყვითელი ციყვის პირისპირ აღმოჩნდნენ, რომელიც ეზოში განაფს ბევრავდა.

— ამ ბუდაპეშტელ ბატონს საქმე აქვს თქვენთან, დეიდა რებეკა!

გამხდარმა მალალმა დედაბერმა, რომელიც მართლა ციყვს ჰგავდა, თითები დაინერწყვა და ჩამოშლილი კულულები საფეთქელზე მიიწემა. სურდა ცოტა უფრო ლამაზი გამოჩენილიყო — ისიც ხომ ქალი იყო.

— თქვით, გისმენთ.

— მხოლოდ, პირისპირ, ადამიანის თვალისაგან მოფარებით.

— მაგრამ თავად მეც ხომ გამაჩნია ორი თვალი.

— ოჰო, დეიდა რებეკა, თქვენ ვგონებ, ორი კი არა, ასი თვალი გაქვთ,

— უთხრა ნოტარიუსმა.

ამგვარმა თავაზიანობამ, ეტყობა, დედაბერი მოხიბლა, რადგანაც ნაოჭებით დასერილ სახეზე ღიმილის მსგავსმა რაღაცამ გადაურბინა.

— რასაც ვხედავ, ვხედავ, — უპასუხა მან ერთგვარი სიამაყით, — მაგრამ ჩემს თვალთაგანაც ბევრ რამეს ფარავს დედოფალ მილენას მოსასხამის კალთა. ღმერთს ბალახებში, ხეებსა და ადამიანის გულებში ჩაუშარხავს უდიდესი საიდუმლოებანი. მე მათ ვკრებ და ვაგროვებ. აი მთელი ჩემი მეცნიერება.

— ჰოდა, მინდოდა ზოგი რამ საიდუმლო მეც შემეტყო.

— მომყევით.

ჯადოქარმა სახლში შეიყვანა, რომელიც ერთი ოთახისაგან შედგებოდა. კედლებთან ჩამწკრივებულ კალათებში ისხდნენ კრუხები და ბატები, რომლებიც სტუმრს გამაყრუებელი კრიახითა და ყიყინით შეხვდნენ. ღუმელზე შედგმულ ქოთნებში რაღაც დუღდა და უცნაურ სურნელს აფრქვევდა. ექიმის მგრძნობიარე ცხვირმა სალბის სუნის ამოიცნო. ჭერში ხმელი ბალახებისა და მცენარეების დიდი კონები ეკიდა ნაირნაირი წამლების მოსადუღებლად. ტიტებით მოხატული ზანდუკის თავზე, ნიშაში, მავთულზე ასხმული გამხმარი ხვლიკები და ბაყაყები ეკიდა.

დეიდა რებეკმა წინსაფრით გადაწმინდა სკამი და ექიმს დაჯდომა შესთავაზა.

— აბა მითხარით, რა გინდათ?

ექიმმა ჯიბიდან ვერცხლის ორი ფორინტი ამოიღო და დეიდა რებეკას გაუწოდა.

— მე მართალი სიტყვისთვის მოვედი.

— აი, თურმე რა ყოფილა! — დამცინავად წამოიძახა გაოცებულმა კუდიანმა, — მაშ, თქვენ არც სალბი გინდათ, არც გამხმარი ხვლიკი პერანგის გადანაკეცში ჩასაკერად. მართალი სიტყვა დაგჭირვებიათ. მაშასადამე, მართალი სიტყვა უკვე ფულზე იყიდება. კარგი, თქვენ მიიღებთ მართალ სიტყვას.

— მან საზიზღრად ჩაიხითხითა და მუჭში ვერცხლის ფორინტები ააჩხრიალა.

— ამ საქონლის მყიდველი აქამდე არ გამოჩენილა. დღემდე მხოლოდ სიყვარულს ჰყავდა მუშტარი ჩემს დუქანში, მაგრამ არაფერია, მე მართალ სიტყვასაც გავყიდი. რა გინდათ?

— ერთი თქვენი სოფლელი ქალი მომივიდა თვალში და მინდა, შემეყვაროს. დედაბერმა ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიძახა:

— აუჰ, ეს რა თავსამტრევი საქმე გამიჩინეთ: თქვენ შეგიყვარონ? თქვენ

ხომ ბოსტნის საფრთხობელას ჰგავხართ. ძვირფასო ვინდოდათ სიძართლე და მეც სიძართლე გითხარით!

ბირლის გაელისა.

— ჩინებულია. დეიდა რებეკა, მე კმაყოფილი ვარ. შეიძლება ეს მართალი იყოს, მაგრამ არ დავიშურებდი არც ფულს, არც ძვირფასეულობებს, არც უბედურებებს — მე ხომ მდიდარი ვარ



დეიდა რებეკა ჩაფიქრდა

— ბოლოს და ბოლოს ყველა ვარდის მოწყვეტა შეიძლება, — თქვა მან.

— მაინც ვინ არის ის ქალი?

— იანოშ გალის ცოლი.

ბებერმა კუდიანმა გადაიხარხარა:

— არ შეიძლება. ლამაზი ქალია. თვალადი, მაგრამ მაინც არ შეიძლება.

— განა თვითონ არა თქვით, ყველა ვარდის მოწყვეტა შეიძლებაო?

— ოღონდ იმ ვარდისა არა, რომელიც უკვე სხვის ლარნაკში მოხვდა.

სწორედ ამის გაგება სურდა ბირლის ამისთვის მოვიდა აქ.

— ვინ არის ეს სხვა? — ხარბად იკითხა მან.

— კობტაპრუწა პალი ნადი.

— ესე იგი, მათ ერთმანეთი უყვართ?

— ქალს ალბათ უყვარს, რადგან ერთხელ იყო ჩემთან სიყვარულის წამ-

ლისათვის

— რა მიეცით?

— შარშანდელი ხვართქლა, დაფქული, სასმელში ჩასაყრელად.

— იანოშ გალი თუ ხვდება რამეს?

დეიდა რებეკმა მხრები აიჩეჩა:

— იანოშ გალი დიახაც, ჭკვიანი კაცია, მაგრამ მამაკაცის სიბრძნე სად

გასწვდება ქალის ცბიერებას.

ყველაფერი რომ გაიგო, ბირლიმ საჩქაროდ დატოვა კუდიანის სახლი. დაბრუნების დროც იყო, გალის ეზოში მოუთმენლად ფრთხილად ეტლში შებმული წყვილი ქურანი, ეტლი სამზადის წინ იდგა, ხოლო ოინბაზურად მოციინარი პალი ნადი, თვითკმაყოფილებით რომ იგრებდა უღუაშს, ვიღაცასთან აუჩქარებლად საუბრობდა, სირაქლემას ფრთით დამშვენებულ ქუდს ხან კეფაზე გადაიწევდა, ხანაც თვალეებზე ჩამოიფხატავდა.

— ლავაშით არ გამიმასპინძლებით, ლამაზო დიასახლისო?

— დაიკარგე, ოინბაზო, ლავაში ჩილაგმა გამოგიცხოს. ხომ ვიცი, იქ ჩერდები ცხენების დასარწყულებლად, — გამომწვევად ისმოდა სამზადიდან ვიღაცის წკრიალა ხმა (ღმერთმანი, ეს გალის ცოლის ხმა იყო!).

— თუ იქ ვჩერდები, — უპასუხებდა ახალგაზრდა, — მხოლოდ ცხენების დასარწყულებლად.

— უყურე შენ, თვითონ არ სვამ ხოლმე?

— ისეთი მკავე ღვინო აქვს, ძმარს უფრო ჰგავს.

— სამაგიეროდ ამბობენ, კოცნა სცოდნია თაფლივით ტკბილი.

— არ მიგემნია.

— ოჰ, როგორ ცრუობ!

ეს პაექრობა დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ ექიმი და ნოტარიუსი შევიდნენ სამზადში, სადაც გაწითლებული დიასახლისი ბატის ქონს უსვამდა ლავაშებს

როცა მან შემოსულნი დაინახა, მწვანე, მომინანქრებული ჯამი დადგა და კოფტის შეხსნა დაიწყო. ერთი მეორის მიყოლებით სხლტებოდნენ დუგმები, ერთი მოსწყდა კიდევ კოფტას და ძირს დაეცა (პალიმ, რომელიც ეტლიდან ყველაფერს მშვენივრად ხედავდა, ეშმაკურად მიიტანა ხელი შუალთან). ექიმი გაოგნებული უყურებდა ამ საოცარ სურათს: რა მუხებზეა მაგრამ, რასაკვირველია, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა უსუსურებიდან სამი დავეცილი ასიანი ამოიღო, ეგ იყო და ეგ.

- ინებეთ, გარჯისათვის, ბატონო ექიმო!
- კარგით, — ცივად თქვა ექიმმა, — მაგრამ თქვენს სულს ცოდვა აწევს, ლამაზო, რადგან მე ეს ფული არ დამიმსახურებია.
- ნუ სწუხართ, — უპასუხა ლამაზმანმა, — ჩემი სული გაუძლებს.
- ღმერთმა ქნას! უბრძანეთ, ჩემი ნივთები ეტლში ჩააწყონ, მე კი შევად და მასპინძელს დავემშვიდობები.

იანოშ გალი ისევ იქ იწვა, სადაც დატოვეს. ჩიბუხი უკვე ჩაჰქრობოდა, ავადმყოფს თვალები დაეხუჭა, თითქოს დასაძინებლად ემზადებო.

- კარის ჭრიალზე ცალი თვალი გაახილა.
- გამოსათხოვებლად მოვედი, მასპინძელო.
- მიდიხართ? — უხალისოდ იკითხა მან,
- აქ აღარაფერი მესაქმება.
- მოგცათ დიასახლისმა ფული?
- ჰო, მომცა. ძალზე ლამაზი ქალი კია!

ამის გამგონე ავადმყოფმა მეორე თვალიც გაახილა, გამოსამშვიდობებლად სალი ხელი გაუწოდა და თითქოს სხვათაშორის იკითხა:

- მართლა?
- რა მომხიბლავი პატარა ტუჩები აქვს, სწორედ მწიფე მარწყვივით! — ალტაცებით წამოიძახა ექიმმა.
- ჰო, მართალი ხართ. — მასპინძლის ჭალარა უღვაშქვეშ კეთილმა დიმილმა გაიღვა.
- ეჰ, როგორ გაუმართლა იმ არამზადა პალის! რა გემრიელი ხილით უნდა დატკბეს!

მოხუცებული შეირხა.

- რომელი პალი? რას ამბობთ, ექიმო, რას ამბობთ? ექიმმა ტუჩებზე მიიღო ხელი, თითქოს შერცხვა, ეს რა წამოვროშეთ.
- სისულელეა! რა ჩემი საქმეა! მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჯაცს თვალები აქვს, თავი აბია მხრებზე, ხედავს და რალაც-რალაცებს ამჩნევს კიდევ. გამოგიტყდებით, მაშინვე გამოაცა იმან, რომ თქვენთვის ხელის მოკვეთა არ დამანება. თქვენ ეს არ გაგიკვირდათ? ახლა უკვე მესმის, ყველაფერი ნათელია.

იანოშ გალს დაავიწყდა, რომ ცალი ხელი გასიებული ჰქონდა, გაცეცხლებულმა მუშტები ჰაერში შემართა და ძლიერი ტკივილისაგან წამოიყვირა:

- ვაი, ხელი, ხელი! გაჩუმდით, ექიმო, გაჩუმდით!
- სიტყვასაც აღარ გეტყვით.

ავადმყოფს მწარე გმინვა აღმოხდა მკერდიდან, მარცხენა ხელით ბირლის ჩაებლუჭა.

- რომელი პალი? — ყრუდ ჩაიხლიჩინა მან, — ვინ პალი?
- ე, მართლა არაფერი იცით? პალი ნაღზე გეუბნებით, იმ ლამაზ ყმაწვილზე, თქვენთან რომ მსახურობს.

გლებების მეფეს სახე მიტკალივით გაუთეთრდა, ბაგეები აუთრთოლდა. ლამის გული გაუსკდა ამ ამბის გამგონეს. ხელის ტკივილს უკვე აღარ გრძობდა.

უცბად შუბლში შემოირტყა ხელი და წამოიყვირა:

— რა რეგვენი ვარ... ვის ვის და მე ხომ უნდა შემემჩნიათ...
გველი...

— ნუ ლანძღავთ თქვენს ცოლს, მასპინძელო, — შეაწყვეტინა ბირლიმ. — ახალგაზრდაა და სისხლი უდუღს. იქნებ ჯერაც არაფერი დაუშავებია, მაგრამ ხომ უნდა გათხოვდეს, როცა თქვენ აღარ იქნებით... თქვენ კი მალე აღარ იქნებით!

მოხუც გალს მწარე გმინვა აღმოხდა გულიდან.

— ან თქვენი მოწყალება რას წააგებს, თუ იგი გათხოვდება? არაფერს. ხომ მართალია? სამარეში ხომ ამაზე არაფერი გეცოდინებათ. ან რა გესაქმებათ იმასთან, რომ ქალმა ლამაზი და დარდიმანდი ჭაბუკი დაიგულა საქმროდ.

კბილების ისეთი ღრჭიალი გაისმა, თითქოს ორი ჭოპოსანი გაუსვეს ერთმანეთსო.

— ნუ გშურთ, ბატონო, გალ. ცოდოა, ამისთანა ქალი ტყუილუბრალოდ დაჭკნეს. პალი სულელი არ არის, ხელიდან გაუშვას ვაშლი, რომელიც მისკენ მიგორავს. და ქალიც სწორად იქცევა, რომ სიცოცხლე უნდა. ყველაფერში თქვენ ხართ დამნაშავე, ბატონო გალ...

ბატონმა გალმა ამოიკვნესა. შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა. სულში ჯოჯობითი უტრიალებდა. აი ახლა კი აღივსება მოთმინების ფიალა!

— ეჰ, ბატონო გალ, სულ არაფერს, სჯობია ცალი ხელით მაინც ეხვეოდეთ საროს ტანს.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. გალი გაშმაგებული ვეფხვივით წამოიჭრა ტახტიდან, ველური ღრიალით გაუწოდა ექიმს გასიებული ხელი და ბრაზისაგან სუნთქვაშეკრულმა წაიხლიჩინა:

— მომკვეთეთ, ბატონო ექიმო!



რობერტ ვალზერი, კეტირ ბიქსელი, ფრანს კოლერი

მთხრობები



პირველი ნაწილი

თარგმანი ნოდარ გუგუნიძე

რობერტ ვალზერი (1887-1956), კეტირ ბიქსელი (1935) და ფრანს კოლერი (1943) „მოკლე პროზის“ აღიარებულ ოსტატებად მიიჩნევენ შვეიცარიაში. მათი პერსონაჟები უმეტესად უცნაური, კარჩაკეტილი ადამიანები არიან. მათ სჭირდებათ ოცნება ახალი სამყაროს დასაანახად და სულის გასაახლებლად. ისინი მოქმედებენ, მაგრამ მათ მოქმედებას აკლია რეალური საფუძველი, ამდენად, ილუზორულია და წარმატებაც არ უწერია („გამომგონებელი“, მახსოვრობის მქონე კაცი“), მაგრამ ეს „შერევილებად“ შერაცხული ადამიანები ზოგჯერ თითქმის აღწევენ კიდევ მიზანს („ოსტერმუნდიგენის გარეუბანი“). ზოგიერთი პერსონაჟი, მართალია, შინაგანი პროტესტით გამოირჩევა, მაგრამ ურჩევნია მშვიდად იცხოვროს. არაფერში ჩაერიოს („ბასტა“).

ამ მოკლე ამბებში უპირველეს ყოვლისა ჩანს ავტორთა ნათელი, პოეტური ნიჭი, მხატვრული ასახვის დიდი ძალა და რაც მთავარია, სატირა, რომელიც ხმას იმაღლებს პირქუში, უღიმღამო, გაუხარელი ცხოვრების წინააღმდეგ. გადმოცემულია ადამიანის გრძნობები და წუხილი ბურჟუაზიულ სამყაროში.

კეტირ ბიქსელი

გამომგონებელი

გამომგონებლობა პროფესია არ არის. ამიტომაცაა იგი ასე იშვიათი, დღეს კი საერთოდ აღარ არსებობს. ამჟამად გამომგონებლები კი არა, ინჟინრები და ტექნიკოსები, არქიტექტორები და დურგლები, კალატოზებიც კი იგონებენ, უმეტესობა არაფერსაც არ იგონებს.

წინათ ჯერ კიდევ იყვნენ გამომგონებლები. ერთ მათგანს ედისონი ერქვა. მან ნათურა და გრამოფონი გამოიგონა, მაშინ ფონოგრაფი რომ ერქვა; გამოიგონა მიკროფონი და მსოფლიოში პირველი ელსადგურიც ააგო, შექმნა ფილმების გადასაღები და გასაშვები აპარატი.

იგი 1931 წელს გარდაიცვალა.

ის რომ არა, უნათუროდ დავრჩებოდით.

აი, ასე საჭირო ხალხია გამომგონებლები.

უკანასკნელი 1931 წელს გარდაიცვალა.

თუმცა 1890 წელს კიდევ ერთი დაიბადა და დღესაც ცოცხალია, მაგრამ მას არავინ იცნობს, რადგან იგი ისეთ დროში ცხოვრობს, როცა გამომგონებლები აღარ არიან.

1931 წლიდან იგი ცალად დარჩა.

თვითონ რომ შემორჩა მარტო, არ იცის, რადგან იგი აქ, ქალაქში არ ცხოვრობს და ხალხშიც არ გამოდის. გამომგონებლებს ხომ სიმშვიდე სჭირდებათ!

იგი ქალაქიდან კარგა მოშორებით ბინადრობდა, სახლიდან არასდროს გამოდიოდა და სტუმარიც იშვიათად ჰყავდა.

საათობით იჯდა, რაღაცას ანგარიშობდა და ხაზავდა. შუბლი დაეღარა, სახეზე ხელს ჩამოისვამდა და ფიქრს მიეცემოდა. მერე მთელ გაანგარიშებებს ხევდა და ისევ თავიდან იწყებდა. საღამოობით ცუდ ხასიათზე იდგა და ბუზღუნებდა, საქმე რომ არ გამოუვიდოდა.

თავისი ნახაზების გამგებად არავინ ეგულებოდა და ხალხთან საუბარიც უმიზნოდ მიაჩნდა. ორმოც წელზე მეტხანს უჯდა თავის სამუშაოს და როცა ვინმე ესტუმრებოდა, ნახაზებს მალავდა, შიშობდა, ვაითუ ვინმემ გადაიხაზოს, ვაითუ ვინმემ დამცინოსო.

ადრე იძინებდა, ადრე დგებოდა და მერე მთელი დღე მუშაობდა. ფოსტას არ ღებულობდა, არ კითხულობდა გაზეთებს და წარმოდგენა არ ჰქონდა რადიოთუ არსებობდა; და მრავალი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ საღამოს, არცთუ ისე ცუდ გუნებაზე იდგა, ვინაიდან რაღაცის აღმოჩენა შეძლო და ახლა ძილზეც აღარ ფიქრობდა. დღე და ღამე ნახაზებს ჩაჰკირკიტებდა და ამოწმებდა ისინი ჰეშმარიტებას შეესაბამებოდნენ. მერე დაგრაგნა და წლების შემდეგ პირველად გაეშურა ქალაქისაკენ.

ქალაქი სულ მთლად შეცვლილიყო.

სადაც ადრე ცხენები დადიოდნენ, ახლა ავტომობილები დაქროდნენ, უნივერსიტეტი ესკალატორი მუშაობდა, აღარსად იყო ორთქლის მატარებელი. ტრამვაი მიწისქვეშ დადიოდა და მეტრო ერქვა; პატარა ყუთებიდან, რომელთა ხელით ტარება შეიძლებოდა, მუსიკა ისმოდა.

გამომგონებლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ რახან ის გამომგონებელი იყო, ყველაფერს სწრაფად აუღო ალლო.

მან მაცივარი დაინახა და თქვა: „ოჰო“.

მან ტელეფონი დაინახა და თქვა: „ოჰო“.

და როცა მან წითელი და მწვანე დაინახა, მიხვდა, რომ წითელზე უნდა შეჩერებულიყო და მწვანეზე უნდა გადასულიყო.

ყველაფერს ალლო აუღო, მაგრამ ნანახით გაოგნებული იყო და კინაღამ საკუთარი გამოგონება გადაავიწყდა.

როცა თავისი აღმოჩენა გაახსენდა, ერთ უცნობ მამაკაცს მიაშურა, რომელიც წითელ შუქზე შეჩერებულიყო და უთხრა:

„უკაცრავად, ჩემო ბატონო, მე გამოვიგონე“.

უცნობმა თავაზიანად მიუგო: „ახლა რა ვნებავთ?“ გამომგონებელმა არ იცოდა, რა ნებავდა.

„სხვათა შორის, საჭირო აღმოჩენაა“, — თქვა გამომგონებელმა, მაგრამ აქედან მწვანე შუქი ჩაირთო და იძულებული იყვნენ ვზა გაეგრძელებინათ.

თუ კაცი დიდი ხანი ქალაქში არ ყოფილა, გზას ველარ გაიგნებს და თუ გამოიგონა რამე, აღარ იცის რა უყოს მას.

რა უნდა ეპასუხათ მათ, ვისაც გამომგონებელი ასე მიმართავდა: „მე გამოვიგონე!“

უმეტესობა არაფერსაც არ ამბობდა, ზოგი დასცინოდა, ზოგიც გზას აგრძელებდა. თითქოს არაფერი ვაფგონა.

ვინაიდან კაცი დიდი ხანია ხალხისგან განდგომილი იყო. აღარც კი იცოდა, როგორ დაეწყოს მათთან საუბარი. არ იცოდა, რომ ასე იწყებდნენ: „ხომ ვერ მეტყვით, გეთაყვა, რა დროა?“ ან „რა ცუდი ამინდია დღეს?“

იმაზე არც კი ფიქრობდა, რომ შეუძლებელია ასე უბრალოდ თქვას კაცმა: „იცით, მე გამოვიგონე“, და თუ ტრამვაიში ვინმე ეტყოდა: „მზიანი დღეა“, კაცი კი არ მიუგებდა: „დიახ, მშვენიერი დღეა“, არამედ პირდაპირ მიახლიდა: „იცით, მე გამოვიგონე“.

სხვა არაფერზე შეეძლო ფიქრი, რადგან მისი გამოგონება დიდი, მეტად მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული იყო. თავისი ნახაზების სისწორეში ისე იყო დარწმუნებული, რომ თვითონვე ღრმად სწამდა მათი. მან ისეთი აპარატი გამოიგონა, რომ დაინახავდი, რა ხდებოდა შორს. ერთხელ ტრამვაიში წამოხტა, ნახაზები ხალხის ფეხებს შუა პირდაპირ იატაკზე გაშალა და დაიძახა: „შეხედეთ, ისეთი აპარატი გამოვიგონე, რომელშიც ყველაფერს დაინახავთ, რაც შორს ხდება“.

ხალხი, ვითომ არაფერი მომხდარაო, ადიოდა და ჩამოდიოდა, გამომგონებელი კი ჯიუტად გაიძახოდა: „დახედეთ, მე ისეთი რაღაც აღმოვაჩინე, სადაც დაინახავთ, რა ხდება შორს“.

„ტელევიზორი აღმოუჩენია!“ — დაიძახა ვიღაცამ და ყველას გაეცინა, „რატომ იცინით?“ — იკითხა კაცმა და პასუხი რომ ვერ მიიღო, ტრამვაიდან ჩამოვიდა და ქუჩას გაჰყვა, წითელ შუქზე შეჩერდა, მერე გზა განაგრძო, რესტორანში შევიდა და ყავა შეუკვეთა; და როცა გვერდით მჭდომმა უთხრა, კარგი ამინდია დღესო, გამომგონებელმა მიუგო: „ძალიან გთხოვთ დამეხმაროთ, მე ტელევიზორი გამოვიგონე და არავის სჯერა, ყველა მასხრად მიგდებსო“.

უცნობს ხმა არ ამოუღია, დიდხანს უყურა გამომგონებელს. „ხალხი რატომ იცინის?“ — იკითხა კაცმა. „იმიტომ, რომ ტელევიზორი უკვე კარგა ხანია გვაქვს და მისი კიდევ ერთხელ გამოგონება აღარაა საჭირო. — უცნობმა კუთხისკენ მიანიშნა, სადაც ტელევიზორი იდგა და ჰკითხა — ჩაერთო?“

„არა, არც მინდა შეხედვა“. — გამომგონებელი ადგა, ნახაზები მიატოვა და წავიდა.

ქალაქში გავიდა, შუქნიშანს ყურადღებას აღარ აქცევდა. მძღოლები ილანძლებოდნენ; საჩვენებელ თითს საფეთქელზე იღებდნენ, — სულელია ვიღაცაო.

ამის მერე ქალაქში აღარ ჩამოსულა.

შინ დაბრუნდა და მხოლოდ თავისთვის იგონებდა რაღაც-რაღაცებს.

აიღო ერთი დასტა ქალაქი და დააწერა „ავტომობილი“, კვირები და თვეები ანგარიშობდა და ხაზავდა. ბოლოს მანქანა გამოიგონა კიდევ ერთხელ, მერე ესკალატორი, ტელეფონი, მაცივარი.

ყველაფერი, რაც ქალაქში ნახა, მან ხელახლა გამოიგონა.

ყოველი გამოგონების შემდეგ ნახაზებს ხევდა, ჰყრიდა და ამბობდა: „ეს უკვე გამოგონებულია“.

მიუხედავად ამისა, იგი მაინც ნამდვილ გამომგონებლად დარჩა, რადგან იმისი გამოგონება, რაც უკვე არსებობს, უფრო ძნელია და ამის გაკეთება მხოლოდ გამომგონებლებს შეუძლიათ.

მახსოვრობის მქონე კაცი



მე ვიცნობდი კაცს, რომელმაც მატარებლების მოძრაობის მთელი განრიგი ზეპირად იცოდა, რადგან ერთადერთი უწყვეტად სიხარულს ანიჭებდა, მატარებელი იყო და ისიც მთელ დროს სადგურზე მატარებდა, უცქერდა, როგორ მიმოდინდნენ მატარებლები. აოცებდა ვაგონები, ელმავლის ძალა, ბორბლების სიდიდე, გაკვირვებული მისჩერებოდა კიბეებზე შემხტარ გამცილებლებსა და სადგურის მოსამსახურეებს.

ცნობდა ყველა მატარებელს, იცოდა, საიდან მოდიოდა და საით მიდიოდა. როდის მივიდოდა მორიგ სადგურში, რომელი მატარებლები გამოდიოდნენ იქიდან და როდის მივიდოდნენ ისინი დანიშნულების ადგილზე.

იცოდა მატარებლების ნომრები, იცოდა, რომელ დღეებში დადიოდნენ ისინი, ჰქონდათ თუ არა ვაგონ-რესტორანი და როდის უნდა მიებათ სხვა ვაგონები. ისიც კი იცოდა, რომელ მატარებელს ება საფოსტო ვაგონი და რა ღირდა ბილეთი ფრაუნფელდამდე, ოლტენამდე, ნიიდერბამდე.

კაცი ყველაფერს მოწყვეტილი იყო, არ დადიოდა კინოში, სასეირნოდ, არ ჰქონდა მოტოციკლი, რადიო, ტელევიზორი, არ კითხულობდა გაზეთებს, წიგნებს. წერილები რომ მიეღო, ალბათ იმასაც არ წაიკითხავდა. საამისოდ დრო არ რჩებოდა, რადგან მთელ დღეებს სადგურზე მატარებდა და მხოლოდ მაშინ, მაისსა და ოქტომბერში, როცა განრიგი იცვლებოდა, რამდენიმე კვირით გაჭრებოდა, იჭდა სახლში მაგიდასთან, კითხულობდა, ცვლილებებს ინიშნავდა, თავიდან ბოლომდე იზეპირებდა და ძლიერ ხარობდა.

ხანდახან, როცა რომელიმე მგზავრი მატარებლის გასვლის დროს ჰკითხავდა, სახე გაებადრებოდა, სურდა სცოდნოდა, საით მიემგზავრებოდა იგი; და საერთოდ, ვინც კი მას რამეს შეეკითხებოდა, ყველა აგვიანებდა თავის მატარებელზე. შემკითხველს თავს არ დაანებებდა და კმაყოფილებას ვერ ჰპოვებდა, ვიდრე არ დაუსახელებდა მატარებლის ნომერს, გასვლის დროს, ვაგონების რაოდენობას, მგზავრობის ხანგრძლივობას და მიებმებოდა თუ არა სხვა ვაგონები: უხსნიდა, რომელი მატარებლით შეეძლო პარიზში ჩასვლა, სად უნდა გადამჯდარაყო, როდის ჩავიდოდა მგზავრი დანიშნულების ადგილას, იმას კი არ ფიქრობდა, მისი ეს ახსნა-განმარტება რომ არავის აინტერესებდა.

თუ ვინმე შესაკითხავად გააჩერებდა, მერე კი მიატოვებდა, ვიდრე მთელი თავისი ცოდნის გადმოცემას მოასწრებდა, გაბრაზდებოდა, ილანძლებოდა და უკან მიჰყვიროდა: „თქვენ მატარებლების აზრზე არა ხართ!“

თავად კი თავის დღეში არ მჯდარა მატარებელში.

მგზავრობას, რა თქმა უნდა, აზრი არ აქვსო, ამბობდა იგი, რადგან წინასწარ იცოდა, როდის ჩავიდოდა მატარებელი სასურველ ქალაქში.

„მხოლოდ ცუდი მახსოვრობის მქონე ხალხი მგზავრობს მატარებლით, — ამბობდა ის, — კარგი მახსოვრობა რომ ჰქონდეთ, წასვლა-მოსვლის დროს დაიმახსოვრებდნენ და აღარ დასჭირდებოდათ დროის დაკარგვა, რათა მგზავრობის სიამოვნება განეცადათ“.

შევუცადე ამეხსნა მისთვის: „არის ხალხი, რომელთაც სიამოვნებთ მგზავრობა, მატარებელში ჩდომა და ფანჯრიდან ცქერა, ათვალეერებენ იმ ადგილებს, მატარებლით რომ ჩაუვლიან“.

იფიქრა, დამცინისო და მომიგო: „ეს წერია განრიგში. ისინი გაივლიან ლუ-“

თერბახს, დაითიგენს, ვანგენს, ნიიდერბიჰს, იონზინგენს, ობერბუხზიტენს, ეგერჩინგენსა და ჰეგენდორფს“.

„ხომ შეიძლება ისინი იმიტომ მგზავრობენ, რომ ეგრე სურთ“ ვუთხარი მე.

„არა მგონია ეგრე იყოს, — თქვა მან, — რადგან თითქმის ყველა ჩვენსდაც უკან დაბრუნდება. ზოგიერთი ყოველ დილით მიდის და ყოველსავე მისი ისევ უკან ბრუნდება. აი, ასეთი ცუდი მახსოვრობა აქვთ მათ“.

და დაიწყო სადგურზე მდგარი ხალხის ლაშქვა, მიჰყვიროდა: „თქვე იდიოტებო, სულ არა გაქვთ მახსოვრობის უნარი, თქვენ ჩაუვლით ჰეგენდორფს!“ — და დარწმუნებული იყო, მგზავრებს ხასიათს ვუფუჭებო.

„სულელო, თქვენ ხომ გუშინ იმგზავრეთ!“ — გასძახოდა ვილაკას, და თუ მის ქცევაზე ვინმეს გაელიმებოდა, მივარდებოდა მატარებელს და ხალხის ჩამოთრევას ლამობდა, აფიცებდა, ემუდარებოდა, მატარებლით ნუ იმგზავრებთო.

„ყველაფერს აგიხსნით, — გაჰყვიროდა იგი, — 14 საათსა და 27 წუთზე გაივლით ჰეგენდორფს, მე ეს ნამდვილად ვიცი, განრიგში ყველაფერი წერია. ამაში თქვენც დარწმუნდებით, ფულს ტყუილუბრალოდ ნუ ხარჯავთ“.

მერე ხალხის ცემაც კი დაიწყო — ვისაც გაგონება არ სურს, ძალით უნდა შეაგნებინო, ამბობდა ის.

სადგურის ხელმძღვანელობას სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გააფრთხილკაცი, თუ წესიერად არ მოიქცევით, აგიკრძალავთ სადგურზე ფეხის მოდგმასო. ის შეშინდა, რადგან უსადგუროდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა და ხმაამოუღებლივ იჭდა მთელი დღეები, უყურებდა მატარებლების წასვლა-მოსვლას, თავისთვის ჩაიბურტყუნებდა ხოლმე რაღაც ციფრებს, თვალს ადევნებდა ხალხს და მათი არა გაეგებოდა რა.

კაცმა რომ თქვას, ამბავი აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ სადგურზე გაიხსნა ცნობათა ბიურო. ჯიხურში, სარკმლის უკან ფორმაში გამოწყობილი სადგურის მოხელე იჭდა და ყველა კითხვაზე პასუხი მზად ჰქონდა, თუ საქმე რკინიგზას ეხებოდა. მახსოვრობის მქონე კაცს არ სჯეროდა სადგურის მოსამსახურის გონებისა, ყოველდღე მიდიოდა ცნობათა ბიუროში და ცოდნის შესამოწმებლად მოხელეს ძალზედ რთულ შეკითხვებს აძლევდა:

„რა ნომერია მატარებელი, რომელიც ზაფხულობით, კვირა დღეებში 16 საათსა და 24 წუთზე ლიუბეკში ჩადის?“ — მოხელე ჩახედავდა წიგნში და ნომერს ეუბნებოდა. კაცი კიდევ ჩაეკითხებოდა: „როდის ვიქნები მოსკოვში, თუ აქედან 6 საათსა და 59 წუთზე გავემგზავრები?“ — მოხელეც ეუბნებოდა.

ამის შემდეგ წავიდა მახსოვრობის მქონე კაცი სახლში, მატარებლების ყველა განრიგი ცეცხლს მისცა და ყველაფერი დაივიწყა, რაც კი რამ იცოდა.

მეორე დღეს მახსოვრობის მქონე კაცმა მოხელეს ჰკითხა: „რამდენი საფეხური აქვს სადგურის წინა კიბეს?“ არ ვიციო, უპასუხა მოხელემ. კაცი სიხარულისაგან ჰაერში შეხტა და მთელი სადგური ყვირილ-ყვირილით მოირბინა: „არ იცის, არა!“ შემდეგ სადგურის წინ გავიდა, კიბის საფეხურები დათვალიდა და ციფრი მახსოვრობაში ჩაიბეჭდა, რომელშიც მატარებლების მგზავრობის დროები უკვე აღარ იყო.

ამის მერე კაციშვილს აღარ უნახავს იგი სადგურში. კაცი მთელი დღე ქალაქში დადიოდა, გადადიოდა სახლიდან სახლში, ითვლიდა საფეხურებს, იმახ-

სოვრებდა რიცხვს და იცოდა ციფრები, რომელნიც მსოფლიოს არც ერთ წიგნში არ წერია.

როცა მან მთელი ქალაქის კიბეების საფეხურების რაოდენობა დათვალიერა, მივიდა სადგურზე, შეიძინა ბილეთი და ცხოვრებაში პირველად ჩაჯდა მატარებელში, რათა წასულიყო სხვა ქალაქში, იქაც დაეთვალიერებდა მსოფლიოს. შემდეგ გაეგრძელებინა გზა მთელი მსოფლიოს კიბეების საფეხურების რაოდენობის დათვალიერება. სურდა სცოდნოდა ის, რაც არავინ არ იცოდა და რასაც ვერც ერთი მოხელე ვერც ერთ წიგნში ვერ ამოიკითხავდა.



როგორც ვალზარი

ბასტა

მა და ამ დროს მოვევლინე ქვეყნიერებას, აქა და აქ გავიზარდე, სკოლაშიც პატიოსნად მივლია, ვარ ესა და ეს, ასე და ასე მქვია და ბევრს არ ვფიქრობ. სქესის მიხედვით მამაკაცი ვარ, მოქალაქეობის მიხედვით — ჩვენი ქვეყნის ერთი კარგი წევრი, რანგით საუკეთესო ფენას განვუკუთვნები. ვარ ადამიანთა საზოგადოების ერთი ჩვეულებრივი, ფრთხილი, მშვიდი წევრი, ეგრეთ წოდებული კარგი მოქალაქე, ვსვამ ერთ კათხა ლუდს და არც ბევრს ვფიქრობ. რაც ნაღდია, ჭამას დიდ პატივს ვცემ და არც რაიმე იდეები მაწუხებს. აზროვნება და მოსაზრებები ჩემგან შორსაა, ძალზე შორს, მიტომაც ვარ ამ სახელმწიფოს კარგი მოქალაქე, პატიოსანი ადამიანი ხომ ბევრს არ ფიქრობს! რიგიანი კაცი თავის წილ საჭმელს მიირთმევს და ბასტა, მორჩა და გათავდა!

გონებას განსაკუთრებული რამეებით არ ვიტვირთავ, ეს სხვებისთვის გადამილოცნია. ვინც გონებას მეტისმეტად ძაბავს და ბევრს ფიქრობს, ზიზღს იწვევს და არასასიამოვნო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. თავის დროზე იულიუს ცეზარმაც შეამჩნია — იდეები აწუხებდა ჩამომხმარ და თვალეზრაცვენილ კასიუსს, არადა, იმპერატორის შიშით ძრწოდა. პატიოსანმა მოქალაქემ ეჭვი და შიში არ უნდა დათესოს; აბა, რა საჭიროა ბევრი ფიქრი, გონიერი კაცი არავის უყვარს და თავი რატომ უნდა შეაზიზღო. წერას და აზროვნებას გემრიელად ხვრინვა და ძილი ჯობს.

ამა და ამ დროს დავიბადე, სკოლაში აქა და აქ დავდიოდე, ამა და ამ გაზეთს ვკითხულობ, ამა და ამ საქმის კაცი ვარ, ვარ ამდენი და ამდენი წლის, ვფიქრობ. კარგი მოქალაქე ვარ და მადაც კარგი უნდა მქონდეს, თუ საჭირო არაა, გონებას არ ვდლი, მსგავსი რამ სხვებისთვის მიმინდვია. ბევრი თავისმტვრევა ჩვენი საქმე არაა იმიტომ, რომ ვინც ბევრს ფიქრობს, თავი სტკივა ხოლმე, თავის ტკივილი კიდევ ნამდვილად მომაბეზრებელია. ძილი და ხვრინვა არ ჯობია ტვინის ტყუელტას? ერთი კათხა ლუდი ნამდვილად უკეთესია, ვინემ აზროვნება და მწერლობა. აზრები მე არ მაწუხებს და არაფრის გამო თავს არ ავიტკივებ. ეს სახელმწიფო მოღვაწეთათვის მიმინდვია. ბევრი ფიქრისა მეშინია და იდეებიც არ მაწუხებს, თავის ძლიერ გადაღლაც რაში მჭირდება, ვარ

ჩემთვის წყნარად და სამაგიეროდ კარგი მოქალაქის სახელიც მაქვს! ფიქრისა დალიან მეშინია. როცა ვფიქრობ. ტარაბუა მესხმის და ელვითმეტი მომდის ჯობს ერთი კაი კათხა ლუდი მივიროვა. ფიქრი და წუხილი სახელმწიფო მმართველთათვის გადამილოცნია. იმდენი იფიქრონ. სანამ თავები არ დაუსკდებათ მე რომ ვფიქრობ, თვალთ მიბნელდება. ეს კი არ არის მჭიდროდ ვცდილობ თავს ძალა არ დაეატანო. ჰოდა, არც ვლელავ და არც ვხეოვიულობ. თუ სახელმწიფო მოღვაწეები თავების დახეთქვამდე ფიქრობენ, ხომ ყველაფერი წესრიგშია! მე და ჩემნაირები მშვიდად შეესვამთ ერთ კათხა ლუდს. მადაც მშვენიერი გვაქვს. ღამე კარვად ღაფიძინებთ, გემრიელ ხვრინვასაც ამოვუშვებთ. რა თქმა უნდა, იმ გაგებით, რომ მშვიდი ძილი და ხვრინვა ჯობს თავის მტკრევას; წერასა და აზროვნებაზე ხომ ბევრად უკეთესია. ვინც ბევრს ფიქრობს. თავს აზიზლებს ყველას, და ვინც თავის აზრებსა და შეხედულებებს აცხადებს, სიძულვილს თესავს და არასაძიამოვნო ადამიანია, კარგი მოქალაქე კი სასიამოვნო პიროვნება უნდა იყოს. ფიქრი და ტვინის ჭყლეტა, სრული სიმშვიდით, დიდ მოღვაწეთათვის გადამილოცნია, ჩემნაირები, თუმცა უმნიშვნელო, მაგრამ ადამიანთა საზოგადოების ვარგისიანი წარმომადგენლები ვართ, ეგრეთ წოდებული ნაღდი მოქალაქე ანუ ფილისტერი, რომელიც თავის კათხა ლუდს მიირთმევს და ნეტარებით შეექცევა მშვენიერ, მაღისმომგვრელ საქმელს, ჰოდა, ბასტა, მორჩა და გათავდა!

სახელმწიფო მოღვაწეებმა იმდენი უნდა იაზროვნონ, ვიდრე თვალზე ბინდი არ გადაეკვრებათ და თავი არ ასტკივდებათ. პატიოსან კაცს თავი არ უნდა ასტკივდეს, თავისი ერთი კათხა ლუდი მშვიდად უნდა დალიოს. ღამით კი გემრიელად დაიძინოს და იფშვინვოს.

მქვია ესა და ეს, ამა და ამ დროს დავიბადე, სკოლაში პატიოსნად, თუმცა იძულებით დავდიოდი, შეძლებისდაგვარად ამა და ამ გაზეთს ვკითხულობ, ამა და ამ საქმის კაცი ვარ, ბევრი ფიქრის მომხრე არ ვარ. გონების დაძაბვა და ტვინის ჭყლეტა, დიდი სიამოვნებით გადამიბარებია მმართველი თავებისათვის, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია. ჩემნაირები არც ერთი მხრივ არ გრძნობენ პასუხისმგებლობას, ვსვამთ ჩვენს წილ კათხა ლუდს, ბევრს არ ვფიქრობთ ამ უცნაურ, განსაკუთრებულ სიამოვნებას იმათ მივანდობთ, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია.

სკოლაში იქ დავდიოდი, სადაც ტვინის ჭყლეტას მაიძულებდნენ, მას მერე ერთი წამითაც არ გამივლია თავში მსგავსი უმსგავსოება.

ამა და ამ დროს დავიბადე, ჩემი სახელია ესა და ეს, არ გამაჩნია არავითარი პასუხისმგებლობა, არც ერთადერთი ვარ ამქვეყნად, მსგავსი ბევრი მყავს. საბედნიეროდ, ჩემისთანები მრავლადაა, ვინც კათხა ლუდით იგემრიელებენ პირს, ფიქრი არ უყვართ და არც ფიქრობენ, ჩემსავით ამჯობინებენ, სხვებს, მაგალითად, სახელმწიფო მოღვაწეებს სიხარულით დაუთმონ თავისმტკრევა.

მე, საზოგადოების ჩუმ, მშვიდ წევრს არავითარი აზრი არ მაწუხებს, საბედნიეროდ, მე მარტო არა ვარ, ჩემნაირების მთელი არმიაა, რომელთაც საკმაოდ კარგი მადა აქვთ, ცოტას ფიქრობენ, ამდენი და ამდენი წლის არიან, აქა და აქ გაიზარდნენ, ჩემსავით საზოგადოების წყნარი, მშვიდი წევრები, კარგი მოქალაქეები არიან და ჩემი არ იყოს, აზროვნებასთან ისინიც მწყურალად არიან, ბასტა, მორჩა და გათავდა.

ოსტერმუნდიგენის გარეუბანი



ოსტერმუნდიგენის გარეუბანში ტელეფონი დგას. ტელეფონთან კაცი მოკალათებულა. რომელიმე უცხოელს დაეკავაზე ყურმილს იღებს და პასუხობს: „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია.“
თუ ვინმეს რიზერი ან მაიბახი აინტერესებს, კაცი მიუგებს: „არა, ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია.“ და ყურმილს ისევ ჰკიდებს.

ეს შესავალი გახლავთ ამბისა, რომელსაც „ოსტერმუნდიგენის გარეუბანი“ ჰქვია.

დასაწყისშივე მოგახსენებთ, რომ ამ კაცს არავინ იცნობს. ერთ დროს შემდლო მისი გაცნობა და იცით რატომ? სხვებთან თავი რომ გამომეჩინა და მეთქვა: — მე ვიცნობ კაცს, ტელეფონის ყოველ ზარზე რომ პასუხობს: „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“. ცოტა ხნის წინ ამ ნაცნობობას შეიძლება რაიმე ეფექტიც მოეხდინა, ხალხი იტყოდა: — ხედავთ რა საინტერესოა, ეს იმ კაცს იცნობს, ტელეფონის ყოველ დარეკვაზე რომ პასუხობს, „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“, მაგრამ ამასობაში ამ კაცის გამო იმდენი რალაც მოხდა, რომ ხმას როგორ ამოვიღებდი. რომ მეთქვა, მე ვიცნობ კაცს, რომელიც... მაშინვე ხალხი მომაწყდებოდა: რა? თქვენ იცნობთ იმ კაცს?

ეს არის „ოსტერმუნდიგენის გარეუბნის“ გაგრძელება. ვთქვათ, თქვენ ურეკავთ ბერნელ ნაცნობს, გვარად ჰოფმანს. კრეფთ ნომერს და ამ დროს ვილაც გპასუხობთ: „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“. თქვენ ეკითხებით, ჰოფმანს ვერ დამალაპარაკებთ? ის გპასუხობთ: „არა, ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია.“ — და გიკიდებთ ყურმილს. თქვენც დებთ ყურმილს, ხელახლა კრეფთ ნომერს და ტელეფონში ჰოფმანის ხმა ისმის. თქვენ ეკითხებით: რაო, ხომ არ გამამასხრე? ის კი აზრზეც არ არის, რა მოხდა.

ოსტერმუნდიგენი ბერნთან არის ახლოს და კოდიც იგივე აქვს — 031. თქვენ ფიქრობთ, შემთხვევით იმ კაცთან მოხვდით, ტელეფონის ყოველ ზარზე რომ პასუხობს: „ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“.

შეიძლება ასეთი რამეც მოხდეს: ქურში ურეკავთ ნაცნობს 22-28-26. თქვენ კრეფთ ნომერს და გაისმის კაცის ხმა: „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“, როცა თქვენ ჰკითხავთ, შეგიძლიათ თუ არა ბატონ კაპრეცს ელაპარაკოთ, ის გპასუხობთ: „არა, ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია.“ — და დებს ყურმილს. ქურის კოდია 081, გამოდის, რომ 081 აგერიათ 031-ში, რაც ძნელი და საჭერებელია.

თქვენ არ შეგშლიათ. რაც თქვენ შეგემთხვათ, სხვებს ყოველდღე ემართებათ. სადღაც თავისთვის ზის კაცი და სატელეფონო საუბრებში ერთვება. სხვა არავითარი ინტერესი აქვს გარდა იმისა, რომ ოსტერმუნდიგენის გარეუბანი გვიხსენოს. უნდა ვთქვათ, რომ ეს კაცი მართლაც სადღაც ზის, რადგან თვით ოსტერმუნდიგენში ყოველგვარი სატელეფონო კავშირი გააკონტროლეს, ასევე ყოველი მახლობელი პუნქტი გადაამოწმეს, მაგრამ უწყესივრობა ვერსად იპოვეს, რომ მიეწნოთ კიდევაც, საქმეს მაინც არ ეშველებოდა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რადიოში პირველად გაისმა ასეთი წინადადება: ერთ-ერთ საბავშვო გადაცემაში მეფეს ნაცვლად იმისა, რომ მელორისთვის ეთქვა, ჩემს ქალიშვილს გაძლევ ცოლადო, უთხრა: „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანი გახლავთ“. ეს, მეფის როლის შემსრულებელი მსახიობ-

ბის კი არა, იმ ოსტერმუნდიგენის გარეუბნელი კაცის ხმა იყო, ტელეფონში რომ ერთვება ხოლმე.

იმედი იმისა, რომ ეს ამბავი ცალკეული შემთხვევა იქნებოდა, არ გამართლდა. მეორე დღეს ახალი ამბების გადაცემა შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „თქვენ ისმენთ ახალ ამბებს: ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბნელი კაცი იყო, რომ „ამბების“ შემდეგ მცირე ხქამი მოისმა და ოსტერმუნდიგენის გარეუბნელი კაცის ხმა ჩაერთო.“

მას შემდეგ დღე არ გავა, რომ ეს კაცი რომელიმე გადაცემაში არ ჩაერთოს, განსაკუთრებით კი ახალი ამბების გადაცემაში ამოტივტივდება ხოლმე. საერთოდ, ამ წინადადებას ერთი თავისებურება გააჩნია — მისი გადაცემიდან ამოვდება ძალზე ძნელია. სავსებით მოსალოდნელია ასეთი რამ მოხდეს.

ინფორმატორი ცდილობს გადაცემის ბოლოს შეცდომა გაასწოროს და ამბობს „ბოდიშს მოგიხდით მცირე ხარვეზის გამო, თავის დღევანდელ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტობის კანდიდატს კი არ უთქვამს, ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია, არამედ ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“.

თქმა არ უნდა, ხელისუფალნი ყოველნაირად ეცდებიან ამ კაცის კვალს მიაგნონ. მოსახლეობას თხოვნით მიმართეს, „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“ გაგონებისთანავე ტელეფონით დაკავშირებოდნენ სათანადო ორგანოებს. ამასობაში ერთი მეტად საყურადღებო ამბავი დადგინდა — ამ წინადადებას უფრო მეტად წარმოსთქვამდნენ, ვიდრე შესაძლებელი იყო. ამჟამად ისეთი ძებნაა გამოცხადებული, კაცობრიობას რომ არ ახსოვს. მთელი არმია და პოლიცია პელენგატორებით აღჭურვეს და ამ წინადადებას მივინება-განადგურებაში ჩააბეს, თუმცა მისი ხმარების არეალი ამასობაში კიდევ უფრო გაფართოვდა და ამ ბოლო დროს ტელევიზიაც ჩაიგდო ხელში. ბინათმშენებლობის პრობლემებზე კამათის დროს ერთ-ერთ მოიჯარადეს უნდოდა აღენიშნა, წარმოების დანახარჯები გაიზარდაო, ამ დროს ეკრანი გამუქდა და ცხადად გაისმა: „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“. ამ დღიდან არც ერთი სატელევიზიო გადაცემა არ გასულა ამ სიტყვების გარეშე. ერთი კია, რომ ამ დროს ეკრანზე ყველა სხვადასხვა რამეს ხედავს. ზოგი ამტკიცებს, როცა ეკრანი გამუქებულია, წვერიანი მოხუცის სახე ჩანსო. მეორენი ირწმუნებიან, მტაცებელი ფრინველიაო. ზოგიც იმ აზრისაა, ამ ხარვეზის დროს საკუთარ სილუეტებს ვხედავთო.

ცოტა რამ კიდევ ამ წინადადებას მომგონის გამალეებულ ძებნაზეც უნდა ითქვას, ამ ძიებას წარმატებული შედეგიც რომ ჰქონდეს, რაც მე ძალზე მაეჭვებს, ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე გამოქვაბულში, ან სადმე სარდაფში გადამცემი აპარატი რომც აღმოაჩინონ, ამ წინადადებას მაინც ველარ მოიშორებენ. გადაშალეთ ნებისმიერი გაზეთი, ჩაიკითხეთ თავიდან ბოლომდე და სადღაც მაინც შეხვდებით „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“. ეს წვერილად ნაბეჭდი ფრაზა ნეკროლოგში კრემაციის თარიღის გვერდით იქნება მოთავსებული, ან კიდევ ვინმე სპრინტერის სურათს ექნება წამძღვარებული, რომელმაც რბოლის ერთ-ერთი ეტაპი მოიგო.

იმის შიშით, რომ წერილებში „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“ არ ეწეროსო, ხალხი ბარათების მიმომწერასაც გაუბრის, სიტყვით გამოსვლაც ვერ გაუბედავთ, ეს წინადადება არ წამომცდესო. თავიდან ბევრი მასხრობდა, „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანიაო“, დღეს კი აღარავის ეხუმრება, შიშისაგან აღარც ლაპარაკობენ. წარმოიდგინეთ, ყასაბი მუშტარს ხორცის ნაჭერს უჩვენებს და ეუბნება: „ეს ოსტერმუნდიგენის გარეუბანია“.

სადამდე მიგვიყვანს ეს ამბავი ძნელი სათქმელია, მაგრამ სადღეისოდ იმის შესაძლებლობა მაინც უნდა გამოინახოს, რომ ეს წინადადება რალაე კონტროლის ქვეშ მაინც მოვაქციოთ, ხმარებიდან ამოღებას რომ თავი დავანებოთ ერთმა პოლიტიკოსმა, რომელიც სიტყვით უნდა გამოსულიყო და შიშობდა ამ წინადადებას სადმე მოულოდნელად არ გადავეყაროთ, ხერხი რჩება, უმჯობეს სენება ასე დაიწყო: „ქალბატონებო და ბატონებო, ეს ოსტერმუნდიგენის ბარეუბანია“ შეიძლება, კაცს ეფიქრა, ეს ეშმაკობა არ გასჭრის, წინადადება კვლავ სადმე ამოყოფს თავსო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა მომხსენებელმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განაგრძო სიტყვა.

ეს მეთოდი ცნობილი გახდა და ვისაც ამ უსიამოვნებისაგან თავის დაღწევა სურდა, ნებით უნდა წარმოეთქვა ეს წინადადება და მერე შეეძლო მშვიდად გაეგრძელებინა, რადგან მისი ხელახლა გამეორების საშიშროება აღარ იმუქრებოდა. ამ ხერხს დღეს ბევრი იყენებს. გუშინ, მაგალითად, რადიომ გადაცემენი შემდეგი განცხადებით დაიწყო: გამარჯობათ, ძვირფასო რადიომსმენელებო, ეს ოსტერმუნდიგენის ბარეუბანია. გაზეთებმა გადაწყვიტეს ეს სიტყვები ქვესათაურად დაებეჭდათ, მასწავლებლებიც ასე იწყებენ გაკვეთილს. ნაცნობებიც ამ წინადადებით ესალმებიან ერთმანეთს, და მეც, რომელიც მოკლე ამბებს ვწერ, იმით ვუშველე თავს, რომ ამ წინადადებაზე დავწერე ეს პატარა მოთხრობა.

ბოლოს და ბოლოს შეუძლებელია ამ წინადადებათ თავის დუღუკზე გავაცვოს, სიცოცხლე გავეიმწაროს, ველარ მოფუაროთ და საშველი არ დაადგეს. ეს უაზრო წინადადება მაშინ უნდა წარმოვთქვათ, როცა მართლა ოსტერმუნდიგენის ბარეუბანში ვიქნებით, ან ამ ადგილს სურათზე დავინახავთ, ან კიდევ მაშინ ვიტყვი, სადაც იგი ბუნებრივად მოერგება, თორემ ისე არაფერი ეშველება. ამ ბარეუბანში არის ალბათ რამდენიმე სახლი, მინდორი, შეიძლება ტყეც იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანი და აუცილებელი სანახავი არაფერია.

აგერ ახლა მითხრეს, დღეს არავის გაუგონია ეს სიტყვებიო. აღარ გავიგონებთ, რადგან აღარ სჭირდება იმ კაცს, კიდევ გამოგვეცხადოს. მან თავისი საქმე გააკეთა. ეს წინადადება ყველამ იცის, ყველა წარმოთქვამს, სიტყვას არავინ დაძრავს, ოსტერმუნდიგენის ბარეუბანი არ გაიფიქროს. კაციშვილმა არ იცის, რატომ.

ამ წინადადების სათქმელად პირი უნდა ამოვიკეტოთ. ეს იქნება „ოსტერმუნდიგენის ბარეუბნის“ დასასრული.

□

ქველი გერმანული საგმირო ეპოსი

გუდრუნი



ქველი გერმანული
საგმირო ეპოსი

გერმანულიდან

თარგმნა აკაკი გულოვანაძე

ქველი გერმანული საგმირო ეპოსი „გუდრუნი“, თავისებური რობინზონიდა, ან როგორც ვილჰელმ გრიმმა უწოდა, „გერმანული ოდისეა“, ნიბელუნგების გასაჭირზე ოცდაათი წლით გვიანაა შექმნილი და სამართლიანად აქვს დამკვიდრებული ადგილი მის გვერდით (მესამე დიდი ეპოსია „პარციფალი“). მაგრამ თუ „ნიბელუნგები“ 33 ხელნაწერთაა ცნობილი, „გუდრუნი“ შემოგვრჩა ერთადერთი ხელნაწერით, „ამბრაზის საგმირო წიგნით“, რომელიც „უკანასკნელ რაინდად“ წოდებული იმპერატორის მაქსიმილიან პირველის ბრძანებით გადაუწერია ინსბრუკის ახლოს, ამბრაზში, მწერალ ჰანს რიდს 1505—1515 წლებში. თვით ეპოსი შექმნილია 1230—1250 წლებს შორის, უცნობი ავსტრიელი (თუ ბავარიელი) პოეტის მიერ. „ნიბელუნგების“ ერთგვარი ზეგავლენა უდავოა, მაგრამ უფრო სჭარბობს სათავგადასავლო მოტივი. ამიტომაც უწოდებენ ოდისეს და რობინზონიდას.

პოემა სამი ნაწილისაგან შედგება, რომელთა თანმიმდევრული კავშირი ცხადია, მაგრამ დამოუკიდებელი არსებობის უფლებაც ექნებოდათ, რომ შემკვიდრებოთ და ლოგიკური შინაარსიც არ კრავდეს საგმირო ეპოსად. პირველი ნაწილია „ჰაგენი“ (I-IV ამბავი ანუ ავენტურა), მეორე — პილდე (V-VIII), მესამე — გუდრუნი ანუ „კუდრუნი“ (IX-XXXII ამბავი). ჰაგენის ამბავი ერთგვარი შესავალია ორი მომდევნოსათვის და შეიცავს ძალზე ორიგინალურ, საინტერესო სიუჟეტს.

ლექსი გამართულია „ნიბელუნგების სტროფის“ ანალოგიურად და ქართულ თარგმანში თავისთავად საუკეთესო არჩევანად ჩავთვალეთ ორ-ორი გარითმული შაირის ზომა. სულ პოემაში 1705 სტროფია. ე. ი. თითქმის იმდენივე, რამდენიც „ვეფხისტყაოსანში“.

თარგმანზე მუშაობისას ხელთ გვექონდა „რეკლამის“ მიერ გამოცემული პროზაული ტექსტი (ლაიპციგი, 1945, ბ. სიმონსის გამოცემიდან) და პირველი რუსული პოეტური თარგმანი რ. ფრენკელისა („მეცნიერება“, მოსკოვი, 1983), რომელიც საერთოდ შესანიშნავი თარგმანია, მიუხედავად საგრძნობი გადახვევებისა მრავალჯერ გამოცემული გერმანული დედნიდან (რუსულად სამჯერაა თარგმნილი).

მკითხველს ვთავაზობთ ეპოსის პირველ თავს.

აკენტურა

1

ორლანდიაში იზარდა ერთი ქებული ჭაბუკი,
გერე მეფის ძე, ზიგებანდ, მოყმე მამაცი, ჩაუქი.
უტე, იმისი მშობელი, იყო სათნო და ერთგული,
სვემალალი და ზნესრული, ყველა ღირსებით შემკული.

2

გერეს, უძლეველ ხელმწიფეს, — არის საკმაოდ ცნობილი, —
შვიდი მთავარი ყმად ჰყავდა, მძლავრი და კეთილშობილი;

ოთხი ათასი რაინდი ახლდა — იცოდა კიდევაც:
თავს შესწირავდნენ მის მიწას და ქვეყნის სახელ-დიდებას.

3

ხშირად უხმობდნენ მეფისწულს, მიაბარებდნენ ჩუბინსა,
ასწავლეს ასპარეზობა, ხელმარჯვედ ტყორცნა შუბისა,
რათა მტრისა და მოყვრისთვის მასაც პასუხი გაეცა,
სამშობლო ქვეყნის საზღვრები მოძალადისგან დაეცვა.



4

რომ დაეაყვაცდა, გაივსო, აქებდნენ გმირსა მხედარსა —
შეიძლებოდა თამამად მისი რაინდად ხელდასხმა,
ასპარეზობდა, სწავლობდა, უქმად წუთს არა კარგავდა,
ნათესავთა და ერთგული ყმების გულგასახარადა.

5

უცაბედად მიიცივალა მეფე გერე, უტეს ქმარი.
ამ განსაცდელს თავს ვერ აღწევს ვერც მეფეთა დიდი გვარი!
სამარეში წვება კაცი, რჩება სახლი დალდასმული —
ყოველ მეფე-დიდებულსაც ელის მსგავსი აღსასრული.

6

ზოგებანდის დედას, უტეს, ქვრივის ტანტზე ერგო ჯდომა,
თავს უხრიდა მეფისწული, ჰქონდა დედის დიდი ნდობა,
ქორწილზე კი არ ფიქრობდა ჯერ სასიძო სანატრელი,
რითაც ბევრი მეფის ასულს გაუჩინა სადარდელი.

7

დედა ჰაბუკს ასწავლიდა: „მოიყვანე, შვილო, ცოლი,
ქვეყნის ბურჯად და იმედად გეყოლება გვერდით ტოლი.
გაახარებ ნათესავებს, მტერს ექნება მეტი რიდი
და ჩვენც შეგვიმსუბუქდება მწუხარება ეგზომ დიდი.“

8

მოეწონა დედის რჩევა, დესპანები დაიბარა,
რომ ენახათ საპატარძლო — სასახლემაც გაიხარა,
რომ რჩეულთა შორის რჩეულ დიდებულებს ემოყვრება:
ნორვეგიის მეფის ქალი გაუჩიგეს მეგობრებმა.

9

როგორც გვიტხრეს, მოკლე ხანში მოხდა მათი ქორწინება,
ბევრი ტურფაც ახლდა სარძლოს — არ ისურვეს მოცილება;

შვიდას მამაც მოტლანდიელ გმირსაც ერგო მისი ხლება,
რადგან ჰქონდათ გაგონილი ზიგებანდოს დიდი ქება.

10



საპატარძლო თავის გზაზე გააცილეს რჩეულებმა,
როგორც არის ხელმწიფეთა ძველი ზნე და ჩვეულება.
გუნდი ცნობისმოყვარეთა ირეოდა ყველა მხარეს,
სამნახევარ მილზე გზაში ყვავილები დაუყარეს.

11

ეს ამბავი მაშინ მოხდა, ბუნება რომ იფურჩქნება.
ფრინველები გალობენ და ვარდის ბუჩქი იფურცლება.
გზის ორსავე მხარეს ხალხმა სათიბები გადათელა,
ყვავილებიც მიაცოლა, მოლივლივე ათასფერად.

12

მოჰყვებოდათ ცხენი, ჯორი, ტვირთის ზიდვას დაჩვეული,
თან მოჰქონდათ სადედოფლო სამოსი და განძეული.
დარაჯობდნენ მეფურ მზითვეს პაეები და მოახლენი,
ცოტა რამე როდი ჰქონდათ, საამო და მოსალხენი!

13

ორი მიწის ზღვარზე ქროდა დასაველეთის გრილი ქარი.
აქ შეყარა ბედნიერმა ბედმა ორი მეფის გვარი.
აქ მიიღეს საკადრისად დედოფალი სათნო, ქველი,
გამოუწყო მეფისწულმა უკეთესი სამყოფელი.

14

ქალს ბუჭურტი გაუმართეს ხალოსით და გატაცებით —
ასპარეზზე გამოვიდნენ დარჩეული ვაჟკაცები.
შემდეგ გერეს საბრძანებლის გაიარეს მთა და ველი,
სადაც უნდა გამზდარიყო მალე დიდი მბრძანებელი.

15

უსრულებდნენ მეფის ასულს წამსვე, რასაც ისურვებდა.
სანუკვარი დედოფლისთვის სულსაც არვინ იშურებდა.
რა ძვირფასი ასალები ეხებოდა მწვანე მდელოს,
რა ამაყად შესცქეროდა ვაჟი სარძლოს სასახელოს!

16

როცა კოცნა მოისურვა, კვლავ მოქუჩდა რაინდობა.
შუბი შუბს რომ ეტაკება, განა ვინმე დაინდობა!
იარაღით იწყებს ისევ საბიფათო საუბარს,
დაიღწა ბევრი შუბი, იარაღი საომარი.



17

წინ გაგზავნეს მალემსობოლნი და სატაბტო გაახარეს:
მოგვყავს ტურფა პატარიალი, აუწყეთო ყველა მხარეს.
მალე გახდა დედოფალი, სათნო, ბრძენი და ძლიერი,
პყავდა ყველა ქვეშევრდომი მორჩილი და მადლიერი.

18

მაგრამ იყო პატარიალი სვემაღალი დედოფალი,
და თქვეს: როგორ იქნებაო მოყმე მისი მეგობარი? —
ჯერ გვორგვინი დაიდგასო, დიდ მეფეთა ნატარები! —
ამ მიზანსაც მიიღწია ნათესავთა დახმარებით.

19

მასთან ხუთას ირლანდიელს აქ ებოძა რაინდობა;
ყველგან ცნობილს შეპფეროდა კურთხევა და ხალხის ნდობა.
უხვად გასცა საბოძვარი — გული ნდობით აღივსება!
ოდნავაც არ დაცემულა მეფის წონა და ღირსება!

20

დიდხანს იყო ირლანდიის მბრძანებელი ღირსეული,
უნაკლო და სუფთა გახლდათ ყველა საქმე მისეული.
დამნაშავეს მკაცრად სჯიდა, ღარიბების მეგობარი,
მოწყალე და ღმობიერი, თან მამაცი მეომარი.

21

შემოსავალს არ აკლებდნენ მეფეს მისი გამულები,
ცოლიც პყავდა ისე სათნო და სიკეთე დაუღვევი,
რომ ჰქონოდა სამეუფო და სამთავრო ოცდაათი,
როგორ დაენანებოდა სიკეთისთვის განძი მათი!

22

ასე გვითხრეს: დედოფალმა, რომ გავიდა სამი წელი,
აჩუქაო სვიან მეფეს უფლისწული, ტაბტის მცველი.

ყრმას ჰაგენი უწოდეს და ეს სახელი მეფის ვაჟის
ასე მოდის ამ სამღერეთ თაობიდან თაობაში.

23

ასწავლიდნენ, შეჰხაროდნენ, იყო ზრუნვა გასაყვირებ
თუ წინაბრებს დაემსგავსა, იქნებაო გმირთაგმირი. მ
ქალები და ქალწულები დღე და ღამე ადგნენ თავზე,
და გულები დედ-მამისა სიამაყით იყო სავსე.



საქართველოს
ქვეყნული ბიბლიოთეკა

24

შვიდი წელი შეუსრულდა, მიმოჰყავდათ რაინდებსო.
გმირებისკენ უწევს გული, ქალებს კი თვალს არიდებსო.
მალე კიდევ მოაშორეს მშობელსა და მოამაგეს,
უცხო ცის ქვეშ მოუხდება მალე დიდხანს ყოფნა ჰაგენს.

25

ბავშვი საღმე თუ ნახავდა სასახლეში საქურველსა,
ხშირად მყისვე ჩაიცვამდა აბჯარს, ასე სასურველსა.
დრო გავიდა შექცევისა, მალე ნახა სიავენი,
დაავიწყეს უცხო მხარეს სიყმაწვილის სიამენი.

26

იჯდა ერთ დღეს ზიგებანდი კედარის ქვეშ, კიბის თავზე.
ამეტყველდა დედოფალი, ეუბნება დარდით სავსე:
„მივალწიეთ მაღალ პატივს, მაგრამ მიკვირს საქმე ჩემი:
როგორ ძალმიძს დაგიმალო ფიქრი ჩემი გატაცების!“

27

„რა იქნება ასეთიო?“ — ეკითხება მშვიდად ქმარი.
„სულთ, ხორცილ ვიტანჯები, დახშული მაქვს შვების კარი,
რადგან გხედავ იშვიათად შენს დიდებულ გმირთა შორის —
გული მიწუხს, რომ შევეყურებ მე უშენოდ წყობას შორით“.

28

„როგორ გინდა მოხდეს ესა, — უბასუხა მეფემ მამინ, —
რომ მე ვიდგე ჩემი-გმირი მეომრების წყობის თავში?
მაცოდინე, დედოფალო, რაზეც არის საუბარი,
და ვეცდები შეგისრულო ეს სურვილი სანუკვარი“.

29

ქალმა უთხრა: „ოქრო-ვერცხლი, მამულები და ბურჯები, სპეკალი და მარგალიტი, სამოსი და საუნჯენი გვაქვს იმდენი, უმდიდრესი ქვეყნად არვინ მეგულება, მაგრამ ეს ხომ სულ ფუჭია, და მე დარდი მეუფლება!“



30

შოტლანდიის ქვეყანაში რომ ვიყავი ყმაწვილ-ქალი, — არ გეწყინოს სიტყვა ჩემი, — მახსოვს მამის მიწა-წყალი: ხშირად იყო ტურნირები, შუბი ეპყრა ყოველ მხედარს... დიდებისთვის ასეთ ბრძოლას შენს მიწაზე ვერა ვხედავ.

31

თქვენისთანა დიდი მეფე, მე რომ მესმის ქება თქვენი, ხშირად რომ არ ასპარეზობს, არის სწორედ გულსატკენი! ბუჭურტს უნდა მიუძღოდეს, ხიფათს აღარ დაერიდოს, ასახელოს საკუთარი თავიცა და სამემკვიდროც.

32

კეშმარიტი მეფე ქველი თავს ღირსებას უზიანებს, თუ სიმდიდრე თავს გადასდის და გმირებს არ უზიარებს; თუ დაჭრილი დაბლა წვანან, ჩვენ კი მაღლა ვიარებით, როგორ უნდა განიკურნოს მათი მძიმე იარები?“

33

„თქვენ დამცინით, დედოფალო, — უპასუხა მეფემ წყნარად. — მაგრამ თქვენი საყვედური გავიგე და ჩემთვის კმარა. ჩემი დღე და მოსწრება ხომ იმ ცდაში ვარ და ვიქნები, არ შევლახო მეფეთა ზნე ჩემი ვალის დავიწყებით“.

34

„მამ უბოძეთ იმ თქვენს მთავრებს საუნჯე და სამოსელი, გაიმრავლეთ სამეფოში წამსვლელი და წამომსვლელი. მეც შევუთვლი ნათესავეებს, რომ არ გემართებს დავიწყება — გვესტუმრონ და მოსაწყენად ნაკლები დრო დაგვირჩება“.

35

„გეთანხმებით, — უთხრა მეფემ, — ასრულდება თქვენი ნება, ბანოვანთა თხოვნით სხვასაც ზეიმები ენატრება. მოვიწვიოთ მოკეთენი, როგორც წესი და რიგია, და თქვენებმაც ნახონ, ჩემი მასპინძლობა რა რიგია!“

36

„მაშ ხუთასი ბანოვანი, შერჩეული საგანგებოდ,
და სამოცდაოთხი ტურფა მსურს შეემოსო სანაქებოდ“,
მოისმინა მეფემ სიტყვა, არც პასუხი დაახანა,
მადლიერი დედოფალი დასტურითაც გაახარა.



37

დასტურს საქმეც მოაყოლა, თვრამეტი დღე რომ დასრულდა:
ორლანდიის ქვეყანაში მობრძანება ვისაც სურდა,
შეუთვალა, დაიცადეთ — დადგებოთ გაზაფხული
და ზეიმზეც მობრძანდებით, ასე მაქვსო განზრახული.

38

ბრძანა ხე-ტყე მოეზიდათ სტუმრებისთვის შავი ტყიდან —
მზადდებოდა სკამები და მაგიდები ოფლის ღვრითა.
თექვსმეტ ათას სტუმრის სუფრა იქნებოდა გასაკვირი.
სუფრაჯებს და ჭალაბობას ადგათ დიდი გასაჭირი.

39

ის ზამთარიც მიიწურა, დადგა თბილი გაზაფხული
და დაიწყო ყველა მხრიდან ხალხის დენა არნახული.
სამთავროთა ყველა გზაზე მოდიოდა ყველა ჭარად,
ოთხმოცდაექვს ათასამდე კაცი ვიდრე შეიყარა.

40

მასპინძლობდნენ ყველა სტუმარს, ეწყო ზვინი მისულებთან
და იღებდა ყველა იმას, რა სამოსსაც ისურვებდა.
მეფე მებრძოლთ უბოძებდა ფარ-ხმალსა და ფიცხელ მერნებს,
და ამკობდა დედოფალიც ქალიშვილებს ბედნიერებს.

41

უთვალავი ქალწული და ათასამდე სეფე-ქალი
შეიმკო და შეიმოსა — ურიგებდა დედოფალი
ყველას, ვისაც რა უნდოდა, ვისაც როგორ უხდებოდა,
ბევრსაც ახალ სამშობლოში მთელი განძი უხვდებოდა.

42

ყველას ერგო საკმარისად სამოსი და სამკაული,
ქალსა და კაცს ავსებოდა სურვილების საწყაული.
დასცქეროდა დედოფალი პაყთა ხელში ცხენთა ცეკვას,
მოელვარე ფარებსა და მეომართა მძლეთა შეყრას.

48

მასპინძელმა მკლავთა ძალის გამოცდისა დართო ნება, —
 ბევრი ზუჩი შეიღება, და იხილეს ბატონებმა,
 მალლით როგორ დასცქეროდა ბუჭურტს ბევრი ქალბატონი
 როგორ სცემდა საჩუქრისთვის მოყმეს მოყმე თანატოლი.



44

ბუჭურტს ბოლო არ უჩანდა, იწყებოდა თავიდანა —
 დასცქეროდა ყველას მალლით ვინც თავისი გაიტანა,
 და აქებდა ახლა მეფეს, რომ ხედავდა სტუმრებს შორის,
 კოშკში მჯდარი დედოფალი შეჭხაროდა მებრძოლს შორით.

45

ის იბრძოდა გმირებს შორის, როგორც მეფეს ეკადრება.
 სასახელოც იყო მისი სიმაჩვენე და შემართება.
 შემდეგ შედგა, შეისვენა, სთხოვა სტუმრებს პატიოსნებს,
 მიაცილა, წარუდგინა კეთილშობილ მანდილოსნებს.

46

ტურფა უტეც მიესალმა უცხოთა და თავისიანს,
 ყველას გულიც მოუგია, კეთილსა და ხალისიანს.
 ყველა სტუმარს გაუღიმა, ყველას მისცა საბოძვარი
 და ხიბლავდა ყველას მისი სათნოება საოცარი.

47

ერთმანეთის გვერდით ისხდნენ ქალები და რაინდები —
 ამისთანა მასპინძელთან კაცი სანთლად აინთები!
 თავის კეთილ ზრახვას ყველას საჩუქრებით უდასტურებს,
 შემდეგ ისევ სატურნირო ველზე უხმობს ძვირფას სტუმრებს.

48

ცბრა დღე-ღამე დღესასწაულს არ უჩანდა დასასრული,
 და ხარობდა მუსიკოსთა დასი, სხვაგან დაღდასმული.
 არ ნანობდნენ ხუმარები ამ ზეიმზე გამოჩენას —
 დიდი ჭაფა აღვათ, მაგრამ აქ ელოდნენ გამორჩენას.

49

ქუხდა მენი ბუჯ-ნალარის, ხოლო მათი სალამური,
 ფლეიტა და მულნი იყო მოსასმენად საამური;
 ჰქონდათ ნაზი სიმღერები ქნარისა და დაფისათვის,
 და სამოსიც ერგოთ ბევრი სამუსიკო ჭაფისათვის.

50

მეათე დღე რომ გათენდა — გესმათ საქმე საოცარი —
 სულ ჩამწარდათ შვება-ლხენა, სახელი და საბოძვარი.
 სხვა ამბავი დაგვიღონებს მოძმენა და მეგობარსა,
 ცეცხლად ექცათ სიხარული მეფესა და დედოფალსა.



51

როცა მეფე სტუმრებს შორის უდარდელად იჯდა ჯერაც,
 მოდგა უცხო მემუსიკე და გაისმა სიმთა ჟღერა,
 ყველას ჯობნის — სასახლეში რა მსმენელი დაეტიოს!
 და მთაფრებიც მას უსმენენ, ვინ იქნება ასეთიო?

52

ქალიშვილი გარეთ იყო — პაგენს ხელით ატარებდა,
 ყრმას ქალები პატრონობდნენ, არ უშვებდნენ პატარებთან.
 ბავშვს რომ მარცხი არ მოსვლოდა, ეხსნათ ყველა კაეშნიდან,
 ზრდიდნენ გამზრდელ-დიდებულნი ზრუნვითა და ალერსითა.

53

სასახლიდან მოისმოდა სიცილი და ყრიაშული.
 ხარხარებდა უთვალავი მონადიმე მხიარული.
 შორს შევიდნენ გამზრდელეები — ისე იცნეს განსაცდელი,
 რომ თვალთაგან დაეკარგათ ქალწული და გასაზრდელი.

54

ნამდვილად კი განსაცდელი მოსდგომოდა მეფის კარსა —
 თავს დაატყდა სათნო უტეს და მის კეთილ შვილის გვარსა.
 ზღვის მიღმიდან მოეგზავნა მათთვის ეშმაკს ავი სული
 და ატირდა მისი რისხვით არლანდია დანისლული.

55

ავი გრიფი მოფრენილა მისდა ჭირად უცხო ვხრიდან,
 მოეტაცა პირმშო შვილი — ახლა მეფე ცრემლსა ღვრიდა.
 დაეკარგა ტახტის ბურჯი განა ვინმეს განზრახვითა —
 უნდო გრიფმა გაიტაცა უფლისწული სასახლიდან.

56

სადაც გრიფი მიფრინავდა, ძირს წვებოდა შავი ჩრდილი,
 თითქოს მიდის ღრუბელიო... სადღა იყო მეფის შვილი!
 ძალუმ ფრთოსანს ვერც ამჩნევდა იმ რიალში ხალხი მთვრალი,
 ვერც იმას, რომ მარტო იდგა მეთვალყურე ნორჩი ქალი.

57

გრიფის მძლავრი ფრთების ქროლით ტყე უღრანი დაწვა დაბლა,
ქალი დაფრთხა და მტაცებელს მიუტოვა ველზე დავლა.
მოხდა ისე უცაბედად ეს ამბავი საცნაური,
რომ სხვა კაცმა რა უწოდოს, თუ არ უცხო სასწაული!



58

ძირს დაეშვა, ფრთა გაშალა, მოვლენილმა განგებოთა,
და ბოროტად აიტაცა ბავშვი მძლავრი ქანგებოთა.
მისი უნდო სისასტიკე ზარსა სცემდა დიდს და მცირეს,
მარად უნდა ევაგლახათ ამისათვის რჩეულ გმირებს.

59

დაიკვილა ბავშვმა მწარედ, შიშით თავზარდაცემულმა —
გრიფი მძიმედ მიიწევდა მალლა-მალლა მტაცებლურად.
ქარს შეეება, შეაღწია შავ ღრუბელთა შიღმა მზარეს,
ირლანდიის მბრძანებლებმა ბევრი ცხარე ცრემლი ღვარეს.

60

წუხდნენ მეფის მძიმე დარდის მოზიარე მეგობრები,
რომ გასწირეს მეფისწული ამდენ სტუმრის შემოკრებით.
კეთილშობილ ყრმის დაღუპვას დასტიროდა აბლა ყველა,
ჰქონდათ დიდი სიბრალული — არ შეეძლო არვის შველა.

61

საზარელი განსაცდელის ელდით ხალხი განიმსჭვალა
და ნადიმი დიდებული დროზე ადრე დაიშალა.
ივმა გრიფმა მძლავრი შეჭრით დაალონა, დაძრა ხალხი,
იწყეს დაშლა, დარბაზობას ჩამოაწვა მძიმე თალხი.

62

მეფე ცრემლად იღვრებოდა, დანამული ჰქონდა უბე.
დედოფალმა მტკიცედ უთხრა: „რას გვიშველის ცრემლთა გუბე!
აქვს ყველაფერს დასასრული, ვერვინ შეცვლის განგებასა,
სილიე შენი მწუხარება, თუმცა ბედი დაგვენავსა!

63

დიდებულებს წახვლა სურდათ, მაგრამ უტემ გააჩერა:
„ცოტა კიდევ დაგვაცალეთ, წახვლის დროა განა ჯერა!
გომასპინძლებთ საკადრისად, თუკი რამე გაგვივიდა —
ოქრო-ვერცხლი გვსურს გიბოძოთ, გაგისტუმროთ პატივითა.

64

თავის დაკვრით დაუმაძღვს სათნოება საოცარი,
მეფემ ბრძანა გამოეღოთ სტუმრებისთვის საბოძვარი.
გაუჭრელი ქსოვილები, სანაქებო მშვენიებითა,
აბრეშუმი, მოზიდული შორეული ქვეყნებიდან.



65

შორით მოსულ სტუმრებს უძღვნა ჭინიბები ჯანმავარი,
ორლანდიური ჭიშის ბევრი ცხენი გამძლე, ტანმაღალი.
მისცა ბევრი ოქრო-ვერცხლი, მოქარგული ასალები,
ღირსეული საჩუქრებით გაისტუმრა ვასალები.

66

დედოფალმაც უშურველად მისცა განძი სტუმარ ქალებს,
შეიმოსნენ, დაუმაძღვს, გულუბვსა და გულმოწყალეს.
მორჩა ლხინიც, სასახლეში შვების შუქი არ ანთია,
აიკრიფნენ სტუმრები და მიატოვეს ორლანდია.



საქართველო სოცლისტური რევოლუციისათვის

ოთხ მოქმედებად

პიესა

თარგმანი ლია ლლონტაძის

მოქმედი პირები

სერგეიპოლი ალექსანდრე

ვლადიმეროვიჩი გადამდგარი პროფესორი. ელენა ანდრეევნა, მისი ცოლი, 27 წლისა. სოფია ალექსანდროვნა, (სონია), მისი ქალიშვილი პირველი ცოლისგან.

ვოინიციკაია მარია ვასილევნა, ხაიდუმლო მრჩეულის ცოლი, პროფესორის ყოფილი ხიდუდრი.

ვოინიციკი ივანე პეტროვიჩი, მისი შვილი. ასტროვი მიხაილ ლვოვიჩი, ექიმი.

ბელაგინი ილია ილიჩი, გაღარიბებული მემამულე.

მარინა, მოხუცი გადია.

მოჯამაბირა.

მოქმედება ხდება სერგეიპოლის გამუდმში.

პირველი მოქმედება

ბელი. სახლი, ტერასიანი მხარე ხეივანში გადის. ბებერი ილია ხას ძირში, მაგიდაზე ჩაის სუფრა გაწყობილი. ირგვლივ მერხები და სკამები. ერთ-ერთ მერხზე გიტარა დევს. მაგიდასთან ახლოს საჭანელა დგას. დღის სამი საათია. მოღრუბლული დღეა.

ფაშლავა, ზანტი მოხუცი მარინა სამოვარს უზის და წინდას ქსოვს. ასტროვი მის მახლობლად ბოლთაჲ სცემს.

მარინა (ჩაის უსხამს). მიირთვი, ბატონო.

ასტროვი (უგუნებოდ გამოართმევს). არც კი ვიცი, მინდა?

მარინა. არაყს ხომ არ მიირთმევდი?

ასტროვი. არა არაყს უოველდღე არ გეაბლები. თანაც ცხელა!

მარინა.

გადია. რამდენი წელია. ერთმანეთს ვიცნობთ?

მარინა (ფიქრობს). რამდენი? ღმერთო, გამანსენე... როდის ხანია შენ აქ გადმობვედი... ხონიკას დედა, ვერა პეტროვნა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მის სიცოცხლეში ორჯერ მოგიწია ჩამოსვლა, ზამთარში ჩამოდიოდი ხოლმე, ასე რომ... გამოდის, დაახლოებით თერთმეტი წელია. (დაფიქრდა.) იქნებ მეტოც?

ასტროვი. ძალიან გამოვიცვალე?

მარინა. ძალიან. მაშინ ახალგაზრდა, ლამაზი იყავი. ახლა დაბერდი, სილამაზეც დაკარგეთანაც არაყს სვამ.

ასტროვი. ახე... ამათ წელიწადში ძალიან გამოვიცვალე. რატომ? იმიტომ რომ ბევრს ვმუშაობ, გადია. თითქმის ოცდაოთხი საათი ფეხზე ვდგავარ, წუთით მოცლა არა მაქვს, ღამე, დაწოლა თუ მეღირსა, ერთთავად იმის მოლოდინში ვარ, როდის მომაკითხავენ და როდის წამიყვანენ-მეთქი ავადმყოფთან. აი, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, ერთი თავისუფალი დღე არ მქონია, მოდი და ნუ დაბერდები! ცხოვრება თავისთავად მოსაბეზრებელი, ფუჭი და კუჭყიანი რამ არის... გითრევს, გიწოვს, ირგვლივ კი ახირებული ხალხია, სულ დარეხვილები; მოდა, რაღაც ორ-სამ წელში შენდა შეუმჩნევლად, მათ გვერდით, შენც ირეხვები. ვერსად გაექცევი ამას. (უღვაშს გადაიგრიხავს.) ხედავ, რამოდენა უღვაში მოვუშვი.. ბრიყვული უღვაში. მეც დავირებვე, გადია... თუმცა ჯერ მთლად არ გამოვთავანებულვარ. ღვთის წყალობით, კვუას არ გადავსულვარ, მაგრამ გრძნობები დამიჩლუნგდა, არაფერი არ მინდა, არაფერი არ მჭირდება, არავინ არ მიყვარს... შენ მიყვარხარ მხოლოდ. (თავზე აკოცებს.) ბავშვობისას მეც შენნაირი გადია მყავდა.

მარინა. ხომ არ გშია?

ასტროვი. არა. დიდმარხვის მესამე კვირას მალიცკოეში. ვიყავი. ისეთი ეპიდემია იყო...

პარტახტიანმა ტიფმა ერთიანად მოცელა ხალხი... ჭუჭუი, სიმურაღე, ევამლი... ავადმყოფები, ხბორები, გოჭები ერთად ეუარნენ მიწაზე... მთელი დღე იმათ მოვუნდი, ერთი არ ჩამიბუხლია, პირში ხემსი არ ჩამხვლია, შინ მივედი, სულის მოთქმა ვერ მოვასწარი, რომ რკინიგზიდან მეიხრე მომიყვანეს: დავაწვინე საოპერაციოდ მაგიდაზე და სანამ ქლოროფორმს დავადებდი, საწყაღმა თქვენი პირი წაიღო... ამიჩუყდა გული, სინდისმა შემაწუხა. ასე მეგონა, განგებ მე მოვკალი-მეთქი, დავჩქეი, დავხუჭე თვალი. აი, ასე, და ვფიქრობ: ასი-ორასი წლის შემდეგ ამ ჩვენი კეთილი გარჯისთვის, ნეტავი კეთილი სიტუვით მაინც თუ შეგვეწვავა-მეთქი ვინმე? ა, გაღია, ხომ არავინ შეგვეწვავა?

მარინა. ადამიანი არა, სამაგიეროდ ღმერთი შეგვეწვავა!

ასტროვი. გმადლობთ, გაღია. კარგი ნათქვამია

შემოდის გოინიკა
ვოინიციკი (სახლიდან გამოდის, ეტყობა, სავუხმის შემდეგ ეძინა — ერთიანად დაკმუჭუნულა, მერბზე ჩამოჯდება, თავის ლამაზ ქალსტუქს ისწორებს). დიახ, პაუზა, დიხ...

ასტროვი, გამოიძინე?

ვოინიციკი, დიახ, გემოზე. (დაამთქნარებს.) რაც პროფესორი და მისი მეუღლე ჩამოგვისახლდნენ, ცხოვრებამ კალაპოტიდან ამოგვადგო. საუზმედ და სადილად ათასნაირ რამე-რუმეებს მივირთმევ, ღვინოსაც ვსვამ... მავნებელია ეს უველაფერი! აღრე წუთით ვერ ვიცდიდი, იმდენი სამუშაო გქონდა მე და სონიას. ახლა მარტო სონია შრომობს, მე მძინავს, ვკამ, ვხვამ... არ ვარგა ასე!

მარინა (თავი გაქნევს). ასე დააწესეს პროფესორი თორმეტზე დგება, სამოვარი დილიდან თუხთუხებს და თუხთუხებს, მაგათ ჩამოსვლამდე პირველ საათზე ვხადილობდით ადამიანურად, ახლა შვიდზე ვხადილობთ. ღამე პროფესორი კითხულობს და წერს, უცებ ორ საათზე დარეკავს... არიქა, რა ამბავია-მეთქი? თურმე ჩაი ნებავეს! უნდა დავაღვიძო ამ შუაღამეს ხალხი, დავდგა სამოვარი, კაი წესია!

ასტროვი, დიდხანს აპირებენ დარჩენას?

ვოინიციკი (სტვენს). მთელ საუკუნეს, პროფესორმა გადაწყვიტა აქ იცხოვროს.

მარინა. აი, ახლაც ორი საათია სამოვარი დულს, ისინი კი სეირნობენ.

ვოინიციკი. მოდიან, მოდიან... დაწყნარდი...

ისმის ხმები. ბაღის საღრმიდან მოსეირნე სერობრიაკოვი, ელენა ანდრეევნა, სონია და ტელეგინი ბრუნდებიან.

სარეზრიაკოვი. მშვენიერია, მშვენიერია, პირდაპირ დიდებული სანახებია.

ტალეზინი. უმშვენიერესი, თქვენო აღმატებულიებავ

სონია. გინდა, მამა, ხვალ სატყეოში წავიდეთ?

ვოინიციკი. ბატონებო მითითით ჩაი! სარეზრიაკოვი. მეგობრებო, მეცით პატივი და სამუშაო ოთახში მამოტანეთ! რალა-რალაცები დასამთავრუნელი დამოჩა და დღესვე უნდა დავამთავრო.

სონია სატყეო უთუოდ მოგეწონება...

ელენა ანდრეევნა, სერობრიაკოვი და სონია სახლში შედიან ტელეგინი მაგიდისაკენ მიდის და მარინას მიუჯდება.

ვოინიციკი ისე მცხელა, სული მებუთება, ამ ჩვენს დიდ მეცნიერს კი პალტო და კალაშეები ჩაუცვამს, ქოლგაც დაუჭერია და ხელთათმანებიც უკეთია!

ასტროვი. ეტყობა, თავს უფროსილდება.

ვოინიციკი, ო, რა ქალია, რა ქალია, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი ლამაზი ქალი!

ტალეზინი. მინდორს მივუყვები, ბაღში ხეების ძირში ვცემ ბოლთას თუ აი, ამ მაგიდას დავუარებ. მარინა ტიმოფეევნა, აუწერელ ნეტარებას განვიცდი! დიდებული ამინდია, ჩიტები ეიფიფებენ, ჩვენც ასე შეხმატკბილებულად და ერთობით ვიყოთ — ამას რა სჯობია?! (ტიქა გამოართმევს.) უწომო მადლობა!

ვოინიციკი (ოცნებით). ო, რა თვალები აქვს... არაჩვეულებრივი ქალია!

ასტროვი. ივან პეტროვიჩ, გვიამბე რამე.

ვოინიციკი (უგულოდ). რა გვიამბო?

ასტროვი. ახალი თუ იცო რამე?

ვოინიციკი. არა, უველაფერი ძველია. მეც იგივე ვარ, რაც ვიყავი, ოღონდ უარესი, რადგან გავზარმაციდი, არაფერს აღარ ვაკეთებ, სულ ბებერივით ვბუზღუნებ. ჩემმა გადაბჭუებულმა მამამ-მა კიდეც არ გაათავა ქალთა ემანსიპაციაზე ურანტალი, თავად ცალი ფეხი სამარეში უდგას და თავის ბრძნულ წიგნებში სხვებისთვის ეძებს ახალი ცხოვრების განთიადის მაუწყებელ აზრებს...

ასტროვი. პროფესორი?

ვოინიციკი პროფესორი ძველებურად დილიდან შუა ღამემდე ზის თავის სამუშაო ოთახში და წერს და წერს. „ვზით დაძაბულად, დაღრეჯით ოდენ, ვაცბობთ და ვაცხობთ ოდებს და ოდებს, ქება გვეკუთვნის მეც და თქვენც წესით, თუმცა... სიტუვაც კი არსაით გვეხმის“. ქალაღი მენანება! უკეთესს იწამდა ავტობიოგრაფია დაეწერა, მერედა, რა მასალა! უური მიგდე! გამოთაყვანებული ბებერი, წიგნის კია, ქარებით დახუთული, რევმატიზმიანი, შაკიკიანი, ექვითა და შურიტ ღვიძლგასიებული გადამდგარი პროფესორი... და ეს კია ახლა ფეხმორთხმით ზის პირველი ცოლის მამულში.

აბა, რა ქნას, ქალაქში ოქანის რჩენა მაგას არ შეუძლია. ზის და თავის უბედურებას წუწუნებს სულ, თუმცა ხაწუნუნო არაფერი აქვს, პირიქით, ძალიანაც ბედნიერია. (ნერვიულად.) აა, რატომ უბრალო დიაკვნის შვილმა, სემინარიელმა, სწავლულის რამდენიმე ხარისხსა და კათედრას მიიღწია. თქვენო აღმატებულებო, — უველა ასე მიმართაედა. სენატორის სიძეობასაც ეღიროს და ა. შ და ა. შ. თუმცა რა — ეს ჭერ კიდევ არაფერი. მთავარი, აა, რა არის: ადამიანს, რომელიც ზუსტად ოცდახუთი წელია ხელოვნებაზე წერს, ხელოვნებისა არაფერი გაეგება. ოცდახუთი წლის განმავლობაში რეალიზმზე, ნატურალიზმზე და ათასნაირ იზმზე სხვის აზრებს ცოხნის: ოცდახუთი წელია კითხულობს და წერს იმას, რაც ჰკვიანებმა დიდი ხანია იციან, ხოლო სულელებს სრულიად არ აინტერესებთ, — ესე იგი, ოცდახუთი წელია, წყალს ნაყავს, ამასთან, მოგებს სენებათ. რა დიდი წარმოდგენის ბრძანდება თავის თავზე. რა პრეტენზიულია! მაგრამ... წამოვიდა თუ არა კათედრიდან, უველამ ერთბაშად დაივიწყა. კაციშვილს აღარ ახსოვს მისი სახელი. აბა, რა გამოდის? — ოცდახუთი წელი სხვის ადგილზე მჭდარა. შეხედე, შეხედე, ასე დადის, თითქოს ღმერთი იყოს!

ასტროზი. მე მგონია, შური გალაპარაკებხი **პონინი**, დიახაც, შური მალაპარაკებხი ქალებში რა ბედი მქონიასრც ერთ დონ-ყუანს არ ღისრებია ასეთი წარმატება! მის პირველ ცოლს, ჩემს დას, მშვენიერ, მორჩილ არსებას, ამ ლაუვარდისფერ ცასავით კრიალას, კეთილშობილს, დიდხულოვანს, ფუტკრებივით რომ ეხვეოდნენ თავიანთსმცემლები, ეგ ისე უყვარდა, როგორც მხოლოდ უბიწო ანგელოზს შეუძლია მასავით უბიწო და მშვენიერი არსების შეყვარება. დედაჩემს, მის სიდედრს, დღემდე არ განუღებია მისი სიყვარული და მონუსხულობით ეთაყვანება. მეორე ცოლი ულამაზესი, ჰკვიანი ქალი, — ახლახან გქონდათ მისი ხილვის ბედნიერება, — ასეთ ბებერს გაბყვა. მას ჩააბარა თავისი ახალგაზრდობა, სილამაზე, თავისუფლება, მშვენიერება. რატომ? რისთვის?!
ასტროზი. ქმრის ერთგულია?
პონინი. სამწუხაროდ, კი.

ასტროზი. რატომ სამწუხაროდ?
პონინი. იმიტომ, რამ ამგვარი ერთგულება თავიდან ბოლომდე უკლებია. რიტორიკული კი არის, მაგრამ არაღრვიკურია. უღალატო გამღრმვალ ქმარს, რომელიც გძულს — უზნეობაა, ხოლო ჩაკლა საკუთარ არსებაში ქალობა და სიცოცხლის ეშხი, ეს უზნეობა არ არის?!

ბელეზინი (ცრემლნარევი ხმით). ვანია, როგორ არ მიყვარს, ასე რომ ლაპარაკობ. დიახ...

ვინც ცოლს, ან ქმარს ღალატობს, ის სანდო არ არის, მას ხამშობლოს ღალატაც შეუძლია! **პონინი** (ნაწყენი). შენ გაჩუბდა, შე ჩოფურა!

ბელეზინი. მომისმინე, ვანია, ქორწინების მეორე დღეს ცოლი გაშტეტა! სხვაგვარად გამყვანა... ჩემი სიუშნოვის ~~სხვაგვარად~~ მაგრამ იმ დღის შემდეგ მე ჩემს მოვალეობას არ ვღალატობ. დღემდე მიყვარს ცოლი, დღემდე მისი ერთგული ვარ. ვებმარები, როგორც შემიძლია. მთელი ჩემი ქონება მისი შვილების გაზრდას შევალე, საყვარლიხაგან რომ გააჩინა, მართალია, ბედნიერი არ ვყოფილვარ, მაგრამ სამაგიეროდ სიამაყე არ დამიკარგავს! მან რა და მოიგო? ახალგაზრდობა გაუფრინდა, სილამაზეც, ბუნების კანონებს სად წაუვიდოდა? გამოიყვლიფა, საყვარელი კაციც მოუყვდა... აბა, რაღა შერჩა?

შემოდინ სონია და ელენა ანდრეევანა; ცოტა ხნის შემდეგ, — მარია ვასილევანა წიგნით ხელში; ჯდება და კითხულობს; ჩაის მიაწოდებენ, სვამს, კითხვას განაგრძობს.

სონია (სწრაფად გადის). გადია, გლებები მოგვადგნენ, გადი, დაეღაპარაკე, ჩაის მე მიუხედავ... (ჩაის ისხამს.)

გადია გადის, ელენა ანდრეევანა სიქანელაში ზის და ჩაის სვამს.

ასტროზი (ელენა ანდრეევანას). თქვენო ქმრის სანახავად მოვედი. რომ მწერდით, ავად არისო, რევმატიზმი, რაღაცები აწუხებსო. მშვენივრად გამოიყურება.

ელენა ანდრეევანა. წუხელ ვერ იყო კარგად. ფეხებს უჩიოდა, დღეს არა უშავს.

ასტროზი. მე კიდევ კისრისტებით მოვჭროდი, ოცდაათი ვერსი სულ ჭენებით გამოვიარე. თუმცა ეგ არაფერი, პირველი შემთხვევა როდია. სამაგიეროდ ხვალამდე აქ დავრჩები და *quatum satis!* გამოვიძინებ.

სონია. ძალიან კარგსაც იზამთ. თქვენ ისე იშვიათად რჩებით ხოლმე ჩვენთან. ვინ იცის, არც გისადილიათ?

ასტროზი. არა, არ მისადილია.

სონია. პოდა, ერთად ვისადილოთ. ჩვენ ახლა შვიდ საათზე ვსადილობთ. (ჩაის მოსვამს.) გაციებულა!

ბელეზინი. სამოყარში, ეტყობა, ციციხლი ჩაიღველფა..

ელენა ანდრეევანა. არა უშავს, ივან ივანჩი, ცივსაც გეაბლებით.

ბელეზინი. მე ბოდიში... ივან ივანჩი კი არა, ილია ილიჩი ვარ მე! ილია ილიჩ ტელეგინი, ანუ როგორც ზოგჯერ ჩემი ნაუვაფილვეი სახის გამო მეძახიან — ჩოფურა. კარგა

¹ გემოზე (ლათ).

ზნის წინათ სონიჩკა მე მოვნათლეთ, ასე რომ, მისი აღმატებულება, თქვენი მეუღლე კარგად მიცნობს. ახლა... ამჟამად თქვენს მამულში ვცხოვრობ... არ შეიძლება, შენიშნული არ გუაგდეო, უოველდღე თქვენთან ვსადილობ.

სონია. ილია ილიჩი ჩვენი თანაშემწეა, ჩვენი მარჯვენა ხელი. (ნაზად.) მომეცით, ნათლია, კიდევ დაგისხამთ.

მარია ვასილიევნა. აჰ!

სონია. რა მოგივიდათ, დიდება?

მარია ვასილიევნა. დამავიწყდა ალექსანდრესთვის მეთქვა... მეხსიერება აღარ მივარგა... დღეს პაველ ალექსევიჩის წერილი მივიღე ხარკოვიდან... თავისი ახალი ბროშურა გამოგვიგზავნა...

ანტონი. საინტერესოა?

მარია ვასილიევნა. საინტერესოა, მაგრამ მე უცნაური მეჩვენა. რასაც შვილი წლის წინათ ამტკიცებდა, ახლა უარყოფს, ეს ხომ საშინელებაა!

ვინიციტი. სულაც არ არის საშინელება, ჩაი მიიჩნევით.

მარია ვასილიევნა. დამაცალე ვლადიმირი!

ვინიციტი. ორმოცდაათი წელია ვლადიმირობთ. სულ ვლადიმირობთ, ერთთავად ბროშურებს ვკითხულობთ. დრო აღარ არის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩეთ?

მარია ვასილიევნა. რატომღაც შენ ჩემი ვლადიმირის მოხმენა არ გხიამოვნებს. მაპატიე, უან, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე გამოიცვალე, ვეღარც კი გცნობ... უოველთვის საკუთარი შეხედულებები გქონდა, ნათელი პიროვნება იყავი...

ვინიციტი. რაკი თქვენ ბრძანებთ! მე ის ნათელი პიროვნება ვიყავი, ვინც საკუთარ ჩრდილსაც ვერ ანათებდა... (პაუზა.) ნათელი პიროვნება... ასეთი გესლიანი ხუმრობა! უკვე ორმოცდაშვიდისა ვარ. შარშანდღამდე მეც თქვენსავით ვიბრმავებდი თვალებს მაგ თქვენი სქოლასტიკით, ნამდვილი ცხოვრება რომ არ დამენახა, — და მეგონა, სწორად ვიქცეოდი. ახლა კი ძილი აღარა მაქვს სიმწრისა და სიბრანისაგან; ვერ მომიხელება, რა სულელურად გავფლანგე წლები, რამდენ რამეს მივადწევდი, რის უფლებასაც ახლა უკვე არავინ აღარ მაძლევს.

სონია. ძია ვანია, მომწყინდა!

მარია ვასილიევნა (შვილს). შენ რა, შენს ადრინდელ შეხედულებებს აბრალებ უველაფერს?... დამნაშავე შენ ხარ, შეხედულებები რა შუაშია. შენ დაგავიწყდა, რომ თავისთავად შეხედულებები არაფერია, უსულო ბგერებია... საქმე უნდა გვეთებინა.

ვინიციტი. საქმე? უველას როდი შეუძლია

ჩვენი ბატონი პროფესორივით საწერ

perpetuum mobile-დ იქცეს!

მარია ვასილიევნა. ამით თინი თქმა გსურს? სონია (ვედრებით). დიდება! ძია ვანია გუხეწებთ!

ვინიციტი. გავჩუმდები, გავჩუმდები და ხოდიშსაც მოვიხდბ.

პაუზა.

ელენა ანდრეევნა. დღეს კარგი ამინდია... არ ცხელა.

პაუზა.

ვინიციტი. ასეთ ამინდში თავის ჩამოხრჩობაა კარგი...

ტელეგინი გიტარას აწყობს, მარინა სახლის გვერდით დადის, და ქათმებს უბმობს.

მარინა. ჯუ, ჯუ, ჯუ...

სონია. გადია, რა უნდოდათ გლებებს?

მარინა. ისევ ის, იმ ცარიელი მიწების გამო იყვნენ. ჯუ, ჯუ, ჯუ...

სონია. რომელს დაეძებ?

მარინა. კრელ დედალს, დავკარგე წიწილებიანად, მეშინია ქორმა წიწილები არ მომტაცოს (გაღის.)

ტელეგინი პოლკას უკრავს, ყველანი ჩუმად უსმენენ. შემოდის მოჭამაგირე.

მოჭამაგირე. ბატონი ექიმი აქ არის? (ანტონს.) მიხაილ ლვოვიჩ, თქვენ გკითხულობენ. ანტონი. ვინ?

მოჭამაგირე. ფაბრიკიდან არიან.

ანტონი (გულღაწვევით). დიდად გმადლობთ. რა გაეწყობა, უნდა წავიდე... (ქუდს ეძებს.) მეწყინა, ეშმაკმა დალაზვროს...

სონია. მართლაც საწყენია... ფაბრიკიდან სადილად ჩვენთან მობრძანდით.

ანტონი. გვიან იქნება, ვეღარც შევძლებ... (მოჭამაგირეს.) იცი, რა უნდა გითხრა, ერთი ქიქა არაუი მომიტანე. (მოჭამაგირე გაღის.) როღისლა... სადლა... (ქუდს დაინახავს.) ოსტროვსკის ერთ პიესაში დიდუღვაშა და უნიკო მოქმედი პირი პუავს, ის მე გახლავართ. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო... (ელენა ანდრეევნას.) თუ ოდესმე თქვენ და სოფია ალექსანდროვნა მეხტუმრებით, გულწრფელად გავიხარებ. პატარა მამულის პატრონი ვარ. სულ ოცდაათი დესეტინა თუ იქნება, მაგრამ თუ დავაინტერესებთ, ისეთი სანიმუშო ბაღი და სანერგე მაქვს, მსგავსს ირგვლივ ათასი ვერსის მანძილზე ვერაფერს ნახავთ. ჩემს გვერდით სახაზინო სატყეოა. მეტყვევებ ისეთი მოხუცი და ავადმყოფია, რომ სინამდვილეში იქაურობას მე განვაგებ.

ელენა ანდრეევნა. მითხრეს, ტყე გუვარებიანთ ძალიან, რა თქმა უნდა, კეთილი საქმეა, მაგრამ ვანა ეს ხელს არ უშლის თქვენს ძირი.

თად მოწოდებას? თქვენ ხომ ექიმის ბრძანდებნი?

ასტროზი. მხოლოდ ღმერთმა იცის, რა არის ჩვენი ნამდვილი მოწოდება.

ელენა ანდრეევანა. ხაინტერესოა?

ასტროზი. დიახ, ხაინტერესოა.

კონინიკი (რონიუღად). ძალიან.

ელენა ანდრეევანა (ასტროვს). ჭერ ახალგაზრდა ხართ. ოცდაათქვამეტ-ოცდაჩვიდმეტ წელს თუ მოგცემთ კაცი... არა მგონია, ისეთი ხაინტერესო იყოს, როგორც თქვენ ამბობთ. სულ ტყუილად, ალბათ, მოსაწყენია.

სონია. არაფერიც. ძალიანაც ხაინტერესოა. მიხაილ ლვოვიჩი უკვე წელიწადს ახალ ტყეს აშენებს, ბრინჯაოს შედალი და დიპლომატიკი მიიღო. ძველ ტყეზეც წრუნავს, რომ არ გააჩანაგონ. უფრო რომ დაუგდოთ, შეუძლებელია, არ დაუჭეროთ: ტყეები ამშვენებენო მიწას, ტყე ასწავლისო ადამიანს მშვენიერების შეგრძნებას, დიდებულ განწყობილებას უქმნისო. ტყე მკაცრ ჰაერს არბილებს. რბილჰაერიან ქვეუნიშვნეში კი ბუნებასთან ნაკლები ბრძოლაა საჭირო, ამიტომაც არის, რომ ასეთ ქვეუნიშვნეში ადამიანი უფრო სათნო და ნაზია, იქაურები უფრო ლამაზები, მოქნილები, ფიცხები არიან, დახვეწილად შეტყველებენ. გრაციოზულად მოძრაობენ. განვითარებული მეცნიერება და ხელოვნება აქვთ. ნათელ ფილოსოფიას ქმნიან. მათი ურთიერთობა ქალებთან ნატიფი კეთილშობილებითაა აღსავსე...

კონინიკი (სიცილით). ყოჩაღ, ყოჩაღ! ერთობ სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ დამაჭერებლობა აქლია, ასე რომ, (ასტროვს.) ჩემო ძმავო, არ გეწყინოს და ღუმელს კვლავაც შემთ გავაბურებთ და არც ფარდულის აგებისას ვიტყვი ხის მასალაზე უარს.

ასტროზი. ღუმელის გაბურება ტორფითაც შეიძლება. ფარდული კი ქვითაც აიგება. კი ბატონო, თუ გიჭირს, მოკერი ხე, მაგრამ ტყის გაჩანაგება საცოდაობაა. რუსული ტყე ნაჯახმა მოხპო. მილიარდობით ხე დაიღუპა, დაცარიელდა ნადირთა ბუნაგები და ფრინველთა ბუდეები. შეთხელდა და დაშრა მდინარეები; სამუდამოდ ჭრება ულამაზესი სანახები. და ყოველივე ამის მიზეზი ადამიანის სიზარმაცე და მოუსაზრებლობაა. დაიბარე, ბატონო, და მიწიდან აიღე საწვავი. (ელენა ანდრეევანას.) ხომ მართალს ვამბობ ქალბატონო? გონებადახშული ბარბაროსი უნდა იყოს, რომ სილამაზე ღუმელში დასაწვავად გაიმეტო. დაანგრიო ის, რისი შექმნაც არ შეგიძლია. ადამიანი იმიტომაც დაჭილდობებული გონებითა და შემოქმედებითი ნიჭით, რომ მისთვის ბოძებული ამრავლოს. თუმცა რა, დღემდე მას არაფერი შეუქმნია, მხოლოდ ანგრევს! ტყეები მცირდება, მდინარე-

ბი შრება, გარეული ფრინველი გადაშენდა, ჰავა უარესობისაკენ შეიცვალა, მიწა უკველწლიურად ღარიბდება და ლაზის ჰეარგავს... (კონინიკის.) აი, შენ ირონიულად მიუბრუნებ და ჩემი ნათქვამი არახეროზულად გეჩვენება... იქნებ მართლაც უცნაურია მაგრამ ჩემ მიერ გადარჩენილ ტყეს რომ ჩაუვადო ხოლმე ან ჩემი ხელით დარგული ნორჩი ტყის შრიალი მესმის, ასე მგონია, ამ ბუნების ბატონ-პატრონი ცოტათი მეც ვარ-მეთქი. ათასი წლის შემდეგ ადამიანი თუ ბედნიერებას ეწევა, ეს ალბათ, ჩემი წვლილიც იქნება... არყის ხეს რომ დავრგავ და მერე ვუბურებ, როგორ იფოთლება, როგორ ირწევა ქარში, გული სიამაყით მევსება და მე... (დაინახავს მოჯამაგირეს სინით ხელში და სინზე ჭიქა არყს). მაგრამ... (სვამს) უნდა წავიდე. ბოლოს და ბოლოს, ალბათ მართლაც უცნაურია ეს უველაფერი, გეთაყვა... კარგად ბრძანდებოდეთ!

(საბლისკენ მიდის.)

სონია (ხელს გამოსდებს და გაკყვება). კიდევ როდის ჩამოხვალთ?

ასტროზი. არ ვიცი.

სონია. ისევ ერთი თვის შემდეგ?

ასტროვი და სონია საბლში შედიან, მარია ვასილოვენა და ტელეგინი მაგიდასთან რჩებიან: ელენა ანდრეევანა და კონინიკი ტერასისკენ გაემართებიან.

ელენა ანდრეევანა. ივან პერტოვიჩ, რას გავს თქვენი ხაკციელი, რატომ გააღიზიანეთ მარია ვასილოვენა *perpetuum mobile*-ზე ლაპარაკით! ან საუზმეზე ისევ რატომ აუტებთ კამათი ალექსანდრს? ეს ხომ სულმდაბლობაა?

კონინიკი. მძულს და იმიტომ!

ელენა ანდრეევანა. ალექსანდრეს თქვენი საძულველი არაფერი სჭირს. თქვენზე უარესი არაფრით არ არის. ერთი ჩვეულებრივი ადამიანია.

კონინიკი. ნეტა თქვენი სახე, თქვენი მოძრაობა დაგანაბათ... პირდაპირ სიცოცხლე გეზარებათ! ო, როგორ გეზარებათ!

ელენა ანდრეევანა. მეზარება კიდევ და მომბეზრდა კიდევ! ყველა ჩემს ქმარს ლანძღავს, ყველა სინანულით მიუბრუნებს: საბრალო, ბებერი ქმარი შეავსო! მომკლა ამ თანაგრძნობამ. ო, როგორ მესმის მისი რა კარგად თქვა ასტროვმა: უაზროდ ღუპავთ ტყეებს და მალე დედამიწაზე აღარაფერი დარჩებაო. ზუსტად ასევე უაზროდ ღუპავთ ადამიანსაც და მალე, თქვენი წყალობით, ამქვეყნად აღარც ერთგულეობა იარსებებს, აღარც სიწმინდე და არც თავგანწირვის უნარი. რატომ უყურებთ მუშტრის თვლით ქალს, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით? იმიტომ რომ, მართალი თქვა ექიმმა. — ყველა თქვენგანს სულში თქვენივე სუ-

ლისა და ზორცის დამთრგუნველი ხატანა უზის. თქვენ არც ტყე, არც ფრინველი, არც ქალი, არც ერთმანეთი არ გენანებათ...

პონინი. მძულს ეს ფილოსოფია!
პ ა უ ზ ა .

ელენა ანდრეევნა. გადაღლილი და განერვიულებული ჩანს ექიმი. საინტერესო სახე კი აქვს... მე მგონი, სონიას მოხწონს, უყვარს კიდევ და ეს გასაგებიცაა, ჩემ აქ ყოფნაში სამჭერ გვესტუმრა, მაგრამ ჩემი სიმორცხვის გამო, ვერც რიგიანად დაველაპარაკე, ვერც სიტბო გამოვიჩინე. იქნებ კიდევაც ფიქრობს, ეს უცხვირპირო ქალი ვინ არისო. თქვენ ამიტომ დაგიმეგობრდით, ივან პეტროვიჩ, რომ ჩემსავით მოხაბეზრებელი და გაუძლისი ხართ! მოხაბეზრებელი! ასე ნუ მიყურებთ, არ მიყვარს!

პონინი. მიყვარხართ, აბა, სხვანაირად როგორ გიყუროთ? თქვენა ხართ ჩემი ბედნიერებაც, სიცოცხლევც, ჩემი სიყმაწვილევც. ვიცი ჩემს გრძნობას თქვენ არ გაიზიარებთ, ამის იმედი არცა მაქვს, მაგრამ მე ხომ არაფერს გთხოვთ! მხოლოდ იმის ნება მომეცით, გიყუროთ, გისმინოთ...

ელენა ანდრეევნა. ჩუმად, არავინ გაგვიგონოს! (სახლში შედის.)

პონინი (მიძვება). ჩემს სიყვარულზე ლაპარაკს ნუ ამიკრძალებთ! ხელს თუ არ მკრავთ, ესეც დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვის...

ელენა ანდრეევნა. ეს აუტანელია...

ორივენი სახლში შედიან.

ტელეგინი გიტარის სიმებს ჩამოჰკრავს და პოლკას უკრავს. მარია ვასილიევნა ბროშურის არეზე რალიცას იწერს.

ფ ა რ დ ა .

მეორე მოქმედება

სასადილო ოთახი სერებრიაკოვის სახლში. ღამეა. ბალიდან დარაჯის ხმაური ისმის.

სერებრიაკოვი ღია ფანჯარასთან სავარძელში ზის და თვლემს. მის გვერდით სავარძელში ელენა ანდრეევნა თვლემს.

სერებრიაკოვი (გამოფხიზლდა). ვინ არის? სონია, შენ ხარ?

ელენა ანდრეევნა. მე ვარ.

სერებრიაკოვი. დენოჩკა, შენა ხარ. მკლავს, ისე მტყავა.

ელენა ანდრეევნა. პლედი ჩამოგიცურდა. (ფეხებზე შემოახვევს). ფანჯარას დავკეტავ.

სერებრიაკოვი. არ დაკეტო, ისედაც ძლივს ვსუნთქავ... ახლა ჩავთვლიმე და მესიზმრა, თითქოს მარცხენა ფეხი წამერტვა. საშინელმა ტკივილმა გამომადვიძა, არა, ეს წიკრიხი არ უნდა იყოს, რევმატიზმს უფრო მგავს. ნეტა რა დროა?

უკონსულნი

ელენა ანდრეევნა. კარგად ვსუნთქავ წუთია.
პ ა უ ზ ა .

სერებრიაკოვი. დილით ბიბლიოთეკაში ბატოუშკოვი მომიძებნე. სადღაც იღო.

ელენა ანდრეევნა. რა მოთხარი?

სერებრიაკოვი. დილით ბატოუშკოვი მომიძებნე-მეთქი. მახსოვს, რომ გვაქვს ხუნთქვა რატომღა მიჭირს ასე?

ელენა ანდრეევნა. გადაიღაღე. მეორე დამეა, არ გძინავს.

სერებრიაკოვი. ამბობენ, ტურგენევს გულის ანგინა ნიკრისმა დამართათ. მეშინია, მეც ეგ არ მიჭირდეს. ეს რა წყეული, რა საშინელი ყოფილა სიბერე. ეშმაკმა დალაზვროს! დავბერდი, თავი მეწიზღებო. ალბათ, თქვენც გეწიზღებით.

ელენა ანდრეევნა. ისე მესაუვედურები, თითქოს ჩვენი ბრალია, რომ დაბერდი.

სერებრიაკოვი. ყველაზე უფრო შენ გეწიზღები.

ელენა ანდრეევნა ადგება და მოშორებით დაქდება.

განა გამტყუნებს ბრიყვი კი არა ვარ, მესმის. ახალგაზრდა, ჩანმრთელი სიცოცხლით სავსე ქალი ხარ, მე კი დავბერდი, დავჩაჩანაკდი, ასე რომ, გასაგებია. ცოტაც დამაცალეთ და მალე ყველას გაგანთავისუფლებთ. დიდი დღე აღარ დამჩენია.

ელენა ანდრეევნა. ისედაც ძლივს ვდგავარ ფეხზე. თუ ღმერთი გწამს გაჩუმდი!

სერებრიაკოვი. რა თქმა უნდა, მე გაგასავათეთ, გუნებასაც მე გიფუტებთ, შენ ახალგაზრდობას გიშხამავ, თავად კი ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, აბა, როგორ!

ელენა ანდრეევნა. გაჩუმდი! შენ ისე გამაწვალე!...

სერებრიაკოვი. პო, მე ყველა გავაწვალე. მართალი ბრძანდები!

ელენა ანდრეევნა (ცრემლმორეული). მეტი აღარ შემიძლია! მითხარი, რა გინდა ჩემგან?

სერებრიაკოვი. არაფერი.

ელენა ანდრეევნა. პოდა, გაჩუმდი, გვიძრები.

სერებრიაკოვი. საკვირველი ამბავია, ივან პეტროვიჩის ან გამოთაყვანებული მარია ვასილიევნას ლაპარაკს სიამოვნებით ისმენთ, მაგრამ, საკმარისია, ერთი სიტყვა ვთქვა და ყველანი ვიფლებით. ჩემი ხმაც კი გეწიზღებოთ. ვთქვათ, მართლაც საწიზღარი დესპოტი, ეგო-

ჩხტი ვარ. ნუთუ სიბერეში მაინც არა მაქვს ეგოისტობის უფლება? ნუთუ ვერ დავიმსახურე? გვეითები, ნუთუ სიბერეში ხიმშვიდისა და უურადლების უფლება ვერ მოვიპოვე?

ელენა ანდრეივნა. შენს უფლებებს არავინ გადავება.

ქარი ფანჯარას აჯახუნებს.

ქარი ამოვარდა, ფანჯარს დავკეტავ. (კეტავს.) გაწვიმდება, არავინ არ გადავება შენს უფლებებს.

პაუზა. დარაჯი ბალში რალაცის უკაცუნებს და მღერის.

სერებრიპკოვი. მთელი სიცოცხლე მეცნიერების სამსახურს შევწირე, შევეთვისე ჩემს სამუშაო ოთახს, აუდიტორიას, ღირსეულ ამხანაგებს და უცებ, კაცმა არ იცის რატომ, ამ ჯურღმულში აღმოვჩნდა უოველდღე ვუუარებ ამ ბრიყვებს, ვისმენ მათ უაზრო ლაპარაკს. ღმერთო ჩემო, მე სიცოცხლე მინდა, წარმატება მიყვარს, გამოჩინება მიყვარს, ხმაური. აქ კი — თითქოს გადასახლებაში ვიყო. რა დამჩენია, უოველ წუთს წარსული ვინატრო, სხვის წარმატებებს ვუცქირო, ვიკანკალო სიკვდილის შიშით... არ შემიძლია, ძალ-ღონე არ მოოფნის ისენი კი, უველაფერთან ერთად, სიბერესაც მაყვედრიან!

ელენა ანდრეივნა... დამაცადე, მოთმინება იქონიე: ხუთ-ექვს წელიწადში მეც დავბერდები.

შემოდის სონია.

სონია. მამა, აკი შენ თვითონ გვთხოვე, ასტროვი მომიყვანეთო; მოვიდა და არ მიიღე. უბერხულია, ტყუილად შევაწუხეთ.

სერებრიპკოვი. არ მჭირდება მე შენი ასტროვი. მაგან მედიცინა ისე იცის, როგორც მე ასტრონომია.

სონია. ახა რა გინდა, შენი ნიკრისის გული-სათვის მთელი სამედიცინო ფაკულტეტი მოვიწვიოთ?

სერებრიპკოვი. მაგ ჩიტირეკიას თავსაც არ გავუყადრებ.

სონია. შენი ნებაა. (დაჯდება.) ჩემთვის სულ ერთია.

სერებრიპკოვი. რა დროა?

ელენა ანდრეივნა. პირველია.

სერებრიპკოვი. სული მეხუთება... სონია, მაგ დაწე წვეთები დევეს, მომიცი!

სონია. ახლავე. (აწოდებს.)

სერებრიპკოვი (ჭირვეულად). ეგ არა! კაცი ვერაფერს ვერ დაგავალეხს!

სონია. შენი ჰირიმე, მამა, ჩემთან ნუ ჰირვეულობ. შენ იმასთან იჭირვეულებ, ვისთანაც გაგსვლია. მე თავი დამანებე! არ მიყვარს. არც მცალია, ღილით ადრე ვარ ასადგომი, თიბვას ვიწყებო.

შემოდის კონიეტი, ხალათი აცვია, ხელში სანთელი უჭირავს.

პრინციპი. ჰეჟა-ქუხილს აპირებს. (ელავს.) დაინახეთ? Helen და სონია, წადით, დაიძინეთ, ამაღამ მე დავრჩები.

სერებრიპკოვი (შეშინებულია): არა! არ დამტოვოთ! არა! **სონია** (წადით): დაიძინეთ, ამაღამ მე დავრჩები.

სერებრიპკოვი. წავიდნენ, დაიძინონ, შენც წადი. მაღლობელი ვარ უურადლებისათვის, მაგრამ გვედრები, ჩვენს ძველ მეგობრობას გაფიცებ, უარი არ მითხრა. სხვა დროს ვილაპარაკოთ.

პრინციპი (დაცინვით). წარსულს რომ ჩაბარდა, იმ მეგობრობას მაფიცებ ხომ?

სონია. გაჩუმდი, ძია ვანია.

სერებრიპკოვი (ცოლს). შენი ჰირიმე, მართო არ დამტოვო, ლაპარაკით გამაბრუებს.

პრინციპი. ეს უკვე სახაცილოა.

შემოდის მარინა, სანთელი უჭირავს.

სონია. დაწეჯი, გაღია, გვიან არის.

მარინა. სუფრის აღაგებას ველარ ველირხე, დასაწოლად სად მცალია.

სერებრიპკოვი. ყველა ფეხზეა, ყველა წელშია გამწყდარი საქმით... ერთი მე ვარ დაღუნული.

მარინა (სერებრიპკოვთან მივა, ტკბილად). რაო, ბატონო, გტკივა? მეც, მეც მიბუჟის ფეხები, მიბუჟის და მიბუჟის (პლედს შეუსწორებს.) ეგ თქვენი ძველი სატკივარია. მახსოვს, ცხონებული ვერა პეტროვნა, სონიჩკას დედა, ღამებებს გითენებდათ, როგორ სწუხდა... ებ, როგორ უყვარდით... (პაუზა.) რაღა მოხუცი და რაღა ბავშვი, სულ იმაზეა გაფაციცებული, ვინ შეიცოდებს... არა, მოხუცი არავის ეცოდება. (სერებრიპკოვს მხარზე აკოცებს.) წამოდი, ბატონო, დაწეჯი... წამოდი, გენაცვალე... ცაცხვის ჩაის დაგაღვიინებ, ფეხებს დაგიობობ... ვილოცებ შენთვის...

სერებრიპკოვი (გულაჩუყებულს). წავიდე, მარინა.

მარინა. მეც ერთთავად მიბუჟის ფეხები, მიბუჟის და მიბუჟის. (სონიასთან ერთად მიყავს.) მახსოვს, ვერა პეტროვნა რა დღეში იყო თავს იკლავდა... ტიროდა... შენ (სონიას). მაშინ სულ პატარა იყავი, უჭკუო... წავიდე, ბატონო... წავიდე, გენაცვალე...

ელენა ანდრეივნა. გამაწამა, ფეხზე ძლივს ვდგავარ.

პრინციპი. თქვენ მაგან გაგაწამათ, მე კი საკუთარმა თავმა, მესამე ღამეა არ მძინავს.

ელენა ანდრეივნა. ერთმა ღმერთმა იცის, რა ხდება ამ სახლში. დედათქვენს ყველა და ყველაფერი სძულს, — პროფესორისა და თა-

ვისი ბროშურების გარდა. პროფესორი გალი-
ნიანებულა — ჩემი არ სჯერა, თქვენი ეშინია,
სონია მამამისზეა გაქავრებული, მეც მეზუტე-
ბა და აგერ უკვე ორი კვირაა, ხმას არ მცემს.
თქვენ გაულთ ჩემი ქმარი, ყველას დახანაბ-
ვად აბუჩად იგდებთ ხაკუთარ დედას; მე ისე
ვარ განერვიულებული — აღარც ვიცი, რამ-
დენჯერ ავტირდი დღეს... ღმერთმა უწყის, რა
ხდება ამ სახლში.

პოინიციპი. შევეშვათ ფილოსოფიას!

ელენა ანდრეევნა. ივან პეტროვიჩ, განა-
თლებული, ჰკვიანი კაცი ხართ და უნდა გეს-
მოდეთ, ჰვეყანას უჩაღები ან ხანძარი კი არ
უღებს ბოლოს, არამედ სიძულვილი, მტრო-
ბა, წვრილმანი უსიამოვნება ღუპავს.. იმის მა-
გივრად, რომ ყველა შეარბოთ, გაუთავებლად
ბუზღუნებთ.

პოინიციპი. ჯერ საკუთარ თავთან შემარი-
გეთ და მერე მომთხოვეთ ეგ, ჩემო ძვირფასო,
(ხელზე ემთხვევა.)

ელენა ანდრეევნა. თავი დამანებეთ! (ხელს
გამოართმევს.) წადით!

პოინიციპი. საცაა გაწვიმდება. ბუნებაში ყო-
ველივე გამოცოცხლდება და შვეებით ამოისუნ-
თქავს. მე კი ველარაფერი გამოშაცოცხლებს.
დღე და ღამე მაქლაქუნანავით მახრჩობს იმაზე
ფიქრი. რომ ყველაფერი დასრულდა, ხელი-
დან გამომეცალა. წარსული სისულელეებში გა-
ვხარჯე უტკუოდ, ხოლო აწმყო ისეთი უაზრობაა,
მაშინებს. ინებეთ, ეს გახლავთ ჩემი ცხოვრება
და სიყვარული. რა ვუყო ახლა ან ერთს, ან
მეორეს, რა მოვუხერხო? ორმოში ჩავარდნი-
ლი მშის სხივივით დახადუპავადაა განწირული
ჩემი გრძნობა და აკი ვიღუპები კიდევ.

ელენა ანდრეევნა. როცა თქვენს სიყვარუ-
ლზე შელაპარაკებით, რაღაცნაირად ვიბნევი და
არც კი ვიცი, რა ვიწამო, მაპატიეთ და სათ-
ქმელიც არაფერი მაქვს (მიდის.) ღამე ნებისა!

პოინიციპი (გადაეღობება). ვერც წარმოიდ-
გენთ, როგორ მტანჯავს იმაზე ფიქრი, რომ ჩემ
გვერდით, ჩემსავე სახლში ტუილ-უბრალოდ
მეორე სიცოცხლეც იღუპება. — თქვენი სი-
ცოცხლე! რას ელოდებით? რომელი წყვეული
ფილოსოფია გიბორკავთ ხელ-ფეხს? შეუშვით
თავში, შეუშვით, რომ...

ელენა ანდრეევნა (დააკვირდება). ივან პე-
ტროვიჩ, თქვენ ნახვამი ხართ!

პოინიციპი. შესაძლოა, შესაძლოა.

ელენა ანდრეევნა. ექიმი სად არის?

პოინიციპი. იქ, ჩემთან სძინავს. შესაძლოა,
შესაძლოა, ყოველივე შესაძლოა!

ელენა ანდრეევნა. დღესაც დალიეთ? რას
ნიშნავს ეს?

პოინიციპი. ასე უფრო ვიტყუებ თავს.. თი-
თქოს და მეც ვცხოვრობ... ნუ მსაყვედურობთ.

ელენა ანდრეევნა. როდის იყო, რომ სვამ-
დით, ან ამდენს ლაპარაკობდით. წადით, დაი-
ძინეთ! ღმერთმანი თავი მომხებურეთ!

პოინიციპი. (ხელზე ემთხვევა.) ჩემო ძვირ-
ფასო... მშვენიერო!

ელენა ანდრეევნა. (ხელზე ემთხვევა.) თავი დამანე-
ბეთ. ეგ უკვე მეტყუებათ! (მიდის.)
(მიდის.)

პოინიციპი (მარტო). წავიდა. (პაუზა.) ათი
წლის წინათ ვხვდებოდი ხოლმე ჩემს ცხოვ-
რებულ დასთან. ჩვიდმეტი წლის გოგო იყო მაშინ,
მე — ოცდაჩვიდმეტის ვიყავი. რატომ მაშინ
არ შემიყვარდა და არ ვთხოვე ხელი? მაშინ
ხომ ხულ უბრალოდ მოხდებოდა ყველაფერი!
დღესაც ჩემი ცოლი იქნებოდა... დიახ... ახლა
ორთავეს ერთად გაგვალვიძებდა ეს ჰეპა-ჰუ-
ხილი. მოვეფერებოდი, ჩურჩულით დავაწყნა-
რებდი ჩემს მკლავზე მისვენებულს, ნუ გე-
შინია, მე ხომ შენ გვერდით ვარ-მეთქი. ნეტა-
რებაა, მეცინება კიდევ... მაგრამ, ღმერთო
ჩემო, აზრები ამერია თავში... რა დროს დავ-
ბერდი? რატომ არ უსმის ჩემი? ო, როგორ
მეჭაყრება მისი რიტორიკა, უმაქნისი მორალი,
სულელური, მდორე ფიქრები სამყაროს და-
ღუპვაზე. (პაუზა.) როგორ მოვტყუვდი! რა შე-
მაყვარა ეს ნიკრისით დაბუთული უბადრუკი
პროფესორი. სახედარივით რატომ ვუმსახუ-
რე. მიწა გამოვფიტეთ, ხარაქა არ შევარჩინეთ
მამულს მე და სონიამ, კულაკებივით ყველა-
ფერი გაგვქონდა გასაყიდად: ზეთი, ცერცვი,
ხაჭო, ლუკმას ვიკლებდით, კაპიკს კაპიკზე ვა-
წებებდით, რომ ათასები შეგვეგროვებინა და
მისთვის გაგვეგზავნა. როგორ მეთამაყებოდა თა-
ვად ისიც, მისი მეცნიერებაც, მისით ვსუნთ-
ქავდი და ვარსებობდი! გენიალური მეჩვენებო-
და ყოველი მისი ნაწერი და ნათქვამი... ღმე-
რთო ჩემო, ახლა? გადადგა თუ არა, აშკარად
გამოჩნდა მთელი მის ცხოვრების უაზრობა,
მოკვდება და ერთი ფურცელიც აღარ დარჩება
მისი ნააზრევიდან, ვიღას ეცნობება, ვინღა ახ-
სენებს, — არარაობა! სანის ბუშტის როგორ
გამიყრუვდა ყოველივე. ო, რა სულელურად
მოვტყუვდი!

შემოდის ასტროვი, სერთუკი აცვია, უჭილე-
ტოდ და უპალტუბოდაა, შეჭეიფიანებულია.
უკან ტელეგინი მოქყვება გიტარიით ხელში.

ასტროვი. დაუკარი!

ბაღაბინი. ყველას სძინავს.

ასტროვი. დაუკარი-მეთქი!

ტელეგინი ხმადაბლა უკრავს.

(ეოინიციპის.) მარტო ხარ? ქალბატონები არ
ბრძანდებიან? (დოინჯს შემოიყრის და ხმადა-
ბლა მღერის). «Ходи хата, ходи печь,
хозяину негде лечь»... ჰუხილბა გამოხად-

ვიდა. დიდის აშხით წვიმს. ნეტა რომელი საათია?

პონინიძე. მე რა ვიცი.

ასტროვი. თითქოს ელენა ანდრეევას ხმა მომესმა.

პონინიძე. ამ წუთში აქ იყო.

ასტროვი. ბრწყინვალე ქალია. (მაგიდაზე წამლის შეშებს ათვალეოებს.) წამლები. ეს რა რეცეპტების კორიანტელია! ხარკოვი, მოსკოვი, ტულა... რამდენი ქალაქი შეუწუხებია თავისი ნიკრისით. მართლა ავადაა თუ იგონებს?

პონინიძე. ავადაა. (პაუზა.)

ასტროვი. რა თავ-პირი ჩამოგტირის?! ასე გეცოდება პროფესორი?

პონინიძე. თავი გამანებე.

ასტროვი. იქნებ ცოლი შეგიყვარდა მისი?

პონინიძე. ჩვენ შეგობრები ვართ.

ასტროვი. უკვე?

პონინიძე. რას ნიშნავს „უკვე“?

ასტროვი. ქალისა და მამაკაცის შეგობრობა შემდეგნაირად ვითარდება: თავდაპირველად ისინი ნაცნობები არიან, მერე საყვარლები, მერე უკვე — შეგობრები.

პონინიძე. უხამსი ფილოსოფიაა.

ასტროვი. რა მითხარით? თუმცა... ცოდვა გამხელილი ჯობს, უხამსობა მართლაც შემომეპარა. ხომ მხედავ, რა მთვრალი ვარ. ჩვეულებრივ, ასე თვეში ერთხელ ვთვრები ხოლმე. სიმთვრალეში წარმოუდგენლად მოურიდებელი ვხდები, თავხედაც კი. სულ ფეხებზე მკიდია ყველაფერი! ასეთ დროს ყველაზე რთული ოპერაციის გაკეთებასაც ვხედავ და მშვენივრადაც ვაკეთებ, სამომავლო გეგმებს ვადგენ ხოლმე. აღარც დარეხვილი მგონია თავი და ვიჭერებ, რომ დიდად ვარგივარ კაცობრიობას, დიდადი. ამ მდგომარეობაში საკუთარი ფილოსოფიური სისტემა მაქვს და ყველანი, ძმანო ჩემნო, ერთი ბეწონი მერყენებით, მიკრობების ტოლა. (ტელეფონს.) დაუკარი ერთი!

მელეზინი. ამ სიამოვნებას როგორ მოგაკლებდი. მაგრამ გაიგე, ყველას სძინავს!

ასტროვი. დაუკარი-მეთქი!

ტელეფონი ხმადაბლა უკრავს.

წამო, დავლიოთ, მგონი ცოტა კონიაკი კიდევ დაგვრჩა. გათენდება და ჩემთან წავიდეთ. მოიდა? ერთი ექთანს მყავს, არას დიდებით „მოვიდას“ არ იტყვის, ერთთავად „მოიდა-მოიდას“ გაიძახის. კარგი გაიძვერაა. ესე იგი, მოიდა? (სონიას დაინახავს.) მაპატიეთ, უპალსტუხოდ ვარ. (სწრაფად გადის, ტელეფონი გაპყვება.)

სონია. ძია, ექიმთან დათვერი ისევ? გამომივიდნენ შეგობრები! ის რომ სვამს, აღარავის უკვირს. შენ რაღა დაგემართა? არ გეკადრება ამ ბნის კაცს.

პონინიძე. ხანი რა შუაშია, როცა აღამიანი ხალდი ცხოვრებით ვერ ცხოვრობს, მირაფით იტყუებს თავს. სულ არაობას ასე მაქვს სჯობია.

სონია. თივა წვიმაში გვიღებდა და შენ კი მირაფით ერთობი. ხელის შეხებით გინდა. მარტო შრომით გინდა... (შეშინებული.) ძია, ცრემლი მოგადგა თვალზე!

პონინიძე. არავითარი ცრემლი არავითარი.. რა სისულელეა... ამ წუთში ზუსტად ცხონებული დედაშენივით შემომხედდა, ჩემო კარგო... (ხარბად ეკონია ხელებს, სახეს.) ჩემი და... ჩემი საყვარელი და... სადა მყავს ახლა! რომ იცოდეს, ემ, რომ იცოდეს!

სონია. რა, რა უნდა იცოდეს?

პონინიძე. როგორ მიმძიმს, რა ცუდად ვარ... არაფერია... მერე, არაფერია... წავალ... (მიდის.)

სონია (კარზე აკაკუნებს). მიხილ ლვოვიჩი! არ გძინავთ? თუ შეიძლება, ერთი წუთით!

ასტროვი (მიგნიდან). ახლავე! (ცოტა ხანში გამოდის, აცვია ქილეტი და პალსტუხიც უკეთია.) რას მიბრძანებთ?

სონია. თქვენ სვით, ბატონო, თუ გნებავთ, ოღონდ, გემუდარებით, ძიას ნულარ დაალევიანებთ, მისთვის მავნებელია.

ასტროვი. კეთილი. მეტს არ დავლეთ (პაუზა.) შინ წავალ. ვთქვი და შევასრულებ კიდევ. ვიდრე ცხენს შემოკაზმავენ კიდევ გათენდება.

სონია. თავსხმაა. დილაამდე მოიცადეთ.

ასტროვი. საშიში არაფერია, მეხი მე არ დამეცემა, დიდი-დიდი გამკენწლოს. წავალ. ძალიან გთხოვთ, ნულარ გამომიძახებთ, მამათქვენს ჩემი მაინც არაფერი ესმის. ნიკრისია-მეთქი, ის კი — ახირებულად — რევმატიზმიაო. მე ვეუბნები, უნდა იწვეთ-მეთქი, ის კი ერთთავად წამომგდარა ლოგინში. დღეს ლაპარაკიც არ ისურვა ჩემთან.

სონია. განებივრებულია. (კარადაში რაღაცას ეძებს.) შექამთ რამეს?

ასტროვი. სიამოვნებით.

სონია. ღამე ჰამა მიყვარს. რამეს უსათუოდ ვიპოვი ხოლმე... ამბობენ, ქალებს მოსწონდათო ძალიან და მათ გაანებივრესო. ასე, გამომართვი ყველი. (ორივენი კარადასთან დგანან და ჰამენ!)

ასტროვი. დღეს არაფერი მიჭამია, მხოლოდ ვსვამდი. მიძიმე ხასიათის კაცია მამათქვენი. (კარადიდან ბოთლს გამოიღებს.) ხომ შეიძლება? (ჰიქას გადაპყრავს.) მარტონი ვართ და გულახდილად გეტყვით. თქვენს სახლში, ალბათ, ერთ თვესაც ვერ გავძლებდი, დავიხრჩვებოდი... აქეთ მამათქვენი, თავისი ნიკრისისა და

წიგნების მეტი რომ არაფერი აინტერესებს, იქით — ბიძათქვენი, თავ-პირი რომ ჩამოსტირის, ცალკე — დიდდათქვენი, ცალკე კიდევ — თქვენი დედინაცვალი და...

სონია, რა ჩემი დედინაცვალი?

ანტონი. ადამიანი უოველმხრივ შემკული უნდა იყოს: სახითაც, ჩაცმულობითაც, გონებითაც... ორი აზრი არ არსებობს, რომ თქვენი დედინაცვალი მშვენიერი ქალია, მაგრამ... რა მერე? კამს, სვამს, სძინავს, სეირნობს, გვხობლავს თავისი სილამაზით. ეს არის და ეს. სხვათა მსახურება მას არ აწუხებს, პირიქით — სხვები ემსახურებიან მას... ასე არ არის? მოდა, ამგვარი ცხოვრება, მოგეხსენებათ, უმწიკვლო ვერ იქნება. (პაუზა.) რა ვიცი, იქნებ ძალიან მკაცრადაც კი ვსჯი. მეც თქვენი ძიასი არ იყოს, ცხოვრებით უკმაყოფილო ვარ. ალბათ ამიტომ ვბუზღუნებთ ორივენი ამდენს.

სონია. თქვენა ხართ ცხოვრებით უკმაყოფილო?

ანტონი. საერთოდ, ვეტრფი სიცოცხლეს, მაგრამ ამ ჩვენი მაზრის, რუსული, ობივატელურ ცხოვრებას ვერ ვეგუები, მთელი არსებით მძულს. პირადად ჩემი ცხოვრების თაობაზე კი რა მოგახსენოთ? კარგი არაფერი მინახავს. ხომ იცით, როცა უკუნეთ დამეში ტყე-ტყე მიდიხარ და ხაღვაც შორს სინათლის ნაპერწკალი თრთის, აღარც დაღლილობას გრძნობ, აღარც სიბნელის შიში გაქვს და ეკლიან ტოტებსაც არაფრად აღგებ, სახეში რომ გირტყამს... ასეა, მოგეხსენებათ, ჩემსავით ამ მაზრაში ცოტა ვინმე თუ შრომობს, მაგრამ... ბედი უოველ ნაბიჯზე აფთარივით მყავს ჩასაფრებული... რა ტანჯვა-წამებაში ვარ, მაგრამ წინ ვერავითარ ნაპერწკალს ვერ ვხედავ... აღარაფერს ველოდები, არ მიუვარს ადამიანები... დიდი ხანია აღარავინ მიუვარს.

სონია. არავინ?

ანტონი. არავინ. სულ ცოტათი თქვენი ვაღია მიუვარს, ისიც წარსულის ინერციით. აქაური გლეხები ხომ ყველა ერთმანეთს მგავს. ბნელები, ჭუჭყიანები, ვერც ინტელიგენციასთან გამოვნახე საერთო ენა. მგლიან, ვისაც კი ვიცნობ, შეზღუდულ აზროვნებასა და წვრილმან გრძნობებს არიან აყლილნი, საკუთარი ცხვირის იქით, ვერაფერს ამჩნევენ. ერთი სიტყვით, ბრიყვების კრებულია. ცოტათი უფრო ჭკვიანებსა და გონიერებს, ისტერია აღრჩობთ, ანალიზისა და რეფლექსის კია კამით... წუწუნებენ. იღრინებიან, ავადმყოფურად ცილს სწამებენ ერთმანეთს, უთვალთვალეზენ, ეჭვით უცქერენ, თავისი დასკვნები გამოაქვთ, „ეს ფსიქოპათია!“ ან „ეს ფრაზიორია!“ რომ ვეღარ გაარკვიებს, მე რა იარღიყი მომაწებონ, „ახირებული“ დამარტყვებს. ტყე მიუვარს, — ახი-

რებულიაო, ხორცს არ კვამ. — ახირებულიაო. გულწრფელი. სუფთა, უშუალო დამოკიდებულება არც ბუნებასთან აქვთ და აღარც ადამიანებთან... არა და არა. (დაღლილი ვხედა.)

სონია (არ ანებებს). აღარ დაღლილ გთხოვთ, გემუდარებით.

ანტონი. რატომ?

სონია. არ შეგშვენით, თქვენ ისეთი დახვეწილი კაცი ხართ, ისეთი ნაზი ხმა გაქვთ... უფრო მეტიც, ჩემს ნაცნობებში თქვენ ყველაზე მშვენიერი ბრძანდებით. რატომ გინდათ, რომ ჩვეულებრივ მსმელებსა და ბანკოს მოთამაშეებს დაემსგავსოთ? ნუ იზამთ ამას, გემუდარებით! აკი თვითონ ამბობთ, ადამიანები არ ქმნიან, ისინი მხოლოდ ღვთივ ბოძებულს ანადგურებენო. რატომ, რატომ ინადგურებთ საკუთარ თავს? ნუ იზამთ, ნუ იზამთ ამას, გემუდარებით, ყველაფერს გაფიცებთ.

ანტონი (ხელს გაუწვდის). აღარ დავღვე-სონია. მპირდებით?

ანტონი. სიტუვას გაძღვეთ.

სონია (მაგრად ართმევს ხელს). გზადლობთ!

ანტონი. მორჩა. გამოვფხიზლდი. ხომ ხედავთ, როგორ გამოვფხიზლდი, ამიერიდან სიკვდილამდე ასე ფხიზლად ვიქნები. (საათს დახედავს.) მაშ ასე, განვაგრძოთ, გეუბნებით: საჩემო დრო წავიდა-მეთქი, დროს ჩამოვრჩი... დავბერდი, შრომამ გამტეხა, გავფუჭდი, ყველანი გრძნობა დამიჩლუნგდა, ასე მგონია, ვეღარავინ შევეთვისები. არავინ მიუვარს და... ვეღარც შევიუვარებ. ერთადერთი, რაც ჩემს ყურადღებას კიდევ იპურობს, სილამაზეა. სილამაზისადმი გულგრილი ვერა ვარ. აი ელენა ან დრევენამ რომ მოინდომოს. ალბათ ერთ დღეში თავ-გზას ამიბნევს. მაგრამ ეს ხომ სიუვარული არ იქნება... (თვალეებზე ხელეებს აიფარებს. შეკრთება.)

სონია. რა მოგივიდათ?

ანტონი. არაფერი... დიდმარხვას საოპერაციო მაგიდაზე დამირჩა ავადმყოფი... დაძინებული...

სონია. ეგ უნდა დაივიწყოთ... (პაუზა) მიხაილ ღვოვიჩ, თქვენ ერთი ის მითხარით... ვთქვათ, გაიგეთ, რომ ჩემს მეგობარს, ანდა, ვთქვათ, ჩემს უმცროს დას... უუვარხართ, როგორ მოიქცევოდით?

ანტონი (მხრებს აიწეჩავს). ვერ გეტყვით, ალბათ არანაირად... ვაგრძნობინებდი, რომ არ შემიძლია მისი შეუვარება... მაგაზე არასოდეს მიფიქრია. წასვლა სჯობს, დროა. მშვიდობით, ჩემო კარგო, თორემ თუ შევეყვით, დაგვათენდება კიდევ. (ხელს ჩამოართმევს.) თქვენის ნებართვით სასტუმრო ოთახიდან გავალ, თორემ ბიძათქვენმა რომ დამინახოს, დამიძაბებს. (გადის.)

სონია (მარტო). არაფერი მითხრა... ჭერ გულდახშულია ჩემთან. მაშ რატომღა ვგრძნობ თავს ასე ბედნიერად? (ბედნიერებისაგან იციინის.) ეს რა სასწაულია: დახვეწილი, კეთილშობილი ხართ-მეთქი, ვუთხარი, კარგი ხმა გაქვთ-მეთქი... მე მგონი, ზუსტად ვუთხარი... ათრთოლებული, მოალერსე ხმა აქვს. ჰაერში ვგრძნობ მის ხმას. უმცროს დაზე რომ ვუთხარი, ვერაფერს მიხვდა... (ხელებს იმტვრევს.) ო, რა საშინელებაა, რატომ არა ვარ ულამაზო ვარ, ვიცი, ვიცი... გასულ კვირადღეს ეკლესიიდან გამოსვლისას გავიგონე, ქალები ჩემზე ლაპარაკობდნენ. ერთმა თქვა: კეთილი, დიდსულოვანი გოგოა, მაგრამ დასანანია, ასეთი ულამაზო რომ არისო... ულამაზო...

შემოდის ელენა ანდრეევნა.
ელენა ანდრეევნა (ფანჯრებს აღებს). გადაიღო, რა კარგი ჰაერია! (პაუზა.) ექიმი სად არის?

სონია. წავიდა (პაუზა.)
ელენა ანდრეევნა. ხოფი!

სონია. რა გნებავთ?
ელენა ანდრეევნა. როდემდე იქნები გაბუტული? ჩვენ ხომ ერთმანეთისათვის არაფერი დაგვიშავებია და რატომ ვართ ასე მტრულად? არ ქმარა?

სონია. მეც მინდოდა... (მოუბევევა.) გვეყო გაბუტვა.

ელენა ანდრეევნა. პოდა, ასე. ორივე აღელვებულია.
სონია. დაწვა მამა?

ელენა ანდრეევნა. არა. სასტუმრო ოთახში წიხ... მთელი კვირათობით არ ველაპარაკებოთ ერთმანეთს, ღმერთმა იცის, რატომ... (ღია კარადას შეხედავს.) რა ხდება?

სონია. მიხაილ ლვოვიჩმა ივახშმა.

ელენა ანდრეევნა. ღვინოც ყოფილა, მოდიოთ, ბრუდერშაფტი დავლიოთ.

სონია. სიამოვნებით.

ელენა ანდრეევნა. ერთი კიქით... (დაიხამს.) ასე სჯობია. ესე იგი — ჭერ შენ?

სონია. შენ. (დაღევენ და ერთმანეთს გადაკოცნიან.) დიდი ხანია შერიგება მინდოდა, მაგრამ მრცხვენოდა... (ტირის.)

ელენა ანდრეევნა. რა გატირებს?

სონია. არაფერია, ისე!

ელენა ანდრეევნა. კარგი, გეყოფა, დამშვიდდი... (ტირის.) მეც ამატირე, შე ჩიტირეკია... (პაუზა.) შენ გგონია, მამაშენს ანგარებით გავყვეი და ამიტომ მიბრაზდები. გჭერა ფიცის? გეფიცები, სიყვარულით გავყვეი. მომეწონა როგორც ცნობილი პიროვნება. გამოჩენილი მეცნიერი. მართალია, ეს არ ყოფილა ჩამდვლილი სიყვარული, თუმცა მაშინ

მე ჩამდვლილი მეგონა. რა ჩემი ბრალია! შენ კი ქორწინების პირველი დღიდანვე მანადგურებ შენი ჭკვიანი და იქვენული გამოხედვით.

სონია. ხომ შევრიგდით. ნულარ გავიხსენებთ.

ელენა ანდრეევნა. ასე! ნულარ გავიხსენებთ — არ გიხდება. ადამიანებს უნდა ექნებოდეთ სხვაგვარად ცხოვრება გაგვიქირდება. (პაუზა.)

სონია. როგორც მეგობარს გულახდილად მითხარი... ბედნიერი ხარ?

ელენა ანდრეევნა. არა.

სონია. ასეც ვიცოდი. კიდევ ერთს გკითხავ, არ დამიბალო, გინდა, ახალგაზრდა ქმარი გუადღეს?

ელენა ანდრეევნა. ჭერ ისევ ბავშვი ხარ. რა თქმა უნდა, მინდა (იციინის.) კიდევ მკითხე რამე, მკითხე...

სონია. ექიმი თუ მოგწონს?

ელენა ანდრეევნა. ძალიან.

სონია (იციინის). სულელური სახე მაქვს... არა? აი, ახლა ხომ აქ არა არის, მაგრამ მისი ხმა და ნაბიჯების ჩქამი ახლაც მიეუფრება, ამ ჩაბნელებულ მინაშიც კი მის სახეს ვხედავ. მოიცა, მათქმევინე, ხმამალლა ლაპარაკი არ შემიძლია, მრცხვენია. ჩემთან შევიდეთ, იქ ვილაპარაკოთ. სულელი გგონივარ, ხომ? გამოტყდი... ხოგ ასეა? მითხარი რამე, მითხარი ექიმზე...

ელენა ანდრეევნა. აბა, რა გითხრა?

სონია. რომ ჭკვიანია... რომ ყველაფერი იცის, ყველაფერი ეხერხება, რომ უბადლო მკურნალია — ადამიანებისაც, ტყისაც....

ელენა ანდრეევნა. ტყე და მედიცინა აქ არაფერ შუაშია... ჩემო კარგო, გაიგე, ეს ზეგარდმო ნიქია იცი, რა არის ზეგარდმო ნიქი? სითამამე, ლალი აზროვნება, ფართო გაქანება... დღეს რომ ხეს დარგავს, ექიმი იმას ვარაუდობს, ათასი წლის შემდეგ სიკეთეს მოიტანსო... კაცობრიობის ბედნიერებაზე ფიქრობს. იშვიათად იბადებიან ასეთი ადამიანები, მათ დაფასება სჭირდებათ... სვამს, ღიახ... ზოგჯერ უხეშიც კია, დიდი ამბავი ნიქიერი კაცი რუსეთში ყოველმხრივ შემკული ვერ იქნება... აბა, დაფიქრდი, რა ყოფაშია? კისრამდე ტალახში საიდან სად უწევს სიარული ყინვასა და ქარბუქში. ირგვლივ უხეში, ველური ბალნია, გაჭირვება, ავადმყოფობა. ის კაცი, ვისაც ასეთ პირობებში შრომა და ყოველდღიური ბრძოლა უხდება, ორმოცი წლის ასაკში სუფთად ჩაცმული ვერ ივლის და ვერც ფხიზელი ვეღარ იქნება... (აკოცებს.) სულით და გულით გისურვებ ბედნიერებას, შენ ყველანაირი სიკეთის ღირსი ხარ... (ადგება.) მე რა, მე ერთი შემთხვევითი, უღიმღამო ვინმე ვარ... მუსიკაშიც, ქმრის ხახლშიც, ყველგან და ყველაფერში მხო-

ლოდ ეპიზოდური პერსონაჟი ვარ. მართალი გითხრა, სონია, რომ დაეფიქრებო, ჩემზე უბედური არავინ მგონია (ნერვიულად დადის სტენაზე.) ამქვეყნად ბედნიერება არ შეწერა არა, რა გაცილებს?

სონია (სახეზე ხელებაფარებული იცინის). ისეთი ბედნიერი ვარ... ისეთი ბედნიერი...

ელენა ანდრეევნა. სიამოვნებით დავუყრავდი რამეს.

სონია. დაუყარი. (მოეხვევა.) მაინც არ მეძინება... დაუყარი!

ელენა ანდრეევნა. ახლავე, მამაშენს არ სძინავს. ავად როცაა, მუსიკას ვერ იტანს, წადი ჰკითხე, თუ ნებას მომცემს, დავუყრავ წადი!

ბიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ მოქმედებას, გმირების ცხოვრების გარეგან მხარეს, ინტრიგების, სათბრობად მომგებიან ისტორიებს გადმოცემს, თანამედროვე პირობებში უგემოვნებაა. დროის გრძნობითაა ნაკარნახევი პერტლინგისა და დე ბროინის მიერ არჩეული გზა: გულახდილობა, დოკუმენტურობა, ფიქციურისა და მოქმედების შეზღუდვა, ესეისტური ჩანართების სიმრავლე, რომანის წერის პროცესის გააშქარება.

რობერტ მუზილს მიაჩნდა, რომ მოაზროვნე ადამიანის რომანის ტანში გადმოცემა ესეისტურის გარეშე შეუძლებელი იქნება. დე ბროინი და პერტლინგი ესეს ფორმას შეცნიერული და მხატვრული სათქმელის შერწყმის მიზნით მიმართავენ. ეს პაულისა და პოლდერლინის სახეების შექმნისას მხატვრულთან ერთად, მათ შეცნიერულ გააზრებას ახდენდნენ. სწორედ ეს თავისებურება ართულებს ნაწილობრივ მათი წიგნების ტანის დადგენას, უკეთ, ხადავოს ხდის მას.

ესეისტური თუმცა აზიანებს რომანის ტრადიციულ აღქმას, მოქმედების დინამიურობას, პერსონაჟთა პლასტიურობას, ართულებს მკითხველის მიერ მათ წარმოდგენას, მაგრამ სანაცვლოდ აღრმავებს ავტორის სათქმელს.

გერმანულ რომანს შეცნიერებისა და ბელოვების სინთეზის ტრადიცია აქვს. ამ სინთეზს ჯერ კიდევ ფრიდრიხ შლეგელმა მოითხოვდა რომანტიკული მწერლობიდან. ესეისტურ ჩანართებს რომანში ვხვდებით ვილანდთან, ეს პაულთან, ფრ. შლეგელთან, გოეთესთან, კელერთან, მაგრამ ესეისტისა, ესეისტურის სიმრავლე მაინც XX საუკუნის რომანის თვისებაა და მისი მწვერვალი, თომას მანის, მუზილისა და ბროხის სახელებს უკავშირდება.

დე ბროინისა და პერტლინგის წიგნები ესეისტური ჩანართებით აგრძელებენ გერმანული რომანის შეცნიერებისა და ბელოვების სინთეზის ტრადიციას. თუმცა, „ეს პაულ ფრიდრიხ რიხტერის ცხოვრება“ და „პოლდერლინი“ საერთო სტრუქტურითა და შესრულების მანერით, გამოწვევის, უმირიხა და მთბრობელის გააზრებითა და სპეციფიკით ე. წ. „რომანის კრიზისის“ კონტურებს ატარებენ. ესეისტური ჩანართები თავისთავად კრიზისულ მოვლენად აღიქმებიან რომანისათვის: „არაფიქციური, რომელიც შლის რომანს, ეს არის ფილუსოფიური, გნებავთ მეცნიერული ახსნა-განმარტებების სიჭარბე“. — ეს ერთ კალერის ნიჭყვებია. დობლინი ესეისტური დეგენერაციის შესახებ წერს, თვით თომას მანი, რომელიც თუმცა ხშირად და წარმატებით იყენებს ესეისტურ მეთოდს. რომანს ფსევდო ესეისტისკაში გადაზრდის საფრთხეს უქადის. მუზილიც კი უკმაყოფილოა ზოგჯერ რომანში ესეისტურის სიჭარბით. რომანში ესეისტურის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე მაიმიტო ფონ დოდერერი, რომელიც რობერტ მუზილს ჭარბი ესეისტურობის გამო არკიტიკებს, აქედან ჩანს, რომ ესეისტურის სიჭარბე რომანისათვის, თუ ამ უკანასკნელის პირვანდელ დანიშნულებად გმირებისა და მათი მოქმედებების ასახვას, ამბის მოთხოვრებას მივიჩნევთ, მაინც კრიზისული ნიშანია, მიუხედავად იმისა რომ ესეისტურობის მწვერვალი XX საუკუნის პირველი ნახევრის რომანია. ამ პერიოდში კი, თუმცა გაისმოდა ხმები რომანის კრიზისის შესახებ, ეს საკითხი არ იყო ისეთი მწვავე, როგორც ნი-იანი წლებისათვის იქცა.

გიუგტერ დე ბროინის „ეს პაულ ფრიდრიხ რიხტერის ცხოვრებისა“ და პეტერ პერტლინგის „პოლდერლინის“ განხილვა უკვე „რომანის კრიზისის“ შესახებ დისკუსიის ფონზეა აუცილებელი. მეცნიერულისა და მხატვრულის სინთეზი, ესეისტურობა, ყოველისმცოდნე მთბრობელის უარყოფა, დიტერატურული გმირის ახლებური გააზრება გამოარჩევთ დე ბროინისა და პერტლინგის ამ ნაწარმოებებს. ავტორების მთავარი მიზანი სიყალბის თავიდან აცილება, დამაჭრებლობის მიღწევაა. ისინი ისტორიული ბიოგრაფიული რომანის ტანში ცვლილების შეტანას ცდილობენ. თანამედროვე რომანის ტექნიკით ამუშავებენ ბიოგრაფიულ მასალას.



უუჯინიო გარანი

თარგმნა ნანა ასობაძემ

ლეონარდო და ვინჩის უნივერსალობა

ლეონარდოს უნივერსალობაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში შეიძლება ვიქონიოთ საგნები, რომლებიც ერთმანეთთან ცხადად არიან დაკავშირებული.

ბუნნი, მაგრამ სავსებით ბუნებრივად გამოიწვეული არიან ჩვენს მხატვრობაში. ლეონარდოს უნივერსალობა — პირველყოვლისა მსოფლმხედველობის სიფარვეა. მისმა ინტერე-

სებმა და შემოქმედებამ არ იყო და საზღვარი და ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ დარგზე, რეალობის ნებისმიერ სფეროზე ურცევდებოდა. სწორედ ამ აზრით წერდა ლეონარდო, რომ „შატვარი მოვალეა იყოს უნივერსალური“. უოფიერების მრავალსახეობიდან მსხვერპლად არაფერი არ უნდა გაიღოსო, მაგრამ უნივერსალობა შეიძლება სხვანაირადაც გავიგოთ. მის ენციკლოპედიურობას კი არ გავუსვათ ხაზი, არამედ უველაზე მთავარს, იმას, რისი დანიშნულებაა შეინახოს მარადიული აზრი. ასეთი მიდგომით მნიშვნელოვანი იქნება არა ლეონარდოს მიერ წამოყენებული პრობლემების რაოდენობა, არა დაკვირვებებისა და აღმოჩენების რიცხვი, რომელიც მან მოგვაწოდა, არამედ წვდომის ხილრმე. ის ახალი, თუნდაც ერთადერთი სიტუა, მან რომ უთხრა ადამიანებს.

რა თქმა უნდა, ძნელია ავირჩიოთ ესა თუ ის ხერხი, მით უფრო მიუწვდომელი, რომ თვით ლეონარდოს არ გაუკეთებია არჩევანი, თუმცა განზრახ კი მოიშველია რაღაც საშუალო: იგი ესწრაფვოდა სრულად შეეცნო რეალობა, ამასთანავე თავის თავში, როგორც რაღაც ცენტრში, მოექცია უოველივე, ცდილობდა ჩასწვდომოდა საგანთა უსასრულო მრავალმნიშვნელოვნებისა და ადამიანური ცხოვრების დანიშნულების ურთიერთდაკავშირებულობას, სამყაროს მთლიანობას, რომელიც თვალთ, გონებით და ხელებით აღიქმება. გარკვეული აზრით ისიც შეიძლება ითქვას, რომ ლეონარდოს გამოცანას ფხვები და ამოხსნა უოველი საგნის, უოველი არსის და მოვლენის დანიშნულების დაუცხრომელ ძიებასა და იმ წარმოადგენებს შორის კავშირში უდგას, რომლის ძალითაც მათი დაფარული აზრი ეურდნობა გონიერ საფუძვლებს (regione), რომელსაც ადამიანის აზროვნება შეიცავს. ერთის მხრივ ეს არის ცდის, ექსპერიმენტის დაუმცხრალი წუურვილი: მიანიკოს სიცხადე უველა ცვალებადსა და მოუხელთებელ სახეს: გაფანტულ წყვილადს, უცნაურ დრუბლებს, დაბავებულს. კედლებზე მიხატულ უცნაურ არაბესკებს. მეორეს მხრივ — მისწრაფებაა რიცხვისადმი, აბსოლუტური ფტუარობისადმი. მის ფურცლებზე გამუდმებით გვხვდება გამოთქმები: ცდა, მარად განახლებადი ექსპერიმენტი, გონიერი პრინციპები. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია თვით ამ ცნებათა შეხამება, ან, უფრო სწორად, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ მიაგნო ლეონარდომ მათი ერთიანობის მაგიურ წერტილს, როცა ცდილობდა გაემეღავნებინა ადამიანებისათვის სიცოცხლის დაფარული აზრა.

აი, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ლეონარდოს

იდების უნივერსალური მნიშვნელობა და კეშმარიტი აზრი, თუმცა იოლი და ინტერესის შემცველიც მათი ძებნა შეხადლოა მის მიერ უველა დარგში წარმოებულ, სასწაულებრებად მდიდარ გამოკვლევებსა და უსასრულოდ გაფანტულ მრავალფეროვან მოსაზრებებზე უფურცულოს. აქედან მომდინარეობს ლეონარდოს მხატვრობა ილუზიათა ენციკლოპედიის რეკონსტრუქციის დაუსრულებელი ცდები, აქედან მომდინარეობს მითი უოვლისმცოდნე კაცზე, წინამორბედზე, მოგვზე. აქედანვეა რიტორიკული ფორმულა ადამიანზე, რომელიც იმდენად ჰგავს ღმერთს, რომ მის ადამიანობაში შეგაქვს ეჭვი. მაგრამ მაშინ გაქრება კეშმარიტი ლეონარდო — უველაზე უფრო ადამიანური მხატვარი, რომელიც თავის მცირერიცხოვან შრომებსა და რიცხვმრავალ ნახატებში ცოდნას აიძულებს შეერწყას უნარს. მას ხელეწიფება გვაჩვენოს რეალობის უღრმესი არსი სინათლის ერთადერთ სხივში, ერთადერთ ექსტში, ერთადერთ ფიგურაში, კავშირი ამ სამყაროს სახეებსა და იმიერ სამყაროს იდემალებას შორის, რის ჩაწვდომისთვისაც დაულაღვად მიეღტვოდა უოველი საგნის უღრმესად დაფარულ მიჯნას.

იმდენად, რამდენადაც ლეონარდოს მეცნიერება — მხატვრის მეცნიერებაა, რომელიც ერთ მთლიანობას ქმნის მის ხელოვნებასთან — მხატვრის ხელოვნებასთან, ამიტომ წვდომა მისი მეცნიერებისა, რომელიც არ წარმოადგენს გალილიის მეცნიერებას, და წვდომა ხელოვნებისა, რომელიც არ წარმოადგენს XX საუკუნის მხატვართა ხელოვნებას — უპირველეს უოველისა ნიშნავს — ჩავწვდეთ ლეონარდოს მნიშვნელობას და სიდიადეს. თუ იმ თეორიებისა და ტექნიკური აღმოჩენების წინამორბედად მივიჩნევთ ლეონარდოს, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდგომ განხორციელდა, ეს ნიშნავს წინაღუდგეთ თავისებური ტრაქტატების გაგებას, რომლებშიც ლეონარდო, თავის თავს რომ უარყოფდა, მთელი სიცოცხლე უჩვეულო სახეების სიმრავლეში ეძებდა ერთადერთ გადაწყვეტას.

„მხატვრის გონება უნდა ჰგავდეს სარკეს, რომელიც იღებება იმ საგნის ფერით, მისი არეკვლის ობიექტს რომ წარმოადგენს, და ივხება იმდენი სახით, რამდენი საგანიც დგას მის წინ, მაშ იყოდე, რომ კარგი მხატვარი ისე ვერ გახდება, თუ შენს ხელოვნებას არ შესწევს ძალა გამოხახოს ფორმის თავისებურების ის მრავალფეროვნება, რომელიც ბუნებას გვიბოძა, რომ, შენ არ ძალგიძს ახახო ისინი, თუკი მათთვის თვალი არ მოგიკრავს და ხულში არ ჩავიბეჭდავს... კეშმარიტად, უოველივე, რაც კი ბუნებაში არსებობს, ხშირად განმეორდება

ან თავისი სახე გააჩნია, თავდაპირველად მას (შხატვარს) უდევს გონებაში და მხოლოდ შემდეგ უპურია ხელთ. ეს მშვენიერი ჩვენი ხელები კი დროსთან კავშირში ბადებენ ერთი მთლიანი მწერით დაპურობილ თანაზომიერებასა და ბარმონიას და ამგვარად ძერწავენ საგნებს" (MS. A. 822).

აი, ლეონარდოს შემოქმედებისა და ფიქრების კრემარიტი ცენტრი — მთელი ცოდნის შეხვედრა პრაქტიკასთან, აი, შხატვარის დეაწლი, როგორც აქტიური სინთეზი ადამიანის ძაღისა და ღონის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ფილოსოფიისა და პოეზიისა, როგორც გადაწყვეტა რეალობის ნებისმიერი პრობლემა. შხატვარი არ უნდა დემონოს ბუნებას, არც მისი სამართავი ინსტრუმენტი უნდა იყოს, არც მსახური და მიმბაძველი — „შხატვარი გამუდმებით ებრძვის და ეტოქება ბუნებას, თვით არის მისი ბატონ-პატრონიცა და ღმერთიც“.

და მაინც, ჩვენსა და კრემარიტ ლეონარდოს შორის, რომელიც მოქცეულია — „ტექნიკა — მეცნიერება — ხელოვნების“ ურთიერთგადახლართულ ცნებაში. არსებობს სხვა, ტრადიციული სახე, ფაუსტურად ორაზროვანი, რომელიც ვარაუდობს მასში იდუმალის სრულად შეცნობის ნიჭს, ყველა მეცნიერების საბუთიანობას, ყოველი აღმოჩენის წინახწარგანჭვრეტას — ყოველივეს ცოდნას და ყოველივეს წვდომის უნარს ამ ქვეყანაზე. სულ ცოტა ხნის წინათ ერთი გამოჩენილი მეცნიერი (ლ. ბეიდენრეიში) წერდა: „თუ ათასეულ ფურცლებად გაბნეულ მეცნიერული მასალების უზარმაზარ ზღვას შევისწავლით და სისტემატიზაციის პრინციპის დაცვით გამოვიკვლევთ, ისეთი წარმოდგენა შეგვექმნება, რომ ლეონარდოს სურდა შეექმნა მთელი საკაცობრიო ცოდნის ენციკლოპედია. ცხადია, ეს ენციკლოპედია მოიქცევდა ცოდნის ყველა უმთავრეს დარგს: რატიკას, როგორც ყოველი აღქმის წინამძღვარს; მექანიკას, როგორც მეცნიერებას ფიზიკური ძალების შესახებ, რომელიც საფუძვლად უდევს ორგანულ და არაორგანულ ბუნებას; ბიოლოგიას, როგორც მეცნიერებას იმ კანონთა შესახებ, რომელიც მართავს სიცოცხლეს და ორგანული ბუნების განვითარებას (ანატომიასთან როგორც მთავარ თემასთან); კოსმოლოგიას, როგორც მეცნიერებას არაორგანული ბუნების ფორმებისა და იმ ძალების შესახებ, რომლებიც ამ ფორმებს იცავენ.“ ამათ რიცხვს უნდა დავამატოთ მათემატიკა, როგორც ლოგიკურ-მეთოდოლოგიური წინამძღვარი და ცნობიერების ინსტრუმენტი, — აგრეთვე ზნეობა, როგორც მეცნიერება ქცევის შესახებ და საბოლოო დასკვნა.

გარდა ამისა, ბევრს ლეონარდოს დაშხატუ-

რებად მიაჩნია ისიც, რომ მან ჩაატარა ურიცხვი, სავსებით ორიგინალური მეცნიერული გამოკვლევა ხელოვნებასა და შხატვარული აღწერის სფეროში, შთაბერა მათ სული, როგორც ვხედავთ, ეს არის პანსოფისტური იდეალი, რომელიც შეასაფუენებდა მათს მტკიცებებსა და თანამედროვე მეცნიერების შრომაპოვართა შორის შერყობს. ახლა, ლეონარდოს პუმანიზმს დანიშნულება და აზრი რომ დავუბრუნოთ, — ერთდობისა და ფილოსოფიის პუმანიზმს კი არა, წმინდა ტექნიკოსისა და ღვთივ-შთაგონებული შხატვრის პუმანიზმს — საჭიროა დავებრუნდეთ უკან: გავფანტოთ ანტიკური მოგვისა და დღევანდელი მეცნიერის სახე, გავფანტოთ მითი მკვლევარზე, რომელმაც ჩანთქა შხატვარი, რათა ადვადგინოთ ინტერესთა ის დაძაბული მდგომარეობა, რომელსაც შეამბობენ ხულისკვეთება მიიყვანს იმდენადვე ორიგინალურ, რამდენადაც ბუნების შესწავლის ცრურწმენებისაგან თავისუფალ დიად შხატვარულ შემოქმედებასთან.

ლეონარდო-ფაუსტის შესახებ დამკვიდრებულ მითს თუ გავფანტავთ, მაშინდა დავძლევთ მისი სახელის გარშემო გაბატონებული რიტორიკული ექნალტაციებისა და მისი სახელის მომპყვინებელი კრიტიკის მოზღვაებას. ამ საქმეს კი მხოლოდ მაშინ გავახრულებთ, როცა გამოვიკვლევთ ამ ექნალტაციებისა და კრიტიკის წარმომავლობასა და საფუძვლებს.

მითი ლეონარდოს შესახებ საკმაოდ ძველია და, მართაღს თუ ვიტყვით, წარმოსდგება, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც, თვით ლეონარდოს ირონიულ-პოლემიკური მიდრეკილებიდან ორიგინალობისა და განდგომილები-სადმი. ეს მითი ვაზარისთან მოქმედებს და ესწრაფვის ისტორიად წარმოგვიდგეს. ყველაფერს ახსოვს, როგორ „წყება ვაზარისეული ცხოვრების აღწერა: ლეონარდოს სახე, „კრემარიტად საოცარი და ზეციური“, უნიკალური, დაბადებითვე ყველაზეგან გამოჩენილი, რაღაც იდუმალ ძალებთან შეთქმული, „...ციურ მნათობთა ძალით ბშირად ხულ უბრალოდ, ბუნებრივად, ზოგჯერ ზებუნებრივი გზებით ადამიანის სხეულზე უხვად გადმოიფრქვევა დიდებული მადლი. ზოგჯერ სხეული შეიძლება მეტის ძალით იყოს აღბეჭდილი სილამაზით, მომზიბვლელობით, ტალანტით, რომელნიც ისეთ თანხმირებას ქმნიან, ასეთი კაცის ყოველი მოქმედება ღვთაებრივად აღიქმება და, რაკი უკან ჩამოიტოვებს ადამიანებს, თვით ღმერთის ბოძებულად ჩავთვლით და არა ადამიანის ხელოვნებით გამოძერწილად. აი, რას ხედავენ ადამიანები ლეონარდო და ვინჩის სახეში“...

თხრობის დასაწყისი, რომელიც შემთხვევით არ უკავშირდება ასტროლოგიურ ცოდნას, გვაი-

შუღებს ვაგინბენოთ ლეონარდოს ერთი მიწინება: — „ასტროლოგია ყოველმხრივია და ვაღებულო ოპტიკური კანონებისა და პერსპექტივისაგან — ფერწერის პირველობაგან“. ეს უდავო პრეულღიაა რაღაც განსაკუთრებული მოვლინებისა. თბრობის ინტონაცია განუწყვეტილად გვახსენებს ამ ადამიანის გამოჩვეულებას, დაინებოთ მეორდებაინ სიტყვები: „ღვთაებრივი“, „არაჩვეულებრივი“, „სასწაულებრივი“, და ყოველივე იმისათვის, რათა შემწადოს პორტრეტის აღწერა: უჩვეულო ფიზიკური სილამაზე და გასაცარი მომხიზღელობა — „თავისი ბრწყინვალე აღნაგობით, უმაღლეს მშვენიერებად რომ განსახიერდებოდა, ყოველ დაღონებულ სულს აცისკროვნებდა“, გონება და ბრწყინვალე მისხიერება, ხატვის განუწომელი ნიჭი, უცვლელი დაკვირვება ხუნებაზე, რომელიც მწად იყო ყოველგვარი ცოცხალი არსის უნაწეს სიყვარულში გადაზრდილიყო, იქვე — უხაზვლო დახვეწილობა, „უანტაზიერება“ პოზის გარეშე, რომელსაც, ვაზარის სიტყვებით, თან ახლავს: „უშუალობა, სიკეთე, სანდომიანობა და მომხიზღეობა“. უკიდვანო ცოდნის წყურვილი სასწაულებრივად გარდაიხაზება უხაზვლო ცოდნად და უწყვეტილად იხაზს ხორცს ხქემებსა და ნაშატებსში. ამავდროს მხატვარი, უჩვეულო ვარსკვლავთგამოხსივებისა და ზებუნებრივი გავლენების ერთიანობის წერტილში რომ იმყოფებოდა, თითქოსდა თავის გარეშეო აფრქვდვდა მაგიური ძალის ორგანოვან ბრწყინვალეებას და არაბუნებრივი ცდუნების მშვენიერებას. საუბრისას, საზგახით ამბობს ვაზარი, — ლეონარდოს შეიძლო ხერვილებისამებრ დაემორჩილებინა „მოს“ ან „არახათვის“ თვით ყველაზე მყარი გადაწყვეტილებაც“.

ამგვარ მოტივთა დაუინებულო გამეორება შემოხვევითი არ არის და აქვს, შეხაძლოა, გამოკვეთილი მიზანიც — გადააფაროს იდუმალებას ფარდა ლეონარდოს გამოკვლევებს და განაახლოს გაოცებისა და შიშის ის შარავანდედი, რომელიც ყოველთვის ერთჟა გარს ლეონარდოს. ამიტომაცაა ასე თავშეკავებით აღწერა იდეოთაბი, ხაღაც შესვლა შეუძლია მხოლოდ მხატვარს, რომელიც დახაზვლებულია „ხვლიკებით, ჳრიჭინებით, ჳველებით, პებლებით, კუტკალიებით, დაშურებით და ათასი უცნაური სულიერით“. ხაპირასპიროდ ვაზარი გადადის ლეონარდოს სიყვარულის აღწერაზე ჩიტებისადმი: „შირად, როცა იმ ადგალებში გაივლიდა, ჩიტებით რომ ვაპრობდნენ, ხაკუთარი ხელით გამომხუავდა გალიებიდან ისინი, გამყიდველს სახურველ თანხას უხდიდა და მერე ცაში უშვებდა, დაპარგულ თავისუფლებას უბრუნებდა“. ამას აკეთებდა კაცი, რომელიც ადამიანისა და ცხოვე-

ლის სხეულებს განკვეთდა და გულგრილად მსჯელობდა იმაზე, თუ როგორ უნდა დაეძლიოთ ზიზღი, როცა გაბრწყინდ ხორცს ვუუფრებთ ანდა შევივრდნით მისი სიმყარლის სუნს. ყოველივე ამასთან ერთად კი — ბრწყინვალე ცხოვრების წინააღმდეგობა გაჩნდა, შეიძლება ითქვას, არც წაბურხსს სქაწდა, და მაინც ყოველთვის უდაგა მხაზური, ხაჭინობში ეხენა ცბენები“.

ვინც მოთმინებით და გულდახმით გააანალიზებს ვაზარის ტექსტს, ერთისა და იმავე სიტყვების გამოყენებასა და თითქოსდა ხპირადიხებურ გამეორებაში აღმოაჩენს მუღმივ ჳრუნვას იმის შეხახებ, რათა შეიქმნას არაჩვეულებრივი, ამასთან ორაზროვანი სახე — არაადამიანური, და იქნებ ღვთაებრივიც. მაგრამ დემონურთან ნაზიარები. არც შეიძლება სხვაგვარი იყოს კვატროჩენტოს¹ აღქმაში ფილოსოფოსნატურალისტი, რომელმაც ვანიზრახა განდგომოდა ჩამორჩენილ სქოლასტიკურ ტრადიციებს, რათა დაბრუნებოდა ფიზიკურ, ნივთიერ რეალობას და გავგო ხაიდუშლო არსისა და არაბილვადისა, გარეგანისა. „თავის ჩანაფიქრში ხაკუთარ თავს მან თითონ შეუქმნა დაბევწილი და უცნაური სიძნელეები, რომელთაც ყველაზე დაოსტატებული ხელებიც კი ვერ გამოხატავდნენ ვერანაირ სიტუაციაში. რამდენი თავსატეხი წამოწყება მქონდა; საგანთა ბუნებაზე რომ ფილოსოფოსობდა, ფიქრობდა, ცდილობდა შეეცნო მცენარის თვისებები, ჳიუტად აკვირდებოდა ცის ბრუნვას, მთვარის სრბოლას, მზის მოძრაობას“. „ცხოვრებათა“ პირველ გამოცემაში — ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია — ვაზარი დასძენს: „რადგან ხულის ხიდრმეზე იხეთი ერეტიკოსი იყო არც ერთ რელიგიას არ მიეკედლა და ამჯობინებდა ყოფილიყო უფრო ფილოსოფოსი, ვიდრე ჳრისტიანია“. იყო თუ არა ლეონარდო მოწმუნე, ახლა ამაზე შეიძლება არ ვილაპარაკოთ, სატეროა ხაზგახით მივუთითოთ მისი პიროვნების ყოველმხრივ მთლიანობაზე: მონდენილი და ულამაზესი გარეგნობა, მომეტებულად ლამაზი თმის ვარცხნილობა, ცხოვრება რაიმე არსებითი სახსრების გარეშე, მიუზედავად ამისა, მაინც რომ ვერ ახერხებს იოლად გავიდეს მხაზურებისა და ცბენების გარეშეც; ადამიანი, ჩაფლული თავის სახელგანთქმულ აზრებსა და სიზმრებში, თავაზიანი და უცნაური, იდუმალი, მომეტებულად გულმხუროიანი ფიქრებში, ნაკლებად გულმხუროიანი მუშაობაში, უცნაურ და საზიზღარ ცხოველთა გარემოცვის მიუზედავად ერთიანად ჩაფლული ბუნების ხაიდუშლოთა გა-

¹ კვატროჩენტო — მე-15 საუკუნის სახელწოდება იტალიის კულტურის ისტორიაში.

მოკვლევებში, აღსავსე ფრინველებისადმი ფრან-
ცისკანული სიყვარულით, ღრუბლების, უკავი-
ლების, ჩრდილების თამაშზე თვალშიპურობი-
ლი და კიდევ ერთი — გატაცებულია განუ-
ხორციელებელი პროექტებით, არახოდეს ამ-
თავრებს ხამუშაობს, მაგრამ თუკი ოდესმე და-
ასრულებს, მისი ქმნილებები სუნთქავენ. (ეს
ორი თემა თავისთავად მალავენ არაერთმნიშვნე-
ლოვან აზრს, იგი მინიშნებაა დაუსრულებ-
ლობაზე რაღაც აუხსნელი წუბილის გა-
მო, რამაც იქამდე მიიყვანა, რომ არ დაკ-
მაყოფილდა ხამუშაობით და მიატოვა ათხ-
გვარ ფორმათა უხახრულობის ძიებისას, რაც
მიღწეულის განსაზღვრისა და დამკვიდრების
უკველგვარ ცდაში იჩენდა თავს. იგია მინიშნება
აგრეთვე „შექმნილის გაცოცხლებაზე“, რასაც
უკველაზე ინტელიქტუალური ხელოვნება აღ-
წევს, როგორც ჩანს, ბუნებასთან შეჭიბრების
პროცესში: „გონიერი წიხრისგან წყალობით,
ზომიერად... ის თავის პერსონაჟებს მართლა
ანიჭებდა მოძრაობისა და სუნთქვის უნარს“.
ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გავარკვიოთ, ახ-
სოვს თუ არა ვაზარის ამის თქმისას ის
იდებები, აგრეთვე რომ იყო გავრცელებ-
ული ნეოპლატონიკოსთა შორის ნახევარი
საუკუნით ადრე მისი შრომების გამოხვედრად.
საუბარია თქურგიულ პრაქტიკაზე, რომელიც
გულისხმობს სულის ჩადგმას სახისთვის, რათა
გვირგვინი დაეფას ხელოვნების ქმნილებას.

უკველ შემთხვევაში ამ საქმეში ვაზარი
ფრიად დაოსტატებული ჩანს. ლეონარდოს ხიან-
ლოვე ხამუშაობს უკველგვარ რეალობასთან
ჩრდილში დგება, იგი ხდება უფრო ფრაგმენტუ-
ლი და ბუნდოვანი, ხელთ გვრჩება მფრინავი
აპარატებისა და განაოცარი არქიტექტურული
ნაგებობების ნახატები და არა მილანის სარინი
არხებისა და უაფიის საროსკიპობის პროექტე-
ბი, რომელთაც გაასრულეს ეს ნახატები. მაგ-
რამ ხომ სწორედ მათში შეღავნდება ცხადად
მისწრაფება, დავაყენოთ ადამიანი ღვთაებრივისა
და ეშმაკულის, მეცნიერებისა და მაგიის, შთამა-
განებელი ხელოვნებისა და ოკულტური ძალებ-
ის ნეკრომანტული განხმობის ზღვართან.
„ცხოვრებათა“ პირველი და მეორე გამოცემე-
ბის ერთხა და იმავე ადგილებს შორის განხვ-
ავება, თუკი მათში ლეონარდოს უღმერთობას
მოვიძიებთ, პირველ რიგში ადახტურებს მას,
რომ ერთსი და დაგვიანებული მონანიება უპირ-
ველესად ჩაითვლება მხატვრის ბიოგრაფის
ბერხად, რომელმაც გადაიფიქრა შექმნა ფაუ-
სტური სახე და თანდათან შეარბილა ფერები.
სინამდვილეში ლეონარდოს უღმერთობაზე მი-
ნიშნება, რომელიც მოგვიანებით მოიხსნა,
ან სინამდვილეს არ შეეფერებოდა, ანდა განპი-
რობებული იყო რიტორიკული აუცილებლობით,

რომელიც წარმოიშვა სახის განზოგადებული და
ხახიათების შედეგად. შეესაბამებოდა რუ არა
ეს ისტორიულ სიმართლეს, არაღინ იცის, ლეონდ
სახის შინაგანი ლოგიკა, უბეველია, შოითხოვდა
მიეწერათ ეს შტრიხები ლეონარდოსთვის, კვა-
ტროჩენტოს დასასრულს და დასრულებულს
დასაწყისში ვაზარის აღწერილი პიროვნება არ
შეიძლებოდა არ ყოფილიყო ოდნავ მაინც მეამ-
ბოხე რელიგიურ ხაკითებში. ეს იყო, ახე
ვთქვათ, სტილის ხაკითბი.

თუკი ახლა უკველა ჩვენს ხელთარსებულ ფაქტს
გამოვიყენებთ და სწრაფად გადავაფლებთ
თვალს ვაზარის ტექსტს, ადვილად აღმოვაჩნთ
მოგვის პორტრეტის შექმნიხათვის აუცილებელ
ელემენტებს. ზეციური წინასწარდასახულობა,
ვარსკვლავთ თანხვლომა და ასტროლოგია, ბუ-
ნების ემპირიული შემეცნება ან experimenta
მათემატიკური თეორია; ბალახები, საზიზღარი
ცხოველები, ისეთები, როგორცაა გველი, და-
მურები და მათი მსგავსნი, შემდგომ ფერები და
დამახახიათებელი პერმეტულ-ალქიმიური ხერ-
ხები; და ბოლოს, თეურგული პრაქტიკა და
ხახეებისათვის სიცოცხლის მინიჭების უნარი.
„ცხოვრებათა“ პირველ გამოცემაში ჩართულია
შემდგომში გამოტოვებული ტექსტი: „ბოლოს,
როცა მოხუცდა, რამდენიმე თვე ავადმყოფობ-
და და, სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო,
დაიწყო რელიგიის ხაკითების ვარჩევა, დაუ-
ბრუნდა წმინდანის გზას და გოდებით მიიქცა
ხარწმუნობისაკენ“. მეორე გამოცემაში ვკით-
ხულობთ: „სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო,
გულდინჯად შეუდგა უკველივე იმის შესწავ-
ლას, რაც კი შეეხებოდა რელიგიას, კერძარი-
ტსა და წმინდა ქრისტიანულ რწმენას“. ფილო-
სოფოსი, მოგვი და ცნობიერი შეამბოხე აქ შე-
ცვალა ადამიანმა, რომელიც არ სცნობდა მა-
მათა რწმენას.

ვაზარის ეს კონსტრუქცია, რომლის მიზანდა-
სახულება სავხებით ცხადია, ბოლო ფორმა შე-
ზღუდული, ეტვი არ არის, შექმნილია რაღაც
ჩამოყალიბებული სქემის მიხედვით. უკანასკნე-
ლი ფრაზები, რომლებიც მოგვითხრობენ ლეო-
ნარდოს მიცვალებას ხაფრანგეთის მეფის შკლა-
ვეზე, მხატვრის სიკვდილიდან რამდენიმე თ-
წლეულის შემდეგ რომ არის ჩამატებული, ენე-
რგიულად ამთლიანებს ვამოგნებელი სასწაუ-
ლისაგან მიღებულ დანაწევრებულ შთაბეჭდი-
ლებებს. „გარეგნობის ბრწყინვალეობით, უმაღ-
ლეს მშვენიერებად რომ წარმოგვიდგებოდა, იგი
აციხკროვნება უკველა ხახომობდილ ხუდს, სი-
ტყვით კი შეეძლო უარეუო ან დაედასტურებინა
თვით უკველაზე დამკვიდრებული და ფეხ-

1. იტალიური რენესანსის უდიდესი აყვავებო-
სა და კრიზისის პერიოდი, მე-16 საუკუნე.

მოკიდებული აზრი. შექმნილი დაეოკებინა უოველნაირი გააფრთხილებული თავდავიწყება. ხელით მოედრია რკინის რგოლი და ტყვიასავით გადაეწინა ნალი. შიშად იყო დიდსულად შეეფარებინა და დაეპურებინა ნიკით სავსე თუ მამაცა, ღარიბი თუ მდიდარი მეგობარი. ერთი შეხებით მშვენიერებად აქცევდა და ღირსებით ამკობდა უველაზე უხადარუკ უფერულ და გაშიშვლებულ ნაგებობას". ეს ეპიგრაფია, მაგრამ ისეთი ეპიგრაფი, რომელიც სავსეა სიმბოლიკით თვით უველაზე წვრილმან-შიც კი — მეფის მკლავზე მიცვალვებასა თუ შრომის კეთილშობილებაში, რომელსაც ხელეწიფებოდა განედიდებინა უოველი დაცემული საგანი; მაღალ სტილში, რომლითაც აღწერილი იყო გენიოსის ნათელი ძალისხმევა და, ფიზიკური ძალის გამოცდაში ცხენის ნალზე; აგრეთვე ლეონარდოს სამოსის აღწერილობაში, მისი მოქცევის ფორმებში.

ლეონარდოს ვაზარისეულ გაგებაზე შეჩერება აუცილებელი განდდათ, რათა გვეჩვენებინა ამ სახის უძველესი წარმომავლობა, მით უფრო, რომ რამდენიმე შტრიხით იგი თითქოსდა შუამავალიც კია ჩვენსა და ამ არაჩვეულებრივ ადამიანს შორის. მაგრამ თუკი თავს დავეკითხებით, სად დაიხადა ეს ცნობილი სახე, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ვაზარი ხშირად თვით იყო ლეონარდოს ერთგული განმმარტებელი, მისი შეზღუდულობა სწორედ ლეონარდოს გამონათქვამებისა და მათზე იმდროინდელი რეაქციების შეტისშეტად სწრაფ აღიარებაში გამოიხატებოდა. ვაზარის მიერ შექმნილ სახეში მნიშვნელოვანწილად აისახა ლეონარდოს ავტოპორტრეტის შტრიხები დასურათებული პოლემიკურად და ირონიულად უოველგვარი ელფერის გააზრებული აქცენტით. თუკი დღეს გვხვრს გავიგოთ ლეონარდო, ვალდებული ვართ უპირველესად უოვლისა ჩავწვდეთ ამ ირონიისა და პოლემიკის აზრს, მაგრამ ისე, რომ მათს ტყვეობაში არ მოვექცეთ. ლეონარდო თავის სიძულვილსა და მორჩილებას დაჟინებით უპირისპირებს რაფინირებული კულტურით გამოკვებით მეცნიერთა სამყაროს. აქედან უნდა ამოვიდეთ ჩვენ, აქ უნდა ვეძებოთ არსი.

მხატვარი ხელოსანია — იგი არ არის კულტურის კაცი, იგი მექანიკოსია, მხატვარს ებრძვიან სქოლასტიკოსი სწავლულეები და კარის ესთეტები. ერთნი ასწავლიან მეცნიერებას უნივერსიტეტებში, მეორენი ნერგავენ სიტყვიერებას ხანდაზმულ და ახალგაზრდა სენიორთა თავისუფალ წრეებში. ეჭვგარეშეა, რომ ხელოვნებები, რომელთაც დიდი წონა შეიძინეს XV-XVI საუკუნეების საზოგადოებაში, ამსხვრივენ ძველ სქემებს, ეჭვი არ არის, რომ არქიტექტურული და ხანუინრო

ტექნიკის გართულებამ დაამხვურა მათემატიკოსებსა და მექანიკოსებს შორის აღმართული ბარიერები. მართალია ისიც, რომ ვესპასიანო და ბისტარის დაუვიწყარ ფურცლებზე აღწერილი ~~არქიტექტურული~~ გადაიქცა მოსწაველიდან მასწავლებლად ~~მექანიკოსად~~ და ბრძენი პაოლო ტოკანელის სკოლის გაუნათლებელი სტუმარი ფილიპო ბრუნელესკი, მაგრამ ისიც უქველია, რომ ეს კავშირები ერთბაშად არ უკუიქცევა. ერთბაშად არ აღიარებენ მეცნიერების ღირსებას მხატვრები, მოქანდაკეები და არქიტექტორები. სწორედ მაშინ, როცა ლეონარდომ ხეიჩიანად არც კი იცოდა ლათინური, სრულიად ვერ ფლობდა ბერძნულს და თეოლოგიაშიც ნაკლებად იყო გაცნობიერებული, იწყება მისი შემობრუნება ამ მიმართულებით. ლეონარდოს ესმის, რომ არა მარტო უნაყოფოა შუახატუნებრივი სქოლასტიკა, უმეტესწილად შინაარსისაგანაა დაცლილი მუშანისტური ერთეულიცა და პროტესტსაცხადებს სულ სხვა, ადამიანური იდეალის, მეცნიერებისა და კულტურის ხულ სხვა ფორმების, მუშანისტური მეცნიერების გაგების სულ სხვა ხაშუალებების, ამ მეცნიერების როლისა და ამოცანების სახელით. იგი სავსებით გაცნობიერებულიად განუდგება „მისთვის უცხო საქმიანობათა თავურილობებს“, დგას განცალკევებით იმ სხვა საზრუნავთაგან და ჩაფლულია თავის მათემატიკურ ფიქრებში.

ამ ბრძოლასა და დავაში იკვეთება ისეთი ასპექტები და მომენტები, რომელთა გათვალისწინებით ვგებულობთ, იყო თუ არა დაკავშირებული ლეონარდო კონკრეტულ, ისტორიულად შემოსაზღვრულ სიტუაციებთან, რაც აღგენს ამ მკვლევარის, სწავლულის, მხატვრის კუშმარიტ სახეს. პირველ უოვლისა, ლეონარდო არაერთგზის უსვამს ხაზს ხელოსნის ამპარტავნულ, მედიდურ თავმდაბლობას, რომელიც „ღარიბ ქალაქებში“ დაძრწის და უმნიშვნელო გასამრქელოს დებულობს. ლეონარდო გამუდმებით იბრძვის, იბრძვის აზრის, ცდის, საქმის, შრომის, მექანიკის და ოსტატობის სახელით, იბრძვის უნაყოფო და უარიელი სიტყვების, აბსტრაქტული მსჭელობის, შინაარსისაგან დაცლილი წიგნების, ფხვედომეცნიერების, ფხვედოფილოსოფიისა და „უვირილის“ წინააღმდეგ — უსასრულო დისპუტების აურზაურის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც არასდროს არ მიიღწევა სწორი დასკვნების ჩუმი, უხმაურო შეთანხმებები. „კუშმარიტად, იქ, სადაც იგრძნობა გონივრულ მოსაზრებათა ნაკლებობა, მათ უოველთვის ცვლის უაზრო უვირილი, რაც სრულიად არ გვხვდება ნამდვილ საქმეთა გვერდით. აი, რად ვიტყვი, რომ სადაც უვირილია, იქ კუშმარიტი მეცნიერება არა გვაქვს, რად-

გან ქეშმარიტებას გააჩნია ერთადერთი გადაწყვეტა და როცა იგი საცნაურდება, პაექრობაც წყდება. თუ დავა ისევ და ისევ იჩენს თავს, საქმე გვაქვს ყალბ. უთავბოლო მეცნიერებასთან და არა სიცოცხლით გაჭერებულ უტყუარობასთან“)

მ სიტყვებით ლეონარდო აშკარა გამოწვევას უყვანდებს უოველივეს, რაც დისპუტთა, პრობლემებზე მსჯელობათა თუ ზეპირსიტყვიერ პაექრობათა ცენტრში იყო მოქცეული. სადაც გამარჯვება ჩნებოდა არა ექსპერიმენტულ ცდისეულ მტკიცებას და მათემატიკას, არამედ დიალექტიკურ ოსტატობას. „ის მეცნიერებაა ქეშმარიტი, რომელიც ცდამ აიძულა გვევლო გრძობათა ზღვარზე და მოდარებებს დუმილის გასაღები დაადო ენაზე, რომელიც სიწმირებით არ კვებავს თავის მიმდევართ, მაგრამ უპირველესი ქეშმარიტი და სარწმუნო წყაროებიდან უტყუარი დასკვნების შემწეობით მიემართება მიზნისკენ. იგულისხმება ძირითადი მათემატიკური მეცნიერებები ანუ რიცხვი და ზომა არითმეტიკად და გეომეტრიად რომ იწოდება, რომლებიც შეუმცდარი უტყუარობით აშუქებენ და განმარტავენ წყვეტილსა და უწყვეტელ ხიდიდებს. აქ არ იდავებენ იმაზე, რომ მარჯერ ხამი მეთია ან ნაკლებია ექვსზე, რომ სამკუთხედის ერთი კუთხე ნაკლებია ორ მოპირდაპირე კუთხეზე, მაგრამ უოველი დავა აღმოჩნდება უარყოფითი და მიყვანილი მარადიულ დუმილამდე, რითაც ნეტარებენ მისი თავყვანისმცემლები. ამას კი ვერა და ვერ დიკვირებნიან მაცდური გონებაჭვრეტითი მეცნიერებანი“ (ტრაქტატი ფერწერის შესახებ, 38)

გონებაჭვრეტით მეცნიერებათა წინააღმდეგ ბუნტს, ტვინის ბულებას „დიად პრობლემებზე“, როგორც მაგალითად, ღმერთისა და სულის არსებობის შესახებ, რომელთა გამო უოველთვის დავობენ და იბრძვიან“ ურთიერთსაწინააღმდეგო ქეშმარიტებათა მომხრენი, — ლეონარდო მიუმატებს კიდევ ერთ პროტესტს — ეს არის პროტესტი ჭვრეტითი, მხედველობითი ცოდნის წინააღმდეგ, რომელიც არ მოითხოვს ხელების გახვრახს, არ უთანხმებს ერთმანეთს შრომას და აზროვნებას, არ ამოწმებს ჩანაფიქრს საქმით და შრომით, რომელიც სახეს უცვლის ხაგნებს. „და თუ შენ იტყვი, — მიმართავს ლეონარდო წარმოხაზვით მოსაუბრეს, რომ ეს ქეშმარიტი მეცნიერებანი მექანიკურად იწოდებიან, რამეთუ არ შესწევთ ძალა გაასრულონ რაიმე ხელების გარეშე... მაშინ შე ვფიქრობ, რომ ის მეცნიერებანი იქნებიან ფუჭი და შეცდომებით აღსავსენი, ისინი არ იშვიან გამოცდილებიდან, რაც უოველგვარი უტყუარობის დედას, საფუძველს წარმოადგენს, და დასახრულს არ გამოკვებენ გამოცდილებით,

ანუ რაც იგივეა, მათი ამონავალი წერტილი, საშუალებები და მიზანი არ გაივლის ცალ-ცალკე ხუთ გრძობას“. გონება მხოლოდ შუამავალია. იგი მშვენიერი ინსტრუმენტია, რაჟი მას აერთიანებს თვალი და ხელი, თუკი მათემატიკის დახმარებით უტყუარობა გამოვიდეს. კმინის ახალ, აღმოჩენულ მეთებულ რეალობას. მაგრამ თუკი გონება განცალკევდება და გამოეყოფა რეალობას, თუკი იგი პრეტენზიას გამოაცხადებს — შეეჭიბროს ღმერთს განმარტობელად აზროვნებაში, დარჩება ამაოებად, რამეთუ დაიწყებს ზეპირსიტყვიერი დისკუსიებით — მარადიული უვირილით თავის გამოკვებას.

საქიროთა ითქვას, რომ უოველივე ამით ლეონარდო ეწვეა არა მხოლოდ მეცნიერული მეთოდის განახლებას, იგი რადიკალურად ცვლის ადამიანის კავშირს სამყაროსთან, ცვლის რეალობის კონფერენციას. XV საუკუნის დასასრულს და XVI საუკუნის დასაწყისში ადამიანის დიდება და მისი ღირსებები რაღაც საშუალო ადგილს იჭერდა — სამყარო ადამიანის გონებაში როგორც უოფიერების იდეალურ ცენტრში მოიქცეოდა თავს. ხზვები უფრო შორს წავიდნენ და უკიდურად მკვერამეტყველებით აღსავსე ფურცლებზე დაგვიმტკიცეს, რომ ადამიანი მგავს ღმერთს, რამეთუ იგი არის საკუთარი თავის თავისუფალი შემოქმედი, სრულიად არ არის განპირობებული ბუნებრივი აუცილებლობით, რამდენადაც მისი ბუნება — მიხივე საკუთარი ქმედების ნაყოფია. ლეონარდო არ კმყოფილდება საყოველთაო მტკიცებით და განსაზღვრავს ადამიანური მოღვაწეობის მნიშვნელობისა და მისი შრომის დანიშნულებას. ერთი სიტყვით, ადამიანი არ ყალიბდება, მისი ხაბე არ წარმოჩინდება ხულიერი და ზნეობრივი მოღვაწეობის მეშვეობით, რომელიც ერთობ უნაყოფო და ფუჭი საქმეა. მოღვაწეობა იწყება შეგრძნებით და მახთანვე დასრულდება; ციკლი, ლეონარდო რომ მიმართავს, იწყება თვლით — უდრმეს რეალობაში შინაგანი ხედვით, მის უველაზე უფრო ბნელ კუნჭულებში, შემდეგ მიემართება გონებისაკენ, „რათა ხელახლა მივუბრუნდეთ იმ საგნებს ხელებისა და ფიზიკური შრომის შემწეობით, რომელიც ამტკიცებს ამ პროცესს და შედეგის ფიქსაციას ახდენს. უოველივე ამის სამზოლოდ და ჭამად ითვლება მხატვარი, რომლის თვლიც მეცნიერებაა, მეცნიერება ერთობ ფაქიზი, რომელიც ამოკრებს ხაგნას ზედაპირიდან ბუნებრივი ენერჯიის უქანასკნელ მარაგსაც კი, რათა შემდეგ ისევ ამადლდეს რიცხვსა და ინტელექტამდე, ბოლოს და ბოლოს კი შემოხაზოს რაღაც ფორმა, რომელიც ზეპირი არაა, არც კანი რომელიმე ცოცხალი არსებისა, მაგრამ იმანენტური ძალაა, სამყაროს იდუმალებაა, შედაპირზე ერთიანი რე-

აღობის სახით რომ ამოღის. ეს არის ლეონარდოს
ეს მცირერიცხოვანი სურათები, რომლებშიც
ნამდვილად ერთ წამში იხსნება და მაშინვე იხუ-
რება მთელი ყოფიერება.

მაგრამ ვიდრე მივიდოდეთ იმ ერთადერთთან,
რაც ლეონარდოს მეცნიერებას, ანუ მხატვრის
მეცნიერებას შეადგენს, აუცილებლად უნდა გა-
ვუსვათ ხაზი მექანიკური ხელოვნებისა და ხე-
ლის შრომისადმი ამაყ ერთგულებას, შათში, ისე-
ვე როგორც მათემატიკურ მეცნიერებებში, ზე-
იმობს ადამიანის ღირსება. თვით პეტრეარკაც კი,
როგორც ეს მისი ჰუმანიტარულ სახელგანთქმული
ტექსტებიდან ჩანს, ხელოვნების არახსილყოფი-
ლებას ხედავდა იმაში, რომ იგი ხელით შრომის-
თან იყო მიჯაჭვული, დაკავშირებული იყო ამ-
ქვეყნიურ-მათერიალურ სამყაროსთან და ფიზი-
კურ საქმიანობასთან. ლეონარდო არა მარტო
აკონკრეტებს ადამიანური გმირობის ცნებას, არა-
მედ შეგნებულად და აშკარად აცხადებს,
რომ ამგვარი გმირობა იქნება რეალურად
შეახსა ხორცი აზრს, რომელიც აქტიუ-
რი, მოქმედი რომ გახდეს, უნდა შეუკავ-
შირდეს საგნებს, მისგან რომ იშვინენ. ადამიანის
დანიშნულება და მისი ცენტრალური მდგომარე-
ობა განპირობებულია იმით, რომ იგი ითვლება
სამყაროში შეგნებულ, ცნობიერ მოქმედ ძალად.
მან მათემატიკის შემწეობით აღმოაჩინა გარემოს
მოქმედი ძალები, რომელიც განახლებებს სამ-
ყაროს წესრიგსა და მარშონიას, გარდაქმნის მათ
უმაღლესი წესრიგის მარშონიად, მაგრამ ნაყო-
ფიერი და მნიშვნელოვანი რომ იყო, ეს გარ-
დაქმნა არ უნდა ამოწერო სიტყვებით, ცნებე-
ბითა და იდეებით, არამედ უნდა იქვე ხაქმედ,
სხეულად, მანქანად, უნდა დაიჭირო შენი ადგი-
ლი ბუნებაში, სამყაროში. აქ ფონს ვერ გახვალ
მხოლოდ თვალთ ან გონებით, ჰერეტიკთი ან გონ-
ებაჭვრეტითი მეცნიერებებით. აქ აუცილებე-
ლია ხელის შრომა.

არ არის საჭირო ლეონარდოს მრავალრიცხო-
ვანი ტექსტებიდან მოვიტანოთ ციტატები ამ თე-
მაზე, მაგრამ აუცილებელია მათი გათვალისწინე-
ბით გავცინოთ ერთ დავას, რომელიც ხშირად
არახწორად გაგებულნი, — ეს არის დავა, თავისი
სამოლოდ არსით მიმართული წიგნიერი კულ-
ტურის წინააღმდეგ, ციტატების მოხმობის
და დაწერილის მოკლე შინაარსის გადმო-
ცემის წინააღმდეგ. (ლეონარდო არ უარყოფს
არც ისტორიას, არც ანტიკურობას, არც მხოვ-
ნას, რომელიც გვამლევს უფლებას დავუპირახ-
პირდეთ „დროთა სრბოლას“. მაგრამ იგი ებრძ-
ვის ავტორიტეტს, რომელიც ეწინააღმდეგება
რეალობას; ებრძვის კულტურას, როგორც ტრა-
დიციების პასიურ აღიარებას, ცოდნას, რომელიც
არ წარმოადგენს გამოგონებას და მხოლოდ და
მხოლოდ შენახვას გულისხმობს.)

„ატლანტიკურ კოდექსში“ ეს მოტივი მომეტე-
ბულად სრულყოფილი და გამახვილებული ფორ-
მით ხშირად გვხვდება როგორც ამოსავალი წერ-
ტილი და მუშაობის დევიზი. „კარგად ვიცი, რომ
ამპარტავან ხალხს, რატი ნაკლები არა ვარ, მოეჩ-
ვენებათ, თითქოს მათ უფლებები ჰქონდეთ, გამ-
კაცონ და დაიმოწმონ ის გარემოება, რომ მე
ერა მაქვს წიგნიერი განათლება. სულელები...
იტყვიან, რომ რატი სიტყვიერების მახვავლებე-
ლი არა ვარ, არც შემოდლია კარგად გამოვთქვა
ის, რაზეც მსურს ვილაპარაკო. მათ არ იციან,
რომ ჩემი საგნები, თემები უფრო მეტად უცხო
სიტყვებიდან კი არა, გამოცდილებიდანაა ამოკ-
რებილი, ხოლო გამოცდილება იყო იმათი მოძ-
ღვარი, ვინც კარგად წერდა. მაშ, მეც მოვუხმობ
მას ჩემს მოძღვრად და უველა შემთხვევაში მას
მივენდობი“ (118, V, თ). მაშ ასე, ავტორებს კი
არა, შრომას, საქმეს, მათს „მოძღვართა მოძ-
ღვარს“ მიმართავს ლეონარდო. ხოლო ექსპერი-
მენტატორი — ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია —
არის გამომგონებელი. ლეონარდო ქიუტად,
მტკიცედ ადგას აქტიურობისა და შრომის დაბი-
რისპირების გზას პასიურ აღქმასა და ცოდნის
უბრალოდ შენახვასთან. სამწუხაროდ ტერმინები,
რომელთაც იგი იუენებს, ნებას გვაძლევენ სხვა-
დასხვაგვარად გავგოთ მისი ნათქვამი, არც მათ
ინტერპრეტაციაც შეიძლება აღმოჩნდეს ერთ-
ნაირი, ლეონარდო ამბობს: „ცდა“. მაგრამ ცდა
შეიძლება იყოს ხერხი, მიღება, კატალოგიზაცია.
ლეონარდოსათვის იგი გახლავთ გადამუშავება,
მუშაობა, გამოგონება, მოღვაწეობა, შრომა.
„ერთმანეთს შორდებიან, იფანტებიან ამპარტა-
ვანი და გაბღენძილნი, მალაღფარდოვანნი, გა-
მოფიტულნი და გაპრანტულნი თავისი კი არა
სხვისი ნაშრომებით, მე კი ჩემსას შედავებიან
და თუ მე, გამომგონებელი, შემძულეს, რამდე-
ნად საძულველნი შეიძლება იყონ თავად, გამომ-
გონებელნი კი არა, შესაყვირენი და გადამღე-
ქელნი სხვათა ნაწარმოებებითა“ (Cod. Atl. 117,
r. b.). ამგვარად, ექსპერიმენტი, რომელიც შუა-
მავალია ბუნებასა და იმ შესაძლებლობათა აღ-
სრულებას შორის, რომლებიც თავს იჩენენ მო-
ცემულ სიტუაციაში, ერთის მხრივ, არის შეც-
ნობა გარდაუვალი და რეალური პროცესებისა,
მეორეს მხრივ კონსტრუქციული მოქმედებაა,
აქედან გამომდინარეობს დაგმობა არა მხოლოდ
მოლაყბეებისა, არამედ ალქიმიკოსებისაც, ვისი
ექსპერიმენტი შემთხვევითხა და თვითნებურ
ხასიათს ატარებს. სწავიშო მოწოდება — თუ-
კი გსურს მიიღო ოქრო, წადი სახადოზე და
ნახე, როგორ გააკეთა ის თავად ჩუნებამ და
მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენე შენ მიერ აღ-
მოჩენილი ბუნების ძალები და რიცხვები —
ცხადად გვიჩვენებს, რას ნიშნავს ადამიანის —
დიდოსტატ ბუნებასა და ახალ, თვით მის მიერ

შექმნილ სამყაროს შორის შუამავლის — ლეონარდოსეული კონცეფცია.

სარკე არის მეორე სახე. რომლის ვარიაციებიც მნიშვნელობათა მრავალფეროვან სიმდიდრეს წარმოადგენს. თუკი ვინმე რომელიმე სიტყვის ან სახის ცვლილებას გაადევნებს თვალს, შესაძლოა იგი ძალიან ახლოს მივიდეს ლეონარდოს ჩანაფიქრთან. სარკე უნდა იყოს მხატვრის გონება, ამასთანავე იგი რიტორთა და მოლაუბეთა იარაღიც. ახეთ დროს იგი მსოფლიოში არსებულ უხასრულო „სახეობათა“ თავმოყრას ნიშნავს. გამოსახულება არარაობაა ობიექტის ფიზიკურ მდგომარეობასთან შედარებით. ასევეა უშუალო აღქმის პასიურობაც გამომგონებლის აქტიურობასთან შედარებით. გამომგონებლისა, რომელიც შუამავალია ბუნებასა და ადამიანს შორის. უველგან ბატონობს ერთი თემა — აქტიური ცოდნა და გონებრივი მოღვაწეობის აქტიურობა თავს დასრულებულ ნაწარმოებში ავლენენ. ხურათები, რომლებიც ლეონარდოს ხელნაწერი შემკვიდრეობის არხებით ნაწილს შეადგენენ, საამისოდ ერთობ ღირებულ ინფორმაციას შეიცავენ. თვით ლეონარდო გვეუბნება წინასწარ, რომ ნახატში წარმოებს ხელის შრომის განვითარება, ხდება შრომით ხელის გონებრივი მოღვაწეობის დაძლევა, რაც დაწერილ სიტყვასზე უფრო ადექვატური და საგრძნობია. მრავალრიცხოვან მაგალითებს რომ იუენებს, ლეონარდო სხვადასხვა ხერხით ცდილობს აგვიხსნას ეს მისთვისაც ძნელი იდეა. ასე მაგალითად, იგი წერს, რომ შეუვარებელი თავისი სატრფოს სიტყვიერ აღწერილობაზე მეტ უპირატესობას ანიჭებს მხატვრის მიერ შესრულებულ გამოსახულებას. სხვაგან ლეონარდო ამბობს, რომ თუ სიტყვიერად აღწერილი და ჩაფიქრებული სახე მხოლოდ თანამედროვის გონებაში დაიდებს ბინას, ნახატი, პირიქით, ზორცს ახსამს „იმასზე მეტ ღირსეულ მოღვაწეობას“, ვიდრე ზემოთნახსენები განსჯა და ცოდნა წარმოადგენს.

ვინც მოისურვებდა რისკზე წახულიყო და უფრო ზოგადი დასკვნა გამოეტანა თუნდაც პიკოტეზის სახით, უნდა ეთქვა, როგორცა ჩანს შემდეგი: ვიდრე გამოსახვის საშუალება შეიქმნებოდა, ნახატი ლეონარდოსთან ცდის, ექსპერიმენტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ნახატის მეშვეობით (ზოლოკავშირი ნახატსა და ჩანაფიქრს შორის ლეონარდოს ხელნაწერებში საკმაოდ შეუსწავლელია) ლეონარდო იწყებს რეალობის კვლევას, აღრმავებს გრძნობად გამოცდილებას, მიჰყავს მოვლენები მათი უმარტივესი აგებისაკენ, რაც, ბოლოს და ბოლოს, მათემატიკურ-მექანიკურ-მანქანურ სტრუქტურას წარმოადგენს. როდესაც ლეონარდო ცოცხალი ორგანიზმის ანატომირებას

ეწყება და მისი შემადგენელი ნაწილების ფუნქციას შეისწავლის, ანალიზებს, აღარებს მას „მექანიკურ ხელნაწერს“ წიაღში მოქმედ ძალებს, მისი თვალი თანდათან გამსჭვალავს სინამდვილის სხვადასხვა ფენას, იმაბხოვრებს, აკეთებს მათს სისტემატიზაციას. ცხადად უწყობს მათს ელემენტს. ნახატები — მხატვრული მსჯელობის წარმოადგენენ, მეორეს მხრივ ემსახურებიან უველა საგნის ერთიანი სურათის შექმნას. მათი ღრმა სტრუქტურის შექმნას, რომელიც წარმოსდგება როგორც მანქანის მოდელი, როგორც მოძრაობისა და ძალების თამაში. ასეთია ცხოვრება. უნიძორის ბიბლიოთეკაში დაცულ „ანატომიურ რვეულებში“ კვითხულობთ: „როგორც ნათქვამია ჩემ მიერ წიგნში მამოძრავებელ მოქმედებაზე, რასაც ბუნება ცხოველებში აწარმოებს, ბუნებას არ შეუძლია მანკის მოძრაობის უნარი ცხოველებს მექანიკური ინსტრუმენტის გარეშე.“ იდეა მანქანისა, რომელიც შეიძლება დაიშალოს ნაწილებად, კრდევ უფრო დაეინებთ მოისმის მოგვიანო პერიოდის. 1580 წელს დაწერილ ანატომიურ მსჯელობებში: „ო, ამ ჩვენი მანქანის (ადამიანის სხეულის) მხილველო, არ დაიდარდო სხვისი სიკვდილი შენს სიკვდილსაც თუ მოახწავებს, მაგრამ გიხაროდეს, რომ ჩვენმა შემოქმედმა ეს სრულყოფილი მექანიკური უმაღლესი გონებით აღჭურვა“. რამდენიმე გვერდის წინ, ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციას რომ აღწერს, ლეონარდო ამბობს: „გივე ხდება ცხოველის ცხოველის სხეულშიც გულისცემის გზით, რომელიც ვენებში სისხლის ტალღას გზავნის. ისინი განუწყვეტლივ ფართოვდებიან და ვიწროვდებიან. გაფართოებისას სისხლი მიემართება მაღლა, დავიწროებისას კი რჩება მიღებული სისხლის ნაკარბი — ამასე მიგვითითებს ადამიანის პულსის სიხშირე: მანქანა-ადამიანი, მანქანა-ცხოველი, („სინამდვილეში ადამიანს რაიმე არსებითი არ განასხვავებს ცხოველისაგან“), მანქანა-სამყარო. ამ მანქანების მამოძრავებელ ძალებს ითვლება სულელები ანდა სული, სულიერი უნარი, ე. ი. ძალა, რომელიც გაგებულება როგორც რაღაც არა ხილული, მაგრამ ფიზიკური რამ, თუნდაც მარადიული გარებულობის შარავანდელოდ შემქული. „აქამდე სულს განვმარტავდით, როგორც სხეულის უნარს, რამდენადაც სულს თავისთავად არ შეუძლია მართოს... იმიტომ რომ, თუ სული უბილავი, არანივთიერი თვისებაა, მაშასადამე ის სიცარიელეა, სიცარიელე კი ბუნებაში არ არსებობს“.

მანქანები და ხელნაწერები, ძალები და მატერია გახლავთ ლეონარდოს ანატომია, რომელიც თანდათან იქცევა ოპტიკად, ზოგად მექანიკად, სამყაროს ფიზიკურ განმარტებად. იგი კანის ქვეშ აღმოაჩენს არხებში სისხლის მოძრაობას,

სისხლის მოქცევის და უკუქცევას, ბაგირებს, ბერკეტებს, სიმძიმეს, პირველადსა და მეორად მამოძრავებლებს, ძალთა გადაადგილებასა და შეცვლას, სულს რომ ახსენებს, ლეონარდო შეჩერდება: გვიჩვენებს მის ფიზიკურ შემადგენლობას და აკეთებს ცნობილ შენაშენას, რაც ზოგიერთის მიერ აღიქმება, როგორც ირონიული, ხოლო სხვათა მიერ როგორც შეტად სერიოზული რამ: „სულის დანარჩენი ნაწილის განსაზღვრებას მივანდობ სულიერ მამებს, რომლებიც გვასწავლიან: ეძიებდე და პოულობდე“.)

მაგრამ ახლა მსურს ვთქვა ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ რა თანდათან გადაიხსნება თვალისა და ხელების წინაშე რეალობის ანატომია, იმიტომ რომ სწორედ აქ, მეცნიერული ანატომიის საზღვრებში მიმდინარეობს მისი ორმხრივი გარდასახვა — გარდასახვა ფერწერად და ახალი მანქანების შემქმნელი ტექნიკად უნდა ითქვას, რომ აქ ლაპარაკია თვით უმაღლეს მეცნიერებაზე, რომელიც მოიცავს უველა მეცნიერებას, მათ შორის ფილოსოფიას, და აიძულებს მათ შეერწყან ერთმანეთს ერთ წერტილში, ეს არის მხატვრის, ხელოვანის მეცნიერება, რომლის დანიშნულებაცაა გააშიშვლოს სინამდვილე ფესვებამდე, განსაზღვროს და აღწეროს მისი ელემენტები, ძალები და მოქმედება. ვინც ამას შიადწია, აღმაჩინა, ჩასწვდა ბუნების მექანიზმის საიდუმლოს, სამყაროს საიდუმლოს ერთიანად, მას ძალუძს შექმნას ხელოვნური მექანიზმი, რეალობა „პირქუში და მრისხანე გამოქვაბულია“, ლეონარდო უახლოვდება მას, რათა იხილოს არა მხოლოდ ურიცხვი ოდენობის მრავალფეროვანი და უცნაური ფორმები, რომელსაც დიდოსტატი ბუნება წარმოშობს, არამედ იმ მიზნითაც, რათა მიიღოს მათგან მანქანა.

ლეონარდოს მანქანებს შორის არის ერთი მანქანა, კერძოდ, საფრენი აპარატი, რომელმაც უველაზე მეტად შესძრა ადამიანის წარმოსახვა. თუკი გონებაში აღვადგენთ ლეონარდოს აზრებს, დაკვირვებებს, ჩანაფიქრებს, ცხადად დავინახავთ ორმხრივ პროცესს, რაზეც აქ ვსაუბრობთ, თავდაპირველად ფრინველი, როგორც ბუნების მანქანა, შემდგომ კი ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ფრინველი, ვკითხულობთ „ატლანტიკური კოდექსის“ სახელგანთქმულ ტექსტს: „ფრინველი მათემატიკური კანონებით მოქმედი ინსტრუმენტია, რომლის გაკეთებაც ადამიანის უფლებას წარმოადგენს უველა მისი მოძრაობით, მაგრამ არც თუ ამდენი შესაძლებლობით, ამიტომ ვამბობთ, რომ ადამიანის მიერ შექმნილი ამ ინსტრუმენტს არ გააჩნია მხოლოდ ფრინველის სული, რომელიც ადამიანის ხულის ახლს უნდა წარმოადგენდეს“. სული, რასაც კარგად გვიხსნის ლეონარდო, სხვა არაფერია თუ არა მამოძრავებელი ძალა.

ლეონარდოს ფრინველური მეცნიერების საოცარი ვაშა თავმოყრილია იმ თავებში, რომლებიც ეძღვნება სამყაროს ანატომიას, სტრუქტურას და ნახატად და სქემად იქცევა მისი მექანიზმის მოწყობილობა, გამოგონებისა და გადაკეთების შედეგობით ბუნებასთან ბრძოლაში, მაგრამ ესე, რომ დოქტრინებაროს, რომ უველის კრიტიკებსა და საკიროებებს, აქ იხადენიან მანქანები, ფიზიკური შესწავლა და ტექნიკური დამუშავება ხორციელდება ნახატის პარალელურად და ერთდროსა სამყაროს, სიცოცხლის ცოდნას, მექანიკის პრინციპებს, რაც მათემატიკაში გადაიზრდება.

ჩვენს წინაა ვიტყვივითს საყოველთაოდ ცნობილი ტექსტი, რომლითაც აღფრთოვანებული, ამასთან ზიზღით იუვენენ გამსჭვალული კვატორჩენტოს (ვიბერტი მას იშეორებს, ალბერტი კი დასცინის) სახელგანთქმული მოღვაწეები: არქიტექტორმა უველაფერი უნდა იცოდეს, იგი ცოცხალ ენციკლოპედიას უნდა მკავდეს უნდა იცოდეს ლიტერატურა, რათა ამ გზით საკვები მიიწოდოს შეხსიერებას, ნახატი, რათა შეადგინოს პროექტი: გეომეტრია და არითმეტიკა, რათა გაიანგარიშოს და ააგოს მათემატიკური ფიგურები: ოპტიკა, რათა შეისწავლოს სინათლის სხივი და ა. შ. მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ უნივერსალურ მეცნიერებას ლეონარდოსთვის წარმოადგენს ფერწერა, უნივერსალური იგი იმიტომ კი არ არის, რომ უველაფრის შესახებ იცის რაღაც, ანდა — მოიცავს უველა მეცნიერებას, არამედ იმიტომ, რომ, რეალურ ფორმებს როცა გამოხატავს იმ სახით, რომელთაც ახანა ორხებობდნენ, გვიჩვენებს არა ზედამირს, რომელიც მათ ფირავს, არამედ მათს უმაღლეს გამოვლინებას, რისთვისაც აუცილებელი ხდება ჩავწოდეთ უნივერსალის არსს, მის უველა ფენას და დონეს უველაზე უშორეს ფესვებამდეც კი. თუ შენ არად ჩააგდებ მხატვრობას — ბუნების უველა სახის შემოქმედების მიმბაძველს, მაშინ არად ჩააგდებ დახვეწილ გამოგონებასაც, რომელიც ფილოსოფიურ ფიქრებში ანალიზებს — ზღვის, ხმელეთის, ხეების, ცხოველების, ბალახების და უვაფილების უველა თვისებას, რაც გარშემოტყმულია ჩრდილითა და სხივით, ქემმარიტად — მხატვრობა და მეცნიერება ღვიძლი შეილია ბუნებისა, რადგან მისი მშობებლნი არის ბუნება“.

არ კმარა უველაფრის შესახებ ვიცოდეთ რაღაც, მხატვრის თვალი, რომელმაც უნდა მოიყვას არა ხილული, გარეგანი, არამედ რეალური, უნდა ჩასწვდეს ბნელ გამოქვაბულს, მღვიმის ფსკერს და მის უველა მოწყობილობასა და ფუნქციაში დაინახოს სამყაროს მანქანა — სისხლის მიქცევა და მოქცევა ცოცხალ ორგანიზმებში, წყალი დედამიწის უზარმაზარი სხეულის ზღვება

სა და მდინარეებში. ფერწერის მხრამ უნდა გამსჭვალოს უკიდურესი სიღრმეები, გაატანოს ყველა ძალაში, რასაც ხაშიარო მოიცავს, შემდეგ უნდა უნდა ჩაიხატოს დიდი ანატომის მარჯვენამ და ბოლოს — ბუნებასთან უკიდურესი აქციოს მანქანად. ლეონარდოს ნახატები და მქანაში იფიქსირება და ანატომიურ შეხედულებებთან ერთად ამთლიანებენ მისი შემოქმედების ტექნიკურსა და მეცნიერულ მხარეებს. ბოლო ხაზოლო შედეგად სხვაგან ძევს. სინამდვილეში ლეონარდოს მთელი ფიზიკა — ყოველივე იმის დასაწყისია, რაც მისი შრომების მეტაფიზიკურ მომენტს წარმოადგენს. ეს გახლავთ ის მცირერიცხოვანი ფერწერული ნაწარმოებები, რომლებშიც მისი ხედავს განზოგადდება ინსტრუმენტებისა და მანქანების შემწეობით კარა, რეალობის შემდგენელ ნაწილს რომ წარმოადგენენ, თვით ერთიანი და სრულყოფილი რეალობის ხაზუალებით. მოცემული სინთეზი ვერ შესძლებდა არსებობას მისი წინამორბედი ანალიზის გარეშე, მაგრამ იგი ამ ანალიზს ყველაფერში უკიდურესად ამტკებს.

სწორედ ამიტომ არის ლეონარდოს ნახატები, მისი ესკიზები და ჩანახატები ეგზომ მრავალრიცხოვანი, ფერწერული ნამუშევრები კი ერთობ მცირე, რადგან ლეონარდომ იცის უკანასკნელს ხიტუვა ერთადერთია, რომ ადამიანის სახეში და კეიზაუში ყველაფრის კონცენტრირება უნდა მოხდეს. მაგრამ მან ისიც იცის, რომ ეს საბოლოო ხედავს არ ეძლევა იმას, ვინც უოფიერების ყველა საიდუმლოს ვერ ჩაიწვდა.

ჩვენს გამოკვლევაში შეგვეძლო მიმოგვებინა ლეონარდოს ტექსტები და გაგვეანალიზებინა ცდის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც ადამიანის ცნობიერებაში იყრის თავს და მის მოღვაწეობაში გადაიზრდება. ყველა მეცნიერება ყოველმხრივი წვდომაა ხინამდვილისა, ტექნიკა კი — ხელკვებაა ყოველივე იმის ხელახლა შესაქმნელად, რაც ადამიანის მიღმა არსებობს, რათა მოაგვოს სინთეზს, ანუ მნიშვნელობას ერთ ფორმაში.

ლეონარდო, ქვეყანას რომ განუდგა და მაგიურ ბრწყინვალეობაში, დაფარულსა და სახწაულში პაოვა კმაყოფილება, თავის თანამედროვეთა შორის იყო ის არსი, რომელიც მომეტებულს საცხადით და ხიმკაცრით ადგენდა კავშირს მრავალმხრივ პროცესსა და იმ წერტილს შორის, რომელშიც ეს პროცესი მკოვებს დახარულს, რათა შეიძინოს აზრი და დანიშნულება, დაფარულს რომ აშიშვლებს, რომელიც ამის მიუხედავად დაფარულადვე რჩება. ეს საიდუმლო რიცხვები, ძალები, წონა, ხერკეტები, მოძრაობა, იმპულსები. მადონას სახე ელემენტებისა და რიცხვების ერთობლიობაა, რომლისთვისაც უცხო არ არის ხინხლის მიქცევა და მოქცევა,

მაგრამ არსებითად იგი ამაზე უსაზღვროდ დიდია. ლეონარდომ გახედა და თქვა, რომ სინამდვილე, რომელიც მხატვარმა უნდა გამოხატოს — ქოხია, ელემენტებისა და რიცხვების კორიანტელია, ძალთა შორევი, მაგრამ ამასთანავე მარმონიული შენადნობიცაა. დასრულებული ლეონარდო გვიჩვენებს რეალობის უფროსობას, ანათონივე მის გადაწყვეტას ფორმაში. ყოველივე ამის გამო ლეონარდოს ფორმები დამძიმებულია მათხვე სიღრმეში ჩაძირული უფორმოებით. ეს ფორმები ყველგან არიან, ისწრაფვიან დაუახლოვდნენ რეალობას, თითქოს საყოველთაო ცნობიერების ერთიანობას აყალიბებენ, ჯამს ქმნიან.

სახე რომ დახატო, ანუ მისი აზრი, მისი რეალობა, მისი ტეშმარტი არსი გადმოსცე, უნდა შეგვეძლოს დაინახო ყველა კანქვეშა კუნთი, ყველა ძარღვი და ორგანო, ყველა ძვალი. როცა დაინახავ, როგორ იბრწყინება ყოველივე ეს, იგრძნობ მყრალ ხუნს და შეგაძრწუნებს გამომეტყველებისა თუ ემოციების მრავალფეროვნება — შეუქის თამაში დაჩრდილება სახეზე, ხანის დაბერება და ქცობა, — განსაზღვრავს ყველა პრინციპს, გამოავლენს ყველა კანონს.

არ შეიძლება ნება მივცეთ საკუთარ თავს გავერთოთ ლეონარდოს უაღმა საბით: აუცილებლად უნდა გავთავისუფლდეთ პორტრეტის რჩაზროვნებისაგან, რომელიც თავად მან დახატა ირონიულად. იგი დასცილოდა მოგვებს, ნეკრომანტებს და ალქიმიკოსებს, თავს იქცევდა იმით, რომ აიძულებდა მათ ეკითხათ ლეონარდოსათვის, თვითონაც ხომ არ მიეკუთვნებოდა მათ ბრბოს? ეს იყო მისი გამოდევნება საგანთა დაბნელებულ არსზე მდვილეში. კანონთა ძალთა და მოძრაობათა ძიება, მისი მიწა, წყალი და შუქი გვარწმუნებენ, რომ უნდა შევაქოთ იგი უპირველეს ყოვლისა როგორც სწავლული, მეცნიერი, მანქანებისა და ინსტრუმენტების ძიება მას მქანეიკოსად გადააქცივს. ერთი და იგივე ფრაზის რიტორიკული გამეორება — პოეტად. ვინაც კარგად ესმის ფერწერის მეცნიერების არსი, მხოლოდ ის ჩაიწვდება თვალისა და ხელის ერთიანობის მისეულ ძიებებს, მის ისტორიულ ანალიზს, პრაქტიკულ მოქმედებას და მხატვრულ გამოხსახველობას.

ლეონარდოს ეპოქაში იღწვრდა მიქელანჯელოც, მასაც, ლეონარდოს მხგავსად გადაშკონდა ქვაში უსასრულო ტრაგედიის გრძნობა და გაწონასწორებული კომპოზიციები. ვინც ათვალეირებს კატაკლიზმების, ქარიშხლების და წარღვნების აღწერას მოგვიანო ხანის ლეონარდოს შემოქმედებაში, აკვირდება მომავლადვი ხაშიაროს გამოხახვის შემაშფოთებელ წრდას, ძნელი არ იქნება გაახუნდეს საკონაროლი და მიქელანჯელო. ლეონარდოს წინაშეც აღიმართება ამოკალიფსის ის საიდუმლო და სიცოცხლის ბოლო

წლებს უწამლავს მხატვარს. მოჩანს ამხედრებულ
ლი ძალები, აფეთქებული სამყარო, თავდაღმა
დამხობილი ადამიანი. სიკვდილი, სიკვდილი —
ადამიანისა კი არა მარტოდენ, სიკვდილი უკ-
ველგვარი სიკვდილისა, არყოფნაში რომ ინ-
თქმება, — დევნის ხილვებში ლეონარდოს. ხილ-
ვები სულ უფრო ავისმომასწავლებელი და გრან-
დიოზული ხდებაან. უსასრულობის ირონია, რა-
მაც გულისხმობს გიგანტთა უცნაური ფორმები
უკარნახა, სასოწარკვეთილებაში გადადის. ქა-
ოსიდან ფორმისკენ დაძაბული ხწრაფვა ქაოს-
შივე იძირება: სულს ლაფავენ ტყეები, ირდვე-
ვიან მთები, ბობოქრობს ზღვა და ქარაშოტი,
დაძრწიან გაუვალ წყვედიადში მოელვარე, ქვე-
წარმავლებივით დაკლაკნილი და გააფთრებულ-
გამძვინვარებული ელვით დაფლეთილი შავი
ღრუბლები“.

დაბრუნებული მომავლადვი სამყაროს, გაოგნე-
ბაში ჩაფარდნილი ადამიანთა საზოგადოების,
გამქრალი წესრიგის შემადრწუნებელი ვრძნობა

ლეონარდოს უინძორის კოშკის ხელნაწერები-
დან აკვირებულ სახეებად გადაქვს. მაგრამ ამი-
ვე ფურცლებზე ლეონარდო ნახსაც მოგვიწო-
დებს, პატივით მოგვეპურათ ბუნების საოცარ
ქმნილებებს, იგი გვეუბნება, რომ ამარსენია
მათი განადგურება, „დღესათვის უნდა შევქვეყნო ადა-
მიანის სიკვდილი“. „ფიქრშიც არ გაიტარო,
რომ შენმა მრისხანებამ და ხოროტმა ფიქრმა
დაარღვიოს სიკვდილი, რომელიც ასე უბალი-
სოდ განეშორება ხბეულს. მე ვფიქრობ მისი
ცრემლი და ტკივილი უმიწეზო სულაც არ არის“.

რეალობის მოღიანობის, უეჭველობის, უკ-
ლისმომცველობის გრძნობა, ადამიანურ შესაძ-
ლებლობათა დასაზღვრელობის მტკივნეული
შეგრძნება, ადამიანურობა, რომელიც ხწორედ
ამის წყალობით ხდება უნივერსალური — აი,
ხად უნდა ვეძებოთ ლეონარდოს ქეშმარიტი მა-
გიურობა.



«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке

1988 № 4

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



ლემნაბლო და ვინჩი. კალიშვილი მღვიმეში



ლომნაძემ და ვინჩი. ბიჭის თავი დედალი

76132